

ՀՈՒՆՅՈՒ



I

2
0
1
3

Ն
Ծ
Ն
Ե
Ն
Ե
Ն

UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემია

ათინათი
I



გამომცემლობა „ენიკარსალი“
თბილისი 2013



უფლის საგალობელი

მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...

ანა კალანდაძე

ღურჯ ზეციდან შენ
გმფარველობ წმინდა ნინო,
იქნებ შენებრ იანუსზეც
ქება გვეთქვა.
მისი არ გვწამს,
ორპირია არ გვიწყინო,
შენი ხატით „ათინათის“
გული ფეთქავს.

მირიან იორამაშვილი

საადღვომო მისალოცი უწმინდესს

სიხარულის მოზღვავეებით
მთლად სამყარო გაბრწყინდესო...
სიმართლის გზით, გახარებით,
იხარებდეთ, უწმინდესო...
ყველას ყოველს მიუტევებ
წუთისოფლით თუ გწყინდესო.
სიმართლის მზით გაბრწყინებას
მოგილოცავთ უწმინდესო...
წინაპართა სადიდებლად
ეგ მზე გამოუბრწყინდესო...
გიხაროდენ, დიდებულო,
მადლმოსილო უწმინდესო.



უწმინდესი და უნეტარესი ილია II

შენი სიცოცხლე ერს უხარია უწმინდესს

მაცხოვრის კვერთხის მპყრობელი ხელთა,
შეჭიდებული უხილავ მტერთან,
სიმხნით და ღვაწლით აღურიცხველთა,
ცად მიმართ უძღვი ცხოვართა შენთა.
აყვავებული სანთლები ხატთან
სიკეთის დღეთა იყვნენ მაცნენი,
სიწმინდის მაღლად და სასწაულად
მშობელთა ღოცვით აღმონაცენნი.

იმედმოსხმულან შენი დღეები
სიხარულს ყოველს რომ უწილადებ,
შენი ფიქრია შენი მამული
სამარადისო ნათლით ბრწყინავდეს,
თუ საქართველო წმიდა ჯვარია,
ნატრობ, სამოთხის კართან იყოსო...
შენი სიცოცხლე ერს უხარია,
მრავალჟამიერ კათალიკოსო!..

უწმინდესა და დიდებულსა

მეუფევი დიდი, მღვდელმთავარო
 ჯვარისმტვირთველო,
 ვედრება შენი შეწირულ არს მადლისა
 მიერ...
 შემოგლადლებს იმედებით მთლად
 საქართველო –
 მრავალჟამიერ მეუფევი... მრავალჟამიერ...
 სიყვარულისთვის მოვლენიხარ ამ
 ქვეყანაზე...
 ღმერთი დიდია – უბედობას შეცვლის
 წამიერ...
 გაგვიმარჯვდება... ავმალდებით მძიმე
 ხანაზე.

მრავალჟამიერ მეუფევი... მრავალჟამიერ...
 დე, ყოფილიყოს ქართველთ პირი
 გადიმებული
 და ველარავინ შეგვიცვლიდეს ტანჯვით ამ
 იერს...
 მთლად საქართველო ერთ სულ ერთგულ
 გზით
 დიდებულით...
 მრავალჟამიერ მეუფევი... მრავალჟამიერ...
 2002 წ. 4
 თებერვალი

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა უწმინდესს

ღვთიკურთხეული სიცოცხლის ენა
 და სხივამკამა მარგალტები...
 დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
 იყავით მცველად ჭეშმარიტების.
 მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
 რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
 ოღონდ ცით მადლის შექმა იელვოს,
 არ მოგვეშალოს წესი და რიგი...

დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს
 ჰბანდეს,
 გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
 და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
 ნუგეშმცემელი ცისარტყელები.
 ამინ.
 2001წ. 1 აპრილი

დიდებულ უწმინდესს

გულთა მცნობელო, გულთა მხილავო,
 წმინდა ჭურჭელო სული წმინდისა,
 მამულზე ღოცვით ღამეთ მხმილავო,
 გამფანტველი ხარ სოფლის ბინდისა.
 შენთა საქმეთა მოთვლა ძნელია
 რამდენს იღწვი და რამდენს მუშაობ...
 შემწე დიდი გყავს – წმინდა ელია
 შენ საქართველოს მფარველ-გუშაგო...
 ჭეშმარიტების მადლით მოცულო,
 ღირსო დიდების – ტკბილად „აქსიოს“...

ერი კი, შენი, შენზე ღოცულობს,
 მარადისობის მზედ რომ გაქციოს.
 დიდ წინაპართა ნათელში ბრწყინავ,
 ქართველის სიწმინდის დროშად ქცეული...
 საქრისტიანოს მიუძღვი წინა,
 გლოცავს მესამე ათასწლეული.
მოკრძალებული და შვილური
სიყვარულით
 25. 12. 2012.



ციალა ხაჯალია-ანდრიაძე



ანდრიაძეების ოჯახის სახელით, უფრმესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს

სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II იქნა აღსაყდრებული.

მას შემდეგ 25 მშფოთვარე წელიწადი მიითვალა ქვეყნის ისტორიამ.

ილია II-ის აღსაყდრება, მისი დადგენა უწმინდესად და უნეტარესად საზეიმო ვითარებაში, 1977 წლის 23 დეკემბერს მოხდა.

დიდება უფალს!

ღმერთმა არ გაგვწირა და ჩვენს ქვეყანას ეკლესიის მწყემსმთავრად გულისხმიერი, ბრძენი, განათლებული, კულტურული და არაერთი მამულიშვილური საქმის მკეთებელი პიროვნება მოუვლინა.

იმ დღეს სვეტიცხოველში უწმინდესმა და უნეტარესმა ბრძნული გამოსვლით იქ მყოფი ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები ერთობ გაახარა, მაგრამ, რაც მთავარია, მისგან ნაბრძანები ყოველი სიტყვა დროთა ვითარებაში, ცხოვრებას დაეცყო და, ეკლესიის მადლით, ბევრი სასიკეთო ეროვნული საქმეც გააკეთა.

XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის მიჯნაზე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის – ედუარდ შევარდნაძის და მისი უდიდებულესობა – ხალხის ერთობით, თბილისში, ელიას მთაზე აშენებული საკათედრო ტაძრის თაობაზედაც უნდა აღინიშნოს.

იდეა, სამების ტაძრის აშენების შესახებ, 1988 წელს მისმა უწმინდესობამ პირველად თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მაშინდელ თავმჯდომარეს გაუზიარა.

ეს ჩანაფიქრი, საერთოდაც, და, განსაკუთრებით, იმ უმძიმეს ისტორიულ მონაკვეთში განსახორციელებლად რთული გახლდათ. მაგრამ, სამების ტაძრის აშენება, სწორედ ქვეყნის ხსნისთვის, ასაშენებლად სექტებისა და მოძალებული გამხრწნელი ძალების დასაოკებლად, სწორედ მაშინ, აუცილებლად საჭირო იყო. ეს კარგად გაუგო უწმინდესს ქალაქის საბჭოს იმჟამინდელმა თავმჯდომარემ და შეუდგნენ ზრუნვას სამების საკათედრო ტაძრის ასაშენებლად.

გაჭირდა საქმე, მაგრამ 2000 წლიდან ქვეყნის, ხალხის და ტაძრის მშენებლობის გვერდით საქართველოსთვის მოჭირნახულე ადამიანი – ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი დადგა, რომელიც უხმაუროდ აფინანსებდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობას.

დიდება შენდა, ღმერთო!

ასეთი შვილებიც ჰყავს ამ ჩვენს სათაყვანო ქვეყანას იმედად და მხსნელად.

ტაძარი დიდი შრომით, ლოცვა-კურთხევით, სახელმწიფოს, ხალხის და ეკლესიის ერთობით, რწმენით და დიდი შემართებით გახლავთ აშენებული.

უწმინდესის როლი ამ მშენებლობის საქმეში განსაკუთრებული და შეუფასებელია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ამის თაობაზე ბრძანებს: – „წმიდა სამების ტაძარი აშენდა ღვთის განგებით, ღვთის ძალით და ღვთის მადლით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არის ხელთუქმნელი ტაძარი... საოცარია, რომ ამ გაჭირვების და განსაცდელის უამს ქართველმა ხალხმა ააშენა დიდებული ტაძარი წმიდა სამებისა, წმიდა სამების სადიდებლად და სულიერი სავანე ჩვენი ერისა. მთავარი ის არის, რომ ქართველმა ამით შექმნა ავტოპორტრეტი და ყველას აჩვენა, თუ შინაგანად როგორი ძლიერნი

ვეოფილვართ. ეს დაფარული იყო ჩვენში და გამოვლინდა. ამ ტაძარმა ხალხს თავისი რწმენა და იმედი შესძინა.“

ძვირფასო მკითხველო!

წმიდა სამების მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. უწმინდესსა და უნეტარესს ირაკლისთვის (ანდრიაძეზეა საუბარი) მრავალმნიშვნელოვნად შეუხედავს და უთქვამს:

– ირაკლი, როგორი იქნება შენი შეხედულება ბერად აღკვეცა რომ შემოგთავაზო?

– ირაკლი შეჩერებულა. ასეთ შეკითხვას არ ელოდა.

მინდა ვთქვა, რომ იმ დამეს, თითქმის, არ უძინია.

მის ცხოვრებაში, ალბათ, ეს იყო შემთხვევა, რომ უწმინდესის რჩევა ვერ მიიღო... შემდეგ, სახლში მითხრა: – მე ჯანმრთელობით ძალიან ცუდად ვარ, არც ამ საკითხზე არასოდეს მიფიქრია და მეშინია არ შევრცხვეო... გულდაწყვეტილმა თავი დახარა და კაბინეტში შევიდა...

ძვირფასო, უწმინდესო თავად კარგად გაიაზრა ამ უჩვეულო და დიდი პატივით რას სთავაზობდით. მაგრამ, ჯანმრთელობა?! თანაც, პასუხისმგებლობა?! რომელიც მის ხასიათში განუზომლად დიდი იყო... შეთავაზება მისთვის სულის საღებუნი და დიდი ბედნიერება გახლდათ, მაგრამ...

უღრმესი მადლობა თქვენ, მისთვის ამ უჩვეულო და დიდი ბედნიერების მინიჭებისათვის...

დიდი მადლობა თქვენ, ყოველ კრიტიკულ შემთხვევაში ჩვენი ოჯახის თანადგომისა და გამხსნელებისათვის.

უღრმესი, უღრმესი მადლობა გარდაცვლილი ირაკლის ჭირისუფლობისათვის და თქვენებური სიტბოთი და სიბრძნით სავსე სიტყვებისათვის, რომელიც თქვენ მისთვის სათაყვანო ტაძარში იმდენი ხალხის წინაშე ბრძანეთ.

თუმცა, ერთი მადლობა აუცილებლად კიდევ უნდა ვთქვა:

დიდება უფალს იმისთვის, რომ ამ ქვეყნად ჩვენი ხალხის საბედნიეროდ არსებობთ. ეს საქვეყნო სიკეთე და საქვეყნო დიდი მადლია.

მეც და, ძალიან ბევრ ადამიანსაც, ქვეყნის შიგნით, თუ მის გარეთ, დიდი სურვილი გვაქვს კიდევ დიდ ხანს იცოცხლოთ.

თქვენ ყოველთვის საჭირო და უღალატო ბრძანდებით ჩვენი ეკლესიისა, მრევლისა და ქვეყნისათვის. ასევე, ბრძანდებით დღესაც და უფრო საჭირო და სანატრელია თქვენი ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე სამომავლოდაც.

ძვირფასო, უწმინდესო, აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლისთავს გილოცავთ.

ჯანმრთელობას გისურვებთ და ვევედრებით უფალს, თქვენი სიცოცხლე ჩვენს სათაყვანო ქვეყანას და უამრავ თქვენს კეთილმოსურნეს მის ფარგლებს გარეთაც დიდ ხანს უბოძოს.

17 იანვარი, 2013 წელი.






გულნაზი ხაჩაიშვილი

ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჟუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი
საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი

ერთხელ თუ მაინც,
ამ ჩემს სულში შემოიხედავთ,
ყველა შემამჩნევთ,
რომ სითბოთი ვარ შემოსილი,
ვეტრფი სიმშვიდეს. . .
მიყვარს ყველა,
მტერს სიტყვას ვბედავ,
სიკეთის ნერგად,
სამშობლოსთვის
ვარ ამოსული.



წმიდაო ნინო, მასველებს ნისლი...
გულს ყინვის ლოდი იქნებ გამიღღვეს,
შენით ვაგრძელებ ცხოვრებას წინსვლით,
ვიცი, შენ მაღლის კარებს გამიღებ.



მხატვრული განყოფილება

ტერენტი გრანელი

სიკვდილის შემდეგ



დადგება ზამთარი...

მოკვდები ღამით გათენებისას, როდესაც გარეთ იქნება ზამთრის გაცივებული მთვარე და ყინვა. სიკვდილის წინ მომაგონდება თბილისის ღამეები და ჩემი უნაზესი და: ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც მწვავედა მე ყოველთვის.

ასე გათავდება სინათლე, გაქრებიან მოგონების წამები.

გადავცემი სიკვდილის მღუმარე ხელებს.

ჩემი წამებულები სხეული შეურთდება მსოფლიო ელემენტებს.

და მე ვიგრძნობ უმაღლეს მოსვენებას.

ჩემი კუბო იქნება სადა.

და პროცესია უცრემლო.

მე დამასაფლავენ შუადღის ორ საათზე თბილისის ახლო.

ჩემი დაკრძალვის დღეს აიშლებიან ფერადი ღრუბლები და ამოვარდება შორეული გრიგალი.

ბაღდახინი, რომელიც წაიღებს ჩემს ცხედარს, იქნება თეთრი და მოძველებული. პანაშვიდს გადამიხდის ვინმე უბრალო მღვდელი, რომელსაც არ ექნება წაკითხული ჩემი სისხლიანი წიგნი „memento mori“ შევეცოდები მღვდელს, რომელსაც არ ეცოდინება ჩემი დაფერვლილი სულის ისტორია. მხოლოდ ცხედართან მღვთმ პოეტებს მოაგონდებათ ჩემს დანისლულ ლექსებიდან: სტრიქონები.

მოვა უიმედობა.

პანაშვიდი გათავდება ქარში.

ჩემს ცხედარს ნელა ჩაუშვებენ სამარეში.

და პირველ მიწას სახეზე მომყრის ვინმე უხეში მესაფლავე.

კუბოს ფიცარზე შეწყდება უკანასკნელი გუგუნი მიწის და ქვების.

პროცესია დაიშლება.

მე და სინუმე დავრჩებით მარტო.

გზაში ისაუბრებენ ჩემზე.

დაღამდება...

მე შემეშინდება მარტო სასაფლაოზე ღამით.,

დავტოვებ კუბოს და ტანშიშველი გამოვიქცევი სამარიდან:

და გიჟივით ვიკივლებ.. რომ მომეშველონ, რომ დამიფარონ.

არავინ იქნება ჩემი მსხელი, ისევ დავცემი, – თავს ვიგრძნობ სამარეში, და კვლავ მივეცემი ძილს დაუსრულებელს.

ნათელივით თავზე დამადგება ჩემი განუყრელი და – სინუმე.

დასაფლავებიდან სამი დღის შემდეგ თოვლით დაიფარება ჩემი სამარე.

თეთრად დასუდრული იქნება მთელი ქვეყანა.

ის სოფელი, სადაც მე დავიბადე, დაემზგავსება უდაბნოს.

გაივლის ზამთარი წვიმით და ქარებით.

დადგებიან გაზაფხულის დღეები.

შეიფოთლება სასაფლაო.

კვირა დღით, როდესაც ყველა მლოცველთათვის გაიღება ეკლესიის კარები, ჩემ საფლავეთან დაფიქრებული მოვა ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამწვარ სახეს მოიგონებს ჩემს წამებას და შევეცოდები.

ასე გაივლიან საუკუნეები.

ჩემ საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის.

ჩემ მიერ უხილავ საღამოს ბინდი დაფარავს მივიწყებულ ლოდებს, და ჩემი საფლავიც შეიმოსება სიბნელით.

წამოვა წვიმა, ქარიშხალი, და მოწყენილ საფლავზე დამყრის ყვითელ ფოთლებს.

ასე დროთა შავი წვეთებით დახავსდება ჩემი სამარე, ზედ წამოიზრდება ბაღახი.

ზაფხულში საღამო დროს ჩემ საფლავს ჩაუვლიან თეთრად გამოწყობილი ქალები, შორს სარკესთან უცნობი თითები დაუკრავს როიალს.

დილა ადრიან უიმედოთ იკივლებენ ორთქმავლები მოვა კვირა დღე, და ჩემს ახლო დარეკავენ ზარებს, აანთებენ სანთლებს.

დაიღლებიან ხელაპყრობილი მლოცველები.

წირვა გათავდება.

საყდარს დაკეცავენ. ხატები დამწყვდეულ ტუსალებივით დარჩებიან შიგ. და სასაფლაოს ჩხავილით გადაუფრენს ყვავი.

გაქრება თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ღამეები მძიმე ლოდებივით.

და ჩემი სამარის სამუდამო დარაჯი იქნება ჩემი უნაზესი და – სინუმე.

რევაზ მიშველაძე

ორი ნაპირი



ყველაფერი ისევ ისე დარჩა ორ ნაწილად, ორ ნაპირად გაყოფილი.

ბევრი იძახა მარჯვენა ნაპირმა, მარცხენა მხარეს მხოლოდ უნიჭოები დგანან, მარჯვენა მხარეს კი მხოლოდ ნიჭიერები დავგროვდეთო, მაგრამ ამ ძახილს ის შედეგი სრულიადაც არ მოჰყოლია, მარჯვენა ნაპირმა რომ ჩაიფიქრა.

პირიქით, იქითა მხარის მესვეურთ გადახედეს ერთმანეთს და ერთმანეთი ძალიან მოეწონათ, რის შემდეგაც თავს ნება მისცეს კატეგორიულად არ დათანხმებოდნენ მარჯვენა ნაპირის წარმომადგენლებს მარცხენა ნაპირის წარმომადგენელთა შეფასებაში.

ნაპრაღი კიდევ უფრო გაიზარდა.

იქითა მხარეს თავისი ბელადები ჰყავს, აქეთას – თავისი.

იქითა მხარეს თავისი ავადმყოფები ჰყავს, აქეთა მხარეს – თავისი.

საავადმყოფოში იქეთისტებს იქეთისტი ექიმები მკურნალობენ, აქეთისტ ავადმყოფებს, – აქეთისტი ექიმები.

თუ უფლის ნებით (და ხშირად ტერორისტის წახმარებითაც), იქითა მხარის წარმომადგენელი გარდაიცვალა, დაკრძალვას მხოლოდ იქეთისტები ეწვრიებიან. სამგლოვიარო მიტინგზე სევდიან სიტყვებს მხოლოდ ისინი ამბობენ. შესაბამისად, აქეთისტის დამკრძალავთა შემადგენლობაც მკაცრადაა განსაზღვრული, პოლიტიკური ორიენტაციისა და სახელმწიფოებრივი პოზიციის შეუვალი პრინციპებით.

იქითა მხარეს თავისი გაზეთები აქვს, აქეთას – თავისი.

რა გასაკვირიც უნდა იყოს, იქითა მხარის გაზეთი დიდი ტირაჟით, აბრეშუმით ქაღალდზე გამოდის, აქეთისტთა გაზეთი აგურის გასახვევ, სქელ, მოუხეშავ მოშავო ქაღალდზე იბეჭდება და ტირაჟით რუსთაველის პროსპექტს არ სცილდება.

იქითა მხარეს თავისი პოეტები ჰყავს, აქეთა მხარეს – თავისი.

იქითა მხარის პოეტები ზოგჯერ აქეთა მხარის პოეტთა ყრილობას ესწრებიან, შუა ყრილობაზე ფეხზე დგებიან და მოწოდებაზე – „სწორება ზურგში“ გრძლად, საყვარლად გამწკრივებულნი დიდხანს სევდიანად, ჯიუტად მიაბიჯებენ კარებისაკენ.

აქეთა მხარის პოეტები იქითა მხარის პოეტთა თავყრილობას არ ესწრებიან, იქნებ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იქითა მხარის ლიტერატორები ყრილობებს საერთოდ არ ატარებენ.

იქითა მხარეს თავისი პრემიები აქვს, აქეთას – თავისი.

შესაბამისად, იქითას თავისი ლაურეატები ჰყავს, აქეთას – თავისი.

იქითისტი ლაურეატები თავიანთი გვარის ქვეშ ამაყად აწერენ, ვისი სახელობის პრემიის ლაურეატები არიან ისინი, აქეთა მხარის წარმომადგენლები – რატომღაც არა.

ორივე მხარის წარმომადგენლებს თითქმის ერთნაირად სცივათ და შიათ.

აქეთისტები წელიწადში ერთხელ ჰუმანიტარულ დახმარებას გამოსტყუებენ მთავრობას.

იქითისტები თავს არ იმცირებენ და ჰუმანიტარულ დახმარებას არ სთხოვენ. უკანონო ხელისუფლებას, რადგანაც ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მსგავსსაც კი ვერაფერს მიიღებენ.

კუჭი თავისას მოითხოვს, და აქეთისტების რიგში ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად ზოგჯერ იქითისტებიც დგებიან. აქეთა მხარის წარმომადგენლები მდუმარედ, არცთუ დაუმაღლებლად უნაწილებენ ყოფილ კოლეგებს ჰუმანიტარულ დახმარებას.

მეორე დღეს, ჰუმანიტარული დახმარებით სულმოთქმულნი კვლავ ეძახიან იქითისტები აქეთისტებს: „წითელი ურჩხულის დამქაშებს“, აქეთისტებიც არ რჩებიან ვალში და იქითა მხარის წარმომადგენლებს „პროვინციული ფაშიზმის მოციქულთა“ სააღერსო ტერმინით ამკობენ.

იქითა მხარეს თავისი, კანონიერად რეგისტრირებული პარტია-საზოგადოებები და საიდუმლო შეიარაღებული ფორმირებები ჰყავს, აქეთას, იქითასაგან განსხვავებით, ლეგალური შეიარაღებული ფორმირებები ჰყავს.

აქეთისტები იქითისტთა უწყინარ დაცვა-კარატისტთა ქვეჯგუფს ბანდფორმირებებს ეძახიან, იქითისტები აქეთისტთა მოლაშქრე კომპატიოტებს – ოკუპანტებს.

იქითისტებს თავიანთი დეპუტატები ჰყავთ პარლამენტში, აქეთისტებს – თავისი.

მე დავრჩი მარტო შუაში, დაუცველად და უპატრონოდ ღობეში მოყოლილი კეახივით.

ორივე მხარე გულმოდგინედ, გაბრაზებით მაკვირდება, ფიქრებს მისინჯავს. მერე, თავის სამსოფლიო მოღვაწეობის მანძილზე პირველად დაეჭვებულნი, ერთდროულად მკითხავენ:

– ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინე, ვის მხარეს დგახარ?

მორცხვად ვიღიმები და ვცდილობ, ავუხსნა, რომ მე ორივე საქართველოს გზაგასაყართან ვდგავარ და გაღმა-გამოღმა ნაპირის გამაერთიანებელი ტივის ორთაყვირებს ვეჭიდები.

მხრებს იჩეჩავენ და, ჩემს აბსურდულ სურვილში დარწმუნებულნი წუხანდელზე უფრო დასერიოზულებულები, მტკიცე, ჯიუტი ნაბიჯებით მშორდებიან.

ერთი სიტყვით...

„ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“ (გალაკტიონი).

ყისმათი

დილიდანვე უგუნებოდ ვიყავი.

წუხელის მესიზმრა, უზარმაზარ საბუდარზე ვიჯექი.

შავი ძაღლები მესეოდნენ და კვერცხებს მართმევენ. ვკოტქოთებდი, სვეგამწარებული ვიბრძოდი, მაგრამ ჩემი ფრთანისკარტი ძაღლებს რას დავაკლებდი.

ცას და ქვეყანას შევჩიოდი, მიშველე, მე, დედას, კრუსს, დღე-დღეზე გამოსაჩეკ, წიწილებიან კვერცხებს მინადგურებენ-მეთქი, მაგრამ მშველელი არსაიდან ჩანდა. საშინელ ხასიათზე გავიღვიძე.

ჩვენ, ქათმებსაც გვაქვს ავი წინათგრძნობა.

მთელი დღე მარტომ გავატარე.

საკენკს არ გაგკარებივარ.

მაჯღაჯუნასავით მაწვა გულზე სევდა.

მამალი რომ დამეღირა, შენი თავი არა მაქვს-მეთქი და ჩირგვებში შევევარდი.

გაუკვრიდა სხვათა შორის.

ჩირგვებამდე მომდია და, ჩემი გაწბილება სხვებმა არ შენიშნონო, უხმოდ გატრიალდა.

ახია მასზე.

უდროო დროს და უადგილო ადგილას წამოგაჯდება ხოლმე. არ გეკითხება; ხარ, არა ხარ ჩინჩელის ხასიათზე.

ხანდახან მაინცდამაინც არც თვითონ უნდა, ისე, მოვალეობის მოხდის მიზნით გაგექაჩება; აქაოდა რიგმა მოვიწიאו.

რომ მოსაღამოვდა, საქათმეში შესვლა არ მინდოდა.

დარწმუნებული ვიყავი, რაღაც საშინელი უნდა მომხდარიყო, სიზმარი უნდა ამხდომოდა.

გამხმარი ხურმის ტოტზე შევსკუპდი ზაფხულში ზოგჯერ იქ ვიბუდრებო ხოლმე დაქალები, გრილა და სკინტლის სუნიც არ გვაწუხებს.

ლამის ძალით ჩამომავლო მამალმა.

შენაო, რაღაც უცნაურად იქცევიო ამ ბოლო დროს. გატყობ თავს გაგივიდაო, ახლავე ჩამოსტი და შედი საქათმეში, სანამ ღერადერა არ ამიცვლია ეს ნაზი ბუმბული მაგ თიმთიმა კურტუმზეო.

ახსნა-განმარტებას აზრი არა ჰქონდა.

მინდოდა მეთქვა, ავი წინათგრძნობა მაქვს-მეთქი, მაგამ არც მომისმენდა, ისეთი თავნება და ჯიუტია.

დავწყველე ჩემი გაჩენა და ჩავეყვი.

მთელი ღამე ძილი არ მომკარებია.

მამლის პირველ ყივილამდე, ალბათ, ასე ნახევარი საათით ჩამთვლიმა და ძლიერმა ბიძგმა გამომადვიდა.

მარჯვენა ფრთაში საშინელი ტკივილი ვიგრძენი.

თითქოს მიწა იძრაო. ყველაფერი თავდაყირა დადგა.

მეგონა, ქვეყნიერება ინგრეოდა.

მთელი საქათმეთი რომ ახმაურდა და ძაღლები აყეფდნენ, მეგონა უკვე ბოსტანს გამცდარი იყო და თელეებისკენ მიჰქროდა.

მარჯვენა ფრთით ვეჭირე. თავი ფრთისქვეშ მქონდა ჩაბრუნებული და სული მეხუთებოდა. საფეთქელთან მედიის ცხელ სუნთქვას ვგრძნობდი. მთელი ქათიბი სველი მქონდა სისხლით თუ ოფლით. სიკვდილის ოსშივარი უბერავდა მტაცებლის ხახიდან.

ნუთუ ყველაფერი დამთავრდა.

რაც შემიძლია ვფართხალებ, ბრჭყალი მოვდე ყელზე, სოლოსმსგავსს დინგზე, მაგრამ ამოდ.

ქარივით მიჰქრის. ამის დამწვევია ჩვენი პატრონის ბებერი ძილისგუდა ძაღლი?

ტრასაზე შევარდა თუ არა, ზემოდან მომავალმა მანქანამ გაბმული სიგნალი მისცა და შუქის გრძელი შოლტი ქამანდივით ესროლა.

მეგონა დაიბნა, წამით შეყოვნდა, მაგრამ შუაგზიდან უკან გაბრუნებაზე არც უფიქრია, პირი მიშვა და ღობე-თხრილს გადააფრინდა.

მუხრუჭის ღრიაჭიალმა ნერვები დამიფლითა.

შიშმა თუ ტკივილმა ფეხები გამიბორკა.

თხიპიანივით ვფართხალებ.

მანქანიდან სამნი გადმოსტნენ.

„ყოჩაღ სანდრო!“

„იცის ბიჭმა, ნახე რა ბრინჯივით დააბნია სიგნალმა?“

„ე რამოდენა დედალი დაუღლიავენია ამ ვერანას, ამასა!“

„მააშ, კაცო“.

„გაუშვი სანდრო, რასა შერები!“

„რა გაუშვა, შენა თავში ნახერხი ხომ არ გიყრია.“

„ვერა ჰხედავ, ნაკბილარია, მოკვდება“.

„ეგ მე ვიცი, რას იზამს“.

„ქურდის ქურდი ცხონებუღია“.

„ბაგაჟნიკს დაგისვრის, სისხლიანია!“

„მაშ, ფეხებშუა ჩაისვი შენს მხარეს!“

„წავედით!“

მანქანა დაიძრა.

ნეტავ სად მივყავართ.

მშვიდობით აქაურობავ! ჩემს საქათმეში რომ აღარავინ დამაბრუნებს, ნათელია.

რაკი ცოცხალი გადავრჩი, ამას დავეძებ?

ქვეყანა დიდია.

მანქანაში მსხომდნი ერთხანს დუმდნენ და, ხიდს რომ გავცდით, ალაპარაკდნენ:

„რა ვუყოთ ამ ქათამს?“

„ნახე, ხომ არ მოკვდა?“

„არა, ცოცხალია“.

„თბილისში ჩავიყვან, ბაღლებს გავახარებ“.

„თბილისში არა, შენ ხომ არ გაგიჟდი?“

„რათა?“

„ჯერ ერთი, იქნებ, დილაძე ვერც გაატანოს, ხომ ნახე, მელას თავ-ფრთით ეჭირა. ვინ იცის, სად ჩაასო აღმასივით კბილები“.

„თანაც, რა თარსი ცხოველია, რა მოხერხებული?“

„ქურდია ნამდვილი, ქურდი.“

„ნეტა საიდან ჩამოამსერა“.

„საქათმიდან ჰყავს გამოყვანილი, მელა ხეზე ვერ ადის.“

„ვინ იცის, როგორ შეიპარა“.

„მიწას გამოთხრიდა.“

„თანაც წონიანი ქათმისათვის რომ დაუვლია პირი!“

„იცის ბიჭმა“.

„ისე, საცოდაობა ვქენით, რომ ავაგდებინეთ, ვინ იცის, რამდენი იწვალა“.

„მერე, რა მონდომებით მიჰქონდა, უკან მოუხედავად.“

„ნადირობა ჩავუშალეთ“.

„იქნებ თხრილგაღმა ძმაბიჭები ელოდებოდნენ და სიცილი დააყარეს. შე ბემურაზო, სიგნალის როგორ შეგეშინდა, გამზადებული ქათამი როგორ გააგდე პირიდანო.“

„შეეშინდა, სული მწარეა“.

„იქნებ შინ პატარა, მშიერი მელუკები ჰყავს და იმათთან მიაბენინებდა ვახშამსა.“

„რას დააძღებოდნენ?!“

„იმას გეუბნებოდი, იქნებ დილაძე ვერც გაატანოს და, მეორეც, რა იცი, რა სჭირს იმ მელიასა!“

„მაინც მტაცებელია!“

„მორჩით ბაზარს, მელიას რა უნდა სჭირდეს, ვერა ნახე? ისარივით მიჰქროდა.“

„მოდუნული ისარივითა“.

„მაგაი რა დაემართება, შვილოსა, სულ ვგრე დარჩეულ ქათმებ შეექცევა“.

„მიაბრთმევენ ყოველდღე ბლუდითა.“

„არა ბიჭო“.

„მელია ისეთი სუფთა ცხოველია, წვიმაში სანადიროდ არ გამოდის, ფეხი დამესვრებაო, მელაი რა უნდა სჭირდეს“.

„მელია ჯანმრთელია!“ – განაჩენივით დაასკვნა ბოხმა ხმამ, აქამდე რომ თითქმის ჩუმად იყო.

„თბილისში ჩაყვანა მაინც არა ღირს, რაც უნდა იყოს ნამელია“.

„რა არის?“

„ნამელია“.

„ე რა ახალი სიტყვა მოიგონე; ნამელია კი არა, ნამელიებია“.

„როგორც არი. მცხეთასთან რესტორანში მზარეულ მივგვაროთ, კარგად ჩვენებურად მოვახარშვინოთ და შევუბეროთ, არა?“

„მოვიდა!“

„რა დროი რესტორანია“.

„დაიხედე, რა დროა“.

„ოთხია!“

„გადარჩა!“

„რა ყისმათიანი ქათამია!“

„ღმერთი არა გწამთ, მაშ მართლა უნდა დაგეკლათ, კაცო. ღმერთმა მელიის პირიდან იხსნა და თქვენ უნდა შეგეჭამათ, თქვე უღმერთოებო, თქვენა?“

„არა ბიჭო, პირამიდონ ვაყლაპებდით“.

„ჰა, სანდრიკ, შენ წაიყვა, შენი არჩვია“.

„შენ გამოსტაცე მელასა“.

„ხვალ დილით რენტგენზე წაიყვა, ფილტვები გაუსინჯე, არ დაგავიწყდეს“.

...

მგონი გადავრჩი.

გულნაზ ხარაიშვილი



შეხვედრა პატრიარქთან

2012 წლის პირველი იანვარი. დარდწამოსმული შევხვდი ახალ წელს, თუმცა მოლოცვები მსიამოვნებდა მეგობრებისგან, მამხნეებდნენ, მეფერებოდნენ და ათასნაირ კეთილი სურვილების დაბედებას მიწინასწარმეტყველებდნენ.

დღის დასასრულს, როცა ყინვისაგან გათოშილ ასფალტს მზემ უკანასკნელად დაანათა თავისი მოკრძალებული სხივები, დარდმა თავი კვლავ შემახსენა და ჩემ წინ მედიდურად გაიბლინდა.

ცრემლებმა გადმოხეთქა წამწამებისაგან აშენებული კაშხალი და გულის უბეს მარილიანი საფენები შემომაფინა. დედამიწასა და მზეს შორის საყვედურით დატვირთული საუბარი გაიმართა:

– ვერა ხედავ? შენი სიტბოთი ლოლუები ძირს დაეცნენ და ბროლის ლარნაკივით დაიფშვნენ. ახლა ისევ ჭირხლის საბანი გადამაფარე, ყინვის არტახებით სული შემიხუთე. მხრები ოღნავ რომ შემითბა, პირი იბრუნე ზეცისკენ. შენი ასეთი საქციელი გაუტანელი და დაუნდობელი ადამიანების ცხოვრებას მაგონებს.

– მე ჩემი დრო მაქვს, რას მეზუზღუნები, შენ მიწიერ შვილებს ასწავლე სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა, მე ღმერთის ბრძანებას ვასრულებ, ჩემი ნება რომ იყოს, დედამიწისკენ ისედაც არ ჩამოვიხედავ. ზეცაში ყველას თავისი ადგილი აქვს დათმობილი იმის მიხედვით, თუ დედამიწაზე ყოფნის დროს რა სიკეთეებს აკეთებდა იგი. ჰოდა, მეც იქ მიხარია ყოფნა, სადაც სიყვარულისა და ერთმანეთის ფასი იცინა.

დედამიწამ მზის ნათქვამში სრული ჭკეშიარიტი სიმართლე დაინახა და გაჩუმდა. მზემ გააგრძელა საუბარი: – მე როცა სხივებს მხრებზე წამოგასხამ, ჩემს სიტბოს ადამიანების გულის სიტბოც უნდა დაემატოს, მაშინ ანკარა ნაკადულებით აგვესებოდა უბე-კალთა. მე იმას ვდარდობ, ვისაც მინდა სიტბო ვაჩუქო, იმასაც არ სწვდება ჩემი სხივები ამ იანვრის სუსხიან დღეს.

ფიქრის გემი გაჩერდა. სანთელი ავანთე და ლოცვა დავიწყე. უფალს მშვიდობიანი დილის გათენება შევთხოვე და აივანზე გავედი. დღის დასასრულს კვლავ ნაღველი შემომაწვა, ყინვის სუსხმა ჩემს გულთან მოიკალათა, მერე მთლიანად მომწვდა და დარდის კუნძულზე გამომამწყვდია.

გამახსენდა ქადაგება, უფალმა რომ ბრძანა, განკითხვის დღეს გეტყვი: მწყურვალი ვიყავ და არ მასვით, მშიერი ვიყავ და არ მაჭამეთ, შიშველი ვიყავ და არ ჩამაცვიო, სნეული ვიყავ და არ მომიარეთ.

ყოველი გაჭირვებული ადამიანი, თქვენ წინ შემხვედრი და თქვენგან არ გაკითხული, მე ვიყავი.

დარდის კუნძული იძირებოდა, იძულებული ვიყავი თან ჩავყოლოდი, რადგან ძალა არ მყოფნიდა უკან დასაბრუნებლად. კუნძულზე იმედის სხივმა შემოიხედა, ასეთ განსაცდელში რომ დამინახა, შევეცოდე და დახმარებას დამპირდა.

– შენ საიდან გაჩნდი? – მორიდებით შევეკითხე იმედის სხივს.

– მე ქრისტეს მოწაფე ვარ, თვალს გაღვენებ და უკვე დავრწმუნდი, რომ უფლის იმედით მიიწევ წინ და უკან კი სიკეთის კვალს ტოვებ.

უწმინდესთან, ფოთის დელეგაციასთან ერთად, ორ იანვარს, ბედობის დღეს, ჟურნალი „ათინათი“ უნდა დალოცოს უნეტარესმა, ამ დიდი საქმის ორგანიზატორი მე გახლავართ. იდუმალი ხმა თანდათან იკვეთებოდა, ხმაში ნუგზარ ნადარაიას ხმა ვიცანი. დაილოცოს ღმერთო, შენი სამართალი, ეს ხომ ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი, დიას, ის არის, ჩამომბახა იდუმალმა ხმამ.

ორ იანვარს, უწმინდესის რეზიდენციაში მოწიწებით შევადე კარები. უწმინდესის ხელის შეხებით გულში სიმშვიდე ვიგრძენი. ჩემი სული ამაღლდა, ზეცის ტოლი გახდა, რადგან პატრიარქმა თავისი დაწერილი ახალი საგალობელი მოგვასმენინა და წიგნებიც გვაჩუქა.

რა ბედნიერი ვიყავი, როცა უწმინდესზე მიძღვნილ ლექსს ვკითხულობდი და პატრიარქი მისმენდა, მოსწონდა... მლოცავდა...



ამ ღამაში დღის შთაბეჭდილებას ასე ასახავს ბატონი ზურაბ აბრალავა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ილია მეორეს, დაბადებიდან, 80, ბერად აღკვეცის, 55 და პატრიარქად აღსაყდრების – 35 წლის იუბილე „ფაზისის“ საერო აკადემიამ, ერთ-ერთმა პირველმა, მიულოცა.

ღვთისა და სამშობლოს სამსახურს მიუძღვნა ყველაზე ძვირფასი - სიცოცხლე და ცხოვრება... ეს იყო დაუღალავი ბრძოლა გათითოკაცებული ერის სულიერი გამთლიანებისათვის, ეს იყო გზა მიწიერებიდან ზეციერებისაკენ, ეს იყო უდიდესი ძალისხმევა ქრისტიანული რწმენის ირგვლივ ქვეყნის გაერთიანებისათვის, რამეთუ ქრისტიანობა და ქართველობა განუყოფელია. სწორედ ამიტომაც, არასოდეს ასე მნიშვნელოვანი არ ყოფილა ეკლესიის როლი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, სიცოცხლეშივე ილია II აღმაშენებლად წოდებულმა, გზაარეული ქვეყანა მიიყვანა ახალ გადასახედთან და უფრო მასშტაბური ღვთიური ამოცანები დაუსახა მიზნად. საქართველო დაუბრუნდა ქრისტიანული რწმენის ორბიტას, ქართველი კაცი ისევ მოექცა ზნეობრივი შემეცნების სამყაროში, ერს, როგორც არასდროს, ახლა სჭირდება სულიერად ძლიერი ადამიანები, ყველა სფეროში, ყველა დარგში. ერს, როგორც არასდროს, სჭირდება მაღალი იდეალები, ღვთისა და ადამიანების ურთიერთობის ახალ სიმაღლეზე აყვანა, მისი გავლენის ზრდა ადამიანის ბედზე, რათა იპოვოს ღირსეული ადგილი ამ უკიდევანო სამყაროში. პატრიარქის უანგარო შრომით, ღვაწლით, საქართველოს სულიერი მისიის აღსრულება ცხოვრების ახალი ღირებულებებით, ეპოქალური გარდაქმნის პერსპექტივას შლის. ეს ახალი საქართველოა, ახალი ხედვით, პოლიტიკური კულტურით, ზნეობით, მორალით; ეს ის გზაა, რომელიც ღმერთთან დაგვაახლოებს, ღმერთთან, რომელიც არის სამყაროს ყოვლისმომცველი სული. არ იყო იოლი ამადლებულ ღვთიურ სამყაროსთან ზიარება ათეისტური საზოგადოებისათვის, არ იყო იოლი, პარტიებად დაქსაქსულ სახელმწიფოში ერთიანი იდეოლოგიის ჩამოყალიბება, ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ საძირკველზე. ეს შეძლო უდიდესმა პიროვნებამ, მრავალმხრივ განათლებულმა, ამადლებულმა ზეკაცმა, რომელიც დღენიადაგ ღვთის სიტყვით ესაუბრება თავის ხალხს და ქვეყანას. იგი განუწყვეტილად ლოცვა-კურთხევით იცავდა ერს ავისაგან, ბოროტისაგან, სიყვარულს ამკვიდრებდა, როგორც ბედნიერების ედემის ბაღს.

ამ ფიქრებით და განცდებით მივდივართ „ფაზისის“ სამეცნიერო-საერო აკადემიის წევრები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან – ფაზისის საერო აკადემიის საპატიო პრეზიდენტთან შესახვედრად. ეს შეხვედრები ტრადიციულ ხასიათს ატარებს და ეს გახლავთ ერთგვარი ანგარიში აკადემიის მიერ გაწეული საქმიანობისა, განსაკუთრებით, კოლხეთის ისტორიის კვლევის კუთხით. წლებგანდელი სტუმრობა განსაკუთრებით გამორჩეული იყო დიდი იუბილეს გამო.

საოცარი სიმშვიდე სუფევდა საპატრიარქოში, ესაა ქვეყნის სულიერების გადარჩენის ცოტნეიდელი და აი, დათქმულ დროზე შემოდის ღმერთსა და კაცთა შორის

შუამავალი, ზეციური ნათელით გაბრწყინებული იუბილარი – სრულიად საქართველოს მწყემსი და მეუფე.

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტმა, ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ, დიდი იუბილე მიულოცა ერის სულიერ წინამძღოლს და საჩუქრად გადასცა პატრიარქის დიდებული, ოქრო-ვერცხლის ჭედური პორტრეტი (ავტორი საპატრიარქოს ხატმწერი ლაშა კოკაია) და ფაზისის აკადემიის ჟურნალ „ცოტნეიდელის“ ახლად გამოცემული VI ტომი, რომელიც, ძირითადად, ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. პატრიარქს მისალმობი ადრესი და საჩუქარი გადასცა ფოთის მერის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ხომერიკმა. იუბილარს საკუთარი ლექსი უძღვნა პოეტმა და „ათინათის“ რედაქტორმა გულნაზ ხარაიშვილმა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა შობა-ახალი წელი მოგვილოცა და აღნიშნა: „ძველი რომაელები ამბობდნენ: „დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებითო“, მაგრამ, მთავარია, როგორ ვიცვლებით, საით მიდის ქართველი კაცი. რწმენამ უნდა მოგვცეს ძალა, რათა ვიაროთ ღვთიური გზით, სიკეთისა და სიყვარულის გზით. სამი უმთავრესი ღირებულება გვაქვს ქართველებს: ღმერთი, სამშობლო და ადამიანი. ყველა სიმდიდრე რომ შეგვკრიბოთ, ერთი ადამიანის სიცოცხლედ არ ღირს, არადა, შემოგვეჩვია ბოროტება, მკვლევლობები. უნდა გადავეჩვიოთ ასე ყოფას! მართლმადიდებელურმა რწმენამ გადაარჩინა საქართველო. ღვთისა და ერის სიყვარული მიძმე ტვირთია, იგი ჯვარივით მიძმე სატარებელია, მაგრამ, როცა გაგვიჭირდება, ღმერთი წაგვეშველება, ის მუდამ ჩვენთან არის. როცა იგვლივ ამდენი უსამართლობაა და ღმერთს გაურბიან, შედეგიც სავალალოა. სადაც ღმერთია, იქ სიყვარულია, სადაც სიყვარულია, იქ არ არის ბოროტება, შური და სიძულვილი. „ფაზისის“ აკადემია დიდ საქმეს აკეთებს სულიერების ამადლების, ტრადიციების დამკვიდრებისა და საქართველოს, კერძოდ, კოლხეთის ისტორიის კვლევისათვის, ასე, რომ, იგი მომავლის სამსახურში დგას. მთავარი საზრუნავი საქართველოს გამთლიანებაა. ჩვენ არა გვყავს დასაკარგი შეილები, ყოველი ადამიანი ჩვენთვის ძვირფასია. მე მჯერა, ჩვენ ტერიტორიებსაც დავიბრუნებთ და ადამიანებსაც.“

მისმა უდიდებულესობამ იმასაც გაუსვა ხაზი თავის სიტყვაში, რომ ფაზისელებმა, ერთ-ერთმა პირველმა, მიულოცეთ იუბილე, რისთვისაც მადლობა გადაგვიხადა.

ისევ გაგვიტაცა ფიქრებმა: რა იქნებოდა ქვეყანა რწმენის გარეშე, რა იქნებოდა საქართველო ღვთიური გზის გარეშე. რწმენა იცავდა ხალხს და ხალხი – რწმენას. ჩვენი ტოლერანტობაც ოდითგან ცნობილია, რამეთუ ჩვენ ერთი სამშობლო გვაქვს მართლმადიდებელს, კათოლიკეს თუ მუსულმანს და ერთად უნდა ვუპატრონოთ მას. ადამიანების უმთავრესი საზრუნავი სამშობლო უნდა იყოს. ბევრმა დაკარგა ეს განცდა და ცხოვრობს სამშობლოს გარეშე, თუმცა, ყველა ამქვეყნიური სიმდიდრე მისგან მიიღო. ასეთმა მიდგომამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა ქვეყანა. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება არჩევნების პერიოდში. საქართველოს სულიერი ღირებულება მუდმივად შეახსენებდა პარტიებს, მოძრაობებს, მთავრობას თუ არასამთავრობოებს, რომ ქვეყანა ერთია, რომ ერთმანეთს უნდა შეეჯიბრონ მისი წინსვლის პროგრამების შედგენაში, და არა ერთმანეთისათვის ტალახის სროლაში. მან უდიდესი წვლილი შეიტანა საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველყოფაში. იგი დღესაც რჩება ქვეყნის გადარჩენის გარანტიად.

დარბაზს მოეფინა პატრიარქის მიერ შექმნილი დიდებული საგალობელი ქართული ოპერის კორიფეების შესრულებით. ყველას ძალიან გვინდოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ზეციური ჰანგები, რომელიც, თითქოს, მთელ საქართველოს გადასწვდა ანგელოზთა ფრთებით და მომეჩვენა, რომ ჩვენთან ერთად, მთელი ქვეყანა ფეხზე წამოუდგა და ქუდი მოიხადა მისი დიდი კაცობის წინაშე. ახლაც ჩამესმის ვალმოხდილის ხმა: დავიდალე უფალო, ღმერთო, არ მოუშალო ჩვენს ქვეყანას ღვთისა და ერის სამსახურში დაღლილი კაცები, რამეთუ „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!“

დაე, ღვთის რწმენამ გააერთიანოს ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი ქვეყანა.

აქ მთავრდება ზ. აბრალავას აზრი და ვაგრძელებ ჩემს მოსაზრებას.

ვისთვის რა არის ბედნიერება, ეს არ ვიცი, ჩემთვის 2013 წლის ორი იანვარი იყო ბედნიერების და სულის უკვდავების რწმენის დღე.

უწმინდესმა დალოცა ჯ. ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული „ანთოლოგია“ და ჟურნალი „ათინათი“ და გზა დაგვილოცა სიკეთისა და მეცნიერების გზისაკენ.

გვანჯი მანია

რეკორდი



ახლა, როცა საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან ტურიზმს ამოდენა ყურადღება ექცევა და ქვეყნისათვის ესოდენ სტრატეგიულ, მნიშვნელოვან სფეროდ მიიჩნევა, ჩურჩხელადი, ალბათ, ერთგვარ როლს შეასრულებს ამის განვითარებაში, როგორც სწორედ, ტურისტული ბრენდი, თუმცა უცხოელთათვის იოლად წარმოსათქმელი ნამდვილად არ იქნება...



განსაცვიფრებელია, როგორ რეკორდების ფაბრიკად ქცეულა იმ ოქროსხელება კახელი ცოლ-ქმრის ოჯახი რეკორდული ჩურჩხელების გარეშე: იქ შეხვდებით ამნაირ, დიახაც, სარეკორდო ფენომენებს: როგორიც 16 ათასი ძირი ვაზია, 34-სანტიმეტრიანი სიმინდის ტარო (ამერიკულის „შთამომავალი“ არ გეგონოთ...), 4-ტონიანი ქვევრი; ახლა ოჯახური, ტრადიციული წესით დაყენებული ოქროსფერი ღვინო „გიგიტაც“, გავისენოთ, (გვარი გიგიტელაშიელი ხომ არ დაგავიწყდათ?); სამკურნალო საფერავი „შავლეგო“! დამატებით, ქაქუცა ჩოლოყაშიელის ცხენის ნალი, ცხოვრების სიგრძეზე გაკეთებულ საქმეთა ვრცელი ნუსხა, სოფლის მაშენებელი 30-ზე მეტი პროფესიის ჩამონათვალი, რომლებსაც ოჯახის უფროსი დაუფლებია (სოფლის შენებას რა უნდაო, სწორედ რომ, ბატონი სიმონის სამღერია...)!...

...შარშანდელი წლის 19 დეკემბერი იღვა, ნიკოლოზობა-დღე, როცა უწმინდესსა და უნეტარესს, მომავალი ორმაგი თარიღის (აღსაყდრებისა და დაბადების) პატივსაცემად, რეკორდულ ჩურჩხელასთან ერთად ღვინო „შავლეგოც“ მიერთვა. მადლიერმა კათოლიკოს-პატრიარქმა ხელმარჯვე და ხელგამრჯე სიმონ-ბატონი ტრაპეზზე მიიწვია და სურათიც გადაიღო სტუმართან ერთად...

კიდევ რამდენიმე დეტალი ჩემი იმდღევანდელი ჩანაწერიდან: სიმონ ჯაფარიძემ ჩურჩხელაზე საავტორო განაცხადი შეიტანა ქალაქ თბილისის მერიის გამომცხადებული კონკურსის ორ ნომინაციაზე: „გამოგონებები“, „დასაქმდი და დაასაქმე“, და მიიპყრო კიდევ ქართული ბანკების ხელმძღვანელთა და სხვა ბიზნესმენტა ყურადღება; მალე ფართო საზოგადოებას გიგიტელაშიელების ოჯახისა და თანამოაზრეთა მხრიდან წარედგინა მორიგი რეკორდული ნაწარმი, – კვლავ ქართული ტურისტული ბრენდი, 15 მეტრი სიგრძის ჩურჩხელადი. ამოსავალ ზომად, ამჯერად, აღებულია გოდერძის უღელტეხილზე, ბათუმი-ახალციხის გზატკეცილის 105-ე კილომეტრზე აღმოჩენილი გაქვავებული ვაზის ღერო, რომელსაც ასაკი – 15 მილიონი წელიწადი დაუდგინეს!

რეკორდი რამდენჯერმე ვახსენე, თუმცა, „მსოფლიოს“ თანხლებას მოვერიდე ერთი მოსაზრების გამო: ჩურჩხელას საქართველოს გარეთ, მგონი, არსად არ და ვერსად ვერ აკეთებენ. არადა, იმ ოქროს ხელებიდან გამოსული ჩურჩხელაცა და ჩურჩხელადიც ჰაი, ჰაი, რომ იმსახურებს მსოფლიო მასშტაბსაც და გინესის რეკორდების წიგნში შეტანასაც. ალბათ წარადგენენ კიდევ ამ სახელგანსმენილ წიგნში სიმონ გიგიტელაშიელის სახელგვარს...

მსოფლიო რეკორდული ჩურჩხელისა (ერთხელ მაინც ვთქვათ ასე!) და სანიმუშო ჩურჩხელადის გამომზეურებას ფართო ასპარეზზე უძღვება მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი საქართველოს კავშირი – „გიორგი“ (მკითხველს შევასხენებ, რომ ეს გაერთიანება ემსახურება ეროვნული ფენომენისა, თუ კულტურული მემკვიდრეობის, კერძოდ, საქართველოს ყველა კუთხიდან კვების კულტურის გამორჩეული ტურისტული ბრენდების – საკვებისა და სასმელის ნიმუშთა დამზადების, დაგემოვნების, დემონსტრირებისა და შეფასების საქმეს).

ხოლო 2013 წლის 4 იანვარს, დიდი ღვთის წყალობა გვერგო წილად ჩვენს დელეგაციას, წინაწლის შეპირებული სარეკორდო 8 მეტრით, ჩურჩხელით შევედით უწმინდესთან დაბადების 80 წლის იუბილის მისალოცად.

იქ გახლდათ ბატონი ბიძინა ივანიშვილი. მან ჩვეულ იმერტული სიტბოთი და ხუმრობით მიმართა ბატონ სიმონ გიგიტელაშიელს 90 წლის იუბილეზე მიულოცეთ ცხრამეტრიანი ჩურჩხელითი.

ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელისა

დიდთოვლობისას ხვანში

1967 წელი. მაშინ მეთერთმეტე კლასში ვიყავი. ბებია შუშანასთან და ბაბუა გიორგი ხარაიშვილთან ვცხოვრობდი საჩხერის მაღალმთიან სოფელ ხვანში. მე, ბებია და ბაბუა აგიზგიზებულ ბუხართან ვსაუბრობდით, კარში კი ღამაზად ბარდნიდა. უკვე დაბინდებული იყო, როდესაც კაკუნი გაისმა. „ვიდაცას უჭირს, თორემ ასეთ ამინდში ვინ მოვიდოდა,“ – თქვა ბაბუამ და კარისკენ გაემართა.

შინ შემოვიდა ებრაელი ისაკა, რომელსაც კვერნის ტყავები ჰქონდა მხარზე გადაკიდებული. ტყავები შუშაბანდში დააწყო, ზურგჩანთა ოთახში შემოიტანა. მე პირველად ვხედავდი ისაკას. მოხუცებმა გამაცნეს, საჩხერეში მცხოვრები ებრაელი, რომელსაც რაიონიდან მთაში ამოჰქონდა „ფართლეული“ (სხვადასხვა სახის ქსოვილის ნაჭრები), ჩითის თავსაფრები, ნემსები, ასანთი, ძაფები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები. ამ წვრილმანებს ის კვერნის, მელიის, მაჩვის ტყავებზე, ან კვერცხებსა და ქათმებზე ცვლიდა.

ბაბუამ კარგად იცოდა ახლად გატყავებული ნადირის ბეწვის მოვლა და ისაკას დაეხმარა ტყავების დამარილებაში. დამარილებული ტყავები იქვე, ფანჯრების სახელურებზე ჩამოკიდეს გასაშრობად. ხელპირი დაიბანეს. ამასობაში ბებიამ ბუხარში მჭადები გამოაცხო და ვახშამს ისე გემრიელად შეექცნენ ისაკასთან ერთად, რომ ასეთი გახარებულები მგონი ჩვენი შვილიშვილების სტუმრობისას არ მენახა ისინი. ნავახშმევს ბებიამ ისაკას „ტაშტი“ გამოუტანა, თბილი წყალი და პირსახოციც მისცა, რომ შუშაბანდში ფეხი დაებანა. ვინაიდან ზამთარში მხოლოდ ერთი ოთახი თბებოდა, მე და მოხუცები „ბუხრის ოთახში“ ვიზამთრებდით, როდესაც მარტონი იყვნენ ისაკას თბილ ოთახში ათევიანებდნენ ხოლმე დამეს.

ჩვენ ძილის წინ ლოცვები წავიკითხეთ და დავწექით, ისაკა კი ბუხრის გვერდით დადგა და თავის ლოცვებს კითხულობდა. ბებიას გააკვირვებულმა გადავხედე, ვერ მოვითმინე და ვუთხარი: „რატომ აძლეე უფლებას ებრაელს, ჩვენს სახლში ილოცოს-თქო“.

ბებია შუშანა საერთოდ სიტყვა ძუნწი ქალი იყო, ცოტას ღაპარაკობდა, მაგრამ ბევრს ფიქრობდა და რამდენიმე სიტყვაში ბევრ სათქმელს ატევდა. გადმომხედა, გაიღიმა, ხელის მტკევანი ზევით ასწია და ამით მანიშნა, ილოცოს, რას გიშავებსო. ისაკამ ილოცა და „ხალაში“ წავიდა დასაძინებლად.

ბაბუაჩემს, გიორგი ხარაიშვილს, ფილოსოფიური აზროვნება ჰქონდა. ამის შესახებ სხვა წერილებშიც მაქვს აღნიშნული. ვინაიდან საკმაოდ „გრძელი დამე მოდიოდა“, ლოგინში დაწოლილებიც ვაგრძელებდით ხოლმე საუბარს.

ბაბუა გიორგიმ რომ გაიგო ჩემი გაკვირვების ამბავი ისაკას ლოცვის გამო, შუშანას უთხრა: „ერთი, შენ ნაილის მოუყევი მარგალიტას რაც შეეძლება. და მაგის განცვიფრება მერე ვნახოთო.“

შუშანა ბებიამ ჩაიცინა და თხრობა დაიწყო:

მარგალიტა ძალიან ღამაზი გოგო იყო, სოფლის თვალს ეძახდნენ. ბევრ ახალგაზრდა ყმაწვილს მოსვენება ჰქონდა დაკარგული მარგალიტას სიყვარულით. ყველაზე მეტად, რომ იტყვიან, გაგიჟებით უყვარდა ახალგაზრდა სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს, – ვასილს (1937-38წწ.).

იმ პერიოდში სკოლებში, მაღალ კლასებში, საზღვარგარეთის ლიტერატურას ასწავლიდნენ, რაც გარკვეულ განათლებას აძლედა ახალგაზრდებს. ამის გამო იყო, რომ სოფლებში სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე იდგმებოდა შელერის „ყაჩაღები“, შექსპირის „ჰამლეტი“ და სხვ...

ხვანის ახალგაზრდებმაც „რომეო და ჯულიეტას“ დადგმა გადაწყვიტეს. ჯულიეტას როლზე, რა თქმა უნდა, მარგალიტა „დაამტკიცეს“, რომეოს როლზე კი სოფელში, ასევე სიღამაზით ცნობილი, ერთი ახალგაზრდა ვაჟი.

როდესაც ვასილმა, მარგალიტაზე უზომოდ შეყვარებულმა, ეს ამბავი გაიგო, გამოართვა „რომეოს“ თავისი როლი, საგულდაგულოდ დაისწავლა და იმ ვაჟს უთხრა,



რომ სპექტაკლამდე მარგალიტას ამას არ ეტყოდა და მოულოდნელად, ვასილი – რომეო, გამოჩნდებოდა სცენაზე.

დაინტერესებულმა „მაყურებლებმა“ ოჯახის საქმე მოითავსებლეს თუ არა, „სათეატროდ“ გამოწყობილებმა სპექტაკლს მოაშურეს. მაყურებლებისათვის, სპეციალურად დადგმულ გრძელ სკამებზე ტევა არ იყო, სახელდახელოდ სცენაზე ჩამოფარებული „ადილები“ ფარდა გადაიწია და სპექტაკლიც დაიწყო.

ხალხი ღიმილნარევი კმაყოფილებით შესცქერის ლამაზ მარგალიტას მიერ განსახიერებულ ჯულიეტას. და აი, მოვიდა რომეოს სცენაზე შემოსვლის დროც, მაგრამ, ჰოი, საშინელება! მარგალიტამ, ვასილი რომ დაინახა, პირდაპირ სცენიდან ჩამოხტა და შინისკენ გაიქცა. სპექტაკლი ჩაიშალა.

შუშანა ბებიას ნაამბობზე ბევრი ვიცინე, აქამდე არ ვიცოდი, როგორ გახდა ვასილი ჩვენი სიძე, ის კი მახსოვს, ძალიან თბილი და ყურადღებიანი პიროვნება გახლდათ.

– „ეგ კი არა, ებრაელ სიმონიკაზე მოუყევით!“ – შეახსენა ბაბუამ, ბებია, შუშანას. გიორგი ხარაიშვილი და მისი წინაპრები ქველმოქმედების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს, არა მარტო გასულ საუკუნეებში, ჩვენთვის, შთამომავლობისთვისაც, რომლებიც ბრძენკაცებად, „პატიოსან კაცებად“ წოდებულნი, ამშვენებდნენ ჩვენს სამშობლო – საქართველოს.

ბებიამ ახლა სიმონიკა ებრაელის ამბავი დაიწყო:

„ვასილმა იმდენი ჰქნა, რომ მარგალიტა ცოლად მოიყვანა. მაგრამ, სანამ მოიყვანდა, ვასილი ჯერ თავის ძმებს გამოეყო, ცალკე სახლი ააშენა და მარგალიტა მერე მოიყვანა ცოლად. მარგალიტას ოჯახი იმავე სოფელში, სოფლის ბოლოს ცხოვრობდა.“

ებრაელები მარგალიტას ბავშვობაშიც დადიოდნენ გიორგი ხარაიშვილის სახლში. ნიშანდობლივია ის, რომ დამეს გიორგის ოჯახის გარდა, სხვა ოჯახებში არ ათევდნენ.

მარგალიტა ახალი გათხოვილი იყო, სადამო ხანს ქმარს ელოდა შინ, თან ბუხართან წინდებს ქსოვდა. მაშინაც ასე დიდთოვლიანი ზამთარი ყოფილა. ებრაელ სიმონიკას თურმე შემოაღამდა, მიხვდა, რომ თოვლს ვეღარ გაიკვლევდა შუშანას და გიორგის სახლამდე. სიმონიკა ვასილს და მარგალიტას ადრეც სტუმრობდა და გადაწყვიტა, ახალი ცოლ-ქმარისთვის ახლაც ეთხოვა დამის გათევა.

სიმონიკამ რომ ნახა, მარგალიტა შინ მარტო იყო, იუხერხულა და მოიფიქრა ისევე უკან გაბრუნებულიყო. მარგალიტა მიუხვდა სიმონს და დაამშვიდა სტუმარი, უთხრა, რომ ვასილი მას, ჯერ კიდევ, მათი ძველი ოჯახიდან იცნობდა. დიასახლისმა ვახშამი ტაბლაზე გააწყო და სტუმარიც და მასპინძელიც ვასილს დაელოდნენ. მაგრამ ვასილი არ ჩანდა. ვინაიდან ვასილმა საკმაოდ დაიგვიანა, მათ ივახშმეს. მარგალიტამ დათვის ტყავი ბუხართან დააფინა, ზედ ლოგინი გაუშალა სიმონიკას, თვითონ კი თავის ლოგინში, ჯერ ისევე ვასილის მომლოდინე, ტანსაცმლიანად წამოწვა.

ვასილი, დამის სამი საათი იყო, შინ რომ მოვიდა. ხედავს, მის ცოლს საწოლში ძინავს, ბუხართან კი დაღლილ-დაქანცულ სიმონიკას ღრმა ძილით ძინავს. ვასილმა სიბრაზე ვეღარ დამალა და მძინარე სიმონიკას ყვირილი დაუწყო:

„ახლავე ადექი და დაწექი ჩემ ცოლთანო!“ გაოგნებულ სიმონიკას, რა ექნა აღარ იცოდა:

– ბატონო ვასილ, გიორგისთან მივდიოდი, გზა ვეღარ გავიკვლიე და შენთან შემოვედი, სახლში მეგონეო, ახლავე წავალ, ახლავეო, – თქვა სიმონიკამ და წასვლა დააპირა. ეს რომ მარგალიტამ გაიგონა, წამოხტა ლოგინიდან და ვასილს უთხრა:

– ფუი, შენს კაცობას, შენ თუ მაგის მეტი ნდობა არა გაქვს ჩემს მიმართ, მაშინ მეც გავყვები სიმონიკას ჩემს მშობლებთანო.“

ვასილს თვითკმაყოფილების ღიმილმა გადაუარა სახეზე, ცოლს მოეხვია და მოუბოდიშა. მარგალიტამ სუფრა თავიდან გააწყო და დილამდე მათი ხის პატარა ოდიდან სიცილ-კისკისისა და სიმღერის ხმა აკრთობდა ვასილის ოჯახივით სუფთა და ქათქათა თოვლიან არემარეს.

გვენატრებიან ჩვენი ფრთხილი და ჭკვიანი და-ძმები, ჩვენი ებრაელები. სულში ჩაგვხედავდნენ, ნდობას და სიყვარულს ამოიკითხავდნენ და ასეთივე გრძნობით შეგვიყვარებდნენ. ეს კი 20 საუკუნე გრძელდებოდა. დიდება, უფალო, იესო ქრისტე! „შალომ იზრაელ, შალომ!“

2013წ.

ზეინაბ ბეჟაშვილი

სამების ახალგაზრდული ცენტრი – ანთოლოგიის პრეზენტაცია

მთელი ღამე მოუსვენრად მეძინა, დაღლილმა გამოვიღვიძე და უმაღვე გავიფიქრე, უკ, როდის გახდება 6 საათი... სკოლაში დრო მაინც ჩქარა გავიდა. აღმოვაჩინე, რომ იმ დღეს განსაკუთრებულად თბილი და ალერსიანი ვიყავი. ბავშვების მიმართ. გაჭირვებულდა შუადღეც. ზღაზვნით მოვიდა დათქმული 6 საათი. სამების საკათედრო ტაძარი. ახალგაზრდული დარბაზი... ანთოლოგიის პრეზენტაცია. ჩემთვის, მარტო ვზივარ კუთხეში და მომსვენლებს ვათვალიერებ. ბევრი უცხო სახე. ბევრი ნაცნობი. ბატონო რეზო (მიშველაძე) სტუდენტობის მერე არ მენახეთ. ასაკი შემოგპარვიათ ყველა თაობისთვის საყვარელ ადამიანს. გვერდს რომ ღამაში ქალბატონი, მაყვალა (გონაშვილი) გიმშვენებთ, ყოველთვის დიმილიანი სახე ახლაც არ დალატობს. ირგვლივ სიყვარულს და სითბოს აფრქვევს. ყველას ეფერება, ყველა ეფერება... ჯუმბერ ლეჟავა, გვანჯი მანია, ლუარა სორდია, რეზო ადამია... არ იკეტება კარი, მოდის ერთმანეთის გვერდიგვერდ ძველი და ახალი თაობა. მეუფე თადეოზი, სუნთქვა შემეკრა. სიმსუბუქე ვიგრძენი და აჰა, ქალბატონმა გულნაზიმ (ხარაიშვილი) დაიწყო... დმერთო, როგორი ძლიერი ყოფილა ეს დათალხული ქალბატონი. ნუთუ ის არის? კი! კი! არ მეშლება! როგორი შემართება! როგორი ძლიერება!

დაიწყეს „ძველებმა“, აყვნენ „ახლებიც“. ბატონო დავით, (ტიგინაშვილი)! არ მეგონა, თუ ვაჟას მერე ვინმეს შეეძლო ასე მოფერებოდა მთას, არაგვს, ქართველებს და ქართველობას. უბრალო ლექსებს ვწერო, თქვით თქვენ. დამაინტერესეთ, ნეტავ თქვენი საუკეთესო ლექსი რომელია? შეწყდა ტაში... პატარა ქეთისთვის ხელისგულები საქართველოს დანაწევრებას აუწვავს. საიდან აქვს ამ პატარა გოგოს ასეთი დიდი გული, დიდი სიყვარული და დიდი მუზა, მუზა, რომელმაც ჩვენი, ქართველების სატკივარი შეგვახსენა. ქეთის მეგობარს დედა მონატრებია, თავისი სამეგრელოს ერთი მივარდნილი სოფელი მთელ ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ სწავლის სურვილი დიდია და ამიტომ დედაქალაქს დროებით შეხიზნებია. ეს ყველაფერი კი მან ლექსით მოგვითხრო.

ერთმანეთს ენაცვლებოდა სიმღერა და ლექსი, მისალმება და დალოცვა.

...მუხლების კანკალით ვუახლოვდები მეუფე თადეოზს, თავზე დამადო მადლიანი ხელი... დმერთო!... დიდებულო...

მიკროფონი გვინდაო, სთხოვეს ქალბატონ გულნაზს, აგუგუნდა ხალხი, არ თმობდნენ მიკროფონს, ვიღაცამ საათი იკითხა, 10 გამხდარა. უკვე გვიანია. დაცარიელდა დარბაზი.

...მთელი საღამო ლიტერატურულ სალონზე ვფიქრობდი და ვიმეორებდი მაყვალა გონაშვილის სიტყვებს, რომელიც მან ქ-ნ გულნაზს უთხრა: „მწერლები საკუთარ წიგნებს ვერ ბეჭდავენ მატერიალური მგომარეობის გამო, თქვენ კი მოახერხეთ და სხვათა „შედევრების კრებული დაბეჭდეთ“, მართლაც, ყოჩაღ თქვენს ქალობას, ყოჩაღ თქვენს შემართებას და ყოჩაღ თქვენს ადამიანობას, ქალბატონო გულნაზ.

თამაზ ალაგიძე

სადილი მდიდართათვის

ერთხელ, დილით ადრე გამეღვიძა, თუმცა არც მიძინებია ნორმალურად, ახალი ნაოპერაციოვი ვიყავი და თანაც, რამდენიმე დღის მშვიერი. ძალზე ცუდად ვგრძნობდი თავს და რა მექნა, ან რა მეფიქრა, არ ვიცოდი. ანგარიშიშეუცემლად ჩავრთე ტელევიზორი და მექანიკურად მივაშტერდი ეკრანს, საიდანაც ღამაში და მოწესრიგებული ქალბატონი გვიდიმოდა. მის წინ მდგარ მაგიდაზე, ტელეწამყვან მასპინძელ მამაკაცს სადილის მოსამზადებელი მასალა დაეხვავებინა და მიწვეულ ქალბატონს მისი მომზადების რეცეპტს მოწიწებით ეკითხებოდა. ქალი ერთობ გახარებული ჩანდა, რადგან თავის თანამემამულეებს საკუთარ „აღმოჩენას“ სთავაზობდა. ის ზედმეტად ნაზად იხრებოდა აქეთ-იქით და საგანგებოდ შერჩეულ ხორცის რბილობს ცხვირწინ უტრიალებდა ქვეყანას, რათა სხვებსაც სცოდნოდათ, თუ როგორი ნაჭერი აერჩიათ მისი საფირმო კერძის გასაკეთებლად. ჩემსა და ტელევიზორს შორის სულ სამი მეტრი იქნებოდა, მაგრამ ეს

მანძილი არ გვაშორებდა მე და იმ მშვენიერ ქალბატონს, ჩვენს წინაშე აღმართულიყო უხსოვარი დროიდან შექმნილი ზღუდე, რომელიც აშორებს ორი განსხვავებული ფენის ადამიანს - მიდიარს და ღარიბს. რას ლაპარაკობდა ბედნიერი ქალი, უკვე აღარ მესმოდა, მაგრამ იმას კი ვგრძნობდი, რომ ძალაგამოცლილი გონება მაიძულებდა, მეფიქრა. მეც რაღა დამრჩენოდა მეტი, უღონოდ მივდე თავი ბალიშზე და ცრემლების თანხლებით გავუდექი იმ სიბრძნისეულ გზას, რომელსაც სხვაგვარად ცხოვრების ფილოსოფიასაც უწოდებენ. ფიქრის დაწყებისთანავე, ვცდილობდი, გამომერიცხა სიძულვილი, რომელიც სულს დამიბინძურებდა და, ამავე დროს, შეაფერხებდა ჩემი გამოჯანმრთელების პროცესს. ამიტომ, უეცრად მივიღე საპირისპირო გადაწყვეტილება და ტელევიზორის ეკრანს უფრო მეტი სერიოზულობით მივაშტერდი. ვუყურებდი ღვთისგან სილამაზით დაჯილდოებულ ქალბატონს, რომლის თვალელებში ბოროტება, ზიზღი და სიცივე ვერაფრით ამოვიკითხე. და პირველი, რაც თავში მომივიდა, იყო კითხვა: ნეტავ, მან რომ იცოდეს, მე ვუყურებ, თუ გააგრძელებდა საუბარს? ანდა, მანამდე რომ სცოდნოდა ჩემი არსებობა, თუ მიიღებდა ამ გადაცემაში მონაწილეობას? - ამ კითხვას იმ წამსვე მოჰყვა პასუხი: მან არ იცის ჩემნაირების არსებობის შესახებ. მას არ შეუძლია დამინახოს მე, რადგან ჩემსავით არ შია, არ სცივა, არ ტირის უპერსპექტივობის გამო. ჩემგან განსხვავებით, შეუძლია ოცნება, ოცნება მომავალზე. მაშ, რაში შეიძლება იყოს დამნაშავე ეს ქალბატონი? იმაში, რომ ის ჩაბმულია მოდის ფერხულში და ცხოვრობს უდღეური წესით. მაგრამ თუ ის ზემდიწვენივთ გაეცნობა ქრისტიანულ მოძღვრებას, მხოლოდ მაშინ შეაფასებს რეალურად მოვლენებს და, როცა დაბლა დაეშვება, სხვა ყველაფერთან ერთად, მეც დამინახავს. მანამდე კი, ვნახოთ დამნაშავე, რომელსაც ქალის გამართლების შემდეგ ძალიან იოლად მივაგენი: ეს არის ადამიანი და ეს არის გონება, რომელსაც თავში მოუვიდა სადილი იმ ქვეყნისთვის, სადაც ხალხის უმეტესი ნაწილი შიმშილით იხოცება, იმ თანამემამულეებისათვის, რომლებიც ამ სადილის ეთერში გასვლის დროს ნაგავსაყრელზე ღორების გვერდით იკვებებიან. ანდა ჩემთვის, კუჭზე გადაჭრილი, ნაოპერაციევი მშიერი კაცისთვის, რომელსაც ცრემლიანი თვალელებით შევცქერი და ერთადერთი კითხვა მეზადება, რატომ?

გადიოდა დღეები. თითოეული წამი და წუთი ჯოჯოხეთად ქცეულიყო ჩემთვის. ვიმშვიდებდი თავს და შეველას ზეციდან ვითხოვდი. სიძულვილს გულის კარს არ ვუღებდი, მაგრამ მაინც მიღრნიდა ნერვებს. ჩემი ბალიში დღედაღამ სველი იყო: ცრემლს გამოჰქონდა ის სევდა, რაც ჩემმა სამშობლომ ასე გულუხვად გამოიმეტა ჩემთვის. საშველი არ ჩანდა, ყველამ გამოიმეტა უკვე სასიკვდილოდ. ასე დადგა 31 დეკემბერი. ეზოში მეზობლებთან ხალხის მისვლა-მოსვლა არ წყდებოდა. ემოციით დატვირთული ადამიანები ხმამაღლა გამოხატავდნენ სიხარულს, რაც ყოველთვის თან სდევს შობა-ახალი წლის დადგომას. მე კი ვიწევი გარინდული და შევყურებდი ჩემს ორი წლის ბიჭუნას, რომელიც ტირილისთვის ემზადებოდა შიმშილის გამო. დიახ. ზეიმობდა ქვეყანა, ჩვენ კი ერთი ნაჭერი პურიც არ გვექონდა. ბავშვმა ტირილი დაიწყო. ჩემმა მეუღლემ ვეღარ მოითმინა, გვერდით მეზობელთან გავიდა, რომ მისთვის რამე ეთხოვა. იქიდან მალე დაბრუნდა პატარა ლამბაქით ხელში, სადაც ორი ნაჭერი პური და ორიოდ კოვზი შაქრის ფხვნილი იყო. ბინდებოდა. ჩემი შვილი გაფაციცებით შეჰყურებდა თეფშს, აინტერესებდა, რა მოუტანა დედამ. გიორგი მადიანად შეექცეოდა შაქარმოყრილ პურის მოზრდილ ნაჭრებს, როცა ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ხშირად ხდებოდა, რომ მეზობელს კითხულობდნენ. ამიტომ, წამოვწიე თავი საწოლიდან და უსიცოცხლოდ გავძახე: ვინ გნებავთ? - თამაზ ალავიძე აქ ცხოვრობს? მოისმა მამაკაცის ხმა. - დიახ, მობრძანდით! - შევძახე, ცოტა არ იყოს, გაკვირებული ტონით. კარი რომ გაიღო, მოულოდნელობისაგან გავშემდი, - ჩემ წინ მაღალი რანგის სასულიერო პირი იდგა.(მის სახელს მალე გაიგებს სრულიად საქართველო, მეტადრე, მაშინ, როცა ჩემი ერთ-ერთი წიგნი გამოვა, სადაც მისი პერსონაჟი, თავისი ნამდვილი სახელით სიცოცხლის წყაროდ ევლინება დასაღუპავად განწირულ ოჯახს). ის მომიახლოვდა, თავზე ხელი დამადო და მითხრა: - ძმაო და შვილო, ახლა გავიგე შენი მდგომარეობა და ვეღარ გავჩერდი. რა გჭირს, რა ხდება შენს თავს? - მკითხა და ბავშვისკენ გააპარა მხერა, რომელსაც დედა შაქრიან პურს აჭმევდა. - შაქარს და პურს აჭმევთ? - ჩაილაპარაკა ჩემი ხმით მოძღვარმა. სანამ ვინმე რამეს იტყოდა, ყველას დაასწრო უკან მოყოლილმა მისმა მძღოლმა: - მეც მიყვარდა ბავშვობაში შაქრიანი პური!

რამდენ ხანსაც არ უნდა ვიცოცხლო, არასოდეს დამავიწყდება ბერის სახე და თვალელები, როცა მან გვერდით მდგომ კაცს გადახედა. იმ მხერაში იყო შეგრძნება ჩვენი

ყოფისა, სინანული და ვედრება ერთად, დატუქსვა ადამიანისა და ფიქრი შემდგომი მოქმედებისა. ეს მომენტი სულ სამ-ოთხ წამს გაგრძელდა; კაცმა თავი უხერხულად იგრძნო და გაჩუმდა, ხოლო ბერი მე მომიბრუნდა: – ნუ გეშინია, შენ ადგები, შენ სჭირდები შენს შვილს. – მითხრა ღიმილით და გიორგის დააკვირდა, რომელიც თავადაც გაოცებული შეჰყურებდა მისთვის უცნაურად ჩაცმულ სტუმარს.

საშინელი დაძაბულობისაგან დაოსებულმა ვეღარ გავუძელი ჩემი ბედის ასეთ ცვალებადობას და ტირილი ამივარდა.

– აღარ მინდა სიცოცხლე! – ამოვიძახე ჩემდაუნებურად: – ნუთუ იმისთვის მოვედი ამქვეყნად, რომ მენახა განვითარებული მსოფლიო და, ამხელა პროგრესის ფონზე, ვიღაცისგან სამადლოდ ნათხოვარ ამ სველ სარდაფში შიმშილით ამომხდომოდა სული?! გული მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება, – რომ ჩემს სმშობლოში დანერგილია ისეთი ცხოვრების კანონი, რომელიც საშუალო და ინტელექტუალურ ფენას პირდაპირ უკრძალავს არსებობას; მეტიც, აჩქარებს და ამოკლებს ჩვენი სიცოცხლის გზას. ეს კი, მიმდინარეობს არა ჩუმად და მალულად, არამედ ხორხოცით, გნიახით, ყიჟინით. ეკრანიდან გეთავაზობენ სადილს, მაგრამ არ გვიგზავნიან. ყველას თვალწინ მსჯელობენ ხალხის კეთილ დღეობაზე და ჩვენ კი საშველი არ გვაძლავს, ვდგავართ უძრავად. დღედაღამ ლაპარაკობენ ქველმოქმედებაზე, მაგრამ ჩემნაირები არავის გაუკითხავს. აი, ნამდვილი სურათი ჩვენი ქვეყნისა, რომელიც, სამწუხაროდ, შექმნეს იმ ადამიანებმა, რომელთაც გაჭირვება არასოდეს განუცდიათ. – სიტყვა დავამთავრე და ამოვისუნთქე. თითქოს რაღაც ტვირთი მომეხსნა, რადგან ნაწილობრივ მაინც ვთქვი ის, რაც უკვე ძალიან მაღიზიანებდა.

ბერს თვალი არ მოუცილებია ჩემთვის, სერიოზული სახით მისმენდა, რომ დაინახა, სათქმელს მოგრჩი, მშვიდად მომიგო:

– ეს პრობლემა ახალი არ არის. როცა იესო კაცობრიობას მოეველინა, მაშინაც იყვნენ მეფეები, მდიდრები, ავაზაკები, ფარისევლები და, შენ წარმოიდგინე, შენნაირი ღარიბებიც. მაგრამ რა შეგვიძლია ვთქვათ, უფალი მხოლოდ ღარიბთათვის მოვიდა? არა, ჩემო შვილო და ძმაო, უფალი ყოველი ჩვენგანისთვის მოვიდა. მან ჩვენი დახსნისთვის მიიღო გოლგოთა. მართალია, მის გვერდით ძირითადად ღარიბები იდგნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, როგორებიც არიან: მეძავი ქალბატონი, რომელმაც იესოს სიყვარულით მოინანია და მას შემდეგ აღარ შესცოდა; ასისტავი, ვინც თავისი შვილის განკურნების გამო აღიარა იგი; მებაჟე, რომელიც შეწყალებას ითხოვდა და განიწმინდა საკუთარი ცოდვებისგან; ჯვარცმული ავაზაკი, რომელმაც დაინახა მაცხოვარი და შეიცნო; ასევე, გავისხენოთ იოსებ არიმათიელი, როგორ გაიღო თავისი ქონების უმეტესი ნაწილი იმისათვის, რათა გამოეთხოვა პილატესაგან ნება, ჯვარცმული იესოს გარდამოსხმისთვის და წესის აღსრულებისთვის.

ბერმა შეატყო, რომ ყველაზე მეტად მდიდრების მიმართ ვიყავი ცუდად განწყობილი და საუბრის ბოლო ნაწილიც სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა. მომიყვა სხვადასხვა საუკუნეში მოღვაწე ქველმოქმედ ქრისტიანებზე, ამ ბრწყინვალე დამოძღვრის დროს, რომელიც, ალბათ, ნახევარ საათს გაგრძელდა, შუალედში, ჩემს მეუღლეს ელემენტარული საჭმლის ფული მისცა, რომ სანამ მაღაზიები დაიკეტებოდა, მოეტანა ბავშვისთვის რაიმე. ამავე დროს, გამოიღო წამლის ყველა რეცეპტი, რაც კი გამოწერილი მქონდა. ჩემი მეუღლე იქვე, ახლოს მდებარე მაღაზიიდან მალევე დაბრუნდა. ბერი ჩემს ბიჭუნას ეფერებოდა და წასასვლელად ემზადებოდა. კართან როცა მივიდა, გვითხრა, რომ მალევე დაბრუნდებოდა. ჩვენ მისი გასვლის თანავე ავტირდით; ეს იყო სიხარულის, ბედნიერების, იმედის და სასწაულის ხილვით გამოწვეული ცრემლები. მხოლოდ გიორგი მისდგომოდა გაფართოებულ თვალებით დაბალ მაგიდას და აღტაცებული ურევდა პარკში ხელებს, სადაც იოლად აღმოაჩინა ლამაზ-ლამაზ ქაღალდებში გახვეული კანფეტები. ვაცილებდი მწუხარებას და ვეგებებოდი სიხარულს. მადლობას ვწირავდი ღმერთს ჩვენთვის მშველელის გამოგზავნისთვის. ჩვენს ოჯახში სუფევდა ისეთი განწყობა, რის გადმოცემასაც ვერცერთი უდიდესი კლასიკოსი მწერალი ვერ შეძლებს.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მოძღვარი დაბრუნდა. მან მოიტანა ყველა წამალი, მათ შორის ისეთებიც, რომელიც ძალიან ძვირი ღირდა და არ მეგონდა, როდისმე თუ შეგძლებდი მის გაკეთებას. გარეთ კარგად დაღამებულიყო და ქარის ზუზუნი ისმოდა. ოთახში ძალიან ციოდა, რადგან გათბობის ერთი საშუალება ნავთქურა გქონდა, ისიც საწვავის გარეშე. ამიტომ, ჩემი ცოლ-შვილი ისევე იყვნენ სახლში ჩაცმულები, როგორც გარეთ. ბერმა ამ ყველაფერს კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი. მერე ყველას სათითაოდ

მოგვეფერა და როცა უკვე თვალში ცრემლი შევნიშნე, დაგვემშვიდობა, ბედნიერება გვისურვა და წავიდა. წავიდა და დაგვიტოვა ძალიან ბევრი საფიქრალი, მაგრამ საფიქრალი ისეთი, რომელსაც თან არ ახლდა ნერვიულობა. ასე რომ, დავრჩით მომავლის იმედით შეპყრობილნი და ისეთი გახარებულნი, დარწმუნებულნი ვიყავით, მთელს ჩვენს ქვეყანაში არ მოიძებნებოდა ჩვენზე უფრო ბედნიერი ოჯახი, მაგრამ რა ვიცოდით, რომ გაცილებით მეტი გველოდა, დაახლოებით სამი საათის შემდეგ.

თორმეტის ნახევარი იქნებოდა. ჩემი მეუღლე სუფრას აწყობდა. კარზე კაკუნი გაისმა. მართალი გითხრათ, გავოცდი, როცა ჩემმა ცომლა კარი გამოსხსნა, ეს გაცემა გაგვიორმაგდა, ზღურბლზე ბერის მძლოლი იდგა პარკებით ხელში.

– კარი არ დაკეტოთ! – დაიძახა მან, როდესაც პარკები ოთახში დააღაგა და უკვე გარეთ გადიოდა.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ამ კაცს შემოჰქონდა და შემოჰქონდა რაღაცეები. ჩვენ გვქონდა აუარებელი საჭმელი – სასმელი, ელექტროლუმელი, დატვირთული პატარა გაზქურა. ნავთი და მრავალი სხვა, რომლი ჩამოთვლაც, უბრალოდ, შეუძლებელია. მძლოლმა ბოდიში მოგვიხადა, კარგად ყოფნა და გამოჯანმრთელება მისურვა, ერთი პატარა ბარათი გადმომცა და წავიდა.

„შვილო და ძმაო, თამაზ, – მწერდა ბერი. – ეს ყველაფერი იმ მდიდარმა ადამიანებმა გამოგიგზავნეს, ვისზეც ცოტა გაბრაზებული იყავი. ამავე დროს, მითხრეს, რომ მოგხედავენ და ფეხზე დაგაყენებენ. იცოდე, რომ შენ მათ უყვარხარ. უყვარხარ ღმერთსაც და გასოვდეს, ის არასოდეს მიგატოვებს.“

გარეთ თოფების სროლა ისმოდა. ადამიანებს უხაროდათ ახალი წლის მოახლოება. მათ შორის იყო ჩემი ოჯახიც, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მე მრცხვენოდა საკუთარი თავის, რადგან უკვე გარკვევით ვხედავდი მდიდარსა და ღარიბს შორის აღდგენილ ხიდს, რომელიც სასულიერო პირის მხრებზე გადიოდა.

ბოლოთქმა: ოთხი თვის შემდეგ, როცა ფეხზე დავდექი, ჩემ გადამრჩენელ ბერს ვეწვიე მისსავე საცხოვრებელში და მიინდა გითხრათ, რომ კაცმა, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში მეფურად შემინახა, აღმოჩნდა უღატაკესი პიროვნება.

ეს ამბავი მოხდა 1997-98წწ. მიჯნაზე



გვანცა ხარაიშვილი

ზამთრის ჩანახატი

მალე მოვა 25 დეკემბერი. ვიცი, ამ დღეს ქრისტე იშვა ბეთლემს. ვერც იმას ვიციწყვებ, რომ ამ დღეს იშვი შენ, ყველაზე არამიწიერი რომ იყავი ჩემთვის, ახლა დავიწყვების საბურველი რომ გადაგიფარავს და ცოდვილი ფერები შერევია შენს ხატებას...

არ ვიცი რას გრძნობდა დედაშენი, როცა პირველად ხელში აგიყვანა. არ ვიცი რას გრძნობდა, როცა პირველად გაკოცა, გულში ჩაგიკრა და (ალბათ) შემოგფიცა, რომ ყველაფერს გაიღებდა შენი ბედნიერებისთვის. სამაგიეროდ კარგად მახსოვს, ჩვენი პირველი შეხება, კოცნაც... თუმცა ფიცისა და დაპირებების გარეშე.

დღეს ალბათ შენი მოწყენილი ოთახის ციკლს კიდევ ერთი ღამე შეემატა. ყოველთვის მომწონდა მოწყენილი ოთახების გამზუურება,

თუმცა ვერც შენ გამტყუნებ, რომ, ჩემი რჩევისდა მიუხედავად, კედლები ნაცრისფრად შეღებე და არა ვარდისფრად, ან თუნდაც იასამნისფრად, ჩემი სიყვარულის ფერად. თითქოს ისიც მესმის, რომ სარკმელი ერთი გაქვს მხოლოდ და ისიც პატარა, მზის სხივი და ცის ნათელი ძლივს რომ აღწევს. რას ვიზამთ, ზოგიერთების ხვედრი (არჩევანი) სწორედაც რომ სინათლისა და ჩემს გარეშე ცხოვრებაა.

ცივ, თოვლიან ღამეებში ფიქრებს ვერ ვეშვები, ზოგჯერ შენზეც... ისევ ვწერ, ისევ მხატვრულად და ისევ მავიწყდება სიუჟეტების აგება იმიტომ, რომეს ყველაფერი ერთხელ უკვე ვნახე, ვიგრძენი, განვიცადე და გამეორების მეშინია.

შემოდგომა მენანება, ისევე როგორც შენ მენანებოდი. მენანება ყვითელი ფოთლების ხრამუნის ჩემი რბილი და თბილი უკების ქვეშ და შენი თმის სუნი, ზამთარი რომ მოჰქონდა სუსხიანი. უმიზნო ხეტიალი, ძველებური ნივთების ცქერით თავის შექცევა, იმ ნივთების, მათ შექმნას რომ „ფანტაზიას და მარჯვე ხელებს „აბრალებდი.“

ბედის ირონიას... შეცდომებით ამდენი რამის სწავლა რომ შეიძლება... აღარ მეშინია მათი დაშვების, სამაგიეროდ (ცოტათი) მეშინია სიყვარულის. სულ მგონია, რომ დაიგვიანებს და დაცარიელებული დავხვდები.

ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა ყველა და ყველაფერი ტყუის და მაშინ უნდა გეყოს ძალა და დარჩე გულწრფელი. მე (მგონი) ეს შეგძელი.

ისევე და მერამდენედ გთხოვ, რომ იპოვო შენი ზღაპარი, შენი კი (ჯიუტად) აგრძელებ ჩაფერვლილ ბუხართან ჯდომას და არაფერს აკეთებ იმისთვის, რომ ააგიზგიზო. მეორედ (აღბათ) არ ცდიან,

ვფიქრობ, რომ დღეს უკანასკნელად ვწერ შენზე.

უბრალოდ, იმიტომ, რომ მალე შენი დაბადების დღეა, შენ კი აღარავინ გაჩუქებს ლექსებს, აღარავინ მოგწვევებს რეალობას და უბრალოდ, უბრალოდ ჩემსავით პირველად, ბავშვურად, გიჟურად (აღბათ) აღარავის ყვარები.

„აღბათ“, „მგონი“ შენი სიტყვებია... მე კი უნდა „გაგრძელება“ ვისწავლო.

ნინო ხუციშვილი ემიგრანტის დღიურები

გამარჯობათ, ძვირფასო მკითხველო თუ მსმენელო. თქვენ რომ იცოდეთ, რამდენი რამის მოყოლა მინდა თქვენთვის ,მაგრამ რეგლამენტში უნდა ჩავეტიო.

ცხოვრებაში დიდი “ბედნიერებების” უნდა ეშინოდეს ადამიანს ,ხოლო პატარა და წვრილ-წვრილი “ბედნიერებებიდან ” ერთ-ერთი “გარდასულ დღეთა მოგონებაა”. აი,იმ დღეთა ,მათზე ფიქრში ,რომ ჩამოგაღამდება და დაგათენდება. მეც სწორედ ახლა დამიდგა ის პატარა ბედნიერების წამი და მიჭირს კალმის მომართვა ამ ემოციის ფონზე.არც კი ვიცი... ასეთ დროს ამბობენ თავიდან დაიწყეო,მაგრამ როგორ?მაშინ ბოლო აღარ დააადგება.მეც ავდგები და შეუიდან დავიწყებ (ოღონდ ბოლოს იმედი მაინც არ მაქვს).



ჩემი აზრით, მოგზაურობის თითოეული წამი რამდენიმე წიგნის წაკითხვის ტოლფასია,თავისი ამოუცნობობობით, სიახლით, თუ შენი თავის აღმოჩენით უცხო მხარეში. გაურკვეველად შორს რომ არ წავიდე ისევე ჩვენთვის და ჩვენი გულებისთვის კარგად ნაცნობ თემაზე დავწერ-საქართველოზე! საქართველოზე ისლანდიაში!

ჩემი სიცოცხლის მანძილზე იმაზე დიდი ჭეშმარიტება არ გამიგია და შემდეგ საკუთარ თავზე არ გამომიციდია,როგორიცაა “დაკარგვის შიში შეიქმნის სიყვარულს ” ,რომ როცა მოსწყდები შენს ალაგს,მაშინ იგრძნობ „გულში როგორ დაცარიელდა შენი ქვეყნის ადგილი,თურმე როგორ გყვარებია და არც გცნობია ამის შესახებ.

იმ წამს,როცა სულ,სულ შორს ხარ შენი სამშობლოსგან,რომელიც უკვე შენს სამყაროდ გადაქცეულა ,უყურებ უცნობ ,ცივ ,თეთრ სახეებს და კიდევ უფრო აფასებ იმ ქართველებს,რომლებიც გარშემო გყავს ,და საოცარია ,ის ვინც საქართველოში სამი საათის გაცნობილი, რიგითი ნაცნობი იყო შენთვის ,აქ იმაზე ძვირფასად გეჩვენება ;უყურებ იმ უცხო ქვეყნის უცხოდ “აწყობილ საათს” და წესებს და შენი დაღლილი ,ნამგზავრი ,ისლანდიის ამინდით გაცივებული გულისთვის ტკბილზე ტკბილი,სასიამოვნოზე სასიამოვნე და საამაყოზე საამაყოა, როცა ვიდაც წელამდე წითურნაწნავიანი ბიჭი გეუბნება,რომ ის ნამყოფია საქართველოში ,ძალიან უყვარს და მოხიბლულია ჩემი, მხოლოდ ჩემი ქვეყნით . კარგად მახსოვს მისი ნათელი და გულწრფელი ღიმილი საქართველოს ხსენებისას (რაც იქ საკმაოდ იშვიათია).მაშინ სულ რამდენიმე საათის დადგმული მქონდა ისლანდიის იდუმალ, პირქუშ,მელანქოლიურ მიწაზე ფეხი.ძალიან დიდი ,დამღლედი გზა უკვე გამოვლილი მქონდა,ძველები,კუნთების,თავი ცალ-ცალკე მიკენსოდა ,ნერვიულობაც და შფოთიც უკვე გამოვლილი იყო,ძილიც მაკლდა (ბოლოს ,როგორც მახსოვს,სამი საათით მეძინა სტოკჰოლმის აეროპორტში საძილე ტომრით ინვალიდების სავარძელში ,უგულოება 6 საათზე გამადვიძეს იმ ჩემზე ნახევარი მეტრით მოკლე სავარძლის გამო)მაშინ ისე ვერაფერი მასიამოვნებდა(თუ

თბილ და რბილ ლოგინს არ ჩავთვლით) როგორც იმ გრძელწინავეცანცარა ბიჭის სიტყვები. მასთან ლაპარაკი ,მისი მოგზაურობის გამოკითხვა დილით სიზმარივით მახსოვდა.მისი მოგონებები საქართველოზე თითქმის ყოველ საღამოს დადლილ გულს მიმხიარულებდა და სასტუმროს ოთხ დამდღელ სართულს ბუნდოვანი ღიმილით გავდიოდი.

მოკლედ მოგიყვებით იმის შესახებ , თუ რა მესაქმებოდა მე იქ,სადაც შორს...ორგანიზაციამ "თაობები მშვიდობისათვის " დაწერა პროექტი "მშვიდობის ბანაკი",ასე ერქვა ამ დიდ ტყუილს .ჩვენ ერთად ვგეგმავდით უსულელურეს და უპრიმიტიულეს თამაშებს(სახალისო კი იყო ,ამას ვერ დაგუქარგავთ) და ალბათ ვიღაც მართლა სწამს,რომ ამით მშვიდობა დამყარდება მსოფლიოში.

10 ოქტომბერს,ჯონ ლენინის დაბადების დღეს ,როცა მშვიდობაზე "ზრუნვას" მოვრჩით ,საღამოს გემით წავედით რეიკიავიკთან ახლოს ერთ-ერთ კუნძულზე ,სადაც იოკონოს,ჯონ ლენინის მეუღლეს ,გამოსვლა ჰქონდა მშვიდობის შესახებ. იოკომ მშვიდობის წინაშე თავისი ვალი რომ მოიხადა ,როცა ლენინის სიმღერა დაიწყო,პატარა შენობაძე წავაწყდი წარწერას "წარმოიდგინეთ მშვიდობა" ,რამაც კიდევ ერთხელ ჩამაწვეთა სითბო გულში.ვითომ რა?მაგრამ ეს ხომ ქართილი ანბანი იყო, ქართული "წ",ქართული "ა", ქართული "რ" და ა.შ.

დასკვნა: ყველაფერი ძვირი ხდება ,როცა იშვიათია "წ-ც " და სხვებიც...

კონცერტის დროს ჩემმა "ძმაზე ძვირფასმა" ქართველებმა ხელთ იგდეს მომენტი ,როცა მარტონი იყვნენ და "კარგი" ქართული გინება მისცხეს...რისთვის?რატომ? იცოდნინ და ხომ უნდა ეთქვათ. წარმოიდგინეთ მათი რეაქცია,როცა გინების გაგონებისას ერთი შავგვრემანი ქალი მოტრიალდა და ჰკითხა: "ქართველები ხართ?"-ქართულადვე,შემდეგში საუბარი ქართულ-რუსულად გაგრძელდა და როცა მე მივედი,უკვე ტელეფონის ნომრებს ცვლიდნენ.იმის წარმოდგენა ,რომ აქაურ ქართველი იქნებოდა ,იმდენად რთული იყო ,რომ ვიფიქრე, ეს ჩვენი ჯგუფის წევრია და აქამდე არ შემინიშნავს-მეთქი.ამ ფაქტით აღტაცებამ,როგორც ყველა ახალ ამბავს ჩვევია,დიდ ხანს არ გაგრძელდა,მალევე მიავიწყდა ყველას...

ხუთშაბათს,შუადღისას,გაისმა ხარი... "ის ქართველი ქალი რეკავს"-რა სასაცილოდ ედერს ალბათ ახლა ეს...მაშინ კი... თავისთან დაგვაპტიუა ,გვითხრა,აუზზე წავიყვებნოთ,საცურაო კოსტუმები და პირსახოცები წამოიღეთო.უკვე დამის 8 საათი იქნებოდა,როცა მოგვაკითხა,ტემპერატურა 5 .ქალბატონმა მარინამ დაგვამშვიდა და გვითხრა ,რომ შესაბამისად აუზის ტემპერატურაც 38-40 იქნებოდა. გზაში,სანამ აუზამდე მივიდოდით ,გული გადმოგვიშალა და ერთი პატარა ფრაზა გვითხრა,რომელმაც თავი დამამახსოვრა:-,რამდენი ფული,როგორი სამსახური არ უნდა გქონდეს ან რა დიდ წარმატებასაც არ უნდა მიღწიო,ბედნიერი ვერ იქნები ,თუ შენი ქვეყნისგან შორს ხარ."

მან და მისმა (ქართველმა) ქმარმა სახლშიც მიგვიპატიდეს,სადაც კიდევ ერთი ქართველი წყვილი დაგვხვდა ,კაცი ნამდველი "ტარიელის"შთამომავალი იყო . მე აღარაფერი მახსოვს ,რამდენიმე უგემრიელესი პიცის ნაჭრისა და ჩემი ხელისგულებში მოგორავე ჩემსავე თავის გარდა. ოჰ, კიდევ რა დამავიწყებს .ჩემი გუნდის წევრი ერთი ტიპიური ქართველი "კაი ტიპს",რომელიც პატარა უმწეო ცუგად იქცა ტარიელის შთამომავლის შემყურე.მაშინ "ცუგასთვის "მთელი ბედნიერება იყო მისი ღიმილი თუ მიპყრობილი მხერა.აააააააარ ვიცი ,იქნებ ის ტარიელ-ავთანდილის შთამომავალს კი არამაშუხე უფრო ,,მაგარ ტიპს ხედავდა.

მდაგს ის წუთები,როცა გული ყელში ეჩხირება,თვალეებში უდიდესი მადლიერება გაწვება, გულ-სული დამთბარ-დამტკბარი გაქვს ამ სიკეთით. რა ძალით უნდა ჩაატო ეს გრძნობა ამ გაცვეთილ , გადახუნებულ "მადლობაში"? ყველაზე დიდ "დიდ მადლობაში"

ასე მუნჯურად წამოვედით ემიგრანტების სახლიდან,გრძნობებისგან შეშუპებულები.

მთელი საღამო ვეკითხებოდი ჩემს თავს ,რატომ გააკეთეს ეს?უცხოზე უცხო ხალხისთვის?რისთვის, თანაც სანაცვლოდ არაფერს ითხოვენ? ვითომ დავიმსახურეთ?

პასუხი კი კითხვებზე ბევრად შემზარავი და სულისშემძვრელი აღმოჩნდა - იმიტომ,რომ ქართველები ვიყავით...

... ბოლო ფრენისას ,უკრაინიდან საქართველოში , თვითმფრინაბში ვაღაც ორ მოხუც კანადელ ბაბუსთან ერთად მომიწია ჯდომა.ისინი სულ ორი დღისთ რჩებოდნენ საქართველოში,აშკარად არ ეპუებოდნენ,რომ დრომ მათი ახალგაზრდობა დაამრცხა და ცდილობდნენ ,ისევე მხიარულად და ლაღად ეცხოვრათ, ჩემთვის გავიფიქრე : ,,ესენი ,ალბათ,არც არაასდროს გაიძრდებიან-მეთქი".დადლილსჩამეძინა და ჩემმა საყვარელმა ,,ახალგაზრდებმა" გამადვიძეს ,საჭმელი მოიტანესო.გამოვფხიხლდი.ჯერ კიდევ უკანასკნელი სიზმრის სამყაროდან არ ვიყავი კარგად დაბრუნებული თვითმფრინავში. ფანჯარაში გავიხადე, გავი-

ხედე და ჩავიძერე-ადგილქე გავქვაფიდი ,თაყვანისცემისთვის მოვემზადე. კავკასიონი შიგთვალებში შემომცქეროდა, სულს მტაცებდა და მის ამოკითხვას ცდილობდა. მე თითქოს მის თავზე მიფერინავდი,მაგრამ ის მისი სიამაყოთ,მაინც ზემოდან დამყურებდა.ერთ-ერთმა ბაბუმ მკითხა, ეს რა მთააო. კავკასიონი-მეთქი ,ვუპასუხე ,ენა მოიტეხა და მეცხრე ცდაზე ოდნავ მიმგვანა “ქავქაიონი”. არ ციცი, რას სცდილობდა,რის ჩვენებას ამით. ბედნიერმა ჩაილაპარაკა - “ჩემი პირველი ქართული სიტყვაო”-აღბათ,იმიტომ გაეხარდა ასე,რომ ახლა უკვე იშვიათად ხდებოდა მის ცხოვრებაში რაიმე პირველად.

თბილისს გადავუფრინეთ,მხოლოდ საბჭოთა კავშირის “ღირსეული “ დანატოვარი-კრემისფერი ,აყლაყუდა კორპუსები მოჩანდა.თითქოს თავისმართლებასავით, გულზბრყვილოდ წამომცდა:-“ძველი უბანი ბევრად უფრო ლამაზია თბილისში”. მერე დუმილმა გამეფდა ჩემზე, ჩემი ფიქრი და გონება კავკასიონის მზეურამ მოიცვა და ვერ დამეჯერებინა ,რომ ეს ერთი ქვეყანა იყო.

ყველაფერს ფერი ეცვალა ამ ერთი კვირის განმავლობაში :დედას,მამას,მეგობრებს ,ცხოვრებას... ჩემი,მხოლოდ ჩემი საქართველოც გადასხვაფერდა...

განა ეს მარტო ერთი კვირა იყო?



**ნუგზარ ნადარაია,
ფაზისის საერთო-სამეცნიერო აკადემიის
პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი,
ფოთის (ფაზისი) საპატიო მოქალაქე.
ფრთხილად ქართველო, ფრთხილად! – პოზიცია**

„მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს“...

დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელის ეპოქა მამულის აღმშენებლობისთვის უნდა გვრაზმავდეს და გვაერთიანებდეს „რათა გაიხაროს ყოველმა ქართველმა“, ამინ! დღევანდელი საქართველო კი დავით აღმაშენებლისა და გიორგი ჭყონდიდელისდროინდელი საქართველოს მხოლოდ ნეგატივისა...

ისინი იბრძოდნენ, აერთიანებდნენ, ამთლიანებდნენ მამულს, იბრუნებდნენ დაკარგულ ტერიტორიებს, პატრიოტიზმის მიმბაძველი ძალის მქონდე პიადი მაგალითებით აღაფრთოვანებდნენ და რწმენით შემოიკრებდნენ მოყვასთ.

ჩვენ ვშლით?!

ისინი ცოდვებს სახალხოვ ინანიებდნენ.

ჩვენ მოუნანიებელი ცოდვებით ვცხოვრობთ?! ისტორიული სინდისის ქენჯნას არ განვიცდით, თაობებს შორის აღმშენებლობის მექვიდრეობითობის პასუხილმგებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ!

ვერ ვიდავითეთ, ვერ ვივარგეთ.

სამწუხაროდ, უფრო მეტს ვმსჯელობთ თუ გაუთავებლად ვდავობთ, ვიდრე კონკრეტულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ.

არა იმიტომ, რომ არ შეგვიძლია, არამედ იმიტომ, რომ ვერ ვიცლით, სათანადოდ ვერ ვულრმავდებით პრობლემას. ხშირად, უბრალოდ, ვერ ვითავისებთ საფრთხეს.

საქართველოში დღესაც ბოლომდე ვერ გავგივია, რა აწერინებდა დიდ დავითს სინანულის საგალობლებს, რატომ ითხოვდა დვთისგან შენდობას.

ჩვენ, „ცოტნეიდლებს“, ე.ი. აღმსარებელთ მცნებისა უფლისა და დამდებელთ სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის, გვსურს, მივბაძოთ ცოტნე დადიანს – ეროვნულ, ზნეობრივ, გამაერთიანებელ გმირს და მისი სახე მესია მეფეთ მეფეს, დიდი დავითის სულმნათ სულს შევუწყვილოთ.

დამეთანხმებით, საიმედო მისწრაფება და ნიშანია სიქველისა და სათნოების უკვდავებისა. სასიხარულოა, რომ ეს სულიერი მეფეთ მეფეს, დიდი დავითის სულმნათ სულს შევუწყვილოთ. მისასაღმებელია, რომ მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდრით „დიდგორობისა“ და „ცოტნეობის“ საეკლესიო-საერთო დღესასწაულები

ყოველწლიურად „იმერ-ამერში“ ერთსა და იმავე დღეს – 12 აგვისტოს საზეიმოდ აღინიშნება.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სადღეისოდ მაინც ბოლომდე გაურკვეველია, საით იყურება ქართველი კაცის თვალი, სად ხედავს იგი თავის სახალხო გიმირებს – წარსულში, აწმყოში თუ მომავალში?

არადა, როგორ ჭეშმარიტად სახალხო პოეტს ღაღო ასათიანს უთქვამს ჩვენდა გასაგონად და შესასრულებლად – „რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი, თუ მამულს თავი არ ანაცვალე? ეს აწვალდება ცოტნე დადიანს, მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს“...

ეს ფრთიანი გადაძახილი, დამეთანხმებით, მხოლოდ მამულის სიყვარულით შეიძლება ითქვას...

ასეთივე ქრისტესმიერი სიყვარულით, მთელი პასუხისმგებლობით მინდა, განვაცხადო, რომ ინტერნეტისა და ზოგიერთი სეპარატისტული გამოცემის საშუალებით სამეგრელოს სახელმწიფოებრივი, პოლიტიკურ-ეკონომიკური „დამოუკიდებლობის“ აღდგენის აქტის პროპაგანდა საქართველოს მთლიანობის რღვევას ემსახურება და არა მისი ძირძველი მხარეების თვითყოფადობის, ისტორიისა და კულტურის, ძირძველი ქართველური ენების შენარჩუნება-განვითარებას.

საქართველოს სამეფოებად თუ ცალკეულ დამოუკიდებელ სამთავროებად დაყოფის სამწუხარო, ისტორიული ტრაგიზმით აღსავსე განვლილი ეპოქა ჩვენი ერის ცხოვრებაში, საბედნიეროდ, შეფასებულია გონიერი მტრის თუ უგნური მოკეთის მიერ ჩადენილ დალატად და ერის, დედაეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად.

აღნიშნული მცდელობები იყო XIX, XX საუკუნეებში, და, სამწუხაროდ, თავი იჩინა XXI საუკუნეშიც.

საბედნიეროდ, ბრძენი კოლხი მოსახლეობა არასოდეს აჰყოლია ქვენიდ ამ დამატკეველ პროვოკაციას. გვჯერა და გვწამს, რომ ასე იქნება ამჯერადაც, რადგან წარსულისკენ უკუსვლა დაშლას ნიშნავს, ხოლო ჩვენი ერთიანობა ქვეყნის აღორძინება აწმყოსა და მომავალშია.

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია თავისი 2013 წლის 22 თებერვალის გეგმიური საჯარო სესიის გადაწყვეტილებით, რომელსაც აკადემია „აიას“ (პრეზიდენტი – მამანტი ძაძაძია), აკადემია „ქალდეას“ (პრეზიდენტი – ვაჟა ეგრისელი), ჯუმბერ ლეჟავას სახელობის საერთაშორისო აკადემიის (პრეზიდენტი – გულნაზ ხარაიშვილი) წევრებიც ესწრებოდნენ და ერთსულოვან პროტესტს შეუერთდნენ, ერთმნიშვნელოვნად გმობს და ემიჯნება ზემოაღნიშნულ პოლიტიკურ-ეკონომიკური ავანტიურის გამოსატყვის ფაქტს და სადღეისოდ მას მიიჩნევს საქართველოს დაშლის (დაქცევის) სუბიექტურ-მტრულ მცდელობად, მაგრამ, საბედნიეროდ, იგი მკვედრად შობილია.

საქართველო, მისი ძირძველი მხარეები, მათ შორის, უწინარესად, კოლხეთის მოსახლეობა ამ პროვოკაციის ანკესზე არ წამოეგება და ამდენად, ხალხში მას განვითარების არეალი, დასაყრდენი არა აქვს. ამას ნათლად მიანიშნებდნენ ერის საფიცარი სულმნათი მამების შეგონებები და გვაფრთხილებდნენ ამ მეტად ფაქიზი და ყოველ დროში ნადმის საფრთხის შემცველი პირადი პასუხისმგებლობის თაობაზე.

დიდი ილია ჭავჭავაძე, როდესაც 1885 წელს დეკანოზ მიხეილ მეუნარგიასა და მისი ვაჟის იონას მიწვევით ზუგდიდში ჩაბრძანებულა და სამეგრელოს უკანსკელი მთავრის დავით ლევანის ძე დადიანის (1813-1853) უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჩაუბარია (იგი ანდერძით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა), სოფელ ცაისში მოწყობილ ტრაპეზზე განუცხადებია: სამეგრელოში მოველ და საქართველო ენახე – დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქარტყილს გადაუვლია ზურგზედა მისსა, მაგრამ ყოველთვის ჟამსა რღვევისა და გაწბილებისა: მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსულ და ერთგულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინედ, ვერე არის ახლა, ევე დარჩება მომავალშიც” (ავტორისეული ხელნაწერი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში).

საქვეყნოდაა ცნობილი დიდი აკაკი წერეთლის პოზიცია და მეტად ფაქიზ და მტკივნეულ თემაზე. საქართველოს ბუღბუღლად შერაცხილი მეოსანი 1899 წელს ბრძანებდა: „ვისაც ყურნი აქვს სმენად, ისმინეთ: უნდა ვილაპარაკო მეგრელობაზე, რომელიც ამ ბოლო დროს ზოგიერთებს საპირადო იარაღად გაუხდიათ და ღამის მტრობა და შური ჩამოაგდონ ძმათა შორის. უნდა გაგვეგონათ დიდებულ ღვინში მეგრელების მჭევრმეტყველება და განმტკიცებული გაწმენდილი ქართული და მაშინ იტყოდით: აი სად

ყოფილან ნამდვილი ქართველები.” „ჩემიან-შენიანობაზე ხელი უნდა ავიდოთ და საიდანაც უნდა იყოს, ვინც უნდა იყოს, მოყვარეს მოყვარულად მივევებოთ და მტერს მტრულად დაუხედეთ“. „კარგად უნდა დავიმახსოვროთ მეგრელები ერთსულ-ერთგულ ქართველებია და მეგრულიც ძირითადად ძველი ქართულია“ (აკაკი წერეთელი, რჩეული, გვ 264-268). ერს ვერაფერს დაუმაღლავ, გამოფხიზლდება და დაიქუხებს (ვაჟა-ფშაველა).

„კოლხეთი ქართული ცივილიზაციის „აისია“ (კლიმენტი შელია), „უკოლხეთოდ საქართველო უწარსულა“ (ვაჟა ეგრისელი). სამეგრელოზე აუგი ვინ თქვა, სირცხვილი იმას, ვინც გინდა იყოს (გულნაზი ხარაიშვილი).

სულმნათი მიხეილ ჯავახიშვილი გემოდღვრავს: „შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წვერი და მსახური შენს მშობელ საქართველოში. შენი სამშობლოს მტერი – შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი – შენი პირადი მეგობარი. ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი – შენს მამულს ეკუთვნის, შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი, მიეცი მამულს რწფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს. გზის გაკლვევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით, ზარმაცობა, ცუდლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს, ადრე თუ გვიან, უეჭველად დაღუპავს“.

დიდი კონსტანტინე გამსახურდიას მთელი სამწერლო შემოქმედება ზემოაღნიშნული ნააზრების კონკრეტული გამოსატყულებაა.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, სულმნათ ზვიად გამსახურდიას საქართველოს მთლიანობისთვის ზვარაკად შეწირული სული დღესაც მოგვიწოდებს სიფრთხილე-სიფხიზლისკენ; გასული საუკუნის 90-იან წლებში, სამოქალაქო ომის დროსაც, როცა გარეშე გონიერმა მტრებმა და, სამწუხაროდ, ზოგიერთმა უგუნურმა შინაურმაც ქვეყნის იმერ-ამერად დაყოფა მოიწადინეს, – დასავლეთი საქართველო პოლიტიკურმა გაერთიანებამ „მრგვალმა მაგიდამ“ მართოს, „ხოლო აღმოსავლეთი საქართველო – „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმაო“, ზვიად გამსახურდიამ კატეგორიული უარით კიდევ ერთხელ ააცდინა მამულს დაშლის რეალური საფრთხე, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა...“

ფრთხილად, ქართველნო, ფრთხილად!

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით მაღალმა ღმერთმა გვისმინოს და ღვთისმშობელ მარიამის წილხვედრი საქართველოს შვილებს მიანიჭოს ჭეშმარიტების შეცნობის მაღლი, გაგვაერთიანოს, გაგვაძლიეროს, გაგვაძრავლოს და გაგვახაროს. ამინ!

ანი უშიკიშვილი

მე ბავშვი

წითელი
ყვითელი
ლურჯი..



ახლა შენ იხუტები! –ღიმილით მითხრა ჩემმა თამაწეწილმა და ლოცვაწითლებულმა მეგობარმა და ტყემლის ხისკენ მიმითითა. უბანში ოცამდე ბავშვი ვიყავით და დროს მხიარულად ვატარებდით სხვადასხვა თამაშობებში. სირბილის თავი იქ მყოფთაგან აღარავის ჰქონდა, აღარც მე მათი ძებნისა, თუმცა, მორჩილად წავედი ტყემლის ხისკენ , რომელიც ჩვენი ბავშვური მხიარულების მოზიარე იყო ყოველთვის და მასთან პირვე

ლი მირბენაც ერთგვარ უპირატესობას ნიშნავდა ყველა ჩვენგანისთვის.

მე დავიხუტე! მახსოვს რა გულმოდგინედ ვუგდებდი ყურს ჩემი მეგობრების ფეხის ხმას, რომ გამომეცნო ვინ საით გაიქცეოდა. სირბილისაგან დაქანცულს გული გამაღებოთ მიცემდა, თან ქოშინით ვითვლიდი: ერთი...ორი, ხუთი...ვითვლიდი ასე, ვითვლიდი ასამდე ...

მახსენდება ჩვენი ორდობე...ბავშვებს ძალიან გვიყვარდა იქ თამაში. ზემოთ ტყე და მინდვრები მოჩანდა, ქვემოთ კი-სახლის სახურავები, რომლებიც სიმწვანეში იკარგებოდა. კიდევ უფრო იქით, მუდმივად თოვლით დაფარული მთის კალთები და გზა , რომელიც ახლაც არ ვიცი საით მიდიოდა.

ჩვენი ორდობე განსაკუთრებული სიღამაზით ვერ დაიკვეხნიდა. თუმცა კი, მე ყველაფერს მერჩივნა იქ სირბილი. იქამდე მისასვლელი გზა ბილიკივით ვიწრო და უსწორმა სწორი იყო. ორსავე მხარეს სახლები ჯარისკაცებით მწყობრად ჩაემწკრივებინათ, ისე კი, იშვიათად

თუ მოჰკრავდით თვალს სადმე მოქმედ ჯარისკაცს.ამ სახლების მობინა დრენი გადამდგარ გენერლებს უფრო მოგვაგონებდნენ. ორდობეში რამდენიმე მიტო ვებული სახლი იყო, რომლებიც ჩვენი ექსპედიციების რუკებზე საპატიო ადგილებს იკავებდა და დიდი ხნის განმავლობაში ჩვენს ბავშვურ ცნობისმოყვარეობას ერთიორ

ად აასმაგებდა.როცა უფროსები თვალს მოგვაშორებდნენ, ჩვენი თავგადასავლები იწ ყუბოდა. მაშინ არაფრის გვეშინოდა, არც ხიფათზე გვიფიქრია და იქ მიღებულ იარებ საც ისეთი თავმოწონებით ვატარებდით, თითქოს მედლები ყოფილიყო განსაკუთრებულ და მსახურებისათვის.

ჩვენი სახლის წინ მუდამ იდგა პაპას სატვირთო.ახლა, ცხოვრებაში გამოუსადეგარი, სიცოცხლეს მოკლებული, სულთმდაფავი რკინის არსება, მაშინ ბავშვებისთვის რიგია ნი გასართობი იყო. მასსოვს როგორ ვეხვეწებოდით მე და ჩემი მეგობრები პაპას რომ მათთან ერთად წასვლის უფლება მოეცა. გვეუბნებოდა უფროსების საქმეზე მივდი ვართ და თქვენთვის არ გვეცლება, მანქანაშიც ადგილი არ გვექნება.ძნელი დასაჯე რებელი იყო, რადგან ეს რაღაც, ოდესღაც, საკმაოდ კარგ 'მაშინად' ითვლებოდა, როგორც პაპანქიში ამბობდა. ჩვენ კი გადავწყვიტეთ ფარ-ხმალი არ დაგვეყარა და სასწრაფოდ გეგმა შე ვადგინეთ.მერე რა რომ კაბინაში ადგილი არ იყო, სამაგიეროდ საბარგულში შეგვეკვლო დამალვა. თან კარგად ვიცნობდი პაპას და შემედლო დარწმუნებით მეტქვა, რომ წასვლამდე რაღაც შეჭკველად დაავიწყებოდა, ეს კი ჩვენს წის ქვილზე ასხამდა წყალს .ასეც მოხდა. სანამ პაპა დავიწყებულ იარაღებს აიღებდა და უკან დაბრუნდებოდა დრო ვიხელთეთ და ხუთნი საბარგულში ავძვერით. ხმა არ ამოგვიღია მთელი გზა. გვეშინოდა უკან არ დავებრუნებინეთ. არასოდეს დამვიწყებია ის შთაბეჭდილებები, რომლებიც ამ მოგზაურობისას მივიღე. აქამდე, სახლიდან ასე შორს, არცერთი ჩვენგანი არ წასულიყო. შემოდგომა იდგა და ფერთა სიჭრელე განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევდა ჩვენში. ემოციაზე უფრო მეტიც იყო. რაღაც ისეთი, რაღაც საკრალური.არც მათი განცვიფრებული სახეები წაშლილა ჩემი მესხიერებიდან არასდროს . ახლა ხომ ასე ახლოს იყო ის შორეული პეიზაჟი,ჩვენ რომ ცხრა მთას იქით გვეგონა,როგორც ზღაპარში...

თქვენ პაპანქის და მისი მეგობრების სახეები უნდა გენახათ როცა ჩვენი 'ჯაშუშური' გეგმა გაშიფრეს. მაგრამ რაღა დროს?! უკვე გვიანი იყო, ვედარაფერს იხამდნენ. პაპამ გაიღიმა და აწეწილ თმაზე ხელი გადამისვა, თან დააყოლა- ახლოს ითამაშეთ, შორს არსად წახვიდეთო. ინსტინქტურად დავექნიეთ თავი და იქაურობას ახალი გასართო ბის პონის იმედით მოვავლეთ თვალი. თხუთმეტ წუთში მთლიანად შემოვიბრძინეთ ეზო. ოქროსფერი ბალახი გორებად ეყარა აქეთ-იქით, ჩვენ კი ვკვიროდით კუნძულე ბილი და ერთიდან მეორეზე თვალის დახამხამებაში ვხტებოდით. დაქანცულები ერთ ერთ კუნძულთან ჩამოვსხედით. გადავწყვიტეთ შეგვესვენა. ცოტა ხნით თვალები და ვხუტეთ და მზეს მივეფიცხეთ...

'კალია, კალიააა' სიხარულით ხტუნავდა ჩემი მეგობარი. ერთმანეთს შევხედეთ და მივხვდით რომ ერთი და იმავე ვიფიქრეთ.პაპას წყლის ბოთლები მოვპარეთ და დღის ბოლოსთვის იმდენი კალია მოვაგროვეთ რამდენიმე ჰერბარიუმს გააკეთებდა მონ დომებული კაცი.

არ ვიცი ჩემმა მეგობრებმაც ისე 'გაახარეს' თუ არა ბებიები, როგორც მე მაშინ, მაგრამ ბებიანქიში ისეთი გაოგნებული იყო ხმა ვედარ ამოიღო.

მეც კმაყოფილი ვიყავი განა ასე ადვილია 'გაახარო' ვინმე მოულოდნელი საჩუქრით?!

ბაყაყი, ხვლიკი , ჭიამაიები და ვინ იცის რას აღარ,ხშირად ვჩუქნიდი საყვარელ ბე ბოს .თან ვეუბნებოდი -'ბე, ნახე, ასეთი აქ არ გვეყავა, მინდორში ვიპოვე,ნახე,ნახე, ბე...'

მას შემდეგაც ხშირად შეგვიფარებია თავი იმ სატვირთოსათვის.მაშინ უკვე უფუნქცი ოსთვის, თუმცა, ჩვენთვის ძალზე ძვირფასისთვის. ჩამოვსხედბოდით საბურავთან , მანქანის ქვეშ და ველოდებოდით როდის გადაიღებდა წვიმას. ბავშვური ინტერესით ვუმხერდით ყოველივეს. გვეჩვენებოდა, რომ ყველაფერი სუნთქავდა ირგვლივ....

მასსოვს რომ გაწვიმა მაშინაც. დამალობანას ვთამაშობდით, მე ვიხუტებოდი .

მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ხვალ იქ აღარ გამითენდებოდა. არც ხვალ, არც ზევ და აღარც არასდროს...დრომ და მანძილმა გადამავიწყა ჩვენი ბავშვური თავგადასავლები. ბუნდოვნად მასხენდება ის უდარდელი დღეებიც. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს წაკითხული წიგნით თაროზე შემოვდე ძველი და ახალი თავგადასავლის წერას შევუდექი.

მას შემდეგ ათასჯერ მაინც იწვიმა, მაგრამ აღარასდროს გაწვიმებულა ისე, როგორც მაშინ, როცა ბავშვი მერქვა და აღარც ის გრძნობა მომკარებია, რომელიც ასე აფორიაქებ ბდა ჩემს ბავშვურ ფიქრებს. აღარც ისეთი ფერადი და საინტერესო მომხვეწებია რამე მას შემდეგ. იწვიმა, ათასჯერ მაინც. ერთმანეთისგან მხოლოდ დროის ინტერვალითა და წვეთების სიხშირით თუ განსხვავდებოდნენ ეს სველი დღეები, მაგრამ ის გრძნობა აღარადროს დაბრუნებულა. უკვალოდ გაქრა ჩვეული სიჭრელეც. აი ისე, ჩემი მეზობე ლი რომ გავიდა სახლიდან და უკან

ადარ დაბრუნებულა...მაშინ ეს უჩვეულოდ მეჩვე ნებოდა. ახლა კი ეს უბრალოდ მორიგი სამწუხარო ამბავია და ჩემი გრძნობების ამპლიტუდას ოდნავადაც ვეღარ აკრთობს.

ხშირად მიფიქრია იმაზე, თუ რატომ ხუნდება ასე ჩვენი ცხოვრება და ცისარტყელის ფერებიდან აქრომატულ გამაში რატომ გადადის. ჩვენ ხომ ყველას გვიყვარდა სიჭრე ლე ბავშვობაში. სიჭრელე გრძნობების, სიჭრელე ფერთა...მაშინ ყელაფერს თავის სა ხელს ვარქმევდით. ახლა კი ყველაფერი ერთნაირია.რაღაც უაზრო წესებსა და მორალ ზე გამოჭედილი. თუნდაც, შეიხედეთ კარადაში. იქ ნახავთ- 'ზომიერ სიჭრელეს', 'საქ მიან ბატონს' 'კეკლუც საღამოს' 'მორწმუნე ქალბატონს' და ა.შ.კოსტუმებს სიტუაციის შესაფერისად. აი, ნიღბების მორგებას კი თავად ცხოვრება გვასწავლის. თუ რამდენად კარგად შეასრულებ როლს, ეს უკვე პიროვნებაზეა დამოკიდებული.

ბავშვობა- ეს არის დრო, როდესაც წარმოდგენაც არ გაქვს რა როლის თამაში მოგიწევს. იზრდები და თავად ირჩევ. იცვლი სიტუაციის, ან განწყობის შესაფერისად.

აი, სიბერე კი ის დროა,როცა აღარც თამაში გინდა და აღარც გაქვს ნიღბის მორგების ღონე.სიბერე ბავშვობასავითაა. იმ განსხვავებით, რომ ბავშვს ყველაფრის ხალისი გაქვს და ღონეც შეგწევს . სიბერეში კი, პირიქით,აღარც თამაში გინდა და აღარც ნიღა ბი გჭირდება. თითქოს მოხუცებს მთელი თავიანთი განვლილი ცხოვრების სიამტკბი ღობა სახეზე ადებგვდებათ ხოლმე. მათ ნაოტებს ნიღაბი, უბრალოდ, აღარ ერგებათ. არიან ისეთები, როგორებიც ბავშვობაში...თვალეში რომ შეხედავდი და ამოიკითხავ დი მათ ფიქრებსა და ოცნებებს...მაგრამ, ახლა უფრო სევდიანსა და სინანულით სავსეს...

მე, მე კი, უბრალოდ დავიდალე! დავიდალე ამ ნიღბის ტარებით. მინდა, რომ თვალი გავახილო და ისევ ტყემლის ხესთან ვიდგე. დამალობანას ვთამაშობდე მინდა. თუნ დაც, წვიმდეს, როგორც უნდა წვიმდეს...ოღონდაც კი მათამაშა ისევ...

ციალა ხაქალია-ანდრიაძე

დრო კი არ მოდის, მიდის...

ბრძენთაგან ყველაზე სანდო მასწავლებლად ცხოვრებაა მიჩნეული.

წუთისოფელში კი ყველა ადამიანს თავისი ცხოვრების წესი აქვს. დრო არასოდეს არ მოდის, ის მიდის და თითოეული გავლილი დღე წარსულის კუთვნილებაა. ადამიანი კი საკუთარს, ზოგი – დიდს, წარმატებულს, ზოგიც – შედარებით მცირე ბიოგრაფიას წვეთ-წვეთად, ყოველდღურად წერს...

მოკლეა აწმყო. რჩება ის, რაც წარსულში გიკეთებია, ნაღვაწით კი მომავალი იქმნება და როგორც ცხოვრების წესი გქონდა, რა სახელიც მოიპოვე და დატოვე ამ ქვეყნად, იმ სახელითვე გადადიხარ მარადისობაში... სე იყო ყოველთვის, ასეა დღესაც და ასე იქნება მომავალშიც.

ნიჭირებებით, ნებისყოფით და სერიოზული შრომით მოპოვებული სახელი დავიწყებით არასდროს იბნდება. ნათქვამია: „თუ არავისთვის არ გიცოცხლია, არც არავინ გიტირებსო...“ ქვეყნისა და ოჯახისთვის თავდადებული, ზნეკეთილი ადამიანი იმიერ საუფლოს მკვიდრთაც სახელითა და მაღლით დატვირთული მიუგავა და დიდი ილიას თქმისა არ იყოს, აქაც დატოვებს „სააქაო სახელსა და დიდებას.“

ყოველმა პატარამ თვალის გახეილის დღიდან თანდთან უნდა შეიცნოს, უნდა შეისისხლხორცოს და შეიყვაროს ოჯახი, მშობლები, დაძმები, ბებია-ბაბუები და ახლობლები. შემდეგში, ზოგადად, ადამიანები, რომელთა გარემოშიც მისი მრწამსი და სულიერება უნდა ჩამოყალიბდეს, მისმა ოცნებებმა ფრთა შეისხას, ისწავლოს ანი, ბანი... შეიგრძნოს მიწის სურნელი, მშობლიური ქართული ენის ტბილხმოვანება, აღივსოს საკუთარი რწმენისადმი მოწიწებით...

ყოველი ადამიანი უნა ესათუებოდეს, პატივს სცემდეს წარსულს; შრომითა და გარჯით დატვირთული ყოველი დღე უნდა გაძლეოდეს უფლებას, ჰკითხო საკუთარ თავს: რა შევქმენი, რით მოვიხადე ვალი წინაპრების თუ დღევანდლობის წინაშე და რა შეიძლება შევმატო მომავალს? – შენეულია ის ყველაფერი, რაც უშუალოდ გეხება და შენი განცდების ქურაშია წლების განმავლობაში გამოწრთობილი.

თითოეულ ჩვენგანს თავისი თავგადასავლი და გასახსენებელი აქვს, რომელთა ერთიანობით შენი ცხოვრება, უშუალოდ, შენი ქვეყნის ყოველდღიურობას ერწყმის, გიყვარს ეს ყველაფერი და ხვდები, ამ წვრილმანებით შემოდის შენში საქართველოს სიყვარული, რომელსაც ვერაფერი ვერ ამოძირკვავს გულიდან, ვინაიდან თითოეული ეს წვრილმანი სულშია სამუდამოდ ჩაბუდებული.

სამშობლო ღამაზე მთა-ბართან ერთად, უპირველესად, ამ მიწა-წყალზე მცხოვრები ადამიანებია, მათი სიყვარულია, ის ტრადიციებია, რომელთაც თვალის გახელასთან ერთად, ყოველდღიურად უნდა ეზიარო და შეისისხლხორცო.

„მამული, ენა, სარწმუნოება“ – ეს სამი საკრალური სიყვა აერთიანებს და ქმნის სამშობლოს ფენომენს. სამშობლო არის ადათ-წესთა, ზნეობათა, მენტალობათა მთლიანობა და მიწა-წყალი, რომელზეც ქართველი ერი ოდითგანვე ცხოვრობს, ხოლო ქრისტეს რელიგია 2000 წელია, ჩვენშია. აქ იყო მეორე იერუსალიმი და მეორე ბეთლემი – სწორედ მცხეთაში ჩაესმა ელიოზის მოხუც დედას გოგლოთი-

დან სამსჯავლზე დაკრული ხმა და სული განუტევა... მცხეთიდან იერუსალიმამდე გაბმულია მისტიკური, სულიერი კავშირი. აქედან იქით მიემართებიან ქრისტეშობის წინასწარმეტყველი მოვებები. ჩვენ ავაშენეთ სცეტიცხოველი, ჯვარი, სიონი, გერგეტი, ალავერდი და სამების ტაძარი... მარიაშობილდა და ნინოშობილდა – ქრისტეს დედისა და ქრისტეს მოციქულის არაერთი ლამაზი სოფელი. ამ რწმენით მოვედით XXI საუკუნემდე. ბოლო ოცსაუკუნოვანი წარღვნები გადავლახეთ ამ ნავით, რომელსაც ქრისტეს ხელი აჩერებდა ტალღებზე და თავგანწირულ მორწმუნეთა სიხლის „სინერგია“ იცავდა...

სინერგია ხომ ღვთისა და ადამიანის ენერგიათა გაერთიანებაა? მაშასადამე, თუ გვინდა ქვეყნის უკეთესი მომავალი, უნდა გავამრავლოთ სიკეთე და დავიცვათ წინაპართა თავდადებით, დღევანდლამდე თავის ავკარგით მოტანილი უძველესი ქვეყანა...

XXI საუკუნეში ვერ ვიბრძოლებთ და არც გვეპატება შევინარჩუნოთ, მაგალითად, სისხლის აღების წესი... მაგრამ ზნეობა? . პატიოსნება? .

„ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, – ვისაც საკუთარი წინაპრები გვეყავდა, რომლებიც მამის სახელით მიმართავდნენ ერთმანეთს, ყრმას, მეომარს: აი მოვიდა ნინიას-ძე, უთურგაის-ძე, მინდიას შვილი, აფშინას შვილი... ეს მიმართებები შემდეგ გვარებად იქცა. რა ქნას ერმა, რომელიც ქრისტეს კვართის, ღვთისმშობლის წილხვედრობის ღირსი გახდა და ქრისტეს მრწამსი სამშობლოს იდენტურობის ცნებად ექცა?!“ – კითხულობს მწერალი კობა არაბული.

საქართველო, მოგეხსენებათ, მუდამ მტრიანი იყო და ცხოვრების ავბედითობის გამო, ბევრი ჩვენი თანამემამულე, უცხო ქვეყნებშიც გადაიხვეწა და მათ სამსახურში ჩადგა, სადაც არაერთმა ჩვენმა წინაპარმა გამოიჩინა თავი – მეცნიერებით, ხელოვნებით, მხედრული საქმით, საეკლესიო ცხოვრების წესით...

ამაში ბევრია ტკივილიანიც და საამაყოც. ამიტომაც ცნობილი საზოგადო მოღვაწე რეზო თაბუკაშვილი შთამომავლობას დაბეჯითებით სთხოვდა: **„სამშობლო სასპარეზოდ არ იცოტაონ“.**

თავად ბატონ რეზო თაბუკაშვილს დიდი მცდელობა გაქონდა საქართველოში დაარსებულიყო **„მადლიერების სახლი“**, რომელშიც მოეწყობოდა სამშობლოდან მოშორებულ ადამიანთა ცხოვრების ამსახველი გამოფენები, რის წყალობითაც მომავალ თაობებს ქვეყნის გარეთ მოღვაწე წინაპრებზე ობიექტური წარმოდგენა შეექმნებოდათ.

ეს არ გახლდათ იოლი, არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად. სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანები იმ დროს მოღალატეებად ითვლებოდნენ. არადა, რაოდენ საამაყოა მათი არსებობა თუ ცხოვრების წესი ჩვენი ხალხისთვის (ექვთიმე თაყაიშვილი, მიხეილ თამარაშვილი და სხვები). ამიტომაც, „მადლიერების სახლის“ გახსნა თბილისში, საშურიც კი იყო.

ამ საქმეში რეზო თაბუკაშვილს ირაკლი ანდრიაძე გვერდით დაუდგა. მადლიერების სახლის გასახსნელად ბატონ რეზოს ქალაქის ხელმძღვანელობამ დავით აღმაშენებლის გამზირზე (მაშინდელი პლეხანოვი) შენობა გადასცა.

* * *

1987-1991 წლებში ირაკლი ანდრიაძე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს თავმჯდომარეობდა (შემდგომში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს თბილისის მერია დაერქვა). სწორედ იმ წლებში მსოფლიოში რამდენიმე ქალაქს, მათ შორის, თბილისსაც, მიენიჭა „მშვიდობის დესპანი ქალაქის“ ჯილდო და წოდება.

ეს არ იყო შემთხვევითი და ეს ცალკე განსახილველი საინტერესო თემაცაა, მით უმეტეს, რომ კულტურული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ირაკლის მერობისას თბილისი ბევრ ქალაქს დაუმეგობრდა.

... 1988 წლის აპრილში უნდა დამეგობრებულიყვნენ თბილისი და ატლანტა. თბილისიდან დელეგაციის წევრები – ნოდარ მემარიაშვილი, გელა ჩარკვიანი, საშა იაშვილი და ირაკლი ჩავიძენ ატლანტაში, მაგრამ გაუგებრობა მოხდა და რატომღაც, რამდენიმე კონგრესმენმა თბილისელების შეთავაზებაზე უარი განაცხადა და დოკუმენტს ხელი არ მოაწერა, თითქოსდა ებრაელებთან ჩვენი ცუდი დამოკიდებულების გამო...

მაშინ ირაკლიმ ითხოვა სიტყვა და კონგრესმენებს მიმართა – საქართველოში ებრაელები 26 საუკუნის წინ ჩამოსახლდნენ, თან ჩამოიტანეს სასულიერო ლიტერატურა, ბიბლია, რომლის თარგმნაც ქართველი სწავლულებისთვის საპატიო, საშურ საქმედ იქცა. მას შემდეგ დღემდე დიდებული ურთიერთობები გვაქვს. რაც შეეხება ქართველობას, ძე. წელთაღრიცხვით III საუკუნიდან გვაქვს ქართული ანბანი, უძველესი დამწერლობა, ისტორია, კულტურა. 2000 წლისაა ჩვენი მართლმადიდებლობა, რომლის ზეგავლენაც ყოველთვის უდიდესი იყო... ჩვენს ქვეყანაზე ბევრი საინტერესო რამის თქმა შეიძლება, ამგვრამ ამჯერად ამაზე საუბრის შესაძლებლობა ნამდვილად არა გვაქვს...

საქართველოს დელეგაცია ვაშინგტონში უნდა გამგზავრებულიყო. აგვიანდებოდათ. ბოდიში მოიხადეს და წავიდნენ.

ამის შემდეგ, რა თქამა უნდა, თბილისისა და ატლანტის დამეგობრების ხელშეკრულებას ხელი მოეწერა.

ხოლო იმ კონგრესმენებმა, რომლებმაც მეგობრობაზე უარი განაცხადეს, ბოდიშის მოხდით ხელმოწერები დელეგაციას ვაშინგტონში დააწიეს...

ირაკლი ანდრიაძის მაღლიანი საქმე ერის წინაშე მარადიულია, ამიტომაც პოეტი გულნაზი ხარაიშვილი რომ მიმართავს ლექსით მის უკვდავებას ირაკლი ანდრიაძეს.

(აკოსტრიქი)

- ო – ცის უფალმა, რაც შეჰქმენი, რაც გააკეთე,
- რ – იხით სიტყვებიც ლაგამს იწვევტს მოსაგონებლად...
- ა – ცილდა ზეცას, შენ დაგეძებს, რითმებს აფეთებს,
- კ – აი ყმის სულის სადიალოდ, საგოგმანებლად.
- ლ – ურჯ ზეცასავით დიდი არის უკვდავება და,
- ღ – ქ სასულეთში სადღეგრძელო შენზედ ითქმება...
- ა – საფრენ ფიქრთან ალბათ, ქარიც არ გაანჩხლდება,
- ნ – იმნად კედლებში სიხარული ჩამოიქნება.
- დ – არდმა ზღვის იქით ძალიან შორს გადააბიჯა,
- რ – იურაჟის დილას ღვთის სამება მაღლს ფენს ფერებით.
- ო – ქ მისულეები, ურწუნონიც, ბევრი დადინჯდა,
- ა – სეა, ასე, ხატებს კრძალვით მივეფერებით.
- ძ – ინ! - ძინ! გაისმის ეკლესიის სამრეკლოდან და...
- ე – რს ასალბუნებს, უწმინდესის ბრძნული სიტყვები.
- ს – ამარადუამოდ სულიწმინდის რწმენის კალოდან ჩვენ მიწიერნი, სამების კვალს ლოცვით მივეყვებით.

ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი

საბერძნეთში მოგზაურობის დროს

თუ ძველი საბერძნეთის წარჩინებული ადამიანების ცხოვრებას გავეცნობით, უპირველეს-ყოვლისა მინდა შევჩერდე პლუტარქოსზე.

იგი გამოჩენილი, განათლებული, პოლიტიკურად მომზადებული, იმ დროინდელი ყველა გამოჩენილი ადამიანის დაახლოებული პიროვნება იყო. იმპერატორმა ტრაიანემ ყველა მმართველს დაავალა პლუტარქეაგან აეღოთ რჩევა-დარიგება და არავითარი საქმე მის გარეშე არ წამოეწყოთ. იგი სრულიად საბერძნეთის პროკურორადაც დანიშნეს.



მიუხედავად იმისა, რომ რომის იმპერიაში მას დიდი თანამდებობებს სთავაზობდნენ, იგი საკუთარ სამშობლოს საბერძნეთს არ ღალატობდა. სიცოცხლის მეორე ნახევარში პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო და დააარსა მცირე აკადემია თავის ქალაქ ქერონეაში.

„მე იმ პატარა ქალაქში დავიბადე, ჩემი აქედან წასვლა ისედაც პატარა ქალაქს ერთი კაცით კიდევ უფრო შეამცირებსო“.

საბერძნეთში მოგზაურობის დროს ქალაქ ქერონეის ეკლესიაში მქონდა ბედნიერება მენახა პლუტარქოსის „მარმარილოს სავარძელი“. იქაც ვერ ვფარავდი, რომ მე მისი დიდი თავყანისმცემელი ვიყავი, იმიტომ რომ პოლიტიკაზე წინ დააყენა ახალგაზრდობის სწავლა-განათლება. იგი გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ოჯახით. მისი მეუღლე ტიმოქსენი განათლებული ქალი, ექვსი შვილის (4 ვაჟიშვილი და 2 ქალიშვილი) დედა დიდ მეგობრობას უწევდა მეუღლეს. დიდმა სიყვარულმა და მეგობრობამ დააწერინა პლუტარქეს „რჩევა-დარიგება მეუღლეებს“.

პლუტარქოსის მოღვაწეობის დროს საბერძნეთი რომის იმპერიას ჰქონდა დაპყრობილი. იმ ეპოქაშიც ძალიან დიდი სიმდიდრე რომაელ მუქთახორათა ხელში დაგროვდა. მმართველი ზედა ფენის უსახლვრო სიხარბე მიწის მეურნეთა და ხელოსანთა სრულ გადანდგურებას იწვევდა.

პლუტარქოსის მიერ დაწერილი „რჩევა-დარიგება სახელმწიფო მოღვაწეებისათვის“ არა მარტო იმ ეპოქისათვის, არამედ დღესაც აქტუალურია.

იგი თავის თავს ფილოსოფოსად თვლიდა. მას საინტერესოდ აქვს გაანალიზებული, რომ „ადამიანი თავის თავის მბრძანებელი უნდა იყოს, მან უნდა დაიოკოს მაგნე ვნებანი და

საზოგადოებას ემსახუროს; ვერც დიდი სიმდიდრე და ვერც წარჩინებული გვარი და საერთოდ ვერაფერი ვერ უშველის ადამიანს თუ იგი მანკიერების მარწმუნებშია მომწყვდეული“.

მანკიერებისაგან თავისუფლად და ზნეობრივად ამდლებული ადამიანი მიწვდება მხოლოდ „სიკეთეს“. ამიტომაცაა მის ფილოსოფიაში ძირითად ხაზად, სწორედ „სიკეთის“ იდეა, რაც დღეს ქართველებსაც ძალიან სჭირდებათ.

როცა, პლუტარქოსის „ქალთა სიქველევების“ თარგმნაზე ვმუშაობდი „რჩეულ პარალელურ ბიოგრაფიებში“ აღმოვაჩინე მდინარეებისა და მთათა სახელების შესახებ; დარწმუნებული ვარ მკითხველს დაინტერესებს – „მდ. ფაზისი სკვითის მდინარეა იგი ქალაქს ჩამოუდის უწინ მას არვტეროსი ერქვა. ეს სახელი ფაზისმა მიიღო იმის გამო, რომ ცივ ადგილებში მოედინება. ამ მდინარეში იზრდება ვაზი, რომელსაც თეთრფოთლებას ეძახიან. ამ ვაზს პეანის ზემოთაგონებული სიმღერით ჰეკატეს (დერთქალია; კოლხთა მეფის აიეტის ძმის შვილი. მის კულტი გაგრძელებული იყო კოლხეთში.) ამ ვაზს ეძებენ გაზაფხულის დასაწყისში გარიურაჟზე... მდ. ფაზისის ეკერის კავკასიის მთა, რომელსაც უწინ „ბორეასის სარეცელს“ ეძახდნენ; აი, ამის მიზეზიც ბორიასმა (ჩრდელ ქარი) ვნებიანად შეიყვარა არვტეროსის ქალიშვილი ქლორისი, მოიტაცა იგი და მოიყვანა ვერეთ წოდებულ ნიფატეს მთაზე. მას ქლოსისგან ეყოლა ვაჟი ჰორპაქსი, რომელმაც მერე მეფე ჰენიოქეს ტახტი მიიღო. აი ამიტომ ეწოდა ნიფანტეს მთას „ბორეასის სარეცელი“.

კავკასია კი შეერქვა შემდეგი გარემოების გამო.

გივანტებთან ბრძოლის შემდეგ ვრონოსი (გეასა და ურანოსის-ძე, ზევსის მამა) გაურბოდა რა ზევსის მუქანას, „ბორეასის სარეცლის“ მწვერვალზე გაიქცა და ნიანგის სახე მიიღო, მაგრამ (პრომეთემ) ერთი იქაური მწყემსი სახელად კავკასოსი, დაჰკლა და მისი შიგნეულობის დათვალიერების შემდეგ სთქვა, რომ მტრები შორს არ არიანო. მოვიდა თუ არა აქ ზევსი, მან მამამისი დაწული მატყლით შეჰკრა და ტარტარში ჩააგდო. მწყემსის პატივსაცემად მთას კავკასიონი უწოდა, ხოლო პრომეთე ამ მთას მიაჯაჭვა და, მწყემსის შიგნეულზე უკანონო მოქმედების გამო, სატანა მიუჩინა, შიგნეულის მკორტნავი არწივი.

კავკასიის მთაზე იზრდება ვერეთ წოდებული პრომეთეს ბალახი. ამ ბალახს აგროვებდა მედეა. მერე სრესდა და მამის მხივ მისდამი მიმართული ზიზღის წინააღმდეგ ხმარობდა.

წუთისოფლის სტუმრები ვართ...

ხშირად, განსაკუთრებით მაშინ, როცა მიცვალებულს ახსენებენ, ამბობენ ხოლმე: რაც იმას დააკლდა, შენ შეგემატოსო... არადა, არავის არაფერი არ აკლდება და ამიტომაც, არც არავის არაფერი შეემატება.

ეტყობა, ამქვეყნად მოვლენილ ადამიანს შუბლზე აწერია თავისი სიცოცხლის ვადა, წასვლაც სხვადასხვა მიზეზით ღვთის ნებით ხორციელდება. ამბობენ, ღმერთო, ეს რა ჰქენიო... არაფერიც არ ჰქნა! სული ხომ ცხოვრობს და მისთვის, ეტყობა მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა სახით იცხოვრებს ადამიანი. ეს ჩვენთვის არის ცოტა სხვანაირი, თორემ ისინი ჩვენ შორის არიან და უხილავი კავშირის გამო მათთან კონტაქტში ვერ შევდივართ.

ხშირად მიფიქრია, თუ რაოდენ დიდი პატივი სჭირდება მიცვალებულის სულს სიკვდილი ხომ სიცოცხლის გვირგვინია. ხშირად ისიც გაგვიგონია: ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო. არადა, ზოგჯერ ჩემს გარშემო მყოფ მოხუცებს რომ ვუყურებ, მეჩვენება, ეს ნათქვამი ლოცვად კი არა, შეიძლება ღვთის სასჯელად ჩავთვალოთ. ნეტა რა სანატრელია სიბერე? ის ხომ გარდაუვალია, ძნელი ასატანი და შეუზუგებელია, სიბერეს ვერსად გაექცევა ადამიანი. დღეს იქნება თუ ხვალ იგი უსათუოდ მოგვეპარება და დაუკითხავად შემოვა ჩვენს სხეულში. მას ვერც ვერავინ გადაუდგება წინ და ვერც ვერავინ გადაურჩება. ავადმყოფობას კიდევ ეშველება რამე, როგორმე მოეწვება, თუ კარგ ექიმს ჩაუვარდება ხელში. სიბერეს კი წამალი არ აქვს. სიბერე დროის ბრუნვის ფურცელია. დროის ბრუნვა კი უღმობელი და შეუბრალებელია. სადაც გინდა იჩივლე, მას ვერავინ გააუქმებს. იგი სიკვდილის მოციქულს, ხელთ უპყრია აღსასრულებლად. საჭიროა დროულად მოვემზადოთ სიკვდილისათვის, ვთქვათ აღსარება და ვეზიაროთ, ამის შემდეგ შეგვიძლია მშვიდად შევხედეთ. მისთვის შემოსასვლელი კარი სულ ღიაა: გაგიყვანს ამ კარიდან და უკან შემოსვლაზე უკვე ბოდიში. ის კარი მხოლოდ ახლადმოსულისთვის იღება, იმათთვის ვინც ახალ ცხოვრებას იწყებს და შეიძლება შენს მაგივრადაც!

ასე რომ, შესასვლელ-გასასვლელი კარი არასოდეს იკეტება.

ამ კარში გასასვლელად გამზადებულს ვერაფრით შეაჩერებ, თუ მოგვაკითხეს უკვე ვერავინ წაუვა ხელიდან.

სიბერე, რაც გინდა თქვი, სენია. არადა, სენი გინდ ტკბილი და გინდ მწარე, ორივე ღმერთის ნებაა.

ნეტა ღმერთმა ისე ინებოს, რომ ამ ცხოვრებაში შემოსასვლელ კარში მეტი შემოიყვანოს. ვიდრე გაიყვანოს. ქვეყანას ახალგაზრდობა არ მოაკლოს. ღმერთს ვვევდრები, ყველა ქართველი ისეთ ჭკუაზე იყოს, რომ მოძისათვის არ ემტროს, სხვისი სიკეთე არ შემურდეს და ვალი თავის დღეში არ აიღოს.

დიდი ხნის სიცოცხლე მინდა თქვენთვისაც და ჩემთვისაც. თუმცა არც ისეთი რამ უნდა ინატრო, რასაც თვითონ ღმერთი არ ინებებს.

ბავშვების შემდეგ სიჭაბუკე ბუნებით წარმავალია, მოკლე ხნით მოსული სტუმარია. შეუძლებელია, ახალგაზრდობა სულ შეგრჩეს. ადამიანს თანდათან შემოეპარება სიბერე და თუ ოჯახში ახალშობილი გაჩნდება, იგი ისევ იმ ასაკს უბრუნდება, რომელსაც ადრე თუ ვერ აცნობიერებდა, ახლა მისი თანატოლი ხდება; მასავით იწყებს ტიტინს, თამაშს, ხშირად გაიგონებთ სულ ბავშვივით იქცევაო და მართლაც, ამ ასაკში მოხუცი ადამიანი უფრო მოსიყვარულე, უფრო კეთილი და უფრო თვინიერი ხდება – პატარების წყალობით.

ამიტომაც ყველა ქართულ ოჯახს ვუსურვებ, ისეთი ცხოვრება შეექმნათ, რომ ამ სიტკბოთი, სიკეთით გაიხანგრძლივონ თავის მობრძანება ამ ქვეყნად და, როგორც მე და ჩემი მეუღლე, ისინიც მოესწონ შეილთა შეილის შეილებს.

ვფიქრობ, ღმერთისგან ნაბოძები ყველაზე დიდი ჯილდო სწორედ ეს არის. ერთი ვიცი, რასაც ახლა ვწერ, ისიც ღვთის ნებით იწერება.

ერთი კაცის ისტორია

1951 წლის 25 დეკემბერს, საქართველოდან 700-ზე მეტი ოჯახი გადაასახლეს შუა აზიაში, ჩრდილოეთ ყაზახეთში. საოცარია ეს ოჯახები იმიტომ დასაჯეს, რომ ნათესავები ჰყავდათ საზღვარგარეთ, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობდნენ. მახსოვს ერთერთი ამ განწირულ ოჯახთაგანი თბილისში ჯანაშიას ქუჩაზე ცხოვრობდა. ეს იყო ჩხატარაშვილის ოჯახი. თბილისის საზოგადოება კარგად იცნობდა ამ ოჯახის სამ ულამაზეს ძმას: ალექსანდრეს (კოკოშა), ლევანს და დავითს. მეორე მსოფლიო ომის დროს ერთ-ერთი ძმა დავითი, რომელიც ექიმი იყო, ტყვედ ჩავარდა, მაგრამ ტყვეობიდან თავი დაიხსნა და საცხოვრებლად ამერიკას მიაშურა, სადაც შექმნა ოჯახი. მეორე ძმა, ლევანი, მოსკოვში ცხოვრობდა, იგი ფარმაცევტული ინსტიტუტის დირექტორი იყო. მისი შვილი კი, მერაბ ჩხატარაშვილი მომავალში ცნობილი ტრამვატოლოგი გახდა.

მესამე ძმა ალექსანდრე (კოკოშა) თბილისში ცხოვრობდა, როცა იგი მივლინებით იმყოფებოდა სომხეთში და შინ იყვნენ მისი მეუღლე ნორა ლორთქიფანიძე, დედა ვერა და შვილები მარინა და თემური, ღამის სამ საათზე მათ ოჯახს ეწვია უშიშროების რამდენიმე მუშაკი, რამდენიმე სამხედრო პირთან ერთად. ოჯახს ერთი საათი მისცეს მოსამზადებლად, შემდეგ საბარგო მანქანებზე დასვეს და ნავთლულის სადგურში პირუტყვის გადასაყვანად განკუთვნილ ვაგონებში მოათავსეს. ვაგონებს ფანჯრები არ ჰქონდა, გარედან კი რკინით იყო ჩარაზული. მათთან ერთად ვაგონში ბევრი ნაცნობი ოჯახი აღმოჩნდა, აქ იყვნენ ბაბო დადიანი თავისი შვილებით თათულითა და გიორგითი; გურამ გაბაშვილი და დედამისი, აფინოგენ მენადარაშვილის ოჯახი თავისი პატარა ცხრა თვის ბავშვით, ირაკლითი. ეს ბავშვი ირაკლი მენადარაშვილი მომავალში, საქართველოს ჯერ ჯანდაცვის, შემდეგ კი საქართველოს საგარეო მინისტრი გახდა. 14დღე და ღამე იარა შემადგენლობამ. გარეთ 40-გრადუსიანი ყინვა იყო, მათ კი გათბობა არ ჰქონდათ და როგორც იქნა ჩავიდნენ ყაზახეთში; ოჯახები ისეთ ადგილას მიიყვანეს, სადაც არც წყალი იყო და არც სინათლე. საცხოვრებლად მიწურები გამოუყვეს, მიწის იატაკზე უნდა დაეძინათ. საშინელ პირობებში აღმოჩნდნენ; უკვე ვითხარით, რომ ოჯახის უფროსი ალექსანდრე (კოკოშა) იმ საშინელ დღეს როცა მისი ოჯახი გადაასახლეს, შინ არ იმყოფებოდა, მივლინებით იყო წასული ერევანში, სადაც ენერგეტიკოსების საკავშირო კონფერენცია იმართებოდა. მას იქ შეატყობინეს რომ შენი ოჯახი გადაასახლესო. იგი იმავე საღამოს გამოემგზავრა თბილისში და იმ დღიდან ექვსი თვის მანძილზე ეძებდა თავის ოჯახს და როგორც იქნა ბოლოს იპოვნა.

ბატონმა „კოკოშამ“, თავისი მოგზაურობა და გადასახლებაში ყოფნა აღწერა ნარკვევში „ერთი კაცის ნაამბობი“, რომელიც მალე პრესაში დაიბეჭდა და ვფიქრობ ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს, თუ რა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა ქართველი კაცი 70 წლის განმავლობაში.

1953 წელს გარდაიცვალა სტალინი და გადასახლებაში მყოფი ქართველები ყოველდღე თბილისიდან დეპეშას დეპეშაზე იღებდნენ, რომლებშიც ერთიდაიგივე ეწერა:

„გილოცავთ დაბადების დღეს“. იქაური ფოსტის მუშაკებს თურმე ძალიან უკვირდათ რა ხდება, ნუთუ ყველა აქ მყოფი ქართველი ერთ დღესა ხართ დაბადებული? მალე გადასახლებული ოჯახები გაანთავისუფლეს და ისინი დაბრუნდნენ სამშობლოში.

ბატონი „კოკოშა“ და ქალბატონი ნორა ძალიან კარგად მღეროდნენ გიტარის თანხლებით. ბატონი „კოკოშა“ წერდა ლექსებსაც.

გადასახლებიდან დაბრუნებული ეს ოჯახი ისვენებდა თავის სოფელ „შემოქმედში“. სწორედ იმ დროს ჩემი შვილის ერეკლეცა და მისი მეუღლის თამარის ქორწილი გადაიხადეს ბებია თამარ ღლონტმა და მისმა ვაჟიშვილმა რეზო ჭანუყვაძემ. სუფრის თამაძობა კი გასწვია ბატონმა კოკოშა ჩხატარაშვილმა. შემდეგ კი ბატონ კოკოშას მიერ იმ დღეს დალოცვილ ოჯახში გაჩნდა და გაიზარდა მერაბ (მეკო) მაჭავარიანი, რომელიც ბატონ კოკოშას შვილიშვილზე ნატო გიორგის ასულ ჩხატარაშვილზე დაქორწინდა. მათ კი მანუქეს ორი ბაღში ერეკლე II მაჭავარიანი და ელისაბედი (ლიზი).

ისინი არიან ჩემს ცხოვრებაში ჩემთვის ყველაზე დიდი საჩუქარი ღმერთისგან.

ჩვენი გაზეთის ამ ნომერში გთავაზობთ ბატონ ალექსანდრე (კოკოშა) ჩხატარაშვილის ორ ლექსს, რომლებიც დაწერილია გადასახლებაში.

გალაკტიონის ზმანება უდაბნოში

ჩაქრა დღის მცხუნვარება,
ცას ჩრდილი ეფარება,
დაგდლის ტანის ტარება,
ტარება სიმძიმისა,
მადლობა ღმერთს დაღამდა,
გული რად არ დაამდა!
სად არის ნეტარება
სიზმრებიან ძილისა?
ძილი არ მეკარება,
ჩუმად მომეპარება
ეშვიანი ზმანება.
გულს აჩნია იარა
მისი მასრი კბილისა...
არვინ გაიზიარა
ჩემი უღვთო წამება,
ჯუჯამ არ დამანება
ღამე ჩემი ზიარა...

არსად ჰყივის მამალი,
არც ტოროლა ფრთამალი
მამცნობს მოსვლას დილისა...
ღმერთო, როგორ ვეწამე,
აღარ მინდა ეს ღამე,
სიფითრე სიკვდილისა...
სჯობს, რომ დილით მათოვდეს,
ღმერთო, მალე გათენდეს,
და გაქრა უკუნეთი,
აღარ შედგა ღუგტი,
მსოვნისა და ღამისა...
დარჩა მხოლოდ სიფითრე
მორბედი ალიონის,
დარჩა მხოლოდ ჰანგი და
სევდა გალაკტიონის.
1952წ. შუა აზია

სამშობლოს მონატრება

ცა-ფიუზ ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო!
ქართული ლექსის აღერსო,
მთაწმინდის ბადრო მთვარეო,
აკაკის წმინდა ჭაღარავ,
სიმღერავ, ცრემლში ნარეო,
ილიას დიდო აჩრდილო,
კლდეთ ქმნილო, აწ მდუმარეო.
ბარათაშვილის საფლავო,
ქართლის ბედივით მწარეო,
ვაჟავ, მინდიას ძმობილო,
რაინდო მომთაბარეო.
მინდორ-ველებო, ქედებო,
მთებო, ქოჩორა ტყიანო.
მთაში მყვირალა ირემო,
მდეგო ქორბუდა რქიანო,
მტკვარო ბუტბუტავ, დუღუნავ,
არაგვო, არაგვიანო,
თერგო, კდეებზე მხტომარეო.

ომახიანო, ხმიანო
ტურფად გადაშლილ ბაღნარში
ცელქი რუები რბიანო,
ატმების რტოებს არხევენ, როცა
სიონი ჰქრიანო,
დილით გაშლილი ვარდები,
საღამოს თავებს ხრიანო
შენ!
ჩემო ტკბილო სამშობლოვ,
საქართველო რომ გქვიანო,
ნუ თუ არ გესმის გოდება
ურდოთა ნაბანაკარში,
უდაბნოს ქარი გუგუნებს,
უდაბნოს აღმურ თაკარში,
მაშ ისევ და ისევ იტირე
შენი შვილების წერაო...
– ყიზილყუმებში ქართველმა
პირჯვარი გადიწერაო!
1952 წ. შუა აზია



პოეზია
მეუფე მირიან იორამაშვილი
მთები

**მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები
მგონია მთები.**

**ვედრება ყოვლადწმინდა
ღვთისმშობლისადმი**

ნათლის-მშობელო,
ივერიის მფარველო დედავ
გადიდებთ მზეზე უბრწყინვალესს
და გვედრებით,
ყველა ჭირთაგან დაიფარე ჩვენი ქვეყანა,
იმედი ჩვენი უკვდავების რწმენით სავსეა
არ მოგვაკლდება სიხარული და სასოება,
ვიდრე შენ ჰფარავ, საქართველოს
ყოვლად-წმინდაო
აღამაღლე გონება ჩვენი
ზეციური მამულისადმი,
რათა წარმავალის დამტევებელთა
ვიფიქოთ წარუვალზე,
მოგვეცი ძალი შეწვევისა,
მთმინებისა და სიყვარულისა
„ყოველთა შექმნულთა ნათელთა
უბრწყინვალესო ნათელო...
ყოველთა ქმნულთა სამკაულთა
უმწვენიერესო სამკაულო.
გამოაფხიზლე გონება ჩვენი,
განასპეტაკე სული ჩვენი.
შენ გშვენის დიდება სამარადისო

ლოცვის მაღლით უბრწყინვალად
აყვავილებულო.
ასულნი ჩვენი კვლავ შემოსე მაღალი
სულით,
პატიოსნებით, ერთგულებით,
სიწმიდით, რწმენით,
მამულისათვის თავდადებით, მზიურ
ხილვებით,
რათა მოიღონ მათ ტევანი ჯანსაღ გენახის.
ჭაბუკნი ჩვენი აზიარე ქრისტეს მცნებათა,
ჯვარის მტვირთველნი მიჰყვებოდნენ
უკვდავების გზას,
წინაპართაგან ანთებული წმინდა ღამპარი
რომ არ ჩაუქრეთ და არ დარჩნენ ბნელში
უმწეოდ.
ო, გვედრებით მოკრძალებით და სასოებით,
ღმობიერებით, წმიდა ცრემლთა უხვად
მფრქვეველნი,
ვედრება ჩვენი შეისმინე სახიერებით
და სიხარულად გარდასცვალე წუხილი
ჩვენი.

წმიდა გიორგისადმი

იდილოს შენი სახელი
ყოველთა ბოროტთა მლახკრელი

წმიდავ გიორგი, ჰფარავდე
კეთილსა ქვეყანასაო,
გულდაწყლულეულს ჰკურნავდე,
თვალს აუხედდე ბრმასაო,
დააჯერებდე მოკვდავთა –
მთაზე შეადგამ მთასაო,
ვინც ვერა იცნას კეთილი

დააბრალებდეს თავსაო.
სიკეთის ზღვაში კეთილად
დააცურებდე ნავსაო,
ჭეშმარიტება მაღალი
გაგვინათებდეს გზასაო,
წმიდავ გიორგი, ჰფარვიდე
ქართველთა ქვეყანასაო.

1973წ.

* * *

მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის,
თავისუფლების,
წმინდაა მარად სახელი და ღიღება შენი,
ყოვლისმყრობელო, უკვდავების ნათელი
გშვენის.
მამაო ჩვენო, საკვირველად მსუფვეო ცაში,

მოველ ამ ქვეყნად სურნელოვან ვარდების
გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმაკნო
ბავშვის,
ესაა ფრთები და ამ ფრთებით იფრენენ მაშინ
სასუფეველის სიხარულში და ღიღებაში.

* * *

ტაო -კლარჯეთის სანახების მოხილვისას
ქართველი გლეხი კაცი ასე მღეროდა და
ლოცულობდა: “ღმერთო ბატონო, შენ
შეგვიწყალე“...
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიწყალე,
მოგვეც არსობის პური და წყალი,

შენ შეიწყალე ყველა საწყალი,
ვის კრძალვით შენსკენ ეჭიროს თვალი.
სიყვარულისა მოგვეცი ძალი,
შურის ეშმაკი დაეც მუხთალი,
დაღონებული და ცოდვით მკვდარი,
შენ აღადგინე ცის ნაპერწკალით.

რწმენა მაცხოვრისა...

**“მე ვარ ანი და მე ვარ ჰოე – ბრძანებს უფალი“
(წმინდა იოანეს გამოცხადებიდან)**

შენი ტკბილი წყალობა
არ მოგვაკლო, უფალო...
მართალ რწმენის სიმაღლით
სულ გვამყოფე უბრალო...
მარადიულ გაზაფხულს
ცაში დაუვანია...
რწმენა მაცხოვარისა
სიცოცხლის ანბანია...
შევიწინოთ ცოდვები,
გვირჩევს რაცხა ხანია...

ის არასდროს ძველდება –
მარად რაც ახალია...
ბოროტს რაც მიეზღვება,
გულის მოსაფხანია...
კეთილის პირს დასცვივა
ხან ვარდი და ხან ია...
ჯოჯოხეთურ ყოფისგან
დაგვისსენი, მაღალო,
სიხარულო მოჰფინე,
დამძიმებულ სამყაროს.

**ფრთებს გაშლის ლაღი სიცოცხლე
უწმინდესს**

თავს დახრის გვირგვინოსანი,
როცა უფლის წინ ილოცებს
და მხატვარს თეთრი ღრუბლები
ბატკნებად აჰყავს ტილოზე.
ფრთებს გაშლის ლაღი სიცოცხლე,

ნათლდება ხატი ცხოველი
და გრძნობ განგების დიდ ძალას
ემორჩილება ყოველი,
სიცოცხლის გადასარჩენად
ანთია სვეტიცხოველი.

* * *

უფლის კეთილმა თვალმა დაგვხედოს
და შეგვიწყალოს მუდამ,
უკვდავებაზე უფრო ლამაზი,
ნატვრა გულს რაღად უნდა...
მშვენიერია ორივე სოფელი
თუ მწყალობელი გეწყალობს,
უმისოდ ყოფნა ჯოჯოხეთია,
ვიტანჯებით და გწვალობთ.
უკეთუ ღმერთი მაღლს მოგვანიჭებს,
წამების ჟამსაც ეხარობთ,
იგია ჩვენი გამხარებელი
და უკვდავების წყარო.

როგორ დამძიმდა წუთისოფელი,
ველარც ერთმანეთს ვბრალობთ,
ზრუნვამ დაღალა ადამის ძე და
უაზროდ დაუმცხრალობს.
ცაზე ვარსკვლავი აყვავებულა,
ბაღში ბუღბული გალობს,
ცვარ-მარგალიტნი ყვავილს პირს ჰბანენ
და წყარო მოჩქრიალობს.
იქ კი სამოთხის შუქი იღვრება,
ნატვრა ზეცის კარს აღებს,
მაღლი დაჰნათის ციურ სიმღერას,
და აყვავებულ ბაღებს.

**დეკანოზი
თაემას ჩოხელი**

**სამასი არაგველი
(სიმღერა)**

სალ კლდეზე ბალახი მთისა,
მდინარის პირას ჭაღალო,
იაღაღებზე ცხვარ-მწყემსი,
ლეგა ღრუბლების ფარაო.
ნისლიან-ყინულიანი,
მთის წყარო თავანკარაო,
მწვერვალებს ზათქი ზვავისა,
დამანგრეველო ძაღაო.
შავი არაგვის ხეობავ,
ვაჟკაცებსა ზრდი თანაო,
სამასი არაგველისა
გამზრდელმ უმღერე ნანაო.
კიდევაც დაიზრდებიან
ვაჟკაცნი თვალმახარაო,
წაგებულ ომში წამოვლენ
მეფემ რაც სიტყვა ბრძანაო.
კოშკმა კოშკს კოცონით ამცნო,

მტრის მოსვლა თბილისთანაო,
ქულზე კაცს უხმობს სამშობლო,
გმირებმ აჩვენონ ძაღაო.
დაიხოქეს და ფიც დასდევს,
პირიმხეს მინდორთანაო,
ნინია აფციაური
სამასს მედროშედ სთანაო.
დაიცვათ დედა სამშობლო,
მეფე ბატონმა ბრძანაო,
წმინდა გიორგიმ მოგმადლოთ
ხმაღში ფხა, მუხელში ძაღაო.
სამასი დედის ტირილი
ცას წავა უფალთანაო,
ია და ვარდი ეფინოს
კრწანისის მინდორთანაო.
სექტემბერი.2010წ.

მთის ბუნება

ცაში რომ უვლის ირაოს
ფოლადისფერი ქორია,
ტყეში კოლტია ღორისა,
მინდორში კაკავ გნოლია.
მდინარეებში კალმახი,
ხევს ჩანჩხილა ზოცია,
მთებს მაუხვევავ ტანხედა
ნიავი, წვიმის თქორია.
გადაურეკავს ნისლეხსა,
მზის ამოსვლამდის შორია,
დაიგრაგნება ელვაი,
მეხმა დათოფა წნორია.
ია დამრჩალა ობლადა,

ეკალმ იკრიფა ღონეა,
დამზრალა ბალახ-ბულახი,
ყინვა სიკვდილის სწორია.
ზნე შეიცვალა ბუნებამ,
ბნელმა იცვალა ფერია,
გამოიღარა, ჩამოთბა
მზემ გაანათა სერია.
ნათელი მეფობს ბნელზედა,
ცა ცისარტყელას ფერია,
ია გაცოცხლდა, გაზაფხულს
სიცოცხლე შთაუბერია.
სექტემბერი.2010წ.

მთის მონატრება

ცას სწვდება მთათა სიმაღლე,
გზას გახიდულა ზოვია,
შავი არაგვის ხეობა
კაცთაგან დანატოვია.
ამოდი, გუდამაყრელო,
ნუ შეგაშინებს ზოვია,
ცის სილაჟვარდეს ზოგჯერა
დაარღვევს ძერა, ქორია.
მთას დაკიდულა ბილიკი,
ჭიუხებამდის შორია,
სოფელი ჩოხის სანახებს
მძივივით მოსჩანს ცხორია.
ია ანათებს ღურჯადა,
ტყეს შეჰფარვია შველია,
ნადირ-ფრინველის გამრიგეს
ლამაზად გაუჩენია.
ადიდებულა არაგვი,

ჩამაულეწავ კლდენია,
მააგორებდა ღოდებსა
ხმა აქვის საზარელია.
მაერიდენით, არაგვი
გუდამაყრელზე ძნელია.
ბევრ დაუფარავ ტალღითა
შაუმოკლებავ დღენია.
დაილოცავენ საკარგემოს,
დატოტავდება ცხენია,
გაბატონდება სინათლე,
უკან დაიწვეს ბნელია.გუდამაყრისა ხეობავ,
ღვთისა გატყვავის ხელია,
დაილოცენით ჩოხლებო,
არაგველობა ძნელია!

2010წ სექტემბერი

წუთისოფელი (სიმღერა)

ქალაუ, ცისკრის ვარსკვლავო,
 გადაგაკლმეოა წარბები,
 თუ მონდომე წამიერ,
 ვაჟკაცის გულში ვარდები.
 მოგიტაცებენ, მდევარსა
 არაგემ უსველოს ნაბდები,
 მთას წაგიყვანენ მხესთანა,
 დედამთილს შაუყვარდები.
 შიბიან წინდებს დაგიქსოვს,
 ყელზე ეხატოს ვარდები,
 დრო მოდის, წყალნი მიდიან,
 ჩამაითოვლა დარდები.
 ასაკმა შამაიმწუხრა

გულს მაეხვია ჯანდები,
 გამრავლდებიან არაგვზე
 გუდამაყრელთა ბაღდები!
 დაიზრდებიან, დალაშქრონ
 საჯიხვეების კალთები,
 დეკაზე მწვადი გახუხონ,
 ჯიშო, არ დაიკარგები!
 მთას სილამაზე დამზრალა
 გულითამც დამედარდები,
 ცივს მიწას მიგაბარებენ
 საფლავ სტიროდნენ ვარდები!
 ოქტომბერი.

2010წ

.

ჩოხი

ჩაჭრილაის მთის ფერდზედა
 უცხო ყვავილი ჰყვავისო,
 გვერდს უდგას ია ლურჯადა,
 მზე პატრონადა ჰყვავისო!
 ავდარი დარობს, ცის სარტყელს
 ცისატყელები პრტყავისო,
 ბუნება მბრძანებელია
 დამლახვრელია ავისო.
 ჩანჩქერთ გაარდევს კალმახი,
 სწრაფია ელვასავითა,
 ყორანი დაჰყეფს უფსკრულთა,
 ტყემ შველი დაიმაღისა.
 მზე ამოსულა სამხეოს,
 ოზანოს დეკა ჰყვავისა,
 კარგ ყმას რად უნდა პატრონი,
 თვითონ პატრონი ხვალისა.
 დაილოცენით, იტვირთეთ,
 თქვენ საჭურველი რვალისა,
 ცხენ-კაცს გაჰკვეთდა ერთადა

ნაკრავი თქვენის ხმაღისა.
 ღმერთმა გიკურთხოთ მხარ-მკლავი,
 ვაჟკაცთ არაგვის ჭაღისა,
 დაგლოცოთ დედის მანდიღმა,
 ამრიდებელმა ავისა.
 საღის კლდეების ჭიუხნო,
 ტაღნო ამსხეღტნო ქარისა,
 მარტოკა მონადირეო,
 გამთენებელო დამისა!
 თოფ დაჰკრეს ჯიხვთა მეწვერეს,
 ჭაღას ჯახნი ჰქნეს ზვავისა
 ნახვავარს ამოსულიყო,
 ია, სინაზით ჰყვავისა.
 მზემ ჯანღის კალთა გახია,
 სიცოცხლემ გაიხაღისა,
 მამიგონოდეთ, გიყვარდეთ
 ხვალემ იფიქროს ხვალისა.
 „გუპატრონოთ გუდამაყრის ხეობას“
 8 ოქტომბერი.2010წ.

სამშობლო

ჩემო სამშობლო მხარეო,
 მთები გახვევაგ მაღალი,
 სერებო ნისლებიანო,
 ცაო, უღრუბლოდ დამრჩალი.
 მთების კალთებზე ვეღებო,
 ავდარმ გიზიდათ საგზალი,
 არაგემა ნანა გიმღერათ,
 სად არის თქვენი სადარი.
 ქორმა წიწილა წაიღო,
 კლდის წვერზე მოსჩანს სადარი,
 მიემართება რწმენისკენ,
 მთის მომლოცველთა ღაშქარი.
 ჰეი თქვენ, არაგვეღებო,
 სამშობლოს მცველად დამღგარი,
 გრძნობაო ამადღებულო,
 შენი სადარი სად არი.
 დათოფეს ციხე კოშკები,

მტრის ღაშქარს დასცეს თავზარი,
 მტერი დატოვეს ვეღზედა,
 ყორანის კერძად გამხდარი.
 დაჰბერავს ცივი ნიავი,
 ბურსაჭირიდან ამღგარი,
 საჯიხვეების კალთებზე,
 დაიგრიღლებს მაჟარი.
 დეკა დაუზრავ თვირთვიღსა,
 ფანდურს მღეროდა მაყარი,
 ბარიდან მთაში მიჰყავდათ,
 პატარძალია ქალშავი.
 პატარძალს ესაღმებოდა,
 ენძელა ბეჭზე დამღგარი,
 გამოზაფხულდა მთაშია,
 აყვავებულა შაღშავი.
 3 ნოემბერი. 2010წ.

ტერენტი გრანელი



პოეტი პატიმარი

შავი ფიქრები გროვდება ისევ,
 დგება წამების თეთრი საათი.
 მიწა არ მინდა, და როგორც ქრისტე,
 მეც ვემზადები გაფრენისათვის.
 ეს გული მხოლოდ შენ გესალმება,
 შენ ანგელოზო! მძიმე წარსულის.
 რა იქნებოდა რომ ჩემ წამებას
 ქონოდა სახე ან დასასრული.
 სხვა მეგობარი მე არ მყოლია,
 მხოლოდ ქარია ჩემი მსლებელი.
 უფრო ხშირია მეღანხოლია,
 და გაფიქრება შეუძლებელის.
 იყო სიჩუმე, სამი წერტილი,
 მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა.
 ეხლა შორს ელავს ცა მოწმენდილი,
 და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან.
 ალბად ივნისი მალე დადგება,
 დღეს ხომ მაისის ოცდა შვილია.
 და მენატრება ისეთი მხარე,

სადაც დუმილი და სიმშვიდეა.
 ისმის ხმაური, არის ცხელება,
 და ჟონავს წვიმა ოდნავ ხმოვანი.
 ციხე დგას როგორც საშინელება,
 დამძიმებული და კეთროვანი.
 გულის ტკივილი უფრო ღრმავდება,
 როდესაც ვუმზერ ჯიბგირს და ბანდიტს.
 ალბად ეს ღამე არ გათავდება,
 ძნელია მისვლა გათენებამდის.
 და იმედები ისევ ტირიან,
 და მწუხარება ჩემი მეობა,
 კარები ირგვლივ დაკეტილია
 და ვურიგდები მდგომარეობას.
 აღარც თენდება უფრო ვღონდები,
 ღამეა ჩუმი და ნაწვიმარი
 ალბათ ვირაცას იქ ვაგონდები,
 როგორც პოეტი და პატიმარი.

გაზაფხულის საღამო

გაზაფხულის საღამოა მშვიდი.
 ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.
 სული საზღვარს გადასცდება ფრენით,
 ეხლაც მასსოვს მისამართი შენი.
 ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,

რადაც დიდი სიხარული ვიგრძენ.
 წინ მემდება სხვა ოცნების არე.
 მიწის ცქერით დაიღალა მთვარე.
 გაზაფხულის საღამოა მშვიდი.
 ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი

მარადისობის ლაუვარდები

ცრემლი არ მოდის, მაინც მე ვტირი
 და შორეული სივრცე მიტაცებს.
 სული გაფრინდა თეთრი მტრედივით,
 სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე.
 ალბად იქ ჩემზე ვილაც ნაღვლობდა,
 მაშინ როდესაც მე არ ვიცოდი
 ასე მგონია სულთან ახლოა,
 ცისფერი შუქი მარადისობის.

ცოტა ხნის შემდეგ სისხლიც გაშრება,
 ვხედავ სიკვდილის ყვითელ მანტიას.
 მე ვიფერვლები, გულის გარშემო
 მსოფლიო სევდის ცეცხლი ანთია.
 უკვე დაღამდა, ისევ მე ვტირი;
 და უხილავი სივრცე მიტაცებს.
 სული გაფრინდა თეთრი მტრედივით,
 სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე.

* * *

დამწვა საკუთარ აღმა,
 ვატყობ, ტანდათან ვქრები.
 სადღაც ხარობენ ალბად
 ჩემი პატარა მტრები.
 რა ვქნა, ციხეა, ვშფოთავ,
 ცისკენ მივეყვარ სურვილს.
 და ემსგავსება ფოთოლს.
 ჩემი მწუხარე სული.

მოდის შაბათი, კვირა,
 საშინელ სურათს ვხედავ.
 და მესიხმრება ხშირად
 მიცვალებული დედა.
 ღუნავს ქარები აღვას,
 ელავს მუსიკის ხმები.
 დამწვა საკუთარ აღმა,
 ვატყობ, თანდათან ვქრები...

უმიზნო ხეტიალი

ეს შემოდგომა, და ეს მინდორი,
 მიხმობს უმიზნო ხეტიალისთვის.
 მადლა გაფრენა მე მოვიინდომე,
 რადგან მიწაზე სული არ იცდის.
 შრება სისხლისგან გული აუზი.
 და მიპყრობს ქუჩა, ვით თაფლი, ფუტკარს.
 თითქმის ყოველ დღე სასაფლაოზე,
 ვხვდები მათხოვარს და პროსტიტუტკას:
 ეხლაც გარშემო მძიმე წამია,
 ეხლაც ქარში ვარ, თავს ვერ ვუშველვ.
 და ვესალმები იმ ადამიანს,
 ვისაც ცრემლები ლოყას უსველებს
 და მაგონდება ისევ ის დამე,
 როცა მეძინა სანაგვე ყუთში,

ეხლა ქარია, ტირის არღანი,
 და მოწყენილი ზის თუთიყუში.
 შენ, დედამიწაე! უფრო მაშინებ,
 როცა ოცნებით ზეცას მოვიარ.
 წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე,
 მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია,
 ისევ მიწაზე ვარ მიჯაჭვული.
 (სადღაც შიშია, ვიღაც ფითრდება).
 მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული,
 და ჩემ საფლავთან ის დაფიქრდება.
 და ასე ფიქრი უფრო ძნელია,
 როცა თვალები ნათელს უცდიან.
 ღმერთო! ჩემს ირგვლივ რა სიბნელეა,
 ღმერთო! ჩემს ირგვლივ რა ბურუსია...

ეს დღე

ისევ მარტო ვარ, ირგვლივ ქარია,
 გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს,
 ეს დღე ძვირფასო! სხვა სიზმარია,
 ეს დღე, რომელიც ჰგავს შემოდგომას.

ისევ სიცოცხლე, სიკვდილი არ მსურს,
 და წმინდა გული მე შენთან მომაქვს.
 ეს დღე მაგონებს შორეულ წარსულს,
 ეს დღე, რომელიც ჰგავს შემოდგომას..

ფიქრები წადვერში

დ. ა.

არ მომასვენებს ცივმა ქარებმა,
 და შენ ცხოვრების იმედს მაძლევდი
 იყო ღრუბლიან დღის მდუმარება,
 და მოლოდინი მაღალ ნაძვების.
 შენ იქ გეძინა როგორც დედოფალს,
 მე დავდიოდი მეტი ნაღველით.
 გარშემო იდგა უიმედობა,
 და ნისლიანი მთები წადვერის,

შენ არ გესმოდა ჩემი ტირილი,
 და სადღაც ახლო ზარი კიოდა.
 იდგა სადამო, ვგრძნობდი ტკივილებს,
 და ჩემს ღუმილში დრო გადიოდა.
 არ მომასვენებს ზამთრის ქარებმა,
 ვნატრობდი ზაფხულს, ბაღით, მდელოთი,
 ირგვლივ დელაგდა ზღვა მწუხარება,
 და მე უეცარ სიკვდილს ველოდი...

სოფლიდან თბილისი

მე ისევ ძალას ვიკრეფ დილისთვის,
 და ანგელოზი ჩემ სულში ცხოვრობს.
 რა ვქნა, დღეს მინდა ვნახო თბილისი,
 ვნახო თბილისი და მეუცხოვოს.
 მზის ნაპერწკალი ეშვება ციდან,
 მოდის შუადღე, როგორც ანთება.

ისევ თბილისის შუქი მიზიდავს,
 ისევ თბილისის ცა მენატრება.
 მზიანი დღეა, მე ჩინარს ვუმზერ,
 სოფელს სინუმის დემონი იცავს,
 მაღე მოვკვდები და ვიცი, გულზე,
 რომ დამაყრიან თბილისის მიწას...

ჩემი ბედი

მოწყენა მოსდევს ამნაირ ავდარს,
 მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო.
 მინდა მივიდე დედის საფლავთან,
 და იქ უმანკო ცრემლი დავედვარო.
 გული სხვაგვარად უნდა ამდერდეს,
 მე სხვა ცოდვები უნდა მეზიდა.

და საქართველო ასე მადმერთებს
 პოეტს წამოსულს მაღალ ზეციდან.
 ისევ მწყურია მინდვრად გარება
 და მენატრება წვიმა სოფელის.
 ეს ჩემი სევდა და მწუხარება
 დარჩება მარად შეუცნობელი

ტერენტი გრანელზე მიძღვნილი ლექსები

თამარ ჯაჭვავაძე

ლექსად დარჩენილი ფიქრები

ამაოების დიდ ლაბორინთში, რომელსაც ამქვეყნიური ცხოვრება ჰქვია, მრავალი მაძიებელი სული დაბორიალობს, მრავალი შემოქმედი და უმოქმედო ადამიანი, რომელთაგან, რომელიღაც ეტაპზე შეიძლება ბევრი შეჩერდეს და წამოიძახოს: "წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?" ტერენტი გრანელის ეს სიტყვები, ღმერთის მიმართ საყვედურად კი არა, საკუთარი თავისადმი დასმულ შეკითხვად უფრო ჟღერს... ეს საკუთარი თავისადმი და ბედისწერისადმი უკმაყოფილო, დაღლილი ადამიანის იტყვებია, რომელსაც ამ სამყაროსაგან გადაქანცულს, ერთადერთი ღმერთის იმედი დარჩენია და უხმობს, ეძახის... არა მონური მორჩილებით, არამედ სახედ მისად ქცეული, თანატოლივით ესაუბრება უფალს, საკუთარ სულში შესახლებულს - რატომ გავჩნდი, რისთვის მოვედი ამქვეყანაზე, რა გამიკეთებია და რა დარჩება ჩემი ოცნებიდან, ტანჯვა-წამებიდან და ლექსად წვიდან?... გეთსემანეს ბაღში განმარტოებული უფლის ადამიანური ბუნება შეიძლება ამოიკითხო ამ წუთიერ გარინდებაში...

ამქვეყნიურ სამყაროს სუსტი და უძლური კი არა, ძლიერი და უტყეხი სულის ადამიანი სჭირდება გასატყეხად. სწორედ სულით ძლიერს მიებრძვის ადამიანი, ბედისწერა თუ მთელი სამყარო. სწორედ რომ ძლიერთა ხვედრია ბრძოლა; სიკვდილი, მაგრამ არდამარცხება!

ქართულ მწერლობას "უდროოდ წასული ჭაბუკები" მრავლად ჰყავს, წამიერადაც რომ არ შეიძლება შეეჭვება მათ სიდიადეში. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, ბევრი ხელისხელ საგომანები მარგალიტი შეუქმნია შთამომავლობისათვის: ნიკოლოზ ბარათაშვილს, ლადო ასათიანს, მირზა გელოვანს, ტერენტი კვიციანიას... თითოეულ მათგანს ჰყოლია თავისი ღერი ალიმონაკი, ვინც მათი დანატოვარი სულში ჩაიხუტა და შთამომავლობას შემოუნახა.

"გააწყალაო გული ამდენი სიკვდილებით..." ზოგიერთი "ხბოს აღტაცებით დამუხტული" ვაი კრიტიკოსის ფიქრში დანახულ, მურმან ლებანიძის მიერ ამ ლექსად გახშიანებულ მათს ბრალდებას, ტერენტი გრანელის მისამართით, აქა-იქ დღესაც გაიგონებ იმ მწერალთა მიერ, ვისაც უყვარს საკუთარი ძეგლის დადგმა სხვის მიერ აგებულ კვარცხლბეკზე. ტერენტი გრანელის წარმავლობისა და ამაოებისაგან თავისუფალი პოეზია ადამიანთა სულში იდგამს საკუთარ ძეგლს და სხვა დიდება არცა სჭირდება. ჩვენი, უბრალო მოკვდავთა, თვალთახედვა ჯერ კიდევ ვერ სწვდება ტერენტი გრანელის გენიალობას, გვრჩება უბრალოდ სიყვარული და თბილი სიტყვა, ამ წამებული და თვითმგვემი გენიოსის მისამართით გვიან, ძალიან გვიან თქმული...

ის ფრთებს ეძებდა, მთელი ცხოვრება, დედამიწიდან გასაქცევად...

მისი ცისკენ მიპრობილი, ღიად დარჩენილი თვალებიდან მოჩანს სიმშვიდე სულისა, რომელმაც პოეზიის მძლავრი ფრთები გაშალა და მარადისობისაკენ გაფრინდა... და დარჩა დედამიწაზე ტერენტი გრანელის ფიქრები, მისი საოცარი პოეზია, რომელიც ვინ იცის რამდენ მართვეს დააფრთიანებს, რამდენს ააღებინებს ხელში კალამს და ააოცნებებს; "რომ ნახოს ქვეყნის ყველა პლანეტები."

ჩაქრებიან სანთლები

**"ნიჭმა ვეღარ მიშველა,
როგორც ზეცამ მაღალმა"
ტერენტი გრანელი**

ამქვეყნიურ ჯუნგლებში ბევრჯერ სულში დაღამდა,
"ნიჭმა ვეღარ მიშველა, როგორც ზეცამ მაღალმა".
თვალი დამრჩა ზეცაზე, უარგყავი მიწა მე...
ლოცვა და პოეზია სულის ფრთებად ვიწამე.
უფლის კართან მივედი, უცებ ენა დამება...

"ვიცი, გაფითრებული ვგავარ შემოღამებას".
რადაც სხვა გზა მიჩვენონ, ვევედრებო
დიანებს,
მე სიკვდილი მიშველის აღარ დაიგვიანებს.
ისევ სივრცე მეძახის, სივრცე შემომგისია,
ვარ უცხო და გული, ვარ ცრემლის პოეზია.
ვიცი, დავიღუპები, დღეს სხეული მეძმობა,

ეს გზა უჩვეულოა, ეს გზა უფალთან მივა.
მიღიმინ ქალები, იქით არ ვიხედები...
ნაწამები თვალები, ნაწამები ხელები...
ქრება სოფლის სუნი და... სადღაც უცხო
ქალია,
გაყიდული კერია, გაყიდული ნალია...
მძიმე სხეულს მოიცვლის სული თავისუფალი,
უკვე დროა, მივდივარ, მომიწოდებს უფალი.
უარვეყავი სიცოცხლე, ტანჯვამ თავი მანება,
დედამიწის ბილიკზე ვნახე თეთრი ზმანება.
ბნელი დამის წიაღში მდევდა წვიმის
ხარხარი,

და ტიტველა სხეულზე მეცვა თოვლი და
ქარი.
მიკვირს, ვით უსხეულოს, ტანჯვა როგორ
მიძლებდა?!
დაიღალა და ახლა დასვენება სჭირდება.
გაქრებიან ტკივილად რაც სულს შეუკრებიან,
ჩაქრებიან დღეები, სანთლები გაქრებიან.
მერე მოვა სიმშვიდე და იესოს თვალები
ყვითლად აინთებიან, სანთლით
ფერნაცვალები.
და მე ვიტყვი: - მოვედი, დედამიწამ დამღალა...
"ნიჭმა ვეღარ მიშველა, როგორც ზეცამ
მადალმა".

ლამზირა შეყილაძე

ტერენტი გრანელს

ზეცის სულო და მიწის ნაწილო,
მაჟრუოლებს შენი ლექსის შეხება,
მათი სურნელი, დიდო მგოსანო,
გულმოსაოხად სულში მეღვრება.

დგას განთიადი დამენათევი,
ისევ დრო მეფობს, ისევ სევდაა...
სამარადუამო წუთისოფელში
კვლავ დარდია და მწუხარებაა.

გკითხულობ ლექსებს და ვერ ვწერდები,
მემწყურვალება წყაროს წყალივით,
ხან მაჯისცემა შემინეღდება,
ხანაც დავქრევარ ქარიშხალივით.

შენი ლექსების სიმხურვალეში,
ხან ღრუბელია და ხანაც მზეა,
ზეციურ სულთა სიანკარეში,
სულის საგზალი პოეზიაა.
7 III 2013 წელი

გულნაზი ხარაიშვილი

**მარადისობა
ტერენტი გრანელის გახსენება**

გენატრებოდა ისეთი მხარე,
სადაც სიმშვიდის ცხოვრება იყო.
ცის სასულეთის მდუმარე არეს,
მანდაც სატანა ხომარა ბრეივობს?!
დედამიწაზე რად გეშინოდა,
რად არ იცდიდა მიწაზე სული. . .
შენი ტკივილი ზღვას იწონიდა,

და დადიოდი დარდწამოსხმული.
მთელი პლანეტის სევდა დაგქონდა,
აქ ვერ იშოვე იმედი სესხად.
დარდის ყორანი შენს წინ დაქროდა,
ცას მწუხრის ცრემლი ღრუბლებად ესხა.
მჯერა მანდ ღმერთი ახლოა შენთან,
ამ სამყაროში ლექსით ფიცხობდი.

ნუნუკა გურალია

ტერენტი გრანელს

ისევ ქუხს ჟამი ქედუხრელი
ჟამი ძლიერი,
ლეგენდად ქცეულს გრიგალებიც
ვერ გველევიან.

შენი ადგილი ზეცაშია
ანგელოზებთან,
და შენით ზეცაც ბევრად
უფრო მომხიბვლელია.

კახა ბაციკაძე

გრანელი – ღმერთი

გზა, ცხოვრების, ნეტავ საით მიდის?..
ჩამოეშვა წვიმისფერი ფარდა,
„ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.“
რა დარჩება – პოეზიის გარდა!
სანთლის სულში ჩამახედა ნეტავ,
იგი როგორ ნელა-ნელა ქრება;
ასე ვიცი – პოეზიის გარდა
ცხოვრებაში ყველაფერი კვდება.
ერთი, მხოლოდ ერთადერთი რაღაც –
პეპლის ფრთაზე დაწერილი ლექსი...

გული უცემს ქუჩის თავში ჭადარს
და შენ ეს ხმა პოეზიით გესმის.
მე მარტო ვარ და ვერ ვტოვებ საყდარს;
(საკუთარ თავს ასე ძლიერ ნუ სჯი);
მაგრამ ა ვკნა, თუ თვალებში ჩადგა
პოეზია, ცაზე უფრო ლურჯი.
გზა, ცხოვრების, ნეტავ საით მოდის?..
და ეს ლექსიც გრანელის დარდს ჰგავდა.
„ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...“
რა დარჩება – პოეზიის გარდა!

სერგი ლომაძე

გრანელი დაისისფერ ნახატში

„იგი, უბრალოდ, ტკივილია,
კაცად მოსული...“

ამონარიდი პოემიდან.

შორს, ჰორიზონტზე, მზის ჭორფლი დარჩა,
მზე თითქმის არ ჩანს, ცა მაინც ნათობს,
დაისმა ღრუბლის ქულა დანაცრა,
ხოლო პოეტი დატოვა მარტო.
სისხლისფერია ბილიკი მზემდე,
მთები საფლავი გამხდარა მზეთა,
ჭეშმარიტებას, სიცოცხლის შემდეგ,
მხოლოდ პოეტის თვალები ხედავს.
„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი,“
არამედ – განცდა სრულიად ღმერთის;

ბილიკი, როგორც სულის ტკივილი,
სივრცეს გასერავს, ჰორიზონტს ერთვის...
იგი პირველი და ერთადერთი
არ იყო სხვა გზა, ზღვა თუ ხმელეთი;
სანთლად დაიწვა, – ჰქონდა ეს ბედი,
თუმც გაანათა მთელი ბნელეთი...
აფერადდება ბილიკი მზემდე,
მთები სამშობლო გამხდარა მზეთა,
ჭეშმარიტებას, სიცოცხლის შემდეგ,
მხოლოდ პოეტის თვალები ხედავს...

გიორგი ზუხბაია

გრანელისათვის

ბევრია ლექსი, – ლექსებს ვინ ითვლის;
სულს პოეზიით სურს, რომ დაიწვას.
მე დავიბადე მხოლოდ იმისთვის,
რომ ჩემი სევდა ენახა მიწას,
მიწას, რომელსაც უკვე დავცილდი, –
რა ტკბილი იყო ეს განშორება!..

(და როგორც ბავშვი მოხუცს დასცინის,
ვამბობ, – დამცინა ჩემმა ცხოვრებამ)...
დღეს მწვერვალია ჩემი ფიქრის მთის, –
აქ ვარ, ხმაური მე აღარ მესმის...
მე დავიბადე მხოლოდ იმისთვის,
რომ წამეკითხა გრანელის ლექსი!



ვაჟა აქიმიშვილი თუ ვერ დავლევწავ

ამ ღამეს დარდებს თუ ვერ დავლევწავ
და თუ არა ვარ წიქარა ხარი,
და თუ ამ ღამეს წუხანდელივით
უიმედობას მომაცრის ქარი,
თუ კი ამ ღამეს არავინ არ მყავს,

არვინ იქნება გამღები კარის,
ამ ღამეს ისეც დარდი თუ მომკლავს
არ დამეხსენება ფიქრი მშფოთვარი,
მაშინ საშველად ლექსებს მივმართავ
ლექსი იქნება ჩემი მოძღვარი.

მეწერება

მეწერება დავწერ ლექსებს,
გრძნობებს როგორ ვმალავდი
და ჩუმ-ჩუმი შემოხედვით
სიღამაზეს გაპარავდი.
სასახელო ქალბატონი,
სასახელო ქართველი
უამრავი დიდი საქმის
დელოფალი მმართველი.

რა ცეცხლი და რა სიკეთე
შენით გულში ტრიალებს,
არასგზით არ გამოითქმის
ვერვინ გაიზიარებს,
გრძნობით ისევ დავწერ გრძნობებს
ცრემლებს დავღვრი ვიტერებ...
იმ იმედით წაიკითხავ
გულიანად იცინებ.

ჩემი სიტყვები

შემომათენდა შენზე ფიქრებში,
რით დავიწყნარო მშფოთი გონება...
ან ვინ დამწყევლა მხოლოდ ცალმხრივად,
უნდა მიყვარდეს მთელი ცხოვრება.
მზემ სხივი დაჰკრა და მიწას მოსავს
ნაირ-ნაირი ოქროსფერებით,
მე ხასიათი მზისა მაქვს ალბათ,
და თანაგრძნობით მოგეფერები.
მე ხელღუნება შენთვის დავხარჯე,
გაგიღამაზე გარემოება...

ოხ, როგორ მიჭირს ჩემო ძვირფასო,
შენს ღამაზე სახლთან გამოთხოვება.
ვერ ვკონტაქტები რადგან არა გსურს,
ვერ შემოგწვდები როგორც ვარსკვლავებს...
გითხარი მხოლოდ და როგორც ფიცი
მე ჩემი სიტყვა ისე მაკავებს,
არ გითხოვია მე კი ვიგრძენი
და შევასრულე დანაპირები
როგორ მიზიდავს გადასერილი.
შენი ნატყორცნი თვალთა სირმები.

მახსოვს

შენი თვალების სხივები მახსოვს,
ჩემთან მოსული ნახად მკრთომელი.
მათი გრძნობები ისე სუფთაა,
როგორც მცხეთაში სვეტიცხოველი.
მონა ვარ შენი რადგან იმედი,
მათში ჩანს ჩუმი ჩემსკენ მთოველი,
ვიცი სიტყვას რომ ვერ შემოგკადრებ...
რაც უნდა იყოს ძნელი ყოველი.

რა მტანჯველია უსიტყვო ბოდმა,
გრძნობიდან გრძნობის გამომწოველი,
რასაც განვიცდი თქმას ვერ გავბედავ.
შენს თანაგრძნობას მე არ მოველი.
გამრიყა ისევ უდრეკმა ბედმა,
მასავით ურჩი მასთან მეგრძოლი,
არ ვტყდები და კვლავ სიკეთეს ვთესავ.
არ მწყალობს თუმცა წუთისოფელი

მწამს

ნეტა რატომ მიცხარდები
ვერ გაიტან შენსას,
იმედი გაქვს თქვენი შხამის,
რომ ფიალს შევსვამ.
სხვა კალაპოტს მიუჩენენ
დიდ მდინარეს შემდგარს.
სულს ჩანჩქერად გადაქცეულს,
შიშიც ვერ შებედავს.

ვარდს მოგკრიფავ და გაჩუქებ
სანამ გული ფეთქავს.
თუნდაც ჯვარზე გავეკვრები,
რომ ვაჟიცი მერქვას.
დამიჯერეთ გენაცვალე,
ღმერთს შეხედეთ ერთხანს...
მიზანდასახული ვარ და
მწამს გავიტან ჩემსას.

გაგიკ დავითიანი

თარგმნა: მაყვალა გონაშვილმა
(მწერალთა კავშირის თავჯდომარე)



ფერიცვალება

ო, რა ადვილად გამიმეტე,
რა უმოწყალოდ,
იმედის კარი
მომისურე, გადამირაზე,
თითქოს მიწიდან ამომძირკვე,
ვით ხე – ხენეში,
რტოებით მიწას ვეჭიდები,
ვდგავარ ყირაზე.
თვალეში ჩამრჩა
ტკივილები გაუსაძლისი,
გაქრა იმედი, ცად ავდივარ
თითქოს ვმადლდები,
ჩემი რწმენაც და სიყვარულიც
ფერფლად იქცევა
და მიწას ცრემლად ეწვეთება
ხსოვნის ვარდები.
გთხოვ, დამელოდო იქ.

ზეციურ, ულურჯეს კართან,
ყვავილწუნულებით,
ვარსკვლავების ქორაკანდელით,
ვიცი, კარიბჭე გაიხსნება,
მთელი სამყარო, .
10 11
მონიუსხება ზეციური,
უცხო ჰანგებით.
ციურ ჭიშკართან შენ დამხვდები
უღრუბლო დილას,
გემუდარები, რომ უსიტყვოდ
გამილო კარი,
ვაი თუ, უცებ,
შენს სიტყვებზე გამომეღვიძოს,
ვაი თუ, უცებ,
გამიფრინდეს ტკბილი სიზმარი.

როგორ მიჭირს მოლოდინი შენი,
ასე ყოფნა, ადვილია, განა?
დავიდალე სტუმრის როლში ყოფნით,
კმარა ტანჯვა, სასურველო, კმარა!
სიზმრად ვიყავ და მწყუროდა წყალი

და მესმოდა რაკრაკებდა წყარო,
თითქოს ისევ სიზმარს შევრჩი, მესმის
შენი ხმა და უშენობით ვწვალობ.
12 13

დიდება შენდა, ღმერთო!

მავანნი ისე
თავაწვევით დააბიჯებენ,
თითქოს კალთის ქვეშ
ატარებენ მოლოქვრივ ბარძიმს
პირთამდე სავსეს
სიყვარულით,
მადლით,
სიკეთით...
მთელი ცხოვრება
თავგამოდებით ირწმუნებიან: –
კაცობრიობის ბედზე
ზრუნვით სავსე აქვთ გული...
მხოლოდ და მხოლოდ
მომძის დარდით დამწუხრებულან
და ჩვენც ვიჯერებთ,
ისინი რომ არ ყოფილიყვნენ,
მზე უსათუოდ
დასავლეთიდან ამოვიდოდა
გადაივლიდა ზეცის გუმბათს
და მერე, ალბათ,
ჩავიდოდა აღმოსავლეთში.
ბედის რჩეულებს
უყვართ გულზე მჯიდის ცემა და
ციმ-ციმ მიაქვთ

გრძნობით სავსე
ოქროს ბარძიმი.
ჰო, ფრთხილად, ფრთხილად,
უცებ რომ არ წაიბორძიკონ
და თავზე ზეცა
არ დაექცეს კაცობრიობას
და უფლის ცრემლმა
არ წაღეკოს მიწა ცოდვილი
და აი, ასე,
გაბრუებულნი საბრადლო
კაცობრიობის სიყვარულით,
და აი, ასე,
„გაწამებულნი“ სხვათა ტკივილით,
მოდინ და მოაქვთ თასი
სავსე მხოლოდ ფუჭი სიტყვებით,
მოაქვთ და გზა-გზა
წვეთ-წვეთ იღვრება
ცრუ დაპირება,
ცრუ სიკეთე,
ცრუ მოწყალება...
ვთავისუფლდებით მათი ცრუ მადლის
აუტანელი სიმძიმისაგან...
მხრებში ვსწორდებით,
ჩავისუნთქავთ ჰაერს განწმენდილს...

როგორ ხარ ნეტა?

შენ ჩემში ცხოვრობ,
 თუმცა ცოცხლობ შენ ჩემზე მეტხანს,
 შენ ერთადერთო,
 სასწაულო,
 შენ, გულზვიადო
 ტკივილო ჩემო...
 მაპატიე, რომ
 ერთხანს კიდევ გადაგივიწყე,
 რომ შენი გული
 აღსავსეა კმაყოფილებით,
 რომ დაიღალე
 ფუჭ სიტყვათა ტკაცვა-ტკუცისგან,
 მე კი უსიტყვოდ, მორჩილად
 ვყლაპავ ერთფეროვანი
 სიტყვების მძივს და
 თითქოს ბედით კმაყოფილიც ვარ...
 ჩემო ამაყო მეგობარო,
 ჩემო ტკივილო,
 გთხოვ, მაპატიო,
 ეს მონური ქედმოხრა ბედთან!
 მითხარი, განა,
 ჩემზე მეტად
 შენ არა ცოცხლობ?
 და მადლი შენ, უფალო!
 საკვირველია, მზე კვლავ
 აღმოსავლეთიდან ამობრწყინდება,
 გადაივლის ზეცის ლურჯ მინდორს
 და ჩადის,
 ჩადის,
 დასავლეთში
 ჩაინაველება.
 16 17
 მითხარ, რომ ისევ
 ჩემთანა ხარ,
 სულიდან დევნი
 არარსებულ ცოდვებს

და ამით, გვონია,
 თითქოს განიწმინდე,
 რომ თითქოს ასე,
 უახლოვდები საკუთარ თავს და
 რა კარგია, რომ შენ არასდროს
 იქ არ გექებენ,
 სადაც წამითაც არ ყოფილხარ
 და მაინც ერთ დღეს,
 მოულოდნელად და შემთხვევით
 იგრძნობ, ძალუმად,
 შენი სიზმრების ყრუ საკეტთა
 კანკალს და ღრჭიალს,
 და უძილობის მტვრით
 დამძიმებულ შენს თვალებში
 ერთ ძველ შელოცვას
 წყვიადის მრუშე
 კვალი დაუტოვებია.
 და ირწვევიან,
 მძიმედ ირხევიან,
 შენს წინ
 ნატვრის ხავერდოვანი ფარდები.
 არ მახსოვს მხოლოდ,
 ო, ღმერთმანი, მართლა არ ვიცი,
 რამდენი წელი მოგეცი
 ჩემში ყოფნის უფლება?
 როგორა ცოცხლობ
 ამ ხნის მანძილზე?
 საკუთარ თავთან განშორებული,
 ამდენი წელი
 როგორა ცოცხლობ
 ასე, უჩემოდ?
 ჩემო ამაყო მეგობარო,
 ჩემო ტკივილო,
 ვერ გამიგია...
 18 19

წითელქუდა

არ გახდებოდა ცულის მსხვერპლი,
 ვიცი, ნამდვილად,
 თუნდ ექუნძულა დღე და ღამე
 მშიერი მუცლით,
 და მგლის ხროვასთან ერთად ალბათ
 იცოცხლებდა სიბერემდე,
 რომ ჰქონოდა მოთმინება,
 რომ სწორედ იმ დღეს
 არ გასულიყო ბუნაგიდან,
 ერთი ნახტომით თხრილზე
 რომ არ გადამხტარიყო,
 და არ გასაუბრებოდა
 იმ უღრან ტყეში –
 პატარა გოგოს –
 მონითულ კაბიანს,
 სიმღერ-სიმღერით,
 ხტუნვა – ხტუნვით
 მკლაფეზე – კალათით,

კალათი სავსე
 ტკბილეულით და ყვავილებით
 და კიდევ წამლით
 ავადმყოფი ბებისათვის...
 არ გახდებოდა მგელი მსხვერპლი
 მეტყვეის ცულის,
 უადგილოდ რომ არ ელაქლაქა,
 ბედს რომ არ გათამაშებოდა
 და კბილი რომ გაეკრა გოგონასთვის,
 ბასრი კბილი – მგლის ერთადერთი ღირსება!
 აღარ იქნებოდა
 პატარა გოგონა მონითული კაბით,
 მაგრამ იმ დღეს,
 მას წითელი ქუდი ეხურა.
 მოთმინება...
 მოთმინება – მგლის კეთილშობილებაა!
 20 21



ნუნუკა გურალია

და მჯერა რომ

იარები შენი მტკივა ძლიერ,
მტკივა შენი სისხლის ყველა
წვეთი,
ერთადერთო სალოცავო ჩვენო
გაიმართე სულ, სულ ოდნავ
მხრებში.

გაიმართე სულ, სულ ოდნავ
მხრებში,
აღლინდი ძველებურად რიხით,
ერთადერთო სალოცავო ჩვენო
შენი ტრფობით სანთელივით
ვიწვი.

მოიშუშებს მიწა ტკივილებს და
ცისარტყელა გადაფარავს
ზეცას,
ჩაწვევტილი გულის სიმი ჩუმად
გამთელდება და მოგიტანს
შეგებას.

იარები შენი მტკივა ძლიერ,
მტკივა შენი სისხლის ყველა
წვეთი,
მაგრამ მუდამ სიამაყე მძალავს
და მჯერა რომ კვლავაც
გაბრწყინდება.

სინუმეს ვებრძვი

თეთრ როიალზე თრთიან თითები.
სინუმეს ვებრძვი გაფაციცებით.
გადათოვლილან ღურჯი იები
ერთად რომ ვკრეფდით თავდავიწყებით.

ეხლა მარტო ვარ და მორიდებით
გიგონებ ჩუმად მდლიან ფიქრები.
თეთრ როიალზე თრთიან თითები,
სინუმეს ვებრძვი გაფაციცებით

შორით გავუბრი

შორით გავუბრი ფიქრს თავაწვევტილს,
მაფრთხობს ურჩი მზის მზერა ირიბი,
მინდა ოცნების ლამაზ ფერებში
ვიხეტივლო თეთრი ნისლივით.

გამურულ სხივებს გავალიავებ
მომნატრებია მათი ციმციმი

და მდუმარებით გადაღლილ დღეთა
გულის სიმების ჩუმი ღიღინი.

შორით გავუბრი ფიქრს თავაწვევტილს,
მაფრთხობს ურჩი მზის მზერა ირიბი,
მინდა ოცნების ლამაზ ფერებში
ვიხეტივლო თეთრი ნისლივით

დაგეძებ ყველგან

შენს ღურჯ თვალთაგან სანდომიანი
სათუთი მზერა ბევრჯერ მიგვრძნია
და სიყვარულზე მსურს გიგალობო
ჩემო პატარა ჩიტო-ნიბლია.

რად მომეძალა სევდა არ ვიცი,
თითქოს ცხოვრება ჩუმი ფიქრია.
დაგეძებ ყველგან დავიარები,
სად მემალები ვერ გამიგია.

გზაარეული თოვლში ვეფლობი,
სინუმეა და ირგვლივ ნისლია,
იქნებ ფიფქებმა გულში ჩაგიკრეს
და მოფერებაც მეტად იციან.

ოცნებაე ჩემო, შენს ღურჯ თვალთაგან
სათუთი მზერა ბევრჯერ მიგვრძნია
და სიყვარულზე მსურს გიგალობო,
ჩემო პატარა ჩიტო-ნიბლია.

შორს ხარ და...

ყვითელი ტიტები, ყვითელი იები
მდუმარე მთვარე და მზე.
მე შენით მსიბლავდა ღამაში დღეები.
ვეტრფოდი მათ თვალთა ფერს.

გავიდა წლები და ქარს გაჰყვა ოცნება.
სიყვითლე გადაჰკრავს მზეს,
ყვითელი ტიტები, ყვითელი იები,

ვარდებიც იცვლიან ფერს.

ნუ მიწყენ, მეტს ვეღარ
გეტყვი რომ მიყვარხარ,
შორს ხარ და ჩუმი ვარ მეც,
ყვითელი ტიტები, ყვითელი იები,
მდუმარე მთვარე და მზე.

სულგანაბული ჩუმიდ მოველი
გაფაციცებას იასამნისას,
რომ სიყვარულმა დამდალოს ისევე
და მეოცნებე თეთრმა მაისმა.

ვერ დააჩქებს მზეს ქარი ვერა,
მასთან უძღურობს წვიმა და
თოვა,
იცის სიცოცხლე მისით იწყება
და აღარ ძალუძს მას ქედის
მოსრა.

ამამაღლებს ფერთა სითამამე

მზით გარუჯულ გაზაფხულებს ვეტრფი,
ვეტრფი ზეცის გაღიმებულ ბაგეს,
სიყვარულით მოჩურჩულე წამებს
და უნაზეს დღეთა ამანათებს.

მხრებში თითქოს გავიშლები ოდნავ
ამამაღლებს ფერთა სითამამე

და ღამაში სტრიქონებით ფრთხილად
ვეფერები მის მშვიდ განთიადებს.

მზით გარუჯულ გაზაფხულებს ვეტრფი
ვეტრფი ზეცის გაღიმებულ ბაგეს,
სიყვარულით მოჩურჩულე წამებს
სულში სევდას ჩუმიდ, რომ მიქარვებს.





ნათია გოგიტიძე

* * *

შენი გარდაცვალებიდან ათი
თვის შემდეგ მადლობა მინდა
ვუთხრა ყველას, ვინც სამი წლის
მანძილზე ონკოლოგიურის გაყინულ
კედლებში მოდიოდა ჩვენთან და გაწვილ
ხელისგულზე მზეს მიტოვებდა,
ვინც ღოცვით და სიყვარულით მოგვიხსენია,
ვინც მოგვეფერა და ჩემი ჯვარი
ზიდა გოლგოთაზე...
მაპატიეთ, თუ მადლობა დაგიგვიანეთ...

* * *

მზე რომ დამწიფდება ბროწეულში,
ქარი მინდორს ჭრელ ყვავილებად
შეიპყრობს
და მდინარის რძისფერ თმაში ჩაწნავს...
ქალი, რომელსაც მთის ყვავილის სახელი
აქვს
სუსტ ბეჭებზე მოისხამს წვიმას
და თოვლის პეპლებს ფრთაფარფატი
დაედევნება...
ფიროსმანის მოპისპერანგა მებაღური
ფიქრის ბადეს ჩაშლის მდინარეში,
საცრისოდენა თვალებით დახრავს
გათენებას,
მზე რომ შეიპყროს და პეპლებს
დადევნებულ
ქალს უსახსოვროს...
ნაცირისფერ ქალაქში, სადაც არც ჭრელი
ყვავილებით

და არც მდინარის რძისფერი, პირველი
მარტით მოვა
გაზაფხული,
ნაცრის გაზაფხულზე
მეც სხვებივით ქოლგას შევეხიზნები,
რადგან არ მექნება ცისარტყელა,
ვერც თოვლის პეპლებით ავივსებ
თვალეებს,
რადგან მთის ყვავილის სახელი არ მაქვს
და ვერც ის კაცი,
მე რომ მეტრფის,
დამურასთვალებიანი და უმოვისპერანგო
ვერ მაჩუქებს გათენებას,
იმიტომ კი არა, რომ დაენანება,
უბრალოდ არ იცის მზე რომ მწიფს
ბროწეულში...

* * *

წუხელ იტირილე მარტომ,
ნეტა ვისი სიზმრით თბები...
მერანს კი გათხოვებს ტატო,
მაგრამ აღარ მოჩანს მთები...
ნაბდებადყრილები დგანან,
ხმლები შეაღწევენ ზეცას,

ისევ გეყვარები განა
ლექსის პერანგი თუ მეცვა?!
პოეტს რად უნდაო გული,
ლექსი მაჯისცემად კმარა,
გრანელს დავესესხე ფული –
დილა გამიფიროსმანა...

თეთრი მონასტერი...
მფარავს მონას მტკვერი...
მტკვარი წაუღია ფოთოლს.
შენი შემოდგომა.
მომე უფალო, რომ
თოვლა გვირილებით მოვრთო.

თეთრი მონასტერი...
მარტობა – მტერი,
სულის ცრემლის ცეცხლით ლესვა,
შენი მძიმე ჯვარი
მომე უფალო, რომ
მხრებზე თეთრ მტრედებად მესვას...

მტკივა გაცრეცილი მხრების
ფრთებშემორღვეული ლანდი...
სულზე დამჩნეული ხმლები,
სულს რომ სისხლის სუნი ასდის...
ახლა იმგვარია დილა
სხვა რომ მზის ამოსვლით ხედავს,

მე კი ყველა ბგერა მტკივა,
როცა ვინმე ამბობს – “დედა“...
ჩემი ტკივილების ქოხი
მხრებზე ხურჯინივით მადევს,
და გზა – ეკლიანი ნოხი
გამხდარ აჩრდილივით დამდევს.

მე დავივიწყე რომ ხარ ადამი,
ნეკნწართმეული კაცი საბრალო,
რომ შემიჭამე ვაშლი ნადავლი
და მერე ცოდვა გადმომაბრალებ.
მე წამოგყევი სამოთხიდან და
სიზიფეს ღოღი სულით ვათრიე,
სანთელი თვალებს ხშირად მთხრიდა და...

ისევ უცრემლოდ მე გააბატე...
ერთგული ვიყავ, - შენ ხმას იმადლებ,
მელიმილება, მყავდი რა ქმარი,
მე მჯერა შენი სიწრფეც, სიმაღლეც,
არ არსებობდა მაშინ სხვა ქალი...
მე დავივიწყე რომ ხარ ადამი...

ჩაკეტილი ვარ ფიქრის საყდარში,
მიდგას ავდარი და შენ გნატრულობ,
ოცნება მისდევს იმ ფიქრს მაყარში
და გზასაყარში ნატვრა მატულობს...
დაცემული ვარ, ცრემლი საცა ლეწს,
შემოეჭერი ამ ჩემს კარიბჭეს,
ნუთუ გგონია გეტყვი მაცალე,
ან უტყვი ტრფობის ტიალს დაგიჭერ!
ჰო, გადაგიჭერ ყელზე მათრახებს,

ათასი კოცნა თაფრეტს დაგახვევს,
მერე ნაგვემარს და ნაპარტახევს
განატრებინებ ტრფობის არტახებს...
დავხეტილობ ობოლ ბავშვივით,
ჩაკეტილი ვარ ოქროს საყდარში
მიდგას ავდარი და შენ გნატრულობ
ოცნება მისდევს ამ ფიქრს მაყარში
და გზასაყარში ნატვრა მატულობს...

* * *

აწი წითელ ყაყაჩოებს თუ მოვიხდენ,
აწი წითელ მხეს ცივ სისხლში
გაეხედნი...
ცა მყავდა და უფსკრულეთში გადამიხტა...
მზემ ჩაიცვა ჩემი სულის თალხეთი...

მაინც წითელ ყაყაჩოთა შევკრავ კონებს
და, საფლაგზე კოცონებად დაგინთებ,
შენ კი შვილო, ზენა ციდან ჩამეკონე
და ეს ბნელი დედამიწა გამითბე.



გოგი დგებუაძე



X X X

რომ იმდერო, ამისათვის
ხმაც ხომ ხელს უნდა გიწყობდეს;
თუ სმენაში მოიკოჭლებ,
სურვილი გაქვს, არ გინდოდეს,
შეეცადე არ იმდერო,
ყრუსთანაც რომ გაგდიოდეს.
თუ მოსმენის უნარი გაქვს,
ეს ბევრს ნიშნავს, რომ იცოდე.

უპატრონო საშლავთან

შენ დაავიწყდი შეილსა და მოდგმას
და ეს სიტყვები ამაზე მოთქვამს.
იქნებ დაბერდა და დაძაბუნდა
და ვერ ახერხებს საფლავის მოვლას.
მაგრამ ვაი, რომ ბევრია ასე,
პატივს არა სცემს მშობლების ხსოვნას.
სასაფლაო კი ეკალ-ბარდს ებრძვის
და დავიწყების სუდართით მოსავს.

დრო აფერმკრთალებს ყველაფერს ჩვენში,
ცხოვრება გვიწყობს მრავალ გამოცდას.
ყველაფერს დრო აქვს, ყველაფერს – ბოლო,
და ველოდებით ყველა აქ მოსვლას.
სასაფლაოთა მღუმარებაში მარადიული
სიჩუმე სუფევს. ეს ის სახლია მარადიული,
პატივისცემას რომ იმსახურებს.

X X X

ყველაზე დიდი ვაჟკაცობა
სიმართლის თქმაა,
მაგრამ მართლის მოქმედს
არ წყალობენ არც შინ,
არც გარეთ.
ამიტომ არის, ბევრი პირში
წყალს რომ იგუბებს;

ბევრი შიშისგან ტყუილებში
ცხოვრებას არჩევს.
სიმართლე ხშირად მწარე არის
ყურის სასმენად,
მაგრამ სიმართლით შეიძლება
სწორ გზას დავადგეთ.

X X X

არვინ არ იცის, ვის რა მოეწიას,
თუმცა გამოცნობა არცთუ ძნელია,
ჩვენ როცა წავალოთ, აქ სხვები მოვლენ,
ასეთი არის ჩვენი ბედია.

მარადიული არის სოფელი,
სტუმარს რა დალევს, ძალზე ბევრია.
როდესაც წავალოთ, ნაგავს ნუ დავრი,
გასუფთავება ძლიერ ძნელია.

X X X

დღეს მათხოვარი მათხოვარს არ ჰგავს,
მაგრამ ის ქალი, ქუჩაში რომ დგას,
გამვლელ-გამომვლელს სუყველას ღოცავს,
და თუ იქ ვინმე რამეს გაიღებს,
მადლობას ეტყვის, გზას დაულოცავს.
შავებში ქალი, მოხუცი ქალი,
დღეს გულგრილობას არა აქვს ზღვარი.

მე გეკითხებით: – ვართ კი მართალნი,
რომ ის გავხადეთ დღეს მათხოვარი...
მაგრამ ის ქალი, ქუჩაში რომ დგას,
არ გაბოროტდა, ის მაინც გველოცავს.
შენ, ჩემო ძმაო, რამ გაგახელა,
შურისძიების რადა გკლავს ბოღმა!

X X X

შეშინებული ეს ჩემი ხალხი,
ვერ გაუგიათ მტერი სად არის,
და ერთმანეთის ჯიჯგნა-ჭამაში,
ცხოვრება მიდის, მიდის ტანჯვაში.
შეშინებული ეს ჩემი ხალხი,
ვერ გაუგიათ მტყუნ-მართალი.
მტერს მოყვრისაგან როცა ვერ ვარჩევთ,
იქ მოიკოჭლებს თვით სამართალი.
შეშინებული ეს ჩემი ხალხი,

გაბრიყვებულნი რომ ვართ მრავალნი,
რატომ ვახარებთ მტერს მოძალადეს,
ჩვენ არვინ არ გვეყავს დასაკარგავი.
შეშინებული ეს ჩემი ხალხი,
მრავალტანჯული ნაცემ-ნაწამი.
მტერს ეშინია, ერთად რომ დავდგეთ,
ერთად დგომაა ჩვენი წამალი.
და მაშინ მოვა თავისუფლება,
თავისუფლება ასე ნანატრი.

X X X


ჩემი ხმა ვერვის ვერ მივაწვდინე,
თუმც მცდელობისთვის თავსაც არ ვიკლავ.
ხანდახან ფიქრობ, თავს ვეკითხები:
– იყავი მშვიდად, რა გრჯის, რა გინდა?
მაგრამ როდესაც სამშობლოს ვკარგავთ,
.

შენ ჩუმადა ხარ, გული არ გტკივა,
ქართველი გერქვას – ეს სირცხვილია,
შენ სხვა სისხლი გაქვს, გითხრა არ მინდა,
ხან სპარსოფილი, ხან რუსოფილი,
ოცდაათ ვერცხლად გვეყიდი მაღიმაღ

ამას ისინი თვითონ ამბობენ

რად მივძვრებით იმ უღმერთო ქვეყანაში,
იქ დიდ ეშმაკს ღრმად ფეხვები გაუღვია,
არ ჩერდება, საცეცებით ყველას ახრჩობს,
ყველაფერი საკუთრებად გაუხდია.
რად მივძვრებით იმ უღმერთო ქვეყანაში,
სადაც ცრემლი, სისხლი მრავლად
დაუღვრიათ,

ეს ხომ „ხალხთა სატანჯველი ციხე“ არის,
მე მაწუხებს, ბევრს ეს რად ვერ გაუგია.
რად მივძვრებით იმ უღმერთო ქვეყანაში,
თავის ხალხი მონებად რომ გაუხდიათ,
განკითხვის დღე როცა მოვა, დამიჯერეთ,
დამთავრდება უღმერთოთა აღლუმი.



ნანა ვაშაკიძე

რატომ დაგეტებ

დამთენებია თავზე ფიქრებში,
სულშიც ფიფიქვით მოუთოვია.
მზერა წასულა შორით, ნისლებში,
ბედი, ჭირხლივით მოუქსოვია.
რატომ დაგეტებ ვერ გამიგია,
წარსულის თრთვილი კვლავ თმაზე მათოვს,
ეს ნაღვერდალი ვერ ჩამიქვრია
რა ვქნა, რა ვუყო, თუ ისევ მახსოვს...
მეწვიე სიზმართ სამეუფოში,
გზად გამიყვანე, ხელი მომხვიე...
ამ უღიმღამო ლაბირინთებში,
გრძნობის სამოსი შემომახვიე.
მე ხსოვნის ფერფლი გადამიყრია,
მოდი გავექცეთ ამ აურზაურს.
გისმობ და მაინც ვერ გამიგია,
დღეს რა დავარქვა ამ გულის ხმაურს.

ჩემო სამშობლო

ჩემო სამშობლოვ, მრავალტანჯულო,
დამცრობილო და ამოშანთულო,
სწრაფადმსრობოლავო, შავო მერანო,
უფსკრულის ძირას ღამში ჩანთქმულო.
სინდის-ნამუსთან გადაჭდობილო,
გლეხის მარჯვენით, ამოქარგულო...
მიწის სურნელით გაჯერებულო,
ქართველის სულო ამორახტულო.
ქართველო ქალო, სიბრძნის დამდგენო
სინათლის ზვრებო, ზღვაში ჩაფლულნო,
ციურო ცვარო, სიცოცხლის წყარო,
ჩემო ტკივილო და სიხარულო.
მოყვასის გულო, გიჟმაჟო სულო,
დაუმონავო, წელ-გამართულო,

გვირისტ-თეთნულლო, ქათქათა მთებო,
ხეობის ჩქერში ცრემლად ჩაღვრილნო.
მზით დაფერილო ქარვის მტევნებო
ოქროს ყანებო ფაფარ-აშლილნო,
არვის მონავ და სხვისო მძევალო,
ჩემო სამშობლოც, მოფარდაგულო.
სამების ჯვარში დაზაგებულნო,
ქართლის მინდვრებო – ცით მონაბღულნო;
სისხლით მორწყულო ადგილის დედავ,
გმირების ძვლებით გამოჩარხულო,
ცალუღელად ვარ საზღვრების იქით
თმას სევდა თავზე შემომნაცვრია.
მიტომ დავთვერი ცრემლების ჭიქით,
და მგლოვიარე კაბა მაცვია.

საბა მოძველი

ბეჟან ხარაიშვილს

არ იფიქრო, ბიჭო, ბეჟან: -
- ძმობა ფეხზე დავიკიდე,
ანთოლოგიაში ექვნად
შენს სახელზე თავი მიდევეს,
ვიდრე სისხლი გულს აბგერებს,
ელვას მივდევე ნაღმიანებს,

თბილისია, თუ საჩხერე,
შენს ლამაზ ლექსს ვახშიანებ...
თუმც აავსეს ცა იჭვებმა,
გზა შაქრობს და გზა თაფლაობს,
მკერდში ჯერ არ გაიჭრება
„გული - დიდი სასაფლაო“.

ხვანის დილა

ჩამოდის წვიმა კოკისპირულად
შავლეგა ღრუბლის ღია ტუჩიდან,
ფოთლის ქუდებით მოჰქრის ძირულა
ლამის, იტაცებს იას ბუჩქიდან.
ძირულას პირზე სიმებ-შეფენილ
სოფელს ხის სახლი კდემით შერწყმია
წვიმას გაურბის ხიმე ბებერი
და შალმოსხმული ჩემი ბებია.
დარბის აზა და სხივზე - სხივთვალამ
ის წვიმამ იცის რამდენს იცინებს,

მწვანემოლიდან, ისე ვით ქამას
ჰკრეფს ნატვრისთვალი ფრთათეთრ
წიწილებს...
წვიმა კი მიდის ხევში მგზავრულად,
ზაფხულის წვიმაც თუ ამას ჰქვია,
ქვევრთან პირსველი ხვნემის ბარულა
ჩახრამავს ვენახს, - სწუხს მაღაქია...
უცებ ინათა... კონცხზე ჩაწურულ
დეღემას თანდათან დარი ჩაგრაგდა...
ღრუბელი ჰგავდა ფოცხვერს გატრუნულს
მაგრამ მზეს ახლა ბრჭყალს ვინ გაჰკრაგდა?

არ ვარ უკვდავი

ნატვრებში მაღალ ზეცას ვწვდებოდი,
ზაფხულში ვიყავ მზე ფოთლებისთვის,
ასე გულდაგულ ვემზადებოდი
მართლაც ნანატრი შემოდგომისთვის.
როგორც შევძელი ვრეცხე ქვევრები,
თეთრი ყურძენი ხვნეშით დავწურე,
მაგრამ იღბლიანს ვეც მე ვედრები
ახლა უმწეოდ ქვევრში ჩავყურებ...

რა ვქნა, ბადაგმა არ დაიღვინა,
სიმღერით ვედარ ათბობს იარებს,
ნაჟური სიტკბომ გადაიბირა
ქვევრში ღვინო ვერ ვახოშიანე.
არ ვარ უკვდავი, მეც კარგად მესმის,
რწმენა ჩემს გულთან დაიმარხება,
ჩემს თავს არ ვდარდობ, მე წავალ კვნესით
ვდარდობ – სულს შიში ცაში აჰყვება.

ფოთოლი

ასეთი ხმა გაისმის
თითქოს ბუსაც ენებოს,
საქართველო თავისთვის
ოღონდ უქართველებოდ.

თუმც აქვს თავის სატახტო
ღამეული მთქნარება,
მეუზოვეც არ ნატრობს
ხეს ფოთოლი არ ებას.

ფიქრის თავანი


შემომეჩვია ფიქრი სიკვდილზე
მიახლოვდება ღოდის ტრაული,
რაც მიცოცხლია მითვლის სიგიჟედ
კართან მომდგარი ჭოტის ხმაური.
ლექსს ვერ ვუტოვებ მამულს ხალებად
ვერა, ვერ ვპოვე თესლი ყვავილთა,
ველოდი ბედის ამომთვარებას
რაც მქონდა, ისიც ცეცხლში შთაინთქა.
დარდმა და სევდამ გამიზეპირა
სულში ობლობა ღვივა ღივლივით,

ჩემი ტკივილი არვის ეტკინა
მე თვით მტრისაც კი მტკივა ტკივილი.
ჟამმა დაბზარა პაპას ქვევრები
ჟამმა მარგუნა დიდი წვალება,
საბრალო გული დამაქვს ხელებით
შეშინებული ჩიტის თვალება.
და რომ გაცვდება ფიქრის თავანი
რომ დამტოვებენ ბოლოს ფაცვრთან,
წინასწარ გრძნობდა: იტყვის მრავალი
თოვრემ ამ ლექსსაც როგორ დაწერდა?!

აღინა კუპრავა

58-ე გაზაფხული

მ-ამავ ყველაზე ძვირფასო ჩემთვის,
 ა-მაყად ვამბობ გმირი ხარ ჩემი,
 მ-ამავ ყველაზე ტკბილო არსება,
 ა-მ ლექსით მინდა შექება შენი...
 გ-ილოცავ კარგო დაბადების დღეს,
 ი-ბედნიერე იხარე მუდამ,
 ლ-ამაზ თვალებში მზის შუქი გედგას,
 ო-ჯახს ხომ შენი მხნეობა უნდა...
 ც-იდან უფალი მუდამ გფარველობს,
 ა-რ შეგაშინოს ქარიშხლის ქროლამ,
 ვ-აუკაცი ხარ და მამაცი სულით,
 დ-ავგიმტკიცა ეს შენმა კაცობამ...
 ა-რავინ იცის რა განსაცდელით,
 ბ-რძოლით, ტანჯვით და რწმენით იცოცხლე,
 ა-ღარ დანებდი ყველაზე წმინდა,
 დ-ედის გვანუქე შენ ჩვენ სიცოცხლე...
 ე-ნერგიულად დაუღალავად,
 ბ-ილიკს გაჰყევი შენი ოცნების,
 ი-რგველივ არავინ აღარ შემოგრჩა,
 ს-ულ მარტო ზიდე ტვირთი ცხოვრების...
 დ-ავიდგა უამი ბედნიერების,
 დ-მერთმა გაცოცხლოს აწ ასი წელი,
 ე-ს ლექსი მამი შენ მოგიძღვენი,
 ს-აამაყო ვარ მე შვილი შენი.....



ჩემი პატარა ვაჟკაცი

მინდა მოგიძღვნა ლექსი,
 სახსოვრად ამ ლამაზ დღეს,
 გისურვო ჯამრთელობა,
 თავს არ მოგაწყენ მე ბევრს.
 როგორ გაფრინდა წლები,
 ოჯახს მოესწარ კაცი,
 საქართველოსთვის კი ხარ,
 საამაყო ვაჟკაცი...
 იბედნიერე მუდამ,
 მშობლებს უხარე გული,
 არ მოგკლებოდეს კარგო,
 შენ უფლის სიყვარული...
 თორმეტი წლის ხარ უკვე,
 შეგსრულებოდეს ასი,
 გაზრდილიყავი გიო,
 მამულიშვილი კაცი.....



დეიდასაგან
 2013 წლის 15 მარტი

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე



რად გქვია

სულ გვერდით მახლდი მთელი ცხოვრება,
ერთად ვკაფავდით სწორსა თუ დამრეცს,
შენში რომ ვიცან ის ერთგულება
იყო დღეცა და ის იყო ღამეც.

ბედის წინ ყველა მორჩილი ვხდებით,
ამაო არის ყოველი ძალი,
მე მაინც ვერა და ვერა ვხვდები,
მასეთ გონიერს რად გქვია ძაღლი.

ხან თავსაც სწირავ, უტყვო ერთგულო,
უგულონი კი რა ვალს გადებენ,
თვალში მაცქერალს გიდვას წუთები,
ხან, ძაღლადაც კი, რომ არ გაგდებენ.

„ძაღლის ბედი გაქვს!“ – ასეთ გამოთქმით,
თითქოს შენ ფარცავს არას მოხვდები,
ოთხივ ფეხი რომ იტკინო ერთად,
რომ კოჭლობითაც კი არ მოკვდები.

სიკვდილის დროსაც არვის აწუხებ,
მიდიხარ შორსა – მინდორსა და ხევს,
ერთმანეთი რომ წამში დაფესკოთ
ძაღლი, ძაღლის ტყავს, თითქოს არ დახევს.

მიწაა შენი რბილი საწოლი,
დასაგებელი ვით დაბამბული,
შენს გარდა არვის არ აქვს მისჯილი,
რომ სამუდამოდ იყოს დაბმული.

სიცოცხლით ხვდები ყოველ ცისმარეს,
წელს არ იწყებებავ ღამენატეხი,

არ ვყოფილვარ არასოდეს
შენდამი უჭვიანი,
თუმც, მგონია – ხან გიჟი ხარ,
ხან, ყველაზე ჭკვიანი.

ამ წუთისოფლის პრეტენზიად გაქვს,
ერთი ძვალი და პურის ნატეხი.

ვინ იცის გულში რა სამსალას გრძნობ,
ფულზე გამყიდველს როს პატრონს ეძებ,
ენა რომ გქონდეს შენ ერთგულება,
გესწავლებინა ზოგისთვის ეგებ.

„მთვარიეფუიას“ რომ გეძახიან,
თითქოს ვალი გაქვს მიწის ანდა ცის,
ზოგჯერ თვალს თვალში ისე გამიყრი
თითქოს თქმა გინდა გულით რაღაცის.

შენი ცრემლები შემიმჩნევია,
არ შემინიშნავს მხოლოდ სიცილი,
ე მასეთ ძაღლურ სიცოცხლისათვის,
მოგერგო მხოლოდ კუდის ქიცინი.

ხან საქილიკოს გარქმევენ სახელს,
ან ძირითადად გქვია მურია,
მოწყალებათ – ლუკმის მოგდება,
როცა გშია და როცა გწყურია.

„კაცი ძაღლია“ – როცა ბრძანებენ,
შეურაცგელოფენ თითქო შენ არც კი,
საკითხავია - „კაცია – ძაღლი“?
სინამდვილეში თუ ძაღლი – კაცი?...

მასეთი ყოფის შემცველი ქვეყნად,
არავითარი არაა ძაღლი,
ყველა ენაზე კაცის მომსმენო,
მასეთ გონიერს რად გქვია: - ძაღლი?!...

გიჟი ხარ

საამბობო! ხან ლექსი ხარ!
ხანაც ტკბილო არაკო!
მიყურებ და ვერა მხელავ –
რადა გელაპარაკო...

წელილი

მთელი ცხოვრება ნეტავ რა დათვლის,
გული ბოდმისგან რამდენჯერ კრთება,
სულ ერთადერთხელ ადამიანი
სულ ერთადერთხელ ბოლოსა კვდება.

შეიცხადებენ მოკვდავი თითქოს
გულგამგმირავად ლამის წივიან,
მიცვალებულის მიცვალებაში
ვინ დათვლის, იქ მყოფთ,
ვის რა წელილი აქვთ.

ცალ-ცალკე

სიმართლე თვალის ჩინია,
ჩინიცაა და თან სარკე,
დღისით სუყველა ერთად ვართ
ღამე კი გვიძინავს ცალ-ცალკე.

ჰოდა, რომ გვიძინავს ცალ-ცალკე,
ახლობლებს, უცხოს და შორებს,
მე ისეთ ღამეს რა ვუთხარ –
მე და შენ, რომ დაგვაშორებს.

მეგობარ პოეტებს (ვუძღვნი დურმიშხან კუპატაძეს, იური ჯინჭარაძეს, დავით მჭედლურს.)

როგორ გიტირებთ... თვალწინ მიდგახართ...
მწვავს გულის ფიცარს თქვენი ლექსები,
კვლავ ძველებურად გეფერებით და
კვლავ ძველებურად გეაღერებთ.

ღრმად მწამს სასწაულს დამიჯერებენ,
ერთმანეთს კვლავ რომ ვესაღბუნებით,
ერთია... მე ხმით ვმასლაათობ და
თქვენ კი... – სტრიქონით მესაუბრებით.

იყოს ღიმილი

შენ, ცოლ-შვილი გყავს და მე ქმარ-შვილი
შვილები? ღმერთმა ასად გვიქციოს.
ჩვენი კერები? - ჯვარი ეწეროს
ღმერთმა არასდროს არ დაგვიქციოს

მაშ რაღა დაგვრჩა, ერთი ღიმილი?
და რომ წმინდაა, როგორც სანთელი?
იყოს ღიმილი, რადგან ასეა,
ილაპარაკოს ჩვენი სათქმელი.

ვერ მოგიკარე

მომეჩვია ერთი მტრედი,
მოფრინავდა სარკმელთან,
ოთახშიაც ჩემთან ერთად
იდგა ხშირად სარკესთან.

წარმოდგენა რომ არ მქონდა,
- მივდიოდი გზაზედა,

იქაც დამასკუბტებოდა
უცაბედად მხარზედა.

თუკი სადმე ვიყავ სტუმრად,
შეჰყურებდა იმ კარებს,
შენ კი, ვერა მოგიხერხე,
ახლოს ვერ მოგიკარე.

ქმარმა ვერ იეჭვიანოს

თვალეებით ვზომავთ ერთმანეთს,
თუმც ახლოს ნაბიჯს ვერა ვდგამთ,
და მაშინ როცა ოცნებით
ვერც მთას მთის მაღლა ვერა ვდგამთ.

მაინც ხარ ჩემი საუფლო,
შავტუხა, თვალეჭკვიანო!
სტრიქონით ჩაგეკონები,
ქმარმა ვერ იეჭვიანოს.



დავით ტიგინაშვილი (ივრისპირელი)
საქართველოს მატინე

ეძღვნება სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს,
უწმინდესს და უნეტარესს ილია II-ს

აყვავებულა ქვეყანა,
ცაში ჭიკჭიკებს ფროთოსანი,
იხარე, ჩემო სამშობლოც,
სიტყვას იძახის მგოსანი.
ღმერთო, ნეტავი ამ ლექსის
რითმები არსად გამექცეს,
თუ რამე გულით არა ვთქვა,
თავზე ოჯახი დამექცეს.
ნეტავი, ჩემო სიტყვაო,
ქართველს დასდევდე ლანდივით,
ისეღამც დამშვენდებოდე,
სულში ჩაგაწნა ვარდივით.
იმღერეთ, ჩემო ბჭკარებო,
ღვინო დამისხით ლომფერი,
იქნება ისე ჩამავთვრე
გული გამისკდეს ოხერი.
ცრემლი მიმძიმებს წამწამებს,
როცა გავხედავ ანანურს,
რა შეედრება ცისკარზე
კელაპტრიშვილის საღამურს.
რა სუფრა გაიშლებოდა,
შენ არ დაგეტკბო ოხერო,
სადა ხარ, ქართველის ბუღბუღო,
გონაშვილების ბოკვერო?!
დიდება, ვინაც პირველად
მაღალი ღმერთი ახსენა,
ვინც ქრისტიანად განათლა
ჩემი გოგლა და არსენა.
თვით ლომებს ერკინებოდა
ბერმუხა კულა-გლდანელი,
ღმერთმა აცხონოს, ბიჭებო,
ჩვენი ტერენტი გრანელი.
კაცი ყოფილა, ვენაცვლეუ,
საუფლო გზა გაიკვალა,
რომ მარგარიტას აჩუქა
მთელი ცხოვრება ნიკალამ.
ღვინო დამისხით, ლომებო,
გადააწოდეთ ჭიქა შვილს,
ერთი დამწვრისა ვუმღეროთ
ტატოს, ბესიკს და გრიშაშვილს.
ღვინით მოვურწყათ საფლავი
გულზედ შევუხსნათ საკინძე,
ილიას, ვაჟას, აკაკის
და გალაკტიონ ტაბიძეს.
შენ შემოგვევლე, სიცოცხლეც,
შენმა ნათელმა განგებანოს,
გოგებაშვილის ენაც და
ჩემო ქართულო ანბანო!
ერთად ვიმღეროთ, მგოსნებო,
ლექსები შევქმნათ საჩინო,
ეს მაღლიანი ქვეყანა
როგორმე გადავარჩინოთ.

დიდება უფალს, ლოცვები
დილას კვლავ გავიმეორე,
რომ მოგვივლინა ღვთის კაცი -
წმინდა ილია მეორე!
მისი ლოცვით და ვედრებით
მშვიდობის დილა თენდება,
დედა ღვთისმშობლის სამოთხე
არასდროს გადაშენდება.
გამთლიანდება ქვეყანა,
მთვარე დაჰყურებს ალავერდს,
ნიკოფსიდან - დარუბანდს
მაღე გადავალთ ალავერდს.
დავლოცავ, ოქროს აკვანი
ვინც გულზედ გადამარწია,
ვინც კლდეში აჩუქურთმა
უფლის ციხე და ვარძია.
ნეტავი, ქართველის საგანძურს
შვილივით ვინ ჩაიშვილებს!
ერის მადლობა ექვთიმეს,
მის მოღვათა თაყაიშვილებს!
ამალოკინა ნეტავი,
პაპის წვერ-უღვაშ-შუბლია,
ჰაი, დედასა, მათ ანდერძს
უკვალოდ არ ჩაუვლია.
ხის კავიანო გუთანო,
შრომის დრო დადგა და ხანი,
სისხლით მორწყული ყამირი
ზედ გულზედ გადამახანი.
მომნატრებია ცრემლიანს
ხანდახან პაპის სილაქი,
ძველთ ნამუხლარზედ ვახაროთ
ჩვენი ჯიში და ჯილაგი.
კევრით გალექსეს ბაღლები
ჯერ ხელშიც არ აგვეყვანა,
მაინც ლომივით ღრიალებს
ჩვენი ლამაზი ქვეყანა.
ალაზანივით ოდესღაც
ჩამოგვივლია ჩვენს მდორედ,
ამ მიწას გამოუზრდია
ცოტნე და ბერი თვედორე.
ალბათ, იმიტომ გაჰკვივის
ყოველ ცისკარზე მამალი,
რომ ტრფობას დაუფერფლია
დიდი შოთა და თამარი!
რა მშვენებაა, უფალო,
ნიკორწმინდას და ზედაზენს,
რომელ ტაძარში დავანთოთ
შვილო, სანთელი მე და შენ.
ქართული მირონისათვის
დღესაც ცრემლებით სტირიან,
დიდი პატივი მივაგოთ
ფარნავაზს, ნინოს, მირიანს.

გიზგიზებს ძველი ბუხარი,
 მიკვლე მოგვადგა მურაბით,
 ვაიმე, სურამის ციხეც,
 ცრემლი ჩამოგდის ზურაბის.
 რას გვამცნობს ჟამთაღმწერელი
 კრწანისს, მარაბდას, მარტყოფსა?
 სისხლის ტბორები დამდგარა
 გადაუვლია ღვარცოფსა.
 ჩვენს მტრებს და ამმაოხრებლებს
 ერთად შეჰყურიათ ბნედაო,
 რა სინანულით დაჰყურებ
 ძველ ნარიყალას დედაო.
 რა ცოდო-მადლი ტრიალებს
 ღმერთო, ადამის ხანიდან,
 გურამიშვილი ლეკებმა
 მოგეტაცეს ლამისყანიდან.
 კაეშანმა და სატანამ
 ლამის ერთმანეთს აკოცეს,
 ვაიმე, დავით გარეჯში
 წმინდა ბერები ჩახოცეს!
 წმინდა გიორგში ვილოცებ,
 სანთელს დავუნთებ ხატსაო,
 თელავში მუხლზედ ვემთხვევი
 მეფე ერეკლეს ხმალსაო.
 თავდადებულნი გმირებო,
 თქვე მტრისა სისხლის მსმელებო,
 ლაშარი ჯვარი გვარავდეთ,
 ვაჟკაცნი არაგველებო!
 რა არის მასზედ ძვირფასი,
 ალალ გულით რომ დალოცავ,
 ბებერ ზარებს რომ ჩამოჰკრავ,
 დიდ რუსთველის სალოცავს.
 გენაცვლე პაპის ვენახო,
 ხომ ხედავ, ველარ გეშეგები,
 შემოაქსოვე სამშობლოს.
 ეგ შენი ჯაჭვის ფესვები,
 რომ ერთხელ ზეციურამდე
 შენი სურნელი ავარდეს,
 მტერიც ჩამოთვრეს ოხერი,
 ხმალი ხელიდან გავარდეს.
 დამეს კივილით აყრუებს,

კვლავ შფოთავს გარდასულიო
 უჯარმის ციხე-ნანგრევში
 ვახტანგ გორგასლის სულიო.
 გული სიცოცხლით მევსება,
 ბაგრატ-გელათის მსხენებელს,
 დიდება საქართველოს და
 დიდება აღმაშენებელს!
 ვაიმე, დედის ცრემლებო,
 ცაში არწივთა კივილო,
 ლომგულა სააკაძის და,
 ო, ქეთევანის ტკივილო.
 ჩამოუქროლებ ალავერდს,
 მივეგებები მაყრიონს,
 ალუდა ქეთელაურო,
 დაგელოდები ბახტრიონს.
 გული გამკაწრეს ოხერი,
 მთის არწივმა და ძერამა,
 დამღალა ბაგრატოვანთა
 თვალცრემლიანმა მზერამა.
 ხმალი ავლესოთ არაგვზე,
 შე, გულკლდიანო ფხოველო,
 შენ დაიფარე სამშობლო,
 ჯვარო და სვეტიცხოველო!
 ამ ლექსის მადლი გამიწერეს,
 ჭინკა დამაჯდა მხარზედა,
 მზევარსკველაველი მეძახის,
 ჩვენთან ამოდი ცაზედა.
 ავალ და წვიმად წამოვალ
 მტრის გულის დასამარხადა,
 მინდორს მოვაბნეე ყაყახოს,
 ქართველის ბალ-გენახს დაგხატავ.
 ისე დაგივსებთ ქვეურ-მარანს,
 აკივლდეთ სადეგემიროთი.
 მგონია ომში დაღლილნი,
 ტანს იზელავდეთ ღვინოთი.
 იქუხე მატთანურო,
 მადლი მათ კარგად მსხენებელს,
 დიდება საქართველოს და
 მომავალ აღმაშენებელს!
 2012-2013წწ.

დიდ საქართველოს!

მრუდე ვაზების ჩამონაჟურო,
 შენ ჩაამატრე ადამის მრევლი,
 შენ მირონი ხარ საქართველოსი
 და წმინდა ნინოს ალალი ცრემლი.
 ქართული სუფრა არის რჩეული, -
 სტუმართმოყვარე აკადემია,
 პურ-მარილისთვის დავბადებულვართ,
 ისე სიკვდილიც არ გვიწერია.
 მრავალუამიერ, ჩემო ქვეყანავ,
 შენი სახელი ზეცამ გვამცნობა,
 შენ შემოგვევლოს ჩემი სიცოცხლე,
 ჩემი ლექსი და ჩემი კაცობა.
 ო, საქართველოვ, ჩემი სიცოცხლის
 აღმაფრენა ხარ და გულის ფეთქვა,
 შე დალოცვილო, ვაზო ქართულო,
 შენი დუდილით მტრის გულებს ხეთქავ.

ხანდახან ჩემთვის ჩავფიქრებულვარ,
 რამ წამიკიდა ამ გულზე ცეცხლი,
 ან სიზმარშიაც რად მეღანდება
 ქამარ-ხანჯალი ქართული ვერცხლის.
 რა წინაპრების სისხლით ვიარეთ
 და არ დავდლილვართ სიკვდილთან დავით,
 თითქოს ცამდე ხარ ამადლებული,
 როცა დალოცავ თამარს და დავითს!
 დაგრეხილ ვაზის ჯვარის წინაშე
 მადლობა შენდა, უფლის ნათელო,
 მაშ, გაუმარჯოს ღმერთის ნაჩუქარ
 ღვთისმშობლის წილხვედრ დიდ
 საქართველოს!

2012-2013წწ.



თამაზ ცაბუტაშვილი

ვედრება

თენდება ახალი დღე,
 ცოდვაზე ვუმატებ ცოდვას.
 გამხმარა ის ნორჩი ხე,
 რომელზეც ფოთლები თრთოდა.
 წივიან სატანის ხელში,
 ცნების და დაცემის ნუსხა.
 სული კრთის დღენათელ ბნელში,
 და ჩემი სიშლეგე სუსხავს.
 დამყვება სიკვდილის შიში,
 ვდგარ-პოს იდუმალ სახლში,
 იღვიძებს ნაცნობი გიჟი,
 მიწიურ ედემის ბაღში.
 უფალო! შეუნდე ცოდვილს,
 ათასი ბოროტი ზრახვა.
 მიწაზე უცეცხლოდ მოდი,

სხვაგვარად, ვერასდროს გნახავ.
 ამ სულში გაჰკვეთე ბნეელი,
 ამაზრზენ ეშმათა გუნდი.
 დამსხენი „ედენუს გვეკუ“,
 ვისგანაც პირველად ვცდუნდი.
 მოუღბე უმადურს გული,
 მონანულ ცრემლებს დენით,
 ინებე არ ვიყო კრული,
 მომმადლე რომ მერქვას შენი.
 ვაი, რომ საზღაურს ვუწეო
 და მაინც ვსულდგმულობ ცოდვით.
 უფალო, შემინდე! ნუ გვწინს,
 მიწაზე უცეცხლოდ მოდი!

თბილისი. 2000 წელი

გამარჯობა

გამარჯობა! ჩემო მთებო „ქიზიყისაგ“,
 გამარჯობა! მზეო, მზისად სადარებო,
 გამარჯობა! ქვეყანაო, ღვინის სმისაგ,
 გამარჯობა! ხელის გულზე სატარებო.
 გამარჯობა! ვენახებო მადლიანო,
 გლეხი კაცის საზრუნავად გაჩენილო.
 გამარჯობა! „ოროველაგ“ დარდიანო,
 სატრფოს ფიქრო, აჩრდილივით აჩენილო!
 გამარჯობა! სიყვარულის სამღერებო.
 სიცოცხლეო! კაცურო და აზრიანო,
 სადღეგრძელოდ ანთებულო სახელებო!
 და ქვევრებო აღუდებულ მაჭრიანო.
 გამარჯობა გოგო! ჩითის კაბიანო,
 გაგიჟებულ პოეტების საფერებო.
 თვალთა კრთომაგ, ბაგვე ზილიფ-ვარდიანო,
 ლექსების და ოცნებების ჩანჩქერებო!

გამარჯობა! მამა-პაპის წმინდა ძვლებო,
 მიწის გულში, სიმღერებად ჩაკორძილო.
 შავო ჩოხაგ - „შავლეგისაგ“, შავო მხრებო
 და მერცხალო! ალაზნის პირს გაყოლილო.
 გამარჯობა! ჩემო დედა ღვთისმშობელო,
 ზედაშეო, თისაგ, ღვინით ნაკურთხევომ
 მომენატრე ღოთიანო სადღეგრძელოვ
 და ცისკარო ღოცვით ღამე განათევეო.
 გამარჯობა! „ალავერდის“ გუმბათებო,
 „ნინოს თმებში“ ჩახვეულო ვაზის ჯვარო.
 მომენატრეთ! გლეხკაცებო, სულმნათებო,
 ჩემო მიწაგ, მიწაგ ლექსად საფიცარო.
 გამარჯობა! ჩემო მთებო „ქიზიყისაგ“,
 გამარჯობა! მზეო, მზისად სადარებო,
 გამარჯობა! ქვეყანაო ღვინის სმისაგ,
 გაგიმარჯოთ! ხელის გულზე სატარებო.

ვაზი

ჩვენო საფერებო, მტევან-მადლიანო,
 მადღეგრძელებელო გლეხის მარჯვენისა,
 შენგან გამოწურულს, მირონს ადრიანო,
 ღვთისგან ბოძებულო, ჭირის სამშვენისად.
 ქვევრში მოშხიფშხიფე, მხიბლავს დამაჭრება,
 ღვინო მოლიკლიკე, თასში მოიმღერის,
 სულის სიხალისეგ, ბოღმის დამარცხებაგ,
 დამლაზათებელო უღალი ოქტომბერის.
 ჩემო ქომაგო და ჩემო რუდუნებაგ,
 გამახარებელო, ჩვილის დაბადების,

გლეხის ტკივილო და სუფრის ფუფუნებაგ,
 მე, შენს მრუდე ძირთა, მუხლზე დავევადებო.
 მიყვარს მოსავალი შენი სვავრიელი,
 ცაზე არეკლილი, ქარვა-ზურმუხტები,
 როცა მომაკითხავს „მიქელ-გაბრიელი“,
 სიკვდილს, ღვინით სავსე თასით დავეხვდები.
 ჩემო ქომაგო და ჩემო რუდუნებაგ,
 ღვთისგან ბოძებულო, ჭირის სამშვენისად.
 კაცის სიმდიდრეგ და სუფრის ფუფუნებაგ,
 მადღეგრძელებელო გლეხის მარჯვენისა.



ლეილა შუბითიძე

თამუნას

ჩემი სიხარული,
ჩემი სიყვარული,
ჩემი ერთადერთი ღმერთი.
ჩემი სინანული,
ცრემლი, ტკივილი,

მზე, წვიმა, თუ ნამის წვეთი.
ყველაფერს გადარებ,
რაც მიყვარს და ვეტრფი...
– შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის...

* * *

რომ აფრინდე,
– მინდა გქონდეს ფრთები.
ფრთები გაქვს, –
უნდა ისწავლო ფრენა...
და, აუცილებლად
უნდა გქონდეს რწმენა,
ფრთები ბევრს დაყვა,

მიწას ჩიქნის ჯერაც.
კმარა მკითხაობა,
მჯერა, არა მჯერა,
კმარა გოგმანი მიწაზე
ქათამივით, მწვერივით, –
ვაითუ არ მოეწონოსო ძერას.

* * *

(ვუძღვნი ჩემს მეუღლეს)

სულ რომ არ გქონდეს
სახლი და კარი,
მთაში მოგეწონა კარავი
ეზოში კაკლის ხე დაგერგო,
ღობესთან ქვა-გამყოფი, სამანი.
ქვევრი ჩაგეგდო მიწაში და
დაგერქმია მისთვის მარანი...

სამი ვაჟი და ერთი ქალი
ყველაფერზე მეტად – მთავარი...
ამ ქვეყანაზე ჩვენზე მდიდარი,
არ მეგულება არავინ...
შვილების გარეშე, ნუ იტყვი მდიდარი ვარ,
ააგე სიყვარულის კარავი...

* * *

წვიამიანი დღე,
შარაზე ტყაპა-ტყუპით
გარბიან პატარა ბიჭები...
ტალახში ჩურჩხელებივით
ამოვლებულები,
და მაინც თვალებში ჩასახლებული

ეშმაკუნები, ჭინკები.
შინ მობრძანდებითო –
ჭიშკრის ჭრიალში
ყრუდ გამოიკვეთა
გაბრაზებულ ქალის სიტყვები.

* * *

ავაშენე სახლი,
დავრგე ნერგი,
გავაჩინე შვილები:
თემურ, გენა სერგი,

ქალიშვილი თამარი,
ღვთის წყალობით, ღმერთით.
მეტს არ ვნატრობ,
– იქნება, – მეტის-მეტი...

* * *

ქოთნის ღობიო მომენატრა,
და კეცის მჭადი,
ჭყინტი ყველი და
ცხელ კეცებში კალმახის მწვადი...
კაკლის ჩერო და

შავი ღვინით პირამდე თასი
და სადღეგრძელო
ვინც იმერეთის,
ბოლოს მაინც გაიგო ფასი.



ლამზირა შევილაძე

გაზაფხული და ჩემი სოფელი

ჭადარი მკერდზე საკინძეს იხსნის,
გაუხელია თვალები იფნებს,
დილის რიჟრაჟი განთიადს უცდის,
ლაწვები წითლად უღვივის ტიტებს.

ყვითელი კაბა აცვია იელს,
მზე დედამიწას სიცოცხლეს აფრქვევს,
მერცხლები ათრობს ჭიკჭიკით სხივებს,
ბუნების სიბრძნეს ჩანჩქერი ამხელს.

ტყის სიმწვანეში კეკლუცობს ია,
გადმოუხრია რტოები წაბლებს.
ფოთოლზე აზის ჭია-მაია,
ქოჩორა ბალახს ნიავი არხევს.

სიმწვანით ლაღობს ირგვლივ ყოველი,
მშვენიერებით მარად ქებული,
სიყვარულის და სითბოს მთოველი,
უფლისგან მაღლით მირონცხებული.
15/ 10 2010 წელი

უსამართლობის ჭაობი

მძიმეა ხვედრი სუსტ არსებისთვის,
რაც ბედმა ჩემთვის გამოიმეტა...
თავქვე დაეშვა იმედის ჩქამი,
და წარსულს გაჰყვა, გადაიხვეწა.

სულის თვალები ცრემლებით სავსე,
სხეულს დასცქერის სევდით დამაშვრალს...
უსამართლობის ჭაობში გდია,
ღონემიხდილი ეძებს სამართალს.

ჩემი დუმილის ხმაური მაკრთობს,
შელეწილი მაქვს გულის ფიცარი.
ჟამსაბრუნავის სიმკაცრე მაშთობს
და მწუხრისფერი მწარე სიზმარი.

სული ვარ ცის და სხეული მიწის,
ლოცვას და მზერას ვაქსოვ ცის აღმართს...
როცა მივეყვები კიბის საფეხურს,
სევდით რად ვუცქერ ნეტავ... თავდადმართს?
2010 წელი

**ბატონ ილია პატაშურს
დიდ მამულიშვილს, ერისკაცს და უზადო მხატვარს**

შენს თბილ თვალებში სანთლის ნათებით,
სამშობლოს გზნების ცეცხლი ანთია,
ისე გიხდება ქართული ჩოხა,
როგორც მეფეებს მეფის მანტია....

ნახატებიდან ფოთოლთ შრიალი.
მამა-პაპათა სიბრძნით საზრდოობ,
იცი, რაცა გაქვს ამქვეყნის ვალი...
აწმყოს, მომავალს ესულმზისება,
შენი ნაღვაწის ნამზევი კვალი.

სხივნათელი გაქვს გულის კარები,
გონების თვალით უმზერ ალიონს,
მტერს შეაგებებ სიმართლის მახვილს,
რომ საბოლოოდ სული დალიოს.

ღმერთმა მოგმადლოს დიდი წყალობა,
ძალშემწეობა, წლები მრავალი,
კვლავ ბევრი შექმნა თვალთა საჩინო,
გაგიმზიანდეს ცის აღსავალი.
29 XI 2012 წელი

ხატავ სამშობლოს მთების მშვენიებას,
გხიბლაფს, გახარებს ერის ტრფიალი...
სიცოცხლის წყაროდ გვესაღბუნება

დიდ ვაჟას

ვაჟაუ შენი ნათება,
სხივად ეფრქვევა მთებზედა...
ფშაგ-ხევსურეთის ბუნება
ტკბილად საუბრობს შენზედა.

ციდან დანათი შენს მამულს,
ესალბუნები გულზედა,
შენს დანატოვარ საუნჯეს
მალი-მალ ვიფრქვევთ სულზედა.

ყვავილნი ისე ლაღობენ,
სიცოცხლეს ეკეკლუცება,

ვერხვები გულმკერდს ივსებენ,
ძმობა შეჭვიცვს მუხებმა.

თვალეზბრიალა არწივი
ამაყადა დგას კლდეზედა,
წყარონი მოჩანჩქარობენ,
საამურ ჰანგის ხმაზედა.

ვაჟაუ, შენი სამშობლო,
ამაყობს შენი შეილობით,
ზეციდან გვესაკმეველები,
დილის მზის უხვი სხივებით.

22 / VII 2012 წელი

როდესაც სული დატოვებს ჭურჭელს

რაც დავიბადე მას შემდეგ ვომობ,
მას შემდეგ სული მიჭირავს კბილით,
მხოლოდ და მხოლოდ სიცოცხლით მავსებს,
მზე, რომ შემოდის სარკმელში დილით.

წუთისოფელში დავბორიალებ,
ცრუ ცხოვრებაში დავეძებ სიბრძნეს...
დადუმებული უხმოდ ვღრიალებ,
დრო, ჩემი ტანჯვით, გულს ღხენით ივსებს...

შეუსვენებლივ ტრიალებს მუდამ,
"ამ წუთისოფლის ჟამსაბრუნავი"...
არ დამელია ცისა და მიწის,
საჭირბოროტო დღის საზრუნავი.

მაინც რა არის ჩემი სიცოცხლე,
წამით მოსული, წამით ვთავდები...
როდესაც სული დატოვებს ჭურჭელს,
ცის საუფლოში დავიბადები.

15/ II 2013 წელი

ვიცი, წამია წუთისოფელი

სიცოცხლე ჩემო! რად ექებ მიზეზს,
ასეთი ჩვევა ნეტავ რადა გაქვს?
მოხვალ, მომიტან უამრავ იმედს,
წახვალ და ჩემი სიცოცხლე მიგაქვს.

მაოცებს შენი დროის ტრიალი,
სიცოცხლეს იწყებ დასასრულიდან...

შენ გაშლილი გაქვს ფრთები მზიანი,
მე კი წარმტაცე სითბო გულიდან.

ასე მგონია ეს ყოველივე,
ხან ოცნებაა, ხანაც სიზმარი,
ვიცი, წამია წუთისოფელი...
და დამშლის დარდი, ვითარც ფიქალი.

7 XI 2010 წელი

ცოდვის სიმძიმე

უკვდავებაში ვიყავით ადრე,
თავად გავსინჯეთ სიკვდილის გემო...
აკრძალულ ხილით ჩავიტკბეთ წამი,
ამიტომ მოკლე სიცოცხლე გვერგო.

ადამიანთა მოდგმა რთულია,
თავისუფლებით ვართ შეპყრობილი,
ვერ შევიმეცნეთ ცოდვის სიმძიმე,
ჟამთ-საწუთროში დავალთ ცოდვილი.

უფალმა რადგან ვერ გაგვიმეტა,
დრო მოგვაკუთნა მრავალ გამოცდის,
ადამს და ვვას შერცხვათ სიშიშვლის,

მას შემდეგ გვმოსავს ტანისამოსი.

როცა იესო მეორედ მოვა,
მაშინ დადგება განკითხვის ჟამი,
ყველა ქართულად ამეტყველდება,
ახმაურდება სამრეკლოს ზარი.

ზე-ყანასა და ქვეყანას შუა
სიბრძნით გრძნეული ბეწვის ხილია...
კვლავ უკვდავების ღერძზე გტრიალებთ,
ღმერთის წყალობა დიდზე დიდია.

12 / II 2013 წელი

მადონა წიფურია

ივერია გაბრწყინდება {თამარ მეფეს}

ფესშიშველა მოდის ქალი,
ხელთუბურია წმინდა ჯვარი.
ღმერთო ეს რას მოვესწარი,
მე ვიხილე თვით ღმერთქალი.
ანგელოზთა დასი გალობს –

თამარია დედოფალი,
ის დაიცავს შენს ღირსებას,
დაგიბრუნებს ძველ დიდებას,
აღასრულებს უფლის ნებას,
ივერია გაბრწყინდება.

დრო მოსულა აღსარების თქმის

სევდის ცრემლებს აუკინძავთ მძივი,
ბედისწერის სიმფონიას უკრავს პაგანინი,
დრო მოსულა აღსარების თქმის,
ქაოსია დედამიწის ირგვლეკვ.
ფერწასული ოცნებები დაჩოქილან

საკურთხევლის წინ.
ვიოლინო არ ჩერდება, უკრავს პაგანინი,
სევდის ცრემლი შემოაქსოვს
დედამიწას მძივს,
დრო მოსულა აღსარების თქმის.

სიყვარული ვისთვის წვიმის წვეთია

სიყვარული ვისთვის წვიმის წვეთია,
ვისთვის ზღვა– მორევია,
აღმაფრენა, მაღლა, მაღლა ფრენაა,
და ციმციმა ვარსკვლავების ცვენაა.
ირგვლეკვ ყველა ღამაში და ზენაა,

უცნაური აკორდების ქდერაა.
სიყვარული ფარფატია პეპლების,
ყვავილების სურნელით რომ თვრებიან,
მაგრამ დიდხანს ყოფნა არ უწერიათ.

***** (დედას)

ახლა ვიპოვე ბარათი შენი
დამიწერია გაკრული ხელით,
მიყვები ამბებს, მეაღერსები,
წავიდა ჩვენი ღამაში წლები,
მომნატრებია ღიმილი შენი.

შეხსენ სიმებს

სულს ეტირება, ცრემლი დამშრალა,
ვარდი დამჭკნარა თიხის ღარნაკში.
მე რიმ მეგონა დავასაფლავე
მკვდრეთით აღმსდგარან მოგონებები.
იწყეს ფათური სულის სიღრმეში,
შეეხენ სიმებს უხეში ხელით.
ქარი უწეწავს გაშლილ თმას ტირიფს,
კენკენ ჩიტები სევდიან წარსულს.

მოხეტიალედ იქცევი

რომ იბადები ყლორტი ხარ,
მერე კი მწვანე ფოთოლი–
ხეების შესამოსელი,
დრო გადის და შენ იცვლები
ფერი გიხდება ყვითელი,

ხეებზე ყოფნა გბეზრდება,
ნელ–ნელა ქვევით იყრები,
და თუ ქარს გადაეყრები,
მოხეტიალედ იქცევი.

ღამეს უხდება

ღამეს უხდება ვარსკვლავთ
ციმციმი,
მთვარის ნათება შორს
გაფენილი.
ასხმა მძივებად წვიმის
წვეთების
და გაჟრჟოლება სველი
ფოთლების.

დასხლეტილ ფიქრთა
განმარტოება,
გაუხედნავი წამების
ქროლვა,
მბუჟტავი სანთლის მიმქრალი
ლოცვა,
ქანცვაწვეტილი სიზმრების
ბორჯვა.

*** (მამას)

მეც ხომ მყავდა ოქროს თევზი,
მიხდებოდა ყველა ნატვრა,
მაგრამ ერთ დღეს მიმატოვა,
დაუბრუნდა თავის შავ ზღვას.
დავრჩი მარტო ჩემს ფიქრებთან,
გარეთ ბნელა, წკურუშია,
ჭოტი კივის უღრან ტყეში
თვალზე ცრემლი მომერია—
არ მიშველის ოქროს თევზი.

ზაფხულის მზე მცხუნვარე,
და ზღვა ლურჯი ფერია,
ცა ღრუბლების გარეშე
ნახე, რა ცისფერია.
ირგვლივ მხოლოდ სიმშვიდე,
ქვიშა ოქროსფერია,
და ტალღები ლურჯი ზღვის
ნაპირს ეხეთქებიან

ყაყაჩოების შრიალზე
ჭრელი პეპლები კრთებიან
აცალეთ დატკბენ სურნელით
ამ ქვეყნად რა დარჩენიათ.

მერე კი წავალთ

მზე მიდის მაღლა,
მაღლა და მაღლა,
მე ვეშვები
დაბლა და დაბლა,
და ერთი წუთით...
ერთმანეთს ვკვეთავთ,
მერე კი წავალთ...
ჩვენ ჩვენი გზებით.



ჯგუფი „ზღვარი“

კახა ბაციკაძე

პოეტის ვნებანი

გარდასულ გრძნობებს გულის ფსკერი ჩუმად ინახავს,
აზრის ბუდეებს მშვიდად ქსოვენ ფიქრის მერცხლეტი,
მგონი, რაიმე მიზანს, უკვე აღარც ვისახავ,
და, გინდა მიზნით, გინდ უმიზნოდ, ჩემთვის ვეგნები.
ვამბობ, – არასდროს არ მესმოდა კაცთა ცხოვრების,
მე მწამდა მხოლოდ პოეტური შუქის ციალის,
და სულ ვხვდებოდი, (ჩემი გრძნობით, რთული გონებით),
რომ განწირული იყო, ქვეყნად, ადამიანი.
დიდი ხანია, რაც შევეშვი, კითხვების დასმას, –
პასუხები ხომ სასტიკია და უღმობელი,
ან რა აზრი აქვს თუნდ კოსმიურ სივრცეში გასვლას,
თუკი უფალი მაინც რჩება შეუცნობელი...
უდიდეს გრძნობებს გულის ფსკერი ჩუმად ინახავს.

ოცნებების ფიროსმანი

მწუხარება ეს ღამე, მეც მწუხარე ღვინოს
 ვსვამ.
 სიყვარული მახუჭე, ოცნებების ფიროსმანს.
 ცხოვრებას ვერ გავუგებ, ალავერდს ვარ
 სიკვდილთან,
 ყვითელ ვარდებს გაჩუქებ, დაგკრეფ გულის
 ტკივილთან.
 ღამის ნაზი ნიავი სახეს მოეფერება,
 თითქოს შენი სუნთქვაა, – ასე მომეჩვენება.

სხვა შენში რას დაეძებს, რა სურს ღიმილის
 გარდა...
 მე ხომ, შენი, ძვირფასო, ჩუმი სევდაც
 მიყვარდა.
 გული კვდება უშენოდ, იმედები გაქრება,
 და ჩემთან სამუდამოდ პოეზია დარჩება.
 მწუხარება ეს ღამე, მეც მწუხარე ღვინოს
 ვსვამ.
 სიყვარული მახუჭე ოცნებების ფიროსმანს.

გრძნობა – როგორც სამყარო

გრძნობები იწვის სამყაროდ თქმული,
 და უამრავი ვუღკანის მიღმა,
 მაინც არსებობს პატარა გული,
 რომელსაც უვლის პატარა წვიმა.
 ქართა თარეშებს რა დააწყანრებს,
 ფიქრი კვლავ ეტრფის ციურ მირაჟებს,
 თვით ოკეანეც მხოლოდ წვეთია, –
 პოეტის ერთი ცრემლის წინაშე.
 ტაძართ გუმბათებს მზის ცეცხლი ათოვს,
 სამყაროს ველებს ბოლო არ უჩანს,
 სიკეთის თითო წამიც კი მახსოვს, –
 მოსაგონარი გულის რომ დაურჩა.
 ვერ ვხსნი განცდათა ამგვარ სიმაღლეს,
 უფლისკენ სწრაფვა ჯადოსნურია,

მაწვიმს სიკვდილის დიდი სინათლე,
 და პოეზია ღმერთის გულია!
 ცაზე ოცნება აირეკლება,
 ვით კაცის დარდი-ღამაზ ლოცვაზე,
 მილიარდი მზეც დაიფერფლება,
 პოეტის გულის ცეცხლის კოცონზე.
 ქართა თარეშებს რა დააწყანრებს,
 ფიქრი კვლავ ეტრფის ციურ მირაჟებს,
 თვით უკვდავებაც მუხლმოყრილია
 უღიადესი გრძნობის წინაშე...



გიორგი ზუხბაია

განცდა – წამიერი

თითქოს მესმოდა ღრუბლების ენა;
 მოგმართავ, ქრისტეს თვალების ფერო,
 და ვფიქრობ, – ღმერთმა სამყარო შექმნა
 მხოლოდ იმისთვის, რომ ლექსი ეწერო.
 დაღუპვაც აღარ დაიგვიანებს, –
 მშთანთქავს სიბნელე, როგორც მორევი;
 დავავიწყდები ადამიანებს,
 მე მხოლოდ ქრისტეს ვემახსოვრები.
 თითქოს მესმოდა ვარსკვლავთა ლოცვა,
 ღამეს სინათლის ცრემლი შეეფურქვა;
 უფალი მხოლოდ იმისთვის მოცდა,
 რომ ქვეყნად ჩემი სევდა შეექმნა.
 მე გულს მივსებდა ვარსკვლავთა ლოცვა...

სერგი ლომაძე

იდეალისტი (მარადიული მეტროლი)

ედვენება პოეტ კახა ბაციკაძეს, – ადამიანს,
რომელმაც უფრო ადრე თვითონ მომიძღვნა
შეუღარებელი როკ-სიმღერა,
სახელწოდებით – “უდიადესი...”



ეს სივრცეები
უთვალავ წლის შთანთქავენ განცდებს,
აქ ვის დაეძებ, რას დაეძებ,
აქ რას იპოვი!
ეს სივრცეები
უსასრულო მანძილზე გასდეს
ზღვის ტიტანებმა,
დაახურეს ზედ ცა – მინორის.
უნდა გაბრუნდე;
გაეცალე ამ ფერად ველებს;
მიხვდები მერე,
უსათუოდ მიხვდები მერე,
რომ ამ შუქებში და ჩრდილებში,
სიკვდილის მეტი,
შენ არ გიცდიდა არაფერი! –
გთხოვ, დამიჯერე...
მაინც წინ გასცქერ,

სიფერადეს თვალს არ აშორებ,
შენ უმზერ სიკვდილს,
როგორც ბავშვი – სათამაშოებს...
და ახლა ვხვდები, –
რომ იპოვო ის, რასაც ეძებ,
უფრო უმეტეს სევდიანი
დარჩები ველზე:
შენ ხომ დაეძებ არმიწიერს, –
დარწმუნდე უნდა, –
არსად არსებობს ის, მიწაზე,
არის ცის გულთან,
მხოლოდ ცის გულთან,
და ძებნაში
და ფიქრში გადის
ჯვარცმული წლები!..
ხო, მიგიხვდი...
მაშ, კვლავ წინ წადი...

თოვლის რქვეიმი

რაინდი თოვლში მიდის და, ქრება;
ქრება რაინდიც, და მისი ცხენიც;
აღარასოდეს არ დაბრუნდება
კაცი, რომელსაც სიკვდილიც შეენის.
თეთრ სამყაროში, მკრთალ ჩრდილთა თოვლმა,
წყალში ჩაძირულ მუსიკას მოჰგავს;
თეთრი რაინდი მიდის და, ქრება...
ცას კი ფიფქების სამყარო მოჰყავს...

მას გადუხდია ბრძოლათა დელგმა
და არასოდეს დამარცხებულა,
მას ჭრილობები ამშვენებს ესლა,
არის ჩუმი და არის ვნებული,
ფიფქთა თვალეები უყურებს რაინდს,
და მისდევს თოვლი გაკვირვებული;
იგი კი სადღაც მიდის და... ქრება...



ვასო ლომაძე

რომანტიზმის გახსენება

მე სამხრეთის ღამე მიყვარს,
ამური რომ ისარს ისვრის,
ქალწულ მთვარეს, ოქროსთმიანს,
გულს გაუპობს წვერი ისრის.
სიყვარულის ნექტრით მთვრალი
მთვარე იხსნის ნისლის რიდეს,
ვერცხლის ქნარზე სიმებს დაჰკრეფს
და ჰანგს მოჰფენს კიდი-კიდე.
ცის სიღრმეში აინთება
მოციმციმე მელნის ხაზი
და წვებიან რძის დრუბლები
განაბულნი ღამის მკლავზე.
ღრმა წყვილიაღში, შორით, მაღლა,
დაიდგრება წყალი წმინდა,
პირდაბანილ ღურჯ ვარსკვლავებს
მთვარე იბნევს თმაში მშვიდად...

ბეჟან ხარაიშვილი

მთვარე სანთლად იწვის ცაზე,
გრძნობის ძაფზე მძივებს აგებს,
დიდ სიყვარულს, ზეცის გვირგვინს –
მხეს უმღერის მისი ბაგე.
მთვარე ყვება, – როგორ ანთებს
განთიადი ვარდის ხაზებს,
რომ ვერავინ შეედრება
მზის თვალწარმტაც სილამაზეს...
...მე სამხრეთის დილაღ მიყვარს,
როცა ქრება ღამის ვერცხლი,
როცა ადებს ოქროს ჭიშკარს
განთიადის წმინდა ცეცხლი,
როცა ღამე, განწირული,
დაეგება შუქის მახვილს,
როდესაც მზე – უფლისწული
უპასუხებს მთვარის ძახილს!..



ზამთრის სურათი

შებინდებისას მოცახცახე ხეების სული
შემოაპარა ქარმა სარკმელში
და მძინარ თვალებს დააცრიცა თეთრი სიზმარი...
გამთენიისას აღარ სჩანდა სულის ნაფლეთიც,
სიცარიელეს ამოევსო სიცარიელე;
იცოხნებოდა ბუხრის ყელი ცისფერი ბოლით,
ფანჯრებზე ყინვას გაეცინა ფიროსმანისთვის.

ხატობაში

ხევსურეთის ხმლისებრ იელვა არაგვმა
და მთების უბეს შეასხიპა რუხი ნისლევი.
მოგონებები სიმწარემ ალაგმა და
რძისფერმა იჭარბა ჩანჩქერებში.
გოგოლაურთას შეევსწარ ხატობას,

ყელში ჩაუკლეს სიცოცხლე ჭედილებს...
– დღეს, რა თქმა, უნდა მომიწვეს დათრობა
და საქართველოს სისხლიანი, ავი წარსული,
წვეთ-წვეთ, თანდათან გამოჟონავს ჩემს
თვალებიდან.

გაზაფხული

მზესთან
იანვარში შენათვალ მიჯნურობას,
მწვერვალებზედაც უარყოფს თოვლი
და ისე თეთრად
და იმგვარი სიჩუმით კვდება,
რომ შინდის კვირტებს გული უსკდებათ.
რა დროს სიკვდილია,

კიდევ ერთგან გაჭრიან მიწას...
ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და
სული მომთხოვონ...
მწვანე შექნიშნად ინთებიან
გზაზე ხეები,
ეს იმას ნიშნავს, გავიარო,
– წინ მამულია!

* * *

ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადე?!
ამ კითხვას ათასი კითხვა უერთდება –
მთას ძარღვი გაუსკდა ცივ მდინარეებად
თუ საქართველოს სისხლი უერთდება...
თბილისი თვალს ხუჭავს,

მტკვარს გულში იხანჯლავს,
ღიაცი ძაღლებთან სეირნობს...
და ბოლოს:
წახდა საქართველო, – ამბობს ქალიშვილი
და ამერიკულ სიგარეტს აბოლებს!

შემოდგომით

ფოთლის ცრემლში ტყის ლოცვათა ციმციმი,
ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება,
ყვავილისკენ გადახრილი ყვავილი
და პასუხად კოცნის არ დაყოვნება...
მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე
სიმინდებში მთვარის ჩანამგალება,
კლდის ქვებიდან გადმომდუღარ ჩანჩქერის
თვალთ შესმა და წყურვილის წვალება...

მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ
გაშლილ ცაზე გადაწინწკვლა ვარსკვლავთა,
თავთუხებზე ხოხობის ფერთა ფენაში
უშენობა დაჭრილივით ჩაგა და...
ვდგევარ ხოლმე... და ვიხსენებ იმ ღამეს
მტევნების თვე მიმაწურე ბაგეზე,
ფოთოლ-ფოთოლ გადაივლის ყვითლობა
შენ კი ისევ სიცოცხლეზე მაქეხებ.

არაგვს

შენ, ფშაგ-ხევსურთა გიჟო ქალწულო,
ო, როგორ გშვენის მტკვართან წაწლობა,
ვაჟას ჩანგეთში ჩაიტკბე ეგ ხმა,
თუ გუდანისჯვრის მოგაქვს წყალობა.
სვეტიცხოველთან, ჯვართან...
მითხარ, ლაშარგორს რაი ითქმების,
კაი ყმათაგან, განა ენებით?!
იახსრის ფერდობს თუ კვლავ მიჰყვება

ჭაღარა ვეფხვი სვენებ-სვენებით –
საქართველოზე
ჯვარცმით!
მარქვი, ტაღლაა მკერდს რომ გიტოკებს,
თუ ბუნების წიგნს იფურცლავ ხელში,
მაგ თმებს ჩამოაქვს ღუდ-არყის სუნი,
თუ საქართველოს ვბარბაცებ ეშხით –
გიჟო ქალწულო, მარქვი!

რომელი ჯობნის

გამოზაფხულზე, მოგიხმობს როცა,
 სხვა მაისობის თეთრი ლანდები,
 ლელვივით მწიფე ნაკვთების რხევით
 დიდი სარკის წინ შეტრიალდები.
 გარეთ კი სიო აღუბლის რტოზე
 ღამეულ ცვლათა ცვლილებებს არკვევს,
 – რა ღამაში ვარ – ფიქრობ სარკის წინ,
 – რა ღამაში ხარ! – გიღიმის სარკე.
 ოთახში უხმოდ შემოდის ლანდი
 და წარმოდგენით ცოცხლდება წამსვე,
 რომელი ჯობნის? – გაიფიქრებ და –
 შენი მწიფობა იწყება ასე.

ფიქრი კი შორეთს მიჰყვება ისე,
 როგორც მწვეარი წვიმიან ნაკვლევს,
 – რა თვალები მაქვს? – იფიქრებ ისევე,
 – რა თვალები აქვს? – იფიქრებს სარკეც!
 ველარ შენიშნავ რა ხდება გარეთ,
 სიზმრისეული სიამე გავსებს,
 გადაირეკავს გული სადარდელს
 როგორც მთის ჩქერი ნაპრალოთ ხავსებს.
 ოთახში უხმოდ შემოდის იგი
 და ორეულთან მესამე ჩნდება,
 – როგორ მიხდები! – დახედავ კაბას,
 – შენ კი გამიქრი! – გაპასუხობს დედა!

* * *

სამოცს გადასცდაო, –
 თქვა ერთმა დანანებით,
 – რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები
 ვართ, –
 თქვა მეორემ და ხელები გაშალა,
 ღმერთმა აცხონოს, –
 ჩაურთო მესამემ,

– აბა, გვიჭამია ხაშლამა!

 წადი, გაასწარი ტეისკენ, გაასწარი
 ჩემო სისხლისფერო მოზვერო,
 ყელში ჩაგიკლავენ სიცოცხლეს ხანჯლებით
 არც შენ დაგინდობენ, ოხერო!

* * *

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,
 მომიახლოვდი!
 – ვყიდი ვარძიას,
 – ვყიდი ხერთვისს,
 – ვყიდი არხოტს და
 – ვყიდი ხოშარას...
 მე აღარ მინდა თქვენი ღიბანი,
 ისრაელი და მთელი კამბოჯა,
 მე საკუთარი დარდი გამბოჭავს,

მე საკუთარი ბოღმა მომწხამავს,
 შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
 მე ამიტირდა მუხრანი... ანა...
 მე რომ გავყიდო, იყიდი განა?
 მე რომ გავგიჟდე მომკლავდი განა?
 მე თვალვდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი,
 მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი
 იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

* * *

ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა
 ერთხელ შემთხვევით შეჭამა ძახველი,
 და მტრისას იყოს, სისხლი მოეწამლა;
 ნუკრები უკოცინდნენ თვალებს გახელილს...
 დედის აჩრდილივით აფრთხობდა წყურვილს

და
 ტუნებზე მიეღო რძისფერი სახელო,
 ღმერთმა დაგწყევლოს...
 ღმერთმა დაგწყევლოს!
 გათათრებული ქართველის სისხლზე
 ხომ არ ამოდისხარ ძახველო?!

ნატვრა

და როგორც ლოთი, ლუდის ჯიხურთან
 ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,
 ისე ვინატრებ შორენა გერქვას,
 ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.
 და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა,
 ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,

რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში
 თავთან დაკლული სიკვდილი მეღოს,
 ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
 ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,
 ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,
 ცერზე წითელი მიმინო მესვას!



გულნაზ ხარაიშვილი



ახლა უფრო

ახლა უფრო მენატრები, შვილო,
რაც დრო გადის, გული სევდას წეწავს...
მითხარ, დედი, მითხარ, ვის შევნივლო,
დარდის კალო ალბათ გადამღეწავს...
იქნებ, ზეცას შეეკიდე ჭერად,
გსურს ბნელეთი აკაშკაშო შუქით,
ერს უმღერის საჩხერელი „ბერა“,
რომ იხილოს ცა ისევე ღურჯი.

ჩემს წინ ქარი ტანგოს ვერ იცეკვებს,
მზე პატრონობს თბილად სულის არეს...
ყვავებს ნეტა ვინღა გამოკვებავს,
უცხო ტომი მოცილდება ფარეს.
ისევ მოხვალ, სასწაულის მჯერა,
ბნელს ანათებ სათნოების შუქით...
აქ კი მღერის ჭორვილედი „ბერა“,
რომ იხილოს ცა ისევე ღურჯი...

მიმიძის

მიმიძის, შვილო, იმ დღის დავიწყება,
ცხრამეტი თებერვალი მიმიძის...
ცრემლებით ფიქრები ირწყვება და...
გულმკერდს გახსენებით ვძიძგნი.
ტკივილით მიმელია წელიწადი,
გძებნე და ვერ გიპოვნე...

მნახე და, თუ გინდა, ისევ წადი,
მხოლოდ ხმა გამაგონე.
შევწირე წელიწადი მოლოდინს და...
დაშრა იმედების წყარო
გულზე დამეყარა ფიქრების ლოდები, და...
როგორღა გაგიხარო.

დარდო

რა სატანჯველად დაგებადებულვარ,
ტკივილით თავი დაბლა დავხარე...
დარდო, ჩემს გულში ჯაჭვით დამბუღხარ,
შემეჩვიე და აღარ მახარებ.
იას სინაზით, ფერთაც ვგავარ,
შროშანებივით დაგოპწიაობ...
აუგის მთქმელი არავის არ ვარ,
თითისტარივით ფეხზე ვტრიალებ.

ფიქრს ვუნაწილებ მშობლიურ ბუხარს,
და ბუხრის ახლოს მიძინარე პაპას.
ლექსით სიტყვები მას უნდა ვუთხრა,
ისიც მიაბოს ძველისძველ ზღაპარს.
ეს წარსულია, ახლა ამჯერად
ტკივილის ტბაში დავტოპიალობ,
ცრემლებიც ვიცი გადამემტერა,
წამწამებში რომ ხშირად ტრიალობს.

ქარი

ქარი გზავნის ისევ დარდის უსტარს...
ლიკლიკს იწყებს ეკლის ტოტი სადღაც...
ოფლს შევუშრობ მე მშვიდობის მუსტანგს,
თორემ კარზე მოგვდგომია წარღვნა.

ვუწყალობებ ჩემს ერთგულთ და მლოცველთ...
ვიცი, შევძლებ ბეწვის ხიდზე გასვლას,
წავის ქურქი ყველას უნდა მოგცეთ,
ველოდები ცივი ზამთრის წასვლას...

ტკივილი

ტკივილი მეყოფა, ბედო, ნუ დამტორე,
პოეტი ქალი ვარ, არ მიყვარს ჭინჭები,
მადლს ვთესავ მიწაზე... ცოტა ხნით მადროვე,
სამშობლოს ცოცხალი აქ უფრო ვჭირდები.

ადარ ვკამათობ

არ ვჩხუბობ ფიქრებთან, და ადარც
ვკამათობ...
და ფიქრიც მიწონებს დაწერილ სტრიქონებს,
სულით ვარ ზეცის და, აქ უმისამართო,
ლექსი ვარ, ლექსი, ვქმნი ქორონიკონებს.

მეგონა

მეგონა ყვავილს მომართმევდი,
მომიყვებოდი ზღაპრებს...
მერე ყველა დარდს გამიქრობდი და,
გავშლიდით ოცნების აფრებს...

დუმდი და, დუმილი მაოცებდა,
მე არა... გელოდა გული,
თვალეზიც ცრემლის ტახტს არ კეცავდა...
და დავრჩი დარდგაბაწრული.

სიყვარულის დღე

სიყვარულის დღეს, რად არ მომწერე,
რად არ მეფერე უწინდელივით...
მე სამუდამოდ გულში ჩავწერე,
შენ განზე გადექ განდევლივით.

„მიყვარხარ“, თქვი და, გადაიკარგე,
დამტოვე მარტო დარდების მთებში.
გულს სევდა მაინც არ გავაკარე,
თითებს ვბლუჯავდი ოქროსფერ თმებში.

მცივა

მცივა და ლექსი მაფარია გრძნობის ზეწარად,
ლეიბად მიდევს იდუმალი ოცნების წყარო...
რითმა ბალიშთან, ღრმა ძილშიაც მომეპარა
და...
ჩამიწურჩუნდა: „მე ვარ შენი გულის
სამყარო.“

ცხელი აგვისტო

ხორცს მიკორტნიდა ბინძურ ქარის კარზე
კრუსუნნი,
ცხელი აგვისტოს ტკივილები ახლაც გულს
მძმარავს...
ვიყავი იმ დროს უძღური და სულ უსუსური,
ღმერთი მიხედავს, აგვისტოს მზე ვინც
გამიმწარა.

* * *

არ ჰგავს სიტყვა გადაცრეცილ კაბის
ნაგლეჯს,
უდარდელად დასეირნობს ფიქრის ზღვაში.
თუ გაწვიმდა, ქარიშხალშიც, ვიცი, გაძლებს,
ხან ჭყუმპალობს გრძნობის წყალში, როგორც
ბაგში.

მეტკინა

ავტირდი ბედით, გამომაფხიზლეს იმწამს
ლექსებმა:
არ დაიხოქო, ჩამწურჩუნდა, შენთან ვართ,
ავერ...
ყუმბარაც მოგხვდა, გაგიარა გულში
მესრებმაც,
და მაინც ყველას მოეფერე, სიკეთე არგე.

ისევ შევძელი

წლების ნატკენი გული შემომრჩა,
მალამოს ვადებ ღია ჭრილობას.
სავალ ბილიკზე მტერიც შემომხვდა
მასთან შევეძელი დამძობილება.
თუმც არ დამინდო, მიღალატა, და...
ტანს კვლავ ღრუბლები შემომახვია.

დაიწერება გრძელი ბალადა,
რაც თავს გადამხდა ჩემზე ახია.
ხან ალბათ ბრმა ვარ, ხან გულუბრყვილო,
ზამთარმაც მხრებზე ხშირად დამთოვა...
დავიდალეთქო უნდა ვიყვირო,
ღრომ თბილი სხივი ადარ მათხოვა.

იქნებ

ტკივილო, უნდა გქონდეს განრიგი,
ნაღვერდალივით ადარ დამთუთქო.
მოდით, ლექსებო, გულში ჩაფრინდით,
იქნებ თქვენ მაინც ამომასუნთქოთ.

ველარ ვგრძნობ

ისედაც შორსა ვარ, სიტყვა არ მაკადრო,
ნუ მჩხველეთ ეკლებო, სისხლი ხომ მადინეთ.
დავსუსტდი... ფიფქები არ გადამაბარდნოთ,
გინდათ რომ ცრემლებს მდინარედ ავლიდღე?

* * *

ეშრომობდი და ვაკეთებდი ერის საქმეს,
მერე ბედმა ამიწვეა თბილი ბუდე...
ხან ვომობდი, ხანაც მტერი ბევრჯერ ვაქე,
ვერ გავძელი... გავეცალე აბლაბუდებს.

გეფიცები

თუკი მზეს ჰგავს შენს თვალებში, ვინც
გვერდში გყავს,
და არ გაკლებს მხურვალეებს ყინვის
დროსაც,
მლიქვნელია, მაგრამ შენთვის მოვარესაც
ჰგავს,
გეფიცები, შენს გადადგმულ ნაბიჯს ვლოცავ.

შენ

შენ მე ყვავილთა კონა მანუქე,
გამომეცხადე წმინდანის სულად...
ასეთ სინაზეს ჩუმიად ვაქუნებ,
ან გულს მივიბნევ ხილულად სულაც.

გამხელ და სურნელს ირგვლივ დავაკმევ...
რომ სხვასაც შეხვდეს მწირი ნაწილი,
მსურს ყურადღება არვის დააკლდეს,
ვისაც ხელი აქვს ღვთისკენ გაწვდილი.

შენსკენ

ლექსი კვლავ ხელში ამეკვირტა და...
ხან გამობრწყინდა, ხანაც ფერს იცვლის,
ლექსი ჩუქურთმობს სიტყვების დვრიტად,
ვის მიეფეროს მხოლოდ მან იცის.

შენსკენ გზას იკვლევს, ეძებს მისამართს...
თუ რამე გტკივა, გთხოვ მას უთხარი.
დასამშვიდებლად თუ კი მიმართავ,
შეგეფეთება ნასათუთარი.

იდუმალი ფიქრი

არ მაძინებს ხშირად იდუმალი ფიქრი...
მინდა, ჩუმიად ღამეს საიდუმლო ვუთხრა.
მიკვირს, მართლაც, მიკვირს, მლიქვნელების
ფიცი,
გკამათობ და მათთვის სიტყვაც მკაცრად
მიტყვამს.

გულში ვაზი დავრგე, დავამწიფებ ნაყოფს,
და სიკეთის თესვით ხვალით ავივსები,
შეგახვედრებთ ყველას, ერთ მარცვალსაც
გავყოფ,
ძმრად კი არა, თქვენთვის მაჭრად შევისმები...

მათოვდა

შემხვდა წვიმები... ქარიშხლით... ღვარცოფით...
მეხიც კი გულს მომხვდა, იყო ეს მომენტიც...
თუ მოკვდი, არ მინდა იტიროთ არყოფნით,
ვილოცებ ზეციდან, გულთბილი პოეტი

ლექსმა მიშველა

სიკეთის ქმნისთვის გამწირეს და დამტოვეს დარდთან...
წყალში ჩამაგდეს, მომერიენ უღვთო ჯალათნი...
პოეტი ვარ და შეუდექი გონების მართვას...
ლექსმა მიშველა, როს ტკივილით სულ მივსავათდი.

ნათელა ხარაიშვილი განახლებულ საჩხერეს

სული ზეიმობს, ხმები კი
 ზეცაში მიდის გალობით,
 მოეფინება ჩვენს მხარეს
 მადლი იესოს წყალობით.
 აქ უნდა მოხდეს კურთხევა
 ქართული სულის დიდების,
 და ასრულება მომავლის
 ოცნებების და ფიქრების
 რომ ყველგან სჭექდეს ზარივით
 კვლავ, იმერეთის სახელი,
 აქ იზრდებოდეს ქვეყნისთვის,
 ის ღირსეული ქართველი
 ვინც დავითის ხმალს ალესავს,
 ცოტნეს მიბაძავს გმირობით,
 თავს გამოიჩენს საქვეყნოდ
 ნადლი მამულიშვილობით
 ვინც გაამრთელებს გახლენილ
 ქართულ მიწა-წყალს მთლიანად
 მტერს და მოყვარეს ვინც მუდამ
 დახვდება ომახიანად
 ვინც მამა-პაპის საძვალეს
 ისევ აუნთებს კელაპტარს,
 დაუბრუნდება თავის თავს
 და გაუყვება იმათ გზას

ვინც დღენიადაგ ოფლს ღვრიდა,
 ალალი შრომით ცხოვრობდა,
 სწერდა, თესავდა, მკიდა და
 თუ სჭირდებოდა, ომობდა.
 აგურს აგურზე ადებდა,
 განამტკიცებდა ბალავარს,
 გუშაგად იდგა საზღვრებთან,
 მეღვრად იცავდა გალაგანს.
 კვლავ გაცოცხლდება ქვეყნისთვის
 ისევე ის სახელები,
 ბიძინა, შალვა, ელიზბარ
 და გმირი მარაბდელები.
 აქ აღიზარდა თევდორე,
 ექვთიმე, გობრონ ხანძთელი,
 აღორძინდება მამული
 და შვებას იგრძნობს ქართველი.
 არ დაიხოქებს არასდროს
 მტრების წინ ქართველი ერი,
 მოეფლინება ქვეყანას
 თამარ შვიდმნათობიერი.
 მოეფინება საჩხერეს
 ცით გადმოსული ნათელი,
 საუკუნეებს გასწვდება
 სულმნათი კაცის სახლი.

2002წ.

* * *

შემობრუნდა თითქოს წუთისოფელი,
 დრომ, მესაჭემ, წლებით უკან დასწია.
 დაგვიბრუნდა სილაღე და ხალისი
 და ვიგრძენით სულის მოთქმა პაწია.
 მიჯაჭვული ამირანი ახსნა და
 მხსნელმა რამე ამბავი დააწია,

ირმის რქებით ავსებული ზედაშე
 საქართველოს სადღეგრძელოდ ასწია.
 ბრუნდებიან დაკარგული შვილები
 სამზადისში არის გაწამაწია,
 მზემ შეათბო მოკაშკაშე სხივები
 ოქტომბერში გაზაფხული გვაწვია.

ღმერთო, წარსულში მაცხოვრე

მომავალს ვერც კი ვუმზერ თვალებში,
 შიშველი ვზივარ სულ მთლად,
 პატარა სივრცე დამრჩა საკუთრად
 მხოლოდ ერთ ამოსუნთქვად.
 ღმერთო, წარსულში მაცხოვრე მუდამ,
 მე სულ დაკარგულს ვეძებ,
 გულისთქმით ერთხელ მაინც მაცნობე,
 იმ განძის პოვნას შევძლებ?
 დაგვარგე ხანძთა, ოშკი, ხახული,
 მთელი სიმდიდრე ჩემი.
 მომავალში კი რა მიპოვია
 ამათი მე შემცვლელი.
 თავიც დაგვარგე, ღვთით ნაბოძები,
 ზნეობა, ადათ-წესი,
 გავანიავე, რაც კარგი მქონდა,
 ვარ უნიათო მწყემსი.
 საინგილოდან ხმა მესმის მხოლოდ
 ჩემი ჯიშის და გენის,
 მოძველებული, დაწუნებული
 მივიწყებული ენის.
 სულ ყველაფერი ნებით დაგვარგე,
 ბრალს ვერავის ვერ დავდებ,
 რაც რომ დაგვარგე, მთელი ცხოვრება,
 ახლა იმ სიას ვადგენ.

მაქვს ტკივილები სულის შემძვრელი,
 ლექსით ვხატავ და ვქარგავ,
 ფეხქვეშ მეცლება მიწა ქართული,
 მამის სახელსაც ვკარგავ.
 სიტყვაც გავტეხე გაუტეხელი,
 ქართველთ სიმტკივე, ფიცი,
 დაკარგული მაქვს მთელი წარსული,
 ვინა ვარ, არც კი ვიცი.
 მინდა აღელდეს სისხლი ძარღვებში,
 ლექსებით შევძლო ბრძოლა.
 უსინდისობამ მძარცველს მოჰგვაროს
 ლექსებით შიშის ძრწოლა.
 მონობის უღელს ვეღარ დავიდგამ,
 რაც რომ ვიწამე, ღირდა.
 ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
 თავისუფლება მინდა!!!
 გარდაცვალების ფარად მიჯდება,
 პოვნა დაკარგულ გზების,
 ლოცვებით, ღმერთო, მე მთოხვნელი ვარ,
 წარსულში დაბრუნების.
 ჩემი სამოთხე, ედემის ბაღი,
 სიცოცხლის უკვდავება,
 იქ დამაბრუნე, სადაც დაგვარგე
 თავისუფლებ



თინათინ საბურხანია

მწყემსი კეთილი

და მერე რა, რომ ჩვენ ისევ ვცოდავთ,
 მაძღარი ვერ ვცნობთ ხშირად მშიერსო.
 რადგან ვუყვარვართ, ჩვენ კაცთა მოდგმას,
 გვწამს მოგვიტყვებს ცოდვებს იესო.
 და მერე რა, რომ ვერცხლისთვის ხშირად,
 ჩვენს მეობას და სინდისს ვძლიეთო.
 ოცდაათ ვერცხლად გაყიდა ვინაც,
 მასაც შეუნდო ცოდვა იესომ.
 ზოგჯერ გგონია თავი თვით ღმერთი,
 ხატება მისი დავამსხვრიეთო.

რა დიდსულოვნად ითმენს ღრმა რწმენით,
 ამ ურწმუნობას ჩვენსას იესო.
 მისი სახელით ბევრჯერ ნამუსის,
 ქენჯნას თავიც კი ავარიდეთო.
 რა გვენადგლება ვიცით, რომ გულში,
 ჩვენთვის ღოცულობს წმინდა იესო.
 ღალატი, მტრობა, შური და ღვარძლი,
 მიწაზე ვედარ დავატიეთო
 და გოლგოთაზე მძიმე ხის ჯვარი,
 ამ ცოდვებისთვის ზიდა იესომ.
 და ამ ძნელ გზაზე მას ტანჯვით შემდგარს,

რწმენაში ზურგიც შევაქციეთო.
 რა მოთმონებით, რა მშვიდად შევხდა,
 უმადურობას ჩვენს იესო.
 და ჩვენც შეგნებით, თუ შეუგნებლად,
 ცოდვებს თავი ვერ დავადწიეთო
 და ვით მშობელი შვილს უგნურებას,
 ისე გვაპატიობს ამას იესო.
 განკითხვის ჟამი, როცა დადგება,
 შეგვიფასებენ იქ საქციელსო,
 მძიმედ ცოდვილსაც ვერ დასჯის მჯერა,
 მწყემსი კეთილი, ჩვენი იესო.

ნარიყალიდან

ნარიყალიდან გავხედე თბილისს,
 ვეფხის ტყაფით ფართედ გაშლილა
 და მთაწმინდა, ეს ნაკრძალი ფიქრის,
 ქარვისფერ მთებით შემომაფრინდა.
 ძველი თბილისი მიწიდან ცამდე,
 დღისით არწივის ფრთებით დაფრინავს,
 ღამით კი თითქოს ჭრელხატულ ნარზე,
 ნიკალას ნანახ სიქმრებით ძინავს.
 მეტეხი მაღალ ციდან დავგყურებს,
 ღვთიური მადლით, რომ იღიმება.
 მტრის ავ განზრახვას დრო თუ გვაუწყებს,
 ქონგურებითაც კი იკბინება.
 მტკვარი-მთავარი ძარღვი თბილისის,
 რომ ჩაყურსულა ჭადრების ტვერში,

შიგ ძარღვში ისხამს წვიმას ივლისის
 და ეთიმ გურჯის ბაიათს მღერის.
 მას ბანს აძლევენ ზორბა ჭადრები,
 ააყოლებენ ვერხვების შრიალს,
 ტვერში ღაღობენ ცელქი ქარები,
 ფოთლებიც ტეხენ შიგ რია – რიას.
 თათრის მედიანს შავხალა კინტო,
 ხილის ხონჩებით ფერხით მომიტანს
 და ცხადად ვხედავ აქედან თითქოს,
 დროს შემორჩენილ ამ ძველ მოჰიკანს.
 ჟრუანტელივით ვგრძნობ ტანში თბილისს,
 სტუმრისთვის მუდამ კარი აქვს ღია.
 ძარღვში ნამუსი სდის ნაცვლად სისხლის
 და სიყვარულის ქალაქი ჰქვია.

კონსტანტინე გამსახურდიას

ჟამთააღმწერლის სიღინჯე და
 ქველმოქმედების სული,
 მოგცა შენ არსთა განმრიგემ, საღხენად ჩვენი
 გულის.
 ბედის ფლოქვების თქარუნმა და მესაფლავე
 დრომაც,
 ვედარ წაგგლიჯა ხელიდან მემატინანის
 დროშა.
 მწერლობაში ხარ პირველი, რაინდი ბრძენთა
 ბრძენი,
 მეფეებს შორის პირველი, ვით აღმაშენებელი.

დროსთან მებრძოლი მუდამუამს ღინებას
 უქცევ აღმა,
 ვით პირმშო შეუპოვართა, თავადიშვილი
 თარაშ.
 შემფასებელი ღირსების და სილამაზის
 ქალის,
 რაინდი მოდარაჯე ამ შეუფარებელ განძის.
 წარსულის ლაბირინთებს ის შემოივლის
 ბევრჯერ,
 შენს უკვე უკვდავ ნაწარმოებებს, ვინც
 წაიკითხავს ერთხე.
 მეოცნებე თუ მებრძოლი, მეჯოგე თუ მეფენი,

სამშობლოსათვის იწვიან აქ სიყვარულის
ცეცხლით.
თვით ჟამთა უკვდავყოფმა, შენ კალმის
საჭრეთელთ,
შენივე ხელით აიგე აუღებელი ძეგლი.

შენს სახელს კოსტა ბატონო! მოხილს
შარავანდელთ,
დრომ მიაკუთვნა ადგილი დიდი მგოსნების
გვერდით.

რაც შენში ვიპოვე პოეტ თამაზ ცაბუტაშვილს

მე შენში ვპოვე იეთიმ – გურჯის
აღმოდებული ალალ გული.
ოცნება მართლაც ლადოსეული,
მსოფლიო სევდა გრანელის სულის.
მე შენში ვნახე ამბოხებული,
მართალი კაცის ვნებები მწველი.
თავს დატეხილი ჭექა – ქუხილი,
ქართული ლექსის ელვა და მეხი.
რა დედამ გშობა, რა გულმა გზარდა,
ხარ დიდი მადლი, წყალობა ღმერთის.

ტკივილი ყველა რამაც გაწვალა
და ყველა ბრძოლა მოიგე ლექსით.
ლექსით მიაგე შესანდობარი,
ამ დაუნდობელ და ცრუ ცხოვრებას.
მაინც შეძელი აწმყოს, მომავლის
წარსულთან დიდი დამეგობრება
მე შენით ვნახე ქართული სულის,
ვარსკვლავის კიდევ გამობრწყინება.
მისი კაშკაშით მკითხველის გულის,
დატყვევება და დამორჩილება.

რა მჭირდება

მე მათი ხსოვნა მჭირდება, რომ თავმომწონედ ვიარო,
დრო დაგებული ხაფანგად სიმართლით გადავიარო.
მე მათი სული მჭირდება, რომ ჩემმა ლექსით იფრინოს,
იმათმა სისხლმა ყიჟინით, რომ ჩემს ძარღვებში იდინოს.
სულსა და გულს მიკაწრავდეს ხსოვნა ქეთევან დედოფლის,
თავი ამაყად მომქონდეს იმისი მოდგმის ჩემობით.
მზის გულში დავითს ვხედავდე, სხვებში მის ცხენს ფაფარაყრილს,
ვარსკვლავში ყმას ომგადახდილს, მთვარეში რუსთაველის ფიქრს.
საფლავეებიდან მესმოდეს ძახილი გმირი პაპების,
გზას მინათებდეს სულ შუქი მათი ჩამქრალი თვალების.
მე მათი სიბრძნეც მჭირდება, მიმავალს გზაზე სიმართლის,
რომ ცოდვა ამ სიამაყის, გამოვისყიდო სიმდაბლით.

მიზანი ჩემი

ჩემს პატარა სიყვარულებს, ჰყავთ დიდი დედა ერთი,
ეს ჩემი საქართველოა, თვით კურთხეული ღმერთის.
დაუვარცხნელი აზრით, გაურანდავი ლექსით,
მის ბალ-ვენახის მომყვან კაცსა და მიწას შევეტრფი.
დაბადებულად ქართველს, არ მინდა სხვა რამ მეტი,
მისი ცის თაღის ამწვევთ, ვეშველებოდე მხრებით.
ზურგს მიმაგრებდეს მე ძალა, გმირ წინაპართა ძვლების.
და თავგანწირვა მისთვის იყოს მიზანი ჩემი.





ციური ხეთერელი

**წუხელი სიზმარი ვნახე
/ხალხურ კილოზე/**

1. წუხელი სიზმარი ვნახე,
დედა დავლანდე შორიდან.
თვალი ველარცკი შევასწარ,
ჭიშკართან ისე მოვიდა.
არ ვიცი, რაღაცა მითხრა,
ხახვისფურცელა ბაგითა,
გალიმებული მიცქერდა
თეთრი ვარდების ბაღიდან

2. უცებ, მოჯარდა ღრუბლები
განათდა ელვის ენითა. . .
პირქუშად მოსაუბრენი,-
თოვლით და წვიმით ბევრითა. . .
მეომრებივით დაიძრნენ,
მოსილნი შავი ფერითა,
დაფარეს დედის პროფილი,-
ღიმილით სანატრელითა,
წამის სიამე, - ყოფილი,
დამიღბეს მწარე ცრემლითა,
გული,- ბადაგით ტკობილი,
ამომიყორეს ტკენითა.

2009, 16
ოქტომბერი

მოკითხვა კოლაუ ნადირაძეს

დედუღეთით მოვდივარ, - მთებით,
მრავალგზიანით. . .
სიტყვა უნდა გაახლოთ, ტკბილი, თავაზიანი:
- დამაბარეს მოკითხვა სულორმა და ვანმა,
ისრით ზემოთ – სალხინომ, დიხაშხომ და
ბზვანმა . . .
ენატრებით ქუთაისს, - ბაგრატსა და გელათს,
სათაფლიას მოწამეთას. . . რა ჩამოთვლის
ყველას. . .
თუმცა უკვე მოლოდინს ბოლო აღარ უჩანს. . .
.გელით გულისფანცქალით ლერმონტოვის
ქუნა.

ისევ გიხმობთ თქვენი ხილი, - თეთრიცა და
წითელიც,
ფიქრებისგან დაქანცული, როგორც ხმელი
წიფელი.

გეფერებათ იმერეთის გზები, ნარგიზოვანი. . .
გზები. . . გზები. . . მოხატული. . .
ყვაველთამოქსოვანი.
გიხმობთ დღენი, - სიყმაწვილის წლები
ნასასოვარი,
გულში გიკრავთ თქვენი ბონკო,
სულზე ტკბილი ბზოვანი. . .
გეფერებათ იმერეთის გზები, ნარგიზოვანი. . .

არჩილ ფირცხალავა

* * *

გული მთელი დღე ლექსს მაძალებდა,
მაგრამ გონება ესოდენ ურჩი,
სსნას დაეძებდა შენს ნაწნავებთან
და შენი გული ფეთქავდა გულში.
რა უცაბედად დავცილდით გუშინ,
მე ისევ თუშის ცხენს ვაწვალავ და,
მივქრევარ, როგორც ჯიუტი თუში
შენს ღიმილთან და შენს ნაწნავებთან.
განა სიყვარულს სიმღერას ვუშლი,
თავს ნუ იწუხებ ამის გაგებით,

მე წავალ, როგორც ამაყი თუში
და ღრანტეებში ჩავიკარგები.
მე წავალ, წვერტილს დავუსვამ ლოდინს,
რისთვის და როდის, ნუ მეკითხები,
რად დაამძიმე მრუმე კირთებით
მკერდი, ისედაც ტკივილის ლოდი.
მე წავალ, როგორც წავედი გუშინ
სხვისგან... შენ დაგრჩეს ჟამის პანგები,
მე წავალ, როგორც ამაყი თუში
და ღრანტეებში დავიკარგები.

ერთ დღეობაზე

აღალი იყოს შენზე, კეთილო, ეს დღე,
ღმერთის წინაშე მარტო მოკვდავი კრთება,
მხოლოდ პოეტი არ იბადება ერთხელ,
პოეტის გულიც დღეში ათასჯერ კვდება.
არის სინათლე უსათუთესი რწმენის,
ჩვენს თვალსაწიერს სულ სხვა თვალები
სწვდება,
აღალი იყოს ოცდაათოთხმეტი წელი,
ოცდაათოთხმეტიც დასალოცავად გრჩება.
აღალი იყოს, ვისაც ღიმილით არგო,
არის სინათლის მარადიული ხმოვა,
სიცოცხლით ტკობა ცოტა რამეა კარგო,
უფრო მეტია მარადისობით ტკობა.

არავითარი გამოგონილი ფასი,
არც უაზრობა გამოგონილი ფიცის,
პოეტმა იცის ქალის სიმაღლის ფასი,
ყველაზე უფრო ისევ პოეტმა იცის.
ლექსი ანათებს სულის დაბურულ მღვიმეს,
ენდობა სული ცაში ლექსებად ფოფინს,
პოეტმა იცის ამ წუთისოფლის მდიდებს
გასახარებლად რა ცოტა რამე ყოფინს.
შეგრჩეს ყოველთვის მაღლი ზეციურ რწმენის,
სხვა ყველაფერი მართლა ჩათვალე ჩერებად,
დამილოცნია ოცდაათოთხმეტი წელი,
ოცდაათოთხმეტიც დასალოცავად გრჩება.

ისევ გალაკტიონს

მიწამ გაიმეტა, ზეცას გაეოცა
შურით მოშხამული პოეტის პროფილი,
გლოვით გულმოკლული მოდის ანგელოსი
გალაკტიონის და ტერენტის დობილი.
მოდის ანგელოსი. ზეცამ თვალებიდან
ცრემლი გადმოყარა როგორც მარგალიტი,
ჯერეც უცოდველი ოქროს მაგალითით
სული უსაზღვრობას ესადარებოდა.

იყო მოლოდინი ლექსით შენაფერი,
რჩევა-ნუგეშინი, ოღონდ ნება-ნება,
უკვე გვიანია, ძმებო, ყველაფერი,
ისევ გალაკტიონს ვთხოვოთ შებრალება...
მიწამ მოშხამული პოეტის პროფილი.
გლოვით გულმოკული ტირის ანგელოსი
გალაკტიონის და ტერენტის დობილი.

პოეტები

პოეტებს ნაბიჯებს არ უთვლიან,
მათ ხშირად ეშლებათ ნაბიჯები,
ქმნიან ყოველდღიურ არითმიას
და ხმებს ხარებივით აგიჟებენ.
შრიანებს ათასი ბერზვიანა,
ხმა-თითქოს გრივალში მუხნარია,
პოეტის სიცოცხლე ლექსია და
სიცოცხლევ ლექსივით უხარია.
პოეტი ზეციდან გადმოვარდა,
აქ მხოლოდ საფლავი მოიზომა,
იცანი, ეს ჩვენი ლადოა და
ყელიდან ყაყახო მოისროდა.
სისხლო, სხეულში რომ არ გვეტევი,
თვალწინ ცოდვა-მაღლი გვილაგია,
აქ რა შუაშია „ანგლეტერი“,
აქ ნაღდი პოეტის ჯილაგია.

ირგვლივ თასმებივით გვევლებიან
მტრები ჩვენივ ლექსით გამოწვრთნილნი,
აქ ნაღდი პოეტის გენებია
საუკუნეებში ამოზრდილი.
იქით-საოცარი მითებია,
აქეთ-თვალთმაქცური მონეტები,
პოეტები ლექსებით ითვრებიან,
ლოთები ჰგონიათ პოეტები.
გადათქერავენ და გადგვიდებიან
ქალები მაცდური ღორნეტებით,
პოეტების ცოლები ადრე ქვრივდებიან,
ადრე გვიკვდებიან პოეტები.
ჯანდაბად ყოველგვარი არითმია,
ქვეყანას ჩვენ მაინც მოვედებით,
პოეტები ნაბიჯებს არ ითვლიან,
ძმა-ბიჭებს ითვლიან პოეტები.

სიმონ ჯაფარიძე

იმრაველუამიერე

ერის იმედად მოვლინებულს, უწმინდესსა და უნეტარესს
ილია II-ს დაბადების 80, მღვდელმთავრობის 50 და
აღსაყდრების 35 წლის აღსანიშნავად

„ანგელოზნი აღგიარებენ, ადამიანი
ადიდებენ ღუაწლისა შენსა“...
სტეფანე ჭყონდიდელი, Xს.

(საგალობელი სტეფანე პირველმოწმისა)

ერში მრევლი ამრავლე, რწმენით ვისაც უვლია,
რაც წრფელია – სრულია, გვამრთებს სამადლობელი.
ის, რაც იწვის – ანათებს! გული ანთებუღია,
საუკუნედ ნაწვეთი წამით, წამწამთ მსწრობელით...
დსევ გვზრდის და გვენდობა – მიწა გვიწვეს დედობას,
მიწა-წილი ღვთისმშობლის, მიწა – უფლის დედული;
ერმა უნდა იეროს, აღარ ენდოს უნდობარს, –
დღემდე ნარ-ეკლიანი გზები გამოვლილია...
აცისკროვნე მზის ჭადი, ცის თაღზე რომ ჰკიღია!
დიდია ცის სამყარო, ცისარტყელა – ხიღია...
მყინვარწვერის მწვერვალზე მზის სხივები ელვარებს:
ოთხმოცი წლის ნეტარის დიდი იუბილეა!
ვერც უგზობამ შეაკრთო, ვერც გზამ ნარ-ეკლიანმა,
ლაბირინთებს სულისა ჩასწვდა უნეტარესი,
იწვის, სანთლად იღვრება უფლის ხატის წინაშე.
ნუმც დაკინდეს სიკეთე, ნუმც დამცირდეს დიადი, –
ერის ზვარში დარგულმა ვაზმა უნდა იხაროს!..
ბევრჯერ ითენ-იღამა ზეცამ, საგანთიადომ,
უსასრულო სიბნელე სხივმა გადაგვიკარა.
ღალისფერი სივრციდან აღმა ისევ იალა:
სხივმოსილი გაბრწყინდა ღვაწლი ნაამაგარი...
უსაზღვროა სამყარო,
წამი – წამწამთმსწრობელი!
მზე, ცის საკურთხეველზე,
იწვის ჩაუქრობელი...
ნისლის ნაბადმოსხმული
დიდი ღამის ჩრდილია,
ერთი თუკი აქა-იქ
სანთელს არ უკიღია, –
სულიერი მოძღვარის
დიღზე დიდი წვლილია,
აბუდითი გზები რომ
უკვე გამოვლილია!
ნათლის სვეტთან მნათობის
ერს გაუბა ღარები,
ტაძრის ბჭენი ამაღლდნენ,
ახმიანდნენ ზარები!
რადგან გაღებულა
ეკლესიის კარები,
სინათლემ გაგვინათლა
სულიერი ძალები...
სწამს და ერი გენდობა:
აინთება კელაპტრად
ქართველების ერთობა
ადრინდელი დიდებით!
რომ იქ, – უფლის წყალობით, –
თავისუფალ სივრცეში
ვიდრე დარნი დარობენ,
ერი დააგუგუნებს
ღიღეს – მზის საგალობელს!
ოდეს ტაძარს, სიმტიცედ,

სალი კლდე აქვს რწმენისა,
კათედრალის აღმართვით
აღვგვიდგინე რწმენის გზა!
თავს ჯვრიანი გუმბათის
ოქრო უმკობს კათედრალს,
ლოცვით სხივი უმრავლე
ივერიას – ნათელთა!
კანონთშემოქმედი თუ
ორთაშორის სიმართლეს
სჯის სინდისის სახელით –
პირბასრია იმ განსჯის
აღესილი მახვილი!..
ტვირთმძიმეთა მდინარე
რადგან გასაველია,
ის გადივლის იოლად,
აზრით ვინც გულწრფელია,
რწმენით ვინც ეზიარა, –
ქვეყნის ხსნის გზა ეძია,
სარგებელი კი არა...
ის, რაც იწვის – ნათლება
ღამაზ ათინათებად,
იმედების ღაჟვარდებს
აღვარებს ციერი,
მზისქვეშეთის საუფლოს
ემრაველუამიერე,
ორი ათასწლეული
რომ შეჰკრა საუკუნით!
ეკლესია ზარს რეკავს
საქართველო – გუგუნებს!..

სტროფული აკროსტიხი
მუხურის ციხე – „შეუპოვარი“

ღირსეულ მოძღვარს, მხარეთმცოდნესა და ხელოვანს მიხეილ აბესაძეს
ოთხმოცი წლი ხარ! მსურს ისევ გხედავდე მხნეს და სვიანსა,
გიგზავნი იუბილეზე ლექსს – ოთხმოც ტაეპიანსა.

მზის ნატყორცნი სხივები, როცა ზეცას ბზარავენ,
მოედება როდესაც ალი ზეცის ზეფირებს,
მოციმციმე ყვავილზე ნამს რა გააძლებინებს –
მზის სხივს ეამბორება, წყურვილს მოაკვლევინებს!..
უფლის ნება წარმართავს უსასრულოდ განფენილს,
უსამანო სამყაროს, რომ ვერ სწვდება მზერანი,
უჩვეულო ფერებით, მზის სხივებმა დახატა,
უჩინარად რაც წაშალა დამემ კუპრის მეღანიო...
ხან თოვლით, ხან ნამქერით, მეხთატების გრუსუნით,
ხანაც დელგმად მომსკდარი სობოროტის უკუნით,
ხრესილის თუ ხრეთის, ქვაციხის თუ მუხურის,
ხმალშემართულ ვაჟკაცთა გარდასულ საუკუნით, –
უფლის სამლოცველოში მზე უნთიათ კელაპტრად,
უფლის ხმა ვინც ისმინა, მრევლს შემატა რწმენანი,
უხმო სიმხნეს, მტრის რისხვად, ვისი ხმალიც ელაფა,
უძნელესი სავალით, ვინც ატარა მერანი,
რწმენით ვინც განგვიმტკიცა გრძნობა ქვეყნის მოვლისა,
რომ კუთვნილი მიეუზღოთ მოძალადის სიავეს,
რათა სძლიოს სიკეთემ ბჭენი ჯოჯოხეთისა,
რათა ქვეყნად მამულის სადიდებლად ვიაროთ...
იყო გამარჯვებები, იყო დღენი ღოცვისა,
ისხნა სული ცოდვილი, ვინც დღე გაგვიმარადა,
იყო, როცა მომდგარი მტერი, მსგავსად ხროვისა,
იღგა „შეუპოვარი“ კლდედ მამულის დარადა...
სიმტკიცის ციტადელი იღგა მტრების წინაშე,
სამშობლოს სადიდებლად, ვინც იღწვოდა შენდობა,
საქართველოს დიდების დაივანეს წიაღში, –
სადვთო სადვთოდ მიაგეს ქართველების ერთობას...
ცა მზის სხივებს უგზავნის, ვით ძვირფას ამანათებს,
ციხის ნანგრევს გადავლილს ხავსითა და სუროთი,
ცხოვრებას რომ ამხევეებს, სამხერეთს რომ გვინათებს,
ცისარტყელით ირთვება ხელთუქმნელი სურათი...
ისევ საუკუნეთა უვრცეს სივრცეს გავცქერით,
ისევ სულის საღბუნად უფლის ღოცვა გვრგებია,
ისევ მომავლისაკენ გვიხმობს გზა გასაველელი,
იმედების ფრთოსნები რწმენის მზეზე თბებიან...
ხილს, მუხურულს დაისხამს ხე – მუხურის მიწაზე,
ხეთა ჯარიც მამულის მცველებს ემსგავსებიან:
ხან ქარიშხლებს ებრძვიან, ხან გვაღვისგან გვიცავენ,
ხანაც გრგვინვას მესხისას მკერდით ეგებებიან...

„ეშმაკეულს კი არა, – როგორც ბრძანა დავითმა,
ემშაკსაც მოვერვეით!“ დროა ერთად ყოფნისა!
ერმა უნდა იეროს, უნდა გაითავისოს
ენა, რწმენა, მამული – უპირველეს ყოვლისა!
შინ მშვიდობით ის მივა, ვინც არ უფრთხის ფათერაკს,
შარაგზაზე – საწუთროს ხაფანგს, განსაცდელისას
შორს მჭვრეტია სამხერი გონებრივი მზერისა, –
შუქად მოეფინება ნაშრომ – ნაღვაწს ერისა...
ერში კაცი თუ ვარგა, ქალი – უნდა ქალობდეს,
ერმა სულის საუნჯე თავად უნდა ეძიოს:
ერთხმად თუ არ შრომობენ, მინდვრად არ უფრენიათ,
ეს ღვთიური ფუტკარიც უსარგებლო მწერია...
უხვად მოეფინება მნათობისგან ნათელი,
უფლის ხმა ვინც ისმინა, სიკეთით ვინც იარა,
ურთულესი სავალი რწმენით ვინც გაიარა,
უფრო მეტად შეიცნო თავი ადამიანად...
პინა არის ორმხრივი, – ცოდვა-მაღლის საწონი,
პირბასრია მახვილიც – სიმართლისთვის ნაღესი,
პირველთაგან სიტყვაა აზრით თავმოსაწონი:
„პირადულმა დაუთმოს საქვეყნოს – ასპარეზი!“
ონავრულად გვებრძოდა მუდამ მტერთა კრებული,
ომში ხმალიც გვიჭრიდა, გვეცვა მტეციც აბჯარიც –
ოღენ რწმენის სიმტკიცით გვეყავა მტერი ძლეული...
ვიწრო არის კარიბჭე, ძნელი არის სავალი,
ვიდრე ბილიკს გაწაღდავს და უვალ გზას გაივლის,
ვიდრე მიზანს მიაღწევს, ვიდრე ნახავს სავანეს,
ვერ დააცხრობს ჯებირი სწრაფვას – ვერანაირი...
აღს სხივოსან მნათობის მოაქვს მშვიდი დარები,
ანთებული სანთელი იწვის ხატის წინაშე,
აღარ აკრთობს სიავის დარი, და ავდარები, –
ანდამატის ძალაა მშობელ მიწის წიაღში...
როცა მეზურე ვენახში გაახარებს ახალ ნერგს
როდი ემაყოფილდება – ჭიგოს ურჭობს მიწაზე!
რათა ნასხლავს ვახისას ჯვარის სახეს სახავდეს,
რათა წილხვედრს თავისას ღვთისმშობელი იცავდეს...
იწვის, ცისკენ ისწრაფვის სწრაფვით შეუპოვარით, –
ისევ შუქად უნთია ხატს სანთელი მთოვარი,
ისევ მომავლისაკენ გვიხმობს გზა და სავალი,
იმ რწმენით და სიწმინდით, რითაც დღემდე მოვედით!



ლეან ჯინჯისაძე მარადის შენი

ქართულო გენო –
ფესვო ძლიერო,
ხმალო ხალიბის
კვლავ გაფერილო.
უფალო დიდო
და სახიერო,
რწმენავ, იმედით
ცას გაფრენილო.

მარტოდ შთენილი
ჩუმად ფუსალმუნობ
და ქვეყანაზედ
ვარ მორიალე.
ჩემო სამშობლოვ,
გულის სალმუნო,
მარადის შენი
ვარ მოტრფიალე.

შენთვის ვილოცებ

თუკი ვიმღერებ
შენთვის ვიმღერებ,
შენთვის ვაკენესებ
ორძალს და ჩანგურს.
შემოგველები
კიდით კიდემდე,
ტრფობით დამთვრალი
მოგიძღვნი ამ გულს.

თუკი სიკვდილი
იქნა საჭირო
დაუფიქრებლად
გავწირავ თავსაც.

თუკი ვიბრძოლებ
შენთვის ვიბრძოლებ,
მკერდით დავიცავ
ბარსაც და მთასაც.

თუკი ვილოცებ
შენთვის ვილოცებ
მუხლებმოყრილი
ლამის თენებით.
დავემსგავსები
კანდელს ხატის წინ
და მისებურად
დავიღვენთები.

დროის მდინარე

გაზაფხულივით
ჩაირბინა
სიყრმემ სიმღერით,
თამაშ-თამაშით,
სიკისკასით,
ისე თავნებად.
ლამაზ სამყაროს
შეველიმოდი
ცისკროვან მზერით,
ახლა კი მხოლოდ
წარსული დრო
მრჩება ზმანებად.

ფოთლების ფარდაგს
დახუნძლული
ნელა მივეყვი
ელდანაკრავი
გამიფრინდა
ჩემი მზეწვიაც.

ზაფხულის დარად,
ჩაიარა
ყმაწვილკაცობამ,
იმ დაუდევარ
დღეთა ცეცხლი
ჯერაც ანთია.
მახსოვს პირველი
სიყვარული...
ბედის ანცობა...
ომის ორნატი
სხეულზეც და
სულშიც მატყვია.

...და თეთრი ზამთრის
მოლოდინში
სუნთქვას ვიკავებ,
ჯერ შემოდგომის
უგრძესი გზა
არ გამივლია.
აღმართს მივეყვები
ნაბიჯ-ნაბიჯ,
და გავივაკებ...
ზამთრის სიცივე?!
ო, არ მინდა,
არ შემიძლია.

ცხოვრების გზაზე
შემოდგომის
სუნთქვა ვიგრძენი,
სხივების თოვა
და მცირედი
სუსხიც მეწვია.

დროის მდინარე
ჯერ არ ვიცი
საით წამიღებს,
ან რომელ ნაპირს
მივადგები
ცხოვრების ბოლოს.
ჯერ კიდევ მინდა
ვეთაყვანო
კენარ ქარიტებს,
რადგანაც მათი
სიყვარული
მაცოცხლებს მხოლოდ.

ჯიბო ჯიმერი

ღმერთო აქამდე

ჩემს გზაზე ყინვა იმდენად მოდნა,
ლამის ეს არის – ხრამში დავექანდე.
თუ ჩემთვის გინდა სიკეთე ოდნავ,
რად არ მაბრძანებ, ღმერთო, აქამდე.
ვინ აღარ იჭერს აპლოდისმენტებს,
ლამის თხუნელაც კი აქაქანდეს,
ამდენ სიცრუეს რომ არ ვისმენდე,
რად არ მაყრუებ, ღმერთო, აქამდე.

არ დაგიმადლი ყოფნას აწინდელს,
ასეთ სიცოცხლეს, მიჯობს გავქვავდე,
მართლის თქმისათვის რომ არ გავწიბილდე.
რად არ მამუნჯებ, ღმერთო, აქამდე.
ამ ბოლოს მაინც თუ გაიმეტებ
ბედნიერებას, ნატრულს აქამდე;
დამაყრუმუნჯე, ჰქენი სიკეთე,
რომ წყნარად განველო იმ ბანაკამდე.

ბავშვის თვალებით

მგონია მართლა გადავსხვაფერდი,
რის ნიშანია: კარგის თუ ცუდის?
აქამდე ბავშვურ ღიმილს ვაფენდი,
ახლა ჩემს გუმანს სხვა სუნი უდის.
არაფერს ვმატებ არც სახლს, არც ღობეს,
ოცნება დარღობს წლებს გაეკიდა.
მიკვირს: წიგნებად როგორ აცხობენ
აზრს – გამოწოვილს ყვითელ ნეკიდან.
ღმერთო! შემთხვევით, თუ ადრე გავჩნდი,
ჩემს დროს მომასწარ, ისე მარწიე.

თუ გვიან გავჩნდი, წარსულის აჩრდილს
გთხოვ, დღესვე მომკალ და დამაწიე.
თუ სულ არ ვიყავ ღირსი გაჩენის,
„მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია“.
ნუ ელი ჩემგან მკაცრ განაჩენით
ლექსს მამებელს და ტკიბილხმოვნიანს.
უცოდველობამ ჩამაგლო წვაში,
ბავშვის თვალებით დავბერდი თანაც,
კვლავ ისე ვეძებ რაღაცას ცაში –
– ვერ ვამჩნევ ცხვირთან მოქნეულ დანას.

გამაგებინეთ, რა მემართება

გამაგებინეთ, რა მემართება,
თითქოს ამ გზაზე სულ არ გამეველოს.
ზოგჯერ ვერ ვამჩნევ ელვა-ნათებას.
ზოგჯერ დამეშიც ვხედავ ანგელოზს.
თუა მინდორი გადამოლილი,
ან ცა იენისით თუკი ღურჯღება,
ზოგჯერ სიმღერის უინი მომივლის,
ზოგჯერ ხატივით მფლობს დამუნჯება,
ქარი რომ მუხას შეძრავს რკიოიანს
და სიბნელეში ხვნეშის მავრივით.
ზოგჯერ სიზმარი ცხადი მგონია,
ზოგჯერ სიცხადე ჩანს სიზმარივით.

რაღაც ცუდ გულზე მომეგუნება,
და ჩემს ორულს სარკეში ვთქვეფე.
ზოგჯერ ჭინჭველაც არ მეპუება,
ზოგჯერ გამირბის ნადირთა მეფეც.
თუ ყველა ამ გზით მიემართება,
ვაი თუ, კრავი დრომ გამგელოს,
ზოგჯერ ვერ ვამჩნევ ელვა-ნათებას.
ზოგჯერ დამითაც ვხედავ ანგელოზს.
როგორ მივაგნო წამალს უებარს –
ვის დამართნია, მითხარით, ეს, ვის?
ზოგჯერ გრუხუნიც არ მეყურება,
ზოგჯერ მიწიდან ჩურჩულიც მესმის!

სადაც მე ვდგავარ

განა მე წვიმა გვერდს ამივლიდა?
ჩემი ქოლგის ქვეშ ვიდექ წვალებით.
სადაც მე ვდგავარ, ამ ადგილიდან,
ამ ადგილიდან ჩანს მწვერვალები.
ბრიყვს სხვა რა უნდა, ოღონდ აქე და,
ჭეშმარიტებას არ გთხოვს სრულებით:

სადაც მე ვდგავარ, მხოლოდ აქედან,
მხოლოდ აქედან ჩანს უფსკრულები.
ქარმა ღრუბლები ცაში გაჰკიდა,
ელვა თვითნებობს, სივრცის გამკვეთი...
სადაც მე ვდგავარ – ამ გორაკიდან...
აქედან მოჩანს იქით-აქეთი.

ნეტავ ვცდებოდე

მეკითხებიან: „რა გაქვითინებს,
ხმაში დაღუპვის შიში გაისმის.
ბზარსაც ვერ ვამჩნევთ კედელ-ქვითკირებს,
არც ჩანს ნიშანი აპოკალიფსის“.

ნათქვამს და სათქმელს ათასჯერ ვწონი –
ცოტადა დამრჩა საიქიომდე;
– ნეტავ ვცდებოდე, თქვენ იყოთ სწორი,
და ქვეყნის საქმე წინ მიდიოდეს.



თამარ ჯაჭვაძე

“თავთან დაკლული სიკვდილი ეღო” ბეჟან ხარაიშივილს

„პოეტები ყველაზე ადრე კვდებიან“-ო
ეს რამ გათქმევინა ბიჭო,
ამ გადაჯიშებულ, უცხო ქვეყანაში
სიცოცხლეს სიკვდილი გვიჯობს.
„მირზა წავიდაო,“ – ბეჟანაც წასულა...
ხარებო, სად ჩაწყდა სვრელი?
რამდენი მშობლიური, რამდენი უცნობი

თვალი დაგვიტოვებ სველი!
ის დაუწერელი ლექსი რაღა იქნა,
სატრფოც უაღერსოდ დარჩა,
მირზას თუ ტყვიებმა სისხლი ამოწოვეს
ბეჟანა რატომღა არ ჩანს?
ცოდონი არიან, ბიჭებო, ქალები
სიცოცხლე გლოვად რომ ექცათ...
თორემ პოეტები არასდროს კვდებიან,
პოეტები ცოცხლობენ ლექსად.

ფესტოსის დისკო გია კვაშილაგას

შარავანდელი ედგმებოდა იმ ძველ ელინთა
არ ყოფილიყო საქართველო ერთი მტკაველა,
აბა ბერძენი ყოფილიყო რუსთაველი და
ან საფრანგეთში შობილიყო ვაჟა ფშაველა.
აბა ილია ყოფილიყო უელსის პრინცი,
ანდა აკაკი იტალიის მთებზე მდგარიყო,
ოვაციებად იქცეოდა სამყარო იცი,
მაგრამ ტაბიძე ამერიკის შვილი არ იყო.
არ ღირსებია ტიტანს დიდი ერის
შვილობა,
იბადებოდნენ ბედუკუდმართ საქართველოში...
იაპონური თუ საკურაც ვარდად შლილობდა,
იფანტებოდა ჩვენი მიწის სურნელი დროში.
პატარა იყო და მსოფლიოს ეგონა ბაეშვი,
აზანხარებდნენ დედამიწას დიდი ერები,
ძველი გენები იწვრთნებოდნენ მოთმინებაში,
ამაღლებული სუფთა სულის მშვენიერებით.
საუკუნეა ერთი დისკო აწვალებს მიწას,

ამ ასწლეულმაც აგორავა სიზიფეს ლოდი,
ბევრი შექსპირი, ბაირონი, დანტე დაიწვა,
ვერ გაუგია ამ სამყაროს საიდან მოდის.
არ დაღეულა ძველისძველი სისხლი
შუმერთა,
არ მოველოდით, თუმცა აზრიც ხმალივით
გვიჭრის
თუკი მსოფლიო ისტორიას შეაბრუნებდა
კოლხურ მიწაზე გამოზრდილი პატარა ბიჭი.
აბა ის ბიჭი ყოფილიყო დიდი ქვეყნიდან,
აბორგდებოდა დედამიწა ამ აღმოსწვით,
გალაქტიკაში გაიფლავებს მეტეორი და
პატარა ქვეყნის საუკვდავრო ვერც
გამოჩნდებათ.
გადაიდება უძღვებ შვილთა შინ დაბრუნება
და დედამიწას მშობლიური სითბო სწყურია,
ვიდრე სამყარო აკვანავით გადაბრუნდება.
შვილებს ეძახის დიდი დედა - დიოსკურია.

მე პოეტი ვარ სამშობლოში ვერჩატეული

წაბილწული ხარ, არაკაცთა მრუდე ხელებით,
ავგეას თავლას მომაგონებს შენი სხეული,,
ვით მოგეფერო, ქალი - თავად მოსაფერები,
საით წავიდე, სამყაროში ვერდატეული?!
რამდენი თოთო ლექსი დამჩნა დაუწერელი,
აპრილის თვეში ატირდება ვაზის ლერწოვით...
ნუ იმედოვნებ, დავიწყებით ვერ მომერევი,
სიყვარული ვარ, ცხრა მთას იქით
გადახვეწილი.
ვის გააოცებ ლექსის წერით საქართველოში,
აგიზგიზდება ერთხელ მაინც, თუნდაც ქვა
გული...

გავიფანტები ჰიადებად უსახურ დროში,
მე სიმღერა ვარ ასტრალბში გზადაკარგული.
საით წასულან სამამულე შენი ვაჟები,
რამდენ მედეას გაიტაცებს ბნელი დროება...
შვილწართმეული უფრო ნაკლებ გაიტანჯები,
თუ ჩემი ლექსი შენს სატკივარს კენესად
მოება.
უნდა წავიდე, გავიკარგო დედამიწიდან,
დამუხანგებია ხმა - ვადაში გადამტვრეული,
მარადისობის წყვდიადიდან მზე ხელს
მიწვდიდა,
მე პოეტი ვარ სამშობლოში ვერჩატეული.

შეკითხვა
უცხოეთში დაბადებულ შვილს -
ლევან გელაშვილს

ჩემი გულუბრყვილო ქართველების
ღმერთო, გზები უფრო არ არიო...
გულზე ვადგებოდით იმპერიებს,
ერთურთს მისძახოდნენ; ალალიო!
და როს გასაჭირი გედგა ერო,
ხამდა გამაგრება ქვითკირული...
სად გყავდა ამდენი მშვენიერი,
შვილი, სხვათა ქვეყნად გახიზნული.
ლამის მონატრებამ გადამრიოს
და კიდევ ამ ცეცხლის შეკიდება?
- დედი, საქალთველო ლა ალიო?
როცა ციცქნა შვილი მეკითხება.
რა ვუთხრა ცოტაც და ავტირდები...
- სისხლ-ხორციით მორწყული შენი მიწა,
შინიდან წასულს და გარდახვეწილს,
თავი რომ არავის დაავიწყა...
დაშლილა, დღეს როგორ დარღვეულა...
ბავშვი კი ტიტინებს: - თქვი კიდევ,
მერე ატირდება ჭირვეულად;
- დედი, საქალთველო მიყიდევო.
გამოფხიზლდები და ვეფერები,
თვალეში რომ ცრემლი ამოვუშრო:
- რად გინდა პატარავ საქართველო?
- გაჩუქებ, დედი, ლო ითამაშო!
ვაიმე, ისედაც თვალმახარას
ასეთი ბედი რომ არ აშორდა,
ურჯულო, ლოთი და მასხარა...

ამ ქვეყნით ვინ აღარ თამაშობდა!
ახლა ვისი ხელი ეტანება,
იმ გელათს, იმ დიდგორს, იმ ბასიანს...
დედას რაც ძალიან ენატრება,
ალბათ, ის ყველაზე ძვირფასია!
გიყვარს და არც იცი რა გიყვარდეს,
შენს კითხვას ნათელი ვით მოეფინო?
მამულის შორიდან სიყვარული,
ღმერთმა სატანჯველად გამყოფინოს!
წაგიყვან, მოგატარებ ფეხშიშველას,
დედულეთს, მამაპაპურ სალოცავებს,
მტერსა თუ მოყვარეს ვეტყვი ყველას -
ჯიში და სისხლი ვერ გამოცვალებს.
ღამე შეადნება ბაც ალიონს,
შეკვივლებს, სულს ცეცხლი ეკიდება,
- დედი, საქალთველო ლა ალიო?!
როცა ციცქნა შვილი მეკითხება.
ჩემი გულუბრყვილო ქართველების,
ღმერთო, მაპოვნინე ძველი გზები...
გულზე დავადგებით იმპერიებს,
სამყაროს ხახაში გაგჩრებით!
ოღონდ არასოდეს დაივიწყო,
დედას ხელისგულზე ურწევინარ...
შვილო, სადაც იყო, როგორც იყო,
იცოდე, რომ მაინც ქართველი ხარ!
ხაბაროვსკის მხარე

* * *

წყალთან შემომხვდა ბავშვობა,
მხარზე შეედგა კოკა...
ვაიმე, როგორ მომინდა
იმ ნაგიჟარას კოცნა.
- დაქალებულხარ, წახვედი,
უცხო მოირგე ფარხა...
მე ჭრელი, მოკლე კაბა და
დედა ცოცხალი დამრჩა.
შენ კი სად აღარ გივლია,
სად არ გატირა ბედმა...
პურს აცხობს, წყალი სწყურია,
მელოდებო დედა!

თქვა, უბოდიშოდ გაფრინდა,
წყალთან დამტოვა, უცხო,
შემშურდა იმ გაკნაჭულის,
დედა ნაზუქებს უცხობს.
გოგო, რომელი ბილიკით
მოგყვე სახლამდე, ნეტა,
რომ თვალი კიდევ შეგავლოთ,
შენ და ნათონარ დედას...
ვიდექი, ხშირბინდებოდა,
მე და ალვის ხე ვწუხდით...
წყალთან შემომხვდა ბავშვობა,
გადაყვლეფილი მუხლით.

ვახტანგური

სულ დამავიწყდა
ბოლო აკორდი კოცნა რომ იყო,
მაინც გადაგკრავ,
თუნდ ამ ჭიქამ ბოლო მომიღოს,
დამენანება
მორცხვი ფიქრის ხალხში გამხვდა,
სვენებ-სვენებით
შესვი, ბიჭო, რამ გაგახვდა,

გავინაბები,
აღარ მინდა თვალის გახვლა,
სად დაიტოს
სიყვარული, გულმა, ამხვდა,
თან ბედნიერი
თან სირცხვილის ცრემლით ვიტირებ,
ასე სახალხოდ
კოცნას ნეტა მართლა მიპირებ?!
კოცნას ნეტა მართლა მიპირებ?!
კოცნას ნეტა მართლა მიპირებ?!
კოცნას ნეტა მართლა მიპირებ?!

იამზე ჭელიძე

მინდა გაგფანტო ბურუსი დროში

ჩემს სურვილებს უსაზღვრო ფრენას
თუ არ გაუღდე მე ფართედ კარი,
მომკლავს მე მიმიმე ცხოვრების თმენა,
კარს შემომიმტვრევს ცივი ზამთარი.
და მერე სულიც გაიყინება
ის არასოდეს გაიყიდება,
ახლა ავდივარ მწვერვალზე თმენით,
მინდა შევიგრძნო დიდება ჩვენი.
მინდა გაგფანტო ბურუსი დროში,
მინდა სიამე შევიგრძნო მოსვლის

ამ ქვეყნად, რათა ვიცხოვრო მზეში,
მეც მქონდეს ჩემი ფერი და ეშხი,
მაგრამ ხომ ვხედავ, ქვეწარმავალი
მოღის, რომ მოსპობს მე წარმავალი
დროზე ადრე და ჩამკეტოს ბნელში,
მე ფხიზელი ვარ, ყოველი მესმის.
ავდივარ თმენით მწვერვალზე ისევ,
თან წამომყევი შენ სიხალისევ.
დავაგუგუნო სიმღერა ჩვენი,
ისევ ვიცხოვროთ ჩვენ აღმაფრენით.

* * *

არ ვიცი ახლა ფიქრიც გამიბრბის,
ამ აღელვებას რა მოუხერხომ
დროვ, რამდენ ნათელ ფერებს დამპირდი,
მე გადახიზვნა ნუთუ არ მეყო.

* * *

რამდენმა ფიქრმა დაიღო ბინა
და გაიშალა ლოგინიც ჩემთან.
ვერ დამამარცხა დრომ, თუმც მისკინა,
მაინც ვუმღერე ლამაზად ჩემს ცას.

სადღაც გაფრინდა ლექსი ობოლი

სადღაც გაფრინდა ლექსი ობოლი,
არ დაიკარგა, იგი შეიცნეს.
მე შორი გზიდან მისკენ მოვრბოდი,
ცრემლი მოვწმინდე, ისე შევიგრძენ.
და ახლაც მახსოვს სტრიქონი მისი,
ახლაც ვმღერავარ ჩემს გულში უხმოდ,
ყველა დაჩაგრულს მე მისკენ ვუხმობ,
ლექსი ლამაზი სიმაღლის ღირსი
ყველას ანცვიფრებს, ყველას და ეტრფის,
რადგან დევილი შორიდან მღერის,

სულიერებავ, მე ვცხოვრობ შენთვის,
კიდევ და კიდევ სათქმელი ბევრი
გაქვს საოცნებო მქუხარე ლექსო,
შენი სიმაღლით შეივსოს ყველა,
ფესვ-ძარღვიანი სტრიქონი ვკვესოთ,
მარად დახატოს ცა ცისარტყელამ.
სადღაც გაფრინდა ლექსი ობოლი,
არ დაიკარგა, იგი შეიცნეს.
მე შორი გზიდან მისთვის მოვრბოდი,
ცრემლი მოვწმინდე, ისე შევიგრძენ.

მაინც შემოვა იმედის წამი

ლექსი ობოლი ჩემთან ხალისობს,
რა ქნას, თუ ღხენის ფუძე დაენგრა.
რა ქნას, თუ ჟამმა თვალი დაუვსო,
რა ქნას, თუ დიდი ზნე დღეს დაეცა.

მაინც შემოვა იმედის წამი,
მაინც დასჭექავს სიტყვა მეფური
და გვეტყვის მაღლით, ყველას სალამი,
დღეს ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნის.

* * *

ამოვისუნთქე, როგორც მინდოდა
მშვენიერებავ, შენთან მოვედი
და სულში ჩაწვა დიდი მშვიდობა
და უფრო მეტსაც ახლა მოვედი.



ლალი კახიძე

მონატრება (ნანა მწარიაშვილს)

ზაფხულმა მოირგო, მინდორი ფაჩუნად,
როგორ მენატრები, ჩემო ქინძაჩუნა,
ყოჩად შენს ქალობას, ყოჩად შენს დედობას,
იმ უცხო მხარეში, რომ დგახარ ფერდობად.
ძირ-ძველი თბილისი, მჯერა გენატრება,

ვიცი მასზე დარდი, ვიცი გემატება,
შენ აქ დაიბადე, შენ აქ გაიზარდე,
ერის სიყვარულით, შვილი გამოზარდე.
ჩემო ქინძაჩუნა, სად დგახარ ფერდობად,
ყოჩად შენს ქალობას, ყოჩად შენს დედობას!

ფლორენცია

თავი ზღაპარში მეგონა
ვიყავი გაოგნებული,
ფლორენციაში სტუმრობით
და ჩუქურთმებით მეფურით.
ტოსკანით თავბრუ-დახვევა
მისი მხატვრობა, სიძველე,

დღეს მენატრება და სევდა
ძველ მეგობრებსაც მივწერე.
ნეტავ თუ კიდევ მოვხვდები,
მუზის მუზეუმ ქალაქში,
ჩემი ოცნების მარაოს
ნეტავ თუ კიდევ გადავშლი.

ლუკას

რატომა ხარ მოწყენილი
ჩემო ჩიტო-ჩიტუნია,
ტოტზე იქნებ შეფრთხილდე
არ შეგჭამოს ფისუნია.

იქნებ ლუკამ გაწყენინა
ბავშვებს ჰქონდათ რია-რია,
მიუტევე გენაცვალე
ის ხომ იუბილარია.

2008წ. 17 თებერვალი, გამოენია.

დედას

დედა მესიზმრე და დამარიგე,
შენ დიდი ნიჭი შეიღო გიჩანსო.
ყველა სიტყვა ხომ შენით იწყება
შენით იწყება, დედა ძვირფასო!

თუ რამე მქონდა შენ მე მანუქე
მეფერებოდი სიზმრად და ცხადში
ახლა სურათი ცრემლით გამოუქდა
დაგეძებ მაგრამ შენხარ ცაში.

ია და ეკალი

როგორ შეგადართ ია და ეკალი
ერთს კაბა აცვია, მეორეს – ბექთარი.
ერთია ნაზი და მეორე უხეში,
მაგრამ ამ ორივეს ჭირდება ნუგეში.

ეკალი დაგაკაწრავს! – შეხებას მიშლიან
იაც და ეკალიც ბუნების შვილია
მე მიყვარს ორივე იაც და ეკალიც
ერთს კაბა აცვია, მეორეს – ბექთარი.



**ბიძინა ივანიშვილზე მიძღვნილი ლექსები
გულნაზ ხარაიშვილი
სიკეთის მთესველო
(ბიძინა ივანიშვილს)**

ს - აზღვრებს სცილდება, ის სიკეთე რაც შენში არის,
ო - მედის ფესვო, მინდა ლექსით მოგესათუო.
კ - ერპი ხარ ხალხის, ტკივილების დამცველი ფარი,
ე - რისთვის გინდა შენ ყოველთვის სანთლად აენთო.

თ - ავთუხისფერი არის შენი მაღლის მანტია,
ი - ის სურნელი გზად და ხიდად წითლად ბრდღვიალებს,
ს - ანხერის მხარე ზეიმობს და თბილი მარტია.
„მ - უმლი მუხასთან,” ვიმედოვნებ არ იღრიალებს.
თ - ონეს ახურებს დაგრდომილი, შენდა იმედად,
ე - ფიცხებიან გულის სითბოს, ცას სწვდება ალი.
ს - ასწორზე ვწონი ჩემს სიტყვებს და მაინც გიბედავ,
ვ - ამაყობ შენით, ლამაზ ხვანში გაზრდილი ქალი.
ე - რთხელ უბრალო გლეხის შვილს მე დიდმა უფალმა,
ლ - ექსების წერის სიყვარული გადმომაფქრქვია...
ო, - რამდენჯერმე გაგვიგლიჯა გული გრიგალმა,
ახლა ამჯერად ხალხის იმედს „ბიძინა” ჰქვია.

ღმერთკაცი

ღ - ამე ვათიე, საბნად სითბო გადამეფარა,
მ - იმოვიარე კვლავ ფიქრებით ამერ-იმერი...
ე - ქოს ხმა ისმის... მწუხრი უნდა გადამეყარა,
რ - ას დამშვიდდები, თუკი ისევ გაჩნდა იმედი.
თ - აკარა ცრემლი შევიმშრალე თვალთა უპეში,
კ - ალიები გვსურს ყანებიდან ფრთხილად განვდევნოთ.
ა - რ ჩავიხრჩობით არასოდეს, ლამს და წუმპეში,
ც - ეცხლი დაინთო, ისტორიას თვალი ვადევნოთ.
ი - წვის წარსულის ტკივილები სხივის მკლავებში,
გთხოვთ მეც გამიგოთ, რომ საქები ადრე შევაქე.
ეს საუკუნე გავიართო ხალხის ალერსში,
ღმერთი შემინდობს, თუკი „ღმერთკაცს” ჩვენს მსწვლს შევარქმევ.

დავით ტიგინაშვილი

ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ისევ იყივლა ქართულმა სისხლმა,
თვითონ უფალმაც არ ჩაიძინა,
დედა ღვთისმშობლის მაღლი ტრიალებს
საქართველოში, ჩემო ბიძინა!
რა დროს გამოჩნდი მხსნელად, რაინდო,
მუხამ მომიხმო თვის თანამგზავრად,
ო, საქართველოს გადასარჩენად
მართლა უფალმა გამოგავზავნა?!
ვის რა შურს შენი, ან ვის არ უყვარს
დოლარ-სტერლინგი-ევრო ტკიცინა,

ღმერთმა ხვაი და ბარაქა მოგცეს,
მილიარდები, ჩემო ბიძინა.
ვერ ეღირსება მტერი ამ ქვეყნის
გადაშენებას, ღმერთო, წამებას
გაბრწყინებულა სვეტიცხოველი,
უფლის კვართი და წმინდა სამება.
ისევ იყივლა ქართულმა სისხლმა,
თვითონ უფალმაც არ ჩაიძინა,
ალალი იყოს, დავითის ხმალი
და საქართველო შენთვის, ბიძინა.

საბა მოძველი

ქართული ოცნება

ვუძღვნი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

მიიპარება გრძელი ზამთარი,
ვერ უძლებს სხივთან დავას,
თბილსულა წვიმის ეშხით დამოვრალი
თეთრი სიშავეც წავა...
შორს გავაცილებთ ქარს და ქარტყხილს,
ქვეყნად რომ იყოს დარი.
გამოიღვიძეთ, ფეხზე დადექით,
ძილის დრო აღარ არის!
ღვთისნიერ კაცის კეთილ საქმეებს
მიესალმება ერი,
მისი თვალების შუქი მამხნევეს
და მეც ამიტომ ვმღერო...

გაზაფხულის მზე ყველას გვეყოფა,
ფრთებს შლის ჭორვილაც, მოძვიც;
თეთრ იას, ჩემი ეზოს დედოფალს,
უკვე წინასწარ ვკოცნი.
დიდი იმედით სუნთქვა ახლდება,
ძალა ელევა ზამთარს;
მაღე ახდება, მაღე ახდება
ამერ-იმერის ნატვრა!
ჟღურტულს იწყებენ უკვე ფრთოსნები,
ბოლო მოედო ლოდინს;
გზა დაულოცეთ, ქართულ ოცნებით
ქართველი კაცი მოდის!

წერილები

ტიტე მოსია

ციუი იუანის „მეუფენი“

ციუი იუანი ჩვენს ერამდე IV-III საუკუნეების პირველი ცნობილი ჩინელი პოეტია (340-278). ცხოვრებამ მოუწია ჩინეთის ისტორიის უმძიმეს პერიოდში. იყო სიკეთისათვის თავდადებული მებრძოლი. სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა – მდინარე მილოში დაიხრჩო თავი. ქართველი მეოთხედი მას იცნობს რვა ლექსით, რომელთაგან შვიდ ნაწარმოებს სათაურად გასდევს სიტყვა „მეუფე“: „ღრუბელთ მეუფეს“, „მდინარეთა მეუფეს“, „აღმოსავლეთის მეუფეს“, „სიცოცხლის უმრწემეს მეუფეს“, „მდინარე სიანის მეუფეს“, „აღმოსავლეთის მეუფეს ტაი-ის“, „სიცოცხლის დიად მეუფეს“. ყველა ლექსში გამჭვირვალედ ჩანს ციუი იუანის კეთილშობილური დამოკიდებულება ამ „მეუფეთა“ მიმართ. უნებლიე პარალელისთვის: ანა კალანდაძის „მეუფის სახლი“ გვახსენდება, რომლის მკვიდრია ღვთისმშობელი: „ჩამოჰკრეს მწუხრის, ო, დაო ჩემო, და სასურველნი განახვენ ბჭენი: „გისმობს თავის სახლსა შენი მეუფე... მე თუ მომიხმობს მეუფე ჩემი, დავირქმევ გვირგვინს სიხარულისას, ჩემი საგსება მომეგოს სრული, შემომხვევა წმინდა ნათელი, ამეთვისტო და მარგალიტსხმული, მე თუ მომიხმობს ჩემი მეუფე“.¹

ეს „მეუფენი“ ხომ არ არის მო-ცზის (479-381) „ციური ნება“, „ციური ბატონი?“ ფ. ბიკოვის მიხედვით, ჯოუს ეპოქა (VIII-III სს. ძვ. წ.) ბევრ რამეს დაესესხა ინის კულტურას. შეინარჩუნეს და განავითარეს წარმოდგენა ცის მეუფებაზე, როგორც უმაღლეს სულზე, რაც განაგებს ბუნების მოვლენებსაც და ადამიანთა მოღვაწეობასაც. ჯოუელთა „ცისა და მიწის კავშირის ერთიანობის თვალსაზრისში“ დასაბამი მისცა „ცის მეუფების“, „ცის ბედის“, „ცის ბედისწერის“ წარმოდგენათა აღმოცენებას.² ცის მეუფება ყველაზე უძველესი რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენაა ჩინეთში, რისი ძირიც დაოს მოძღვრებაში ძეგს.³

ციუი იუანის ლექსის – „ღრუბელთ მეუფის“ – მიხედვით, მეუფე არის სამყაროს ამესები სინათლით, ნათლის მთესავი. ადამიანის ბილიკის განმანათლებელი, ძეხორციელის შემწყალებელი, მუდამ ძლიერი. ზოგჯერ ახასიათებს გრიგალივით უფსკრულში გადაშვება, ბნელში ჩაკარგვა, მაგრამ ადამიანებს წუთითაც არ ტოვებს უყურადღებოდ. ამიტომაც არის ძეხორციელი მონატრებული მის ხილვას, ადარდებს მისი სიშორე, იგი ესახება სამსხვერპლო ტაძრად. მეუფეზე ფიქრი პოეტის დაღლილ გულს ამხნეებს და აძლიერებს. ლექსში სათქმელი მხატვრულ ფერებშია გადმოცემული:

„მერე ყვავილივით გადახატე,

გააფერადე შენი სამოსი აბრეშუმისა“;

„ცას მოჰკვალავდი მთოვარესავით“;

„როგორც გრიგალი უფსკრულებში გადაშვებული,

იკარგები და ბნელში იმაღვი“.

მდინარეთა მეუფესთან („მდინარეთა მეუფეს“) შეძლო პოეტმა სულით შეერთება („და დაჰქრის სული სივრცეთა კარად“). ახლა ერთად დაიარებიან („ჩვენ ცხრა მდინარეს გადავიართ, გავცურავთ ცხრავეს“): „მდინარე ჩვენი ეტლი არის, ხოლო ლოტოსი ბაღდახინია“. სულითურთ შინმოსული ისევ ეხმიანება მდინარეთა მეუფეს:

„მეუფევ, მარად უფსკრულების წყლების მჩქეფელო,

შენი სახლია მარტოდენ წყალი –

სად მფრინავ თევზებს გაკიდებისარ,

კუზიან კუზე ამაყად მჯდარი!

შენს სიახლოვეს დავიარები,

მძლავრი მდინარის ნაპირებზე – შენთან წვეული“.

ამ ლექსში „წყალს“ უთუოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს. იგი „ციური მეუფის“ სახლია. ბიბლიის თანახმად: „დასაბამი სიცოცხლისა წყალი და პურია“ (ზირ. 29, 21). ღვთის

¹ ამ ლექსის კომენტარი იხილეთ ლ. სორდიას წიგნში – „ქრისტიანული სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, თბ., 2009, გვ. 202.

² ლაო-ძი, დაო დე ძინი, გვ. 11. შდრ. აზიის ხალხთა ინსტიტუტების მოკლე ცნობები (ჩინური კრებული), №53, მოსკოვი, 1962, გვ. 86.

³ იქვე, გვ. 238.

მადლს წყალს სიხარულით ამოხაპავთ ხსნის წყაროებიდან (ეს. 12, 3). ბიბლიაში წყალი ზნეობრივი განწმენდის ალეგორიაა, ისე როგორც ნათლისღების საიდუმლოს მომცველი: „უკეთუ ვინმე არა იშუეს წყლისგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე, 3,5).

ძველი ჩინური მითოლოგიური და მისტიკური თვალსაზრისით, ქვეყნად ყოველივეს შექმნას ხუთი სტიქიის დაბადებამ დაულო სათავე. ამ ელემენტთაგან უპირველესად სახელდება წყალი: წყლისაგან წარმოიქმნა ხე („მუ“), ხისგან – ცეცხლი („ხო“), ცეცხლისგან მიწა („ტუ“), მიწისგან – ლითონი („ძინ“). „შიძინს“ მიხედვითაც პირველი დასაბამია წყალი, მეორე – ცეცხლი, მესამე – ხე, მეოთხე – ლითონი, მეხუთე – მიწა. სწორედ ამიტომაც, რომ ძველ ჩინურ პოეზიაში დომინირებს წყლის კულტი (წყალი, ნაკადული, მდინარე, ზღვა, ტბა). მ. ჭელიძის შენიშვნით, უძველეს ინდურ ვედებში გვხვდება მსჯელობა წყლის როგორც საწყისის შესახებ, გვხვდება მინიშნება ცეცხლის პირველადობის შესახებ.¹ უპანიშადებშიც ყველაფრის დასაბამთა დასაბამად აღიარებულია წყალი: დასაბამთა დასაბამი იყო წყალი, წყლისგან იშვა ოქროს კვერცხი, კვერცხისაგან „არსთა მეუფე“, რაც შემდეგ ყველა ცოცხალ არსებათა დედათადედად იქცა (შატაპატხა-ბრაჰმანი, XII, 1,6).

თაღესმა სამყაროს საწყისად გამოაცხადა ფიზიკური ელემენტი წყალი, ჰერაკლიტემ – ცეცხლი, ანაქსიმენემ კი – ჰაერი. შენიშნულია, რომ ჰომეროსს ოთხი სტიქიის არსებობაზეც უფიქრია, რადგან ქაოსში მიწისა და წყლის გარდა ლაპარაკია ჰაერისა და ცეცხლის თავისთავადობაზე.² კონფუციუსს საწინააღმდეგოდ, ლაო-ძი უარყოფს ხუთ პირველემენტს (მიწა, წყალი, ცეცხლი, ხე, ლითონი), როგორც მატერიალურ საწყისს და მთელი ყოფიერების პირველმიზეზად მიიჩნევს დაოს.³ სამაგიეროდ იგი ადამიანის უმაღლეს სათნოებას წყალს აღარებს. წყალს წყალობა მოაქვს ყოველი არსისათვის... იგი იქ ბუდობს, სად ხორციელს არ ძალუძს ყოფნა, ამიტომ ჰგავს დაოს.⁴ ყველა ამ შეხედულებას უსწრებს უძველესი შუამდინარული კოსმოგონია, რომლის მიხედვით, ყოველივე წყლისაგან წარმოიშვა. მტკნარი (აბზუ) და მლაშე (თიამათი) წყლების ქაოსმა წარმოშვა ღმერთების თაობები, რომელთა შორის მხოლოდ მარდუქი აღმოჩნდა ძალმოსილი თიამათის (ქაოსის პრინციპის) დასათრგუნად.⁵

დავუბრუნდეთ ციუი იუანის პოეზიას. სიცოცხლისმოყვარეობის ფლეიტა ჟღერს საგალობლებში: „სიცოცხლის უმრწემეს მეუფეს“ და „სიცოცხლის დიად მეუფეს“. სიცოცხლის მეუფეს „კლიტენი კაცთა ბედის უპყრია ხელთ“, „მოაბიჯებს ღრუბლის ქულებზე“, მოერეკება ქარს „მოჰყავს მტვრის ამლოკავი წვიმა“, „ლიცლიცით ეშვება მიწაზე“. მის კვალზე მავალ პოეტს უჩნდება კითხვები სამყაროს უსაზღვროებაზე („მითხარ, რადაა სამყარო უსამანო...“), „ო, რა იღონოს წარმავალმა ამ ქვეყანაზე?“... „ოდეს ყოფილა, ან ვინ შეიქმს ქვეყნად თანხმობას?“

ლექსში „სიცოცხლის უმრწემეს მეუფეს“ დაგვანტერებს „მეცხრე ცის“ ხსენებამ („იქ, მეცხრე ცაში განაწესებ ცთომილთა წესებს“). შენიშნულია, რომ ცის შესწავლას პირველად შუმერებმა მიაქციეს ყურადღება ხუთი-ოთხი ათასწლეულის წინათ. ძველ ებრაულ რელიგიებში არსებობდა წარმოდგენები 5-6-7 ცაზე. არაბული ასტროლოგიური შეხედულება რვა ცას გვაზიარებს. ქალდეურ-ბაბილონური მრწამსით, პტოლომეოსის ასტროლოგიური მოძღვრებით, ქრისტიანული რელიგიით და „ყურანით“ გვექმნება წარმოდგენა შვიდი ცის შესახებ.⁶

აღმოსავლეთ აზიის ხალხთა, ქრისტიანული მოძღვრების, არაბული ფილოსოფიის, „ჰერმეს ტრიმეგისტოსის“ მხიედვით არსებობს 9 ცა. ზოგიერთი ქრისტიანული თუ მუსულმანური წყარო 10 ცასაც ასახელებს. დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება 10 ცა (მთვარის, მერკურის, ვენერას, მზის, მარსის, იუპიტერის, სატურნის, უძრავ ვარსკვლავთა, ანგელოზთა, უფლისა და ნეტართა სამკვიდრებელი). როგორც ელ. ხინთიბიძე შენიშნავს,

¹ მ. ჭელიძე, მითოსიდან ფილოსოფიური აზროვნებისაკენ, გვ. 92.

² იქვე, გვ. 175.

³ ლაო-ძი, დაო დე ძინი, გვ. 279.

⁴ იქვე, გვ. 181.

⁵ თამუზის სიზმარი (ძველი შუამდინარული პოეზია), გვ. 87, 98, 154.

⁶ ელ. ხინთიბიძე, მსოფლმხედველობით პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 95.

უფრო გავრცელებული შეხედულებით ცათა სათვალავი ან შვიდია, ან ცხრა.¹ როგორც ციუი იუანის ლექსში ვნახეთ, ძველი ჩინელების წარმოდგენით არსებობდა ცხრა ცა, სადაც თურმე მეუფე „განაწესებს ცთომილთა (ვარსკვლავთა) წესებს“.

„მეუფეთა“ ავტორი შეჰხარის სიცოცხლეს, მაგრამ ასევე კარგად უწყის წუთისოფლის წარმავლობა: „მსურდა არ მეგრძნო ჭირხლი სიბერის, მაგრამ გვიქადის გარდაუვალს (ანუ სიკვდილს) ბედი-ავბედი“ („სიცოცხლის დიად მეუფეს“), ციუი იუანის წარმოდგენით (რაც, ცხადია, ძველ ჩინელთა წარმოდგენებიდან გამომდინარეობს), ადამიანის სხეული მოკვდავია, სული კი – უკვდავი. ლექსში „სიკვდილი სამშობლოსათვის“ ნათქვამია:

„რადგან სხეული მოკვდავია,
სხეული კვდება,
სული კი ჰგიეს სამარადისოდ...
იქ, გმირთა შორის დაიდებენ სენაკს სამკვიდროს
სამარადუქამოდ მათი სულები!“

ეს სიტყვები პარალელს პოულობს ლაო-ძის „დაო დე ძინთან“: „გვამი იხრწნება, ხული უკვდავია“, „უკვდავია სული უწმინდესი“.²

ძველ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო სულთა გადასახლებისა და გარდასახვის (მეტაფსიქოზი) თეორია, რასაც იზიარებდა ადამიანის სულის უკვდავების მადიარებელი ანტიკური ხანის ბუმბერაზი მოაზროვნე პლატონი (427-347): „ადამიანის სული უკვდავია, რომელსაც ადრე მიღებული ცოდნა და ამოცდილება გააჩნია. ციური სამყაროდან ადამიანის სხეულში ჩასახლებისას სულს ავიწყდება თავისი ცოდნა“...³

ერთ-ერთ ლექსში („აღმოსავლეთის მეუფეს“) პოეტი მიესალმება აღმოსავლეთის მეუფეს ანუ მზეს, რომელიც აღისფრად სხივებს აკმევს, ნათლით შემოსავს ყოველივეს, ხელთ ღრუბლის დროშა უპყრია, „ხორციელთ ატკობს მშვენებით ნათლიერით“. მზის ამოსვლას სიცოცხლე ახალ ხარისხში აჰყავს: „ებანი რეკავს და ებანთან რეკენ ზარები, დაფდაფების ხმა მოისმის შორიდან, ფლეიტის ხმას სალამური ესმიანება“. გახარებული პოეტი მიმართავს აღმოსავლეთის მეუფეს: „სულიწმინდანი შეფარულან შენს სხივებში, გარს გახვევიან, ნისლში შედიხარ, ცისარტყელას სარტყელი გშვენის“. ეს ლექსი არის ფაქტიურად ჰიმნი სიცოცხლეზე, მზის სხივებში შეფარულ სულიწმინდაზე, ნათლის ესთეტიკაზე, ადამიანური ცხოვრების სიყვარულზე.

სერგი ლომაძე – ჯგუფ „ზღვარის“ წევრი მზისფერი პოეზიის აღიარება

ბოლო დროს განვაახლე სტატიების წერა ხელოვანთა (ლიტერატორთა) შესახებ. ჩავიფიქრე წერილთა ხუთნაწილიანი ციკლი, – აქ თითო-თითო ნაწილი უნდა დათმობოდა ნუნუკა გურალიას, მანანა დანგაძის, გულნაზ ხარაიშვილის, მიშო თუმანიშვილის და ნიკა (ნიკო) ჩერქეზიშვილის პოეტურ სამყაროს. ყველა ამათგანი უადრესად უნიკალური, უადრესად საინტერესო შემოქმედია. ორ მათგანზე უკვე შევქმენი სტატია. დრო დადგა – ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილის შესახებ სიტყვის თქმისა.

ახლა მახსენდება, ერთ-ერთ პოემაში თუ როგორ გადმოვეცი, ოკეანესთან, – როგორც სრულს სამყაროსთან, მეომარი პოეტის (ფარტაზის) ბედი. მართლაც ანთებული ვიყავი, თითქოს, იმ პოემის წერისას, იმ იდეის სრულქმნისას, სრულყოფისას, რამეთუ გრანდიოზული მეჩვენა ასეთი დაუჯერებელი შერკინება.

არადა, თურმე ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა. თურმე ირეალობა და რეალობა განუყოფელია, – მეტისმეტად პირობითია ზღვარი მათ შორის.

გულნაზ ხარაიშვილი, როგორც საზოგადო მოღვაწე, მართლაც რომ ოკეანესაა შეჭიდებული, ისეთ საქმეებს უძღვება. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებო, მარტო იმის თქმაა საკმარისი, რომ იგია დამაარსებელი (ან ერთ-ერთი დამაარსებელი) რამოდენიმე აკადემიისა, არის მოქმედი პრეზიდენტი იმ აკადემიის, რომელიც დიდი

¹ ელ. ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 95.

² ლაო-ძი, დაო დე ძინი, გვ. 180.

³ იქვე, გვ. 186.

მეცნიერის, მოგზაურის, სპორტსმენის, – ჯუმბერ ლეჟავას სახელს ატარებს; და არის დამაარსებელ-რედაქტორი რჩეული ლიტერატურულ-მეცნიერული ჟურნალისა „ათინათი“...

როგორც საზოგადო მოღვაწეს, გულნაზ ხარაიშვილს ძნელად რომ რომელიმე ქალი შეედაროს დღევანდელ საქართველოში.

მაგრამ როცა მან მზის წიგნი მაჩუქა (გულნაზის წიგნის ნამდვილი სათაურია „მზის მკლავებში“), მე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ იგია არა მარტო დიდი საზოგადო მოღვაწე, არა მარტო მთელი თაობების ერთ-ერთი მოძღვართაგანი, არამედ, – იგი, ამავე დროს, დიდი პოეტიცაა, რჩეული ხელოვანი.

ეს სტატია რომ პირმოთნეობად არ ჩამეთვალოს, საჭიროა დასაბუთება ჩემს მიერ გაცემული ეგზომ მაღალი შეფასებისა. და მეც მზადა ვარ – წარმოვაჩინო გულნაზ ხარაიშვილის პოეზიის მშვენიერება და მაღლი. აგერ, მისი ერთ-ერთი სტროფი:

„როგორ მამშვიდებ, ჩემო პოეზია, –
მერცხლის ჭიკჭიკო, ბელურა ჩიტო.
ფიქრები ჭარბად თუ მომესია,
შენ მოგენდობი...
ვით ვაზი ჭიგოს.“

მართალი გითხრათ, ეს ის შემთხვევაა, როცა ლექსი თვითონვე წარმოაჩენს საკუთარ მშვენიერებას, მაგრამ მაინც უნდა ითქვას სიტყვა ამ მაღალ ესთეტიკაზე. ბევრჯერ მითქვამს, რომ პოეზია, უპირველესად ყოველისა, გრძნობა (ანუ-გული) და პოეტური სახეებია. აბა დააკვირდით, თუ რარიგ გრძნობას, რარიგ სიმართლეს, და როგორ პოეტურ სახეებს იტევს ეს ციცქნა ლექსი! პოეზი თავისებური რელიგიაა (ხომ თვით იესო ქრისტესაც, ხანდახან, სწორედ სიტყვად, სოწერდ ზეციურ პოეზიად მოიხსენიებენ), რომელსაც თავს აფარებს – ხოლმე ფიქრებთან, ცხოვრებასთან ბრძოლისაგან დაღლილი პოეტი. ეს განცდა ნაცნობია, მახლობელია არა მარტო ქალბატონი გულნაზისათვის, არამედ – ყველა პოეტისათვის ამიტომ მისი სტროფი ერთი კონკრეტული შემთხვევიდან უცებ მაღლდება: ზოგადპოეტურ, ზოგადსაკაცობრიო ასპექტში გადადის. ხოლო ლეგენდარული ილია ჭავჭავაძე სწორედ ასეთ ასპექტში, ფერთა ასეთ სპექტრში განიხილავდა უმაღლეს ხელოვნებას.

გზა, ადამიანისა, არის მანძილი დაბადებიდან გოლგოთამდე. ყველა ადამიანი, მეტ-ნაკლებად, ატარებს, მხრებით, საკუთარ ჯვარს. ამიტომაცაა უფალი ყველასათვის ასეთი მახლობელი, ადამიანთა გულში მცხოვრები.

ხოლო გზა, პოეტისა, ყველაზე უფრო მოჰგავს განწირულებას, გოლგოთას.

„გული მტკივა და ბევრი ვერ მამჩნევს,
სიკეთეს ხედავს ათასთი ერთი,
რადგანაც რწმენით მივენდე გამჩენს,
დამცქერის ციდან მაღალი ღმერთი!
შარა-გზას ვეძებ ეკლიან ტყეში,
მიკაფავ ბარდებს და წინ მივიწვევ.
მათოვს და მაწვიმს დარდების თქეში,
დედაღვთისა კი კვლავ არ მივიწყებ“...

უზარმაზარი პესიმიზმი და უზარმაზარი ოპტიმიზმი ერთად ჩასახლებულა ამ სტრიქონებში... მახსენდება, ბოლშევიკების დროს პოეტებს რომ დაყოფდნენ, თურმე, დაახარისხებდნენ – ხოლმე პესიმისტებად და ოპტიმისტებად, მერე კი ვეღარ იგებდნენ, – რომელ მხარეს უნდა დაეყენებინათ, ვთქვათ, გალაკტიონი, რომლის პოეზიის შუქ-ჩრდილები ერთნაირად მომხიბლავი იყო: რომლის წუხილი, ისევე, როგორც სიხარული, ორივე გახლდათ მაღლი პოეტური.

დიდმა გულმა დიდი განცდანი იცის. და მართლაც ურთულესი იქნებოდა გამკლავება ამ განცდებთან, რომ არა მაღალი ღმერთი და ღვთისმშობელი, რომელთაც მთელი არსებით მინდობია პოეტი. ჩანს, რომ იგი სწორედ ღვთის იმედითაა უძღვევლი ცხოვრებისეულ დაბრკოლებათა პირისპირ. დიახ, ასეთია ქალბატონი გულნაზი. მაგრამ... პოეტისათვის სრული ბედნიერება ხომ მირაჟია მაინც:

„საით მიფრინავ ფიქრის გუგულო,
შენ არსად გიშვებ ეგრე ვაგლახად.
დარდო, პატრონად როგორ გიგოლო,
შენმა ცრემლებმა ლამის გამლახა...“

ისევ სჯობია ჩემგან წახვიდე,
ან მოიშალე შენი სიავე...
მუხის მწვერვალთან მინდა ავიდე,
გზა მომეცი და ნუ მაგვიანებ...“

დამატყვევებელია თითოეული პოეტური სახე-ხატვა და ძალმოსილება იმ განცდისა, იმ პოეტური გრძნობისა, რომელიც ამ სტრიქონებშია გადმოცემული. ფიქრის გუგული, ღამის პატრონად გაქცეული დარდი, ან, ვთქვათ, მუხის (თუ – პოეზიის) მწვერვალი, რომლისკენაც ასეთი დაჟინებით მიიწევს პოეტი, მკვეთრად ჩაიბეჭდება მკითხველთა მესხიერებაში. ხოლო ემოციურობა... ასეთი ემოციურობა ახასიათებდა ახალგაზრდა პერსი ბიშ შელლის თუ – სიღვია პლათს!.. ქალბატონი გულნაზი სოლიდურ ასაკშიაც კი წერს იგივე ემოციურობით, როგორიცაა განიცდიდნენ გენიალური ახალგაზრდა ინდივიდები. თუმცა, არ ვიცი, – შეიძლება ეს ლექსი („საით?“) ადრე დაწერა... ვიმეორებ – არ ვიცი... და მაინც, – მთავარი ისაა, რომ გულნაზ ხარაიშვილის სტრიქონები გადიან პირდაპირ გულზე!..

ქალბატონი გულნაზის შესახებ ბევრი კარგი რამ უთქვამთ. მაგალითად, – ჩინებულმა ფილოლოგმა, ლუარა სორდია, იგი უფრო ადრე აღიარა რჩეულ პოეტად, ვიდრე მე ამას გავაკეთებდი. ლუარა სორდიას შეხედულებებმა შემათამამა იმისათვის, რომ გამემკვეთებინა აპოთეოზი (დიდი აღზევება) პოეტისა.

და განა არ არის უმაღლესი შეფასების ღირსი იგი, ვისთვისაც პოეზიაა ყველაფერი (ყველაფერი დადებითი) მთელს სამყაროში?!

აბა დააკვირდით ამ ჯადოსნურ აღქმას:

„ლექსი მამშვიდებს... ლექსი მშია, ლექსი მწყურია...
სიცოცხლე არის ზეციური ღმერთის წყალობა.
ჩემი ლექსები სიოსავით საამურია,
მიაყურადეთ... გაიგონეთ სულის გალობა...“

განა ბევრი ჩასწვდომია, ასე ღრმად, პოეზიის არსს? განა ნამდვილი პოეზია მართლაც სულის გალობა არ არის? განადა – თუნდაც მთელი სამყარო არ არის?! შედეგები უნდა ვაღიაროთ აუცილებლად, და თუ გულნაზის ეს სტროფი შედეგური არაა, მაშ რააა, საერთოდ, შედეგური?..

რაღა თქმა უნდა, ამ სტატიის წერისას მიზნად არ დამისახავს ქალბატონ გულნაზის მთელი შემოქმედების განხილვა, ამიტომაც მე ერთ პატარა მონაკვეთს შევეჩხე ამ ვრცელ მხატვრულ სამყაროში. სტატიის მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ უკეთ შეგვეგრძნო, ყველა ჩვენთაგანს, სიღიადე ამ ხელოვანისა და საზოგადო მოღვაწის; თან ხაზი გავუსვი იმას, რომ გულნაზ ხარაიშვილი იმავე მასშტაბის პოეტია, რა მასშტაბის საზოგადო მოღვაწეც არის (მის ღვაწლზე კი უკვე აღარაფერს დავოხს).

ჩვენ, ყველას, გემართება განსაკურებელი აღიარება-დაფასება ასეთი ქალბატონისა.

არ ვიცი, ეს აღიარება-დაფასება ზუსტად რა ფორმით უნდა მოხდეს, რაში და როგორ უნდა გამოიხატოს.

კარგი იქნება, თუ ამას გადაწყვეტს თვითონ ქართული საზოგადოება და წარჩინებულნი პირნი (საერო, თუნდაც - სასულიერო) ამა ქვეყნისა, – ისინი უკეთ მოიფიქრებენ, უკეთ გადაწყვეტენ.

მე კი...

მე, უბრალოდ, ჩემი სათქმელი ვთქვი.

ოც წელზე მეტია, უკვე, რაც პროფესიონალლი პოეტი ვარ, და მე, ძირითადად, მხოლოდ პოეზიაზე ვილაპარაკე, – გულნაზ ხარაიშვილის პოეზიაზე...

თბილისი. 2013 წლის იანვარი.

ლექსი „ეპისტოლეთა წიგნიდან“

საერთოდ, ბევრს ვწერ. თუ ჩემი ნაწერების უმეტესობა გადარჩება დაკარგვას, და ოდესმე ტომებად გამოვა, დარწმუნებული ვარ, რომ ლიტერატურა რამოდენიმე ათეულ ახალ ტომს შეიმატებს (კარგს თუ ცუდს, ხარისხიანს თუ უხარისხოს, აი, ეს კი უკვე სხვა საქმეა). ბევრი რამ გამოვაქვეყნე, ხოლო კიდევ უფრო ბევრი ჯერაც გამოუქვეყნებელია. ვფიქრობ, ღირს მათი მიტანაც მკითხველამდე. დიახ, ალბათ ღირს.

დიდი მოცულობის ნაწერნი კი თითქმის ყოველთვის სხვადასხვა ქანრისაა, – პოეზია, მხატვრული პროზა, ლიტერატურული სტატიები... ყველაფერია აქ.

უამრავი ლიტერატურული სტატია შემიქმნია. ვწერ უფრო იმათზე, ვის შემოქმედებასაც განხილვა-გაანალიზების ღირსად ვთვლი. ასე რომ, ბევრი შესანიშნავი პოეტისა და ლიტერატორის შემოქმედება განმიხილავს (თუმცა ყველა პოეტი ლიტერატორიც არის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ პოეზია თვითონაა უმაღლესი ლიტერატურა, მეორეც – პოეტი ყველაზე უფრო მრავალმხრივი ადამიანია, ამიტომაც იგი არასოდეს ან – თითქმის არასოდეს შემოიფარგლება მხოლოდ პოეზიით). წინასწარ შევარჩევ ხოლმე, ვთქვათ, სამ, ხუთ, შვიდ ავტორს, რომელთა შემოქმედების შესახებაც უნდა დაგწერო, თუმცა მერე, უმეტესწილად, ეს სია აირევა, და ხშირია შემთხვევანი, როცა ვწერ სულ სხვა ავტორთა, სულ სხვა შემოქმედთა შესახებ.

ასე დამემართა ახლაც.

სხვა გეგმას მივყვებოდი, სხვა გამოვიდა. აი, ჩამივარდა ხელში გივი ალხაზიშვილის “ეპისტოლეტა წიგნი” და მივხვდი, რომ ამ სუპერ-პოეტური-წიგნის შესახებ აუცილებლად უნდა შემექმნა სტატია.

მაგრამ ეს ისეთი დიადი წიგნია!..

არა, არ მასვენებს ის სურათი, თვითონ მე რომ ავსახე ერთ-ერთ პოემაში, – ადამიანი რომ მთელს ოკეანეს, როგორც სამყაროს, გამოიწვევს და შეემეტოქება კიდევ. ეს სახე, შემდეგ, იმ სტატიაშიც გამოვიყენე, გულნაზ ხარაიშვილის ღვაწლს და მისსავე ლიტერატურას რომ მიეძღვნა.

და აი, ამ შემთხვევაშიაც გამომადგა, – ლირიკული წიგნი ეპისტოლეტა, ოკეანეა სწორედ! არა, ერთ წერილში არა ღირს მასთან შემეტოქება, – მისი სრულიად განხილვა-გაანალიზება ვერ მოხერხდება ერთ წერილში, არ გამოვა...

სჯობს ისევ ნაცად „ილეთს“ მივმართო: ავირჩევ ერთ რომელსამე ლექსს ბატონი გივის აღნიშნული წიგნიდან და ნიმუშად მას განვიხილავ. ამგვარი გზით მკითხველს გარკვეულ შთაბეჭდილებას მაინც შევუქმნი ამ წიგნის თუ მისი ღირებულების შესახებ.

აქვე სიამაყით აღვნიშნავ, რომ ბატონი გივის მე და ჩემი მეგობრები პირადად ვიცნობთ. არაერთხელ ვყოფილვართ მასთან სტუმრად, მთელი საათების განმავლობაში გვისაუბრია ლიტერატურაზე. მას ახლა მსცოვანი პოეტი ეთქმის. ჩვენ ისე გვიყურებს, როგორც ქართული ლიტერატურის ახალი თაობის (თუმცა, აღარც ისე ახალი თაობა ვართ უკვე) ჩუქულ წარმომადგენლებს, ჩვენ კი, მას, ცოცხალ კლასიკოსად აღვიქვამთ.

ხომ არის წიგნები, რომელთაც „ლირიკის ვეფხისტყაოსანნი“ შეიძლება ეწოდოს, მაგალითად ასეთებია, – ბარათაშვილის კრებული, გალაკტიონის „არტიტული ყვავილები“, გრანელის „მემენტო მორი“ და სხვა.

რაგინდ ხმამაღლა ჟღერდეს, მაინც სწორედ ამ მაღალ რანგში მოვიაზრებდი გივი ალხაზიშვილის „ეპისტოლეტა წიგნს“. გივი არის მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის იმ რჩეულ პოეტთაგანი, (და ასეთნი მეტად ცოტანი არიან), რომელმაც დღემდე შეინარჩუნა დიდი პოეტური ენერჯია.

აგერ, მისი ლექსი – „მონატრება“ (ეს პირობითი სათაურია, სინამდვილეში დასახელებული ლირიკული ქმნილება უსათაურო გახლავთ);

შეიძლება იგი არ იყოს „ეპისტოლეტა წიგნის“ ყველაზე ძალუმი, – ყველაზე საუკეთესო ლექსი, მაგრამ ერთ-ერთი გამორჩეულად პოეტური კი ნამდვილად არის.

„კი არ თოვს, მათი ფერფლი მოცვივა,

ვინც მოინატრა აქ დაბრუნება,

ახლა ეს თოვლი ჩუმი ღოცვაა,

ფანტელებით რომ ამბობს ბუნება.“

განცდანი ღოცვისეული სულიერი ჩაღრმავების, განცდანი მედიტაციური, არამიწიერი, საერთოდ დამახასიათებელია ალხაზიშვილისეული პოეზიისა. და აი, მას შევყავართ თოვლის ფანტელებით განათებულ-გასპეტაკებულ უაღრესად პოეტურ სამყაროში, ოღონდაც თოვლი, ამჯერად, გარდასულ (გარდაცვლილ) ადამიანთა სულების ფერფლადაა, თითქოს, წარმოდგენილი. საოცარი გრძნობა დამეუფლა ამ სტროფის სრულად გააზრებისას. მისტიკოსი პოეტის თავისებური ფილოსოფია უმკვეთრეს შთაბეჭდილებას ახდენს. წაშლილია ზღვარი ორ, – რეალურ და ირეალურ სამყაროს შორის, და წასულნი თოვლის თითებით ელაციციებიან აქ დარჩენილებს.

„ისე მოსწყურდათ აქაურობა

და აქაურთა თვალის შეველება,
 ამ მონატრების და გაორების
 და ამ სიმუნჯის წამოცრემლება,
 რომ მათი ნატვრის ენა თოვლია,
 და ეფინება ფანტელს ფანტელი,
 ასე ქათქათა, ასე მოვლილი,
 წუთით არსებულ სოფლის მნატვრელი...“

მისტიკოსი პოეტი ერთ წამში იქცა გრძობიერ, სენტემენტალურ პოეტად. სწორედ ეს მრავალმხრივობაცაა, უსასრულო მრავალმხრივობა, ასე რომ ამაღლებს ალხაზიშვილისეულ ლირიკას. და მერე მისი ტექნიკური არსენალიც არ უნდა დავივიწყოთ, რაღა თქმა უნდა. აგერ, თუნდაც მისეული რითმები: თვალის შეველება – წამოცრემლება, ფანტელი – მნატვრელი და მისთანანი. ამგვარი სარიტმო არსენალი ან იშვიათია, ანაც – სრულიად ახალი. ხოლო ფილოსოფოსი-მისტიკოსის ღრმა სენტემენტალობა მოულოდნელი და მეტად ემოციურია.

თუმცა, ბოლოსკენ, პოეტი-სენტემენტალი მაინც პოეტმა-ფილოსოფოსმა გადასწონა.

„ორ სოფელს შორის უამი მიმოდის,
 დღეს დამე მოსდევს, ტირილს – გალობა,
 და ეს კავშირი არის იმედი
 და წასვლა-მოსვლის გარდუვალობა...“

ასე გაერთდა ორი სამყარო ამ პატარა შედეგში და ასე გაუკვდავდა თეთრი სურათი.

არაერთხელ მითქვამს: ოთხმოცდაათიანი წლებიდან რენესანსი დაიწყო-მეთქი ქართულ ხელოვნებაში და ეს რენესანსი დღემდე გრძელდება-მეთქი.

მაგრამ გივი ალხაზიშვილი ჯერ კიდევ სამოციანი წლებიდან მოყოლებული ქმნიდა შედეგებს. მერე მან ყველა ათწლეულს გაუძლო, აგერა, შემოაღწია ოცდამეერთე საუკუნეშიც (იქცა პოეტურ კავშირად ორ საუკუნეს შორის), და ახალი დროის ათიან წლებში შექმნა წიგნი-ლეგენდა „ეპისტოლეთა წიგნი“, რომელიც მომდევნო გამოცემებში, ალბათ, კიდევ უფრო სრულყოფილი გახდება. დიადი ქმნილებანი, ხელოვნებისა, თითქოს არასდროს წყვეტენ განვითარების პროცესს. ესეცაა საიდუმლო ხელოვნებისა (პოეზიისა)...

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ ქართულ აკადემიათაგან სამს გამორჩეულად ვაფასებ: პირველს (მთავარს), ასევე – ფაზისის, და ჯუშბერ ლეჟავას სახელობის აკადემიებს. ეს სტატია კი კონკრეტულად ჟურნალ „ათინათისათვის“ დავწერე, რომელსაც ლეჟავას აკადემიის პრეზიდენტი – გულნაზ ხარაიშვილი რედაქტორობს. წერილი რჩეული პოეტის შემოქმედების შესახებ, მინდოდა, რომ სწორედ ამ ჟურნალში დაბეჭდილიყო.

ციური ხეთერელი

რადაც ძალიან რაინდულია სიყვარული

ასე ბრძანა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში (ლიტერატურული საქართველო, 1988, №15) ქართული ლექსის დიდოსტატმა, „ცისფერყანწელთა“ ოჯახის დირსეულმა წარმომადგენელმა ბატონმა კოლაუ ნადირაძემ, და ეს ხაზგასმა – „რაინდული“ – მრავალმხრივ საგულისხმოა როგორც მგონის პოეზიის, ასევე, მისი მკვეთრად გამორჩეული პიროვნებისათვის, საერთოდ, „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებისათვის.

ეს ახალგაზრდები თითქოს სარაინდო სამყაროდან შემოიჭრნენ ახალ საქართველოში, ახალი ცხოვრების სინამდვილეში, მწვავე კატაკლიზმებით სავსე ეპოქაში. მათ თითქოს, ეს-ეს არის, დატოვეს იავარქმნილი სასახლეები, რომლებიც უკვე წარსულის დიდების გლოვად ქცეულან, მაგრამ ნამდვილი, ჟამდაუკრავი და შეურყეველი მათი რაინდული სულია. ნიშანიც, რაც ამ ჭაბუკების პოეზიას ახლავს, არისტოკრატიზმია. ეს არისტოკრატიულობა, რაინდისთვის დამახასიათებელი დახვეწილი მანერები, ქართული სიღარბაისლე და თავდაჭერილობა, ქართული გენის და ჯიშის უკვდავობა უჭკნობი ელფერით მოსავს სრულიად ახლებურ, მოდერნისტული ფორმით თლილ მათ ლექსებს. ნიშნულია ისიც, რომ გარემო, სადაც ამ ლექსების ლირიკული გმირი მოქმედებს,

არისტოკრატიულია, მისთვის დამახასიათებელი თავისებური ანტურაჟით: „მთვარის ჩასვლაზე სასახლეში კვლავ დავბრუნდები, ჩუმად ავიარ მარმარილოს ქვის საფეხურებს, და იმ დარბაზში, სადაც დამეს მოველოდები, თეთრი ვარდებით ფრთხილად ვამკობ ზურმუხტის სურებს („მთვარის ქურდები“).

რაინდი, ფალაგანი, მხედარი სინონიმებად აღიქმება „ცისფერყანწელთა“, მათ შორის, კოლაუ ნადირაძის პოეზიაშიც. ამასთანავე, რაინდობა, მათი გაგებით, დიდ მეღეჭელობასაც ნიშნავს, სიტყვის დიდ ხელოვანს. ამიტომაც მიმართავს კოლაუ ნადირაძე ასე თავისი მშვენიერი სონეტით ივანე მაჩაბელს – შექსპირის უბადლო მთარგმნელს: „იყავ რაინდი ჭეშმარიტი და გახელვებით, მთვარით დახაშმულს – მოგიწვევდა ხმალში ჰამლეტი.“

გასაგებია ის მძაფრი სულიერი გრადაციებიც, რაც „ცისფერყანწელთა“ შორის გრიგოლ რობაქიძის „ლონდას“ ქართულ სცენაზე გამოვლევებს, გამოუწვევია. აქ ხომ პიესის მთელი პოლიფონია გმირთა რაინდულ სულისკვეთებაზეა აგებული. რაინდულია მზიური ლონდას და თამაზ ბატონიშვილის სიყვარულიც და მათი უყოყმანო თავგანწირვაც სამშობლოსათვის. აქაც განსაკუთრებულია მწერლის ხაზგასმა სიტყვა – „რაინდისა“:

მთავარი. ვინ იყო ის, ვინცა
თავგამეტებული რაინდებით
მტერის მოხეტქილ ზვავში გადავარდა
და ხმალთა ცეცხლის გიზგიზებით
თავსდამცემი სასტიკად გაანადგურა?
თამაზ. მე ვიყავ, მამა.

მთავარი. შენ იყავ, თამაზ: ვაჟკაცი, რაინდი.

ხმები: თამაზ თავდადებულია.

თამაზ რაინდია.

აქ უთუოდ ნიშნეულია ისიც, რომ ტრაგედიის დროდ მწერალს წარმართული ხანა აქვს აღებული, და ამით ის არის თქმული, რომ საქართველო – ეს რაინდთა ქვეყანაა, რომ რაინდობა ქართველის თანამდევია, მისი მარადი, აუცილებელი თვისებაა უხსოვარ დროიდან, მისი გაჩენის დღიდან. ამ ნათქვამში ხომ „ცისფერყანწელთა“ გულის ხმაც იდო და საკადრისი შეფასებაც მისცეს კოტე მარჯანიშვილის ჯადოქრულ ხელს და გრიგოლ რობაქიძის სიტყვის მაგიურ ძალასაც.

დროთა ქარტყელები რაღაც ჯადოსნური ძალით იმონებენ ჭაბუკი პოეტის მთელ არსებას და რაინდული ჟინით უნებურად შეაჩერებს ფიქრს კრწანისსა და მანანა ორბელიანზე: „კრწანისის ველზე ჰყოდა გედი, ქარი მიწამდე აწვევდა ლერწამს... სხვა რა მოხდება იმაზე მეტი – რაც დღემდე გულის ფიცარს მიღეწავს. ოღონდაც ერთხელ მაინც მენახა, შენი მანდილის მალღიდან რხევა, გამეველო დამით ჩუმი ვენახი და კოშკის კარი გაეღო მხევაღს...“ („ფიქრი კრწანისზე და მანანა ორბელიანზე“).

შემთხვევით არ გამოიხმობს კოლაუ ნადირაძე ისტორიის ანალებიდან ნაყოფიანად ტომით უბრალო, მაგრამ მეფე გიორგი მესამის უერთგულეს თანამებრძოლ ამირსპასალარ ყუბასარს და თამარის „მეფედ კურთხევის სანეტარო ჟამს. პოეტის ოცნებას შთამაგონებლად შემოჰყავს სარაინდო არეალში გვირგვინოსანი ქალი – „ქართლის ცხოვრების“ თვალშეუდგამი დიდება: „შემოჰყავთ თამარ და... უეცრად ახმიანდება, აგუგუნდება წინაპართა სავანე დიდი. გოლიათებად ჩარაზმული შეტორტმანდება ათაბაგების და რაინდთა რიგები მშვიდი... აცხებენ მირონს და გვირგვინით დამძიმდნენ თმები... აჰა, მას წელზე შემოარტყეს ფართე ქამართ, ვით მთავარსარდალს უზენაესს, ვახტანგის ხმალიც... („თამარის კურთხევა“).

დიას! რაინდული სულისკვეთება და არისტოკრატიზმი „ცისფერყანწელთა“ ყოფისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის სათავეა. ამის ნათელი მაგალითი ლექსითაც და პირადი ცხოვრებითაც მთელი სიგრძე-სიგანით გვახილვა ღამის საუკუნეს მიღწეულმა კოლაუ ნადირაძემ. – ამ ჭეშმარიტი მამულიშვილისა და ბრწყინვალე „მეღეჭის“ უსპეტაკესად, ღირსეულად გამოვლილმა ხანიერმა სიცოცხლე.

უთუოდ განსაკუთრებულად ნიშნეულია ისიც, რომ გამოსათხოვარ სიტყვებშიც გამორჩეულად ჟღერდა სიტყვა „რაინდი“.

„კოლაუ ნადირაძე – ერთი შეხედვით ამაყი და მიუკარებელი, სინამდვილეში კი სათუთი და მოსიყვარულე... ჭკმშიატივად საქართველოზე და პოეზიაზე თავმჯდომარე რაინდი...“

„იგი ბოლომდე ერთგული დარჩა რაინდული ფიცით შეკრული თავისი სამოსი „ცისფერ ყანწილებს ორდენისა...“ („ლიტერატურული საქართველო“, 1990, 2 ნომერი).

„წავიდა უკანაკსნელი მძევალი ჩვენი წინამორბედი თაობისა... ქართველ პოეტთა ოჯახი საბოლოოდ დაშორიშორდა იმ რაინდულ დროშონს, რომელმაც ქართული ლექსის მხატვრული დიდებულება განავრცო, ადაზვეა და ეროვნული სულის მესაიდუმლედ გახადა...“ („კომუნისტი“, 1990, 2 ნომერი).

ამ დიდ მისიას ემსახურებოდა როგორც კოლაუ ნადირაძის, ისე მისი საფიცარი სამოსი შემოქმედებითი მეთოდი, რომლისთვისაც არ იყო უცხო არც სიმბოლიზმის, არც რომანტიზმის და არც რეალისტური მიმართულებანი. ამაში მათი სტრიქონების თვალის ერთი გადავლევაც დაგვარწმუნებს. საკმარისია „ავხნიანი ქალაქის“ ავტორის „ძველი რვეულიდან“ ამ ლექსების გახსენებაც: „დაფიქრება“, კონცერტი – მაღალი დირიჟორი“ „პავლე ინგოროყვას“, „სამშობლოსადმი“, „ჩემს ლანდს“, „ბავშვობის მოგონება“, „მოსეტიალე დამკვრელი“, „მთვარის წყალობა“, „ივანე მაჩაბელს“, „პატრიოტული ეკლოგა“, „შემოდგომა იმერეთის სოფელში“, „ავტოპორტრეტი“...

შეუძლებელია საგულდაგულოდ არ აღინიშნოს „ცისფერყანწელთა“ განსაკუთრებული სიყვარული რუსული და ევროპული პოეზიისადმი, კერძოდ, რუსი და, მეტადრე, ფრანგი სიმბოლისტებისადმი. ამ მხრივ, ცხადია, არც კოლაუ ნადირაძე იყო გამონაკლისი.

„თქვენ, ჩემო ძმებო, მეგობრებო ყველა ქვეყნისა“ – ამ სათაურით მიუძღვნის ჭაბუკი პოეტი 1916 წელს ლექსს თავის ერთ-ერთ უახლოეს თანამოკალმე მეგობარს სერგო კლდიაშვილს.

ვინ არიან ამ ჭაბუკების სულიერი მეგობრები? – ბოდლერი, ლაფორგი, მაღარმე, ვერლენი, რემბო, როდენბახი, ვერჰარნი, ერედია, მეტერლინიკი, პუშკინი, ლერმონტოვი, ბლოკი, ბრიუსოვი, ბელი...

პოეტის მეუღლე, ქალბატონი ნორა, სიამოვნებით იგონებდა: „მაშინ ახალდაქორწინებულნი ვიყავით. დროებით საფინხიაზე ვცხოვრობდით. კოლაუ ინტენსიურად თარგმნიდა ლერმონტოვის ლექსებს. შემდეგში ცალკე წიგნადაც გამოსცა ეს თარგმანები 1971 წელს. მახსოვს, კოლაუ მიკითხავდა ამ თარგმანებს და მეუბნებოდა: „საფლავიდან რომ ადგეს ლერმონტოვი, საყვედურს არ მეტყვისო“. ხანდახან ახლად დაწერილ ლექსსაც წაიკითხავდა და იტყოდა: „მე მგონი, არა უშავსო“. საბედნიეროდ, ჩემი წიგნების თაროს ამშვენებს ბატონი კოლაუს რამდენიმე ავტოგრაფი, თითქმის ყველა, დიდი პოეტის სიცოცხლეში გამოცემული, 1975 წლიდან მოკიდებული, 1985 წლამდე, ზოგ მათგანს ახლავს ავტორისმარგინალიებიც: „...წიგნი გარეგნულად ესოდენ ცუდი, შინაარსით ზოგჯერ ცუდი, ზოგჯერ კარგი...“, ან კიდევ: „წიგნი ტექნიკურად ძლიერ სუსტად და უგულოდ არის აწყობილი. კ.ნ.“

ეს სიყვარული, რუსი და უცხოელი პოეტებისა, სიკვდილამდე ატარა. სიცოცხლის მიწურულს გამოცემული პოეტური კრებული („ცვარნი ციურნი“) არტურ რემბოსა და პოლ ვერლენისადმი მიძღვნილი გვერდებით მთავრდება: „შენ არ გინახავს, შორეულო ძმავე, საყვარელო, ამ დედამიწის ერთი კუთხე – სამშობლო ჩემი... შენ არ გსმენია სიტყვა „თამარ“, და „საქართველო“, უკვდავ „ლილეოს“ არ გსმენია უკვდავი ხმები...“ („არტურ რემბოს“).

ამ ლექსთან დაკავშირებით საინტერესო იქნება მკითხველს შევახსენო პოეტის ახლო მეგობრის ბატონ სერგი თურნავას წერილი „არტურ რემბო ქართულ მწერლობაში“ („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1992, №3). „არტურ რემბოს მშობლიურ ქალაქ შარლეველ მეზიერში დაარსდა საზოგადოება – რემბოს კულტურის ცენტრი. ამ ქალაქ-მუზეუმში წარმოდგენილია დიდი ფრანგი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები. ყველაფერი, რაც ქვეყნდება პოეტზე, მიდის ამ ცენტრში და ინახება...“

ამავე წერილით გვამცნობს წერილის ავტორი, რომ 1980 წელს „კონტაქტში“ (არტურ რემბოს ცენტრის ორგანო – ც.ხ.) დაიბეჭდა პატარა სტატია კოლაუ ნადირაძეზე.

სტატიაში აღნიშნავენ: „ცისფერყანწელ პოეტებს შორის დღეს ცოცხალია ნადირაძე, რომელიც დაბადებულია 1895 წელს, 26 თებერვალს. იგი ერთ-ერთი ფუძემდებელია

ქართული სიმბოლიზმისა... რემბოსათვის მიუძღვნია საკუთარი ლექსი, რომელიც მივიღეთ და მოგვეწონა. ამისათვის ბატონ კოლაუს დიდი მადლობა“. ეს წერილი ბატონი კოლაუს ფოტოთი ყოფილა დაბეჭდილი. პოეტს უნახავს პირადად და სამადლობელი წერილი გაუგზავნია რემბოს ცენტრის პრეზიდენტის ბატონ ანდრე ლებონისათვის.

„მე ვაღიარებ ვარ კლასიკური ლიტერატურის წინაშე. მე მისგან ვისწავლე, თუ როგორ შევიყვარო სამშობლო, უბრალო ადამიანები.“

სამადლობელი წერილი ბატონ კოლაუს, როგორც პროფესორი აღნიშნავს, დაბადების, 85 წელთან დაკავშირებით მიუღია, რომელშიც პრეზიდენტი ანდრე ლებონი წერს:

„ჩვენ საფრანგეთში კოლაუ ნადირაძის შემოქმედებას მაღალ შეფასებას ვაძლევთ. იგი არის ფრანგული სიმბოლიზმის ტრადიციების ღირსეული წარმომადგენელი თავის კოლეგებთან (ტიციან ტაბიქესთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან) ერთად...“

ხოლო 1991 წლის 21 იანვრით დათარიღებულ წერილში პროფესორი ანდრე ლებონი ბატონ სერგი თურნავას (რომელიც რემბოს კულტურის ცენტრის წევრ-კორესპონდენტია, თანამშრომლობს ამ ცენტრის ბეჭდვით ორგანოში – „კონტაქტი“ – „რემბო ვივან“) წერდა:

„რემბოს კულტურის ცენტრი ააფორიაქა ბატონ კოლაუს გარდაცვალებამ. იგი იყო ჭეშმარიტი ქართველი სიმბოლისტი, ერთგული ფრანგული სიმბოლიზმის ტრადიციებისა ქართულ მიწაზე. როგორც მისი ლექსიდან გავიგეთ, განსაკუთრებით ჰყვარებია არტურ რემბო. ბატონ კოლაუს ლექსი, რომელიც რემბოს მიუძღვნა, დაცულია რემბოს კულტურის ცენტრში – შარლევით. გთხოვთ, გადასცეთ ჩვენი გულითადი სამძიმარი ქართველ მწერლებს და განსვენებულის ოჯახს“.

მინდა აქ კოლაუ ნადირაძის ის მოგონებაც გავაცნო მკითხველს, რომელზედაც მოგვითხრობს ბატონი სერგი თურნავა ზემოთ აღნიშნულ თავის წერილში:

„ბატონ კოლაუსთან მეგობრობა მაკავშირებდა. 1981 წლის 7 სექტემბერს ვესტუმრე პოეტს ბინაზე და მან მიაბო:

„1912 წელს დედასთან ერთად ვიყავი საფრანგეთში. ბედნიერება მერგო წილად. ვიყავი აგრეთვე ჩემი სათაყვანებელი პოეტის მშობლიურ ქალაქში, შარლევითში, იმ კაფეში, სადაც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს რემბო და ვერლენი. დიდი აღტაცებით ვისვენებ დღეს ამ წმინდა ადგილს და არასოდეს დამავიწყდება. მე ბავშვობიდანვე გამიტაცა ფრანგულმა პოეზიამ (რემბო, მალარმე, ბოდლერი, ვერლენი). ამ პოეტების გავლენით მე და ჩემმა კოლეგებმა, პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიქემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა, ივანე ყიფიანმა და სანდრო ცირეკიძემ 1915 წელს ქუთაისში ჩამოვაყალიბეთ ლიტერატურული ჯგუფი, რომელსაც ვუწოდეთ უცნაური სახელი „ცისფერი ყანწები“. ახლა კი რემბოს მივუძღვენი ლექსი, რომელშიც მაღალ შეფასებას ვაძლევ ჩემს სათაყვანებელ ფრანგ პოეტს. თუ როგორი ლექსია ეს, დე, ამის შესახებ იმსჯელონ ჩემმა ფრანგმა კოლეგებმა“. როგორც პროფესორი სერგი თურნავა აღნიშნავს აქვე, ეს ლექსი ფრანგულად უთარგმნია ბატონ გასტონ ბუაჩიძეს და მასვე გაუგზავნია რემბოს კულტურის ცენტრის პრეზიდენტ ბატონ ანდრე ლებონისათვის.

ამ უცნაური „ყანწების“ სიყვარულით მიღია ლამის საუკუნე. ძვირფასი სამოსს გახსენებითლა ბედნიერობდა თავის მყუდრო ოჯახში, თავის საყვარელ „ფაცხაში“ (ასე უწოდებდა ბატონი კოლაუ თავის სამუშაო ოთახს). აქედან გასცქეროდა მისი მრავლისმხილველი თვალი სულის სინათლითა და გულის სიწმინდით უსახდვროებას. ასეთივე უკიდევანო ფანტაზიით ჩამოჰქონდა ჯადოქრული ხელით და აქანდაკებდა საოცრად პოეტურ გამჭვირვალე სტრიქონებს, სადაც მხოლოდ „...სილაყვარდე და სიწმინდე“, სადაც მრავალჯამიერი სიცოცხლით ფეთქავს პოეტის გული იმ რაინდული სიყვარულით, ასე რომ სწამდა და სჯეროდა.

Antonymische Relationen im Rahmen der lexikalisch-grammatischen Klassen der Verben

In der vorliegenden Arbeit haben wir uns auf die Analyse des einzelnen Musters der gegenübergestellten Einheiten aus dem Bereich der Verben beschränkt. Die Aufteilung der Gesamtzahl der antonymischen Verben vollzieht sich hauptsächlich in drei wesentlichsten semantischen Gruppen der **Handlung /Wirkung, des Zustands, Zustandswechsels**. Das Fundament derartiger Einigung der Lexemen in einer Gruppe ist ihre Gattung. Den antonymischen Relationen nach wird eine zahlreiche Gruppe solcher Verben gebildet, die die Handlung bezeichnen. Die Analyse der verbal-antonymischen Wortpaare wird nach der bestimmten Reihenfolge verwirklicht werden.

Für die Analyse wurde das antonymische Wortpaar *~nehmen-geben~* genommen. In ihrem semischen Bestand sind allgemein-kategoriale Semem *~Handlung~*, dominierende Sememe: *~Abgrenzung der Handlung~*, *~Handlung mit Wegerichtung~*, und konkretisierende Sememe *~Wegerichtung zum Subjekt~*, *~Wegerichtung vom Subjekt~* abgesondert. Die Rückbezügliche Relation wird nur durch ein Semem: *~Handlung mit Wegerichtung~* ausgedrückt. Wenn beim Verb *~nehmen* die Wegerichtung zum Subjekt gerichtet ist, beim Verb *~geben~* ist umgekehrt, die Wegerichtung geht vom Subjekt aus. Die antonymischen Relationen werden auf der paradigmatischen Ebene auf Grundlage dieses Semems festgestellt. Auf der weiteren Etappe der Untersuchung wurde durch den wechselseitigen Gegenüberstellung der semantischen Strukturen der Untersuchungseinheiten, zwischen ihnen vorhandener Charakter der antonymischen Relationen präzisiert.

In der semantischen Struktur des Verbs *~nehmen~* wurden nach den offiziellen Angaben achtzehn semantische Varianten abgetrennt, in der semantischen Struktur vom *~geben~* nur zwölf. Dazu werden die im Rahmen der einzelnen Varianten eine bestimmte Anzahl der abgesonderten Untervarianten hinzugefügt – für das Verb *~nehmen~* einundzwanzig Varianten, und für *~geben~* fünfundzwanzig. Ausser Analyse sind solche semantische Varianten gelassen, die nur in den stehenden Wortverbindungen und in den Redewendungen vorherrschen, wo die Verben *~nehmen~* und *~geben~* ihrer Bedeutung nach überhaupt gar nicht realisiert werden können: z.B. **Musik auf Tonband nehmen~**. Was es archaische Ausdrücke, Muster der terminologischen und umgangsprachlichen Lexik anbetrifft, sind sie nicht in der Lage die Fälle der Übereinstimmung und des Unterschiedes der semantischen Strukturen des Gliedes des Untersuchungspaares vollständig zu illustrieren und objektive Ergebnisse zu bekommen. Durch die Analyse der semantischen Strukturen der vorgelegten antonymischen Paare wurde es ermöglicht, die Gattung der antonymischen Relationen dieser Einheiten mit maximaler Präzisierung zu bestimmen. Dem Charakter nach gibt es zwischen ihnen relative Antonymität, worauf die Tatsache bezeugt, dass die antonymischen Relationen aus ihren allen semantischen Varianten nur durch zwölf ausgedrückt werden. Die Richtigkeit der Schlussfolgerung, dass absolute Antonymie in den einfachen verbal-lexikalischen Einheiten ausreichend nicht bezeichnet werden, bestätigt die Untersuchung der antonymischen wechselseitigen Relationen, sowohl folgend einfachen Verben: *~leben-sterben; öffnen-schliessen, loben-schelten~*; als auch von vielen anderen. Die semantischen Strukturen einzelner Glieder des gegenübergestellten Paares sind unterschiedlicher Art dargestellt, wodurch die Existenz der absoluten Antonymie völlig ausgeschlossen wird. z.B. Die Gegenüberstellung wird im antonymischen Wortpaar *~loben-schelten~* aus drei semantischen Varianten nur im Rahmen der einer bezeichnet. Die analogischen Ergebnisse werden auch durch die Untersuchung der abgeleiteten Antonymie gegeben. Die Realisierung der gegensätzlichen Relationen der abgeleiteten Antonymie wird durch das Hinzufügen der negierenden deutschen oder fremden Elementen auf den einfachen Stamm durchgeführt. Die Realisierung der gegenüberzustellenden Semantik ist den deutschen Präfixen am meisten für die 1. **trennbaren, produktiven, frequenten Halpräfixe**: *ab-, aus-, auf-, auf-, ein-, entgegen-*, 2. **untrennbaren, frequenten, produktiven Präfixe**: *ent-, ver-*, 3. **frequenten, produktiven ersten Komponenten**: *hin-her; hinein- hinaus, hinunter-hinuf*; 4. **nicht frequenten, nicht serienweise gebrauchten Halbpräfixe** eigen: *wider-, hinter-, miss-, gegenüber*. Zwischen den mit Hilfe der Präfixe gebildeten antonymischen Paaren wird auch ein struktureller Unterschied fixiert. Im Prozess der Untersuchung werden folgende Arten der antonymischen Paare abgetrennt: **die Wortpaare**, derer beide Mitglieder durch einen und dieselben Stamm dargestellt sind. Die gegensätzliche Bedeutung wird sich durch das Hinzufügen der antonymischen Präfixen auf den rechten und den linken Stamm vollzieht. z.B. **auftauchen-eintauchen**; die Wortpaare, derer Glieder durch die identischen Stämme dargestellt sind, oppositionelle Bedeutung wird mit Hilfe der auf den rechten Stamm hinzugefügte Präfixe realisiert; z.B.

färben-abfärben: die Wortpaare, derer beiden Mitglieder durch die antonymischen Stämme und zugleich durch die negierenden Präfixe dargestellt sind: z.B. **aufheben-niedersetzen**. Was es die **suffixale** Bildung angeht, wird sie in den deutschen antonymischen Paaren nicht bezeichnet.

Die Schwächung der antonymischen Qualität wird durch das Hinzufügen der identischen Präfixe auf die entgegengesetzten Stämme ergeben. Als Ullustrationsbeispiele sind in der Arbeit die semantischen Strukturen des abgeleiteten antonymischen Paares **--aufnehmen-aufgeben~** und der einfachen Verben **~nehmen-geben~** analysiert. Ausserdem wurde ihre antonymische Qualität, die Ausglei chung des quantitativen und qualitativen Charakters ihrer semantischen Varianten präzisiert; Das Verb **~nehmen~** enthält in seiner semantischen Struktur einundzwanzig semantische Varianten, die semantische Struktur des Verbs **~aufnehmen~** ist aber durch neun Varianten dargestellt. In der semantischen Struktur des Verbs **~aufgeben~** sind drei semantische Varianten ausgesondert, was das Sextel der semantischen Struktur des einfachen Verbs **~geben~** bildet. Die antonymischen Relationen der ausgeforschten semantischen Varianten werden nur durch eine geäußert: **~jm, etw übergeben-etw entgegennehmen~**. Der bezeichnete Umstand kann durch solche Tatsache geklärt werden : durch die präfixale Bildung erzeugte lexikalische Einheiten werden fast in allen Fällen die dominierende Bedeutung konkretisieren, verkleinern, wodurch die Möglichkeit ihrer Antonymität empfindsam verringert. Durch das Hinzufügen der identischen Präfixen auf die entgegengesetzten einfachen Einheiten des antonymischen Wortpaares werden aus der Gesamtmenge der antonymischen Paare mit Voll-oder Teilbehaltung der Antonymität in hundersechundsiebzog Fällen gekennzeichnet. Die oppositionellen Relationen werden in zweiundzwanzig Fällen nicht nur durch das Hinzufügen des negierenden Elementes auf das rechte Mitglied des Wortpaares, sondern durch das Hinzufügen der Negation **~nicht~** realisiert: z.B. **~aufgeben≠ nicht aufgeben~**.

Durch das Hinzufügen der Wortbildenden Elementen auf die Stämme mit der rückbezüglichen Bedeutung wurde die Antonymität in den auf diese Weise gebildeten antonymischen Wortpaaren nur in einer Variante ermöglicht. Die Struktur des linken Gliedes ist im Wortpaar **~ausweinen-auslachen~** durch zwei Varianten dargestellt, des rechten Gliedes –nur durch eine. Sie werden nicht nur in beiden, sondern in eine Variante gegenübergestellt d.h. vorhanden ist relative Antonymie. Wenn die semantische Struktur der gegenübergestellten Einheiten je eine Variante enthält, wird die Antonymität der Glieder des Paares völlig realisiert: z. B. **~vernehmen-verkünden~**

Zum entgegengesetzten Ergebnis sind wir bei der Analyse solcher Paare gekommen, derer beide Glieder durch die identischen Stämme dargestellt sind-die Pflicht der Realisierung der antonymischen Bedeutung wird den Präfixen auferlegt. In der Arbeit sind die Ergebnisse der Analyse sowohl semischer als auch semantischer Strukturen des Paares: **~belasten-entlasten~** gegeben. Beide sind transitive, terminative Verben. Die gegensätzlichkeit gründet sich auf die Sememe: **~z.B. etw, j-n von einem Last befreien≠etw j-n sich mit einer Last belasten.** Die semantischen Strukturen beider Verben enthalten je fünf semantische Varianten. Im konkreten Fall hat sich absolute Antonymie abgesondert, insofern die volle Übereinstimmung in allen semantischen Varianten kennzeichnet wurde. Die absolute Antonymie wird vorwiegend in solchen Wortpaaren der lexikalischen Einheiten abgetrennt, derer semantische Strukturen durch nicht mehr als zwei Varianten dargestellt werden: **~z.B. abdecken-zudecken; ~ aufblenden-abblenden.~**

Zum identischen Ergebnis sind wir bei der Analyse solcher antonymischen Wortpaare gekommen, derer beide Glieder durch einen und denselben Stamm dargestellt sind: die antonymische Bedeutung wird durch das Hinzufügen der Präfixe mit negativer Bedeutung auf ein beliebiges Glied des Wortpaares realisiert: z.B. **~keimen-entkeimen.** In den antonymischen Paaren dieser Art wird die Realisierung der absoluten Antonymie bei der Gegenüberstellung solcher Einheiten bezeichnet, derer semantischen Strukturbestand zwei, maximum drei Varianten enthält. Es ist möglich, die antonymischen Relationen nur in zwei Varianten festzustellen. In der semantischen Struktur der gegenübergestellten Paare dieser Art wird vorwiegend eine Variante fixiert: Im Rahmen dieser Variante werden immer ohne Ausnahme absolute Relationen geäußert; **~blättern-entblättern.** In manchen Fällen wird durch auf das rechte Glied zugefügte Präfix mit entgegengesetzlicher Bedeutung die semantische Struktur dieses Gliedes geändert: dementsprechend wird es schwerfallen zwischen ihnen den antonymischen Charakter festzustellen: z.B. **~fallen-entfallen~**. Die semantische Struktur von Verb **~fallen~**: enthält neun Varianten. **~entfallen~** nur zwei. In keiner semantischen Varianten der semantischen Struktur des gegenübergestellten lexikalischen Einheiten des Verbs **~fallen~** wurde es ermöglicht, die Einheit mit der gegensätzlichen Bedeutung auszuforschen. Analogische Ergebnisse sind bei der Gegenüberstellung der oben aufgezählten Paare gegebener Art fixiert. Die antonymischen Relationen werden in der Klasse der Verben vorwiegend unter den lexikalischen Einheiten mit der engen /beschränkten semantischen Struktur festgestellt. Andersfalls wird die semantische Gegenüberstellung nur im Rahmen der einen, oder maximum in zwei semantischen Varianten bezeichnet.

Dasselbe könnte auch über solche Paare gesagt werden, deren Glieder durch antonymische Stämme und zugleich durch antonymische Präfixe dargestellt werden: z.B. *~aufbrechen-ankommen*. ~Durch die Untersuchung der antonymischen Relationen in der Klasse der Verben wird bestätigt, dass absolute Antonymie im Vergleich zu der relativen Antonymie weniger abgetrennt wird, obgleich es unmöglich war, die genaue Gleichgewicht festzustellen.

Die beschränkte Antonymie wird im Rahmen der Verben nur bei der Verwendung der antonymischen Einheiten in der übertragenen Bedeutung fixiert, was sich in gegebener Klasse vergleichendsmässig selten zeigt. z.B. als Antonyme des Verbs *~legen~* werden *~stellen*, *~hängen~* betrachtet, obgleich keine von ihnen die Antonymie zu *~legen~* in solcher Wendung offenbart, wie: *~man legt ihn in Fesseln*. ~Die Distribution der lexikalischen Einheit ist in beliebigen phraseologischen Ausdruck beschränkt Die Beschränktheit wird bei der Bildung der Redewendungen der gegebenen lexikalisch-grammatischen Klasse auch im Rahmen der neutralen Lexik geäußert, was verhältnismässig seltener abgetrennt wird. z.B. zum linken Glied des antonymischen Wortpaares *~ballen-öffnen* ~wird die Redewendung nur durch eine bestimmte Anzahl der lexikalischen Einheiten gebildet. Mit der Bedeutung *~zumachen~* werden zu *~ballen~* die Substantive: *~Faust, Hand, Papier, Kraft, Energie, Schnee, Macht* angeschlossen: *~ die Fäuste gegen j-n ballen, die Hand zur Faust ballen, Papier zu einer Kugel ballen~ u. a.*

Was es die Charakterisierung des verbal-antonymischen Paares nach seiner Dimension an betrifft, steht er im direkten Verhältnis /Proportion zu dem Umfang der semantischen Struktur der antonymischen Paare. Im Rahmen des Untersuchungsredeteils wurde es möglich, die mehrdimensionale Antonymie mehr in den seltenen Fällen festzustellen. z.B. für das erste Glied des antonymischen Paares *~bestellen-abbestellen~* ist siebendimensionale antonymische Relationen charakteristisch; für das zweite aber eindimensionale Antonymie. Es kann nur in einer, ersten semantischen Variante als Antonym des Verbs *~bestellen~* betrachtet werden.

Ein entgegengesetztes Ergebnis wird bei der vergleichenden Analyse der semantischen Strukturen der Verben *~heben-senken~* fixiert. Die semantische Struktur der beiden Verben beträgt je zwei Varianten, die einander völlig decken. Dementsprechend sind beide zweidimensionale Verben.

Für die Feststellung der Eigentümlichkeiten einzelner konkreten Unterarten der Antonymie in der lexikalisch-grammatischen Klassen der Verben werden die Marker der antonymischen Paare auf paradigmatischer Ebene untersucht und dadurch die Angaben der entgegengesetzten Einheiten auf der syntagmatischen Ebene präzisiert.

Literaturverzeichnis

- Klappenbach R. Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache. Akademie Verlag . Berlin. 1970-1977.
 Görner H. Synonym-Wörterbuch. Leipzig. VEB. Sinnverwandte Ausdrücke der deutschen Sprache. Bibliographisches Institut. 1980.
 Agricola Chr. Wörter und Gegenwörter. Antonyme der deutschen Sprache. VEB. Bibliographisches Institut. 1979.
 Bnding K. D. Deutsches Wörterbuch. 1990.
 Duden-Deutsches Universal Wörterbuch. A-Z. Dudenverlag. Mannheim/Wien/Zürich. 1983
 Wahrig G. Deutsches Wörterbuch. Mosaik Verlag. Lexikothek. 1980.
 ყრუასვილი ი. ზედსართავული სიტყვათა მნიშვნელობის კონსტრუქციები
 germanულ ენაში. ავტორეფერატი. თბილისი. 2003.
 Мосашвили И.Т. Процесс возникновения стилистических антонимов и их семантическая структура. Автореферат. Тбилиси. 1973.
 Завъялова В. М. Антонимы. Москва. Высшая школа. 1969.

რატიანი ლალი

**ოპოზიციურ მიმართებათა კვლევა ზმნების
ლექსიკურ-გრამატიკული კლასის ფარგლებში
რეზიუმე**

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შემოვიფარგლეთ ზმნების ლექსიკურ-გრამატიკული კლასიდან დაპირისპირებულ ერთეულთა ცალკეული ნიმუშების ანალიზით.

მასალის შესწავლა განხორციელებულია როგორც პარადიგმატიკურ, ისე სინტაგმატიკურ დონეზე. პარადიგმატიკურ დონეზე კვლევის ჩატარების პარალელურად ანალიზის გავრცობა სინტაგმატიკური დონის მონაცემებით მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც საბოლოოდ შედეგების ობიექტურობას უზრუნველყოფს. სინტაგმატიკური დონის კვლევაში ჩართვა განაპირობა არსებითად სიტყვის მნიშვნელობის რეალიზაციისათვის მისი დისტრიბუციის, ვიწრო თუ ფართო კონტექსტის რელევანტურობამ. გამოკვლეულ იქნა დაპირისპირებულ ერთეულთა სემანტიკური სტრუქტურები და ყოველი ცალკეული სემანტიკური ვარიანტის სემური შემადგენლობა.

კვლევის ამგვარი თანმიმდევრობით შესაძლებელი ხდება თითოეული სემანტიკური ვარიანტისათვის შესაბამისი საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულების მართებულად დადგენა და ოპოზიციურ მიმართებათა სახეობების დაზუსტება.

სემანტიკური ვარიანტების ფარგლებში შექმნილ დაპირისპირებულობის ობიექტურობის შემოწმების უტყუარ საშუალებად ოპოზიციურ ერთეულთა სემური შემადგენლობის ანალიზი გვევლინება.

ოპოზიციური წყვილის შექმნის გარდაუვალ პირობად განიხილება დაპირისპირებულ ერთეულებისათვის საერთო არქისემის არსებობა, რომელიც წყვილის თითოეულ წევრში დაკონკრეტებული სახით განიცდის რეალიზაციას.

ამავდროულად მართებულად მივიჩნით ლექსიკოგრაფიულ შრომებში დაფიქსირებულ ყველა იმ დერივატიული ელემენტების დაზუსტება, რომლებიც ძირეულ სიტყვას უკუმნიშვნელობას შესძენს. ანტონიმიურ წყვილთა სემური შემადგენლობის სემანტიკური სტრუქტურის კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო ზმნების ლექსიკურ-გრამატიკული კლასის ფარგლებში ანტონიმთა სხვადასხვა სახეობების(ლექსიკონური ანუ უზუაღური, პირველი, მეორე, რანგის, აბსოლუტური და ნაწილობრივი, შეზღუდული და შეუზღუდავი, ერთ და მრავალგანზომილებიანი, შუალობითი და უშუალო) გამოკვეთას და კლასიფიკაციას.

Lali Ratiani

**The Antonymic Relations within a Lexical
and Grammatical Class of Verbes
Summary**

In this paper we try to analyse of separate samples of opposed units from a lexical and grammatical class of verbes.

Studying of a language material has been made both on paradigmatic and at syntagmatic level. At paradigmatic level in parallel carried out research analysis, the distribution with data of syntagmatic level is considered as reasonable that at last will provide objectivity of results. Inclusion of syntagmatic level in research was caused essentially by relevance of distribution of a narrow or wide context for word meaning realization.

We have investigated semantic structures of opposed units and seme structure of each separate semantic option.

The sequence of such research for each semantic option gives the chance of true formation of the corresponding lexical units by the opposed values and specification of versions of the oppositional relations. Formed within semantic options it is necessary to consider as exact way of define of objectivity of formed opposed variants it should be considered the analysis of seme structure of oppositional units. The main condition of formation of oppositional pairs is considered the presence of the general arch-seme opposed units which are realized in each members of antonymic pairs in the form of a specification.

Specification of all derivational elements was rightly considered which are fixed in lexicographic works and give return value to the main word.

Results of research of semantic structure of a seme structure of antonymic pairs formed a basis of allocation of different types (a dictionary or usual occasional or secondary antonymy of the first second degreeabsolute and partial, limited and unlimited, derivative and non-productive) antonyms within a lexical and grammatical class of verbes and their classification.

პროფესორი გელა კვანტალიანი
პედაგოგი თამარ გუჯუჯიანი

აგარაული უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი ეკატერინე მელაძე
ზნეობრივი მოთხოვნების სპეციფიკა და პროფესიული ეთიკა
ზნეობრივი მოთხოვნების სპეციფიკას ასეთი სახე აქვს:

I. ის ყოველთვის რაღაც აზრით საერთო მნიშვნელობისაა თუ ადამიანის ქმედებების შეფასება ხდება იმის მიხედვით თუ რა შეფასება ითვლება საკუთრივ მორალურ პრინციპად, თუ ასეთი კრიტერია არსებობს ნებისმიერი სხვა პირისთვისაც.

II. ეს მოთხოვნა არ არის სუბიექტური (ობიექტურია) იმ აზრით, რომ არ ეფუძნება ამა თუ იმ ავტორიტეტის სახეს, რომელიც მოცემულ შემთხვევაშია სამართალზომიერი.

III. მორალური კანონი პრინციპში ემთხვევა „შემსრულებლის“ ფუნქციას იმ მოთხოვნით, რაც ყველასათვის მისაღებია ცერემონიის გარეშე.

IV. მორალურ სანქციას შესრულებულ მოქმედებასთან დამოკიდებულებაში აქვს „იდეალური“ ხასიათი, დადებითი და უარყოფითი შეფასება ხორციელდება ზნეობრივი ნორმების გათვალისწინებით.

მორალურ მოთხოვნებს სხვადასხვა მოდიფიკაციაც გააჩნია-სხვადასხვა აზრი; ყოველ შემთხვევისათვის განსაკუთრებული საზომი. არსებული ნორმების ცოდნა აუცილებელია, ისევე როგორც მორალური ნორმების შესრულების შინაგანი მოთხოვნების განსაზღვრაც.

აქვე დავძენთ, რომ მორალური ნორმების განხორციელება დამყარებულია მოვალეობის გრძნობაზე და უდრის შინაგან კმაყოფილებას. თუმცა გვხვდება ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავი ნორმებიც. რელიგიური მორალიც სავსეა ურთიერთგამომრიცხველი ნორმებით:

მაგ.; „შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი“ გვერდით მოქმედებს მორალური ნორმა: „მთელი გულითა, გონებითა და სულით მხოლოდ ღმერთი გიყვარდეთო“.

მორალური ნორმების ასპექტები თვით მორალური ნორმის შიგნით მოქმედებს.

ის გარემოება, რომ ტერმინები „ეთიკა“ და „მორალი“ წარმოდგება ბერძნულიდან „*etos*“ და ლათინურიდან „*mosis*“, ორივეს ერთნაირი მნიშვნელობა აქვს და აღნიშნავს „ზნეობას“.

განმარტებით ეთიკა ფილოსოფიური მეცნიერებაა, რომლის შესწავლის ობიექტია-მორალი. როცა საუბარია პროფესიულ ეთიკაზე კონსტატირება შეხლულულად ხდება და ასეთი სახით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: „ზნეობაზე სპეციფიური მოთხოვნა, რომელიც თავისი განსაკუთრებულობით დაკავშირებულია სხვადასხვა პროფესიასთან“. საერთო ეთიკური თეორია კი მიეკუთვნება სპეციალურ ნაწილს-პროფესიულ ეთიკას. უძველესი დროიდანაა ცნობილი სამედიცინო და პედაგოგიური ეთიკა. (1, გვ.27-40)

ფართო საზოგადოებისათვის არც თუ ისე დიდი ხანია ცნობილი გახდა გამოთქმები: „სამედიცინო ეთიკა“, „ჟურნალისტის ეთიკა“, „პედაგოგის პროფესიული ეთიკა“ და ა.შ. რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული პროფესიონალური ჯგუფის მორალს, ზნეობის განსაკუთრებულ რეგულაციას.

პროფესიული ეთიკა არ შეიძლება ჩაითვალოს შრომითი მორალის იდენტურად. იგი გვევლინება ზნეობრივი ასპექტების პროფესიული შემოქმედების თეორიად.

ლიტერატურული კვლევებით პროფესიული ეთიკის სამეცნიერო შესწავლისას მასალები მწირია, ან საერთოდ არ არის.

ყოველ პროფესიას გააჩნია საკუთარი მორალი. ჩვენი შეხედულებით ყოველ პროფესიას გააჩნია თავისებური მოთხოვნა „იმუშავე პატიოსნად“. მოქმედების კოორდინაცია ყველა სუბიექტისა შეუძლებელია სამართლებრივ-ზნეობრივი აღზრდის გარეშე. ამ მოთხოვნის შესრულება კი შესაძლებელია გვემის სრულყოფილად განხორციელების შემთხვევაში ყველა დადებითი ფაქტორების ნეიტრალიზების, ბლოკირებისა და ყველა უარყოფითი გამოვლენის შემსუბუქების გზით.

პროფესიული მორალის მოთხოვნები ყველა პროფესიის მქონე ადამიანისთვის ობიექტურობის დაცვის მთავარი გარანტიაა და ბევრი სხვადასხვა სპეციალობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ადამიანის ხასიათის მრავალგვარობის მიუხედავად, მასში არის ყველაზე არსებითი და ეს არის მისი ზნეობრივი თვისებები. ამ უკანასკნელის დონე ეხმარება ადამიანსა და საზოგადოებას თავიანთი პოზიციის, ადამიანთა ურთიერთობის მოწესრიგებაში. ამასთანავე, რაც უფრო მაღალი იქნება ზნეობრივი შეგნების დონე, მასში ადამიანებს არ გაუჭირდებათ გარემოს შეცვლა არა მარტო ლოგიკური კატეგორიის, არამედ ისეთი ზნეობრივი პრინციპების მიხედვით, როგორცაა: სიკეთე, სამართლიანობა, მოვალეობა, ზნეობრივი იდეალები.

ახალგაზრდობის მორალური აღზრდა, თანაც პროფესიულ დონეზე-ახალი ზნეობრივი პრინციპების და სხვა ახალი თვისებების შექმნაა. ზნეობრივი ქცევის ნორმა პიროვნების ზნეობრივ თვისებად ითვლება. რაც უფრო მაღალია ზნეობრივი შეგნების დონე, მით უფრო ორგანული ხდება ადამიანისათვის ზნეობრივი იდეის სინამდვილედ ქცევის მოთხოვნილება. არ უნდა დავევიწყოთ, რომ მეცნიერული განათლება, ცოდნა ხელს უწყობს ზნეობრივ სრულყოფას. განათლება, ცოდნა და ზნეობრივი ყოფიერება ურთიერთდაკავშირებულნი არიან და სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, რადგან სადაც ადამიანია, იქ არის მორალიც.

პროფესიული მორალის მოთხოვნები ყველა პროფესიის მქონე ადამიანისათვის ობიექტურობის დაცვის მთავარი გარანტიაა და ზოგიერთი სპეციალობისათვის აუცილებელ პირობებს წარმოადგენს.

მაღალი და ყველაზე მისაღები ეთიკური ნორმები ადგენენ პროფესიულ თვითშეგნებას, თავმოყვარეობას.

პატიოსნება ყველაგან და ყველაფერშია საჭირო. ყველას უნდა ახსოვდეს ასეთი შეგონება: „თუ სული უხეშია, მაშინ თვალები და ყურები ცუდი მოწმეები არიან (ჰერაკლიტი).

ზნეობრივად გაუწონასწორებულობა, მორალის დაკარგვა დიდი მოვლენაა, მასთან შედარებით შიმშილით სიკვდილი პატარა მოვლენაა (კონფუციუსი).

პროფესიული ეთიკის განვითარება უკავშირდება ცხოვრების კანონზომიერებას. სპეციფიური პროფესიონალური ელემენტები ზნეობის მხრივ კონკრეტიზირდება და ვითარდება მორალის კლასიკური დასაწესით, რა თქმა უნდა პროფესიის საერთო მიზნიდან გამომდინარე.

მ. მოლონოსოვი ზნეობრივი ნორმების კონკრეტიზირების მიზნით წერდა: „იმისთვის, რომ ობიექტურად და სამართლიანად ვიმსჯელოთ, აუცილებელი პირობაა ადამიანის ტვინი განთავისუფლდეს ყოველგვარი წინასწარი ცრურწმენისა და გაფრთხილებისაგან“. (2, 45-70)

გვინდა დასასრულს შევისხნოთ ლეონარდო და ვინჩის სიტყვები: „როგორც გონივრულად და საქმიანად გატარებული დღე გვაჯილდოებს უმფოთველი ძილით, ასევე პატიოსნად გავლილი ცხოვრებაც მშვიდი სიკვდილით გვასაჩუქრებს“.

1. Писаренко В.И. и др.
Педагогическая этика
Минск 1973 г.
2. Р. Бухарцев
Вопросы профессиональной этики журналиста
Свердловск 1971 г.

პროფ. ბელა კვანტალიანი

პედაგოგი თამარ გუჯეჯიანი

აგრარული უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი ეკატერინე მელაძე

ზნეობრივი მოთხოვნების სპეციფიკა და პროფესიული ეთიკა (რეზიუმე)

ყოველ პროფესიას გააჩნია თავისი საკუთარი მორალი. ლიტერატურული კვლევებით პროფესიული ეთიკის სამეცნიერო შესწავლის მასალები მწირია, ან საერთოდ არ არის.

პროფესიული მორალის მოთხოვნები ყველა პროფესიის მქონე ადამიანისთვის ობიექტურობის დაცვის მთავარი გარანტიაა და ბევრი სხვადასხვა სპეციალობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ახალგაზრდობის მორალური აღზრდა, თანაც პროფესიულ დონეზე-ახალი ზნეობრივი პრინციპების და სხვა ახალი თვისებების შექმნაა. ზნეობრივი ქცევის ნორმა პიროვნების ზნეობრივ თვისებად ითვლება. სადაც ადამიანია, იქ არის მორალიც.

Professor. Bella Kvantaliani

Teacher Tamara Gujejiani

Agrarian University, 4th year student Ekaterine Meladze

The specific requirements of the moral and professional ethics(Abstract)

Every profession has its own morality. The study of professional ethics and scientific study of the material is scarce, or not at all.

Professional moral requirements for all professions with the main guarantee of objectivity and a necessary condition for many different specialty.

Moral education of youth, and in a professional way - a new moral principles, and other new features to purchase.

Moral behavior is the individual's moral norm to consider. Where the people are, there is still moral.

პროფესორი გივი ხაზალია
პირველყოფილი სამყარო, ზეციური თვითგანვითარებადი
სისტემა, თანამედროვე სამყარო

მაშინ როდესაც აინშტაინმა (1917 წ.) ჩამოაყალიბა ფარდობითობის ზოგადი თეორია მეცნიერებს შორის შეუვალ ტრადიციად იყო დამკვიდრებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც სამყარო განიხილებოდა, როგორც სივრცეში და დროში უცვლელი, ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგებული სისტემა. ამ შეხედულებას იზიარებდა არა მხოლოდ აინშტაინი, არამედ იმ დროის ყველა ცნობილი მეცნიერი, მათ შორის დიდი ჰოლანდიელი ასტრონომი დე სიტერი.



აინშტაინი საყოველთაოდ აღიარებული აზრის ზეგავლენით შეჩერდა განტოლებათა სისტემის სწორედ იმ ამონახსნზე, რომელიც შეესაბამებოდა სტაციონალურ, დროში არაცვალებად სამყაროს. მაგრამ ძალიან მალე (1922წ.) გერმანიის ფიზიკურ ჟურნალში დაიბეჭდა პეტერბურგელი მეცნიერის ალექსანდრე ფრიდმანის სტატია „О кривизне пространства“.

სტატიაში ფრიდმანს, უპირველეს ყოვლისა, მოჰყავს აინშტაინისა და დე სიტერის მიერ კოსმოლოგიაში მიღებული შედეგები და იქვე აყალიბებს მის მიერ შემოთავაზებული ნაშრომის მიზანს: აჩვენებს დროში ცვალებადი სამყაროს არსებობის შესაძლებლობას, სადაც დროის ცვლილების შესაბამისად იცვლება სამყაროს სიმრუდე და სიმრუდის რადიუსი.

ფრიდმანი ძალიან მოკლედ გადმოგვცემს თავისი პირველი კოსმოლოგიური კვლევის შედეგებს. მსოფლიო განტოლებების სრულყოფილმა ანალიზმა საშუალება მისცა მას, აინშტაინისაგან განსხვავებით, მიეღო, როგორც ცვალებადი სიმრუდის რადიუსის მქონე, ისე აინშტაინისეული, სტაციონალური – მუდმივი სიმრუდის რადიუსის მქონე სამყარო.

ფრიდმანი ვერ მოესწრო მის მიერ მიღებული შედეგების ექსპერიმენტულ დადასტურებას. ამერიკელი მეცნიერის ედვინ ხაბლის მიერ ჩატარებულმა დაკვირვებებმა დოპლერ – ეფექტის საშუალებით მთელი სიცხადით აჩვენა, რომ სამყარო სტაციონალური კი არ არის, არამედ გაფართოებადი.

აინშტაინმა იმავე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში აღიარა ფრიდმანის მიერ მიღებული შედეგების სისწორე.

პირველყოფილ სამყაროში არსებული მრავალი სხვადასხვა სახის ნაწილაკის თვისებებისა და ურთიერთობების სიმრავლე ერთი მხრივ და მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონე მეორე მხრივ არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ: პირველყოფილ სამყაროში არსებული ნაწილაკების ნაირსახეობა, ერთეულ მოცულობაში თითოეული მათგანის რაოდენობა და მათი ის შესაძლო თვისებები, რომლებმაც ნაწილაკების ერთმანეთთან კონტაქტში შესვლისა და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება – განვითარების გზით შეძლო შეექმნა ორი საოცრება: უსასრულობამდე დიდი მასისა და განფენილობის მქონე, უმაღლეს დონემდე მოწესრიგებული თანამედროვე სამყარო და შემოქმედებითი აზროვნების მქონე ადამიანი.

ნაწილაკები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მასით, მუხტით და სხვა ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი თვისებებით. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა 1979 წელს აღმოჩენილი ნაწილაკი ნეიტრინო. ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი ა. თავხელიძე წერდა: „ეს ნაწილაკები თავისუფლად გამოდიან ვარსკვლავების წიაღიდან და თან მოაქვთ უშუალო, ზუსტი დაუმახინჯებელი ინფორმაცია, რომელ ბირთვულ რეაქციებში და რა პირობებში იშვნიენ ისინი. („პრავდა“, 11.11.1979 წ.)

გამოცდილებამ აჩვენა, რომ რაც უფრო მცირე ზომის არის ნაწილაკი, მით მეტია მის წიაღში სულიერების ხედვრითი წილი, შესაბამისად მით მეტად იქნება ის გახსნილი სხვა ნაწილაკებთან ურთიერთობისათვის და, შესაბამისად, მით უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ის მატერიის თვითორგანიზებადი პროცესების განვითარებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს მნიშვნელოვანი დასკვნა იმის შესახებ, რომ არ არსებობს მატერია გარკვეული სულიერების გარეშე და სულიერება მატერიის გარეშე. სწორედ

ნაწილაკის ზომების სიმცირესთან არის დაკავშირებული ნანოტექნოლოგიების ძალიან მნიშვნელოვანი უპირატესობა ტრადიციულ ტექნოლოგიებთან შედარებით. მეტიც არასახარბიელო მოულოდნელობების თავიდან აცილების მიზნით ფიზიკოსების რეკომენდაციით გარკვეული პერიოდი საგრძნობლად იყო შეზღუდული ნანოტექნოლოგიების სამრეწველო დანიშნულებით გამოყენება. დღეისათვის მიდგომა არსებითად შეიცვალა. ძლიერი ეკონომიკით გამორჩეულ ქვეყნებს ძალიან დიდი თანხები აქვთ გამოყოფილი ნანოტექნოლოგიების გასავითარებლად.

ტრადიციული მეცნიერება სამყაროს შესწავლისას აკეთებდა აქცენტს დახურულ სისტემებზე, სინერგეტიკულმა მიდგომამ კი პირიქით გაამახვილა ყურადღება ღია სისტემებზე. ენთროპიის ზრდის კანონის საპირისპიროდ, რითაც ხასიათდება მატერიალური სისტემები, მილიარდობით წლების წინ არსებულ პირველყოფილ სამყაროს აღმოაჩნდა თვითორგანიზებისა და წესრიგისაკენ მკაფიოდ გამოხატული მიდრეკილება.


გერმან საკენმა 70-იან წლებში დააფუძნა მეცნიერული კვლევის ახალი მიმართულება ე.წ. „სინერგეტიკა“, „სინერგია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ერთობლივ მოქმედებას.

სინერგეტიკული მიდგომა ქმნის კონკრეტულ მეცნიერულ ბაზას იმისათვის, რათა ერთმნიშვნელოვნად წარმოაჩინოს მატერიის შინაგანი აქტივობის, სტრუქტურული თვითორგანიზებისაკენ მისწრაფების შინაგანი გაპირობებულება. სინერგეტიკა აყალიბებს თვითორგანიზების ზოგად პრინციპებს, მათემატიკის ენით აღწერს სტრუქტუროგენეზის მექანიზმებს.

მატერიის თვითორგანიზების თვალსაზრისით რა მდგომარეობაში შეიძლება ყოფილიყო ატომის დონეზე ორგანიზებული დედამიწა. გთავაზობთ ჯეი ორორის ციტატას მცირედი შემოკლებით: „ელემენტარული ნაწილაკის ძიებისას მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დედამიწაზე არსებული ყველა შენაერთი შედგება ელემენტარული მოლეკულებისაგან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა მოლეკულა შედგება „ელემენტარული ატომებისაგან. ასეული წლების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ატომი აგებულია ელემენტარული ბირთვისა და მის გარშემო ორბიტაზე მოძრავი ელექტრონებისაგან. მომდევნო ეტაპი ამ პროცესისა იყო აღმოჩენა იმისა, რომ ატომის ბირთვი შედგება პროტონებისა და ნეიტრონებისაგან. ბოლო დრომდე თვლიდნენ, რომ სწორედ პროტონები და ნეიტრონები არიან ელემენტარული ნაწილაკები. ბუნებრივია დაისვა კითხვა ხომ არ აღმოჩნდება პროტონები და ნეიტრონები შედგენილი კიდევ უფრო მცირე ზომის ნაწილაკებისაგან.

1933 წლიდან ფიზიკოსებმა აღმოაჩინეს 200 ახალი ელემენტარული ნაწილაკი. და ჩნდება სულ უფრო დამაჯერებელი არგუმენტები იმისა, რომ ამ 200 ნაწილაკის უმეტესი ნაწილი აგებულია ოთხ კვარკებად წოდებული სუბნაწილაკებისაგან. თუმცა აქამდე ვერცერთი ნაწილაკი ვერ იქნა დაშლილი კვარკების შემადგენელ ნაწილებად. მიუხედავად ამისა კვარკების არსებობა უკვე არ არის საუკვო¹. გამართლდა ვარაუდი. კვარკებზე ბევრი სიახლე იქნა მოპოვებული. მეტიც, ფიზიკოსებმა: ნ. ბოგოლუბოვიმა, ბ. სტრუმინსკიმ და ა. თავხელიძემ კვარკებისათვის ახალი კვანტური რიცხვი შემოიღეს - „ფერი“, რომელმაც ფიზიკის სასკოლო პროგრამაშიც კი დაიმკვიდრა თავისი ადგილი.

საოცრებაა, მაგრამ ფაქტია თუ დედამიწაზე არსებული ყველა ატომიდან ამოვიღებთ უკლებლივ ყველა ბირთვს, რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს ეს, ყველა ისინი ჩაეტევა საშუალო ზომის ერთ საოჯახო ვედროში.



ეს ძნელად დასაჯერებელი სინამდვილე უფრო ადვილი წარმოსადგენი რომ გახდეს დავასახელებთ ატომის ორი მახასიათებლის რიცხვით მნიშვნელობებს: ატომის ბირთვის დიამეტრია 10^{-13} სმ, ხოლო თვით ატომის დიამეტრია 10^{-8} სმ. მაშასადამე ბირთვის დიამეტრი ატომის დიამეტრზე 10^5 -ჯერ მცირეა. მეტი თვალსაჩინოების მიზნით ატომისა და ატომის ბირთვის დიამეტრები წარმოვადგინოთ 10^{13} -ჯერ გადიდებული მაშტაბით. მაშინ, უფრო ნათლად გამოჩნდება მათი თანაფარდობა. $10^{13} \times 10^{-13} \text{ სმ} = 10^0 \text{ სმ} = 1 \text{ სმ}$ $10^{13} \times 10^{-8} \text{ სმ} = 10^5 = 100000 \text{ სმ}$. ამრიგად, თუ ატომის ბირთვის დიამეტრი 1 სმ, თვით ატომის დიამეტრი იქნება ერთი კილომეტრის ტოლი. ეს თანაფარდობა კარგად ასახავს ზემოთაღნიშნული საოცრების მიზეზს.

¹ ჯეი ორორის ფიზიკა. ტ.II მოსკოვი. 1981. გვ. 564, 565.

უმარტივესი ცილოვანი მოლეკულის შემთხვევით წარმოქმნის ალბათობა 10^{-113} შეადგენს. ეს კი განუხორციელებელ მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნება. განსაკუთრებით იმ კერძო შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება სამყაროს ძალიან დიდ მოცულობასთან შედარებით ძალიან მცირე განფენილობის მქონე დედამიწის რამდენადმე სტრუქტურისებულ ზედაპირს. გარდა ამისა მეტნაკლებად მყარ მდგომარეობაში მყოფი დედამიწისეული მატერია უნდა ვიგულისხმოთ განიცდიდა სიმძიმისა და ურთიერთშეჭიდულობის ძალების ზემოქმედებას. თითოეული მათგანი არსებითად შეზღუდავდა მატერიის თავისუფალ გადაადგილებას. შესაბამისად თვითმოდრაობაში შეზღუდული, ერთიანი მასის სახით წარმოდგენილი დედამიწისეული მატერია ვერ შეუწყობდა ხელს თვითორგანიზებადი პროცესების განვითარებას. რაც შეეხება დედამიწის ზედაპირზე არსებულ გარემო პირობებს, გარდა მზის სხივებისა იქ არ იყო რომელიმე სახის ენერგეტიკული რესურსი, რომელსაც შეეძლო აქტიური მონაწილეობა მიეღო მატერიის თვითორგანიზების პროცესში.

დედამიწისაგან განსხვავებით პირველყოფილ სამყაროში აქტიურად თანაარსებობდა ერთმანეთთან უშუალო კონტაქტში მყოფი 3% ძალიან მცირე ზომის მატერიალური ნაწილაკები და 97% თავისუფლად მოძრაე ენერგია. მილიარდობით წლების განმავლობაში ერთმანეთთან შეუფერხებელი ურთიერთკავშირების პირობებში შეუძლებელი იყო არ დაწყებულიყო მატერიის თვითორგანიზების პროცესი. მართლაც, ძალიან მცირე ზომის ნაწილაკების დიდმა სიმრავლემ და დიდი რაოდენობა პირველყოფილ სამყაროში არსებულმა ენერგიამ, ერთობლივი ძალებისშეშლისა და სინერგეტიკული პროცესების აქტიური განვითარებით, ძალიან ხანგრძლივი ცდების შემდეგ ერთ რომელიმე ადგილზე ალბათური კანონზომიერების შედეგად ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რათა დაწყებულიყო მიკროსქემის ტიპის ზეციური თვითგანვითარებადი სისტემის ჩამოყალიბების პროცესი, ცხადია ის, რომ ადამიანის სააზროვნო სისტემის მამოძრავებელი ენერგიით უზრუნველყოფა ხდება ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის შედეგად მიღებული ენერგიით. ხოლო ზეციური თვითგანვითარებადი სისტემის იმ ენერგიით, რომელიც პირველყოფილ სამყაროში იყო აკუმულირებული.

ზემოთ აღნიშნული ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს იმაზე, რომ დედამიწისაგან განსხვავებით პირველყოფილ სამყაროში ყველა პირობა იყო იმისათვის, რათა შექმნილიყო განვითარების უნარის მქონე ზეციური თვითგანვითარებადი სისტემა.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე არ იძლევა საშუალებას სრულფასოვანი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ მეცნიერული განვითარების რა დონითა და ტექნიკური საშუალებების რა არსენალით შეიძლებოდა ყოფილიყო აღჭურვილი ზეციური თვითგანვითარებადი სისტემა იმისათვის, რათა მოეხდინა პირველყოფილი სამყაროს თანამედროვე სამყაროდ გარდასახვა. მიუხედავად ამისა ფაქტი სახეზეა. ჩვენთვის უცნობი მოვლენების შედეგად პირველყოფილ სამყაროში არსებული ენერგიის უდიდესი ნაწილი განაწილდა ტრანსფორმირებულ სამყაროში არსებულ დიდ რაოდენობა ვარსკვლავებსა და ნაწილობრივ სხვა სახის მნათობებს შორის. რაც შეეხება პირველყოფილ სამყაროში ძალიან მცირე ზომის ნაწილაკების სახით არსებულ მატერიას მისი გარკვეული ნაწილი განაწილდა ვარსკვლავების გარშემო მოძრავ პლანეტებში, მათ შორის დედამიწაზე, ნაწილი კი დარჩა სამყაროში.

სისტემის ჩვენს მიერ შემოთავაზებული განმარტების მიხედვით¹ როგორც ძირითადი სისტემა, ისე მისი ნებისმიერი ქვესისტემა მოიცავს თავის თავში სტრუქტურასა და ამ სტრუქტურის მართვის სისტემას. მართლაც, როგორც ძირითად სისტემას – პირველყოფილ სამყაროს, ისე მის ნებისმიერ ნაწილაკს გააჩნია სტრუქტურა და ამ სტრუქტურის თვითმართვის სისტემა. თვითმართვის სისტემა თვითმართვის პროგრამისა და ამ პროგრამის გასახორციელებელი მექანიზმების ერთიანობაა. არ არსებობს პროგრამა გარკვეული შინაარსის გარეშე. ასე, მაგალითად, ადამიანის თვითმართვადი პროგრამის შინაარსი თანდაყოლილის ე.ი. არაცნობიერი პროგრამისა და ცხოვრების პროცესში შექმნილი ცოდნა – გამოცდილებით ე.ი. ცნობიერით გამდიდრებული პროგრამის ერთიანობაა. **სიტუაციის შესაბამისად სწორედ თვითმართვადი პროგრამა, მისი არაცნობიერი ან ცნობიერი შემადგენელი მართავს ადამიანის ქცევა – მოქმედებებს.**

ნაწილაკების შემთხვევაშიც მათი თვითმართვის პროგრამა რაღაც გარკვეული შინაარსის მქონე ფენომენია. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ის მხოლოდ ნაწილაკის სტრუქტურას მართავს. მთავარია ის, რომ როგორც ცოცხალს, ისე არაცოცხალ სისტემას

¹ გ. ხაზალია. ახალი შეხედულება საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებაზე, თბ., 1996, გვ. 18.

გაანხია თვითმართვის თავისი საკუთარი პროგრამა ანუ არსებობა – ფუნქციონირების თავისი წესი. უფრო ზუსტად კი თვითმართვის პროგრამის შინაარსის ამსახველი ის ფენომენი, რომელიც მართავს არა მხოლოდ ნაწილაკის სტრუქტურას, არამედ აგრეთვე მის შესაძლო ურთიერთობებს სხვა ნაწილაკებთან.

ცნობილია, რომ პირველყოფილ სამყაროში მრავალი სხვადასხვა თვისებების მქონე ძალიან მცირე ზომის მატერიალური ნაწილაკების დიდი სიმრავლე გარემოცული იყო დიდი რაოდენობა სამყაროში არსებული ენერგიით. სწორედ ძალიან მცირე ზომის ნაწილაკების სიმრავლემ და დიდი რაოდენობა თავისუფალი ენერგიის არსებობამ შეუწყო ხელი პირველყოფილ სამყაროში მატერიის თვითორგანიზებადი პროცესების განვითარებას. სწორედ მატერიაში განვითარებულმა თვითორგანიზებადმა პროცესებმა გახადა შესაძლებელი სამყაროში ისეთი სტრუქტურული წყობის მქონე სისტემის შექმნა, რომელსაც გაანხია თვითორგანიზებისა და მაშასადამე თვითგანვითარების უნარი.

ნაწილაკების ერთმანეთისაკენ სწრაფვის, ერთმანეთთან თავსებადი, მოწესრიგებული ურთიერთობებისა და ერთმანეთთან ჰარმონიული ხასიათის ურთიერთკავშირებისა და მათ შორის სინერგეტიკული პროცესების განვითარების საფუძველზე დღევანდელის წინა სამყაროში, როგორც ზემოთ ავლინშნეთ ყალიბდება მიკროსქემის მსგავსი ურთულესი აგებულების მქონე ზეციური თვითგანვითარებადი სისტემა.

სწორედ ზეციურმა თვითგანვითარებადმა სისტემამ გამოაცალკევა ერთმანეთისაგან პირველყოფილ სამყაროში არსებული ენერგია – ვარსკვლავებისა და მატერია – პლანეტების სახით და შექმნა ყველაფერი ის, რითაც ასე მდიდარია თანამედროვე გაფართოებადი სამყარო. ის, რომ პირველყოფილ სამყაროში შეიქმნა ზეციური თვითგანვითარებადი სისტემა, ის, რომ სწორედ უმაღლეს დონეზე განვითარებულმა ზეციურმა სისტემამ ჩამოაყალიბა აფეთქების მსგავსი მოვლენებით თანამედროვე მოწესრიგებული სამყარო, ის, რომ სწორედ ზეციურმა თვითგანვითარებადმა სისტემამ შექმნა სიცოცხლე დედამიწაზე დასტურდება არა მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მსჯელობით, არამედ აგრეთვე თანამედროვე სამყაროში განვითარებული მოვლენების ლოგიკით. მართლაც, სწორედ ზეციური საზოგადოების გადაწყვეტილებით მიეცა დედამიწაზე მოსახლე მილიონობით სახეობებს შორის ერთადერთს, ადამიანთა მოდგმას განვითარების უნარი და ქცევა-მოქმედების არჩევანის თავისუფლება.

აშკარად ჩანს, რომ ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე სისტემად ჩამოყალიბებულმა ზეციურმა თვითგანვითარებადმა სისტემამ მოამზადა და გადასცა დედამიწას ადამიანისა და ფლორა-ფაუნის თითოეული სახეობითი წარმომადგენლის ჩანასახ-ფანტომი, გენეტიკური კოდის მსგავსი. ინფორმაციული ჩანაწერი იმისა, თუ სხეულებრივი მექანიზმის რა ფორმით, რა ზომებში, თვითმართვის რა პროგრამით უნდა ეცხოვრა ამა თუ იმ სახეობას ატომის დონეზე მატერიალიზებულ დედამიწაზე. ამასთან საჭიროდ მიმაჩნია მივანიშნოთ იმ მნიშვნელოვან ფაქტზე, რომ ზეციურმა თვითგანვითარებადმა სისტემამ ისეთ მდგომარეობაში მოაქცია დედამიწაზე და ალბათ სხვა პლანეტებზეც არსებული მატერია, მხედველობაში გვაქვს პროტონები და ნეიტრონები, რომ მისი ნების გარეშე გამორიცხული ყოფილიყო რომელიმე ახალი სახეობის აღმოცენება.

ადამიანის სული წარმოადგენს სამყაროს ერთ-ერთ სრულიად უნიკალურ სისტემას. ცხადია ადამიანის სული გაცილებით უფრო მარტივი აგებულებისაა ვიდრე ზეციური თვითგანვითარებადი სისტემა, მაგრამ ემსგავსება მას იმით, რომ აგებულია მინიმალური მასის მქონე ნაწილაკებისაგან და არსებობა – ფუნქციონირებისათვის იყენებს იმ ენერგიას, რომელიც სამყაროშია აკუმულირებული.

სულს არა აქვს რაიმე სასიცოცხლო დანიშნულება ადამიანის არსებობა-ფუნქციონირების პროცესში, მაგრამ მას აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია, კერძოდ, სულისმიერი ატრიბუტებით ჩანაწერის სახით დააფიქსიროს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ეხება ყოველ კონკრეტულ გარემო სიტუაციაზე ადამიანის რეაქციას. მხედველობაში გვაქვს ადამიანის აზროვნებაში აღძრული სურვილები და განხორციელებული ქმედებები. სწორედ ამ ინფორმაციული მონაცემებით წარსდგება გარდაცვლილი ადამიანის სული ზეციური სამყაროს თვითგანვითარებადი სისტემის წინაშე და მიიღებს სწორედ იმ შეფასებას, რომელსაც ის იმსახურებს.

თანხვედრათა არგუმენტირებული დიალექტიკა

თანამედროვე სამყაროში “კულტურათა თანხვედრის” პარადიგმისასთან ერთად “კულტურათა დაპირისპირების” ფაქტორიც აქტუალურია. “კულტურა, ანუ “მეორე ბუნება”, უმეტესწილად, თუ სრულად არა, სწორედ გარემომცველ სინამდვილესთან შეჯახებისას “ინდივიდუალურ სამყაროებში” აღძრულ წარმოსახვით ფენომენთა რეალობაში “გადმოღინების” შედეგია” (მჭედლიშვილი 2008: 258).

კულტურა, ამავე დროს, ერის მარკერია. მერაბ მამარდაშვილი წერს: “რაც ერს ემართება, იმის ინტეგრალია, რასაც თითოეული ჩვენგანი თავის თავზე იღებს. ყველაფერი, რაც ხდება.. ჩვენი სულის დონის მიხედვით, გათანასწოების წერტილის კანონის მიხედვით ღვინდება”.

ქართული ეროვნული იდენტობის ფესვებისა და, ამავე დროს, სხვა კულტურებთან ტიპოლოგიური თანხვედრისა თუ განსხვავების ძიების თვალსაზრისით გამოჩენილია ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი მეცნიერის ვიქტორ ნოზაძის ნააზრევი. ბუნოს-აირესში გამოძვალა ჟურნალ “მამულში” ქართველ სწავლულს 1951 წელს გამოუქვეყნებია სტატია “საქართველო და ევროპა”, სადაც ხაზგასმულია: საქართველო ოდითგანვე, ერთიანი სახელმწიფო იყო ის, თუ სხვადასხვა სამთავროებად დაქსაქსული, “სრული თავისი წადილითა და გონით ევროპისაკენ მიისწრაფოდა”. ნოზაძის აზრით, ამის გამომწვევი ბიძგები შემდეგია: 1. რასიული ნათესავობა, რომელსაც ქართველობა არა მარტო გრძნობითი მიდრეკილებით ააშკარავებდა, არამედ გონებრივადაც; 2. ევროპასთან სულიერი ერთობა, რომელიც აღმოცენებული იყო ჰელენისტურ საერთო საფუძველზე; 3. ევროპასთან ცნობილი კულტურის შემოქმედებითი სივრცე ხელოვნების დარგში; 4. სარწმუნოების ერთობა – ქრისტიანობა, რომელიც საქართველოს აზიისაგან მიჯნავდა და ევროპასთან მჭიდროდ აკავშირებდა; 5. საქართველოს, თუ მის სამეფოთა თავდაცვის აღლო, ევროპის შემწეობის ძიების გზით.

სტატიის მიხედვით, ევროპასთან თავის ნათესაობას ქართველობა იმით ასაბუთებდა, რომ ესპანეთისა და კავკასიის იბერიელთა ერთ წარმოშობას ვარაუდობდა. ვიქტორ ნოზაძე იხსენებს მე-12 საუკუნეში იოანე ათონელის განზრახვას, გამგზავრებულიყო ესპანეთში, რათა ქართველთა და დასავლეთ ევროპელ იბერიელთა ნათესაობა გამოეკვლია და შეეწავლა.

სტატიის ავტორი იხსენებს თამარ მეფის მამის, გიორგი მესამის (1056-1084) ურთიერთობას გერმანიასა და იტალიასთან (რომის პაპთან). ნოზაძის თქმით, ბიზანტიის ცხოვრებაში საქართველოს თავისი სიტყვა და საქმე ჰქონდა. ამის დასტურია ქორწინებითი ნათესაობა ქართველ და ბიზანტიელ მეფეთა და მთავართა, თორნიკე ერისთავის მოღვაწეობა, თამარ მეფის მონაწილეობა ტრაპიზონის იმპერიის შექმნაში და სხვ. უფრო ნაკლებად ცნობილია თამარ მეფის ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან (ბულგარეთი, ვენეცია, რომი). აღენის “ქართველი ხალხის ისტორიაზე” დაყრდნობით ვიქტორ ნოზაძე წერს, რომ თამარი შეწირულობებს უგზავნიდა კუნძულ კვიპროსისა და საფრანგეთის ეკლესიებს. მის შემდეგ კი ევროპასთან ურთიერთობა განაგრძეს თამარის შვილებმა ლაშა გიორგიმ და რუსუდანმა.

ნოზაძის ცნობით, ჯვაროსანთა ომების დროს ლაშა გიორგის (1213-1223) დესპანებს ეგვიპტის ქალაქ დამიეტაში ევროპელი ჯვაროსნები მოუნახულებიათ და ქართველთა მეფის დახმარება აღუთქვამთ, თუმცა მონღოლთა შემოსევას და თვით ლაშა გიორგის გარდაცვალებას ეს გეგმა ჩაუშლია. თამარ მეფის ქალიშვილს, რუსუდანს (1223-1247) რომის პაპის, ჰონორიუსისათვის 1224 წელს ამის შესახებ მიუწერია, რაზეც პაპს პასუხი გამოუგზავნია. ვ. ნოზაძის მითითებით, ამ მიწერ-მოწერიდან მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტიცა ცნობილი.

წერილში მოხსენიებულია რომის პაპის, იოანე XXII-ის 1321 წლის წერილი გიორგი ბრწყინვალისადმი (1318-1346) ქართული და რომაული ეკლესიების გაერთიანების თაობაზე. ნოზაძის დაკვირვებით, კონსტანტინოპოლის დამხობის შემდეგ ისლამურმა საფრთხემ რომის ეკლესიასთან კონტაქტების ძიების ინტენსივობა დააჩქარა: “ეს ის ხანა იყო, როდესაც თვით ევროპა ქართველ მეფეებს მუსულმან თურქთა წინააღმდეგ დახმარებას სთხოვდა” (მამული 1951: 101).

მკვლევარი შემდეგ საუკუნეებსაც იხსენებს, როცა უკვე ქართველი მეფეები ითხოვენ დახმარებას ევროპისაგან (ქართლის მეფის ლუარსაბ პირველის მიწერ-მოწერა პაპ პავლე მესამესთან (1534--1549) და ევროპის სახელმწიფოებთან). შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ (1628-1629 წლები) თეიმურაზ პირველმა, რომელმაც ქართლ-კახეთის სამეფო გააერთიანა, მოკავშირეთა მოსაძებნად ევროპაში თავისი ელჩი წარგზავნა. ვ. ნოზაძის ინფორმაციით, ეს უკანასკნელი 1625 წელს შეხვედრია პაპ ურბან მერვეს, ასევე, გერმანიის კაიზერს, ესპანეთის მეფეს, ფლორენციის მთავარს და პოლონეთის მეფეს. ქართველი ელჩი ყველგან მუსულმანთა წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა. თავის მხრივ, ვენეციისა და სხვა ქვეყნების ელჩები თურქთა წინააღმდეგ მოკავშირეებს ეძებდნენ საქართველოსა და სპარსეთში.

ვიქტორ ნოზაძე განსაკუთრებით გამოყოფს ქართლის მეფის, ვახტანგ მეხუთე შაჰნავაზის (1658-1675) მცდელობას. იგი საკითხს ეკონომიკური თვალსაზრისით მიუდგა და ევროპულ სახელმწიფოებს ინდოეთისაკენ გამავალი გზა შესთავაზა. სტატიაში მოხსენიებულია ასევე ქართლის მეფე ვახტანგ VI (1702-1724), რომელმაც ევროპაში სულხან-საბა ორბელიანი წარგზავნა. ქართველმა ელჩმა ვერსალის სასახლეში ინახულა ლუი მე-14, რომის პაპი და სხვანი.

სტატიაში ხაზგასმულია გამორჩეული დეაწლი ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ისა, რომელსაც, ვ. ნოზაძის თქმით, ქვეყნის ევროპულად გარდაქმნა უცდია. 1781-1782 წლებში მას მიუმართავს ვენაში იმპერატორისადმი, პარიზში საფრანგეთის მეფისადმი, სარდინიის, ნეაპოლის, ვენეციის მთავრობებისადმი, რომელთაც იგი ან ჯარით, ან ფულით შემწეობას სთხოვდა და, თავის მხრივ, თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ მოქმედებას აღუთქვამდა. “ოთხი საუკუნის განმავლობაში საქართველოს სამეფონი თავისი თავისუფლების დაცვისათვის და ევროპასთან გადაბმულობისათვის იღვწოდნენ” (მამული 1951: 102), - წერს ვიქტორ ნოზაძე. მისი დასკვნით, თურქების დაპყრობათა შედეგად საქართველო სავსებით მოსწყდა ევროპას, მაჰმადიანურ რეალში ჩაიკეტა და ევროპასთან მისვლის ყოველი ცდა ამაო შეიქმნა.

ვიქტორ ნოზაძის განსაკუთრებული კვლევის საგანია XI-XII საუკუნეები. ქართველი მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მამაკაცის გვერდით და პარალელურად მეთორმეტე საუკუნემ ხელი შეუწყო გამოსახულიყო დედაკაცის იდეალი ”დამ“-ქალბატონის სახით, რომელსაც ტრუბადურები და ტრუგერები უმღეროდნენ. ნოზაძე ჩერდება ევროპულ რაინდობაზე, რომლის ოთხი დამახასიათებელი თვისება ყოფილა: საჭურჭლით (იარაღით) სამსახური, პატივი, ღირსება და პატიოსნება, სასახლური ყოფაქცევა და ქალბატონისადმი სიყვარული.

შუა საუკუნეების ევროპულ-ქართული პარალელების კვლევისათვის უხვ მასალას გვთავაზობს ვიქტორ ნოზაძის “ვეფხისტყაოსნის” “განჩხრეკანი”, რომლის 5 ტომი ავტორის სიცოცხლეში დაიბეჭდა, ასევე, მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო სტატიები თუ გამოუქვეყნებელი ნაშრომები. “ვეფხისტყაოსანი” ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს ერთნაირად გაცქერის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა” (რუსთაველი 1976: 363), - აღნიშნავს ცნობილი ინგლისელი მეცნიერი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი მ. ბაურა წერილში “შთავგონება და პოეზია” და იქვე მიუთითებს: “თუ “ვეფხისტყაოსანს” იმავე საუკუნის აღმოსავლურ და დასავლურ პოეტურ რომანებს შევადარებთ, ბევრ საერთოს ვიპოვით”.

ამავე ტიპოლოგიურ მსგავსებებს განიხილავს ამ ბოლო ხანებამდე უცნობი ვიქტორ ნოზაძის გერმანულენოვანი ნაშრომი “პარალელები ნიბელუნგებსა და ქართულ ეპოსს შორის (პარალელები შუა საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთ ევროპის საკარო პოეზიას შორის)” (“Parallele zwischen Nibelungen und georgischen Epos (Parallele zwischen der hofischen Dichtung der mittelalterlichen Georgien und des westlichen Europas”), რომელიც ქართული ემიგრაციის მუზეუმში, მკვლევრის არქივში ინახება. თხზულება ევროპელი მკითხველისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი და მისთვის ქართული მწერლობის ამ საგანძურის გაცნობას ისახავდა მიზნად.

“როცა საქართველოზე – განსაკუთრებით შუა საუკუნეების საქართველოსა და ქართულ ფეოდალიზმზე საუბრობენ, აუცილებელია, რუსთაველზე შევჩერდეთ” (ნოზაძე 2002: 607), – წერს თხზულების დასაწყისში ავტორი.

მრავლისმთქმელია ვიქტორ ნოზაძის თეზა: “რუსთაველზე მხოლოდ აღმოსავლეთიდან და სპარსეთიდან შესაძლო გავლენით არ უნდა შემოვიფარგლოთ. ჩვენ ასევე რუსთაველზე ანტიკური დასავლეთის შესაძლო გავლენები უნდა გავაანალიზოთ.. უკვე ნიკო მარის თავის ნაშრომში მისი პოეზიის დასავლეთ ევროპის სარაინდო პოეტურ ხელოვნებასთან მსგავსებას მიუთითებდა” (იქვე, 609). ვ. ნოზაძე იმოწმებს ასევე ზურაბ ავალიშვილს, რომელიც ამტკიცებდა, რომ “მიჯნურობის” კოდექსი ტრუბადურებისა და მინეზინგერებისათვის უმცირეს დეტალებამდე კანონის ძალის მქონე იყო. “აქ ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ რუსთაველის პოეზიის არსი დასავლეთთანაა ასიმილირებული და არა ირანულთან”, რადგან “სარაინდო რუსთაველის ნაწარმოებში დასავლეთ და შუა ევროპის სარაინდოს მსგავსი უფროა, ვიდრე სპარსეთის, ან მთლიანად აღმოსავლეთის სარაინდოსი” (იქვე).

სხენებული საკითხის კვლევის თვალსაზრისით საყურადღებოა “პარალელების” ერთი მონაკვეთი: “ფეოდალიზმი საქართველოში”, რომელიც ავლენს რაინდობის თავისებურებებს შუა საუკუნეების ქართულ და ევროპულ სინამდვილეში.

“პარალელებში” ვიქტორ ნოზაძე რაინდობის ინსტიტუტსაც ეხება. მისი თქმით, ეს ცნება (რაინდობა-Ritterschaft) რუსთაველის მერე წარმოიშვა. “ვეფხისტყაოსანში” “მოყმე” “ვასალს” ან “რაინდს” ნიშნავს. “ქართული ფეოდალიზმის ძირითადი იდეა რაინდული ტრადიციაა. “რაინდს” საქართველოში გადატანით ასევე “ყმა” ან “ჭაბუკი” ერქვა” (ნოზაძე 2004: 114).

ვიქტორ ნოზაძე ამგვარად აჯამებს “ვეფხისტყაოსნის” რაინდის თვისებებს: იგი, “ბრძოლისათვის აღჭურვილი, მამაცი, გაბედული და დაუმარცხებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ამავე დროს, კარგი ამხანაგი და ერთგული მეგობარი: მგრძნობიარე, მეგობრული, უხვი და არა მოგების მსურველი. კეთილშობილ რაინდს პატიება უნდა შესძლებოდა და შურისმაძიებელი არ უნდა ყოფილიყო. მას ქვრივები და ობლები უნდა დაეცვა და დახმარებოდა მათ. როგორც ხალხისა და სამშობლოს დამცველი, რაინდი კეთილშობილი უნდა ყოფილიყო” (ნოზაძე 2004: 116).

მკვლევრის დაკვირვებით, **რაინდობის** გაგებას რუსთაველთან და მის თანამედროვე ევროპელებთან ბევრი რამ აქვს საერთო: დიდია მსგავსება საქართველოს ფეოდალური კანონებისა, რომლებსაც რუსთაველი ხატავდა, შუა და დასავლეთ ევროპის იმგვარივე კანონებთან. სინამდვილეში ის უმცირეს დეტალებამდე ურთიერთმსგავსი იყო (იქვე). მკვლევარი ვარაუდობს, რომ ეს, შეიძლება, საქართველოსა და ევროპაზე სპარსულ-არაბული სამყაროს გავლენით აგვეხსნა, თუმცა, მისი ფიქრით, უფრო ზუსტია ის აზრი, რომ საქართველოსა და ევროპას შორის უშუალო კონტაქტები არსებობდა.

“როგორც ფეოდალურ სისტემაში, ისე რუსთაველის პოეტურ წარმოსახვაში, ჩვენ მეტ საერთოს ვპოულობთ შუა საუკუნეების საქართველოსა და ევროპას – განსაკუთრებით, შუა და დასავლეთ ევროპას შორის, ვიდრე საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროს შორის” (იქვე, 117) – წერს ვ. ნოზაძე.

“პარალელები ნიბელუნგებსა და ქართულ ეპოსს შორის (პარალელები შუა საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთ ევროპის საკარო პოეზიას შორის)” დიდ ადგილს უთმობს “ვეფხისტყაოსნისა” და იმავე ეპოქის დასავლეთ ევროპის მწერლობას შორის მიმართებებს. ვიქტორ ნოზაძის დაკვირვებით, “ვეფხისტყაოსნის” ფაბულაში ჩვენ მსოფლიო ლიტერატურის მრავალ ელემენტს ვპოულობთ, რომლებიც როგორც რუსთაველამდე, ისე მის დროს და მოგვიანებით კვლავ აღმოცენდებოდა” (ნოზაძე 2002: 608). რუსთაველის თანამედროვე პოეზიაში სარაინდო სიყვარულის მოტივი, როგორც ძმადნაფიცობის მოტივი, ძალზე გაფართოვდა. ასევე, გამოქვაბულში ცხოვრება ტარიელისა და ასმათისა იმგვარივეა, როგორსაც ჩვენ დასავლეთშიც ვპოულობთ, მაგალითად, ტრისტანისა და იზოლდას შემთხვევაში.

სანამ უშუალოდ შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპულ მწერლობაზე გადავიდოდეს, ვიქტორ ნოზაძე “ვეფხისტყაოსნის” ჰომეროსის პოემებს ადარებს და იმოწმებს პავლე ინგოროყვას აზრს, რომ დიდ ბერძენ პოეტს საქართველოში უკვე XI-XII საუკუნეებში იცნობდნენ (ჩახრუხაძე, თამარ მეფის ისტორიკოსი). ნოზაძის აზრით, ამ ორ ეპოსს შორის ბევრია საერთო: ოდისევსიც და ავთანდილიც სტოვებენ სამშობლოს, საცოლეს (ცოლს), განშორება ორივე შემთხვევაში ხანგრძლივია. ტარიელი აქილევსივით ღამაში და მამაცია, თუმცა ორივენი ძალზე იმპულსურნი არიან. ასევე, ორივე ავტორთან მსგავსია ციხის დალაშქრის მომენტები და სხვ. ავთანდილი მეგობრებს ციხის აღების “ოდისევსურ გეგმას” სთავაზობს. პოემებს შორის მსგავსება თვალსაჩინოა, თუმცა ამ ორ პოეტს შორის 2000 წელია და შინაარსით თუ ეპოქით ორივე ეპოსი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. შესაბამისად, ვ. ნოზაძე მათ შორის დიდ განხვავებასაც ხედავს: მისი აზრით, რუსთაველის გმირები საბოლოოდ თავიანთი გრძნობისა და გონების კარნახით მოქმედებენ, მაშინ, როცა ჰომეროსის პერსონაჟები ღმერთების სურვილს ასრულებენ და მათ ხელში ოდენ მარიონეტებად მოჩანან.

“ვეფხისტყაოსნის” “ტრისტანსა და იზოლდასთან” მსგავსებაზე ჯერ კიდევ კ. ბალმონტი მიუთითებდა. მისი აზრით, ამ ორ თხზულებას შორის საერთოა ვარჯიში შუბის ტყორცნაში, ფარის ჭერაში, მშვილდისრიდან სროლაში, ცხენოსნობაში და სხვ. ტრისტანს ტარიელის მსგავსად სძულს ტყუილი და ერთგულია მიცემული სიტყვისა. გმირებს შორის საერთოა ცხოვრება ტყეში, გარეულ ცხოველებს შორის. ორივე ქალი, ნესტანი და იზოლდა შედარებულია მზესთან და ა.შ.

ვიქტორ ნოზაძე “ვეფხისტყაოსნის” შუა საუკუნეების სხვა ცნობილ დასავლეთ ევროპულ ნიმუშებსაც ადარებს, კერძოდ, ესპანურ სარაინდო ეპოსს “El Cid”-ს, რომლის რეალური გმირი XI საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა. მის შესახებ თავდაპირველად ლათინურ ენაზე, ტრადიციული, ანტიკური სტილით შექმნილა პოემა, XII საუკუნეში კი შეუთხზავთ 744 სტროფიანი პოეტური ტექსტი “Epos del Cid,” რომლის ენაც ჯერ კიდევ არ ყოფილა საბოლოოდ დახვეწილი. მოგვიანებით ამავე თემაზე 200 ესპანური სიმღერა დაწერილა. ამ თქმულების სიუჟეტი ესპანეთში ძალზე პოპულარული გახლდათ, თუმცა, ნოზაძე თვლის, რომ რუსთაველის ეპოსის გავლენა საქართველოში კიდევ უფრო აღმატებული იყო.

მკვლევარი იხსენებს XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში შექმნილ “Chanson de Roland”-ს, კრეტიენ დე ტრუას “Perceval li Gallois”-ს, ვოლფრამ ფონ ეშენბახის “Parcival”-ს, შუა საუკუნეების უდიდეს ეპიკოსს გოტფრიდ ფონ შტრასბურგს, ასევე, XII საუკუნის გერმანელ პოეტებს: ვოლფრამ ფონ ეშენბახს, ჰარტმან ფონ დერ აუეს, ვანდერ ფონ დერ ფოგელვაიდეს.

“პარალელებში” ცალკე თავადაა გამოყოფილი “რუსთაველი და “ნიბელუნგების სიმღერა”, სადაც მითითებულია, რომ “ნიბელუნგების სიმღერა” მე-12 საუკუნის დასასრულს ან მე-13 საუკუნის დასაწყისში ზემო გერმანულად დაიწერა. ვიქტორ ნოზაძეს

მოჰყავს ეპოსის პირველი ოთხი სტროფი და უთითებს მათ მსგავსებას “ვეფხისტყაოსნის” პროლოგთან.

რუსთაველის მსოფლმხედველობაზე მსჯელობისას ნოზაძე ამტკიცებს, რომ შეუძლებელია, რუსთაველზე გავლენა არ მოეხდინა ევროპას, ძირითადად დასავლეთ და შუა ევროპას.

თუმცა, ამავე დროს, ცნობილი რუსთაველოლოგი რუსთაველის პოემის ორიგინალობის აქტიური დამცველია: “ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობა შორს არის ყოველგვარი შეზავებისაგან, სხვადასხვა მსოფლჭვრეტათა შერევისაგან. ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობა არის ერთიანი და მთლიანი; ვეფხისტყაოსნის საზოგადოების მსოფლჭვრეტა არის ხატი ქართული განათლებული საზოგადოების მსოფლმხედველობისა. ამის უარყოფა ვეფხისტყაოსნისა და ქართული საზოგადოების კულტურის უარყოფა და არცოდნა იქნებოდა” (ნოზაძე 1963: 35).

რუსთაველის “ვეფხისტყაოსნისა” და შუა საუკუნეების ევროპული კულტურულ-ესთეტიკური სივრცის ტიპოლოგიურ მიმართებებს იკვლევს ვიქტორ ნოზაძის სხვა თხზულებებიც. მათ შორისაა ხელნაწერის სახით შემონახული დაუსრულებელი თხზულება “შენიერების თეორიები”, რომელიც რუსთაველის ეპოქის მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ესთეტიკას იკვლევს. მისი მონაკვეთი, რომელსაც “სილამაზე დასავლეთში” ჰქვია, წარმოადგენს XII-XIV საუკუნეების ესთეტიკურ იდეალს საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში და სხვ.

ვფიქრობთ, განსაკუთრებული მიზნით უნდა ეთარგმნა მკვლევარს მის არქივში დაცული XII-XIV საუკუნეების 15 ფრანგული და 2 იტალიური მხატვრული ტექსტი საერთო სათაურით “დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების მწერლობა”.

ვიქტორ ნოზაძის არგუმენტირებული, დასაბუთებული დაკვირვებანი ქართულ-ევროპულ კულტურულ-ისტორიულ სივრცეთა თანხვედრის დამაფიქრებელ დიალექტიკას დამაჯერებელ ელფერს ანიჭებს.

დამოწმებანი:

1. **მჭედლიშვილი 2008:** მჭედლიშვილი ი. ევროპული გზასაყარი და “ინდივიდუალურ სამყაროთა” შეხვედრა. – კრებულში: “ევროპული კულტურის ორი საფუძველი: *vita contemplativa* და *vita activa*.” – თბილისი: 2008.
2. **ნოზაძე 1951:** ნოზაძე ვ. საქართველო და ევროპა. – ჟ. “მამული”, ბუენოს-აირესი, 1951.
3. **ნოზაძე 1963:** ნოზაძე ვ. ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963.
4. **ნოზაძე 1976:** ნოზაძე ვ. ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება, პარიზი, 1976.
5. **ნოზაძე 2002:** ნოზაძე ვ. პარალელები “ნიბელუნგებსა” და ქართულ ეპოსს შორის (გერმანული ენიდან თარგმნა მ. კვატაიაძე). – “ლიტერატურული ძიებანი”, 2002.
6. **ნოზაძე 2004:** ნოზაძე ვ. ფეოდალიზმი საქართველოში (გერმანული ენიდან თარგმნა მ. კვატაიაძე). – კრებულში: “სული, მარად საქართველოზე მაფიქრალი”. თბილისი: 2004.
7. **რუსთაველი 1976:** რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, 1. თბილისი: 1976.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

ბეწვის ხიდზე



ჩვენ, თვითოეული მკითხველი, თუ გნებავთ ავტორი, ათასგვარი მიზან-ხედვით უბრალოდ ვისმენთ სიტყვას – რედაქტორი. მაგრამ თუ ვინმე ჩამეკითხება დაკვირვებაც არ სჭირდება, რომ იგი ბეწვის ის ხიდია, რომლის დროსაც არასწორი სიტყვა-ნაბიჯი გამორიცხვლია, რათა ნებით თუ უნებლიედ არ ჩავარდეთ თანამედროვედ გაწაფულ მოენეთა კალამ-ყბაში, მითუმეტეს ამ ყოველ სფეროში საყოველთაოდ განვითარებულ საუკუნეში.

აქ ერთიჯაა საინტერესო. ვერ განვსაზღვრავ ვინ რა ალტერნატიული დოგმა-კრიტიკიუმით მიუდგებ-ჩაუსხედება ჩემს ნათქვამ-ნაფიქრს, როცა მგონია, რომ სათქმელი უკვე ითქვა, დასაწერი დაიწერა და ახლა მხოლოდ უკვე ნათქვამს

ზოგჯერ ლამის ჩვენეულადღა თუ ვიმეორებთ. განა ასე არაა? განა ასე იოლია იმ გენიოსთა; შოთას, ვაჟას, ილიას, აკაკის, დუმბაძის, ბაღვაშის, სანიკიძის, ფანჯიკიძის, ჯეკ ლონდონის, ამირეჯიბის, სულხან-საბას, შექსპირის, გამსახურდიას, გოეთეს, გოთუას, გრანელის, გალაკტიონის, ედგარ პოს, ცვაივის, კონან დოილის, დიუმას, პიუგოს, სტენდალის, პუშკინის, იეთიმის და მრავალი სხვა მისთანების შემდეგ კალმის აღება? მითუმეტეს რედაქტირებისთვის? ეს კიდევ რომ მეშლებოდეს და ასე არც იყოს, ასეთ ბეწვის ხიდზე სიარული ხომ საპატიოა, პასუხსაგებია ისტორიის წინ, მითუმეტეს ამ დიდ კომპიუტერულ ქსელ-ქაოსში.

ღიას, ამ ფონზეა მისასაღმებელი, გნებავთ, საამებელ-საღბუნებელი ჟურნალ „ათინათის“, ამ წონით და ამ დონით, ასე ინდივიდუალურ-შორსმჭვრეტელური სახით გამოცემა. განსაკუთრებით როგორცაა მისი ბოლო ნომერი მრავალფეროვანი, აქტუალურ-ინტელექტუალური, კანონზომიერად მაღალმხატვრულ-მაღალმეცნიერული და სწორედაც მხატვრულ ნაწარმოებთა ამ უძირო, უსასრულო ბუმის ფონზე გამოცემული.

ასეთი ფონით, პომპეზური, ნატიფი იერსახით, მხოლოდდამხოლოდ ასეთ ლამაზხედვიან ჯ. ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს, „მშვიდობის ვარსკვლავისა“, „მშვიდობის დროშის“, სამკერდე ნიშნის მფლობელს ჟურნალ „ათინათის“ მთავარ რედაქტორს, ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებულ ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს შეეძლო და თანაც ჟურნალისათვის ჭეშმარიტად პოეტური, მუსიკალური, შუქმფრქვეველი, შინაარსმეტყველი სახელი „ათინათი“ ეწოდებინა, რომელიც სწორედ რომ ტელეპატურ სხივივითაა შემოჭვრეტილი ჩვენს დღევანდელ ყოფა-ცხოვრებაში.

ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებულ რეცენზიაში „ღმერთს და კაცს შუამავალი“, ვკითხულობთ: „სახარეს სასკორავზე ეტყობაო“, ჩვენს „ათინათს“ ზედ შუბლზე ახატია ემელიანე (რეზო) ადამიას შეუდარებელი ქმნილება, წმინდა ნინოს უკვდავ-უსპეტაკესი სახე – წმინდა ნინოს ხატი, რის გამოც ჟურნალის ხელში აღებისთანავე გეუფლება, მისდამი მოკრძალება და მის წინ სათნოებით დაჩოქების სურვილი“. და რადგან „თვალი სვამს და თვალი სჭამსო“, ამჯერად ათგზის და ასგზის გეუფლება ამ წმინდა მამა-პაპური რიტუალის შეგრძნება, რადგან ყდის მეორე გვერდზე სასწაულმოქმედი, ყოვლად მოწყაღე და სამართლიანი, ლეგენდა-ღმერთკაცის სურათი გნუსხავს. ვისი არსობაც დაბადებიდან დღემდის გონების, სხეულის, სულის კონტროლს ექვემდებარება, ვინც სულიერად ამტკიცებს ჩვენს ქრისტიანულ, სათაყვანებელ ერს, ვისაც 2010 წლის 21 დეკემბერს სინოდის სხდომაზე სრულიად საქართველომ ტიტულატურა შემდეგნაირად განუსაზღვრა: უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის. ვისი თითების მომაჯადოებელ მოძრაობას ანუ ოდინდელ მამა-პაპურ პირჯვრის სახვას, მთელი ერი ისევე ემორჩილება, როგორც უდიდესი აუდიტორიის წინ, სცენაზე გამოსულ მუსიკოსთა ჯგუფი თავისი დირიჟორის ხელ-მოძრაობას.

შესაფერისი სარკაზმულობითა თუ იმ უშურველ-ეტალონური შრომით, რომ ქალბატონი გულნაზი იქაა, სადაც საზოგადოებრივი მოვლენების პროცეს-სპექტრია; აკადემიებში, ზოგადად საგანმანათლებლო სკოლებში, რიგით პიროვნებებთან, შემოქმედებით მოღვაწეებთან, სახელმწიფო მოღვაწეებთან და საერთოდ ყველგან, სადაც ადამიანური, დღევანდელი, სამშობლოს ტკივილ-განსაცდელ-სიხარულია, ჟურნალი „ათინათი“, ესთეტიკურ თუ შინაარსობლივი თვალსაზრისით 21-ე საუკუნის დასაწყისში, ქვეყანაში გამოცემულ თითქმის ყველა ჟურნალთა შორის, აღიარებულ, ყოველად საუკეთესო სახე-ნიმუშად იქცა, რაც გარანტიაა ჭეშმარიტად მისი შემდგომ ისტორიულ საუნჯედ არსობისა.

მიმდინარე წლის 2 იანვარს 80 წლის უწმინდესის რეზიდენციაში იყო მიწვეული (ფაზისის საერო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, სასიქადულო მამულიშვილის ბატონ ნუგზარ ნადარაიას თაოსნობით) სამების სახელობის საკათედრო ტაძარში, სადაც პატრიარქს წაუკითხა მისდამი მიძღვნილი აკროსტიქში შესრულებული ლექსი: „მინდა კალმით შენ... გიგალობო უნეტარესო“, რითაც მსოფლიო მნიშვნელობის ამ ბუმბერაზი, რჩეული, ფავორიტი პიროვნების სამუდამო სამახსოვრო ღოცვა-კურთხევა და წიგნი-სახუქარი დაიმსახურა.

უწმინდესის დაბადების დღესთან დაკავშირებით, ჟურნალის პირველსავე ფურცლებზე გამოქვეყნებულია მისდამი მიძღვნილი კვალიფიციური, თბილშინაარსიანი ლექსები. აი რას ბრძანებს ბატონი მირიან იორამაშვილი ლექს-ექსპრომტში „შენი სიცოცხლე ერს უხარია“: „...თუ საქართველო წმინდა ჯვარია, – ნატრობ სამოთხის კართან იყოსო... შენი სიცოცხლე ერს უხარია, მრავალჟამიერ, კათალიკოსო!“ ხოლო საქართველოს მწერალთა კავშირის თავჯდომარე მაყვალა გონაშვილი ლექსში „სიყვარულის მასწავლებლო“, პატრიარქს ასე უგალობს: „მადლობა უფალს, თქვენ მოგანდოთ ბედი ქართლისა ღოცვით და ცრემლით აგივსიათ სიბრძნის საღარო, რადგან თქვენ მყავხართ, მზის ნათელი ადგას ჩემს მამულს სამოციქულო ეკლესიის მამამთავარო“, „...ჟამს სიძულვილის, თქვენ სიკეთის გვასწავლით ანბანს, გიყვარდეთ მტერი, ნუგეში ეც მგლოვიარესო, შენ გზას მივყვებით სიყვარულის მასწავლებლო, ერის მოძღვარო, უწმინდესო უნეტარესო“, ამ ლექსთა გვერდითაა გამოქვეყნებული ნუნუკა გურალიას, მანანა დანგაძის, ტარიელ ხარხელაურის, ლამზირა შეყილაძის, თამარ ჯაჭვაძის და სხვა ცნობილ პოეტთა ლექსები.

პატრიარქისადმი მიძღვნილი ლექსების შემდეგ, ჟურნალში გამოქვეყნებულია თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტის, მეუფე თადეოზისადმი მიძღვნილი დავით შემოქმედელის („რას მეტყვი მამავ, ვერ დავამთავრე წუთისოფელთან ჩემი წანწალი“), ლამზირა შეყილაძის, მანანა დანგაძის მაღალმხატვრული, მაღალზნეობრივი, გამორჩეული ლექსები.

მხატვრულ განყოფილებაში ვკითხულობთ რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის რვასურათიან პიესას: „არ შეშინდე“, პანტომიმის თეატრისათვის განკუთვნილს, ჟურნალისტ მაია ბუიღლიშვილის „ჰეგემონის ქორწილი“, რომელიც ცისკიდურელი მეგობრის თეიმურაზ შაქარაშვილისადმი აქვს მიძღვნილი, ლიკა ოხანაშვილის „დაბადება“, გვანცა ხარაიშვილის „მე ზამთარი შემიყვარდა“ და ა.შ.

ქართველებს ისტორიამ მრავალ მორწმუნეთა და თავდადებულთა მითიური სახელები შემოგვინახა; მამა ამბროსი, წმინდა თევდორე კეთილი, მელქისედეკ პირველი, ზოსიმე მეორე, ილარიონ ქართველი, ექვთიმე თაყაიშვილი, კირიონ მეორე და სხვანი. ასეთ დიდ წმინდასახელიან წინაპართა მემკვიდრეს რაღა უნდა მიკვირდეს, მაგრამ საამებელია, როცა ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი ახამებს ჟურნალში ისეთი ადამიანების შემოქმედებას, რომლებიც ისეც ღვთისგან ჩენილნი არიან და რომლებიც თანამედროვეობის შუქურას წარმოადგენენ. მაგალითად კი... იგი ავტორის სათანადო ფოტო-სურათთან ერთად გვაცნობს ულამაზესი კუთხის, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტის, მეუფე თადეოზის, მაღალმხატვრულ, ბრძნულ, პოეზიის კლასიკურ, ფანტასტიკურ ნიმუშებს, როგორცაა: „ღოცვა მუხლმოყრით“, „და სიზმარშიაც დარჩები წმინდა“, „ქვეყნად კეთილი აკი იცოდი“, „ღვთისკურთხეულო ვენახო“, „მცხეთის ჯვარი“, „იყვნენ მსახურნი ჭეშმარიტების“, „ჩემო წმინდა ხატო“, „და დაამშვენე ესე აწმყო“, „იოანე ნათლისმცემელისადმი“, „წმინდა გიორგისადმი“, „ზედაზენს მთვარე ანათებს“, „იქ არ შეხვდები შურსა და დალატს“, „მტრედი“, „სვეტიცხოველი“ და სხვები. კითხულობ ლექსთა გაცისკროვნებულ სათაურებს და გგონია უკვე ღრმაშინაარსიან საქართველოს

ისტორიაზე დაწერილ დიდ პოემას ვკითხულობო, მაგრამ აქ სულ სხვაა მთავარი და აუცილებელი სათქმელი. პირველსავე გვერდზე გამოქვეყნებული მეუფის ლექსი შედევრი „ეკლესია ქართული,“ ვფიქრობ უახლოეს მომავალში ქართული სკოლების სასწავლო ლექსადაც მოიაზრება, რომლის დასაწყისში ვკითხულობთ: „უფლის მშვენიერება გზა მძიმე და რა რთული, რამდენგვარ მტერს ერევა ეკლესია ქართული“...

აღვწერ ასეთ ავტორთა ძიებაში გართულ ქალბატონ გულნაზის საერო, სასიქადულო საქმიანობას და ალაღბედად მახსენდება მისდამი აწ გარდაცვლილი გიზო ჭელიძის ემოციური, დიდსათქმელიანი ლექსის სტრიქონები: „ცდილობ ზეცაში ვარსკვლავთა კრეფას, წმინდაა შენი ქალის მანდილი“... რომლის დასასრულ ამბობს: „გულში გისუტებ ქალს გულმადლიანს შენ და კი არა, ძმაი ხარ ჩემი“.

პოეზია მზის ჯადოსნური ატომის ის ათინათია, რომელმაც მარტო კი არ უნდა გაასხივოს წყვილიად, არამედ მათემატიკური სიზუსტით უნდა შეაღწიოს მკითხველის გულში და მისი მწველი სხივებისთვის თვალიც უნდა გაასწორებინოს.

ქ. გულნაზის მიერ ჟურნალის მომდევნო სამკაულ-სამშვენის ექსტ-ატრიბუტად შესამებული აქვს აბსოლუტურ უმშვენიერეს სურათთან ერთად საქვეყნოდ აღიარებული პოეტის მაყვალა გონაშვილის სწორედ ასეთი მწველი, ჯადოსნურსტრიქონიანი ლექსები: „ვალი“, „ხიდი“, „ვის უნდა მოიგოს 20 ათასი“, და სხვები, რომლის სტრიქონები შეიძლება ერთი წაკითხვით ზეპირადაც დაგახსოვდეს: „...ჭრილობა გახსნილია და გველის ამბორი, არ მშველის წამლად და მალამოდ, უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო ჩემო დაფლეთილო ალამო“... „სანამდის ვახაროთ ჩვენს ბაღში ეკალი, მტრის კარზე ვარდი და პირიმზე? რა ვუთხრა ჩემს შვილებს, რა თვალთ შევხედო? ან მკვდრებთან რა პირით მივიდე?“

პოეზია ოკეანის ის სიღრმეა, რომლის ფსკერზე ჩაძირული ზეცამდის მხოლოდ ფრთის კამართლა აღწევს. საქვეყნოდ ცნობილი ტარიელ ხარხელაურის ლექსები, რომლებზეც, ხალხი კარგა ხანია მღერიან, ზეცამდის სწორედ ამ ფრთითაა მიღწეული. ამჯერად ჟურნალში მისთვის დათმობილ გვერდზე ასეთ ლექსებთან ერთად სურათიცაა მოთავსებული, საიდანაც იგი გონიერი, ჩაფიქრებული სახით გვიცქერის... სტრიქონებით კი ისევ და ისევ მისეულ მჭევრმეტყველებით გვახსენებს ისეც არასოდეს დავიწყებულ სამშობლოს კვლავ და კვლავ სიყვარულს: „...სამშობლო მტკივა – სამშობლო – უფლის მუხლთა სასვენნი“. აღიარებული პოეტი სათქმელს პატრიოტულ ლექსებთან ერთად ტრადიციულად გულგახსნილი, ჩვეული სატრფიალო ღირიკული ლექსებით ასრულებს: „...ადარ მწყურისხარ როგორც მამრს მდედრი, ადარ მინდიხარ როგორც კაცს ქალი“...

პოეზია ცეცხლის წვიმის ის წვეთებია, რომლის, ადამიანის გულამდის დაპკურება ავტორმა უკომპასოდ უნდა შეიძლოს. სწორედ ასეთმა დაპკურებამ გამოიწვია ჟურნალში ჟრუანტელის მოგვრის გარეშე რომ ვერ წაიკითხავთ პოეტ მანანა დანგაძის სტრიქონებს: „...ღმერთმა მომცა დიდებული ფიროსმანი, მე კი ვერცკი შევეუნახე საფლავი“... ან კიდევ: „...ამაყი და თავმომწონე საქართველო, დღეს ვეროპის გამონაცვალს იზომავს“... ერთი დიდი წიგნის შემცველია შემდეგი სტრიქონები: „...ვაი მე! საქართველო გამიყიდეს, ვაი მე! წამბილწეს დედა ენა“... არ მომწონს მეტისმეტად ღრმად ავტორის სულში ძრომიად ხელის ფათური, ღმერთმა უწყის ნაგრძნობია, შეთხზულია თუ ორივე ერთად (მითუმეტეს ბრჭყალებში ჩასმული) შემდეგი სტრიქონები, მაგრამ იმას კი ბეჭედდასმით ვადასტურებ, რომ ისინი ცეცხლის მართლაც წვიმაშია გამოვლილნი: „...იქ სადაც სიტყვა „მძულხარ“ წამომცდა – ყველგან „მიყვარხარ“ მინდოდა მეთქვა“.

პოეზია სამრეკლოა, სადაც ხმაც და დედოზარიც ავტორია, სადაც ლექსის სიღრმე-სიმაღლე ხმის სიმაღლით იზომება. აქ ყველა ოცნება სრულდება, როგორც მფრინავ ხალხიაზე. ამჯერად თუ არ გავითვალისწინებთ მისივე სურათიდან ლომური იერსახით მაცქერალ დავით ტიგინაშვილის მეფურ, მბრძანებლურ იერსახეს და მის ვრცელ, სხარტნათქვამა პატრიოტულ ლექსებს, სამრეკლოდ სულ ერთადერთი სტროფიც კი ეყოფა მის სამშობლოს მოსიყვარულე პოეტად აღიარებას: „...ბრძოლაში გამოზრდილი ვარ, გამოდი არ დაახანო, მკლავი შამახმეს მარჯვენა, თუ ჩემს მიწაზე გახარო“... ხოლო შემდეგი სტრიქონები მისი ლექსის წერის ანუ ღრმა პოეტური ხედვის გონივრულ, ჯადოსნურ, მდიდარ ფანტაზიაზე დალადებს: „...ღმერთმა ყველას გაუმარჯოს, ვინც რა წაიხაღია, მე კალამი მერგო წილად და მფრინავი ხალხია“... „...დედას გიტირებ ცხოვრებავ, განი მომეცით მთა-გორო, კამათელი ხომ არა ვარ, დუ-მაშზე გადამაგორო“!

ამ მოკლე სარეცენდენტო თქმაში ვერ გამოვტოვებ ლად უმშვენირეს სტრიქონებს: „ძალი ვიყო ღვინის გარდა თუ ვიცოდე რა მინდა“.

პოეზია ის ზღაპრული სახელმწიფოა, სადაც მეფესაც და ნაზირ-ვეზირსაც ერთი ტიტულატურა გააჩნიათ – პოეტი. ამჯერად ამ ტიტულს, მხოლოდ ემატება ის, რომ ვაჟა აქიმიშვილი უკვდავი იეთიმივით – სიყვარულის პოეტია. რომელსაც იგი ასე ხალასი, საღალღობო ენით უგალობს: „...სხვისკენ რომ არ გაგახედებს, ოცნებას რომ თვალში აქსოვს, მწვერვალებისკენ რომ გვიწვევს, იმ სიყვარულს გაუმარჯოს.“

პოეზია ის უზენაეს-უნეტარესი მოძღვარია, რომელიც მალვა-ფარვა-შენახვით კი არა, რაც მეტი ადამიანის გულ-ყურამდის მიიტანს გრძნობა-კალმით ჩაბარებულ-გამხელილ ფიქრიან აღსარებას, მით მეტად უშუშებს თავის აღმსარებელს ტკივილებს. ასე გადმოიცრემლა ჩემს გულამდის პოეტ თამაზ („უსახელო“) ცაბუტაშვილის, ადამიანის დასაფლავებით პირველად გამოწვეული მწვავე, სევდიანი საფიქრალი: „...იმ დღით ექვსისა გავხდი, იმ დღით დავკაცდი მამი“. ბუნების უღვთო კანონით გულშეძრულ-დაფიქრებული უკვე გარდაცვლილ დედაზე სევდა-სიმწარით წერს: „...სოფლიდან მოვა დეპეშა მოკლე, სული დალია გუშინ“. სააქაო-საიქიოს უმძიმესი ტკივილის სწორმხედველი ამბობს (მოძღვართან): „...მიყვები ბილიკს რომელსაც უკან, აგვატატავენს მეგობრის ხელი, რადგან ამ სოფლის ეზოც და შეუკაც, ახალ მეზობლის ფანჯარას ელის“. გამორჩეული დათანხმებული ლექსიკა აქვს ბატონ თამაზის სტრიქონთა საქარგ-სამშვენებლად: „ბიბილების მოფანტელებით“, „შენამ-ნაზებით“, „შემარგალიტდა“, „ასურნელებით“, „მაცდურად წკურავს“, „სხივარეკლილი“, „პაწაწინა თათუნებით“, „ამრემდა“, „ლექსებით ტატავს“, „ნოემბრული აცივქარება“, „ბაბანებს მთვარე“, „სიზმრული“, „დარდის კუნძული“, „შენაზება“, „თეფშის კიდეზე“, „მოთათუნება“, „მემაწვნის არია“, „სიტყვის ყაისნადიდან“, „ტურულ ინსტიქტს“, „აუკრეს ღრანჭი“, „შესუნდული გაენძელება“, „დედილა“, „პროტესტის ბორცვად“. „გადახრილ პინას“, „ჰფატავდა“, „ღვინო კრიალებს“, „მოშარიშურე“ და... „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა“. შეუძლებელია ასეთ მარგალიტ, ნაქარგ, სიტყვათშეხამების ჩამოთვლა...

მგონია, ბატონ ვაჟა დოღბაიას („ეგრისელის“) შემოქმედების სრულფასოვანი შეფასება (ამ ორიოდ სიტყვაში კი არა) ერთდროულად რამოდენიმე ძლიერი რეცენზენტის ბასრ კალამსაც კი გაუჭირდება... მას მეფე პოეტთანაც აიგივებენ...

უზარმაზარი, გალაქტიკის ტოლფასია მისი პოეტური, გენიალური ხედვა-ფანტაზია: რომ არ დაემხოს სამყარო

თავზე,

მთებს,

მზე ჰყავთ თავმდებად,

ცა ვარსკვლავებით ირწყვება

თქვენ თუ გგონიათ ჩემი გზა

იმ მცირე ბორცვთან თავდება

არა!

იქიდან იწყება...

პოეზია ის გალაქტიკაა, სადაც პილოტიც და ატმოსფეროც თავად ხარ. აქ დაშვება კი არა თავად მკითხველს უნდა აგრძნობინო თავი ზეციურ, კოლოსალურ, ფილოსოფიურ ლაჟვარდებში. სწორედ ასეთ ფილოსოფიაზე საუბრობენ პოეტ მედია მჭედლიშვილის სულიერებით დატვირთული ლექსები, რის დასადასტურებლადაც მისი ერთადერთი სტროფიც საკმარისია: „...და იმ დღიდან ვგრძნობ, რომ იმედად ყველგან დამყვება მე მისი სახე, და მსურს ქვეყანას ხმამაღლა ვამცნო, რომ ღვთისმშობელი პირადად ვნახე“.

პოეზია ის მრავალვაგონიანი მატარებელია, რომლის რელსები მიწაზეა, გზა-სავალი კი ცამდია. თუმცა ამ კოლოსალურ სავალზე ფიქრი უჭირს და აკრთობს კი არა, ერთგვარ სიამე-სილაღესაც კი ჰგვრის ახალგაზრდა პოეტს კახა ბაციკაძეს და ვინ იცის, იქნებ თავისი „მატარებლის“ სვლას, ტატოს „მერანის“ სვლასთან ასოცირებს კიდევ, რადგან მის გაბედულ, ღრმა პოეტური ემოციით დატვირთულ ლექსებს „ტერენტი გრანელი“, „პოეტური გრძნობა“, ერთი შეხედვით თითქოს „მერანთან“ მართლაც აზრობრივად არც არაფერი გააჩნიათ საერთო, მაგრამ სულ მცირე ელემენტალური ჩაკვირვებაც დაგვანახებს, რომ ისინი თითქმის ერთი ხელითაც კი არიან დაწერილნი.

(არა, აქ პლაგიატობაზე სიტყვის დაღამუნება კი არა, გულში გაფიქრებას ვინ გაბედავს, მაგრამ) ფაქტი ჯიუტ ფაქტად რჩება, რომ ამ ორი ავტორის ლექსებს საერთოდ – (პოეზიის ეტლის) და გასაყოფელიც გარდა მათ შორის არსებული ორი საუკუნის დროისა, მართლაც ბევრი რამ გააჩინათ; წერის ერთი მანერა, სტრიქონთა აზრობრივი მონათესაობა, ერთნაირი პოეტური დაუცხრომლობა, ლექსის წერის სილაღე, მთლიანობაში აზრთა გადახვევ-გადმოუხვევლობა, ანუ თავიდან ბოლომდე ერთი ამოსუნთქვით წერა, ქედმაღალ-გოროზობა, ხილული თუ უხილავი პოეტური მდიდარი ძველი თუ ახალი ქართული ენის ლექსიკის სიმთა თანაფარდობა, ლექსის წერის სატყვისი ამოცანის ამოსხნის ერთნაირი აზრობრივი ტაქტიკური მეთოდი – გეზ-ილეთი, მყისიერად დარახტულ-ნააზრევი სტრიქონები, აზრთა ლაღ-უხენაესობა სიტყვაკაზმულობა და უამრავი სხვა შემეცნებითი რამ...

ლექსები ცნობილნი არიან, ერთი – როგორც ადრეული, გამობრძმედილი, გენიალური, მეორენი „ახალშობილნი“, საყვარელნი, სანიმუშონი, სასწავლონი. ორივე ერთი პოეტური რჯულით, ხედვა-სარწმუნოებთ (თუმცა არა თვითმიზნურად) მონათლულნი. ჩემგან წერის ჟინის კვლა რომ არავის ეგონოს კონკრეტულ, ლოგიკურ არგუმენტებს მოვიშველიებ: „და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი“, და „საგნებს ყველაფერს დაასველებს ჩემი პოეზიის საბრალო სევდა“. თუ ერთისთვის შავად მღელვარი ფიქრი ნიავისთვისა მისაცემი, მეორისთვის საბრალო სევდა ასველებს ყველაფერს. აქ მონათესავეა ფიქრი მღელვარი და საბრალო სევდა.

„და გზა უგალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“. და „რა დარჩება პოეზიის გარდა!“ თუ ერთისთვის მერანის თელილი გზა მაინც რჩება, მეორესთვის არაფერი რჩება პოეზიის გარდა. აქაც მერანის თელილი გზა და პოეზიის დასარჩენი გზაა პოეტური აზროვნების მონათესავე-შეფარდება.

„ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი“, და „მე მარტო ვარ და ვერ ვტოვებ საყდარს“, ორივე სტრიქონში ღიად, თვალხილულად ფიზიკურ მარტობაზეა საუბარი.

„მირბის მიმაფრენს უგზო უკვლოდ ჩემი მერანი“ და „გზა ცხოვრების ნეტავ საით მიდის“, აქაც ერთს თუ უგზო უკვლოდ სიარული, მეორეს ცხოვრების გზის შემდგომი მიმართულების ამოუცნობლობა აწუხებს. ამ ფილოსოფიურ შედარებ-ნათქვამში გამოდის ფაქტობრივად ავტორებს მომავალი ცხოვრების გზა ერთნაირად აფიქრ-აწუხებთ, რაც იმ საუკუნის თუ ამ საუკუნის უტყუარი ზოგადსაკაცობრიო ტკივილ-საწუხარია, თუ რას მოუტანს ერს თუ ბერს ყოველი მომდევნო გამოუცნობი წუთი ამ მართლაც უგზო უკვლოდ ცხოვრების ანუ კატაკლიზმებით აღსავსე წუთისოფლის ორომტრიალში...

კახა ბაციკაძის ლექსები ჟურნალის აღნიშნულ ნომერშია გამოქვეყნებული.

როგორც მინდორში გაზაფხულზე ახლად აბიბინებულ მწვანედ მოსარკულ ბალახზე მაშხალასავით წითელ-აცეცხლებული ყაყაჩოები, ან ტყე-პარკებში ლოყადიცილიცა ყოჩივარდები, ისე მოსჭვივის მთელ ჟურნალში პოეტ სერგი ლომაძის – პროფესიონალური, საგვირგვინო ლექსები. ეს კონკრეტული სტრიქონები მის ღრმა პოეტურ, მდიდარ ფილოსოფიურ ხედვაზე დაღადებენ: „...აღბათ დამივიწყებენ, მე დამივიწყებენ, ჩემი უკვდავება დავიწყებაშია“.

პოეზია სამი „ჩ“ კი არაა, – „ჩემი ჩუმი ჩანაფიქრი“, – ჩანგია ჩუმი ჩაფერფლის ნაცვლად საქვეყნოდ რომ ააწკრივებს შენს გალობას, ასე საქვეყნო სასმენი გახადა პოეტ ლამზირა შეყილაძის ტკბილსიტყვახედვიანხავერდოვანი, მირონცხებული, ოქროსგარაყიანი შემოქმედება: „...მამაო ღმერთო! ერთობ დიადო, რა საოცარი შეჰქმენ სამყარო, ისე წარმტაცი და მიმზიდველი მუდამ თვალებით მინდა ვატარო“...

პოეზია ის განძია, რომლის გულში პოეტმა მკითხველი მარტო კი არ უნდა ჩაახედოს, არამედ საგზლად თანაც უნდა გაატანოს იგი. პოეტი თინათინ ხაბურზანია სწორედ ასეთ მდიდრულ სტრიქონებში ახედებს მკითხველს: „ლექსად ამოთქმულო, სისხლით დაწერილო, ოფლით მოწეულო, ღვინით დაფერილო, ნისლმოყრილო მთებო ქედებდაგრეხილნო, კლდენო სიდიადით ზეცად აწვდენილნო“.

ხელით შეხება, მოფერება მოგინდება (ამაგის გამო), როცა ჟურნალის ერთ-ერთ გვერდზე გულნახ ხარაიშვილის მოკრძალებულ ფერებში გადაღებულ სურათს ნახავთ. სხვის ლექსთა მომძიებელ-მომფერებელ-შემფასებელ-მაქებარი, მაღლიანი ქაღბატონი თითქოსდა გვიმტკიცებს, თუ რატომ უყვარს ისინი. პასუხი ინკოგნიტოდ რომ არ დარჩეს თავადაა უმშვენიერეს-გამობრძმედილი ლექსმწერი, ამიტომაც ესათუთება სხვათა

შემოქმედებას. სწამს რომ პოეზია სულიერია, საუკუნიდან საუკუნეში დააბიჯებს და მილიარდობით ადამიანთა გულებში ლეგენდებად ბალადებად სახლობს, ბინადრობს.

ქ. გულნაზისნაირთ ორი ცხოვრება გააჩნიათ. ერთი რაც ყველას ბუნებრივი, მიწიერი, მეორე – სტრიქონ-ათინათის ლაბირინთში, სამღვთო, ზეციური, ემოციური, მსოფლიო აზროვნების საგანძურის საფერ-სადარი:

„ვეძებ იმედებს, ვხეტიალობ სევდის ყანებში
სუსხმა და ქარმა დამიღვეწა ხეთა ტოტები,
დაძრწის მგლის ხროვა ნასახლარებს იქცევს ბრჭყალებში
ზეცავ, ტკივილით უბედობით დაგეტოლები.
(„სამშობლოს დარდი“)

ადამიანებს, ბუნებრივია, ნებისმიერი ტკივილი წამიერად თავს გვავიწყებს და მშვიდ, ნებიერ ყოფისკენ გეკაჩავს. მაგრამ ასეთი ტკივილიანი, გულის მღრღნელი სტრიქონები თავს მარად გვახსენებს, მითუმეტეს თუ ავტორი ხვაშიადს ისევ და ისევ ზეციურ ძალებს უმხელს:

„ერთ საწუხარში ჩაგვყარა მტერმა
ცხარე კოცონი სისხლით დაანთო,
სუფთა ჰაერი მოწამლა მტვერმა
მინდა ტკივილი ღმერთებს გაგანდო“.
(„ღედა თბილისი“)

ქ. გულნაზი თავის ქალურობას მოკრძალებულ, იშვიათ პოეტურ ფერებში გვიმხელს: „უშენობით ყველა დღეა წამებული, სიცოცხლე ხარ ამიტომაც მენატრები“. („მენატრები“). „მე თუ წავედი გულს შენ გიტოვებ, რადგან უშენოდ არ უნდა ჩემთან“. (უსათაურო). „ვცდილობ რომ მინდა რომ გაპატიო, ის დამცირების წყენის წუთები, ჩემს სულში აბა სად დავატიო, ფაქიზია და ნასათუთები“. (უსათაურო). „თუ ნამიანი თვალი შეგავლო მე მონატრებულ ფიქრს დავჯერდები“ („მე კვლავ სიზმარში“). „შენი ნაკვალევი გულში არ წაშლილა, მიყვარს და ჩემ-ჩემად ფრთხილად ვეფერები“, (ო, ეს ფიქრები“). „მე შენზე დავწერ, ჰო ბევრს დავწერ მაქვს კი უფლება?“ (უსათაურო). „გეგბე მოხდეს და მუხლი შეცვალო, სიკვდილით დასჯა უფალს მიანდე“. („ეს რომ მითხარი“).

პოეტი ქალბატონისთვის პოეზია არსობის ადეკვატურია: „ჩემი სიცოცხლე რას ემსგავსება, სტროფი რითმებით თუ არ დამათრობს.“ („ასე თენდება“). „რაა სიცოცხლე თუ ლამაზ ხმაზე, სიმღერას კაცი მოერიდება“. („რაა სიცოცხლე“). „ო, პოეზიავ ღვაწლი შენი უსაზღვრო არი, მე დამატარებ, მასეირნებ ხშირად მთვარესთან“. (უსათაურო). „კალმით ვიბრძოლებ და ლექსით ავეყირდები“. („მტკივა შენი დარდი“). „ჩამიწურწულა ნამგალა მთვარემ, „დაბადებულხარ ლექსის სათქმელად“. („დადგება საშველი“). „ლექსებს მოვუხმობ როგორც იმედებს თუმცა მიხდება მათთან კამათი“ („მზის ათინათი“). „ზღვად ჩამიგროვდა გულში ლექსები, ტალღა მოასკდა, მკერდის ნაპირებს, ლექსით სუყველას გეაღერებოთ და საჩუქრებსაც ლექსით ვაპირებ“. („ოქრო რად მინდა“).

ოქროს უარყოფელი და პოეზიაზე გამიჯნურებული უდრეკი ქალბატონი ცხოვრების ორომტრიალმა მოულოდნელი, უცაბედი „სიურპრიზით“ მაინც ვერ დააჩოქა და გაბზარული, სისხლდენილი გულის დასაოკებელ საშველ-საღებუნ-მაღამოდ კვლავ სტრიქონს მიაგნო:

„დაკორტნილ გულში ქარი ტრიალებს
ბულია ირგვლივ ბინძური მტვერის,
შვილს მივტირვიარ მიტომ ვღრიალებ
ა-რ მ-ი-ხ-ა-რ-ი-ა მ-ე ა-რ-ა-ფ-ე-რ-ი“.
(„არ მიხარია“).

(მახსენდება; ჩემს პატარაობაში მამამ ხშირად იცოდა ხალხში მოსმენილი ამ თქმულების მოყოლა: „შვილგარდაცვლილმა ხელმწიფემ ბრძანა: – „ვისაც შვილი არ მოკვდომია სამძიმარზე არ მოვიდესო“)...

აქვეა გამოქვეყნებული მისი უდროოდ გარდაცვლილი ძმის ბეჟან ხარაიშვილის ჭეშმარიტი, უტყუარი შემოქმედება. ადვილი წარმოსადგენია რატომ აცოცხლებს ძმის ლექსებს სისტემატიურად, მაგრამ წარმოსადგენია ისიც რა გრძნობა ეუფლება ასეთი შურდულივით ნასროლი, კაკალგულში დამიზნებული, წინასწარმეტყველ-გულთმისნური სტრიქონების წაკითხვის შემდეგ: „...რომ შინდის კვრიტებს გული უსკდებათ, რა დროს

სიკვდილია“... (ლექსში „გაზაფხული“) და ლექსში „შემოდგომა“ დასასრულ ვკითხულობთ:

„ვდგევარ ხოლმე... და ვიხსენებ იმ დამეს
მტევნების თვე მომაწურე ბაგეზე,
ფოთოლ-ფოთოლ გადაივლის ყვითლობა
შენ კი ისევ ს-ი-ც-ო-ც-ხ-ლ-ე-ზ-ე მ-ა-ქ-ე-ზ-ე-ბ“...

როგორც ყველა გზა რომისკენ, ისე ყველა ტკივილიანი გრძნობის ფილოსოფიური გამოძახილის ამოსახსნელი გზა მიდის მხოლოდ პოზიისკენ. ამ გზა-სავალის მეგზურობას ზუსტ ფილოსოფიურ გასაღებს არგებს პოეტი ელგუჯა სხირტლაძე, როცა ამბობს: „...როდესაც მკერდქვეშ ტკივილი ჩემი, გაუსაძლისად მწველი გახდება, საშველად ვიხმობ ჩემს გულის დობილს, დამეს რომელიც მედაქალება“.

ცალსახად შეხედვით მხიარულ, იუმორის განწყობაზე გაყენებს პოეტ ჯემალ ჯიქიას მრავლისმეტყველი ლექსები. ჩაუკვირდები და გასევდიანებს, პარალელურად იგი მომწოდებლურიცაა. ლექსში „ქართველი“ ამბობს: „...უცხოეთში არსად დარჩეთ, არ დაშორდეთ მთიანეთს!“ „...მოიტანეთ დაურიგეთ სამეზობლო ბინადრებს! ისეთი რამ მოიტანეთ არ ეწეინოთ წინაპრებს!“ „...საუკუნის ჩრდილია, კაცი კაცად თუ დარჩები – ყველაფერზე დიდია!“ და „...მგონი უფაღმა შენ გარგო! მტერი რომ გათეღ-აშიშვლო, აბა შენ იცი, არ შედრკე, არ შედრკე მამულიშვილო!“

მისი არაფერი მქონდა წაკითხული პოეტად, რომ გამაცნეს... ამ სახელის დამკვიდრებას კი ბევრს ათი და ასი სიცოცხლე რომ არგუნო ვერ შეიძლება. პოეტ თამარ (იამზე) ჭელიძის გულგახსნილ, ქამანდასავით ნასროლ სტრიქონებს კარგა ხანია მკითხველი იცნობს. სახალისოა აღნიშნულ ნომერში გამოქვეყნებული ლექსი „ერთხელ მაინც“, რომელიც იწყება: „ერთხელ მაინც გამიბრწყინე, სიხარულო ბოლომდე, რომ შევივსო შენი ეშხით, სულში აღარ ბოლაგდეს, ვთქვა: მივლია მაინც გზებით სანეტარო წამებში, ახლაც გელი სიხარულო, მხოლოდ შენ მიწამლებდი“.

პოეზია ის აწვევითი რაშია, რომელზეც შენი პოეტური აღმაფრენის ლაგმით მკითხველს მასზე, როგორც საკუთარ მერანზე თავი ისე უნდა აამხედრებინო. აი რას წერს პოეტი ზაურ ნოზაძე მშვენიერ ლექსში „ხმა“ : „...თუ კი მართლა ქართველობ, ქართულ სიტყვის მშვენიერებით დღესვე უნდა დათქერო ველი ლურჯა ცხენებით“. ქალბატონ გულნაზის კი ლექსში „ათინათი“ ასე მიმართავს: „...შენ ხარ სითბო უსაზღვრო გულში შუქად ანთიხარ, გულნაზო და სულნაზო ჩვენი ათინათი ხარ, შენ გზას ჰქვია სინათლე, რადგან მხესთან ბინადრობ, ასე იათინათე, ასე გეათინათოს“.

პოეზია ავტომობილის მართვის ერთ-ერთი სახეობის – დრიფტის – დროს საჭის ფლობის შესაძლებლობას ჰგავს, რომელსაც ავტორი ორჯერორივით უნდა ფლობდეს. პოეტ კობა შენგელიას პოეზია სვლის ასეთ სახეობას, მაგონებს, როცა ვკითხულობ მის შემდგომ სტრიქონებს: „...ჩემო შფოთვით სავსე გულო, აღელვებულ ზღვას ედრები.“

პოეზია ის სამყაროა, რომელიც საუკუნიდან საუკუნეში, გონებიდან გონებაში დაიარება, თუმცა ხანდახან იგი სიზმარივითაა, რომლის ენას წარსულზე, მყოფადზე თუ მომავალზე ახსნაც სჭირდება. ასეთი ასახსნელებია სწორედ ზაურ მოლაშხიას ემოციური ლექსები: „...თუკი აანგრევს ჟამსუსხი კოსმოსს, რა დაალაგებს იმას ხელახლა? შენ მიჰკიოდი გზას უსხივოსნოს, რათა არყოფნა გადაგელახა“. „...უსივრცობაშიც სივრცეს, დავეძებ, სივრცით ვნათდები – სივრცის ნათლული... მითამუამური ხმების ნამცეცებს ვაგროვებ სივრცის ხმებში ჩაფლული“...

თუმცა ნომერში გამოქვეყნებულ, ხარაიშვილების გვართა მეღექსეობას არ ვანცალკევებ, მაგრამ უთუოდ ვადასტურებ; – პოეზიის სამეფო გვირგვინი აზარფეშასავით ყველაზე მემკვიდრეობის გარეშე ისეც გადადის და ამიტომ ნათელა ხარაიშვილის მხოლოდ ერთადერთ სტროფის შემოთავაზებას შევჯერდები მისი ფილოსოფიური პოეტურობის სამტკიცებლად: „თუ სიცოცხლეა, იყოს სიცოცხლე, გაებედავ რაკი, მოვედი რახან, თუ სიცოცხლეა იყოს სიცოცხლე, უსიცოცხლეო სიცოცხლე არ მწამს“...

პოეზია ის კარუსელია, რომლის მოძრაობა თუმცა საინტერესოა, მაგრამ ყურადსაღები და გულისშემძვრელი იგი მხოლოდ პიკის დროსაა, ასეთ პიკს და ლექსის წერის ორმაგ სირთულეს ვხედავ აღინა კუპრავას შემოქმედებაში. როცა მის ლექსში „ქართული სული“ სტრიქონთა საწყის პირველ ასოებში ვერტიკალურად ქართულ ანბანს ვკითხულობთ ანუ ლექსი აკროსტიქითაა შესრულებული და რადგან ლიტერატურაში

ბოლო ასოა „ჰ“ საბოლოო სტრიქონში ამგვარ მოწოდებასაც ვაწყდებით: „...ჰოი, ქართველნო, ვიწამოთ ღმერთი“.

ლექსი იწერება სიყვარულზე – სიძულვილზე, ცხადზე – სიზმარზე, ცაზე, მიწაზე, როგორც სიმები შეხებისას ისე ქვერდება გული დედაზე დაწერილი ლექსის წაკითხვისას. ეს ხომ ყველა ადამიანის ტკივილ-სიზმარულია. პოეტი მანანა ზახიკაშვილი ამ ჟურნალში ასეთი სტრიქონებით ეფერება დედას: „...ჩემს წონა სანთელს აგინოებ, ოღონდ იცოცხლე დიდხანს“...

ყველაზე მეტად მეთევზეს მეთევზის, მონადირეს მონადირის, პოეტს პოეტისა ესმის, ასეთნი (ზოგჯერ კავშირებიც რომ გააჩნიათ). ხშირად სახით, პოეზიაში კი მეტწილად ერთმანეთს ლექსითაც სცნობენ. ყურადსაღებია, როცა პოეტი სიმონ ჯაფარიძე სხვა ლექსების გვერდით „მარადი სამზერეთი“, „გაქვავებული ტყე“ და სხვა, ლექსს თავად პოეტ შოთა ხოდაშნელს უძღვნის – „მეგობარ პოეტს“, რომლის დასასრულ ვკითხულობთ: „მიჰყევ შენს ბილიკს, რომ კუთვნილი გაიღო წვლილი, რომ შენი წილი ღირსეული განვლო მანძილი“.

მომისმენია: – პოეტს მაინცდამაინც ცათა სასუფეველში ამკობენ ხოლმე პოეზიის გვირგვინით. ბოლომდის ვეღარ დავეთანხმები ამ ნათქვამს. აი რას წერს პოეტი სერგი ლომაძე სტატიაში: „პოეზია როგორც – გული“. „...ნუნუკა გურალიას ფილოსოფია ასეთია: პოეზია უმაღლეს მშვენიერებასთანაა გაიგივებული. ეს ადამიანი საუკეთესო ქართველ ქალ პოეტა ჩამონათვალში უსათუოდ უნდა დასახელდეს“. „...პოეტი მაინც არამიწიერი მოვლენაა“. „...ასეთ ღამაზე ვიტყვოდი, ქალური მგრძობელობით გამთბარ სტრიქონებს ოდესღაც ანა კალანდაძე წერდა. მეგონა რომ ანას დაღუპვასთან ერთად დაიღუპა მეთქი წმინდად ქალური პოეზიის დიდი კულტურაც, რომელიც გამოგიტყდებით, ვფიქრობ, რომ უცხოეთში უფროა განვითარებული. აი იქ ჰყავთ ემილია დიკინსონი, ემა ლოუელი და სხვანი კიდევ“. „...მას ყველაფრიდან ძალუძს არამიწიერი მშვენიერების გამოდნობა: „ბაბუაწვერები, ბაბუაწვერები, ქათქათა ფრთებით და ქათქათა წვერებით, რაც უნდა ეფერო და კრიფო ფერებით, ზეცისკენ მიჰქრიან ბაბუაწვერები, ქათქათა ფრთებით და ქათქათა ფერებით“,... და რადგან პოეზია თანამგზავრია, ორბიტა კი თვითეული ადამიანის გული, ვინ იცის თავის რეცენზიას ამიტომ ამთავრებს სერგი ლომაძე ასეთი წინადადებით: – „და სწორედ რომ გულისმიერია ნუნუკა გურალიას მთელი შემოქმედება“...

ამით ლომაძემ, ლომურ-მამაკაცური, ძლიერ კალამ-მარჯვენით ფაქტობრივად თავისი წარმოსახვის პოეტური გვირგვინით თვალხილულად შეამკო უმშვენიერესი, მოკრძალებული ქალბატონი, პოეტი ნუნუკა გურალია. და რადგან პოეზიაში ჯუნგლების კანონი მეფობენ ანუ მოწონ-დაწონ-შეფასების ფაქტიური თვალხილული კონკრეტულ ხელშესახები თემიდასმაგვარი არავითარი საზომ-საწონ-კრიტერიუმში არ არსებობს და აქ უფრო მკითხველის თუ გნებავთ ზოგჯერ რეცენზენტის გემოვნებაც დომინირებს ავტორის პოეტური შკალის აწევ-დაწევაში, მეტადრე ცნობილი გამოთქმის შემდეგ: „ზოგს მღვდელი მოსწონსო“, რასაც ემატება, ზოგს მართლაც მეცნიერულად ჩასაკვირვებელი, რთული ამოსაცნობი და ზოგს კი უბრალო ხალასი, პირდაპირი, გასაგები ენით ნაწერი ადატკინებს, ამიტომ გურალიას ბოლო წიგნი „ისევ პიანოდან“ ჩემეული შერჩევით კი არა, ჟურნალში გამოქვეყნებული სამად-სამი პესიმისტური ლექსიდან ერთადერთ სტროფს შემოგთავაზებთ პოეტური განჩინებისთვის, რაც მისი შემოქმედების შეფასების ნაღდად მინიმუმის მინიმუმი შანსია: „...ლარნაკში დაჭკნენ თეთრი ვარდები, შენ რომ მომართვი კრძალვით, და თითქოს ოდნავ მომისათუთე გადაღალული წამი“.

ციური ხეთერელს ნომრის ფილოსოფოს ქალბატონს შევარქმევდი, რადგან მის ლექსებში ღრმა აზროვნებაა: „...შაჰის სიგიჟე თორემ უფალო დიდ სიღამაზეს ვინ სწავს ღადართ“.

ჩემგან ფილოსოფოსად „მონათლული“ მეცნიერი ქალბატონი ციური თითქოს სიმბოლურად – ქეთევან დედოფალს (ევოლუციამოვლილი მშვენიერი ენით) დედას უწოდებს წონად ლექსში „შენი სახების გვადგას ნათელი“: „...შაჰის ბრძანებით, დიდო დ-ე-დ-ა-ო, უკვე იწყება შავი წამები“... „...ჩვენს სულებს ავსებს სამშობლოს ბედზე მარად მლოცველი გამარჯვებული დ-ე-დ-ი-ს მარჯვენა“.

განსაკუთრებული დონის სათქმელს ამბობენ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გალაკტიონ ტაბიძის მედლის მფლობელი, რამოდენიმე აკადემიის აკადემიკოსის, უნიჭიერესი ქალბატონის ლუარა სორდიას, თეა ჯღარკავას, ლიანა

წურწუმის, ირა დანელიას, სერგი ლომაძის, ლალი რატიანის, მანანა კვატაიას, ჯემალ ჯიქიას, მარიამ ნახუცრიშვილის, მეცნიერული ნაშრომები.

ჟურნალისტი ციალა ხაუალია ხალასი ერთ აღგვიწერს ერთადერთ შეხვედრას ჭაბუა ამირეჯიბთან. ხელოვნებასა და ისტორიაში ყურადსაღებია ნოდარ ტაბიძის და ნიკო ხერკელაძის ნამუშევრები. აგრეთვე პოპულარულ გაზეთ „ქალდეას“ პასუხისმგებელი მდივნის სიმონ ზაქარაიას ნაშრომი: „ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრება მოსახლეობაში და სახელმწიფო რელიგიად აღიარება ეგრისის სამეფოში“.

ქნი გულნაზი (თავად ლექსი) „პოლიგლოტიცაა“. მას იმდენი ენა ესმის, რამდენ ადამიანსაც იცნობს, ან გაიცნობს და დაელაპარაკება, უტყუარი გუმანით იგებს, ვის რა აინტერესებს, ვინ რით სუნთქავს, რომ ერთ დღეს მისი ნააზრევი ჟურნალის მშვენიერ გვერდად აქციოს. ამის დასტურია მისი ლექსის „რა ვაკეთო“? ერთ-ერთი სტროფიც:

„დაიჯერეთ, მუდამ დამაქვს ეს სურვილი
ფური ვიყო, ვეწეოდე უღელს ხარად,
ძილშიაც კი ამას ვფიქრობ სიყვარულით
რა ვაკეთო ხალხის გულის გასახარად.“

მისი რედაქტორისმიერი მისწერ-ხიბლი ისიცაა, რომ არ ცდილობს ჟურნალში მხოლოდამხოლოდ ისეთი ცნობილი ავტორებით, როგორებიც არიან: მაყვალა გონაშვილი, რევაზ მიშველაძე, ლუარა სორდია, ტარიელ ხარხელაური, ჯემალ ჯიქია, კახა ბაციკაძე, სერგი ლომაძე, სიმონ ზაქარაია, მირიან იორამაშვილი, ნუგზარ ნადარაიას და სხვადასხვა საქვეყნოდ ცნობილ სამეცნიერო აკადემიათა პრეზიდენტების სახელით ან მათი ნაცადი ცინცხალ-ცინცხალი ხატოვანი ნაწარმოებით შემოიფარგლოს და ამით მოაწონოს მკითხველს თავისი პირმშო ნალოლიავებ-ნაფერები ჟურნალი, არამედ პირიქით, ხშირად ისეთ ჰარმონიულ, სასწაულ შერწყმას აკეთებს, უცნობს, გნებავთ პირველად, რომ აქვეყნებს ლექსებს, რომ მკითხველს გამოცნობა-გარჩევა ე.წ. საჭაშნიკო ავტორისა ერთგვარად უჭირს კიდევ. ამას ვინ დაექებს. მოლოდინს გადააჭარბა სრულიად ალაღბედა. მცირეწლოვანთა ნააზრებ-შემოქმედებამ. ისინი თავიანთ ლამაზ სურათებთან ერთად (საბავშვო განყოფილების რედაქტორის ლამარა გერგედავას ძალისხმევით) ისე აქვს ჟურნალში ცნობილი ავტორების გვერდით შეფერადებულ-შერწყმული ფერად ბაირადივით, რომ მკითხველი ერთგვარ სიამოვნებასაც კი ღებულობს. მაგალითად? რამდენიც გნებავთ: „მეფანდურე ბიჭი“, „ხავსი“, „ზღვარზე“. „ჯადოსნური სურათი“, „ბურძღა“. „მხატვარი და ჯადოსნური ფუნჯი“, „წიგნიდან ქალდეას ქალაქები“, „მარიას სიზმარი“, „პატარა გამომგონებელი“ „ჯადოსნური ხე“ „ჩემი დაიკო“. ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი გემოვნებიანი სტრიქონების ავტორები; ირაკლი ჯიგანია, ქრისტინე იხორია, ქეთევან სხირტლაძე, ნატა პირველი, თამარ მოსიაშვილი, თამარ თედიაშვილი, ანი ჩიტაია, ლუკა შედანია, ანი მელაძე, შმაგი ხანთაძე, ანიკო წიკლაური, ეკატერინე ქადაგიძე, რომლებიც თბილისის 167, 68, 160 საჯარო სკოლების მოსწავლეები არიან.

ისეთი გამოცდილი მკითხველი, როგორიც თავად გახლავართ განმაცვიფრა მოსწავლე შმაგი ხანთაძის პოეტურმა ხედვამ: „...და მერე მოხვალ, გამომიცხადებ, რომ შენი გრძნობა გაქრა უკვალოდ და ისევ მეტყვი რომ შენი გული დაიპყრო მხოლოდ ერთმა... უბადლომ“... მოგვისმენია ასეთი გამოთქმა: „ერთხელ დაბერებული და მეორედ გაჯეილებულიაო“, რომელიც იმას მიესადაგება, როცა უმცროსისგან ჭკვიანურს მოისმენ. ასევეა პოეზიაშიც, შმაგისნაირზე იტყვი: – ერთხელ დაბერებულა პოეტად და ერთხელ გაჯეილებულაო...

მეშიდეკლასელ ანიკო წიკლაურზე ნამდვილად ვერ ვიტყვი კარგი პოეტური ხედვა აქვს მეთქი. რადგან იგი უკვე დახვეწილრიითიანი პოეტია, ამის დასტურია მისი ლექსები: „ირემთა სახტომელა“, „ჩემი დაიკო“: „მიყვარს ჩემი დაიკო, იმიტომ რომ ნაზია, მინდა ყველამ გაიგოს, ნახონ რა ლამაზია“...

თუ ვინმე ჩემს ოპონენტს მოსწავლე თამარ თედიაშვილზე წარმოთქმული – უკვე ფილოსოფიურად აზროვნებს მეთქი მოჭარბებულ-წამქეზებლურად მოეაზრება, გაიცნოს მისი „წიგნიდან ქალდეას ქალაქები“ და ნებისმიერი ლიტერატურული დონის გამოწვევას მივიღებ მისგან საპაექროდ.

მეშიდე კლასელ ირაკლი ჯიგანიას, რომელსაც ჯერ კიდევ ლამის თავად უნდა უკითხავდნენ, ზღაპრებს თავად წერს უკვე. პიროვნებამ კი რომელიც კალამს იმარჯვებს მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად, დიდი იქნება ის თუ პატარა, კარგად იცის,

თავის მკითხველს რაიმე უნდა მოუწოდოს. სწორედ ამ ჰარმონიულ პრინციპს ვაწყდებით, როცა ზღაპარში „მეფანდურე ბიჭი“ დასასრულ ამბობს: „...ობოლმა ბიჭმა რომ გამოიღვიძა, დედ-მამის ხატებამ კიდევ ერთხელ უბიძგა, რომ უკეთესი გამხდარიყო, გარდა ფანდურზე დაკვირისა და სიმღერისა, სხვა რამეც უხმობდა“.

XI კლასელი ქრისტიანე იხორიას მინიატურამ „ხაგსი“ და „ზღვარზე“ კიდევ ერთხელ შემახსენა: „კიდევაც დაიხრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“, რადგან მათში მთელი სიბრძნეა გადმოცემული, რაც ავტორის ასაკის ჭეშმარიტად პარადოქსულია.

მეშვიდე კლასის მოსწავლის ქეთევან სხირტლაძის ზღაპარი „ჯადოსნური სურათი“ ჩემი ემოციის ზღვარს სცილდება. მისი ანომალურტონალობის სიუჟეტი გაფიქრებინებს, რომ მოსწავლის კი არა რამოდენიმე უმაღლეს დამთვარებული, გამობრძმედილი მრავალპროფესიული ავტორის ნაშრომ-ნააზრევიაო. გოგონას პირადად რომ ვიცნობდე, მასთან შეხვედრისას ძლიერ, ჩამოყალიბებულ პიროვნებად აღვიქვამდი, რომლის არსებობას ყოველწამში იცავენ „ანასტასია“ და ერთი ყოვლისშემძლე გოგონა, რომელსაც ზღაპარში „კაფანდარა“ უწოდა.

აღარას ვიტყვი მეშვიდეკლასელ ანი ჩიტაძეზე, მან ზღაპარში „მარიას სიზმარი“, ერთ უმწეო მშიშარა გოგონას მთელი მსოფლიო აღსასრულის დღისგან „დაახსნევინა“.

ხოლო მეშვიდეკლასელი ლუკა შედანიასნაირი მეცნიერებაზე შეყვარებულ-ჩაფიქრებული სულიერ-გონიერებით მდიდარი მოსწავლეები – ხშირად ამართლებენ ხოლმე...

მაშ ფეხბედნიერი ყოფილიყოს ასეთ ნათელ-შუბლიან მოზარდთა, რომელთაც ჟურნალის ენით „ნორჩი ათინათელები“ ეწოდებათ (მე კი „ჩანჩქერის სათავეს“ რომ შევარქმევდი), იმ მრავალსაუკუნოვან, ძველთა-ძველ, გამობრძმედილ დიდ ქართულ ლიტერატურაში შემობრძანება სადაც დაიწერა: „თამარიანი“, „აბდულმესიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „კრწანისის ყაყაჩოები“, „ბედი ქართლისა“, „მუხამბაზი“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „ბახტრიონი“, „არწივი“, „გამზრდელი“, „სულიკო“, „გველის პერანგი“, „მამლუქი“ და განა შეიძლება ისეთ მდიდარ ქმნილებათა ჩამოთვლა, სადაც მარტო კლასისიკოსთა კი არა, არამედ ხალხური შემოქმედებაც თავისი საფანატო ანდაზ-ნაკვესებით, იგავ-არაკებით, შაირებით, ბალადებით, უმაღლეს, პროფესიონალურ მწვერვალზე დგას. აქ ხომ „ვეფხის და მოყმის“ ბალადის ხსენებაც საკმარისია. (ზეპირ საშაირო ხალხურ სიტყვიერებაზე აღარას გავაგრძელებ).

აქ ერთიც უთუოდ უნდა აღინიშნოს. აღმზრდელობით დარგში, იაკობ გოგებაშვილის მედალოსანი გულნაზ ხარაიშვილის კალთა-ათინათამდის მოსული მოზარდი ყოვლად გაუზვიადებელი ენით რომ ვთქვა, იფიქრებს არა ავკაცობაზე, არამედ – ერისკაცობაზე, არა ნგრევაზე, არამედ – შენებაზე, არა ურწმუნ – უწმინდურობაზე, არამედ – მორწმუნეობაზე, დედის, სამშობლოს სიყვარულზე, არა მოღურ „კაზინოებზე“, არამედ – აკადემიებზე – ცოდნა, სწავლა, კანონზომიერებაზე. ასეთ ხმამაღლა ნათქვამს იურიდიულ-ბეჭედდასმული სიზუსტით მიდასტურებს ალაღბედზე გახსენებული პოეტ ვაჟა აქიმიშვილის ანალიტიკური სტრიქონები:

„იგრძნო, გამანდო სად მიდიოდა...
ჩემი ლექსების სიბრძნე და ზღვარი,
ჩვენ მას ქალბატონ გულნაზს ვუწოდებთ
ცხადად კი არის ცოდნის მოძღვარი;“

დაგავიწყდება ფაქტობრივად ჟურნალს რომ უცქერი, როცა ბავშვთა განყოფილებაში რუბრიკით „პატარა ანგელოზები“, ნახავთ ბატონ ნუგზარ ნადარაიას შვილიშვილის, პატარა ამპარტავან-დედოფალა ნინოს სურათს, რადგან ბავშვის გულში ჩახუტების სურვილი დაგეუფლებათ. გოგონას გვერდით კადრში მოხვედრილი გვიმრაყვავილები კი შეგნებულად დადგმულს ჰგავს, რადგან ბავშვს ანგელოზის ფრთებივით აქვს გამოსხმული.

პატარა ლევანიკო გოქსაძე სურათში საბავშვო ეტლში ისე მედიდურადაა წამოწოლილი იფიქრებ – მუხრან ბატონს აჯავრებსო.

მართლაც ძნელია ალბათ, ჟურნალში მოახერხო ობოლ პატარა უმწეო ბიჭუნას შთაუნერგო – „მამიკო ცათა სასუფეველშია და კოცნას გიგზავნისო“, რომელ კოცნასაც ვახტანგ სხირტლაძე მთელი თავისი სიცოცხლე დაელოდება. მეტი რით შეიძლება

ობოლს აამო. თავად ბავშვი კი ისეა გამოსახული თითქოს წინასწარ იცოდა წარწერის შინაარსი და სურათიდან თავადაც თითქოს კოცნას აგზავნისო. (ტელეფონში როცა ამ სტრიქონებს ვაცნობდი რედაქტორს, ნებისმიერს რომ შეაძრწუნებდა, ქვითინის ისეთი ხმა მესმოდა – ეს ხომ სრულიად ახლადგარდაცვლილი მისი ღვიძლი შვილის გელა სხირტლაძის შვილი გახლავთ)...

როცა სურათში პატარა ერეკლე იორამაშვილის, საბა ნამორაძის, მარიამ იორამაშვილის უმწიკვლო თვალებს შეათვალიერებთ, სიამის განცდა დაგეუფლებათ. არაჩვეულებრივია სურათი – „ჩვენ გადავწყვიტეთ სამშბლოს დაცვა“, ფაქტობრივად სურათში სამი ხეზე ამძვრალი ბავშვია გამოსახული. საინტერესო ფოტომიმიკებია ასახული სოფო და ნინო ტალახაძეების სურათზე, რომელსაც „ჩენ ღედიკოს და მამიკოს პრანჭია გოგონები ვართ“ ჰქვია.

აღბათ ამდაგვარზე უთქვამთ: „თუ გული გულობსო“, რადგან ნომერში ერს თუ ბერს, ბავშვს თუ მეცნიერს თავ-თავისი ადგილი აქვს მიჩენილი.

რედაქტორს არც ვარდაცვლილი მეგობრის, ჟურნალ „ცოტნეიდელის“ სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრის ანზორ შონიას ხსოვნისადმი მიძღვნილი პატივსაცემი სტრიქონები გამორჩენია. აქვე ვკითხულობთ ნეკროლოგს შავ ჩარჩოში: ჯ. ლეჟავას სახელობს მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია და ფაზისის საერო აკადემიის წევრების შემადგენლობა, სამძიმარს უცხადებს, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტის, პოეტ-აკადემიკოსის ვაჟა ეგრისელის, ძმის – ვალოდია დოლბაიას გარდაცვალებას“.

ტკივილიანი სტრიქონების შემდეგ გულს აშუქებს რუბრიკა „მილოცვა“. აქ პოეტი ალიოშა კვაშილავა მეცნიერს გია კვაშილავას და მის მეუღლეს ელისაბედ ცანავას დაქორწინების დღეს ლექსით ულოცავთ.

ყველაზე მზრუნველმა ქ-მა გულნაზიმ 2012 წლის 15 დეკემბერს ალექო ბერიძის და სასკოლო პროგრამების მოსამზადებელი ცენტრის უფროსის ნათია მოსიძის თანადგომით ქ. რუსთავში აკადემიის ფილიალი გახსნა. რომელიც მეუფე თადეოზმა დალოცა. ეს თემაა გაშუქებული წერილში: „პოეზიისა და სიყვარულის ნავსაყუდელი“. ამავე სადამოს იმ თავშესაფარმოშლილ რუსთაველ მწერლებს, რომელთაც ქალაქის ვერცერთმა მესვეურმა ვერ გადაუწყვიტა ბედი, რომ სოლომან მორბელაძესავით კარდაკარ აქეთ თუ იქით ფოსტიდან ბიბლიოთეკებში არ ეწოწიალათ მთელი ათეული წლების განმავლობაში, რის მიზეზადაც მწერალთა შიდა, თავაკაცობაზე ქიშპობას იმიზეზებდნენ, ქ. გულნაზიმ ეს ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა. მათ თანამშრომლობა და აკადემიის ფილიალის ფართით სარგებლობა შესთავაზა. რასაც ნაზიარების ნაზიარებას დავარქმევდი...

და... პოეზია მატკობელა რიჟრაჟია, ჰანგია, ჟღურტულაა, გაცინებს, გაფიქრებს, („ფიქრნი მტკვირს პირას“), გაოცებს, გალოცებს, გაგლოვებს, გატირებს („და მე ავტირდი ვით მეფე ღირი“) გაცეკვებს, გაღმერთებს, გარწმუნებს, გამოძღვრავს, ადგაფრენს...

და... პოეზია უამის, ფიქრთა უსასრულობაა, ოქროსფრთიანი გულია, რომლის ემოციური იმპულსებით იმუხტება 82 წლის კოპწია პოეტი ქალბატონი მედეა მჭედლიშვილი: „ვინც გაჭირვებულს გვერდს არ აუვლის, და დახმარების ხელს უწვდის გულით, სუყველას უფლის ღოცვა ფარავდეს, მშვიდი სიცოხლით და სიყვარულით“ (ხოლო მის მაღალმხატვრულ დიქციით წაკითხული ლექსის მომაჯადოებელ ფანტასტიურობაზე აღარას გავაგრძელებ.)

და... (პატ. ოპონენტო! ახლა ტელეპატურად მესაუბრები ხომ, როცა ფიქრობ – შენ ყველა მოგწონსო. ეს ასე არის და არც არის... თუ საუბარია – ასე იყოს... აბა ავიღოთ ვარდი, როგორ საკმაო მანძილიდან მოჩანს და ათრობს არე-მარეს სილამაზე-სურნელებით, ღვთიური კოკრები? ენძელეები? შავი ვარდი? მიმოზები? ყოჩივარდები? ნარცისები? კალენდულები? კალენხოიები? ზამბახები? გვირილები? ტიტები? მიხაკები? კონინდარები? რა დააშავეს ბილიკებზე შემოკიდებულმა ია-იებმა? ქრიზანტემებმა? კაცივით წამოდგარმა იასამნებმა? ოთახის, ბადის, ტყე-ველ-მინდვრის-მთის კაპტუსყვავილებმა? მათ ხომ ყველას სხვადასხვა სურნელ-ელფერი აქვთ? პოეტებშიც ხომ ასეა? სულ სხვადასხვა აზროვნებათა პრინციპ-სურნელებით რომ აქვთ დატვირთულ-დარახტულ-გაჟღენთილი სტრიქონები? და მე და თქვენ ხომ ვიცით: – „ზოგჯერ რომ თქმა სჯობს არათქმას?“ საკრიტიკოები? რამდენიც გნებავთ. ისინი ცოტა მოშორებით დგანან „თავიანთ გზაზე“. მათზე? სხვა დროს, სხვა ამპლუაში, ან კიდევ, მოვეფეროთ ამ

მოკლე წუთისოფელში ერთმანეთს... ასე არ მიძინებოდა? თორემ „ქოთნისთვის ნებისმიერი მხრიდან ყურის მობმა,“ „გამძვინვარებულ ყაენივით მიზეზის ძებნა,“ „პლასტინკის“ გადაბრუნება, „ცაში ატრილი ხოხბის გოგირდიან წყალში ჩამოტყლაშუნება“ ნებისმიერ მწირ კალამს შეუძლია (კალმით ზურგს კიდევ რომ არ იქეჯავდეს)... ან კიდევ ბოლოსდაბოლოს, როცა ლუკა რაზიკაშივლს ენა უხსენეს: „ენას გიწუნებ ფშაველო“ (აკაკი), დღეს ველარავის „იპოვი“ კალამი „ჩაუსო?“ ფრონტი გახსნა? ბ. ჟღერტი სანატრელი გახადო? გულიდან (მისი აზრით) ცეცხლად ამოღვრილ-ამოფრქვეული სტრიქონი ცეცხლად უქციო? გული დაუკოჭლო, მადა დააკარგინო? თორემ თუთაშხიასი არ იყოს, არ მიიღო დუელში გამოწვევა – „უსინდისობა იქნება ჩემგან, ამ საქმეში დიდი უპირატესობა მაქვს“, როგორ გგონიათ უკან დამხევე-გამქცევს ვგავარ? ვითომ, ქაჯეთის ციხის აღება დამჭირდება აქილევსის ქუსლის მისაგნებად? მაგრამ საფერებელი ხალიჩა საჭიდაოდ გაეხადოთ (ამ მართლაც გულით გადაშლილ ჟურნალში თუ) ნებისმიერ ასპარეზზე? მომეცეს „უფლება“ საბავშვო ლექსს დავწერ თუ სატრფიალო-„საცეკვაოს“ განცდილის მიხედვით თავად განვსაზღვრო... დაეცალოს ერთხელ უკვე „ჩაგებულ“ კალამს... „წამომაყენა, მომეფერა და... კალამი ისევ ამაღებინა“ (ლექსიდან „გულნაზ ხარაიშვილს“, 2012 №1, (3), თუ აუცილებელია კომუნისტების დროინდელი ტაბუ-ცენზურა დადებული აზროვნება? დაე გაითამაშოს კალამმა თქმისას)...

და... იქნებ ლიტერატურულ განზომილებაში მოჭარბებულიცაა, როცა მგონია, დიდი ჭაბუა ამირეჯიბის საშობაო მილოცვა ჯ. ლეჟავას და „ათინათის“ მკითხველისადმი ბოლო ტკბილ ლუკმად შემოინახა მეთქი, მაგრამ ფაქტია – ყდის მესამე გვერდზე მისი გამოქვეყნება პირადი ხელნაწერით მკითხველისათვის ნაღდ ჭეშმარიტ სიურპრიზად მაინც რჩება.

და... რა გასაკვირია, იგივე მიწაზე, იგივე ქალაქში სადაც ნიკო ფიროსმანაშვილი სუნთქდა, სადაც მისი ნატერფალია, სადაც მემკვიდრეობად მისი მსოფლიო მნიშვნელობის ნახატ-შედევრები მოგვეკუთვნა წილად, გვეყავდეს დიდი ემელიანე ადამიაც, რომლის უბრწყინვალესმა ნამუშევარმა „მთავარანგელოზი მიქაელი“, როგორც გაშლილი თაიგული შეკრული ლამაზი ზონრით, ისე შეკრა და დაასრულა ეს ნატიფი, ბოლო შედევრი-ნომერი.

და... ნათქვამია – „თუ არ გინდა, ჭამა ჭაპი-ჭუპია, სიარული ბაკი-ბუკიო“. ალბათ მტრულ ჩასაფრებათ უნდა მოაზრებულიყო თუ კი ჟურნალთა ისტორიაში, ასეთი უნიკალური ნომრის იმ რომელიმე ტექნიკურ, გნებავთ კორექტორულ ხარვეზზე ყურადღებას გავამახვილებდი, რადგან ბოლოსდაბოლოს ეს კოლეგიის გამოცდილება-გამოუცდებლობაზე კი არა, დღევანდელი ტექნიკით ანუ კომპიუტერული ვერსიით გამოცემისას, თვალთავან უნებურად გაპარულ ელემენტალურ არღირებულ შეცდომაზე უფრო იქნებოდა სჯა-ბაასი, რაც სხვის თვალში ბეწვის ძებნის ადეკვატურობას უფრო გაუთანაბრებოდა.

და... ყველაფერ ამ ფონზე...

ფაქტი ჯიუტ ფაქტად რჩება; მძიმე თავთავით საქმიანობაში თავდახრილი, მრავალმხრივ ნიჭიერი, კალმოსანი ქ-ნი გულნაზი ქართული ენის სამწყსოს დვითურ ეტლზე დაბრძანებული, ხელის გულზე საგომანები ის „ფოლადის ლეღია“, რომელიც დღევანდელი ეპოქის, აკადემიურ, სანიმუშო, ბრძნულ, სიტყვათ-წყობას ბოჭავს, რათა იგი მშობლიური ქართული ლიტერატურის ისტორიაში სამართლიან, საშვილიშვილო მემკვიდრეობად წარმოჩინდეს.

და... წოდებას „ფოლადის ლედი“ აბსოლუტურად ადასტურებს წინა ნომერში გამოქვეყნებული სტატიის „ღმერთს და კაცშუამავალის“ ერთი აბზაციც: „ამ დიდ ადამიანთა თანადგომამ, უფლის ნებამ შეაძლებინა ქ-ნ გულნაზის ის შეუძლებელი, რასაც შვილის ცხედრის გვერდით ჟურნალის ნომრის არჩავარდნა ჰქვია. (ხოლო მისი პრეზენტაციის ჟამს ეს უდრეკი ქალბატონი თავს მაგიდაზე დებდა უცაბედად წამსკდარი ცრემლის დასაფარად, ასწევდა სადღეოფლო სახეს და ხალხს არავითარ ცრემლს არ ანახებდა)...“

და... ქ-ნ გულნაზის გული გრძნობს: „ჩიტი ბღღუნად ღირსო“, იცის კვდებიან დიდგვაროვანნი, მეფენი, იმპერატორნი, მონარქნი, დედოფალნი და თუ გნებავთ სხვა ათასგვარ-ტიტულიანი მბრძანებელნი ამა ქვეყნისანი, მაგრამ არ კვდებიან ხელოვანნი (მიქელანჯელო, ვან გოგი, არსაკიძე ნიკო ფიროსმანაშვილი), გრძნობის სიტყვის აზრთაკონის, გონიერების შემქმნელ-ფუძემდებელნი. რისთვისაც ეფერებათ, ესათუთებათ

ამაყოფს მათი აღმოჩენით ვინც მთელი საქართველოა (ედიდება ზოგი) ცამდის ხელაწვდენილ გუნდად რომ მოუახრებია ისინი... („ხოლო პოეტის ხმას ვინც არ უსმენს, ბარბაროსია ვინც არ უნდა იყოს.“ გოეთე).

და... „ქვევრს რასაც ჩასძახებ იმას ამოგძახებო“, სწორედ რჩეულთ, ჩენილთ, ნათელხედვიან, ახალბედათა, მოზარდთა „ჩაძახებით“ „ამოაძახებინა“ ცათა ქონგურებამდის „ათინათს“ ხმა ქ. გულნაზიმ... რომლის წინა ნომერში ვკითხულობთ: „ჩვენი თვითოეულის წიგნი ვარდის თითო კოკორია, ჟურნალი „ათინათი კი ვარდთა კოკრების ის თაიგულია რაც დაუჭკნობლად მეტ დროს გაძღვებს ვიდრე ცალ-ცალკე კოკორი, რადგან იგი საეროა, სახალხოა, საღვთოა, სასიქადულოა“.

(და... თითქმის არ ვიცნობ დღევანდელ ლიტერატორთა შორის არცერთ ისეთს, ვინც ამ არისტოკრატიულ, ცის ღურჯ ათინათში აციალებულ ღურჯფერა ჟურნალ „ათინათს“ წრფელ-პასუხისმგებლობა-სიამოვნებით სარედაქტოროდ ხელს არ მოაწერდა)...

და... სხვა ჩემს ადგილას „ათინათს“ „პოეზიის ღვთიურ ტაძარს“ შეარქმევდა, რომლის კარი საყდრის კარივით ღიაა ყველა ღირსეულთათვის, შიგ დანთებულ კოცონის სითბოს და სავანეს რომ უნაწილებთ ეს ცხოვრების ორომტრიალის ტვირთწამოკიდებული ქალ-რედაქტორის მანტიით შემკობილ-შეკოპწიავებული დიდი ქალბატონი გულნაზი, ცხოვრებისა, რომელიც ის „კაზინოა“ ვითომდა ჯეკპოტს სულ გაგებინებს ბოლოს ერთნაირად ყველაფერი რომ წაგაგებინოს... ხელი რომ დაგაბანინოს.

პოეზიას კი ცა ქუდად, დედამიწა ქალამნად, ცხოვრება-წუთისოფელი ჩირად მიაჩნია. („რა დარჩება პოეზიის გარდა“) არ იყენებს ფლიდ, გაცვეთილ, მზაკვრულ, თვალთმაქც კვანტებს... არ წაგაგებინებს... უკვდავყოფს, მარადყოფს... თავისთან მიღწეულს არ ტოვებს წუთისოფელივით ქვაზე გაღიმებულს... ალაპარაკებს საუკუნიდან საუკუნეში ხალხის ენა-გულ-გონებით (ჩახრუხაძე, ხანძთელი, შავთელი, ცურტაველი, თბილელი, მერჩულე, არჩილი, ზოსიმე, იყალთოელი, ბესიკი) არ ანცალკევებს ენას, რჯულს. (გამზატოვი, კრილოვი).

და... რადგან, როგორც ხის სიმაღლე ფესვიდან იზომება კენწერომდე, ხოლო, კროსვორდისფერი პოეზიისა გულიდან ღვთაებამდე, მასზე სათქმელ-საფერებ, საარაკო-საფანატო აღსავსარებელს რა დაღევს, მაგრამ ზოგი სხვა ამპლუაში ახალ, შემდგომ უფრო ჭრელ და დიდ, ღამაზ ხალიჩაზე.

და... „ვისაც მოუკლავს ის მოკლავსო“...

ისღა დარჩენილა: კვლავ, დედისმიერი ნასწავლი ანთებული წმინდა სანთლით და პირჯვრისსახვით ამ შუბლნათელ გულ-კალთა-წმინდა ქალბატონს ღმერთს და კაცს შუამავად, ოქროს შანდალზე სიბრძნით ანთებულ წმინდა ნინოს ჯვრით დამოძღვრილ ენძელისფერ „ათინათით“, თანამედროვე მაღალი გემოვნების მკითხველის საამებელ თუ თავის სათნო სათაყვანებელ ავტორთა ათგზის და ასგზის ღვთის საუფლემდე (თავად ქრისტეც ხომ შემომქმედი, პოეტი იყო) საქვეყნოდ აღზევებ-წარმოსაჩენად ვუსურვო – მუხლჩაუხრელად (ოქროსქალამანგაუცვეთლად), გონიერთა მანტიით დამშვენებულს, კვლავ შემართებით ევლოს თავისსავე არჩეულ, ერის, ისტორიის წინ პასუხსაგებ, ღვთისკურთხეულ – **ბ ე ვ ვ ი ს ხ ი ღ ზ მ...** ამინ!

გ-ყ-ღ-წ-ქ-ჭ
 ხ-ჩ-ც-ძ-წ-ჭ-ჩ-ღ-წ-ი-ღ-ს

ა-უიოთ	ქაქაქს	საქათველოს	ლიქაქ
ბ-ნა	შანი...	ქაქიქიქი	ფხეჭიტი,
გ-ია	ქანკით	ჩოა უჭოა	ქაქაქს
დ-ა	მხმოვით	ღა მიქვიჩის	უჭაქიქაქიქით.
ე-ჟიქუა	კოქოს	ღვთით	გუჩგო!
ვ-ჩაქს	ჩაქუნ	ფხეჭაქ	ჩიქიქიქი,
გ-ქ	საქოქოს	ქიქი - ქაქიქი	მხმოვია...
დ-ნს	შაქაქ	ქიქაქაქე - ჩოა	ითქიქიქი.
ხ-ჩიქი	გუქუნს	გასე	მინქე მანქიქი
ი-ქიქოსქიქს	ფხ-მქიქიქს	ქი	იქიქიქი...
ი-სა	ლაქის	თქიქი	ფხოქიქს
მ-ანქი	სქოქოს	გუქიქიქი	ლაქიქოს
მ-იქაქუა	ჩაქან	ლოქიქიქიქიქი	
ნ-ფხიქიქს	მინქე	ქიქიქიქიქი	სქი!
ღ-ია	ჩიქიქს	ლაქსა	მინქიქიქიქი
ს-ქაქიქველოს	ლიქ	ჩიქიქიქიქი	ანქიქიქი!

ისტორია

რეზო აღამია

გალაკტიონ ტაბიძის, დავით აღმაშენებლისა და გაჟა-ფშაველას პრემიების ლაურეატი



ქრისტიანული საოცრება – „სუმელას“ მონასტერი

ტრაპიზონი და მისი შემოგარენი, მიწისქვეშეთიდან დაწყებული, ცივილიზაციათა კულტურისა და ხელოვნების ძეგლებითაა სავსე. ქალაქი თავის დროზე წარმოადგენდა ტრაპიზონის უძლიერესი იმპერიის ცენტრს, რასაც ადასტურებს უმთავრესი ციხის ნანგრევის თავზე, ქვეყნის მოთვალთვალედ დაშენებული იმპერატორის ოდა, რომლისგანაც მხოლოდ კედლებია შემორჩენილი...

დღევანდელი დღე მზიანი და ნათელი დაიწყო, უსასრულობაში ჩაძირული, ერთ დროს ლაზეთის ზღვა, უხმოდ გაწოლილა და კოსმიურად თვლემს.

ბატონი ნეჯათი, ტრაპიზონის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, ბატონი წათე ბაწაში, საქართველოს კონსულის, გიორგი ჯანჯღავას, მოადგილე და თქვენი მონა-მორჩილი ქალაქიდან გავდივართ მამათა მონასტრის – „სუმელას“ მოსანახულებლად. დღეს ჩემი პირადი და მთავარი ამოცანაა მიტოვებული ისტორიული ძეგლის ფერწერულ ტილოზე გადატანა.

გზადაგზა გვეგებება ულამაზესი პეიზაჟები, კოხტად მოწყობილი თურქული სოფლები, საგულდაგულოდ დამუშავებული ყანები და ეზოები. ყოველი სოფლის ცენტრში აღმართულია თეთრი მინარეთები, რომლებიც მედიდურად გადმოჰყურებენ თავიანთ სოფლებს, ზეცისკენ უცნაურად რომ მიელტვიან და მითოლოგიური, ღრუბლისფერი ჩიტივით საამოდ გასუსულან. აქაური მეჩეთების უმეტესობას გააჩნია ურთიერთისაგან განსხვავებული არქიტექტურა, მაგრამ ეს მინარეთები უჩვეულო გეომეტრიული ფორმისაა, დღევანდელ საპლანეტაშორისო რაკეტებს მოგაგონებთ. შორეულ ეპოქებში უცხოპლანეტელებმა ხმ არ ასწავლეს არაბთა წინაპრებს? უთუოდ აქ არაბთა უძველესი ცივილიზაციის ხაზგასმული ელემენტებია ჩასახული. ურთიერთზე გადაბმული სოფლები და კანტიკუნტი დასახლებებიც შეწყდა. მშვენიერი კეკლუცი ხეობა თანდათან ვიწროვდება და ხშირტყიანი მთები უფრო და უფრო გოლიათურნი ხდებიან; მათ უწყვეტ წყებას ბოლო არ უჩანს, თითქოს დამძიმდა და მოიქუფრა ხეობა. მუქი კლდეზნარევი მთები გახშირდა, მრავალი მათგანი წაგორავებულა ან წამოწოლილივით გადაწევილა სივრცეში, ზოგიერთი გააგებული დევებივით ზეაღმართულან და ასე გავდივართ მშვენიერებათა სანახაობის და აღტაცებების მომგვრელ რამდენიმე ათეულ კილომეტრს. მოულოდნელად ჩვენს წინ აღიმართა საოცრება – უზარმაზარი კლდოვანი მთა და მის მკერდსა და უდრეკ მკერდზე მიდუღაბებული, ვერცხლისფრად ანთებული მონასტერი, რომლის ღვთიურ შუქს სამოთხედ უქცევია სივრცე და გარემო. სამწუხაროდ, უკაცრიელია აქაურობა. ათას ხუთას წელზე მეტ ხანს ჩქეფდა ამ მიწაზე ქრისტიანული ცხოვრება და ბერმონაზვნური მოღვაწეობა. დღე და დამე გაისმოდა ეკლესიური ლაზური ტკბილგალობანი და უფლის მადიდებელი ღოცვანი ქვეყნის, ხალხისა და სულის გადასარჩენად. ზოგიერთ რელიგიათა ფანატიზმმა და გულქვაობამ ჩააქრო აღგილობრივი მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია, „სუმელა“ და მისი დონის თუ უფრო ამაღლებული, სულიერი და კულტურის ცენტრები მოშალეს და უკაცრიელ უდაბნოდ აქციეს. აუცილებელია შექმნა შენი ეროვნული ხელოვნება და კულტურა და გააძლიერო საკუთარი რელიგია. ამით გააძლიერებ კაცობრიულს, მაგრამ დამხვედრ კულტურას თუ შენს მეზობლად მყოფს, რომელიც წარმოადგენს უძველესს, უნიკალურსა და განუმეორებელს, ნუ დაანგრევ და ნურც მოსპობ. თქვენი, მათი და ჩვენი კულტურის მრავალფეროვნებითაა დედამიწა და სიცოცხლე საინტერესო. თუ არადა, ოი! როგორი მოსაწყენი, ერთფეროვანი და გაბრტყელებული იქნებოდა ეს ქვეყანა. სიცოცხლე გვაწვალებს, თითქმის გვტანჯავს. დედამიწაზე ხელოვნებათა და კულტურათა სიმრავლე რომ არ იყოს, განადგურებული სული რა მალე შეაბერდებოდა წამებულ სხეულს და უაზრო მარტვილობას დაემსგავსებოდა ამქვეყნიურობა. სხვისი ბუდის მიმთვისებელნი, უნამუსო, უშუბლო და გრძელნისკარტა ფრინველები, უხსოვარი დროიდან არ აკლდა ჩვენს ჯვარცმულ საქართველოს.

კოლხურ-ლაზური კულტურის უძველეს ძეგლებს აქ მიზანდასახულად მხოლოდ ბიზანტიურს მიაკუთვნებენ. დღევანდელი ლაზები კი – ჩვენებურიანო, – გვეუბნებიან და

სრული ჭეშმარიტებაა. ბიზანტიის იმპერია დღეს არ არსებობს და სამუდამო განსასვენებელშია. ლაზურ-ქართული მარად უკვდავი ეროვნული ფენომენი პლანეტის სახეზეა. ჩვენი კულტურისა და ხელოვნების გამომხეურება თითქოსდა მათთვის მრავალ პრობლემას წარმოშობს.

ოცნება „სუმელა“, როგორც კი გამოგვეცხადა და ჩვენს წინაშე ამადლებული წარსდგა ღვთისა და სამყაროს უდიდეს ტაძრად, იმისმა კოსმიურობამ, საკვირველმა სულიერებამ და სრულიად უცხო გარემომ ტანში ჟრუანტელი ამიტეხა და მკლავებზე ბურძგლები დამაყარა. მონასტერში დროის უქონლობის გამო არ ავსულვარ და იქაურობა არ დამითვალღიერებია, თორემ მწარედ გავღიზიანდებოდი, დეტალურად რომ მეხილა უსასტიკესი იმპერიებისაგან ორჯერ დაპყრობილი „სუმელა“, ლაზური სიამაყე „სუმელა“. ჯვარს გაკრული მაცხოვარივით, მიმტყვებლობით ყველას პატიობს და შორს გამხედვარი წმინდანურად მეტყველებს; არა იციან, რასა იქმანს!.. ლაზური, მონასტრის პირველადი სახე, მიწის ქვეშ რომ ინახება, „სუმელას“ ბიბლიურ-კოსმიური სულიერებითაა გაჟღენთილი და ამ უზარმაზარ კლდე-მთასთან ვერაფერი მიწიერი ძალა ვერ გაყრის...

ასე რომ, მონასტერში ასვლით აურაცხელ შთაბეჭდილებას და ცოდნას კი მივიღებდი, მაგრამ ამ დროისათვის ჩემთვის მცირედი ვირჩიე „სუმელას“ მთლიანი ხედის, ფერწერული ტილოს შექმნის სახით. მხატვრის ცხოვრების შინაარსს, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ამ სახის საქმიანობა ამართლებს. როგორც მხატვარ-პეიზაჟისტს სჭირდება, ისეთი შესაფერისი ადგილი ავირჩიე და სამუშაოდ მოვეწყვე. „სუმელა“ კი განდგომილი უცხო პლანეტასავით უსასრულობის სივრცეში რაინდულად იმზირებოდა. ამადლებულ მოწმენდილ ბორცვზე ბატონი ნეჯათი და ბატონი წათე ხმელი ხის ტოტებისგან ცეცხლს ანთებენ და ცისფერ-ნაცრისფერებში არეული კვამლის სვეტიც აღიმართა. მაგრამ ფერწერამ და „სუმელამ“, ძალაუნებურად, ერთმანეთისაგან გამოგვეყო. ბატონმა ნეჯათმა ერთი ჭიქა რაქიც დამალეინა, თევზი და შავი პურიც მიმაყოლებინა. შინაგანად უფრო ავენთე და ამ წუთებში ალბათ ნახევრად გიჟს ვგავდი. ატეხილი ენთუზიზმით დავიწყე „სუმელასთან“ ერთად უზარმაზარ ქანდაკებად აღმართული წმიდა მთის ხატვა და მოულოდნელად იწყება უფლისძიერი საოცრების გამოცხადება მუქი ღურჯი ცის სიღრმიდან: კოსმიური ცურვით დინჯად წამოვიდა თეთრი მტრედისფერი ღრუბელი, გარკვეული დროით „სუმელას“ გადაეფარა, ზეციურად მიეაღერსა და თბილი ვერცხლისფერი ანგელოზის ნისლოვანი კაბა ჩააცვა; გაათბო, შორეულიდან მოყოლებული ჭრილობები მოუშუშა და მთლიანად ციურ ტაძრად გარდასახა... შემდგომ, თანდათანობით, ზეძალამ მოხსნა თეთრი მზიური სამოსელი და მოკრძალებით განზე მიდგა, წუთებში გაირინდა, მერმე თითქოსდა შეუმჩნეველად ამოძრავდა, უზარმაზარ მთის ქიმს ნელი სვლით გადაუარა და დასავლეთის ცის შორეულ სიღურჯეში გაქრა. მისგან განწმენდილი მონასტერი მზის შუქზე ათასობით წმინდა სანთლად აენტო, ალივლივდა და ღრმა საიდუმლოებით მოსილი „სუმელა“ მონასტრისეულ ლოცვად გარდაისახა. სრული სწრაფვაა აქ ზეცისაკენ და მთლიანად სამყაროსეულ სივრცეს განეკუთვნება. ამ დროს „სუმელას“ წმინდა სავანე ყველასათვის ღმერთივით ახლობელია და შორეულიც... უსასრულო ფიქრს, უდიდეს საიდუმლოებას და რამხელა სევდას მოიცავს ეს ღეგენდა მონასტერი. აბა, ვინ მოთვლის, რამდენი თაობის ბერებს ულოცვიათ. უამრავ ბერს სიბერე შეჰპარვია ამ სამოთხეში და სიკვდილს სიცოცხლე აუყრია მათთვის, სხეულიდან განდევნილი სული ცის უსასრულობაში აჭრილა. წარსულის იდუმალების სკივრშია ყოველივე ჩაკეტილი. ამჟამად მათი ნიჭი-გენია და ღვთისნიერი სულიერება შორეულშია მოფარებული, ცოცხალი ადამიანებისათვის გაუცხოებული და მიუწვდომელი...

ყოველი დროის ფუნჯის ოსტატებს და გენიებსაც გაუჭირდებოდათ იმ კოსმიური სიღამაზის და ღვთიურობის გადმოცემა, რაც ამ წმინდა მთის ირგვლივ ტრიალებს. სრულიად სხვა სიღამაზეა აქ, უფრო ღრამად ქცეული კოსმიური სურათი. წუხელ უწვიმია და საკმაოდ ცივა. ამჟამად მზე თავისი გულუხვობით გვაწვდის თბილ სხივებს და ხალისიან განწყობილებას. დღის მთლიან მონაკვეთში აქაურობა ყოველ ხუთ წუთში იცვლის თავის იერსახეს, ფერს, განწყობილებას და კოლორიტს. ვინ მოთვლის იმ ფერთა სიუხვეს, რა ფერთა უთვალავი გამაც რიალებს. ვერც ერთი დიდი კომპოზიტორის მუსიკა ვერ შეედრება მათ მუსიკალობას, რომელიც მოტივის უხმო სივრციდან მომდინარეობს. აქ მხოლოდ სამყაროსა და ღვთის მუსიკა ორკესტრირებს. კომპოზიტორებისგან სრულიად განსხვავებული არიან, მაგრამ დაბეჯითებით მჯერა: ბეთჰოვენი, მოცარტი, შოპენი, ბახი, ჩაიკოვსკი, ფალიაშვილი, ვერდი, ბიზე, ტოსკანინი და ვაგნერი გასაოცარ მუსიკას ჩამოკრეფდნენ ამ საოცრება მთის გარემოდან.

მზე გაგვექცა! რაგინფ ეფერო და ესიყვარულო ამ გავარვარებულ დისკოს, ის მაინც ერთი წამითაც არ შევიჩერდება... უმზეოდ დარჩენილ ქვეყანას მოუსაღამოვდა და სიბნელეში გაეხვია. ამავე დროს კოსმიურმა შემოღამებამ სრულიად განსხვავებული ციური შუქები ჩამოგზავნა, სადაც შეზავებულია უთვალავ ვარსკვლავთა სხივთა ნიუანსები. აქაური ღამის სილამაზეს ახლავს ჩრდილთა გოლიათური მოჩვენებებიც.

მზე შეუჩერებელივ დაშორდა დედამიწის ჩვენს მხარეს და ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიისმაგვარი მუსიკა ქუხილით გაიყოლა...

„სუმელას“ მონასტერი IV ან III საუკუნისაა, უფრო ადრეული თუ არა. ეგრისის სამეფოში თუ ლაზიკაში, იმ პერიოდში შენდება არქეოპოლისის ორმოც მოწამეთა ეკლესია, რომლის მხოლოდ ფუნდამენტი აღმოჩენილი და კიდევ რამდენიმე უძველესი სალოცავი, დამპყრობელი ბიზანტიის იმპერიის პერიოდში, მონასტრის გაფართოება და კედლების ამღლება ხდება XI-XII საუკუნეებში; შემდგომ ისევ მეორედ განახლება XIV საუკუნეში. ამჟამინდელი არქიტექტურა და მთლიანი ფასადის სახე, დასაშვებია, XIV საუკუნისა მოჰყვებოდეს.

ლეგენდაა ეს მთა! მთის ქიმზე გადაკრული ბუნებრივი ტყის ზოლი მუქ მომწვანო ლურჯად გამოიყურება, შემდეგ, გრანიტივით ჩამორეცხება უზარმაზარი კლდის კედელი, მრავალფერად აფერადებული ზოგჯერ ვერცხლისფერია, შიგადაშიგ მოვარდისფრო, ეგერ-აგერ ნათელი წითელი აგურისფერი გადაჰკრავს; კლდის კედლებზე მომწვანო კეთილშობილი ფერები თამაშდებიან, მთლიანი კედლის ფერთა მრავალსახეობას კალმით ვერ აგიწერთ, უფრო მიახლოებით, ფუნჯით ვეცდები დავხატო. მდიდრულსა და ღიად „სუმელას“ მთის ძირიდან ვეებერთელა შერეულ ხეთა ტყე აწევს, უშველებელი ნაძვის ხეებით და წიწვნარით გიგანტურ წაბლის ხეთა რიგია ირგვლივ. ამ ძლიერი ტყის ენერგიით ქვემოდან მიწისძიერი სიძლიერით ზევით ეზიდება და ზეციური ამღლებისკენ აჰყავთ მონასტერი. კოლხური ვერცხლის მონეტად ქცეულ ლაზურ „სუმელას“ ვერ მორეგია ვერაგი დრო, ვერც უცხო რელიგია, რომელიც მეხივით ჭექს მის ირგვლივ... სრულიად სხვა სილამაზეა აქ, მშვენიერებაზე და დიადურობაზე უფრო მაღალი, სამყაროს უსასრულობასთან წილნაყარი. კრისტალური ჰაერით, ფრესკული ცისფერებით, მიწის მშვენიერებით და უხილავი სილამაზით გაჯერებულია „სუმელას“ ქმნილება. სრული სახით მხოლოდ უფალი გრძნობს და ხედავს მის ფიქრებს, გამჭვირვალე სევდას, მარტვილობას, უფალივით უდანაშაულოს ჯვარზე გაკვრას, რითაც მონასტრის ყოველი ფერი, ხაზი, ფორმა, სახე და განწყობილება მარადიულობის დრამას შერწყმია, გასაიდუმლოებულია, გაუცხოებულია, გამარტოხელებულია და ლაზური სიმბოლო „სუმელა“ მისეულ სევდის ოკეანეში მონარნარე, თეთრ იალქნიან ია-იასფერ ნავად გარდაქმნილა, რომელშიც ლეგენდად ქცეულ ლაზს სათევზაო ოქროსფერ ბადეზე ხელი უშვია. ოი! შენ და ბედო ჩვენო, ზოგან ლაზის სხენება რომ უხერხულია და მის კულტურაზე საუბარი მავანთა გამღიზიანებელია. ლაზი ხალხი ოდითგანვე მძიმე ბედის მქონეა, „სუმელა“ ლაზის წმიდათაწმიდა სახე და მისი სულიერი მთლიანობის სიმბოლოა...

სურათზე მუშაობა ჩქარი ტემპით უნდა წარვმართო, თორემ მალე მთის ბინდი ჩამოწვება და უფრო დაბნელდება. არც თურქული რაქი მერვეა და არც მთის სიცივე, მხოლოდ „სუმელამ“ მშთანთქა და მთლიანად მას ვეკუთვნი.

ძველკოლხურ სივრცეში ყველაზე ლამაზად და ღრმა შინაარსით სიტყვა „ლაზი“ ჟღერს; ასეთია ჩემი შინაგანი ხედვა და განცდა... ილოცე, ჩემო ლაზო, იქ, სადაც შავმა ბედმა გარგუნა, ილოცე გამუდმებით, რათა გადაარჩინო შენი ჯიში და ჯილაგი.

„სუმელაც“ შენზე ილოცებს, კეთილო რაინდო ლაზო. მოვა დრო და „სუმელას“ უძველეს მონასტერში ლაზი კაცი დამთვალეირებლად კი არ მივა, არამედ მომლოცველად, მრევლად და პატრონად. ისტორია ბორბალივითაა, განსაკუთრებით ერი თუ ტომი, ლაზი და „სუმელა“ მომავალში სახარებასავით გამთლიანდებიან. გზა ყოველთვის ძველისძველ გზის ნაკვალევს უბრუნდებაო! მდინარე დროთა ჟამში თავის პირვანდელ კალაპოტში დგებაო! ასეა წინაპართა ნაამბობი. „სუმელას“ სურათზე მუშაობისას ეს ფიქრებიც მიდრღნიდა გონებას, ხოლო ჩემი მეგობრების, ბატონი ნეჯათისა და ბატონი წათეს კეთილმეგობრული საუბარი სასიამოვნო ფონს მიქმნიდა.

დაღამდა. მეგობრები და სუფრა დროებით დავტოვე. მერმე „ეტიუდნიკში“ მასალები, ფუნჯები და სხვადასხვა წვრილმანი ჩავალაგე, დავკეტე და ხელსაწყოები, ნივთები, „სუმელას“ წვრილდასმულ სურათთან ერთად, მანქანასთან ჩავიტანე. ჩვენთან ახლოს მუქი მწვანე ფერის უკაცრიელი საგუმავო დგას. მეორედ ავტომატებით შეიარაღებულმა სამხედროებმა ჩამოგვაკითხეს და მეგობრულად გაგვესაუბრნენ. ერთ-ერთი ლაზი იყო, რევითი ჯარისკაცი, სულ გვიღიმოდა, ძალიან კარგი ვაჟკაცი ჩანდა. ბატონი ნეჯათი და ბატონი წათე გამოელაპარაკნენ,

ჩემი ვინაობაც მოახსენეს, ეგენდი გურჯი რესამიო (ეს ბატონი ქართველი მხატვარი). გაუხარდა და განცვიფრებული მიყურებდა. მერმე სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ.

ამჟამად ხეობაში მხოლოდ „სუმელა“ და ჩვენა ვართ, მაგრამ დავიჯერო, რომ აქ, ჩვენს გარდა, არაინაა?! ვდგავარ სიბნელეში აქაურობით აღტაცებული, რადგან მთის ღამე გაუკონარ და არნახულ იდუმალ სილამაზეს გეთავაზობს, მუქ უზარმაზარ სვეტად აღმართულა „სუმელას“ კლდე-პერანგი მთა, შავ ფიქრ-ღარდად თავს დაგვდგომია და უხმო მუსიკა მოღის მისგან, მხოლოდ გენიალური ბეთჰოვენი თუ ამოიკითხავდა ამ უხილავ ნოტებს... ღამეულმა სიბნელემ წამებული „სუმელაც“ მიიერთა და სვედიან მღუმარებაში ჩაძირა. ბებერი მთვარე აღმოსავლეთიდან ამობუსუნდა და გამარტოხელდა. გაოგნებული მივჩერებივარ ამ სურათებს, საიდანღაც დინჯი ნაბიჯებით მომიახლოვდა ვეერთელა ჩაღისფერი ძაღლი, მუხლიდან კოჭამდე დამყნოსა, მხოლოდ თვითონ იცის, როგორი დიაგნოზი დამისვა; მჯერა, ეს დათვივით ძაღლი ჩემი ზნეობის გარკვევაში შეცდომას არ დაუშვებს... მაგრამ მაინც ძაღლია! შესაძლებელია, მთელი დღე შორიდან გვითვალთვალებდა. შორეული ისტორიიდან გამომდინარე, აქ ყველა ვითვალთვალებს, გსწავლობს და სწავლობენ მას, შენ და მე... ძაღლი დგას უძრავად და თვალებში მიყურებს. ცხოველებიდან ყველაზე მეტ დროს ძაღლი და კატა უყურებს ადამიანს თვალებში – ძაღლის თვალები ადამიანისაზე არანაკლებ კეთილია, კატისა – მატყუარა და ცბიერი... მერმე ძაღლს თოხის ტარის სიმსხო კუდი შეუტოკდა, მაშინვე ვიგრძენი – ჩვენი დამძაკაცება იწყებოდა. მორიდებით და მოზომილად გასრიალებულ შუბლზე ხელი გადავუსვი, თვალები არც კი დაუხამხამებია, ისე მიყურებს. ბანჯგვლიანსა და მეჭეჭიან ნიკაპზე გაშლილი მარჯვენა ხელის თითებით უშიშრად მოვეფერე და, ბაჭული-მეთქი, წყნარი ხმით მივმართე. ძაღლს გაეღიმა, დათვივით ხახა დაადო და ხელების ლოკვა დამიწყო... ბატონმა წათემ მითხრა, მაშინ ზემოდან გაოგნებული გიყურებდითო. ბატონი ნეჯათი ცუდის მოლოდინის განცდისაგან დაპატარავდა და წარბები შუბლზე ჰქონდა აყრილიო.

მიუხედავად სიბნელისა, სამივე დაფაცურდით და ადგილმდებარეობა საგულდაგულოდ მოვასუფთავეთ. ძაღლს საჭმელიც დავუყარეთ, მაგრამ პირი არ დაუკარებია და არც კი დაუყნოსავს. – ჩვენი წასვლის მერე შეჭამს, აბა რა იქნება, – ჩავილაპარაკე და, „სუმელას“ ნახატიდან დაწყებული, ყველაფერი მანქანაში ჩავალაგეთ. ძაღლი გზის განაპირას დინჯად იდგა და თვალს არ გვაშორებდა. ბატონმა წათემ მანქანა დაქოქა და ძრავის ხმა მთელ ხეობას მოედო. ბატონი ნეჯათი და მე მანქანაში ჩავსხედით და ადგილიდან დავიძარიო. ყოველივე უკან დაგვრჩა. მშობლიური განუყრელობით მხოლოდ მთვარე და ვარსკვლავები მოგვდეგდნენ ბნელით მოცულ ხეობაში.

ნიკო ხერკელაძე

გიორგი სააკაძის გაგრძელება



ალექსანდრე მეფემ, დაუდ-ხანმა და მათ თანამზრახველებმა არაფრად ჩააგდეს სიმონ მეფის და მისი მეუღლის ნესტან-დარეჯანისაგან დიდსულოვნური შეწყალება და ხელმეორედ მოაწყვეს შეთქმულება. ამჯერად მათ მეფის მეუღლე შეიპყრეს, ისევ შეურაცხყვეს, საწმერთული გახადეს, შუბის ტარზე მიამაგრეს, დროშასავით აღმართეს და უკან გაბრუნდნენ. ლოჭინის მიდამოებში გაჩერდნენ და მოვლენების განვითარებას დაელოდნენ. გაცეცხლებულმა სიმონმა სასწრაფოდ ჯარი შემოიკრიბა, წერილი მისწერა დაუდ-ხანს და ალექსანდრეს: „მე თქვენებრ ღამე მძინარეთ არ დაგესხმით თავს, მოვდივარ ბრძოლად და შურისგებით, ხოლო თქვენ დამხვდით, უკეთუ ხართ კაცნი“. სიმონ მეფე ქარიშხალივით

დაეცა ლოჭინთან მღვარ დაუდ-ხანისა და ალექსანდრეს თანამზრახველ ჯარს. ისინი იძლივნენ, დამარცხდნენ და კახეთისაკენ მიაშურეს. სიმონ მეფემ შეიპყრო მათი თანამოაზრე დიდებულები, წინ წაიმძღვარეს, მცხეთაში შებორკილნი ჩაიყვანეს და

სვეტიცხოვლის ტაძარში სიმონ მეფესთან ერთგულება-თანადგომის ფიცი დაადებინეს, რათა შემდგომში ხელი აეღოთ ვერავი შეთქმულებისაგან. და ეს ფიც-დადებული, „დიაცთან მორკინალი ვაჟკაცები“, ისევ კახეთისაკენ გააბრუნეს.

ალბათ, იმ ხანებში იქნებოდა ნათქვამი „ხემ დაიხივლა, ცული რას დამაკლებდა, შიგ ჩემივე გვარისა რომ არა ეჩაროსო“.

როგორი სიძულვილი უნდა გასჩენოდათ სიმონ მეფის მიმართ დიდებულთა ნაწილს, რომელთაც წააქეზეს ყორღანაშვილი, ყიზილბაშებისთვის ემცნო „აი ეგ არის მეფე სიმონიო“. შემდეგ ირანში წაყვანილი ალამუთის ციხეში იტანჯება, აქ თავიანთ მიწა-წყალზე მისი პირადი მტრები, უმეფოდ დარჩენილ მის ოჯახსა და დედოფალს თავს ესხმიან, თავსაც ირცხვენენ და ქვეყანასაც არცხვენენ. შემდეგ ეს სამტრო ჯგუფი, ირანიდან დაბრუნებულ სიმონ მეფეზე ხელმეორედ მოაწყობენ თავდასხმას. ვინ აქეზებდა მათ, ვისთან თათბირობდნენ და მოწურულეობდნენ ისინი, თუ არა დაუდ-ხანთან და ალექსანდრე II-სთან. მოძულე მხარისაგან განდევნილ გ. სააკაძეს, როცა ირანს შეაფარა თავი, აუცილებლად თავის მსგავსი სიმონ მეფის მდგომარეობა გაახსენდებოდა, ვისაც თვითონაც კარგად იცნობდა, თუ თვითონ ვერ იყო მომსწრე სიმონ მეფის ყველა ავი თუ კარგი ამბისა, მას დამატებით თავისი მამის სიაუშ სააკაძისაგან ექნებოდა მოსმენილი, რომელიც სიმონ მეფის თანამებრძოლი იყო. სიმონ მეფის მიწიერი ცხოვრება სააკაძისათვის ირანში გაძევების მიზეზის არსის დანახვაში ნათელს მოჰყენდა და ამ ვარამის დათმენა, დაწყნარების საქმეშიც სამაგალითოდ ხელს შეუწყობდა. სააკაძე იფიქრებდა, როცა მეფეზე და მერე ასეთ, ქვეყნისათვის თავგამწირავ მეფეზე, მის ოჯახზე ამდენი გაუბედიათ დიდებულთა ნაწილს, სხვისა გასაკვირი რაღა უნდა იყოს.

ალამუთი - „ალაჰ-ამუთ“ – ირანულად არწივის ბუდეც ნიშნავს. გ. სააკაძე, სიმონ მეფის მსგავსად, ირანის საპყრობილეში ხომ არ იყო დატყვევებული, მართალია, შაჰ-აბასს სხვა ქვეყნების დაპყრობაში ეხმარებოდა, მოთვალთვალე და მოყურადე სულ ჩასაფრებული ჰყავდა, მაგრამ მაინც თავისუფალი კაცი იყო. სიმონ მეფის მდგომარეობა საქართველოში და შემდეგ ირანში ტყვედ ყოფნა, სააკაძისთვის დამაფიქრებელი გახდებოდა. მასაც ძალები მოეკრიბა და სამშობლოში დაბრუნებაზე ეფიქრა, მით უმეტეს, მაშინ, როცა ძირის-ძირობამდის შეიტყო შაჰ-აბასის ავი ზრახვანი საქართველოს მიმართ.

* * *

ირანის სამტრო იდეოლოგია საქართველოსადმი საუკუნეების მანძილზე არსებობდა. ირანულმა პოლიტიკამ ჯერ კიდევ შაჰ-თამაზის დროს დაუდ-ხანი თავის ძმას სიმონ I-ს დაუპირისპირა. იმავე ხანებში ალექსანდრე II-ის და ელიმირზას დაპირისპირება ისევ ირანიდან მოდიოდა. ქართლის ცხოვრებაში აღნიშნულია, თავის თანამოძმეებზე გამარჯვებულმა ალექსანდრე II-მ ირანის შაჰს, შაჰ-თამაზს, ერთგულება აღუთქვა. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ კახეთის სამეფოში ურთიერთდაპირისპირების მსურველი შაჰი იყო, და ალექსანდრე II-ის გამარჯვებაც, კახეთის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით, მის ინტერესებში შედიოდა. ბარძიმ ამილახორის და ელიოზ ერისთავის შეთქმულება, სიმონ მეფის მეუღლეზე, ნესტან-დარეჯანზე თავდასხმის შესახებ, ისევ ირანიდან მოდიოდა. რამეთუ, რადგან სიმონ I უკვე დატყვევებული, ირანშია, მის მაგივრად, ქართლის მეფედ შაჰისაგან დაუდხანი იყო გამოცხადებული. დედოფალ ნესტან-დარეჯანს გავლენა რომ არ მოეხდინა ქართლის მოსახლეობაზე და თავის უფლებამოსილების გაძლიერებისათვის და სიმონ I-ის მეფის იმიჯის ამაღლებისათვის, როგორც ეროვნული ინტერესების დამცველისა, ამიტომ დაუდ-ხანის წაქეზებით, ამ დიდებულებმა სცადეს ნესტან-დარეჯანის შეურაცხყოფა, დათრგუნვა, გაძარცვა და ბოლოს მათი მიზანი იქნებოდა ქართლიდან დედოფლის გაძევება. შემდეგ შაჰ-ისმაილის იდეით და ცოტა მოგვიანებით, ხუდაბენდეს ინიციატივით, ქართლის სამეფო, სიმონ I-ის იმედით, ოსმალეთს დაუპირისპირეს. იგივე პოლიტიკას ატარებს შაჰ-აბას I-იც, როცა თავისთან აღზრდილ კონსტანტინეს თავის მამას, კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს და თავის ძმას გიორგის დაუპირისპირებს, რაც მალე მსხვერპლით დამთავრდება და კონსტანტინე კახეთის ტახტს დაიკავებს. შაჰ-აბასს ბაგრატი-მირზა და ხოსრო-მირზა ლუარსაბ II-ის საწინააღმდეგოდ ჰყავდა ირანში. მას, ამ მხრივ, უკეთესი გზა გამოუნახეს. ქართლის ზოგიერთი დიდებულის მეშვეობით შაჰს ლუარსაბი ირანში წააყვანინეს. შემდეგ საქართველოში შაჰ-აბასის ჯარების განადგურებას მისი გეგმების ჩაშლა მოჰყვა. ამის საპასუხოდ შაჰი, დაუდ-ხან უნდილაძის მეშვეობით, თეიმურაზ I-სა და დიდებულთა ერთ მხარეს გ. სააკაძეს დაუპირისპირებს.

რადგან საქართველოში ურთიერთაშლილობათა ნიადაგის მზადება ირანიდან მოდიოდა, ამგვარივე მოვლენები ირანშიც უფრო მძაფრ ხასიათებს ღებულობდა.

ირანის შაჰს შაჰ-თამაზს ცხრა ვაჟი ჰყავდა. აქედან ორი უფროსი ვაჟი – მოჰამედ-მირზა და ისმაილ-მირზა - თურქმანი ისა-ბეგის ასულისგან ჰყავდა. მომდევნო სამი ვაჟი – სულეიმან-მირზა, აჰმედ-მირზა და ჯუნეიდ-მირზა - ჩერქეზი შამხალის დისაგან შესძენოდა. მას ჰყავდა კიდევ ოთხი ვაჟი – ჰაიდარ-მირზა, მუსტაფა-მირზა, იმამ-ყული-მირზა და მაჰმუდ-მირზა ხუდაბენდუ. ეს ბოლო ოთხი ვაჟი შაჰ-თამაზს ჰყავდა მესხეთის წარჩინებული თავადის ოთარ შალიკაშვილის ასულისგან. მისი შვილებიდან ორი გამორჩევით ცდილობდა ირანის ტახტის დაკავებას – თურქმანი ისა-ბეგის ასულისგან ნაშობი ისმაილ-მირზა და ქართული სისხლით ნაჯვარი ჰაიდარ-მირზა. ირანში შაჰის კარიც ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო. ისმაილ-მირზას მხარეზე დადგნენ ყიზილბაშები, ჩერქეზები და ქურთები; მათი აქტიური წინამძღოლი იყო ჩერქეზი შამხალი. ჰაიდარ-მირზას მომხრეებს თაოსნობდა ქართველი ზაალ-ბეგ გურჯი. ამათი მხარის დამტკერები იყვნენ ირანში მცხოვრები ქართველები – ალიხან-გურჯი, ჰოსეინ-ბეგ გურჯი, შეიხაგანდუ-გურჯი, იმ დროს ირანში მცხოვრები ქართველი მხატვარი სიომ-გურჯი და მისი ძმა ფეროხ-გურჯი. ამ მოვლენებში საგულისხმოა ის პოზიცია, რომ ასეთი შეძლებისა და ავტორიტეტის მქონე ქართველობა ძმები ალავერდი-ხან და იმამ-ყული-ხან უნდილაძეების წინამორბედები იყვნენ და მათთვის მაგალითის მიმცემნი ისევე ირანის სასარგებლოდ. აქ ჩამოთვლილი ქართველები მხარს უჭერენ ჰაიდარ-მირზას იმის გამოც, რომ იგი ოთარ შალიკაშვილის ასულის შვილი იყო, და როცა ჰაიდარ-მირზა ირანის ტახტს დაიკავებდა, მათი მდგომარეობაც კიდევ უფრო გაუმჯობესდებოდა, რადგან ეს ყოფილი ქართველები ირანის ტახტზე თავიანთი კაცის მოყვანას ცდილობდნენ. მათი მცდელობის შინაარსი ისევე პირადულობის მოტივით აიხსნება. მათი მდგომარეობაც ძმები უნდილაძეების მდგომარეობის თანამსგავსია. არც მათ შეუძლიათ ირანის ავის მომასწავებელ პოლიტიკას საქართველოსადმი მიმართულება შეუცვალონ, მათ დროსაც ირანის მხედრობა მოდიოდა საქართველოს ასაოხრებლად.

შაჰის ტახტის მაძიებელ პრეტენდენტთა, ჰაიდარ-მირზას და ისმაილ-მირზას, მხარეები სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირდნენ. ქართველთა მხარემ უმაღლესი უკუაქცია მოპირისპირე მხარე. მაგრამ, იდუმალი ხერხებით, ჩერქეზთა შამხალს მოეკლა ირანის ტახტის მაძიებელი ჰაიდარ-მირზა – ქართველი ქალისაგან შობილი. მან ჰაიდარ-მირზას მოჭრილი თავი ტომრით გაუგზავნა ქართველთა მხარეს. ამით ყველაფერი გადაწყდა, შეძრწუნებული ჰაიდარ-მირზას მომხრე ქართველები ისევე თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ დაღალტნი იღბალი შაჰ-ისმაილის მხარეზე აღმოჩნდა. ამ შეტაკებაში ქართველთა წინამძღოლი ზაალ-ბეგ-გურჯი დაიღუპა.

1576 წელს ირანის ტახტის მფლობელი შაჰ-ისმაილი გახდა. მას დიდ ხანს არ სჭერია ირანის ტახტი. შაჰ-ისმაილ II-ს სუნიტობა დასწამეს და საწამლავეთ მოკლეს 1577 წელს. ქართველთა მხარემ ამ გამოცდილების საფუძველზე იმდენი მოახერხა, რომ მოკლული ჰაიდარ-მირზას ძმას მუჰამედ ხუდაბენდეს დაეკავებინა ირანის ტახტი. ეს იყო უმცროსი შვილი ოთარ შალიკაშვილის ასულისა. შემდგომში ამ ხუდაბენდეს შვილი იყო აბას-მირზა ანუ შაჰ-აბას I-ი. შაჰ-ისმაილ II, სანამ მას სუნიტობის მიზეზით მოკლავდნენ, მან სიმონ I გამოიყვანა ალამუთის ციხიდან, მას მიზანი ჰქონდა ოსმალეთთან გადამწყვეტი ომი გაემართა და სიმონიც მათ საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა. მაგრამ აღარ დასცალდა, რადგან იგი მოკლეს. ამის მერე სიმონ I საკმაო ხნით ყაზვინში შაჰის სასახლის კართან ახლოს ცხოვრობდა. უკვე კარგ პირობებში. ალამუთის ციხიდან მასთან ერთად გამოყვანილ იქნა სიმონ I-ის თანამოაზრე, ბაგრატ მუხრან-ბატონის შვილი არჩილი, რომელიც 1560 წელს საფურცლესთან ტყვედ ჩაუვარდა ყიზილბაშებს.

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იმ დროს ირანში მცხოვრებ ქართველებზე, რომელთა დიდი მონდომებით შაჰის ტახტი დაიკავა მუჰამედ ხუდაბენდემ. როგორც ჩანს, ხუდაბენდეს დედამ, ოთარ შალიკაშვილის ქალმა, როგორც ქართველმა, დიდი ყურადღება მიაქცია ირანში მცხოვრები ქართველების თანადგომას თავისი შვილებისადმი. როგორც ცდილობდნენ ქართული სისხლით ნაჯვარს დაეკავებინა შაჰის ტახტი. მართალია, პირველი მცდელობა მიუღწევად იქნა ჰაიდარ-მირზას დაღალტნი სიკვდილის გამო, მაგრამ ქართველობას ფარ-ხმალი არ დაუყრია, ეს მაშინ, როცა მათ მცდელობას ერთ-ერთი ორგანიზატორი – ზაალ-ბეგ გურჯი შეეწირა. მეორე მცდელობა გონივრული გეგმებით წარმართეს და საწადელსაც მიაღწიეს, ირანის ტახტი ქართველი ქალის შვილმა

ხუდაბენდემ დაიკავა. ირანში მცხოვრები ქართველთა მხრიდან ოთარ შალიკაშვილის ასულისადმი ერთგულება დადასტურებული იყო. მის შვილს, ნახევრად ქართველს, ხელთ აკურა ირანის ტახტი.

რადგან ხუდაბენდეც დიდ ომებს აპირებდა თავის მოწინააღმდეგე ოსმალეთის წინააღმდეგ და თავისი დედის მხრიდან ქართველებისადმი სანდობა ერთგულ ფარად ედგა, რაშიც მეფე სიმონ I-ისადმი სანდობაც იგულისხმებოდა.

ირანელებთან ბრძოლაში სიმონ მეფე ტყვედ ჩავარდა. ის ქართლის მეფე იყო და თავის ქვეყანას იცავდა, ის ხომ არ წასულა ირანის დასალაშქრად. ომი იყო... ყიზილბაშები ცდილობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობას, ქართველობა მხოლოდ თავს იცავდა მათგან. რომ არა ოთარ შალიკაშვილის ასულის მხრიდან ირანელი ქართველების თანადგომა, ხუდაბენდე ირანის ტახტის მფლობელი ვერ გახდებოდა. ასე ფიქრობდა ხუდაბენდე და ქართველების მადლიერმა თავის სასახლეში სიმონ მეფის სტუმრად მოწვევა ბრძანა. მაღალი დმერთის წყალობით ამჯერად ისე გადაწყდა ყველაფერი, როგორც სიმონ მეფეს ესურვებოდა – ქართლი ირანის მოკავშირე გახდა. სიმონ მეფემ ამით ერთგვარი ვალდებულება იტვირთა, ოსმალეთის საწინააღმდეგოდ ემოქმედა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქართველი ქალის ერთ-ერთი გამორჩეული თვისება ისიცაა, რომ სულ სამშობლო, მამის კერა ესიყვარულებათ და ენატრებათ. განა ოთარ შალიკაშვილის ასულმა არ იცოდა, ირანიც და ოსმალეთიც სულ საქართველოს დაპყრობას რომ ცდილობდნენ?! განა ირანიდან განთავისუფლებული სიმონ მეფე თავისი სამშობლოს ინტერესებზე მაღლა დააყენებდა ირანის კარის, და იმ შემთხვევაში ხუდაბენდეს ინტერესებს?! მაგრამ დედის გული ადვილად ინადირებს ხოლმე შვილის ფსიქოლოგიას. დედისაგან შვილი – ხუდაბენდე დაჯერებული ჩანს იმაში, რომ ირანის ტახტის სადავეები მის ხელთ რომ ყოფილიყო, იქ მყოფი ქართველები მხარში ამოუდგნენ და ერთგულება დაუმტკიცეს.

ხუდაბენდე, როგორც ახალგაზრდა, სამეფო საქმეებში გამოუცდელი იყო და ამიტომ დედას იქნებოდა მინდობილი, მისგან მიღებულ რჩევას ანგარიშს გაუწევდა. მეორეს მხრივ, შალიკაშვილის ასულს უნდა განესაზღვრა და საზღვრავდა კიდევ, რადგან მისმა შვილმა ირანის ტახტი დაიკავა, ცხადია, მას ქვეყანა უნდა ემართა და თადარიგი უნდა გამოეჩინა, მისი შვილის მეფობის დროს ირანი აღორძინებულიყო; მეზობელ ქვეყნებთან სათანადო, დიპლომატიური, სამეზობლო კავშირები წესრიგში მოეყვანა და თუ საჭირო გახდებოდა, საომარი მდგომარეობისთვისაც თადარიგი დაეჭირათ. და სწორედ სიმონ მეფის განთავისუფლება ტყვეობიდან და ირანის მოკავშირედ გახდომა ოსმალეთის წინააღმდეგ, დედა-შვილისაგან თადარიგის დაჭერაში აისახება. ამ მხრივ, პოლიტიკური კუთხით, სიმონ მეფეზე უკეთესი მიზანმიმართული, მოკავშირე და ენერგიული პიროვნება სხვა არავინ არ იყო. მართალია, მისი ძმა დაუდ-ხანი, სანამ სიმონ I ირანში ტყვედ იმყოფებოდა, შაჰის კარმა იგი ქართლის მეფედ გამოაცხადა, მაგრამ დაუდ-ხანი ვერც არა ქართლს პატრონობდა და არც არა სარგებელი ირანისათვის შეეძლო (მისმა უნარიანობამ მხოლოდ ძმასთან დაპირისპირებაში იჩინა თავი).

ხუდაბენდეს დედა, ოთარ შალიკაშვილის ასული, იმ დროის პოლიტიკის ღრმა ანალიზის ორიენტირი და მცოდნე, დაჯერებულია ქართველების ერთგულებაში, რაც დაუმტკიცეს ირანის ტახტზე მისი შვილის მოყვანით. ქართველებისადმი მისი ნდობა სიმონ I-ის მიმართაც აისახა იმ ხანებში. ხუდაბენდემ კახეთის მეფე ალექსანდრე II, რომელსაც ორიენტაცია ოსმალეთისაკენ ეჭირა და მისი ქვეშევრდომობის გახდომის მსურველი იყო, ამ მიზეზით კახეთის ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა. მის მაგივრად ირანის კარზე მყოფი, ალექსანდრეს უფროსი ძმა, მაჰმადიანობამიღებულის (იესე) ისა-ხანი დანიშნეს. ამ საქმეშიც ხუდაბენდეს დედის აზრი უნდა ყოფილიყო გატარებული.

სიმონ მეფესაც, დროებით, ფორმალურად, ჰქონდა მიღებული მუსულმანობა, ჯანდაბას, ეს დროებით... ესეც მხოლოდ შაჰთან ერთგულების გამოსახატავად ჭირდებოდა, მეტი არაფერი. რადგან ასეთი ბედნიერი დღეები დაუდგა, ყველაფერიც მოესწრება, მთავარია, ირანიდან გამოადწიოს და მერე თვითონ იცის, რა უფრო ესაჭიროება თავის სამშობლოს.

იმ ვითარებებში მართებულია, აღინიშნოს პარალელი მოვლენები. სიმონ მეფე პირობადადებული წამოვიდა ირანიდან, ხუდაბენდესა და დედამისს აღუთქვა, რომ

ოსმალები გაერეკა ქართლის ციხეებიდან, როგორც ირანის მოკავშირეს ირანულ ჯართან ერთად.

დავაკვირდეთ, ხაზი გავუსვათ და შევადართო სიმონ მეფის მდგომარეობა შემდგომში გ. სააკაძის მდგომარეობას. ისიც ირანიდან, შაჰ-აბასისაგან, პირობადადებული წამოვიდა საქართველოში. მათი ორივესი, სიმონ I-ისა და გ. სააკაძის მიზანსწრაფვა ერთი იყო, როგორმე ირანიდან გამოეღწიათ. ირანიდან გამოღწევისათვის უპირველესად ნდობა იყო საჭირო. ეს ნდობა სიმონ მეფის სასარგებლოდ თავდაპირველად ირანში მყოფმა ქართველებმა შექმნეს. როცა ხუდაბენდე ირანის ტახტზე აიყვანეს, სიმონ მეფე, თავის მხრივ, თავისთავადაც სანდობას იმსახურებდა, თავისი გაუტეხავი და მტრებთან ენერჯიდაუზოგავი ომებით. გ. სააკაძემ შაჰ-აბასთან ნდობა თვითონ მოიპოვა, თავისი დაუღალავი მარჯვენით.

სიმონ I-ის მოკავშირეობა ირანთან, სრულიად ჯანმრთელი, გონივრული გადაწყვეტილება იყო. მან კარგად იცოდა, დასუსტებული ქართლის ძალებით მარტოს გაუძნელებოდა ოსმალთა განდევნა აღმოსავლეთ საქართველოდან. სიმონ მეფე ერთ მტერთან მოკავშირეობით მეორე მტრის განადგურების მოსურნეა. გ. სააკაძეც სწორედ მეფის ამ გონიერ გადაწყვეტილებას მიაქცევს ყურადღებას და თვითონაც ცდილობს 1626 წელს, როცა შაჰ-აბასმა დაუდ-ხან უნდილაძე გამოგზავნა, რომ ქართველებს შორის განხეთქილება ჩამოეგდო სააკაძის გასანადგურებლად, სააკაძე ცდილობს ოსმალეთთან მოკავშირეობას, რათა ერთობლივი ოსმალურ-ქართული ჯარებით მისგან დამარცხებული ირანი ბოლომდის გაანადგუროს.

საქართველოს ისტორიაში აღნიშნულია სიმონ მეფის საბრძოლო მოღვაწეობა მისგან გადახდილი დიდი მნიშვნელობისა და შედარებით ნაკლები მნიშვნელობის ომების ისტორიები. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ და მიმოვიხილოთ მისი ეპოქა, პარალელები გავავლოთ შემდგომში მისგან მაგალითადებული გ. სააკაძისაგან გადახდილი ომების საერთო მახასიათებელ შინაარსებს შორის.

გაგრძელება იქნება.

თამარ ჯაჭვაძე

გორგასალის ნაკვალევზე

თბილისიდან აღმოსავლეთით 25 კილომეტრში საგარეჯომდე, მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირას საქართველოს ისტორიის ერთი პატარა, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი ნამსხვრევი მიმალულა. უჯარმის ციხის ნანგრევები – ასე იხსენიებდნენ, წინა საუკუნეში, ამ მივიწყებულ ნამსხვრევს. სწორედ აქ აღიმართა საქართველოს ქრისტიანობის მესამე „ჯვარი პატიოსანი“.

პირველი ცნობა უჯარმის შესახებ III საუკუნის პირველი მეოთხედიდან გვხვდება იგი მირდატის ძეს ასფაგურს აუშენებია. კახეთის, კუხეთის და ჰერეთის მიჯნაზე აგებულ ამ ციხე-ქალაქს სამხედრო ადმინისტრაციული დანიშნულება ჰქონია. იგი დაკავშირებული იყო მთიან ზოლთან ჟაღეთსა და მთიანეთთან, ერწოსა და არაგვის ხეობასთან. უჯარმა ერთადერთი გამოსავალი ყოფილა ბარში – ხაშმის, გიორგიწმინდის, საგარეჯოს მხარეს, – ამავე დროს მნიშვნელოვანი მაკონტროლებელი პუნქტი, შეიძლება ითქვას კარიბჭე.

ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით გვხვდება ცნობები, რომ წმინდა ნინოს მოღვაწეობა მცხეთის შემდეგ კახეთის მხარეს ვითარდება; უჯარმა, ბოდბე, კაწრეთი. როგორც საერო, ისე საეკლესიო ცხოვრებაში უჯარმა გვევლინება ქართლის სამეფოს მეორე ისტორიულ ცენტრად. 500 წლის მანძილზე იგი მეტოქეობას უწევდა მცხეთას. ეს ცენტრი ძლიერდება მესუთე საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასალის მეფობისას.

ვახტანგ გორგასალმა ჰერეთის მხარე შეიერთა. მან შექმნა ეპარქიები, დასვა ეპისკოპოსები ნინოწმინდას, უჯარმასა და ჭერემში... და იწყო აღმშენებლობის ჟამი. კახეთი და ჰერეთი დიდმა მეფემ ირანთან ბრძოლის დასაყრდენი გახადა. ქალაქი მტკიცე გალავნით, ეკლესიებით, მოსახლეობით, ხელოსნებით და ვაჭრებით სიცოცხლის ოაზისად იყო ქცეული... აქ 502 წელს აღესრულა თავად ვახტანგ გორგასალი, ერის და ქრისტიანობის დიდი მოამაგე და ქომაგი.


ვახტანგის მემკვიდრის დაჩი უჯარმელის დროს ერთხანს შემორჩა უჯარმას სამეფო რეზიდენციის სტატუსი... შემდგომშიც გამოკრთება ხოლმე ქართლის ცხოვრებაში უჯარმის მნიშვნელობა მცხეთისა და თბილისის გვერდით.

მურვან ყრუს შემოსევისას არჩილ მეფე აქ მალავს სახელმწიფო საგანძურის ნაწილს.

X საუკუნიდან უჯარმა კარგავს პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრის დანიშნულებას. უჯარმაზე გამავალი სავაჭრო გზაც იკარგება ისტორიის ხლართებში.

ივრის მარჯვენა ნაპირას აგებული ციხე-ქალაქი შედგება ორი ნაწილისაგან. მდინარის გასწვრივ 75 მეტრის სიმაღლეზე აღმართულ სერზე მდებარეობს შიდა ციხე. ქვედა ციხე, ანუ ქალაქი, ეკვრის შიდა ციხეს დამრეცი კლდოვანი ფერდობიდან, შემდეგ გრძელდება დავაკებაზე და მდინარის ნაპირამდე ჩადის.

ურთულესი კლდოვანი რელიეფია ქვედა ციხის ფუძე. უაღრესად განვითარებული ტექნიკის პირობებშიც კი თითქმის შეუძლებელია ასეთი რთული ნაგებობის შექმნა;



სურ. 60. უჯარმა, ციხის რეკონსტრუქცია. ა. ციციშვილის მიხედვით.

გრძივი – 105; 96, განივი – 99 მეტრის კედლები სწორკუთხედის ფორმისაა.

გრძივ კედლებში ოთხ-ოთხი კოშკია. კედლების სისქე – 140-145 სანტიმეტრი ყოფილა.

შიდა ციხეში არის სასახლე, კუთხური კოშკი, ეკლესია ჯვარი-პატოსანი, ცალნავიანი ეკლესია, სათავსო, დიდი წყალსაცავი, მცირე წყალსაცავი გალავნები და კოშკები.

უჯარმის ციხე-ქალაქის ნანგრევებში შეიძლება დაინახო მისი არსებობის აღდგენისა და განახლების საფეხურები. აქ აღმოჩენილია მარნების, თონეების, ქვევრების ნამსხვრევები.

ვინ იცის რამდენ ომგადახდილია საქართველოში თითოეული ნამსხვრევი თუ ნანგრევი, თითოეული ბილიკი და მთა-ბარი. იქნებ უჯარმის ქალაქზეც შექმნა ვინმემ თბილისის დაბადების მსგავსი ლეგენდა და დროის მდინარებამ წაშალა ციხის ნანგრევებით? მით უმეტეს ქართველთა ქრისტიანობის დედის წმინდა ნინოს ფეხდადგმულია ეს მიწა.



მიუყვებით უჯარმის გზას, თექვსმეტი საუკუნის წინ ვახტანგ გორგასალი სადაც დადიოდა, სადაც იბრძოდა და აღესრულა საქართველოს მეფე-ლეგენდა.

ჩვენი წინამძღოლი და გიდი კარლო ნადირაშვილია. საგარეჯოს რაიონში ეს სახელი კარგადაა ცნობილი. მრავალი, ერის ტკივილით გულატკივებული გარეჯელი გიამბობთ, რომ ეს ის კაცია ვახტანგ გორგასალის ქალაქი კიდევ ერთხელ რომ ააშენაო.

შეგნებულად არ დაგვიკონკრეტებია ვინ არის კარლო ნადირაშვილი – პოლიტიკოსი, მეცნიერი, ისტორიკოსი, მეცენატი, პროფესორი, აკადემიის წევრი... ???

არა ბატონი კარლო ის პიროვნებაა, ის ერთი ქართველია, ვინც დადის საქართველოში და საქართველოს ნამსხვრევებს ეძებს. იგი ჩვენი თანამედროვე დონ-კისოტია, მაშინ, როდესაც მაგანნი გამდიდრების წყაროს ეძებენ და ეწაფებიან, ომში თუ ქარში, გაჭირებისას თუ ძნელებელობისას ბატონი კარლო ქართული სულის ნაკვალევს ასდევნებია. დიდია მისი დამსახურება 1994 წლის 7-14 ოქტომბერს, ყოველთა ქართველთა მსოფლიო პირველი ფორუმის ჩატარებაში.

როდესაც საქართველოს მიწა წარსულიანად და მომავლიანად ნაწილ-ნაწილ იყიდება, ხმლითა და თოფით ვერდაპყრობილი, ახლა ფულით იზიდება საზღვარგარეთ, მუჭა-მუჭა კი არა, რაიონებად და ოლქებად დაყოფილ-დაქუცმაცებული, სწორედ მაშინ გამოჩნდებიან ქართველი დონ-კისოტები და ყიდიან საკუთრებას, მთელი ცხოვრება ნაგროვებ ქონებას, რათა ერთი გოჯი საკუთარი ქართული მიწა იყიდონ, რომ გადამთიელი არ მოვიდეს და არ მიითვისოს.

დიდი ვახტანგ გორგასალის ციხე-ქალაქი გაუდაბურებული დახვდა კარლო ნადირაშვილს, როდესაც დიდი მამულიშვილური საქმის წამოწყება დააპირა.

მას რამდენიმე პატრიოტთან ერთად საკუთარი ხელით გაუწმენდია შიდა ციხე, სადაც ნანგრევებზე, შემოსეული ურდოსაგით, თავხედურად ასულიყო ნარ-ეკალი, ხე, ძეძვი და ბუჩქი. არც მომლოცველთა ხელი “დაჰკლებოდა“ წარმართობაშერჩენილებივით რომ ამოლიოღნენ, რათა გორგასალის ნაკვალევზე ფეხი დაედგათ და საკლავი შეეწირათ.

დიდ საქმეს დიდ ძალისხმევასთან და დიდ სიყვარულთან ერთად დიდი სახსრებიც ხომ სჭირდება? და დაიწყო კარლო ნადირაშვილმა მოქმედება მსოფლიო ბანკისა თუ ძეგლთა

დაცვის თუ კულტურის მუშაკებთან. ღვთიური მადლიც წამოეშველა ვახტანგ გორგასალისა და წმინდა ნინოს ნაკვალევს ადევნებულ ერისკაცს... და ნელა-ნელა სიმწვანე მოძალებული მთის წვერზე წამოიმართა ქვისფერი, საქართველოს ისტორიის ნანგრევები. შედგა მარშრუტი, რომელიც თამარ მეფის ხიდიდან იწყება. ხიდი გვიანდელია, როგორც ლეგენდა გვიამბობს; ეტლი ჩავარდნია მეფე-დედოფალს და უბრძანებია მეორედ გამოვლისას ხიდი დაეხვედრებინათ. თამარ დედოფალს გადაუვლია თუ არ იმ ხიდზე ეს არაფერ იცის, მაგრამ ასე მკვიდრად ნაგებ, აგურის ხიდზე საუკუნეები გადმოდიოდნენ იგი კი იდგა მყარად და დაურღვეველად და დღესაც ასევე დგას.



სიყვარულით საუბრობს კარლო ნადირაშვილი; ამბარას ქედზე, IV - V საუკუნეების მღვიმეზე, შიდა, რომელიც აღსადგენი და გასაწმენდია, გამოქვაბულზე, სადაც ფრესკები ყოფილა შემორჩენილი, ვახტანგ გორგასალის საყვარელ წყაროზე, რომელიც დღეს მოპირკეთებულია და მოქმედი. საოცარი განცდა ეუფლება მნახველს, აქ ხომ გორგასალს შეუსვამს “წყარო მთების სურიდან”(მირზა გელოვანი). დღეს იმავე წყაროს ეწაფება ჯერ კიდევ ქართველად დარჩენილი საქართველო.

მაღალ ბორცვზე გადმომდგარი ნაგებობა შეგვეფთება, ეს უძველესი კვირაცხოვლის ეკლესიაა – ორნავიანი ბაზილიკა. შეჭყურებს და შორიდან თვალებით ეფერება ბატონი კარლო, კიდევ ერთ სიწმინდეს.


შიდა ციხეში არის ერთი უმთავრესი კუთხე, ეკლესია ჯვარი-პატიოსანი, სადაც მომავლის იმედივით ციმციმებენ სანთლები. ჯერ კიდევ აღდგენის სტადიაში მყოფი მთელი კომპლექსის ფონზე, ეს ქრისტიანული სულის პატარა ოახისია, ხატებით, ჯვრებით და სიწმინდეებით გამოცოცხლებული... საგდუხტ დედოფალივით წარმართობაგამოვლილი და ბოლოს მაინც ქრისტიანობის ბურჯად და მცველად დარჩენილი. მოკრძალებული ადგილას მოკრძალებული სურათები გადავიღეთ და გავაგრძელოთ დათვალიერება.




წმინდა რაჟდენ პირველმოწამის ეკლესიაც ყოფილა შიდა ციხეში. საქართველოში სულ ორი ეკლესიაა რაჟდენ პირველმოწამის სახელზე აგებული – გვიხსნის ბატონი კარლო ნადირაშვილი – ერთი ნიქოზში, სამაჩაბლოში დარჩენილ(ცინ იცის როგორ შფოთავს და ბორგავს გორგასალის სული ზეციურ საქართველოში!) მეორე უჯარმის კედლებშია ზურაბივით ჩატანებული და ელის მოამაგე ხელს.

გორგასალის დარბაზიდან მოჩანს ხაზინის მთა, აქ ალბათ არჩილ მეფის მიერ გადამალული განძის ადგილსამყოფელიც იქნებოდა მურვან ყრუს შემოსევის დროს. თავად დარბაზი კი... აღმოსავლეთის მაღალი კედელი და ზედა სენაკი შერჩენია დარბაზს. ამ პატარა სენაკში უცხოვრია ლეგენდად ქცეულ, გოლიათ მეფეს, აქ მჯდარა ვახტანგ გორგასალი, აქ უქმნია დარბაზობა, აქ მოელოდა დიდი მეფის განაჩენს მთლად საქართველო; ერი და ბერი. დღეს კი დგას ეს საქართველოს დიდებულების ნანგრევი, ჟამთასვლაზე და წარმავლობაზე გამეტოქებულ-გამარჯვებული... დგას და ელოდება ქართველობას.

2013 წელი



დამანა მდივნიშვილი (მეცნიერი)



ჩვენგან წასულ დიდ ადამიანებს არა მხოლოდ მათ უკვდავსაყოფად იგონებენ, ან ახლობლების გულის მოსაოხებლად, ან კიდევ მეგობრებისა და ნაცნობებისაგან მათი მისამართით გამოთქმული ხოტბა-დიდების მოსასმენად, რადგან, როგორც ზოგიერთს ჰგონია, თუ ამქვეყნიურ სიცოცხლეში დააკლეს სიტბო და სიყვარული, ახლა, მისი წასვლის შემდეგ, შესძლებენ დანაკლისის ანაზღურებას. მეტ-ნაკლებდ, უდაოა, ეს ასეც არის, მაგრამ ამ მოგონებებში მთავარი მაინც დიდი ადამიანების ცხოვრების იმ მაგალითების გასხენებაა, რომლებზეც მომავალი თაობები უნდა აღიზარდონ, რადგან სწორედ ეს მაგალითებია, დიდქტივისა და ჭკუის სწალების გარეშე რომ უნერგავენ ახალგაზრდებს ქვეყნის სიყვარულს, პატიოსნებას, პროფესიონალური ზრდის აუცილებლობას, გოგონებს - კდე-მამოსილებას, ვაჟებს - რაინდობას. აკადემიკოს ზაალ კახიანის

ცხოვრებაში ასეთი მაგალითები უხვად მოიძებნება, თუმცა ალბათ აქაც დაზუსტებაა საჭირო. მოიძებნება რომ ვთქვით, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, ექებო და ოპოვნო. ამ შემთხვევაში კი ძებნა სულაც არ დაგვჭირდება, რადგან ზაალ კახიანის მთელი ცხოვრება ასეთი მაგალითებისაგანაა აკინძული. აქ მხოლოდ გამორჩეულობის ნიშნით შერჩევა თუ დაგვეხმარება, ან ისეთი ამბავი უნდა გავისხენოთ, რომელიც ამ დიდი პიროვნების ბუნებას მრავალი წახნაგიდან წარმოგვიჩენს, ზოგჯერ კი იმ ადამიანების აზრს გავვეცნოთ კოლეგაზე, მეგობარზე, უბრალოდ ადამიანზე, რომლებიც თავად არიან ჩვენი საზოგადოებისათვის მაგალითისა და ტონის მიმცემი.

ვფიქრობთ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, თბილისის სამედიცინო აკადემიის ქიმიის კათედრის გამგის, პროფესორის, დრამატურგის ბატონ რეზო კლდიშვილის მოგონება სწორედ ასეთების რიცხვს მიეკუთვნება. *"...პარიზში მიფრინავდა, თვითმფრინავში ინოკენტი სმოკტუნოვსკის წარუდგინეს-Профессор Заал Николаевич Кахиани из Грузии. განებიერებულმა იმპერიის ვარსკვლავმა ყოველგვარი მორიდების გარეშე გამომწვევად უპასუხა - "Откуда грузину знать, кто такой Инокентий Смоктуновский! Они кроме вина и застолья ничего не знают". ბატონი ზაალი სმოკტუნოვსკის ამ ფრაზას უპასუხოდ ტოვებს, გულში რას გაიფიქრებდა, ეს გასაგები უნდა იყოს. თვითმფრინავში გვერდი-გვერდ აღმოჩნდნენ (იქნებ თავად ბატონ ზაალის მცდელობით!). მოსკოვიდან პარიზამდე ღვთის მადლით დროის დეფიციტი ნამდვილად არ ექნებოდათ. საღიეროდან ჰამლეტამდე კინოსა და თეატრში თუ რამე უთამაშია, ყველაფერი პირწმინდად გაურჩევია...ერთი სიტყვით, განშორებისას სმოკტუნოვსკის უთხრებია -" Заал Николаевич, я очень прошу, моё хамство и невежество не распространяйте на весь русский народ". ჩვენი მხრიდან დაუშვებელი - ერთი ქართველის განსწავლულობამ და თავშეკავებამ "დიდ რუს ძმას" არა მხოლოდ ქართველების ინტელექტი და მაღალი კულტურა წარმოუჩინა, არამედ საკუთარი უმეცრებაც დაანახვა და აღიარებინა და ბოდოშიც კი მოახდევინა...*

ბუნებრივია, ბიოგრაფიული ნარკვევის წერისას ვერ ვუღლატებთ ჟანრის ტრადიციებს და მოკლედ მაინც უნდა გავისხენოთ ის ღირსახსოვარი მოვლენები და თარიღები ბატონ ზაალ კახიანის მრავალფეროვანი და მსჭეფარე ცხოვრებიდან და ის ადამიანები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს იგი როგორც პიროვნება და როგორც პროფესიონალი.

ზაალ კახიანი დაიბადა 1927 წლის 5 ივლისს, თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის, ქართული პრაქტიკული და მეცნიერული ქირურგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, თვალსაჩინო კლინიცისტისა და პედაგოგის, პროფე-

სორ ნოკოლოზ კახიანისა და მომვალში გამოჩენილი მეან-გინეკოლოგის, პროფესორ ბორის დოლობერიძის მოსწავლის, ტერეზა მაჭავარიანი-კახიანის ოჯახში.

”მამაჩემი ...ლამაზი, ახოვანი კაცი იყო და საოცრად ფიქრიანი თვალები ჰქონდა. იცით, როგორ ოპერაციებს აკეთებდა აკრომეგალიების დროს... პირის ღრუდან იღებდა ჰიპოფიზის წინა ნაწილს...ამას როგორ აკეთებდა, დღესაც წარმოუდგენელია ჩემთვის. მართლია, მამამ თავის დროზე თუ 30 რეზექცია გააკეთა, მე 3000 მაქვს გაკეთებული, მაგრამ მამაჩემის მიერ ჩატარებულ ზოგიერთ ოპერაციას მე დღესაც ვერ ვაკეთებ... ძალზე ახალგაზრდა, 44 წლისა გარდაიცვალა” (ზაალ კახიანის ინტერვიუდან).

ზაალი ოჯახის უმცროსი ვაჟი გახლდათ. საული, მომავალში ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის თვალსაჩინო სპეციალისტი და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პროფესორი, რომელიც, ბატონ ზაალის თქმით, თავის ”მშრალ” საგანს ისე უკითხავდა სტუდენტებს, რომ ისინი მას პირდაპირულები უსმენდნენ, 6 წლით უფროსი იყო ზაალზე და ბავშვობში მას საკმაოდ მკაცრად ექცეოდა. თავდაპირველად ჩხუბშიც და ჭიდაობაშიც ჯაბნიდა ძმას, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს უმცროსამა უფროსს თავისი ნამდვილი ძალა უჩვენა და საული მიხვდა, რომ პატარა ზაალისათვის ანგარიში უნდა გაეწია. იმხანად ოჯახი ვერაზე, ყაზბეგის ქუჩაზე ცხოვრობდა. მოგვიწვიანით ისინი იმდროინდელ პლენარის გამზირზე გადავიდნენ საცხოვრებლად. სწორედ ამ უბანში, თბილისის კოლორიტების სამჭედლოში, გაიზარდა ბატონი ზაალი. აქ დაამთვრა საშუალო სკოლა და აქ დაუმეგობრდა მომავალში ცნობილ თბილისელებს, რომელთა შორის იყვნენ თემიკო ჩირვაძე (ჯერ კიდევ ვერიდან მეგობრობდნენ), ალიკო ტატიშვილი, ჯანა სვანიშვილი, სულხან ნასიძე, რეზო ჩხეიძე და სხვები და სხვები, რომლებთანაც მთელი მომდევნო ცხოვრება მეგობრობდა. ახალგაზრდობაში ჩხუბიც ჰყვარებია და, როგორც თავად იხსენებდა ჭარმაგობაში, ძლიერი მკლავის პატრონი, ყოველთვის იმარჯვებდა კიდევ. ცურვაც ეხერხებოდა. არაერთხელ გადაუცურავს ზღვა გაგრიდან ახალ ათონამდე.

8 თვისა და 6 წლის ასაკში დაობლებულმა ძმები კახიანები, დედისა და ბიძის, ალექსანდრე მაჭავარიანის მონდონობებითა და მცდელობით, მათი ოჯახისათვის საკადრისად აღზარდეს. ქალბატონმა ტერეზამ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მისი მეგობრების დაჟინებული მოთხოვნით, სამედიცინო განათლება მიიღო და როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ცნობილი მეან-გინეკოლოგი გახდა. სამწუხაროდ, ისიც ძალიან ადრე, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ ნიჭიერმა ქალბატონმა მაინც მოასწრო წონადი წვლილი შეეტანა მეანობაში. სწორედ ტერეზა მაჭავარიანი გახდა მშობიარობის გაუტკივარობის მეთოდის ფუძემდებელი. ბიჭუნებს ფრანგულს მადმუაზელ ბოვიზაჟი ასწავლიდა, მუსიკას კი აკადემიკოს ჩუბინაშვილის მეუღლე. თუმცა, ბატონ ზაალის აღიარებით, მან დახვეწილი ფრანგული ასპირანტურაში შეისწავლა, როილზე დაკვრა კი ნოტების გარეშე, აბსოლუტური სმენის წყალობით აითვისა.

სწორედ მის მუსიკალურ გემოვნებას და ოპერის სიყვარულს უკავშირდება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის, ამიერკავკასიის კონკურსის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის მზია დათუნაშვილის მოგონება: *”ბატონი ზაზა ჩემს მეცადინეობებს ხშირად ესწრებოდა. იგი არაჩვეულებრივად ერკვეოდა ვოკალში და ამ კუთხით იყო მაღალი გემოვნების და ჩემი ობიექტური შემფასებელი. წარმოიდგინეთ, პირველმა მან შემასწავლა პუჩინის ოპერა ”ტოსკა” ტოსკას არია.”* ზაალ კახიანმა საშუალო სკოლა 1945 წელს დაამთავრა და უყოყმანოდ აირჩია მშობლების პროფესია - სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1951 წელს. ინსტიტუტში კი მას სახელოვანი მამის კოლიგები და ყოფილი მოწაფეები ეხვიენ გარს, თვალს არ აშორებდნენ, წაბორძიკების ნებას არ აძლევდნენ... და ახალგაზრდა კაცი, განსაკუთრებით ვიწრო სპეციალობის არჩევის შემდეგ, თავდაუზოგავად შეუდგა სწავლასა და

შრომას. საკუთარ თავს მცირე შეღვათის უფლებასაც არ აძლევდა - მას ხომ არც მამის სახელი არ უნდა შეერცხვინა და პედაგოგების იმედებიც უნდა გაემართლებინა. და მაინც, ვინ იყვნენ ქართული სამედიცინო სკოლის ის კორიფეები, რომელთა ზეგავლენისა და მუდმივი ყურადღების ქვეშ ყალიბდებოდა ახალგაზრდა სპეციალისტის არა მხოლოდ პროფესიონალიზმი, არამედ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, ზნეობრივი თვისებები და მორალური პრინციპები...სწორედ ზაალ კახიანის სტუდენტობის წლებში მოღვაწეობდნენ სამედიცინო ინსტიტუტში სამედიცინო აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, აკადემიკოსები: ალექსანდრე ნათიშვილი, გრიგოლ მუხაძე, ვლადიმერ ქლენტი, კონსტანტინე ერისთავი, მიხეილ წინამძღვრიშვილი, ალექსანდრე ალადაშვილი, ეგნატე ფიფია და სხვები და სხვები... და სწორედ მაშინ, სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის წლებში, გამოუმუშავდა მომავალ დასტაქარს ის ნატიფი გემოვნება, მუდმივი სწრაფვა ახლის ძიებისადმი, განათლების გაღრმავებისაკენ, შრომისმიყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითკრიტიკულობაც, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ზაალ კახიანი როგორც უმაღლესი რანგის პროფესიონალი და საზოგადო მოღვაწე, რამაც ჩააყენა იგი ქართული სამედიცინო ელიტარული კოჰორტის რიგებში და გახადა მისი აღიარებული ლიდერი. ეს არც თუ ადვილი მისაღწევი იყო იმხანად, თუ გავისხენებთ, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში სამედიცინო მეცნიერების აღმავლობის პერიოდადაა მიჩნეული და საკუთარი ინიციაციის დასრულება ნიჭიერ ახალგაზრდებში და ლიდერის პოზიციების შენარჩუნება სიცოცხლის ბოლომდე, მხოლოდ რკინისებური ნებისყოფის, მრავალმხრივად და ღრმად ერუდირებულ ადამიანს თუ ხელეწიფებოდა მხოლოდ...

სწორედ ასეთი გამორჩეული თვისებების ადამიანი თუ შესძლებდა იმ უზარმაზარი და წონადი სამეცნიერო მემკვიდრეობის დატოვებას, რომელიც ბატონმა ზაალმა შექმნა. მართლია, სამეცნიერო საქმიანობით სტუდენტობაშიც იყო დაინტერესებული, მაგრამ მისი საღისერტაციო ნაშრომით "კანის კიბოს ექსპერიმენტული რეპროდუქტირება და ანთებითი და სიმსივნური პროცესების ურთიერთობანი", რომელიც ასპირანტურაში სწავლისას შეასრულა რეკორდულად მოკლე დროში (ასპირანტურაში 1951 წელს ჩააბარა, დისერტაცია კი ბრწყინვალედ დაიცვა 1954 წელს) აკადემიკოს ლ.შაბადის ხელმძღვანელობით, სპეციალისტების აღიარებით, ახალგაზრდა მეცნიერმა ახალი სიტყვა თქვა ონკოლოგიაში.

...და დაიწყო ზაალ კახიანის აქტიური სამეცნიერო-პრაქტიკული და საზოგადოებრივი ცხოვრება. ამ საქმიანობას დიდი დრო მიჰქონდა, მაგრამ არც სიყვარულზე და დიდ გატაცებებზე ამბობდა უარს. ცოლად 18 წლის უბნის თვალი, მშვენიერი ეთერი შეირთო, თუმცა 4 წელიწადში დაქვრივდა. მომხიბლავი ქალბატონი ნაირა ხაზარაძე, რომელიც მისი ცხოვრების თანამგზავრი და თანამოაზრე გახდა, ბატონმა ზაალმა მოგვინებით გაიცნო. მათ ორი ქალიშვილი - ჯანა და ვარვარა შეეძინათ, რომლებმაც სამი შვილიშვილით - ქეთით, ირინეთი და ირაკლით და ერთი შვილთაშვილით - ელენიკოთი გაამდიდრეს კახიანების ოჯახი. დიდი გატაცებები კი .რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, მუსიკა, მხატვრობა და ლიტერატურა გახლავთ. მშვენივრად ცეკვავდა, რაშიც მისი დახვეწილი გარეგნობა - ახოვანი ტანადობა, ინტელიგენტურობა, მამაკაცური მომხიბვლელობა და ესთეტიზმი ჩაცმულობაშიც კი, უწყობდა ხელს. და რომ გეკითხათ, რას ანიჭებდა უპირატესობას, ალბათ ხელოვნების იმ დარგს დაგისახელებდათ, რომლითაც იმ მომენტისათვის იყო დაკავებული.

„ზაზა კახიანმა ძალიან საინტერესო ნაწარმოებები დაგვიტოვა ფერწერისა და გრაფიკის დარგში. აქ არის ოსტატურად შესრულებული ნატურმორტები, პეიზაჟები და პორტრეტები(თვითნასწავლი მხატვრობის კონკურსში ბატონმა ზაალმა მიიღო ფიროსმანის პრემია "ქართი გოგონას" პორტრეტი - ავტორის შენიშვნა). განსაკუთრებულ შთბეჭდილებას ტოვებს მეგობრული შარავების სერია, რომელიც გამოირჩევა მართლაც მეგობრული განწყობილებით, რბილი იუმორით, სადაც გამორიცხულია სარკაზმი და შეუ-

რაცხმყოფელი დაცინვა პერსონაჟების მიმართ. გიორგი თოთიბაძე - საქართველოს სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მხატვარი. 2001 წლის სექტემბერი.

1950-1954 წლებში სატრულ-იუმორისტულ ჟურნალში "ნიანგი" "რიკოთელების" ფსევდონიმით ძმები საულ და ზაზა კახიანები აქვეყნებდნენ გამოჩენილი ქართველი მედიკოსების პორტრეტები, რომლებიც მაღალ პროფესიულ დონეზე იყო შესრულებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძმები კახიანების ნამუშევრების გამოფენები ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ეწყობოდა, მოგვიანებით კი მათი ვერნისაჟებით არა ერთხელ მოხიბლულა ჩვენი საზოგადოება სხვადასხვა საგამოფენო დარბაზებში.

ბატონ ზაზას ფერწერას აშკარად ეტყობოდა იპრესიონისტების გავლენა. იგი აღტაცებაში მოჰყავდა მონეს გამჭვირვალებას და დეკას მიერ წამის მეათედებში "დაჭერილ" დინამიურობას. მის მიერ შექმნილ ყველა ტილოში ჩაქსოვილია ის სიამოვნება, რომელსაც იღებდა ნაწარმოების შექმნისას.

"მაყურებელს ყოველთვის სიამოვნებას გვრიდა მისი ჩამოთლილი თითების მუშაობა, თითებისა, რომლებიც თვისუფალ დროს ასევე იპყრობდნენ მსმენელთა ყურადღებას მუსიკალური ნაწარმოების შესრულების მაღალი დონით. ჩემთვის დაუფიქარი იქნება ის საღმო, როდესაც ბატონი ზაზა მაღლი პროფესიონალიზმით უწევდა აკომპანიატორობას რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ნადეჟდა ხარაძეს - ეს ხდებოდა ზ. კახიანის ნამუშევრების გამოფენაზე მოწყობილ იმპროვიზებულ კონცერტზე." ბიძინა კაპანაძე - დოცენტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

საგულისხმოა, რომ ბატონი ზაზაალი ერთნაირი ოსტატობით ასრულებდა კლასიკურ ნაწარმოებებს, ჯაზს თუ საესტრადო სიმღერებს. შესანიშნავი ხმის პატრონი იყო და ხიბლავდა მსმენელებს ძველებური რომანსების, საყვარელი არიების ოპერებიდან და ქართული ხალხური სიმღერების შეარულებით. იყო ხალხური მუსიკის უბადლო შემფასებელი და ქომაგი.

"ბატონ ზაზას თანდაყოლილი, მრავალმხრივი ნიჭიერება უხვად ჰქონდა მომადლებული. რომანტიკული, ინტელექტუალური აღნაგობის პიროვნებას, კიდევ უფრო აღამაზებდა და აღაფრთოვანებდა ტრფობა პოეზიისადმი (თავადვე თარგმნიდა ბელა ახმადულინასა და მარინა ცვეტაევას ლექსებს - ავტორის შენიშვნა), მუსიკისადმი, მხატვრობისადმი. მის მიერ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები, წაკითხული ლექსი თუ მხატვრული ტილო განაცვიფრებდა ყველას, ვისაც ამის ხილვისა თუ მოსმენის შესაძლებლობა მიეცემოდა. ნატიფი გემოვნება, სიღამაზის აღქმის დიდი უნარი, ემოციური და მდიდარი ლექსიკა ხიბლავდა და იზიდავდა მის გარშემო სასაუბროდ განწყობილთ". ავთნდილ ჯორბენაძე, ჯანგირ მამალაძე. 2003 წელი.

ჩვენ უეჭველად დავუბრუნდებით ჩვენი თხრობის განმავლობაში ბატონ ზაზალის მეგობრების, კოლეგების, მოწაფეებისა და ახლობლების მოგონებებს ამ არაჩვეულებრივ და მრავალწახნაგოვანი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანზე, მაგრამ ახლა მისი მართლაცდა მრავალფეროვანი ცხოვრების ქრონოლოგიას დავუბრუნდეთ.

1954 წელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ინსტიტუტის ასპირანტურის დამთვრების შემდეგ პათოლოგიური ანატომიის განხრით, ზაზა კახიანი აირჩიეს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სწავლულ მდივნად და ამის შემდეგ, მრავალი წლების განმავლობაში, მისი პრაქტიკული, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა სწორედ ამ ინსტიტუტთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული. სწორედ აქ გადაწყვიტა ახალგაზრდა სპეციალისტმა ქირურგიაში დახელოვნება. მისი ძირითადი კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის ინტერესები მუცლის ღრუს ორგანოების ქირურგიას დაუკავშირდა და მოკლი ხანში, თავდაუზოგავი შრომისა და თანდაყოლილი ნიჭის წყალობით, მოახერხა ზოგიერთი ქირურგიული მანიპულაციის სრულყოფა და რაციონალური ვარიანტების დანერგვა, როგორც ექსპერიმენ-

ტალულ ონკოლოგიაში, ისე კლინიკურ და ექსპერიმენტულ ქირურგიაში. მის მიერ დანერგულ მრავალ მეთოდზე შეიძლება ითქვას, რომ მან პირველმა დაადგინა, მან პირველმა აღწერა ან კიდევ მან პირველმა შეიწავლა და ა.შ. ხოლო იმ პროცესებისა და მანიპულაციების ჩამოთვლა მხოლოდ სპეციალისტებისათვის იქნება გასაგები. სწორედ ამიტომ ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ მეთოდების დანერგვისათვის ბატონ ზაალს მიღებული აქვს რამდენიმე საავტორო უფლება. ბატონი ზაალი უშურველად უზიარებდა კოლეგებს თავის გამოცდილებას და ამიტომაც იყო, რომ მის მიერ დამუშავებულ მეთოდებზე ქირურგთა მთელი პლეადა აღიზარდა და დახელოვნდა. 1959 წლიდან ზაალ კახიანი ამავე ინსტიტუტის ქირურგიული ფაკულტეტის დეკანად დაინიშნა, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას დიდი წარმატებით უთვისებდა პარაქტიკული ქირურგის საქმიანობას. ზაალ კახიანმა, უკვე სახელმძღვანელო და გამოცდილმა დასტაქარმა, 1966 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომლის თემა თანამედროვე ქირურგიის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა და რომლის მეცნიერული კვლევის შედეგად ახალი კლინიკური მიმართულება შემუშავდა. ამ და სხვა მიღწევების გამო, სულ მალე ზაალ კახიანი, იმ დროისთვის ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი (იგი მხოლოდ 40 წლისა იყო), აირჩიეს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის გადაუდებელი ქირურგიის კათედრის გამგედ, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ედგა სათავეში. სხვათა შორის ეს კათედრა, როგორც გამონაკლისი, იმდროინდელ საბჭოთა კავშირში პირველად, 1960 წელს შეიქმნა იმუამინდელი სსრკ ჯანმრთელობის მინისტრის აკადემიკოს ბ. პეტროვსკის პირადი ბრძანებით და მას სათავეში გარდაცვალებამდე შესანიშნავი ქირურგი და პედაგოგი პროფესორი დავით შოთაძე ედგა სათავეში. სწორედ თავისი დამრიგებელი შეცვალა ბატონმა ზაალმა ამ პოსტზე და ბოლომდე ღირსეულად ატარა ეს ტვირთი.

რესპუბლიკის მაშიდელმა ხელმძღვანელობამ შეამჩნია მისი ორგანიზატორის დიდი ნიჭი და 1962 წელს ზაალ კახიანი დაინიშნა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილედ მეცნიერებისა და სწავლების დარგში. ამ პოსტზე მან 10 წელი დაჰყო და მრავალი ნოვატორული წამოწყებისა და სიახლის დამკვიდრება მოახერხა პრაქტიკაში. მისი კეთილისმყოფელი გავლენა მედიცინის მრავალ დარგს დაეტყო სასიკეთოდ. მათი ჩამოთვლა უთუოდ შორს წაგვიყვანდა და ამიტომ დაკონკრეტებას არ შევუძლებთ. ვფიქრობთ, იმის აღნიშვნაც სრულიად საკმარისი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ იმ წლებში საქართველოში იმატა შობადობამ და გახანგრძლივდა სიცოცხლის მაჩვენებელი, საგრძნობლად ამაღლდა ქართული სამედიცინო საზოგადოებრიობის საერთაშორისო ავტორიტეტი, გამოჩენილი ქართველი მედიკოსების ფუნდამენტურმა ნაშრომებმა უცხოელი კოლეგების აღიარება და ჯილდოები მოიპოვა. სწორედ ამ წარმატებების გამო ბატონი ზაალ კახიანი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

რაკი ჯილდოებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე აღვნიშნავთ, რომ ბატონი ზაალი ამ მხრივაც გამორჩეული გახლავთ. ამაში რომ დავრწმუნდეთ, მხოლოდ მის მიერ მიღებული ჯილდოების ჩამოთვლაც საკმარისი იქნება. 1980 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება; 1980 წელს ზაზა და საულ კახიანებს მიენიჭათ საქართველოს სახელმწიფო პრემია, თუმცა ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ცოტა ქვემოთ ვიამბობთ; დავით შოთაძის, არკადი ჯორბენაძის, გიორგი ხუნდაძის, ნიკოლოზ პიროგოვისა და სხვების ცხოვრებისა და სამეცნიერო, პედაგოგიური, პროფესიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი სამეცნიერო-პუბლიცისტური შრომებისათვის 1991 წელს მას მიენიჭა გამოჩენილი მოაზროვნისა და მეურნალის ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის პრემია, რითიც განსაკუთრებულად ამაყობდა; 1997 წელს სომხეთის ქირურგიულმა საზოგადოებამ ბატონი ზაალი აირჩია საპატიო ქირურგად და მიანიჭა ა.მიქაელიანის სახელობის ქირურგიის ინსტიტუტის ოქროს მედალი; 1998 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით. გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე ზაალ კახიანი თბილისის

საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. დიპლომთან ერთდ მერიიდან თბილისის სიმბოლური გასაღებიც გამოუგზავნეს. იგი იყო 6 აკადემიის, მათ შორის ევროპისა და ისრაელის იმპლანტაციის აკადემიის, ამერიკის კრიოქირურგიისა და ამერიკა - საქართველოს მედიცინის აკადემიის, იტალიისა და ლუიზიანას შტატის პლასტიკური ქირურგიის აკადემიის წევრი. 1997 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის კრებულში "საერთაშორისო აღიარებას მოღწეული ლიდერები", რომელიც 10 წელიწადში ერთხელ გამოიცემა, პროფესორ ზაალ კახიანის ღვაწლი და დამსახურება მეცნიერული და პრაქტიკული ქირურგიის განვითარებაში განსაკუთრებულადაა მითითებული. ზაალ კახინი დაჯილდოვებული იყო პიროგოვის სახელობის მედლით "ჰუმანური მოღვაწეობისათვის", დაჯილდოვებული იყო პოლონეთის მეცნიერების ისტორიის მე-11 კონგრესის საპატიო მედლით. ქირურგთა საკავშირო საზოგადოების არსებობის პერიოდში ბატონი ზაალი არჩეული იყო ამ საზოგადოების გამგეობის წევრად, ხოლო შემგომ იგი შეიყვანეს რუსეთის ქირურგთა ფედერალური საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში. იგი იყო დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის აბდომინალური ქირურგიის მონაკვეთის რედაქტორი. მან შემოქმედებითი მონაწილეობა მიიღო ყველა ტომის მომზადებასა და გამოცემაში.

მოუხედავად დიდი დატვირთვისა სამთავრობო პოსტზე ბატონ ზაალს არ შეუწყვეტია სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა. მას არც ერთი დღით არ გაუწყვეტია კავშირი კათედრასთან. ხშირად, საჭიროების შემთხვევაში, თავად აკეთებდა ოპერაციებს. იგი წერდა სახელმძღვანელოებს, მოგონებებს თავის მასწავლებლებზე, ესწრებოდა სამეცნიერო კონფერენციებს ყოფილ საბჭოთა კავშირში და უცხოეთში. თავადაც გახლდათ მრავალი სამეცნიერო ფორუმის მოწვეობის ინიციატორი და ორგანიზატორი. ყველა დონის აუდიტორიის წინაშე წარსდგომისას, იქნებოდა ეს სამეცნიერო კონფერენცია, ჩვენში თუ უცხოეთში, სასწავლო აუდიტორია, სტუდენტებთან თუ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში თბილისში ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სპეციალიტებთან, ან თუ გნებავთ სუფრაზე, სადაც უცვლელი თამადა იყო ხოლმე, ყველგან და ყოველთვის, აღფრთოვანებას იწვევდა მისი ორატორის ნიჭი და მჭერმეტყველება, ლოგიკური აზროვნების უნარი, უზადო მეხსიერების პატრონი, არასდროს მიმართავდა ჩანაწერებს, ოსტატურად იყენებდა ფაქტებს, როგორც მსოფლიო, ისე საქართველოს ისტორიიდან, საუბარს თუ სხვა საჯარო გამოსვლას ამდიდრებდა და ახალისებდა პოეზიის ნიმუშებით ...საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, ყრილობებსა და ფორუმებზე მის მიერ წარმოდგენილი მოხსენებები ყოველთვის აქტუალური და ნოვატორული იყო. მის უზომო პოპულარობას ხელს რუსულისა და ფრანგული ენების სრულყოფილი ფლობაც უწყობდა ხელს. ამიტომაც იყო ზაალ კახიანი ყოველთვის სასურველი სტუმარი სამედიცინო დარგის მეცნიერთა თავყრილობებზე. მისი ლექციები კი პედაგოგიკის ეტალონადაა მიჩნეული.

ახლა საქართველოს სახელმწიფო პრემიის მინიჭების ამბავს დაგუბრუნდეთ. ბატონი ზაალი წლების განმავლობაში მუშაობდა სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებზე, რომელთა შექმნაში მას ანატომიის და ფსიქოლოგიის საფუძვლიან ცოდნასთან ერთად მხატვრობის ნიჭიც დაეხმარა. ასე შეიქმნა ეს მედიცინისა და მხატვრობის უნიკალური სინთეზი ნაშრომებში: "მიმიკა", "ადამიანის სახის ემოციების ექსპრესიულობა", "ბავშვის მიმიკა". მათ შორისაა "პლასტიკური ანატომია", რომელიც დამტკიცდა სახელმძღვანელოდ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისათვის. ამ შრომათა ციკლისათვის ბატონ ზაალს, ძმასთან, პროფესორ საულ კახიანთან ერთად, სახელმწიფო პრემია მიენიჭა. საგულოსხმოა აკადემიკოს ეგვენი ხარაძის მიერ გამოთქმული აზრი, როდესაც ამ ნაშრომებს სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელ სხდომაზე განიხილავდნენ: **"ჩვენი კომიტეტის პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო პრემია სახელმძღვანელოებს ენიჭება."** აკადემიკოსმა პეტრე სარაჯიშვილიმა კი ბრძანა: **"საკვლევი საკითხების**

სიღრმითა და დიაპაზონით ეს ნაშრომი უნდა მივიჩნიოთ საერთოდ ადამიანის პლასტიკური ანატომიისა და ექსპრესიოლოგიის მეცნიერულ საფუძვლად”.

პროფესორ ზაალ კახიანის მოღვაწეობის შემდგომი ქრონოლოგია კი ასეთი გახლავთ. 1989 წელს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში ახალი რექტორი უნდა აერჩიათ. ბატონები ავთნდილ ჯორბენაძე და ჯანგირ მამალაძე ასე იგონებდნენ ამ მოვლენას: **”უმადღესი სასწავლებლის სახელოვან კოლექტივს ...უნდა აერჩია ღირსეული და აღიარებული წინამძღოლი, რომელიც თვისი ავტორიტეტითა და გამოცდილებით სრულყოფდა წინაპართ მემკვიდრეობასა და ტრადიციებს... სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გამართული სჯა-ბაასის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: პროფესორ ზაალ კახიანის ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორად არჩევის თობაზე”.** სწორედ ბატონ ზაალ კახიანის რექტორობისას, გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოსათვის უმძიმეს ხანაში, მან სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდის მძიმე მისიაც იტვირთა. იგი არ შეუშინდა არც ორგანიზაციულ და არც შესაძლო პედაგოგიურ სიძნელეებს და მისი თაოსნობითა და პასუხისმგებლობით ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტში (ეს ხომ ამ ინსტიტუტისათვის არაპროფილური იყო) რამდენიმე ასეული ის აბითურიენტი ჩაირიცხა, რომლებიც მიუხედავად დაგროვილი ქულებისა, სამედიცინო ინსტიტუტის კედლების მიღმა დარჩნენ, რაც მათი ბედის ანაბარად დარჩენის ტოლფასი იყო. ამ ახალგაზრდების უმეტესობამ, ბატონ ზაალის წყალობით, წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი და ამჟამად ისინი უკვე გამოცდილი ექიმები არიან.

ბატონ ზაალ კახიანს კიდევ ერთი ისტორიული მისიის შესრულება ხვდა წილად. 1991 წელს იგი აირჩიეს დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრად. აქაც, მისთვის ჩვეული შემართებით, მზად იყო როგორც დეპუტატს, ემოღვაწა თავისი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. ბატონი ზაალი აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა ღირსახსოვარ მოვლენაში, არ უშინდებოდა არც საფრთხეს და არც სიძნელეებს. აფხაზეთის ომის დროს სისტემატურად ჩადიოდა სოხუმში და ადგილზე უწევდა დახმარებას დაჭრილებს. არავის დაუთვლია, რამდენი ახალგაზრდის სიცოცხლე გადაარჩინა, რამდენი იხსნა ხეიბარის მძიმე ტვირთისაგან. არც იმის სტატისტიკა უნდა არსებობდეს, თუ თავისი ცხოვრების განმავლობაში რამდენი სიცოცხლე აქვს გადარჩენილი. ვფიქრობთ, ათასობით ავადმყოფისა და მათი ოჯახის წევრების გულისთქმას გამოხატავს ის ლაკონური წარწერა, კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა რომ დატოვა ბატონ ზაალისათვის მირთმეულ ფირფიტაზე: **”ბატონ ზაზა კახიანს! ჩემი ერთდ-ერთი შვილის გადამრჩენელს, ჯადოქარ ქირურგს, უნიჭიერეს ხელოვანს დიდი სიყვარულით ვაჟა აზარაშვილი. 20/111 92წ.”**

საქართველოს დამოუკიდებლობამ ქვეყანაში მრავალი ახალი სტრუქტურის შექმნის აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. ერთ-ერთი სამედიცინო აკადემიის დაარსება იყო. ბატონმა ზაალმა ძალდონე არ დაიშურა ამ მოვლენის მიმართ საზოგადოებრივი აზრის სასიკეთოდ ჩამოყალიბებაში, გარს შემოიკრიბა თანამოაზრეები და 1994 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს ბაზაზე, რომლის თავმჯდომარე ბატონი ზაალი გახლდათ, დამფუძნებელთა საერთო კრებამ აკადემიის შექმნა შემდგარ ფაქტად აღიარა, ხოლო მის პრეზიდენტად ბატონი ზაალი აირჩიეს. აკადემიის მუშაობას ზაალ კახიანი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. სამწუხაროდ არ დასცადა ყველა ჩანაფიქრისა და ოცნების განხორციელება. 10 წელი ებრძოდა განუკურნებელ სენს, ებრძოდა ვაჟკაცურად, არ ეპუებოდა გარდუვალობას... განაგრძობდა სამედიცინო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. სწორედ ავადმყოფობის დროს დაწერა ბატონმა ზაალმა და გამოაქვეყნა ქართულ და რუსულ ენებზე შესანიშნავი სამაგიდო წიგნი ”მედიცინასა და მის ფარგლებს გარეთ”. პროფესორ ზაალ კახიანის სამეცნიერო მემკვიდრეობა კი ასეთი გახლავთ: 300-ზე მეტი სამეცნიერო-პრაქტიკული


ნაშრომი, 36 მონოგრაფია, რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელო, 5 გამოგონება 4 რაციონალიზატორული წინადადება. ოფიციალურად მან 8 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და 12 მეცნიერებათა კანდიდატი მოამზადა, მაგრამ მის მოწაფედ და შეგირდად თავს თვლიდა ყველა, ვისაც მასთან ოდესმე პროფესიული შეხება ჰქონია.

ზაალ კახიანი გარდაიცვალა 2001 წლის. დაკრძალულია მისი გარდაცვალების შემდეგ თბილისის ი.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას მიენიჭა აკადემიკოს ზაალ კახიანის სახელი.


P.S. რამდენიმე დამატებითი შტრიხი აკადემიკოს ზაალ კახიანის პორტრეტისათვის. გარემო, რომელშიც ცხოვრობდა ბატონი ზაალი, მისი მეუღლის, ქალბატონ ნაირა ხაზარაძის ხელშეწყობით, სავსე იყო მუსიკით, პოეზიითა და რაც მთავარია, სიყვარულით. მათი ბინა იყო მეგობრებისა და ნათესავების თავშესაფრის უსაყვარლესი ადგილი. ოთახების კედლებს ახლაც ამშვენებს გამოჩენილი ფერმწერების გ. გაბაშვილის, კ. მაკოვსკის, ლ.გუდიშვილის, ს.სიღამონ -ერიათვის, ე.ახვლედიანის, ქ. მალღაშვილის, რ.სტურუას ტილოები. 20-მდე ბატონ ზაალის პორტრეტი, რომელთა ავტორები არიან ქ.მალღაშვილი, გ.ცერაძე, მ. ციციქიშვილი, ფრანგი ჟან პეკარ დედუ ... ეს ცნობილი მხატვრები სიმოვნებით ქმნიდნენ ბატონ ზაალის პორტრეტებს, ალბათ იმიტომ, რომ სურდათ ტოლოზე, ფერწერის ენაზე გადმოეცათ მისი მამაკაცური მომხიბვლელობა და მდიდარი შინაგანი სამყარო ... მათ ღირსეულ მეზობლობას უწევენ თავად ბატონ ზაალის მიერ შექმნილი ტილოები. უმდიდრესი ბიბლიოთეკის პატრონს წიგნები მკაცრად განსაზღვრული წესითა და რიგით ჰქონდა თაროებზე განლაგებული. ბევრ მათგან ავტორების წარწერები ამშვენებს: მაგ ასეთი: **”მედიცინის დოქტორს, ჩვენს სასიქადულო მეგობარს, დაბადების დღის სამახსოვროდ; დიდის პატივისცემით და ძმური სიყვარულით ზაზა კახიანს ვუძღვნი კონსტანტინე გამსახურდია. 1967. 5.VII. ლიბავა. ან ”ზაზა ბატონო! თქვენს მადლკეთილშობილებას, რაინდობას, ერისკაცობას, თქვენს დიდებულ ოჯახს - ვუძღვნი ამ წიგნს, რომელშიც ჩემი გული ძვერს. მარადიული ერთგულებით მორის ფოცხიშვილი”.** ან კიდევ: **”დიდებულ დასტაქარს ხელოვანს და ადამიანს, ჩვენს ღმერთს ბატონ ზაალს, დიდი მადლიერების გრძნობით და კეთილი სურვილებით”.** ეს წარწერა ამშვენებს ანსამბლ ”რუსთვისქ” გრამფირფიტას. ხელს აწერენ ანზორ ერქომაიშვილის თაოსნობით ანსამბლის წევრები. განსაკუთრებული რუდუნებით ინახავენ ზაალ კახიანის ოჯახში აკაკი შანიძის ავტოგრაფს. **”დიდად პატივცემულ ზაზა ნიკოლოზის ძვე. სულით და გულით გილოცავთ დაბადების 60 წლისთვის. საზოგადოდ ცნობილია, რომ თქვენ როგორც პროფესიონალმა დასტაქარმა, მეცნიერმა, საზოგადო მოღვაწემ, ფართო დიაპაზონის კულტურით და გულისხმიერებით გამორჩეული ადამიანობით მოხიბლეთ პაციენტები და მეგობრები. ვისურვებთ იყოთ მუდამ ასეთი ღამაში, დიდხანს ემსახუროთ ჩვეული ნიჭიერებით ადამიანის ჯანმრთელობის საქმეს. მაგრად ვართმევთ ხელს, გკოცნით პატივისცემით აკაკი შანიძე. აქვე ინახავდა ბატონი ზაალი საყვარელი ოპერებისა და კომპოზიტორების ნაწარმოებების პარტიტურებს...**

დასასრულისათვის ბატონ ზაალ კახიანის კოლეგებისა და მეგობრების აზრი შემოვინახეთ. **”გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ზაზა კახიანი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნება იყო საქართველოში. მისი ყოველი გამოჩენა საზოგადოებაში განსაკუთრებულ, ამადლებულ განწყობას ქმნიდა. ის ბედნიერი კაცი იყო, მაგრამ, ვგონებ მისი ბედნიერების მიზეზთაგან უმთავრესი მისივე პიროვნება იყო-დახვეწილი, მადლგანათლებული, უშუალო, უბოროტო, სიკეთის მთესველი და მძებნელი, მიმტვევებელი”.** რამაზ ხეცურიანი-საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი. ვახტანგ ყიფიანი-საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.

ზაალ კახიანის ფერწერა







სიმონ ჯაფარიძე



ფერთა ჰარმონია

როგორც ნაავდრალ ცაზე ცისარტყელას ფერთა ჰარმონია წარმოგვიდგება სიმბოლოდ სიმშვიდისა და მშვიდობისა, ანალოგიური განცდა გეუფლებათ, როდესაც ფერადოვან სამყაროში შეაბიჯებთ. ასმათ ყურშავიშვილის შემოქმედების მხატვრის ფერთა შთაგონებით შექმნილი ნაწარმოებების ხილვით გამოწვეულ გაოცებას ვერ მაღავენ ისინიც კი, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში მის გვერდით იდგნენ, მაგრამ მის შემოქმედებით საქმიანობაზე, ავტორისავე უპრეტენზიო ბუნების გამო, არაფერი სმენოდათ.

პროფესიით მედლა, შინაგანად კი მაძიებელი ხელოვანი, ქალბატონი ასმათი, 35 წლის განმავლობაში მუშაობდა ზ. კახიანის სახელობის რკინიგზის მეორე საავადმყოფოში. ერთხელ იგი თავის მეგობრებთან ერთად მოხვდა ერთ-ერთი ფრანგი მხატვრის ვერნისაჟზე, სადაც სხვა ნამუშევრებთან ერთად, რამდენიმე ნაქარგობაც იყო წარმოდგენილი. მანამდე მას ნახატი არ შეუქმნია, მაგრამ ქარგვის ნიჭი და სიყვარული დედისა და დიდდისაგან გამოჰყვა. პაპის მხრიდან, მას ფესვები ხევსურულ ხალხურ ხელოვნებასთან აკავშირებს.

„ადრე ყოველთვის ემოციური ვიყავი, ქარგვა კი საოცარ სიმშვიდეს მანიჭებდა“, – ამბობს ქალბატონი ასმათი და მართლაც, მისი მშვიდი ბუნება მისი სიტყვების სიმართლეში გარწმუნებთ, მაგრამ დაკვირვებული თვალი მაშინვე შეამჩნევს, რომ ამ სიმშვიდეში უდიდესი ემოციაა შეფარული, რაც მკაფიოდ მჟღავნდება ქმნილებებში. ფერთა ჰარმონიით შეზავებულ კომპოზიციებში.

„მხატვარი ცდილობს ნაქარგობა დაუმორჩილოს ფერწერის პრინციპებს და ამას მისეული ოსტატობით აკეთებს“, – ჩაუწერია პოეტ ერეკლე საღლიანს მხატვრის შთაბეჭდილებათა წიგნში და, მისი ეს შეფასება, სრულყოფილად გამოხატავს ამ უნიჭიერესი ქალბატონის შემოქმედების შინაარსს. ჩვენს წინაშეა მხატვარი, რომელიც განწყობილებისა და ფიქრების გამოსახატავად იყენებს მასალას, რომლითაც საუკუნეების განმავლობაში განუმეორებელ სახეებსა და ორნამენტებს ქმნიდნენ ქართველი მანდილოსნები. ერთი შეხედვით, ფერწერული პალიტრისათვის ეს მოუხელთებელი მასალა, მრავალფეროვანი ფერთა გამისა და გამომსახველობითი შესაძლებლობების თვალსაზრისით, შესანიშნავ მხატვრულ ეფექტს ქმნის შემოქმედი ქალბატონის ხელში.

„მე არ მომაქვს თავი იმით, რაც გამიკეთებია, როგორც პოეტს,“ – ამბობდა გოეთე, – ბრწყინვალე პოეტები ცხოვრობდნენ ჩემს დროში, უკეთესებს უცხოვრიათ ჩემამდე და იცხოვრებენ მომავალშიც; მაგრამ რაც ჩვენს საუკუნეში, უაღრესად რთულ მეცნიერებაში, ფერის პრობლემებს ეძღვნება, მხოლოდ ჩემთვის არის ცნობილი ჭეშმარიტება. ეს მავსებს სიამაყით და შეგნებით, რომ მრავალს აღვემატები“.

დიდი გერმანელი პოეტის ეს საუბარი ეკერმანთან, ეხება ზუსტად 200 წლის წინ დაწერილ და ორ ტომად გამოქვეყნებულ 1500 გვერდიან გამოკვლევას – „მოდერნება ფერებზე“ – სადაც გოეთემ განიხილა ფერისა და სინათლის ბუნება.

გოეთეს განმარტებით, ფერთა ჰარმონია ადამიანის თვალში ხდება საჩინო. ამაზე დაყრდნობით ააგო მან „ხელოვნების ჰარმონია“: – რომლის მიხედვითაც ფერის შეგრძნებაში ძირითადია ადამიანის მიერ ფერის აღქმა.

სწორედ ასეთი ფერთა ჰარმონია ხდება საჩინო ასმათ ყურშავიშვილის ნამუშევრების ხილვისას, რომელიც 9-10-11 მარტს გამოიფინა სამების ახალგაზრდულ ცენტრში.

სადამო მიყავდა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტს გულნაზი ხარაიშივილს, რომელმაც მიუძღვნა ლექსი, (აკოსტრიქით)

- ა – ლავერდობა ძაფის ფერით, თითქოს ჯამბაზობს,
- ს – აუკინის კვალს ვერცხლისფერი გადანაცვრია.
- მ – ოზაიკები სუნთქავენ და არ გავაბაზროთ,
- ა – ალებული აბრეშუმი ტანზე აცვიათ.
- თ – ითო ყვავილის სიფაქიზის სიწითლის ალით,
- ყ – აყაჩოებში იმალება იდუმალება...
- უ – ზენაესის მადლით ცხოვრობს კეთილი ქალი,
- რ – ა ლამაზია ნაქარგები ცისფერთვალეა.
- შ – რიალ-შრიალით ტანს ირხევენ იასამნები,
- ა – სმათისეულ სათნოებით ინაზებია.
- გ – ინ იცის ციდან, გისაჩუქრეს თბილი თასმები,
- ი – ქნებ ზეცაში მისასვლელი სულის გზებია.
- შ – უქს ფენს დილის მზის, დვთის სამყაროს თბილი რიჟრაჟი,
- გ – ელს და გაზაფხულს, შენს ხელებში მოესურვილა...
- ი – წვის ზაფხული, სიყვარულის ძალის გიჟმაჟმით,
- ლ – ომისის მადლმა, შენი ფიქრი დააწყურვილა.
- ს – ასწაულია თითქოს ნაქარგს სული უდგიათ,
- სანახაობით აქაფქაფდა გულის სარქველი.
- შენთვის სიტყვები თბილი ლექსით გულით მითქვია
- და მომავლისთვის შევიინახე ბევრი სათქმელი.

და მე ისღა დამრჩენია, ხატების საუფლოში ლექსით ვიმოგზაურო

ასმათ ყუშავეიშივილს –
ხატმწერის ხალხურ ოსტატს

წმინდა თამარ მეფის 800 და უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ნატიფი ფერწერული ნაქარგების გამოფენის გამო სამების საკათედრო ტაძარში.

აღამაღლებს უფალი ვინც სიყვარულს მიაგებს,
აღზევდება სურვილი შუქის აღმობრწყინებად,
ანათდება მნათობი, ააალებს ცის კიდეს,
აღსრულება ყოველი რაც უფალმა ინება!

სწრაფვას სიმაღლისაკენ გზები უსწრებს მზერისა,
სახელოვან სამშობლოს ერი უნდა ეღირსოს
სრულყოფის და ღირსების აღსადგენად ერისა
სიბრძნის ძალა მოგვმადლე და სისუსტე მტერისა!

მნათობი ახალ დღეთა ცას აგვინთებს თენებით,
მდინარეთა ზვირთებში ჩაღვრის სხივებს მირიადს,
მიწას მიჰქარგ-მოჰქარგავს ცისარტყელის ფერებით,
მზის სიუხვით მოჰფანტავს მარგალიტს და ბრილიანტს...

აღაღბებდზე ვის ძალუმს თავის თვისის შეცნობა?!
ამაღლებულ ოცნებებს დაე, შუქი ეფინოს!
აინთება სანთელი უფლის ხატის წინაშე,
აღზევებად სიკეთის, სიყვარულის ზეფირად...

თავს ისე ვერ შეიცნობ, ავ-კარგად ძალის შენისა,
თუ ფხაზე არ გივლია ალესილი ცელისა,
თუ მახვილის სიმწარე არ გივრძენია მწველისა,
თვალს თუ რული მოედო გონებრივი მზერისა...

ყოველ ნაბიჯს აბიჯებ განძის დასაუნჯებლად,
ყვაილების ნექტარით სულის ფიჭას აგვივსებ,
ყვაილების ქვეყანას რწმენის ფრთებით მოიდრენ,
ყოველ სამზერს ათასფრად აგვიაპრილმასიებ...

უხე მოსავალს მოისხავს ვაზი რქა-ნასხლავისა,
უფალი მადლს მიაგებს კაცს-მქმნელს სამართალისა,
ურცხვად სხვისი განმსჯელი, არა-თავის თავისა,
უწრთენელია, უბირი, მქმნელი საქმის ავისა...

რადგან ცამდე შორია, ვიდრე ციდან – მიწამდე,
რწმენით უნდა იწამო, რაც გწამს – უნდა იცავდე,
რომ მომავლის იმედად ახალ – ნერგმა იხაროს,
რომ სიკეთე დამკვიდრდეს ქვეყნად უკუნისამდე...

შუქმნაშია მშვენება: შვება მოაქვს – შენებას!
შუქს მზე გვიძღვნი სხივებად, უშურველად გვირიგებს,
შეშფოთება შორს შენგან, შუქი მოგვეფერება, –
შებმული ხარ საწუთროს ძნელად სავალ ბილიკებს...

არ დაშვრება ამაოდ უშურველი მაშვრალი,
ასპარეზი საზეო – საქართველოს ბედია,
არ მწამს შემოქმედება შუქისწყარო დამშრალი,
ან სხივს სულის სარკეში თუ არ ჩაუხედია...

ვიმცვრევთ ფერებს საუფლოს, შესძელ საქმე სსაზეო,
ვიციოთ, ვიწრო კარიბჭით გამოჰტევი ბილიკებს,
ვაზის ჯვარი დაქარგე: საზეო – ალაზევე,
ვაზის ცრემლის ციმციმი ჯილდოდ ჩამოგვირიგე...

იმედს გვიმცვრევს მნათობთა მოციმციმე ალები,
ირხევიან რტოები ლერწმის სალამურებად,
ისევ სითბო-სინათ ით მზემ დაქარგა დარები,
იმედების ფრთოსნების ხმებით გალობს ბუნება...

შობდა წლები დანაშრევს სევედისა და დარდისა,
შუქის ძალამ დაძლია უშუქობის წკვარამი,
შეუხამე ფერი-ფერს, შეაქარგე ძაფი-ძაფს, –
შენში დაუნჯებულა თამარ მეფის ყალამი...

ვარდ ყვაილთა სიტურფის არის ფერთა ნავარდი,
ვაზის ჯვარი ფარავდა ტაძარს – ხატის სავანეს,
ვიდრე ხატი დახატე – განცვლე ძნელი სავალ,
ვიდრე შენი ნაღვაწი ტაძრად არ დაავანე...

ის რაც იწვის – ანათებს: ჩვენს წინ წმიდა ხატია,
ისევ იწვის – წამი-წამ წლებს ედება ალები,
იმ საოცარ სურათებს – წლობით რაც გიხატია,
ისევ უცქერ ოცნების შუქით სავსე თვალებით...

ლალისფერი სინათლით თითქოს დილამ იალა,
ღურჯი ზეცა სხივების აღმა ააბრიალა,
ღერწმის სალამურების სტვენით აახმიანა,
ლაჟვარდთა სანახები ფრთოსნების ხმამ, წკრიალამ...

საუკუნეს გაჰყვება შუქად მზის ნაკვალევი
სიმამაცეს ღირსებას მატებს – გაბედულება!
სულ სხვა სხივით ივსება სამომავლო არენი, –
სიწმინდის წილხვედრია შემოქმედის ბუნება...

მედიცინა

ვახტანგ გაჩეჩილაძე – ოფთალმოლოგი (სახელმწიფო მრჩეველი)

მეხსიერება



გულმაგიწყ ადამიანს აუცილებლად ასაკის მომატებას აბრალებენ, მართალია მახსოვრობის ფუნქცია, ასაკთან ერთად ქვეითდება, მაგრამ თუ ადრე დაიწებთ მკურნალობას, თავის ტვინის ვარჯიშით, მით მეტია მდგომარეობის ნორმალიზირება.

მეხსიერების დაქვეითება – ძირითად მაღალი წნევას ჰიპერტონიას უკავშირებენ, აზროვნების უნარის მოშლას, ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითებას, ორიენტაციის უნარის დაკარგვას.

ალკოჰოლით – გამოწვეული მეხსიერების გაუარესების დროს, ფხიზელ ადამიანებსაც კი ავიწყდებათ 5-10 წუთის წინ მომხდარი ამბავი, მიუხედავად ამისა - ინტელექტი შენარჩუნებული აქვთ.

მეხსიერების შენარჩუნების მთავარი ფაქტორი - შემოქმედებითი საწყისების არსებობაა, ადამიანმა - ტვინს გაზარმაცების უფლება არ უნდა მისცეს, ისინი რომელმაც ყოველდღიურად კითხულობენ და ეცნობიან პრესას, ინტერესდებიან კროსვორდის შევსებით, მეხსიერება არასოდეს არ უდალატებს აგრეთვე კარგია ახალი ამბებით ან დაკავშირება ვინმესთან საუბარი, უფრო უკეთესია თუ ხანდახმულ ასაკში მემუარების წერას დაიწყებთ.


ნათქვამია, რაც არ მოძრაობს, იგი კვდება, ტვინს მუდმივი ვაჯიში სჭირდება, არსებობს უამრავი მეთოდი. მეხსიერებას არაჩვეულებრივად ავარჯიშებს ლექსების დახეპირება, ჭადრაკის ხანგრძლივად თამაში.

ინტელექტუალური ადამიანები - მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, ექიმები, მუსიკოსები, ისტორიკოსები უფრო დიდხანს ინარჩუნებენ ყოველდღიურ მეხსიერებას, მათი ტვინის ყველა წერტილი დატვირთვაშია. მუდმივი ვარჯიშია წყალობით - ატორფია ფაქტობრივად არ ვითარდება.

ტვინის ვარჯიშთან ერთად - კარგი იქნება თუ მოვიხმართ ნოტროპინის აბებს, ის დადებითად მოქმედებს მახსოვრობაზე, აბების მიღებისას ჟანგბადი და გლუკოზა ეკონომიურად იხარჯება, შესაბამისად იზრდება ნერვიული უჯრედების ენერგეტიკა ეს მედიკამენტი ჰქმნის მხოლოდ ბაზას, რათა ადამიანმა გონების გავარჯიშება შეძლოს, მაგრამ მთავარია მაინც გონებრივი ვარჯიში.

დაიწყეთ დღეიდან - ტვინის ვარჯიში ყოველდღიურად, მერე ყური უგდეთ საკუთარ ცხოვრებას, ნახეთ დღითიდღე როგორ ღამაზდებით.

2012 ოქტომბერი.



**ფიზიკულტურა და სპორტი
ჯუმბერ ლეუავას
„ჯანმრთელობის ფორმულა“**

ჯუმბერ ლეუავას მიერ შემუშავებული
ჯანმრთელი ცხოვრების წესი – წოლბჯენიდან
მკლავებზე აზიდვების
მეთოდოლოგია



ბოლო ხანებში მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ჯანმრთელი ცხოვრების წესს. ძალიან ბევრი ფიქრობს, გაიუმჯობესოს ჯანმრთელობა, მაგრამ ბევრს კიდევ ჰგონია, რომ იგი ამას ვერ შეძლებს, რადგან უჭირს ცხოვრებისეულ „სიკეთესთან“ - სიგარეტთან, ნარკოტიკებთან, ღოთობასთან, სიზარმაცესთან განშორება.

აქამდე გავრცელებული იყო აზრი, რომ თუ გინდა იყო ჯანმრთელი, უნდა ივარჯიშო აერობიკით, იარო ფიტნეს კლუბში, ირიბინო ძუნძულით (ჯოჯინგი), იცურაო, შეიძინო სპეციალური სავარჯიშო ტრენაჟორები და სხვ.

უპირველესად, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვაზე და მოსახლეობის მასობრივი გაჯანსაღებისათვის უნდა იზრუნოს სახელმწიფომ. მან უნდა იფიქროს ნებისმიერი დასახლებული პუნქტის ჰიგიენურ მდგომარეობაზე, პარკების სიმრავლეზე, ჭარბი და მავნე გამონაბოლქვის აკრძალვაზე, ღოთებისა და ნარკომანების მკაცრ აღრიცხვაზე და მათ სათანადო მკურნალობაზე, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე თამბაქოს მწვეველთა მიმართ.

ძალზე საშურია, რომ სახელმწიფომ ლოკალურ ტერიტორიებზე (დაბა, სოფელი, ქალაქი) შექმნას გზების ისეთი სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება ველოსიპედების უსაფრთხო გადაადგილება, რაც, ხელს შეუწყობს მათ მასობრივ გამოყენებას და ჯანმრთელი ცხოვრების წესის ერთ – ერთი სახის – ველოსიპედის გამოყენების დანერგვას.

ეფიქრობ, საგზაო კანონში ველოსიპედით მოსიარულეთათვის აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს უსაფრთხო მოძრაობის შესაბამისი წესები.

ახლა შევეხოთ აერობიკის, ფიტნესის, ჯოჯინგისა და ცურვის კლუბებში ვარჯიშებს. რათქმაუნდა ამ კლუბებში ვარჯიში ადამიანს მოუტანს ჯანმრთელობას, მაგრამ ეს გარკვეულ პრობლემებსაც წარმოქმნის, კერძოდ, სატრანსპორტო, ადგილმდებარეობით, ფინანსურ, ადჭურვილობით უხერხულობებს და ა.შ. გარდა ზოგადად ჩამოთვლილი პრობლემებისა ჩნდება სხვა, მთელი რიგი სიძნელეები - კერძოდ, ზემოთ ჩამოთვლილი ვარჯიშები გათვლილია საკმაოდ გაწევილ დროზე და ყოველივე ქმნის ნერვულ ატმოსფეროს, რადგან ბევრი ადამიანი, თავისი ბუნებით მაქსიმალისტია და მიაჩნია, რომ შედეგის მიღწევისათვის საკმარისია მცირე დრო. ამ შემთხვევაში მთავარია ფიზიკური მდგომარეობის არამოწყენებითი გაუმჯობესება, არამედ რეალური შედეგის დაფიქსირება, რაც მხოლოდ ხალისიანი, ბიოლოგიურად გათვლილი ვარჯიშის დროს მიიღწევა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კლუბებში ვარჯიში, უმეტეს შემთხვევაში ხელმისაწვდომია მცირე რაოდენობის, მატერიალურად შექმნილი ოჯახებისათვის ან პირებისათვის, რომლებსაც თავისუფალი დროის დიდი მარაგიც აქვთ, რაც, ცხადია, გამორიცხავს, ჯანმრთელი ცხოვრების წესის“ მასობრივ ხასიათს.

მითითებული მასობრივი ხასიათი თითქოს ტრენაჟორების ინდივიდუალურად შექმნის ხარჯზეც შეიძლება, მაგრამ ესეც, თქმა არ უნდა, კვლავაც და კვლავაც შესაბამის ხარჯებთან და სათანადო თავისუფალ ფართთანაცა დაკავშირებული, რისი შესაძლებლობა ბევრს არ გააჩნია.

რაც შეეხება ჩამოთვლილ ვარჯიშთა ცალკეულ სახეობებს, მაგალითად ჯოჯინგს (ძუნძულს), ესეც ყოველთვის არ მიგვაღწევინებს სასურველ შედეგს, რადგან ბევრს ძუნძულით ვარჯიშისას არა აქვს ბუნებრივი გარემო პირობები, ვგულისხმობთ ელემენტალურ სუფთა ჰაერს, რომელიც ნაკლებადაა ახორხლილ კორპუსთა გარემოცვაში. სპეციალურ სუფთა ჰაერიან გარემოში მოხვედრისათვის კი საჭიროა თავისუფალი დრო და სპეციალური ტრანსპორტი. ზემო ხსენებული და სხვა პრობლემები ახლავს აერო იკით ხალხის მასობრივ დასაქმებასაც, კერძოდ, სპეციალური სავარჯიშო ადგილის უქონლობა, მუსიკალური ცენტრების სიმცირე და ა.შ.

ჩემი მიზანი იყო, მომეხსნა ცხოვრებისეული ფაქტორებით წარმოქმნილი ყველა ზემოთ ნახსენები პრობლემები და მომეძებნა ისეთი ვარჯიში, რომლის გამოყენებასაც შეიძლება ყველა მსურველი სქესისა და ასაკის მიუხედავად. გააზრებული მეცადინეობის შედეგად, დარწმუნებული ვარ, მივაგენი ფიზიკური გაჯანსაღების უნივერსალურ საშუალებას, რაშიც მეთოდის წაკითხვისას დარწმუნდებით.

ჯანმრთელი ცხოვრების წესი გიცავთ თქვენ ექიმებთან ხშირი ვიზიტისაგან და გიგრძელებთ სიცოცხლის ხანგრძლივობას. რატომღაც ამაზე ბევრი გვიან იწყებს ფიქრს. ჩემი რჩევაა, ჯანმრთელობის დაცვა მუდამ გახსოვდეთ. ჯანმრთელობა და ადამიანის სულიერი და ფიზიკური სილამაზე გარკვეულწილად ურთიერთკავშირშია. ცხოვრების ამგვარი წესის შემადგენელი ნაწილებია: **სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიშები, დროული ძილი, სუფთა წყალი და სუფთა ჰაერი.** ფიზიკურ ვარჯიშად შევარჩიე წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვები, რაც თქვენ დაგიცავთ ზედმეტი წონისაგან, გაგიმაგრებთ კუნთებს, გექნებათ მოხდენილი სხეული და შინაგანი ორგანოების გაჯანსაღებითა და ხშირ შემთხვევაში განკურნვით გახდებით ჯანმრთელი.

წოლბჯენიდან მკლავებზე აზიდვის ჩემს მიერ შემუშავებული მეთოდისა – უდაოა, დაეხმარება ნებისმიერი სქესის, ასაკის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური კონდიციის მქონე ადამიანს ჯანმრთელობის განმტკიცებაში და სხეულის სრულყოფაში.

მკლავებზე აზიდვებში, პირადად, დამყარებული მაქვს მსოფლიოსა და გინესის 14 რეკორდი. ველოსიპედით მარტოდმარტომ ვიმოგზაურე მსოფლიოს 238 ქვეყანაში, ყველგან მქონდა საჩვენებელი გამოსვლები არამარტო მასობრივი თავშეყრის ადგილებში (პარკები, სკვერები, პორტები, აეროპორტები, სტადიონები და ა.შ.), არამედ სხვადასხვა დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, სკოლებში, სპორტულ ორგანიზაციებში და სხვა. ყველგან დიდი გამოხმაურება მქონდა. ამის შესახებ წერდა მსოფლიო პრესა და გადასცემდა თითქმის ყველა ქვეყნის ნაციონალური ტელევიზია.

ქალისა და მამაკაცის დატვირთვები განსხვავებულია. ორივე სქესი მიიღტვის ჯანმრთელობისკენ, სხეულისა და მასის სრულყოფისაკენ. ჭარბწონიანმა დღეში ერთხელ მაინც უნდა ივარჯიშოს **გადადღამდე**. ნორმალური მასისამ და გამხდარმა კი დღე-ში ერთხელ მაინც, **დადღამდე**. (ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს **„გადადღამდე, დადღამდე“; გადადღა ნიშნავს – ძლიერ გაოფლიანებას, ხოლო დადღამდე – ნიშნავს ორგანიზ მის კარგად გახურებას**). თითოეულმა მოვარჯიშემ ყოველდღიურად ყურადღება უნდა მიაქციოს გულის ნორმალურ მუშაობას, პულსის რაოდენობას და დააკვირდეს არტერიული და თავის ქალას შიდა წნევებს. ბავშვების ვარჯიში უნდა აკონტროლოს მშობელმა. მამრობითი და მდედრობითი სქესის ნებისმიერი ასაკის ადამიანისათვის აზიდვების რაოდენობები ინდივიდუალურია.

ვარჯიშის დაწყების წინ უნდა ვხედავდეთ მიზანს. ეს არის **წონის დარეგულირება, სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა, სხეულის სრულყოფა**, ადამიანის შინაგანი ორგანოებისა და მეფური დაავადებების განკურნვა. უწყვეტი ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად მივიღებთ სამივე (ჯანმრთელობის შექმნა, სხეულის სრულყოფა, სხვადასხვა შინაგანი ორგანოების განკურნვა) შედეგს. ვინაიდან ადამიანს ბევრი ფაქტორი უშლის ხელს სისტემატიური ვარჯიშისათვის, მაინც გამოვეყოფ მათში ერთს. **ეს არის სიზარმაცე**. ამიტომ თავდაპირველად ადამიანების ასეთმა ჯგუფმა სიზარმაცის დასაძლევად უნდა გამოიმუშაოს ნებისყოფა. ნებისყოფის გამომუშავებას სჭირდება ისეთივე ვარჯიში, როგორც აზიდვების ვარჯიშს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გონიერება და ნებისყოფა არის მიზნის მიღწევის საფუძველი. გონიერებაში ვგულისხმობ მიღწეულის სწორ ანალიზს, რათა დატვირთვები ვცვალოთ ანალიზის შესაბამისად.

სამივე ჯგუფის ვარჯიშის შესრულებისათვის, როგორც აღვნიშნე, დიდი მნიშვნელობა აქვს **ნებისყოფის გამომუშავებას**. თუ ჩვენ ვისწავლით სურვილის მიღწევისათვის მოქმედების მართვას, ჩვენ მივადწევთ ყველაფერს. ეს ნიშნავს წინააღმდეგობისგან თავის დაღწევას, როცა კი არ უნდა წარმოიქმნას ის. ჩვენს შემთხვევაში ნებისყოფის გამომუშავებისათვის წინააღმდეგობას წარმოადგენს სისტემურად მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის შესრულება. ასეთი წინააღმდეგობა

თავიდან უნდა დავძლიოთ დღეში ნ-რაოდენობაჯერ – ყოველდღე, ყოველ კვირა და შეიძლება ყოველ თვეც. ასეთი შრომით თქვენ დაიწყებთ ვარჯიშების სურვილით და არა იძულებით შესრულებას, რაც ნიშნავს, რომ თქვენ იძულებითი შრომით გამოიმუშაოთ ნებისყოფა, სურვილით ვარჯიშების შესრულებისათვის, რაც ვარჯიშს ბევრად ეფექტურს ხდის ჯანმრთელობისათვის და საერთოდ დასახული მიზნის მიღწევისათვის. ამის შემდეგ თქვენი ლექსიკონიდან საერთოდ შეგიძლიათ ამოიღოთ “მე ამის გაკეთება არ შემიძლია“, რაც არის საფუძველი საფუძველი ნებისმიერ საქმეში წარმატების მიღწევისათვის. მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის ეფექტურობისათვის სამივე ჯგუფის სურვილისათვის უნდა დავიცვათ რაოდენობრივი მცირედი მატების პრინციპი. ეს ნიშნავს, - დღეს ნუ აზიდვით შესაძლებლობის მაქსიმუმით. დღეს აზიდვა საშუალო რაოდენობით და ყოველდღე აზიდვების რაოდენობას უმატეთ თითო-თითო აზიდვა. ასეთი პრინციპით მიდგომა მოგცემთ სასურველ ჯანმრთელობას და მიზნის სრულად მიღწევის საშუალებას. ე.ი. მასას, ფორმას და ჯანმრთელობას. გირჩევთ, ყოველთვის მკლავებზე აზიდვით იმდენჯერ, რომ ვარჯიშის დამთავრების შემდეგ თქვენ თქვათ: „გგრძნობ თავს ძალიან კარგად, შემიძლია მეტჯერაც ავიზიდო, მზად ვარ უფრო რთული რეჟიმებით აზიდვებისთვისაც“. მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ გაზარდოთ სერიაში ერთჯერადი აზიდვების რიცხვი.

ვარჯიშის დროს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გარდა სხეულის სრულყოფისა, უნდა მივაღწიოთ ჯანმრთელობასაც, ამიტომ იგი უნდა შევასრულოთ ყოველთვის სურვილით და სწორად. კონტროლის გამაფრება გამოწვეულია იმითაც, რომ გული მუშაობს დატვირთვის არაბუნებრივ რეჟიმში. ეს პროცესი მიმდინარეობს გარკვეული დროით, რისგამოც იგი განსაკუთრებულად იტვირთება. ამიტომ ყოველთვის უნდა ვიფიქროთ და ვაკონტროლოთ, რომ არ გადავღალათ იგი. გადაღლის შემთხვევაში შეიძლება ეს ვარჯიში გახდეს დაავადების მიზეზი. ამას კი იწვევს ვარჯიშის იძულებითი შესრულება. თუკი არ იჩქარებთ და არ მოინდომებთ მოკლე დროში რაოდენობრივად ბევრი აზიდვის შესრულებას და აზიდვებს შეასრულებთ მხოლოდ სიამოვნებამდე, მაშინ მიიღებთ სასურველ შედეგს.




სანამ ვარჯიშს დაიწყებდეთ ყურადღება უნდა მიაქციოთ სავარჯიშო ადგილს და გარემოს. ვარჯიშის დროს ადგილი უნდა იყოს მკვერივგრუნტიანი, ხოლო ჭარბი რაოდენობის სუფთაჰაერიან ოთახში.

რომ ვივარჯიშოთ, აუცილებელია გავაღოთ ფანჯარა ან კარები, ან სულაც, უნდა ვივარჯიშოთ ჰაერზე. საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ არ ვივარჯიშოთ ხალიჩით დაფარულ იატაკზე, რადგანაც იგი ყოველთვის შეიცავს მტვერს და მიმართული ღრმა ჩასუნთქვის დროს მტვერი ადვილად ხვდება ჩვენს ფილტვებში. რაც შეეხება მკვერივ გრუნტიან სავარჯიშო ადგილს, სასურველია იგი ვარჯიშის წინ მოვწმინდოთ სველი ტილოთი. კარგია თუკი სასუნთქ ზედაპირზე დავაგებთ პატარა ტილოს ან დავდებთ პატარა ფიცარს.



ვარჯიშისათვის მზადებას ვიწყებთ გაღვიძებისთანავე. ვიღვიძებთ ერთი და იგივე დროს. ეს უნდა დაარეგულიროთ დილის საქმიანობის დაწყების დროის მიხედვით.

გაღვიძების შემდეგ გვახსოვდეს, რომ ვარჯიშის დროს უნდა ვისუნთქოთ პირით, მაჯების, იდაყვებისა და მხრების მოძრაობის ტემპის მიხედვით. ვისვენებთ 5 წუთს და გავიზარებთ დღის სამუშაო გეგმას.



ნორჩი ათინათელები

კახა ლომაძე



პოეზიაში გადაკარგული

მე დავიკარგე ფიქრებში, მარტო,
 მე ჩემი ლექსის სტრიქონებში გადავიკარგე,
 და მე არ ვნატრობ, მართლა არ ვნატრობ,
 რომ გამოვიდე და რომ გადავრჩე;
 პირიქით, – მინდა უფრო შევიგრძნო,
 სიტყვათა შორის უფრო გავჩაღდე...
 მე დავიკარგე ფიქრებში, მარტო,
 მე ჩემი ლექსის სტრიქონებში
 გადავიკარგე...

ოცნების მთები

ნეტა რა ხდება იმ ლურჯ მთებს იქით,
 რომლებიც ბინდში გახვეულია;
 ნეტა რას ამბობს ქარი იმ მთებში,
 რომლებზეც ნისლი დახვეულია;
 ნეტა რად სდუმან თვითონ ის მთები,
 მთები, რომლებიც მე მეღანდება...
 პატარა ბიჭიც, და დაიშლება
 ოცნების მთები ცისფერ ლანდებად...
 რა საიდუმლო ცხოვრობს მთებს იქით? –
 არავინ იცის, იქით რა ხდება...



ქ.თბილისი 147-ე საჯარო სკოლის 5/3 კლასის მოსწავლე თამარ ტყეშელაშვილი

დელა



დე, დედიკო, დედი ის სიტყვებია, რომლებიც არასდროს ბერდება. დელა ანგელოზია, რომელიც მრავალ განსაცდელს გვაცილებს და მუდამ ჩვენ გვერდით დგას. დელა ყველაზე კარგი დამრიგებელია, ჩვენი სიხარულის გამზიარებელი.

დედა პირველია, რომელსაც გულს ვუხსნით და ყველა ჩვენს ნაფიქრალს, ყველა ჩვენს წუხილს და ყველა ჩვენს სიყვარულს ვუზიარებთ. ჩემი დედიკო განსაკუთრებულია, კეთილი სულის ადამიანია, რომელსაც სწყინს სხვისი ცუდი და უხარია სხვისი კარგი. დედა ჩემთვის ყველაზე ლამაზი, სათნო და გამორჩეული ქალია. იგი ჩემი სუნთქვაა. მისი თავდადების, სიყვარულის, ერთგულებისა და უძილო ღამეების გადახდა შეუძლებელია.

ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა დედას შევპასუხებივარ, გამიბრაზებია და გული მიტკენია მისთვის. შემდეგ კი ვხვდები, რომ ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ ზოგჯერ გვიანია. ამის გამო ათას ბოდიშს ვიხდი მის წინაშე, ისიც მისმენს, მისხნის და მპატიობს ყველაფერს. ბევრჯერ გამკვირვებია, თუ რატომ ხდება ეს ასე და მივხვდი, რომ ამის მიზეზი უსაზღვრო სიყვარულია, მან მთელი ცხრა თვე მუცლით მატარა. როგორ მიყვარხარ ჩემო დედიკო! მე მსურს, რომ შენ ძალიან დიდხანს იცოცხლო და ბევრჯერ მაჩუქო ბედნიერი, ტკბილი და სიყვარულით აღსავსე დღეები, იყო ყოველთვის ჩემ გვერდით, იყო ყოველთვის ისეთი ლამაზი და მხიარული, როგორიც ახლა ხარ. მე ვამაყობ, რომ შენ ასეთი ხარ. პირობას გაძლევ, რომ მოვა დრო, როცა შენც იამაყებ ჩემით.

გაუგონარი შვილი (ზღაპარი)

იქ, სადაც ყვავილები იძინებენ და ელიან გაზაფხულის მოახლოებას, ცხოვრობდა ერთი პაწაწინა ჯიუტი ბავშვი, რომელიც უამრავ ყვავილებს შორის თავნებობითა და შეუპოვრობით გამოირჩეოდა. მას ენძელა ერქვა. იგი ძალიან ლამაზი იყო. თეთრი პირისახე ქონდა, ტანი კი მოხდენილი.

ერთხელაც ენძელამ მიწის ზევით ამოსვლა მოინდომა. დედა გაუჯავრდა შვილს და უთხრა, რომ ზემოთ გაყინვა ელოდა. ენძელამ არ დაუჯერა, დედას გაეპარა და მიწის ზემოთ ამოჰყო თავი. ცივმა ნიაგმა დაუბერა და პაწია ყვავილს ძალიან შესცივდა.

მოსაღამოვდა. ენძელას ეშინოდა ტყეში მოსიარულე ნადირს მისთვის ფეხი არ დაედგა და არ გაესრისა, ან კიდევ ცივ ქარს არ გაეტაცა... სწორედ მაშინ გაახსენდა დედის სიტყვები, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ინანა, თავი უბედურად ჩათვალა და დაიძინა.

გათენდა. დახეთ საოცრებას! ენძელამ გაიღვიძა და თვალებს არ დაუჯერა. ცაზე მზე კაშკაშებდა, თოვლიც დამდნარიყო, ჩიტები ჭიკჭიკებდნენ. ენძელამ მიიხედ-მოიხედა და მეგობრები შენიშნა. ყველა ერთად მხიარულობდა გაზაფხულის დადგომას.

შეუპოვარ ენძელას გაზაფხულის მახარობელი დედოფალა ეწოდა.

**გიორგი გოგინაშვილი
თბილისის 147-ე საჯარო
სკოლის IX¹ კლასის მოსწავლე**



ძვირფასო დედა!

რამდენი რამის თქმა მინდა ხოლმე შენთვის, როცა გეუბნები „მიყვარხარ“, მაგრამ შენი სიყვარულით ისე ვარ გაბრუებული, მხოლოდ მაგ ერთი სიტყვის თქმას ვახერხებ. ხშირად მეუბნები, ვერასოდეს მიხვდები და დააფასებ სათანადოდ დედობასო. შეიძლება მართალიც იყო, მაგრამ ყოველთვის ვეცდები შესაბამისი სიყვარული შეძლებისდაგვარად გამოვხატო. ვიცი, რომ მე შენი ერთადერთი ვარ. ისე როგორც შენ - ჩემი.

იცი, ერთხელ დამესიზმრა, რომ სახლში მოსულს არ დამხვდი, არავინ შემეგება კარში ღიმილით, არავის გაუკეთებია ჩემთვის სადილი, არავის დაულაგებია ჩემი ოთახი, არავის დაუუთოებია ჩემი ტანსაცმელი, არავის აინტერესებდა ჩემი იმდღევანდელი ნიშანი, არავის ვაინტერესებდა მე. მე და მამა კი ერთმანეთს უსიტყვოდ, თვალებით ველაპარაკებოდით - მთელი დღე სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. საღამოს კი სასაფლაოზე ავდივარ, რომ შენი გაყინული სახე ვნახო. უცებ შეშინებულს მეღვიძება. მინდოდა მოვვარდნილიყავი და მიძინარეს ჩაგხუტებოდი, მაგრამ ჯერ ისევ ადრე იყო და ეს საქმე შემდეგისთვის გადავდე. ვაიმე, ღმერთო, რა ბედნიერი ვარ, სიზმარი ყოფილა, სიზმარიიიიი..... დიდება უფალს... ავდექი, სველი ტანსაცმელი გამოვიცვალე და კომპიუტერი ჩავრთე, ვეღარ დავიძინე.

ვიცი, ხშირად გაბრაზებ და განერვიულებ, მაგრამ შენ თვითონაც იცი, რომ ყველა ბავშვი ასე იქცევა. ისიც ხომ იცი, რომ ყველანაირად ვცდილობ კარგად მოგექცე, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ?! მაგრამ რა ვქნა, ბავშვი ვარ და ჩემს თავს ვერ ვერვევი. ხშირად ვერ გიმეორებ ამ სიტყვებს, მერიდება, ან მეშინია არ გახუნდეს. ამ ერთხელ გეტყვი და მთელი ცხოვრება გულით ატარე და დაიმახსოვრე: მიყვარხარ უზომოდ... მიყვარხარ დაუსრულებლად... მიყვარხარ სულით ხორცამდე... მიყვარხარ კივილამდე... მიყვარხარ დევეეე... მინდა, სულ გვერდით მყავდე, მინდა, სულ ღიმილიანი იყო. მინდა, სულ სიყვარული დაგქონდეს გულით და ირგვლივაც სულ სიყვარულს აფრქვევდე.

შენი გიო

ხუთშაბათი, 21 მარტი, 2013 წელი

ჩემო მესაიდუმლე!

მხოლოდ შენ შეგიძლია მომისმინო და გამიგო, დედაჩემიც კი ვეღარ მიგებს. გული გააოწყალე ამდენი წუწუნით, მაგრამ შენს მეტი დამხმარე არავინ მყავს. მადლობა, რომ ჩემს ამდენ ცრემლს იტან.

ვეუბნებოდი მშობლებს, რომ სხვა სკოლაში არ მინდოდა. ვიცოდი, უკეთესი არაფერი დამხვდებოდა, მაგრამ ასეთი უარესი?! უკვე ვეღარაფერს ვიტან. დღესაც იგივე მოხდა. მოგიყვები.


ადრე როგორც გიყვებოდი, ყველაფერი ისევ ისე დაიწყო. ცოტადა მაკლდა კლასში შესვლამდე, ვიღაცამ ფეხი დამიდო და წამაქცია. სათვალე მომძვრა, სადღაც, თითქოს ძალიან შორს გასრიალდა, ჩანთიდან წიგნები და მგონი ყველაფერი ამოიყარა. ყველაზე მეტად ეს გაუჩერებელი სიცილი მიშლიდა ნერვებს. ხელის ფათურით სასწრაფოდ მოვნახე

სათვალე და გავიკეთე. დერეფანში გამვლელებიდან არავინ მესმარებოდა, მგონი მთელ სკოლას ერთი უსუსური და უბედური გოგო ვეგონე. ზარი დაირეკა. ყველაფერი ჩანთაში ჩაფურთე და კლასში შევეარდი. მასწავლებელი თურმე იქ იყო. შევედი თუ არა, დავაღება მომთხოვა. ჩანთაში ქექვას მოვეყვი და თან მერხებისკენ, ჩემი მერხის უკან ვიხედებოდი. ფიქრები გამიმართლდა. ჩვენი კლასის ყველაზე პოპულარულ გოგოს ჩემი დავალების ფურცელი ეჭირა ხელში და აფრიალებდა. რა თქმა უნდა, მასწავლებელი არ დაიჯერებდა, რომ ის ჩემი დაწერილი იყო, ეს ხომ პირველად არ ხდებოდა. მე სამიანი მივიღე, იმან - ათი. მოგვიანებით იმ დღეს მესიჯიც მივიღე: „შენ ვერავინ გიტანს“.

შემდეგი საკონტროლო გვქონდა. აქაც არ მიმართლებდა. დავალება რომ არ მიმქონდა, ყველას ეგონა, რომ ვიწერდი. ვისხედით და სამარისებულ სინუემში ვწერდით. იმ გოგომ, ჩემ უკან რომ ზის, მოულოდნელად თმა მომქაჩა. ძალიან გაგმწარდი. ეს ჩემმა შეკვივლებამაც დაამტკიცა. მასწავლებელმა ცნობისმოყვარეობით ამომხედა - ყველა ჩვენ გვიყურებდა. უცვებ რაღაც მომაფიქრდა და გამეღიმა. ახლა ჩემი ჯერი იყო. თმებში ჩავაფრინდი და მთელი ძალით ვარტყმევინე თავი მერხზე ისეთი სისწრაფით, ვერც მისვდა, რა მოხდა. მან კივილი მორთო. მასწავლებელი მე მომვარდა და უხეშად გამომგლიჯა. ხელში თმები მქონდა. გაცოფებული ვიყავი, შემედლო მომეკლა კიდევ ის გოგო, მაგრამ მასწავლებელი მაინც იმის მხარეს იყო და არა მარტო ის - ყველა. მე მარტო ვიყავი. მასწავლებელს ხელი აუუქნიე და ჩანთას დაგტაცე ხელი. მასწავლებელი გაოგნებული იდგა და მიყურებდა. ჩემმა გიჟურმა ხმამ კლასი შეაზანზარა: „ვერავის გიტანთ, მეზიზღებით! თავს თუ არ გამანებებთ, თქვენი დაქალის ბედის გაზიარება მოგიწევთ! თუ გგონიათ ვერაფერს გიზამთ, ცდებით! მაღლობა, რომ ამდენი მოთმინება და ამდენი ძალა მომაკრებიან...“ სიტყვა ყელში გამეჩხირა. ისე სწრაფად მივაყარე სიტყვები ერთმანეთს, არა მგონია, რამე გაეგოთ. სიმწრის ცრემლები წამსკდა და გამოვიქეცი. მინდოდა ყველაფერს გავცილებოდი. სხვა დროს სიცილს მომაყრიდნენ, ახლა კი მხოლოდ გაოგნებულები იყვნენ. კიბეებზე მივრბოდი, ვახტებოდი საფეხურებს და გასასვლელისკენ გავიქეცი. დარაჯმა გამაჩერა. დღიურო, რომ გითხარი, ვერავინ მიგებს-მეთქი, სწორედ ეს კეთილი დარაჯი დამავიწყდა. მასთან ვიმშვიდებდი გამწარებულ გულს ცხარე ცრემლებით, შემდეგ კი სახლში მივდიოდი.

„სად მიდიხარ, რა გჭირს?“ - მკითხა დამწუხრებული ღიმილით. „გთხოვთ, გამიშვით“ - ძლივს ამოვღერდე. „ვერ გაგიშვებ. ჩემთან შემოდი“. ამ სიტყვების გაგონებაზე მთელი ძალით ვკარი ხელი და სკოლიდან გამოვვარდი. გავიქეცი სადღაც, უბრალოდ შორს და სწრაფად... ჩემს ფიქრებზე გამეღიმა... ნეტავ თუ ოდესმე შევძლებ ასეთი რამის გაკეთებას? თვალი თვალში გავუყარე ჩემს გამამწარებელს, მოვტრიალდი და... სწორი პასუხი შემოვხაზე...

147-ე სკოლის 11 მესამე კლასის მოსწავლე ვანო ჩარგაზია



ქარმა ყურში რაღაც ჩამწურჩულა...

მიუყვებოდი ვერცხლის ქუჩას და ძველ ქართულ აივნებს ვუყურებდი. აივნებზე ჭრელი სარეცხი ეკიდა. მე ვერცხლის ქუჩას ბოლოჯერ ვხედავდი, ბოლოჯერ ვხედავდი აივნებსაც და ამ უძველეს ქალაქსაც. უცბად მომინდა თბილისისთვის კიდევ ერთხელ შემეხედა და დავმტკბარიყავი მისი სილამაზით. წავედი ნარიყალასკენ. ავედი ყველაზე მაღალ კოშკზე და გადმოვხედე საქართველოს გულს. თბილისი ფუსფუსებდა და ჩუმიდ ხმაურობდა. მზეც ჩადიოდა. ნელმა სიომ დაუბერა და აგრილდა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა და ქურთუკი მოვისხი. ქარმა რაღაც ჩამწურჩულა ყურში. მესიამოვნა. დედის მოფერებას ჰგავდა. ეს ხომ ჩემი დედაქალაქის გამოგზავნილი სიო იყო, რათა შეეცვლეინებინა გადაწყვეტილება. ქარმა წასვლა გადამაფიქრებინა მხოლოდ სამი სიტყვით-“ ეს შენი ქალაქია“. ეს მართლაც ის სიტყვები იყო, რასაც ველოდი. ჩემ ზევით სამშობლოს დროშა ფრიალებდა, წინ მისი გული ძგერდა, ზურგს მშობლიური მზე მითბობდა, ფილტვებს ჩემი ქვეყნის პაერი მივსებდა, ხოლო ყველაზე მთავარი ის იყო, რომ მე საქართველოს მიწაზე ვიდექი და ვამაყობდი. ეს ყველაფერი ქარმა ჩამაგონა და გადამარჩინა ყველაზე დიდ შეცდომას. მეორე დღითვე გავაუქმე თბილისი- რომის ბილეთი და ჩემს ქვეყანაში დავრჩი. ეს კი ჩემმა მშობლიურმა, თბილმა, პატარა სიომ მოახერხა.

**მოსუცის ფიქრები
(ვან გოგის სურათის შთაგონებით)**

უკვე მოგხუცდი, ძალა ახარ მაქვს. ხატვის მეტი აღარაფერი შემიძლია. ამ ცხოვრებაში ერთი ხელი ტანსაცმლის, პალიტრის და ფუნჯის მეტი არაფერი გამაჩნია. ერთი დუქნის მეორე სართულზე ვცხოვრობ, მაგრამ ქირას არ ვიხდი. ამ დუქნის პატრონი კეთილი კაცია. თან დუქნის კედლებს მე ვუხატავ და სიკეთეს უკანვე მიბრუნებს. ეს ოთახი დიდი არაფერია, მხოლოდ ერთი სკამი, ძირს გაშლილი საწოლი და ბუხარია. კარგი ისაა, რომ ზამთარში არ მცივა, ბუხარი მათობს. საჭმელს და სასმელს მედუქნე მაძლევს. მე მთელი დღე დუქნებში დავიარები და კედლებს ვხატავ, რომ საღებავების ფული ვიშოვო. გუშინ ქუჩაში რომ მოვდიოდი, ველაც ბიჭებმა წამაქციეს და ჩემოდანი წამართვეს. ორი დღეა ამას ვდარდობ მე ხომ ამ ჩემოდნის მეტი არაფერი გამაჩნდა ეს იყო ჩემი ცხოვრება. ამ ბიჭებმა სულმთლიანად დაანგრიეს ჩემი, ისედაც დანგრეული, ცხოვრება. ჩემ ცხოვრებას აზრი აღარ აქვს.

ახლა ბუხრის გვერდით ვზივარ და ვტირი. მეტი მაინც არაფერი შემიძლია. გამოვადებ ფანჯარას და გადავხტები. ამით დასრულდება ჩემი ტანჯვა. უკვე ფანჯარაში ვდგავარ... ჰაერში მივფრინავ და თავს ძალიან მსუბუქად ვგრძნობ. მადლობა ყველას, ვინც დამეხმარა. განასკუთრებით დუქნის პატრონს. დემეტო, იმ ბიჭებს აპატიე დანაშაული. ეს იქნება ჩემი საბოლოო თხოვნა. ალბათ, იმათაც ძალიან უჭირდათ და სიღუპეში ჩაადგინა ცოდვა.

მიწასაც მივუახლოვდი და დამთავრდა სიმსუბუქის გრძნობა. დარჩა მხოლოდ სიბნელე, სიბნელე, უკუნეთი სიბნელე...

**ეკატერინე ქადაგიძე
ქ.თბილისის 161 საჯარო სკოლის
VIII კლასის მოსწავლე**



ჭაბუა ამირეჯიბი
და
ეკატერინე ქადაგიძე

სტუმრად საყვარელ მწერალთან

როცა გავიგე ჩემი უსაყვარლესი მწერალი, ჭაბუა ამირეჯიბი ჩვენმა პატრიარქმა ილია II ბერად აკურთხაო, გადავწყვიტე, დედასთვის მეთხოვა, რომ სტუმრად წავეყვანე მწერალთან და მოვფერებოდი უკვე დავით ბერს. ეს სურვილი დედამ შემისრულა და ბატონ ჭაბუას, დავითობას ვესტუმრეთ, მე, ჩემი დიდედა ჟუჟუნა ნიჟარაძე და დედიკო. დიდმა მწერალმა ძალიან გაიხარა ჩვენი სტუმრობით. მან მაჩუქა თავისი ახლად გამოშვებული წიგნი „ბოლოს წინა“ ავტოგრაფით. მას ვუმღერე ეთერ ჭილაძის სიმღერა თბლისზე; დედამ სამახსოვრო სურათი გადაგვიღო. იქიდან ძალიან ბედნიერი წამოვედი.

დადგა 2013 წელი. ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის დაბადების დღე 18 ნოემბერი. კვლავ ვესტუმრეთ მე, დიდედა და ჩემი დედიკო და მიუულოცეთ დაბადების დღე. საჩუქრებთან ერთად გადავეცით ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი, საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალი – „ათინათი“; როცა კითხულობდა, ვგრძნობდი რომ მოსწონდა ჟურნალის არსებობა და რედაქციაში ჟურნალის მოლოცვის წერილი გამოგვატანა. ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარია.

ლაგოდების ნაკრძალში

მამას მეგობარმა – თემურ ტყემალაძემ, ლაგოდების ნაკრძალში დაგვპატიჟა. სანამ იქ გავგებზავრებოდით, ჩემმა დიდედამ, მწერალმა – ჟუჟუნა ნიჟარაძემ ამიხსნა; მე-18-ე საუკუნეში, როცა რუსის ჯარი შემოვიდა საქართველოში, ზაფხულობით ამ ულამაზეს ადგილას, დასასვენებლად გაჰყავდათ თავისი ჯარისკაცები და შეარქვეს დასასვენებელი ბანაკი, რაც ლაგოდების სახელად გადაკეთდა; როცა ლაგოდებში ჩავედით. თემურ ბიძიამ წავგიყვანა თავისი მეურნეობის „ფაუნის“ დასათვალიერებლად. შევედით მუხისა და კაკლის ტყეში, სადაც ბინადრობდნენ გარეული ღორები, ხოხბები, იქვე დავათვალიერეთ ფრინველთა ინკუბატორი. ვნახე გნოლები, გარეული ინდაურები, ციცრები. ამ ფრინველებს ზრდიან და პირდაპირ ტყეში უშვებენ. იქვე, ვნახე ცხენი, რომელსაც პატარა კვიცი უნდა გაეჩინა. თემურ ბიძიამ მითხრა რომ ახლად დაბადებულ კვიცს ჩემს სახელს დაარქმევდა. ექსკურსიის შემდეგ მიგვიწვიეს მონადირეთა სახლში, სადაც დაგვხვდნენ თბილისიდან

ჩამოსული სტუმრები, მათ შორის იყვნენ ჩემი ტოლებიც. ერთს ერქვა შოთიკო, მეორეს – თემო. აღმოჩნდა რომ შოთიკოს სახელი, თურმე ერთ ცხენს რქმევია. შოთიკომ თავის ცხენზე შემსვა და მასეირნა ლაგოდესხის ტყეში. იმ საღამოს, მამას მეგობარმა – ბიძია თემომ, ვახშმის შემდეგ მოგვიყვა, როგორ ინადირა სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიოს ცნობილ მონადირეებთან ერთად. იგი მიწვეული ყოფილა „საფასი“-ს კლუბის მიერ, სადაც მონადირა მარტორქა, ანტილოპა და სხვა ჯიშის პატარა ცხოველები, მათგან დამზადებულ ფიტულებს კი წესის თანახმად, სამშობლოში გამოუგზავნიან. ახლო მომავალში იგი კვალვ არის მიწვეული აფრიკაში; ამჯერად, ღომებზე სანადიროდ.

ძალიან ვისიამოვნე ამ ულამაზესი კუთხის დათვალიერებითა და საინტერესო ამბების მოსმენით.

ქ. რუსთავის №2 საჯარო სკოლა VII ა კლასის მოსწავლე ვასილ ურთქმელიძე



ანას

შენ თუ დამინგრეე
ოცნების კოშკებს,
ის იგივეა - სუნთქვას დამიშლი.
მე მოვალ შენთან, გეტყვი -
მიყვარხარ,
გეტყვი, რომ მოგკვდი შენზე ფიქრებით.

შენ კი გულგრილად გამაგდებ გარეთ,
თითქოს მე ქუჩის მაწანწალა ვარ,
მარტოობამ კი ღოთობა იცის,
ალბათ, აყვები მე ამ ცდუნებას:
სიყვარულისგან დამონებულნი.

ქ. რუსთავის №2 საჯარო სკოლის X^ბ კლასის მოსწავლე ირაკლი სვანიშვილი



* * *

დიდ ცოდვებით ურცხვად ავსილი
სინანულს ვებრწავ ცოდვილ ხელებით,
ღმერთს არ ვიკარებ, ფარისევლურად,
“კეთილი საქმით“ ეშმაკს ვნებდები.
და სახით, თითქოს ღოცვით დაღლილის,
ვით წუთისოფელს განშორებული,
მივეახლები, უგზური, ხატებს
უფლისგან სულ მთლად დაშორებული.
და როცა მოდის აზრი სპეტაკი
მანიშნებელი – ღმერთი ერთია,
ვერ ვინანიებ განუცდელ ცოდვებს,

რადგან სიწმინდეს ვნება
მერჩია.
და მცირე ზომის, ვით ჯუჯას, ჩემს სულს
დიდ სიმახინჯედ ცოდვა მჩნევია.
სამშინველი რომ მომცა უფალმა
ღღეს ეშმაკების საბჭოს წევრია.
წყაროს წყალივით ფერმკრთალი სული
სისხლის ფრად სახავს ტანჯვა-წამებას
და ერთადერთი მაინც ქრისტეა
მსხვერპლად მოკლული ჩვენს დასახსნელად.

ქ. რუსთავის №2 საჯარო სკოლა VIIა კლასის მოსწავლე ბაჩანა ღომიძე

დედას



ჩემი ფიქრი და ნაღველი,
ჩემი ოცნების მთა.
გადულახავი ნაპირი
და უსასრულო ზღვა.
ანთებულ კელაპტარობლი,
გულმა გაგხადა ცა,
ჩემო უღვეო ღიმილო
და მზეო, ლაციცა.

მიყვარხარ, განა ცოტაა?!
შენთვის შევისხამ ფრთას.
მე აგისრულებ ოცნებებს,
რომ ვერავინ წაგართვას.
ღოცვა გეწიოს შენ ჩემი,
ელაღოს ლამაზ სულს.
გეცხოვროს ისე, როგორაც
მადლა ჩვენს უფალს სულს.



**ქ.რუსთავეის №2 საჯარო სკოლა VIIა კლასის
მოსწავლე ნიკოლოზ გრიგოლია**

სოხუმი და აფხაზეთი

ცა ლაქვარდი პალმის რიგი
სოხუმი და აფხაზეთი...
საქართველოს თაიგული
გვაქვს ჭრილობა გულს ნაფლეთი
გაიბრძოლებს ჩემი ერი,
არ დაგკარგავს, დაგიბრუნებს,
თავგანწირულ ქართველ გმირებს
გულს დააყრის თაიგულებს!
ვიზეიმებთ დიდ ზეიმებს,
დავიბრუნებთ როცა ნათელს
და დაგინთებთ მონატრებულს
სიხარულით წმინდა სანთელს.
რუსთავეო ჩემო

რუსთავეო ჩემო,
ახლო და ძველო,
გეფერება ძმურად
მთელი საქართველო
გაიზრდები კიდევ,
იზეიმებ წინსვლებს,
დაეწევი იმათ...
ვინც სიდიდით გისწრებს
გამოუშვებ ფოლადს,
ხარისხიანს - მტკიცეს
ჩაუდგები ფერხულს,
ხელი ხელს რომ მისცეს

ნინო გოგატიშვილი

ქ. თბილისის 167-ე სკოლის VII კლასი



რა მიაგბო ბებომ

ქალაქში შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო. ყველას ეძინა, არ ეძინა მხოლოდ ორ ქალბატონს, ერთსსულ ახალგაზრდას, ხუთი თვის ფეხმძიმეს, მეორეს-ხანშიშესულს, რომელსაც სულ რამდენიმე თვის წინ ქალიშვილი გარდაეცვალა. ამჯერად ისინი, ერთი-მეუღლესა და მეორე-ვაჟიშვილს ელოდნენ, რომელიც ორი-სამი საათი იყო, რაც გავიდა სახლიდან, რათა დაზიანებული ელექტროსადენები აღედგინა. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, საზარელი ამბავი გავრცელდა. ბოძზე ასულ ახალგაზრდას შეცდომით დენი ჩაურთეს და ის მოულოდნელად სხვა სამყაროს ბინადარი გახდა ოცდაერთი წლის სტუდენტი. გაუსაძლისი გახდა ორივე ქალბატონის ცხოვრება... ოთხი თვის შემდეგ გაჩნდა მისი პატარა ახალი სიცოცხლე... როცა ერთი წლის გახდა... ახალგაზრდა ქალმა სიზმარი ნახა: მეუღლესთან ერთად, აყვავებულ მინდორზე იყო, ირგვლივ ჩიტები ჭიკჭიკებდნენ იქიდან წამოსვლა აღარ უნდოდა. მეუღლემ ააჩქარა, წადი, შვილი გაზარდე და თუ მაინც მოისურვებ აქ ყოფნას ათი წლის შემდეგ, ზუსტად ამ გზით, მოხვალ ეს ქალი ახლა ჩემი დიდი ბებიაა, ჩემი ბებოს დედა... ათი წლის შემდეგ შემოდგომის თბილი, მზიანი დღე იდგა. ბებია უეცრად ცუდად გახდა სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე იმარჯვა სიცოცხლე მისთვის. მოხუცი ქალბატონი პალატის კარს არ მოსცილებია, ყველას აფრთხილებდა, სიზმარი არ შეახსენოთ, ვაითუ, დაიღუპოსო. ჩემი დიდი ბებია სასწაულებრივად გადარჩა, ერთადერთ ქალიშვილს, ჩემს ბებიას, შესანიშნავი განათლება მისცა, არა მარტო მას, შვილიშვილებსაც გადასწვდა მისი მაღლიანი ხელი ოთხმოცდახუთი წლისაა ჩემი თავგადასავლებით სავსე ბებია, რომელსაც თავის მონაგართან ერთად, უფალი იცავს...

**თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის VII კლასის მოსწავლე
მარიამ ჯიქია**

**თეთრი ანგელოზები
ზღაპარი**

იყო ერთი ბიჭი, რომელსაც სიუ ერქვა. მას ძალიან უყვარდა ორი რამ, სიმღერა და თავისი პატარა ოჯახი, რომელიც მხოლოდ დედ-მამისგან შედგებოდა. ბედნიერად ცხოვრობდნენ, მამა ქარხანაში მუშაობდა, დედა დიასახლისი გახლდათ. ყველაფერი კარგად იყო, სანამ სოფელში დაავადება არ გავრცელდა, რომლის მსხვერპლიც უამრავი ადამიანი გახდა, მათ შორის სიუს დედაც, რადგან ოჯახი ღარიბი იყო, წამლის შესაძენი ფული არ ჰქონდათ, სიუს დედა ვერ გადაარჩინეს, ისიც მალე გარდაიცვალა, ბავშვი განცვიფრებული და იმედგაცრუებული იყო, ადრე სულ სალამურზე უკრავდა, მაგრამ ახლა დიდი ხანია, რაც ინსტრუმენტი არ აუღია.

ერთხელ, მდინარის პირას ჩამოჯდა და ჩაფიქრდა: „დედი, როგორ მენატრები, ახლა რაღა ვქნა, როცა გვერდით მყავდი, ხალისითა და სიხარულით შევსცქეროდი სამყაროს, ახლა კი აღარაფერი მინდა, ძველი წუთების დაბრუნების გარდა... ბიჭმა სალამური აიღო და დაკურა დაიწყო. ამ დროს ციდან ორი თეთრი ანგელოზი ჩამოფრინდა და ბიჭი ცაში აიტაცეს, სიუმ დედა დაინახა, მან ბიჭს ხელი გაუწოდა და თავისი კულონი მისცა, თან უთხრა: „შივილო, ეს გამომართვი, ყოველთვის, როცა გასაჭირში იქნები, დაგიფარავს, ჩემზე ნუ ინერვიულებ... დედამ ხელი გაუშვა და ბიჭი ისევ წყლის ნაპირას აღმოჩნდა. მას შემდეგ, როდესაც ბიჭი გასაჭირში აღმოჩნდებოდა, ყოველთვის იხსენებდა დედამისს, კულონით ხელში, და იცოდა, რომ ცხოვრება უნდა გაეგრძელებინა...“

**თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
XI კლასის მოსწავლე
ქრისტინე იზორია**

**„კეთილი“ სიკვდილი
(ესე)**

„გაჩნდა“ სიკვდილი, მას შემდეგ, როცა ღმერთმა დაწყევლა ადამიანები და ახლა სიკვდილი, რომელსაც არ გააჩნია ასაკი, დადის, მოგზაურობს, წარმოგიდგენიათ, არ ეზარება მილიარდობით ადამიანთან ვიზიტი, მიდის ასე თავისუფლად და ართმევს სიცოცხლეს ადამიანთ.

„ათას ცოცხალსა ბევრჯერა ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია“ ამბობს ვაჟა-ფშაველა... ეს ნათქვამია, აღმათ, იმათზე, რომლებიც მარადიულ სახელს ტოვებენ სამყაროში, ადამიანებს ეშინიათ სიკვდილისა, არ უყვართ იგი, ბევრი ოცნებობს მარადიულობაზე, ზოგი კი თვითონ უხმობს სიკვდილს... ლექსში „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა და შენც, სიკვდილო, ფასი გქვ, სიცოცხლის ნაწყენობითა“-ესეც დიდმა ვაჟა-ფშაველამ თქვა...

ადამიანებს არ აწყენდათ მარადიულობა, ასე „ფიქრობს“ სიკვდილი, ისინი თავიანთი წინაპრების ცხოვრების გამო ისჯებიან, მაშინ იქნებიან მარადიულობის ღირსი, როცა ცოდვებს გამოისყიდებიან, სიკვდილს მიაჩნია, რომ მარადიულობს ღირსი არ არიან ადამიანები... ყველას თავისი მისია აქვს სამყაროში... თავისი დრო... მათ მარადიულობას დედამიწაზე მათივე ჩადენილი საქმეები და ქცევები განაპირობებს... მინდოდა მეთქვა, ეს მარადიულობას განაპირობებს-მეთქი.

ვინ არ დააფიქრა სიკვდილმა...

გალაკტიონი: „კვდომა ბუნების წესია, მაგრამ ჩემს გულში ასეა, ნუ კვდება, რაც უბრძნესია, ნუ კვდება, რაც ღამაზია“...

ტერენტი გრანელი: „ყოველ ღამეს მოაქვს ფიქრი სიკვდილზე და სიშორეზე!..“

ხალხური: „წუთისოფელი რა არის? აგორებული ქვა არის. რა წამს კი დავიბადებით, იქვე საფლავი მზა არის!..“

დავით გურამიშვილი: „ყველას გვეწვევის სიკვდილი, გვამრთებს დაუხვდეთ მზათაო, ის ჩვენკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერსად აუქცევთ გზათაო. ვიგონოთ ოთხი საქმე ეს, არ უთქვამთ უმეცართაო, სიკვდილ, სასჯელი, გენია, სასუფეველი ცათაო...“

ლადო ასათიანი: „რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი ჩარაზეთ და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე“... სიკვდილი რომ არ არსებობდეს, სიცოცხლის, ფასს ვერ გაიგებდნენ ადამიანები...

**ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-7 კლასის მოსწავლე
თამარ მოთიაშვილი.**



**ჟაკლინი
(ზღაპარი)**

მრავალი წლის წინ, პარიზის ერთ მიყრუებულ უბანში, ობოლი გოგონა ცხოვრობდა, დეიდასთან და დეიდაშვილთან ერთად, ჟაკლინი ერქვა, მის დეიდას ანა, დეიდაშვილს - ქეითი. ჟაკლინი ძალიან ლამაზი, კეთილი, შრომისმოყვარე და ნიჭიერი გოგონა იყო. მას კერვის, ქარგვისა და ტანსაცმლის შექმნის ნიჭი ჰქონდა, რასაც თავს შესანიშნავად ართმევდა. ანას და ქეითს მისი ყოველთვის შურდათ, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ჟაკლინისათვის მოდის სამყაროსკენ მიმავალი ყველა გზა ჩაეკეტათ. ამას პატარა გოგონა თავიდან ვერ ამჩნევდა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ჟაკლინს თვალი ეხილებოდა და ამ ფაქტს ნელ-ნელა ეგუებოდა, რადგანაც სხვა გზა არ ჰქონდა. კვირა დღე იყო, დეიდამ ჟაკლინი საყიდლებზე გააგზავნა და თან დიდი სია გაატანა. გოგონამ ბევრი იარა, ყველაფერი იყიდა და სახლში დაბრუნებისას მეძველმანე კაცს შეხვდა, რომელიც, როგორც თავად ამტკიცებდა, ჯადოსნურ ნივთებს ყიდდა. კაცი საკმაოდ ცუდი შესახედაობის იყო, ამიტომაც არავინ ეკარებოდა. მას დახვეული პერანგი და ფეხსაცმელი ეცვა, მოშვებული წვერი და ძალზე ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა. ჟაკლინზე, მართალია, ამ კაცის შეხედულებამ იმოქმედა, მაგრამ კეთილმა გულმა არ მოუთმინა და მეძველმანეს პური გაუწოდა. კაცმა, მადლობის ნიშნად, გოგონას ერთი ძვირფასი ნივთის ადების უფლება მისცა. ჟაკლინმა ამოირჩია კოჭი, რომელზეც რაღაც ელავდა. კაცმა აუხსნა, რომ ამ კოჭზე დახვეული უხილავი ძაფით შექმნილი ტანსაცმლის ხილვა მხოლოდ საუკეთესო დიზაინერისთვის იქნებოდა შესაძლებელი. ჟაკლინმა ყველაფერი მოისმინა და მოუნდა, რომ ის, ოდესმე, პარიზის ერთ-ერთი საუკეთესო დიზაინერი გამხდარიყო, ისეთი, როგორც იმ დროისათვის ქრისტინა სვიტი იყო.

სასწრაფოდ სახლში გამოიქცა, პროდუქტი მაგიდაზე დააწყო და თავის ოთახში ჩაიკეტა, განმარტოვდა. იმ წამიდან დაიწყო ფიქრი. მალე ჟაკლინმა შექმნა უამრავი სამოსი იმ იმედით, რომ მის შედეგებს ხალხი ნახავდა და მოიწონებდა. ქეითსა და ანას რაღაც ეჭვები გაუჩნდათ, მაგრამ მალევე დაავიწყდათ. ერთ დღესაც, უბანში ხმა დაირხა, რომ ქრისტინა სვიტი საქველმოქმედო ჩვენებას მართავდა და ეძებდა ნიჭიერ დიზაინერებს. ჟაკლინმა ეს რომ გაიგო, სიხარულისაგან ცას ეწია, მან თავისი ნამუშევრები ერთ დიდ ყუთში ჩააწყო და იმ დღეს დაელოდა, როცა ქრისტინა ჩვენებას გამართავდა. ეს დღეც მალე დადგა. ჟაკლინმა ქრისტინას, დიდი წვალების შემდეგ, თავისი ნამუშევრები დაათვალიერებინა, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა და ქრისტინამ ჟაკლინის კოლექციის ჩვენება გადაწყვიტა, მაგრამ ეს ყველაფერი მალევე შეიტყვეს ქეითმა და ანამ. მათ ძალიან შეშურდათ მისი წარმატების, ამიტომაც, ტანსაცმლის კარადა, სადაც ის უხილავი ძაფებით შეკერილ კაბებს ინახავდა, დაწვეს, თუმცა, საბედნიეროდ, ჟაკლინს ქრისტინასათვის უკვე გადაცემული ჰქონდა საჩვენებელი კოლექცია. ჟაკლინის ცხოვრება შეიცვალა. ის ცნობილი დიზაინერი გახდა და საცხოვრებლად ქრისტინასთან გადავიდა. ამის შემდეგ ცხოვრობდა ტკბილად და ბედნიერად.

**ქეთევან სხირტლაძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
VII კლასის მოსწავლე**



**არიანას ამბავი
(ზღაპარი)**

საქართველოდან ძალიან შორს, შორეულ სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, უფრო ზუსტად კი, რიოდე-ჟანეიროში ცხოვრობდა ერთი გოგონა, სახელად ბლეიზი. იგი სამი წლის იყო, როდესაც დედა გარდაეცვალა. მამა ძალიან ბევრ ზღაპარს უკითხავდა საბრალო ბლეიზის რათა ცოტა გამხიარებულიყო და სხვა რამეზე გადაეტანა ყურადღება. ერთ-ერთი ზღაპრის სახელწოდება იყო „არიანას ამბავი“, რომელიც შეეხებოდა ამავე ქალაქში მცხოვრებ გოგონას, არიანას. მას ძალიან

უყვარდა მუსიკა. იგი თორმეტი წლის იყო. სიმღერა და ფორტეპიანოზე დაკვრა კარგად გამოსდიოდა, დადიოდა მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა, გამოდიოდა კონცერტებზე, სადაც ხან მღეროდა და ხან უკრავდა, მაგრამ ამ სასწავლებელში სწავლობდა კიდევ ერთი გოგონა, გლორია ერქვა . ისიც ამ სკოლის ერთ-ერთ გამორჩეულ მოსწავლედ ითვლებოდა მაგრამ არიანას ჩამორჩებოდა. ისიც იცოდა, რომ მას ვერასოდეს აჯობებდა. არიანასა და გლორიას შორის ირთიერთობა დაიძაბა .არიანასგან განსხვავებით, გლორია შურიანი და ანგარებიანი იყო. ამ დროისათვის რიოდუ-ქანეიროში გამოცხადებული იყო მუსიკალური კონკურსი, მასში საუკეთესო პიანისტებთან ერთად მონაწილეობას არიანა და გლორიაც დებულენ. ხალხს არიანა ძალიან უყვარდა და სულ თან დასდევდნენ თაყვანისმცემლები. ამ კონკურსში პირველი გამორჩეული მიიღებდა ოქროს საყვირს, ხოლო მეორე - ფულად პრემიასა და მუსიკალურ ზარდახშას. გლორიას ძალიან უნდოდა კონკურსში გამარჯვება და ამიტომაც მზაკვრული გეგმა შეიმუშავა: კონცერტის დასაწყისში გლორია უნდა შესულიყო არიანას ოთახში, მოეტაცებინა გოგონა, სადაც ტყეში უნდა წაეყვანა და დაეხა. არიანა კონკურსზე ვერ გამოვიდოდა, მთავარ პრიზს კი გლორია ჩაიგდებდა ხელში. და ასეც მოიქცა, მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა ის, რომ არიანას სულ თან დასდევდნენ თაყვანისმცემლები და მათ არ გამოჰპარვიათ არიანას გაქრობა. გლორიამ საკონცერტო ნომერი შეასრულა და, როდესაც მთავარი პრიზი უნდა მიეღო მოულოდნელად არიანა გამოჩნდა, ყველა გაოცდა. თურმე, თავის თაყვანისმცემლებს გაეთავისუფლებინათ არიანა და გოგონას დაუღწევია ტყვეობისთვის თავი. არიანამ დაუკრა. მთავარი პრიზიც მას ერგო. გლორიას შერცხვა, მიხვდა, რომ არასწორად მოიქცა, სინდისის ქენჯნამ შეაწუხა, არიანას მოუბოდიშა.მას როგორც მეორე ადგილზე გასულს, გადაეცა ფულადი პრიზი და მუსიკალური ზარდახშა. წარმოდგინეთ, გლორიას ძალიან გაუხარდა მეორე ადგილზე გასვლა. ამ ამბის შემდეგ გლორია და არიანა საუკეთესო მეგობრები გახდნენ. არიანამ გლორიას დანაშაული მიუტყვა.

**ირაკლი ჯიგანია
თბილისის 167-ე სკოლის
VII კლასის მოსწავლე**



ობოლა
ნოველა

იყო ერთი ბიჭი, რომელსაც მეტსახელად ობოლა შეარქვეს, იმიტომ, რომ ხუთი წლის ასაკში დედ-მამა გარდაეცვალა. ერთ დღეს, ყჩაღებმა გადაწყვიტეს, რომ მათი სახლი დაეწვათ. დამით განზრახვა შეასრულეს , ცეცხლი წაუკიდეს და მისი მშობლები ამ შემთხვევამ იმსხვერპლა. ობოლას რა უნდა ექნა, ერთ დღეს, ქალაქში დააპირა წასვლა, იქნებ რაიმე სიკეთეს გადაეყვარო. მოიკიდა ჩანთა, ჩადო ვაშლები, ატმები, მოიმარაგა ბოთლებით წყალი და ფეხით თბილისში მოინდომა წასვლა. გარეთ ძალიან ცხელა, აგვისტოს მზე ფარავს მთელ არემარეს. ფეხით ჩავიდა ჯერ გორში, მერე თბილისში. ჩასვლა მატარებლით გადაწყვიტა, მაგრამ მას სამგზავრო ბილეთის საყიდი ფული არ ჰქონდა, ამიტომ უკანა ვაგონში შეიპარა.

- თქვენი ბილეთი, ახალგაზრდავ!- მოესმა მალე. ბიჭს შეეშინდა.
- არ მაქვს ბიძია!
- ნება იბოძეთ, რომ დატოვოთ ვაგონი.
- გთხოვ, ბიძია...
- არა, მოუსვი აქედან, თორემ...
- გთხოვ ბიძია , არ გამაგდო...
- არავინ უსმინა მის თხოვნას, გამოაგდეს. ბიჭი რომ გადმოვარდა, ფეხი იტკინა და კოჭლობით მიჰყვებოდა გზას. თბილისამდე დარჩენილი იყო ოცი კილომეტრი. ვერ გაძლო და დაეცა, ცუდად გახდა. შიოდა , სწყუროდა . გზაზე მძღოლმა ნახა, უღონოდ გაშხლართული.
- რა გჭირს?

-მშია, ძია...

კეთილმა მძღოლმა ჩასვა მანქანაში და თავისი ფენოვანი ხაჭაპური გაუწოდა.

-საიდან მოდიხარ, ბიჭო?

-ცხინვალიდან.

-მანდ რა გინდოდა?

-იქ ვცხოვრობდი, დედ-მამა დამეღუპა...

-ეჰ, რა არის ცხოვრება, ახლა რას აპირებ?

-რა ვიცი, იქნებ რაიმე სიკეთეს გადავეყარო, თბილისში მივდივარ.

-სად უნდა იცხოვრო მერე?

-რა ვიცი... სადმე...

მძღოლს ხმა არ გაუცია, იჯდა ჩუმად. განაგრძეს გზა, მძღოლმა ბიჭი თავის სახლში მიიყვანა. დაბანა, დავარცხნა და მაგიდასთან დასვა. ამ დროს მოვიდა მისი შვილი, თინათინი. გოგონას გაუკვირდა უცხო სტუმრის ხილვა.

-შენ, ვინ ხარ?

-მე თბოლა მქვია.

-საიდან მოხვედი?

-მამაშენმა მომიყვანა...

-რატომ?

-გზაზე ცუდად გავხდი, მნახა, მიშველა...

-სადაური ხარ?

-ცხინვალიდან.

-კი მაგრამ დედ-მამა გყავს?

-არა, დაიღუპნენ.

-უი, - შეწუხდა გოგონა. გაჩუმდა. თბოლა ხმას არ იღებდა. ისხდნენ ორივენი და ფიქრობდნენ, ერთი თავის მომავალზე, მეორე კი სტუმრის ბედზე... რაც შეეხება მძღოლს, არც ის იყო უქმად, ისიც იმაზე ფიქრობდა, როგორ დახმარებოდა თბოლას...

თბილისის 160-ე საჯარო სკოლის

XII კლასის მოსწავლე:

თამარ თედიაშვილი

ერთი ნაბიჯი... პიროვნებიდან ბრბომდე...

ესე

„ არა, არა მჯერა, რომ იგი სხვა ყვაილივით დატკნეს როდესმე ჩამოცვივდეს, განქარდეს, ამტვერდეს! არა, არა მჯერა! “

„ ყვაილი კი არა მზის ნაკადულის კამკამია !.. “

„ მარიტას მერე, მე აღარ გამკვირვებია ყინცვისის ღვთაებრივი ფრესკა, არც არმაზელი ტურფა სერაფიტა. “

„ ბროწეულის ყვაილივით ჰყვაოდა მისი სილამაზე !.. “

ეს მომხიბლავი არსება ბუნებას ნამდვილად უხვად დაეჯილდოვებინა: „ მარიტას სულის მშვენიერება აღემატებოდა მის გარეგან სილამაზეს ! გულში ია ამოსდიოდა ! “ ერთი შეხედვით ნუსხავდა ყოველი სულიერის გულს. მიუხედავად გოგონას დიდი სისპეტაკისა, ბრბომ არ დაინდო, მკაცრად განიკითხა, ქმრის დალატი დასწამა.

მაინც რა სასტიკები ვართ ადამიანები, „ბაღბალუკები“... კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე, მრავალმა საუკუნემ განვლო, ძველი ახალმა შეცვალა, ბევრი რამ უკიდევანო სივრცეში გაქრა, უამრავიც მიივიწყა ხალხმა, მაგრამ ბრბო უკვე ათასწლეულებია ჰეგემონობს კაცობრიობაზე. ბრძნულ გამონათქვამებში ამომიკითხავს: „ბრბოს თუ გაჰყვები მასში დაიკარგებით. “

და მაინც, რა არის ბრბო ?! რა ამოქმედებს მას?! ისეთი რა ფენომენია, რომ ერთი ადამიანის წამოძახილიც კმარა ფენომენია, რომ ერთი ადამიანის წამოძახილიც კმარა მის სამართავად. იქნებ, ყველაფერი ისე მარტივად არაა, როგორც გვეჩვენება. ალბათ, თითოეული ჩვენგანი ერთხელ მაინც ათქვეფილა ბრბოში... როგორი განსხვავებული

წარმოდგენისაც არ ვიყოთ, მაინც მისი ზეგავლენის ქვეშ, ალბათ, მოვქცეულვართ ან, უბრალოდ, მასში მოხვედრილს, საკუთარი თავისთვის არ მიგვიცია უფლება, თავისუფლად გამოგვეხატა აზრი, შიშისა თუ სხვა გარემოებების გამო...

მოდით, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „ემმაკის ქვა“ გავისხენოთ. ორმა ყმაწვილმა იმსხვერპლა ქვრივი, ფულის გამო, ერთმა აღიარა დანაშაული, თითქოს მოინანია და ის გადაურჩა კიდევაც ხალხის რისხვას. მეორემ გაქცევა სცადა, ბრბომ იგი ჩაქოლა. მისკენ გასროლილი ქვებიდან ერთი სოფიოს ეკუთვნოდა, რომელსაც შემდეგ ძალიან განიცდიდა: „- ერთი ქვა ვისროლე... მხოლოდ ერთი... ისიც ემმაკმა მასროლინა... მე არ მისვრია, არა...“ ეს რამდენიმე წინადადება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს თვით სათნოება, „სოფლის ანგელოზიც“, კი ადამიანთა დიდ მასაში. სამწუხაროდ, სოფიოს კეთილშობილება არ აღმოჩნდა საკმარისი ბრბოზე გასამარჯვებლად.

მოგეხსენებათ, ბრბო უმართავია, ვფიქრობ, მისი ყოველი ქმედება უამრავი ადამიანის ერთიანი სულის ამოძახილითაა განპირობებული. ბრბო იმას ჩადის, რისი გაკეთების საშუალებაც სხვა დროს არ მიეცემოდა. ამ ლოგიკას თუ გავყვებით, დასაშვებია, რომ სოფიოც გულისთქმას ემსხვერპლა, დამნაშავის გასამართლება მოინდომა, ვინ იცის.

ბრბოს ფსიქოლოგია რთული განსასჯელია. ვაჟა-ფშაველამ მაპოვნინა პასუხი ამ მარადიულ ჰეგემონზე:

„ბეველი ჭრელია გარეთა
ადამიანი შიგნითა.“

ლუკა რაზიკაშვილის პოემებსა და ლექსებში ხშირად ვაწყდებით ბრბოს თემას. მოვიგონოთ ზვიადაურის მსხვერპლშეწირვის ეპიზოდი. მთელი სოფელი უხმოდ შესცქეროდა საშინელ სცენას, მხოლოდ ერთი ქალი ნალვლობდა:

„და ამ სურათის მნახველი
ერთი დიაცი ბნდებოდა,.....მიშველებასა ჰლამობდა:
„ნუ ჰკლავთ!“ ეძახის გულით“...
(„სტუმარ-მასპინძელი“)

აღაზამ ხმა ვერ ამოიღო, პირიქით, თანასოფლელების უკან იმალებოდა, ცრემლიან სახეს მაღავდა. აღსანიშნავია, რომ სხვებიც იმავე აზრზე იდგნენ, თუმცა, ვერ გამოხატავდნენ ემოციებს:

„სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდნენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდენ:
ხომ მაგას არ მოგუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?“

აღუდაც ბრბოს აღუდგა წინ, არ მოჭრა ქისტ მუცალს მარჯვენა, რადგან თავის სწორ ვაჟკაცად იგულა. ბევრს ეცადა თანასოფლელებისთვისაც აეხსნა ყოველივე, მაგრამ უშედეგოდ:

„ ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი.
ამის თქმით ვწარა-მარაობთ,
ღთისშვილთ უკეთეს იციან;
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიცვიან?!
(„აღუდა ქეთელაური“)

აღუდა ბრძენ კაცად გვევლინება პოემაში, სამწუხაროდ, ცალკეული პიროვნებები მარცხდებიან ბრბოსთან დაპირისპირებაში. იგი სოფლიდან გარიყეს, განსხვავებული აზრის გამო, და სასიკვდილოდ გაიმეტეს.

მე თუ მკითხავთ, საზოგადოება დიდი ძალაა, რომელსაც ბევრი რამ შეუძლია სწორად განსაჯოს, მანამდე, სანამ ის ბრბოდ გადაიქცევა...

ანი ჩიტაია
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
VII კლასის მოსწავლე

აგვისტოს ომი

ირგვლივ სიჩუმეა, გუგუნი ისმის,
ცისფერი ცა კი შავდება ნელა,
ისმის ბრახუნი, კივილი ბავშვის:
მიშველეთ, მიშველეთ, ომია, დედა!
ცეცხლი უკიდია ირგვლივ ყოველივეს,
ვიღაცა ვიღაცას მიათრევს ვხედავ,
ბავშვთა ყვირილია ყოველი მხრიდან:
არ მიგვატოვო, ძვირფასო დედა!
ცხელი აგვისტო უფრო გაცხელდა,
ქვეყანა სისხლიან ცრემლებს ღვრის თითქო ...
გულქვა კაცები ხოცავენ ყველას,

თითქოს უსულო ნივთები იყოს.
ძირს გდია თეთრი, ხუთჯვარი დროშა,
შებლალეს ნაბიჯით, უხეშით ...
ფეხქვეშ გათელეს, გადაუარეს,
მთელ საქართველოს ყოველ კუთხეში.
და ყველაფერი როცა დამთავრდა,
სიჩუმე დამკვიდრდა ბოლოსდაბოლოს ...
ახლა მოისმის შემახოლები ...
ღმერთი გფარავდეს, შენ, საქართველო!

ლუკა შედანიას
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
VII კლასის მოსწავლე



მივალ, მივდივარ . . .
მივალ, მივდივარ და მიხარია,
თურმე, იმ ფართო გზებით მივლია,
რომელთაც ახსოვთ საამაყონი,
შოთა, აკაკი, ვაჟა , ილია...

საბასაც თურმე თავისი სიბრძნე,
დიდ ლამაზ წიგნად აღუწერია
წარსულიც, აწმყოც და მომავალიც
ქართველთა თვალით შემოგვეცქერიან...

მივალ, მივდივარ და მიხარია...
აქ ხომ ტაძრები ასე ბევრია,
გელათი, ჯვარი და ნიკორწმინდა
თითქოს წარსულზე უხმოდ მღერიან.

საამაყო ჩვენი მეფენი
საქართველოსთვის თავდადებულნი
ფარნავაზ, დავით, მეფე ვახტანგი
საქართველოსთვის გულანთებულნი.

დიდ შოთას თურმე პოემა „ვეფხისტ“
როგორ ლამაზად დაუწერია,
თავისი სატრფო, თამარის თვალნი,
ტაძრის კედლიდან შემოგვეცქერიან.

მეც საამაყო მინდა რომ ვიყო,
ამ დიდი ხალხის შთამომავალი,
რომ ვასახელო ჩემი სამშობლო,
მისი აწმყოცა და მომავალიც.

ანი მელაძე
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
VII კლასის მოსწავლე

სოფია და კლაუდია
ზღაპარი



იყო ერთი ძალიან ლამაზი გოგო,სახელად სოფია.ვინმე რომ შეხედავდა,იტყვოდა,უბრა-
ლო გოგონააო,მაგრამ მას დიდი საიდუმლო ჰქონდა. წყალში ქალთევზად იქცეოდა სოლ-
მე,როცა უნდოდა,ულამაზეს ფერიად.მას ჰყავდა სასტიკი და სახელად კლაუდია, მას სოფი-
ასი შურდა.კლაუდიას გადაწვეტილი ჰქონდა ცუდი რამ გაეკეთებინა მისთვის, მერე კი
ბოლო მოელო. ერთხელ, სოფიას დაბადების დღეზე.ყველა ქალთევზა და ფერია მოვი-
და.თექვსმეტი წლისა ხდებოდა! სოფია ემზადებოდა,თავისი და ჩუმიად შეიპარა მის ოთახ-
ში, კაბა დაუხია და სტილისტიც მოისყიდა,რომ გოგონა დაეუმნოვებინა.როცა მომზადება
დაამთავრა, სარკეში ჩაიხედა, ნახა,საშინლად გამოიყურებოდა,მაგრამ დრო აღარ ჰქონდა
თავიდან დაეწყო სამზადისი.სტუმრები გაოცებულნი უყურებდნენ მას,მაგრამ ტაში მაინც
დაუკრეს და მიულოცეს.ზეიმი რომ დამთავრდა,სტუმრები:ფერიები აფრინდნენ, ქალთევზები
ზღვაში შეცურდნენ.როცა სოფია იჯდა და განმარტოებული ფიქრობდა.ყვირილი შემოესმა.
გაიქცა,თავისი დის ხმას ჰგავდა, იქვე პატარა მდინარე მოედინებოდა, სადაც კლაუდია ჩა-

ვარდნილიყო,ვერ ამოდინდა,წყალმცენარეები შემოჭდობოდნენ და ნელ-ნელა იძირებოდა.სოფიამ წყალში შეცურა,ქალთეზად იქცა,თავის დას ჩაავლო ხელი,წყლიდან როგორც კი ამოყო თავი, ფერია გახდა,აფრინდა და კლაუდიაც წამოიყოლა.იმ დღიდან კლაუდიამ ინანა,რომ ცუდად იქცეოდა.მოებოდიშა სოფიას და დაპირდა,რომ ამიერიდან ისეთი იქნებოდა,როგორც უფალს სურდა.

ნატა პირველი
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
IX კლასის მოსწავლე.

მარტოდ დარჩენილი ბიჭი
(ზღაპარი)

ერთ უღარიბეს ქოხში ცხოვრობდა ბიჭი, რომელიც დედ-მამამ ადრე მიატოვა, და ბებია-ბაბუასთან ცხოვრობდა. ბიჭუნას ბებო ძალიან ცუდად ჰყავდა, და ბაბუასთან ერთად ყველაფერს აკეთებდა, რომ საყვარელი ბებია გადაერჩინა. ბიჭმა მუშაობაც კი დაიწყო, რომ ძვირფასი ბელოსთვის წამლები მოეტანა. დადგა ის დღეც, როცა ბებო გამოკეთდა და ამიტომ ბიჭი ძალიან ბედნიერი იყო. მას ბაბუა ყოველთვის ასწავლიდა, თუ როგორ უნდა მოქცეოდა ადამიანებს, რომლებსაც ძალიან უჭირდათ და ამ ადამიანებში თავისი სიღარიბეც ითვლებოდა. ბიჭუნას ბაბუა ქართულ-ხალხურ სიმღერებს ასწავლიდა. ცოტა ხანში ბებია ისევ ავად გახდა და გარდაიცვალა. ბაბუამ და ბიჭმა მისი სიკვდილი ძალიან განიცადეს. ძალიან გაუჭირდათ ბებოს გარეშე. რამოდენიმე წელი გავიდა და ბაბუამ ბიჭს ასწავლა ფანდურზე დაკვრა. ისიც დღე და ღამე უკრავდა და მღეროდა. მისი სიმღერის დროს ბაბუასა და ბიჭს ბებია ახსენდებოდათ და ცხარე ცრემლებით ტიროდნენ. დადგა ზამთარი. ბაბუას ჩაეძინა. ბიჭმა ბებოს საფლავზე იები მიიტანა და დადო, შემდეგ კი თოვლისგან დაასუფთავა სასაფლაო, მერე იქვე ჩამოჯდა, დარდობდა, რატომ წაიყვანა ღმერთმა მისი ბებო? ძალიან უჭირდა დედ-მამისა და ბებოს გარეშე. დედ-მამა, საერთოდ ნანახიც არ ჰყავდა, ისე გარდაიცვალნენ. ბიჭი იზრდებოდა, მშვენივლოდა. დადგა დროც, როცა ბაბუაც გარდაიცვალა და მარტოდ დარჩენილი დახეტიალობდა ქუჩა-ქუჩა და ღამე საფლავზე რჩებოდა. გავიდა 20 წელი. ბიჭის სიმღერა ამ დროის განმავლობაში არავის გაუგია. ზაფხულში, როცა დასასვენებლად წავიდა, გაიცნო ლამაზი გოგონა, ცოლად შეირთო, ჰყავდა ორი შვილი, გოგო და ბიჭი. გოგონას, საყვარელი ბებოს სახელი დაარქვა, ბიჭს – კი ბაბუის. მას შემდეგ ბიჭი ცხოვრობდა თბილად, ტკბილად და ისე ბედნიერად, რომ ფანდურზე დაკვრა ისე მოუნდა... მისი ლამაზი ჰანგები ახლაც ესმის ქვეყნიერებას...

გვანცა ყვავიაშვილი
მალული გრძნობა

მალული გრძნობა
სირთულით სავსე.
მალული გრძნობა
მხოლოდ მე და შენ.
მალული სევდა
მხოლოდ მე და მე.

მალული სიტყვა
მხოლოდ შენ და შენ.
მალული გრძნობა,
მალული სიტყვა,
მალული სევდა,
სიყვარულის გზა...



პირველი შეხვედრა

პირველი წამი,
პირველი სახე,
პირველი გრძნობა,
ცრემლებით სავსე.
უფერო სახე
სინაზით სავსე.
პატარა თათი,
ფაფუკი, ნაზი.

პატარა სახე.
მომავალს ელის.
შავი თვალები
დელიკოს ექებს.
პატარა ბავშვის,
და დედის, მისის,
ერთვის ცხოვრების
აზრი ერთმანეთს.

3 მარტი

3 მარტია, გილოცავ, დედა,
მიყვარხარ ძლიერ,
ვერ ემაღავ გრძნობას.
იები, იებს აწყდება გზაში,
მე კი ვერც ერთი ვერ გიძღვენ მაშინ.
მაგრამ, რაც გიძღვენ, გულით გიყიდვ,
ჩემო დედიკო, ძვირფასო დედა.
შეუფასები ქალი ხარ ჩემთვის.
ულამაზესო დედიკო, დედა.

მიუღწეველი

შენა ხარ დიდი
ფარფაბა, ნაზი,
შენამდე მოსვლა
ო, როგორ მიჭირს.
შენ ხარ ყვაილი,
უცხო ყვაილი,
შენა ხარ ვარდი,
ოღონდ, სხვა ბადის.
შენა ხარ ვარდი,
ყვაილითა დედა.
ო, როგორ მიჭირს
შენამდე მოსვლა.

მიყვარხარ

მიყვარხარ,
ყოველთვის რომ
ვფიქრობ შენზე,
როდესაც შენსკენ,
მოიწევს გული.
ყოველთვის, როცა
შენს თვალებს ვხედავ,
მე მახსენდება
ჩვენი „love story“.
მივიწეებული ზღაპარი ჩვენზე,
თითქოს ცოცხლდება,
ჩვენთან ბრუნდება
მე ჩემს ოცნებით
ველი ჰეფიენდს.
„და თუ ჩვენ არა
სხვა ვინ იქნება.“

დედიკო

ყველაზე ლამაზო, სათნო, კეთილო.
ყველაზე ერთგულო, ჩემო დედიკო.
როცა მტკიოდა, გვერდით მედექი.
როცა მიჭირდა, თავს მევლებოდი.
ჩემი ჯერია ვიზრუნო შენზე,
მოგვალერსო, გაკოცო ბევრჯერ.
მიყვარხარ ძლიერ, და უფრო ძლიერ,
„შენი ცრემლები გულს ძლიერ მტკენენ“.

წვიმს

წვიმს,
ისევ მოიწვინა მზემ.
ღრუბლები აპირებენ
გადაფანტვას დღეს.
წვიმს,
და ისევ ნადვლიანმა მზემ
ჩემთვის დააპირა განათება დღეს...

გიძღვნი მხოლოდ შენ...

როდესაც მოდიხარ,
როდესაც მიცქერ,
როდესაც გიყურებ,
მე გული მიძგერს.
როდესაც მიყვარხარ,
ვერადა, ვერ გიმხელ,
ამიტომ ვარჩიე
ლექსი მომეძღვნა,
მერე მემღერა,
შენთვის მემღერა.
როდესაც გიყურებ
ლამაზ თვალებში,
მე მაგონდება
სივრცე ჰაერში.

ცისარტყელა

ამოენტო ცისარტყელა,
არა, კი არ ამოენტო,
განდა, როგორც ილუზია,
წვიმას უცდის გადაიღოს.
მერე მოვა, დროც აქვს თვისი,
შვიდი ფერით აელვარდა,

მიღიმოდა ჭრელ ფერებით.
მერე თითქოს თავს გვახსენებს,
წამოვიდა ისევ წვიმა,
შვიდი ფერი ჩამოანთო,
მისცა იგი დავიწყებას.

მეინვარწვერზე ამოსულა ია

მეინვარწვერზე ბრილიანტის თვალი ბრწყინავს,
ზემოდან კი დაჰფიფინებს წვიმა,
ოდებდაც ხომ ჩამოდნება ნაზი თოვლი,
ზედ ამოვა პაწაწინა ნაზი ია.

ნორჩი ათინათელების თარგმანები

თაკო მოთიაშვილის ზღაპარი
„მხატვარი და ჯადოსნური
ფუნჯები“ („ათინათი“, 2012, № 6
გვერდი 116) ესპანურ ენაზე
თარგმნა ანი მელაძემ

თბილისის 167-ე საჯარო სკოლა

El pintor y los pinceles magicos

Había una vez un chico, muy guapo, humilde y con mucho talento, al cual le gustaba mucho dibujar. Era de una familia humilde. Sus padres eran tranquilos y cariñosos, pero al niño le molestaba una cosa, no paraba de pensar por qué le habían puesto un nombre tan extraño Jeco. Era hijo único y por eso sus padres siempre cumplían todos sus deseos.

Vivían en un pueblo, en cual mandaba un gobernador muy malo que no perdonaba a nadie sus defectos ni sus faltas y a todos castigaba con la pena de muerte. El gobernador sabía que un día se moriría y quería encontrar una solución para que eso no pasara. Después de un tiempo descubrió que existía una fuente mágica en la que podías pedir un deseo que se hacía realidad, pero la fuente solo la podía encontrar alguien con un poder mágico. I por eso no paraba de buscar alguien que lo tuviera.

Pasó el tiempo, y llegó el cumpleaños de Jeco. Él, como siempre, estaba de buen humor dibujando en su cuarto, y sus padres fueron a comprarle unos pinceles nuevos. Los compraron a una mujer vieja, que decía que vendía cosas mágicas aunque nadie la creía. Contento Jeco con el regalo fue a su cuarto a seguir dibujando. Dibujó todo el día y al final le salió un dibujo sobre Shotlandia, muy bonito.

Jeco, ya cansado fue a dormir, pero lo más increíble paso al día siguiente al despertar. ¡El estaba dentro de la imagen que había dibujado! Al principio no sabía donde estaba pero cuando en sus manos vió esos pinceles se dió cuenta de todo !Los pinceles eran magicos! Con los pinceles dibujo una puerta a casa y pudo salir de allí. La gente se enteró pronto de lo que hacían esos pinceles y alguien se lo dijo al gobernador, el cual ordenó que buscaran al niño y le obligó a que dibujara un camino hasta la fuente mágica y entraron en el. Después de mucho caminar, llegaron a donde querían, pero Jeco antes de entrar dibujó también dibujó una cueva para que el gobernador cayera en ella y una puerta para poder escapar. El gobernador se dió cuenta de que algo estaba pasando y rompió los pinceles por la mitad y de ellos salieron siete colores parecidos a un arco-iris. A llegar, el gobernador pidió su deseo, pero nada paso y de la fuente salió un duende que le dijo al gobernador: La fuente le hará un favor solo a las personas buenas, como por ejemplo a Jeco. El duende se fue e hizo desaparecer al gobernador y Jeco pidió a la fuente unos pinceles mágicos nuevos.

Después de esa aventura Jeco siguió viviendo con sus padres mucho tiempo feliz y contento.

ანი ჩიტაიას ზღაპარი „მარიას სიზმარი“
რუსულ ენაზე თარგმნა ქეთევან სხირტლაძემ.
თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასი.

Сновидение Марии

Жила-была одна девочка, по имени Мария. Она очень любила читать. Однажды, она прочитала, что скоро наступит конец света. Она подбежала к матери и рассказала об этом. На кухне занятая женщина улыбнулась дочери и ответила: Мария, что ты прочитала, только сказка и не думай об этом. Девочка опечалилась, хотя подумала, что папа поверит бы ей, но тщетно. Из леса вернувшийся отец то же самое ответил Марие.

Время шло. Мария боялась наступления конца света, старалась, чтобы кто-нибудь поверил ей, но никто не обращал на неё внимания.

Однажды ночью, когда девочка спокойно спала, во сне увидела ангела. Он в руке держал земной шар, который подарил Марии и сказал: -мир должна спасти ты. -Как ? спросила ошеломлённая Мария, ангел ответил-Любовью! Мария проснулась, вскочила, выбежала и видит: на небе ни Луны, ни звёзд. Девочка посмотрела на часы, освещённые свечой: рассветало, солнце ещё не взошло. Мария подбежала к родителям, рассказала им о сновидении и странном утре. Скоро светозарное солнце осветило землю. Все выбежали и были удивлены: небо всё больше светлело. Потом все увидели, как из неба летела громадная каменная глыба, которая могла уничтожить всю землю. Вдруг Мария выскользнула из рук родителей, стала под летящий камень и всей силой закричала: -Я люблю Землю!!! Неожиданно камень возвратился назад, вверх, потом превратился в тучу, а затем в дождь.

Все обнимали Марию, так как она любовью смогла спасти мир. Родители Марии гордились смелой дочкой.

ანი მეტადის ზღაპარი "ჯადოსნური ხე"
 ("ათინათი", 2012წ, № 6, გვ. 118)
 რუსულ ენაზე თარგმნა ნათია გვაჯაიამ
 თბილისის 167-ე სჯარო სკოლა

Магическое дерево

В одном лесу стояло большое дерево. Поговаривали, что если к нему подойдет кто-либо, мог загадать любое желание, которое могло осуществиться. Поэтому это дерево называли «Магическим деревом» или «Деревом желаний». Но обычно, ни все верили в это.

В деревне жила одна маленькая девочка, звали ее Лола. Она верила в это магическое дерево. Девочка жила в богатой семье. У нее были две сестры. Старшая была Рената, а младшая Диана.

Однажды Лола вышла погулять по дороге, ей встретился пожилой мужчина, у них была одна и та же дорога. По дороге они стали разговаривать. Лола начала говорить о магическом дереве. Пожилой мужчина подарил Лолу карту, на карте была нарисована дорога к магическому дереву. Лола была очень рада.

Пожилой человек попросил Лолу, чтоб это осталось между ними. Они решили все и вернулись по домам.

После нескольких дней пошел снег. В деревне настала очень трудная и холодная зима. Потому что в деревне жили очень бедные люди. У них не было ни питания, ни дров. Из-за голодовки люди стали воровать. Ограбили и дом Лолы. После этого ее семья также стала голодать. Папа Лолы был при смерти, сестры стали болеть. Лола была огорчена всем этим, она хотела помочь своей семье, но как? Она вспомнила о магическом дереве и решила пойти искать дерево. Она взяла карту, которую подарил ей пожилой мужчина. Она пришла к мосту, там она очень испугалась, потому что под мостом проходила горячая лава, но все-таки она перешла этот мост, потом опять посмотрела на карту, не было никаких намеков на дорогу. Но она продолжала дорогу. Она долго ходила, также она увидела огромные странные камни, которые стояли на расстоянии друг от друга и летали в воздухе. Лола рассматривала все вокруг. Возле Лолы спала большая птица. Лола испугалась и убежала. На шум Лолы птица проснулась и увидела, как бежала девочка и птица догнала ее. Они долго рассматривали друг друга. Лола поняла, что эта птица ей ничего не сделает, у Лолы пропал страх к птице. Она подружилась с птицей и назвала ее Эра.

Птица привела Лолу к дереву. Девочка не верила своим глазам. Она вспомнила свою семью и загадала желание. Она мечтала, чтоб ее родные были все здоровы и чтоб все бедные люди не были бедными и что все жили счастливо. Дерево моментально просветилось и исчезло. Потом появился тот пожилой мужчина, который подарил Лолу карту. Он сказал: - Это дерево появиться через 100 лет на старое место. Мужчина также исчез. Лола и птица вернулись домой. С помощью Лолы в деревне не было больше бедных, никто не воровал. Лола доказала, что дерево существовало на самом деле. Это дерево появлялось каждый 100 лет, и помогала людям.

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
VII კლასის მოსწავლე
ზღაპარი „პატარა გამომგონებელი“
ინგლისურ ენაზე თარგმნა ლუკა შედანიამ

A LITTLE INVENTOR

There was a boy, who studied well. He liked science especially and had a lot of invention. His father was an inventor too. The boy's name was Tom, he often observed his father's job and after many tries he invented time- machine. He often travelled with his machine and helped poor people. He helped many people in danger too. He left in portal one of his traveling and suddenly he appeared in foreign planet, where he met hospitality aliens. They looked like human and lived in a thatched house in the middle of the forest. They had had food, but they have never seen machines and planes. They had lions, which they used to move: when they saw the boy's time-machine they were very excited and surprised. Time-machine plugged with sun shine so it could be alive during two days. The boy passed the time and could not return home. He was worried, because will not see never seen his relatives, but happened surprised, appeared other time-machine where was Tom's father he was looking for his son. Tom's father also invented a time-machine which was bigger and stronger. In that day those people became Tom's father friends too. After that son and father often visited the new friends and introduced achievement of modern techniques and news. Aliens tried to invent the time-machine too, which made the kind things. They also dreamed to travel around the world. If there was not Tom's time-machine aliens would not think about it.

პატარა ჟურნალისტები

ესაუბრა თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
VII კლასის მოსწავლე ლუკა შედანია

ინტერვიუ მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავასთან



მოგესალმებით, ბატონო ჯუმბერ! ბევრი რამ მსმენია და წამიკითხავს თქვენ შესახებ, მაგრამ გაცილებით საინტერესოა ყოველივე ამის მოსმენა თქვენგან; ნება მიბოძეთ, რამოდენიმე შეკითხვა დაგისვათ:

- ბატონო ჯუმბერ, გთხოვთ მოგვიყვებთ თქვენი ბავშვობის შესახებ.

- ბავშვობა რთული მქონდა, ის ომის მძიმე დღეებს დაემთხვა, არც შემდგომი პერიოდი იყო სახარბიელო. ფიზიკურად ძალიან სუსტი ბავშვი ვიყავი. სკოლაში რომ შევედი, დავიწყე ჯანმრთელობაზე ფიქრი, ტანვარჯიშზე

დავდიოდი. სკოლისა და ეზოს მეგობრებთან ერთად ბევრს ვმეცადინებოდი და ვთამაშობოდი.

- რაზე ოცნებობდით ბავშვობაში?

- ვოცნებობდი გავმხდარიყავი მეზღვაური. მასხოვს, ჩვენთან ახლოს იყო რკინიგზა, რომლის „შპალებიც“ წყალში ეყარა. მასზე ვდგებოდი ბავშვები და დავცურავდი. იმ დროს თავი გემის კაპიტნად წარმომედგინა.

სკოლა რომ დავამთავრე, ჩავაბარე ლენინგრადის საზღვაო აკადემიაში, მაგრამ დედა გარდამეცვალა, ჩემს დას მარტო ვერ დავტოვებდი და იძულებული გავხდი სწავლა გამეგრძელებინა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში. დავამთავრე მათემატიკის

ფაკულტეტი - გამოთვლელი მანქანებისა და ზუსტი ხელსაწყოების სპეციალობით. კიბერნეტიკოსი ვარ.

დღეს მე მოგზაური უფრო ვარ, ვიდრე მეცნიერი. თუმცა, მეცნიერებაშიც საკმაოდ დიდი მიღწევები მაქვს. ვმუშაობდი სამეცნიერო ცენტრებში, გამოთვლით ცენტრებში, სადაც ილია ვეკუა იყო ჩვენი ინსტიტუტის ხელმძღვანელი, მაქვს ნაშრომები კიბერნეტიკაში, ვარ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი და ა.შ.

- ბატონო ჯუმბერ, თქვენ უდიდესი დეაწლი მიგიძღვით ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე. როგორ მიაღწიეთ, რომ დღეს საყოველთაოდ ცნობილი ადამიანი ბრძანდებით?

- რომ არა სპორტი, ალბათ, მოგზაური ვერ გავხდებოდი. ხუთ სახეობაზე დავდიოდი - მქონდა საკმაოდ დიდი მიღწევები, მაგრამ იგი ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა, სულ ვცდილობდი თავი მეცნიერული კუთხით, კიბერნეტიკაში წარმოემჩინა, მაგრამ მოხდა ისე, რომ შემექმნა, ჯანმრთელობის მხრივ, სერიოზული პრობლემები და დავიწყე განკურნებაზე ფიქრი. მივალწიე იმას, რომ დავამყარე 11 მსოფლიო და გინესის რეკორდი. საქართველოდან პირველი ვარ გინესის რეკორდსმენთა წიგნში. შეიძლება ითქვას, რომ, ზოგადად, გინესის მოძრაობა არა მარტო საქართველოში, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც კი ჩემი დაწესებულია, რადგან დიდი პროპაგანდა გაეწიე ამ კუთხით.

- რასთან იყო დაკავშირებული თქვენი მოგზაურობა და მიაღწიეთ თუ არა მიზანს?

- რთული პროცესი გავიარე ჯანმრთელობის აღსადგენად, ამ მოგზაურობას დავარქვი ადამიანის ფიზიკური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გამოცდა ექსტრემალურ პირობებში. ჯერ ერთი, ექსტრემალური იმიტომ იყო, რომ მე

ნახევარი ორგანოები ამოკვეთილი მქონდა, მეორე - რომ მე სპორტის ურთულეს სახეობაში დავამყარე ძნელად მისაღწევი რეკორდი.

ჩემ წინაშე დაისახა ამოცანა, გამოემეცადა ადამიანის შესაძლებლობები ექსტრემალურ პირობებში და შემესწავლა ადამიანის შესაძლებლობებს ჰქონდა თუ არა ზღვარი, სწორედ ამ დროს, მეგობრის შვილმა, რატი კიკაჩიშვილმა მირჩია შემომეველო მსოფლიო ველოსიპედით, ვინაიდან მქონდა სათანადო გამოცდილება, ძალა და გამძლეობა. თითქოს სხვისგან მივიღე ფორმულა, რომლის ამოხსნაც ჩემზე იყო დამოკიდებული. სწორედ, ასეც მოხდა, დავწერე პროექტი, პროგრამა და განვახორციელე. მაშინ შევძელი შეუძლებელი, რაც, ჯერჯერობით, არავის გაუკეთებია და სავარაუდოდ, ვფიქრობ, არავინ გააკეთებს.

- იმ მრავალი ქვეყნიდან, რომელშიც იმოგზაურეთ, რომელმა მოახდინა თქვენზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება?

- მოგზაურობისას თითქმის ყველაფერმა დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა, მოგზაური ყოველთვის ცდილობს ყველა მომენტი დაიმახსოვროს. ამოტომ, ჩემთვის, გარდა სახელმწიფოებისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი კულტურების შესწავლას, პიროვნებებთან შეხვედრებს და ა. შ. ყოველივე ეს დიდ შთაბეჭდილებებსა და ინფორმაციებს მაწვდიდა, აქედან გამომდინარე, გამაჩნია დიდი ინტელექტუალური



საკუთრება, ჩამოტანილი დღიურების, დოკუმენტების, ფოტო და ვიდეომასალების სახით. ყოველივე ამის საფუძველზე მინდა შექმნა კიდევ ერთი ინფორმაციული მასალა, რომლის მსგავსიც ჯერ არ შექმნილა: 50 ტომი მოგზაურობის შესახებ, ენციკლოპედიის სახით.

- თქვენი ცხოვრების დაუვიწყარი დღე.

- ცხოვრებაში ბევრი დაუვიწყარი დღე მქონდა, ზოგი უსიამოვნო, ზოგიც სასიამოვნოდ მოსაგონარი.

მამის გარდაცვალება, თუმცა არ მახსოვს, ვინაიდან ძალიან პატარა ვიყავი. დაუვიწყარია დედის გარდაცვალება, თან ძალიან რთულ მომენტში, როცა ბავშვს მშობლის თანადგომა ძალიან სჭირდება. როცა სკოლა დავამთავრე და ჩავირიცხე უმაღლეს სასწავლებელში, სწორედ მაშინ დამაკლდა იგი. დაუვიწყარი იყო ჩემი დაოჯახების დღე, შვილების დაბადება.

ასე რომ, ეს დღეებია დაუვიწყარი, რეკორდები კი შემიძლია კიდევ გავიმეორო.

- ჩაგიბარებიათ ცხოვრებისეული გამოცდები?

- ჩემი ცხოვრება კუროზებით არის სავსე, ღმერთი ყველანაირ გამოცდას მიწყობს, მე კი ვცდილობ ყოველივე დავძლიო. ბოლო გამოცდა ჩემთვის შეიღის გარდაცვალება

იყო, რაც ძალიან ძნელია მშობლისათვის. სამი წელია ვიბრძვი იმისთვის, რომ დავიბრუნო სულიერი და ფიზიკური სიძლიერე, მაგრამ, ჯერჯერობით ვერ შევძელი

- თქვენი სამომავლო გეგმები, ხომ არ აპირებთ ჩამოაყალიბოთ მოგზაურთა კლუბი და თქვენი გამოცდილება გაუზიაროთ ახალგაზრდებს?

- ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული მოგზაურთა კლუბი, თუმცა, არ გვაქვს მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან. კლუბს გააჩნია უამრავი პროექტი, რომლის განხორციელებაც გვიჭირს, მაგალითად, პოლარულ წრეზე უნდა წავსულიყავით სამოგზაუროდ, მაგრამ, სამწუხაროდ, დაფინანსება ვერ მივიღეთ. ახლა მყავს პროდიუსერი, რომლის ორგანიზებით ჩვენ ვგეგმავთ შემოუაროთ ვერაზიას ხელმეორედ. ადრე თუ ვსწავლობდი ადამიანის შესაძლებლობებს, ახლა ეს იქნება დაძმობილების პროგრამა. ასე რომ, ძალიან საინტერესო მოგზაურობა გველის.

- რას ურჩევდით მომავალ თაობას?

- მომავალ თაობას ვურჩევ ისწავლონ კარგად, შეიყვარონ სამშობლო და გახდნენ სრულყოფილები, მცოდნენი. XXI საუკუნე ინტელექტუალების საუკუნეა. მიზნის მისაღწევად დიდი ცოდნაა საჭირო.

ბავშვებს ვურჩევ საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოიყენონ, მაგრამ წიგნები არ დაივიწყონ, თუკი ისინი დროს საჭიროებისამებრ გაანაწილებენ, მეტ ცოდნასაც მიიღებენ და ჯანმრთელობასაც შეინარჩუნებენ.



ინტერვიუ ჩაიწერა ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე ირაკლი ჯიგანიამ.

ინტერვიუ
გულნაზ ხარაიშვილთან

ქალბატონო გულნაზ, მადლობას მოგახსენებთ, რომ მე, „ნორჩ ათინათელსა“ და ჟურნალ „ათინათის“ აქტიურ მკითხველსა და ერთ-ერთ ავტორს, მომეცით საშუალება დამესვა რამდენიმე კითხვა თქვენთვის.

ქალბატონო გულნაზ, მსოფლიო მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის დაარსება ქართველი ერისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, თქვენ, როგორც ამ აკადემიის პრეზიდენტს, რა წვლილი მიგიძღვნით მის დაარსებაში?

აკადემიის ჩამოყალიბების იდეა მე მეკუთვნის. საფიქრალი იყო ის, რომ შეიძლებოდა ცოცხალი ადამიანის სახელობის კულტურის კიდევ ერთი კერის დაარსებას რაიმე დაბრკოლებები შეჰქმნოდა, მაგრამ ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემი მცდელობა კარგად დასრულდა და აკადემიის არსებობა, დღეს, თავისი საქმიანობით ცხადყოფს, რომ დროული და საჭირო იყო მისი შექმნა.

ბატონი ჯუმბერი, საქართველოსა და მთელი მსოფლიოს გამორჩეული პიროვნება, მრავალი ღირსებითაა დაჯილდოებული. ის ძლიერია, როგორც მოგზაური, სპორტსმენი, ადამიანი, მეგობარი, მოქალაქე...

მრავალპროფილიანი ჟურნალ „ათინათის“ რედაქტორი ბრძანდებით. რა წარმოადგენს თქვენს მისიას, როგორც რედაქტორს, რისი მიღწევა გასურთ ამ საქმიანობით?

ჟურნალი მრავალ სფეროს წარმოაჩენს. აქ თავმოყრილი და თემატურად განლაგებულია სხვადასხვა სპეციალობა. ამ ორგანოს აუცილებელ მისიას წარმოადგენს სამეცნიერო – შემეცნებითი საკითხების გაღრმავება, პოეზიისა და

პროზის პოპულარიზაცია, მომავალი თაობების, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების, ხელშეწყობა, გამოვლენა და განვითარება, სულიერების ამაღლება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კონტაქტები და ა.შ.

თქვენ ბრძანდებით მრავალი პოეტური კრებულის ავტორი, ვის თვლით თქვენს მასწავლებლად პოეზიაში, ან როდის, როგორ დაიწყეთ პოეტური შემოქმედება?

როცა თქვენს ასაკში ვიყავი, კარგად ვსწავლობდი, თამამად ვიტყვი, სკოლაში თითოეული ღონისძიების, იდეის ავტორი და შემსრულებელი გახლდით. ვცეკვავდი, ვმღეროდი, მხატვრულად ვკითხულობდი. მიყვარდა თავისუფალი თემების წერა, ლექსები არასოდეს მიწერია. სურვილი დიდი მქონდა, ჩემი ძმა კი, აწ/გარდაცვლილი ბეჟან ხარაიშივილი ქუხდა, ბავშვობიდანვე მას საჩხერეში „აკაკის“ ეძახდნენ. სამწუხაროდ, ის ერთ გაზაფხულსაც ვერ მოესწრო თავისი შემოქმედებით, 29 წლისა მოკლეს, ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, მართალი სიტყვისთვის გაისტუმრეს ცათა სასუფეველში. ეს გრძელი ისტორიაა... ერთხელაც, მე მოვხვდი მამა გაბრიელის საფლავზე...

ლამაზი დილა გათენდა, შვილიშვილებთან ერთად მცხეთაში ვაპირებდი წასვლას. გული შინაგანად მკარნახობდა, რაც შეიძლება მალე წავსულიყავი სალოცავთა ქალაქში... პატარებთან ერთად შევბიჯე დედათა მონასტრის ეზოში. მათ, ტაძართან მიახლოებისას პირჯვარი გადაიწერეს და შემომხედეს ბავშვური ელვარე თვალებით. ისინი ამ წმინდა ადგილის მიმართ მორჩილებასა და მოწიწებას გამოხატავდნენ...

ტაძარი უამრავი სანთლით გაჩირადნებულიყო. ნანა და ლევანი შეჰყურებდნენ ხატებს. ღვთისადმი სიყვარულით ივსებოდნენ. ტანში ქრუანტელმა დამიარა, თვალწინ დამიდგა ჩემი თამუნას, თეონასა და ვახტანგის სახეები. თითქოს ხუთივე ერთად იდგა, ყველა ერთნაირად მიყვარდა. ისინი ერთნაირადვე გამოხატავდნენ ღვთის სიყვარულს. წარსულის მორევში ჩავიძირე, არ ვიცოდი რამდენ ხანს გასტანა გარდასულ დღეებზე ფიქრმა... ცრემლები მომერია, სანთლები ნელ-ნელა იწვოდნენ. უფალს ვევედრებოდი: ღმერთო, ჯანმრთელად ამყოფე ყველა ადამიანი, მზეობდეს ბედნიერება, მშვიდობა ჰყავ ჩემს ქვეყანაში, მთელს მსოფლიოში...

დედათა მონასტრიდან, გზა მამა გაბრიელის საფლავისაკენ გავაგრძელებთ. ბავშვები დინჯად აკვირდებოდნენ ყველაფერს და ცნობისმოყვარედ შემომცქეროდნენ.

საფლავთან უამრავი ადამიანი, ზოგი დახოქილი და ზოგიც თავდახრილი, მიწას დასხერებოდა. ღმერთო, იმედი არ მოგვიშალო, ჩავილაპარაკე ჩემთვის და საფლავთან დავიჩოქე... რომ წამოვდექი, მონაზონმა მამა გაბრიელის საფლავიდან გადმოდინებული, მაღლცხებული ხეთი მომაწოდა...

უკან ვბრუნდებოდი, ისეთი წინათგრძნობა მქონდა, თითქოს რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა დაწყებულიყო ჩემს ცხოვრებაში... ინტუიციით ვგრძნობდი, რომ მალე, მოკლე დროში რაღაც ძალიან, ძალიან უნდა გამხარებოდა...

რუსთავის ქუჩებში ხალხის სიმრავლე იგრძნობოდა. ნიავი კი ჩუმად ყვავილებსა და ფოთლებს ეფერებოდა. რაღაც ხდებოდა, მაგრამ რა? ვეკითხებოდი საკუთარ თავს. ყველა მერიის წინამდებარე მოედნისაკენ მიიჩქაროდა. რა ხდება? იქნებ მიპასუხო, ახალგაზრდავ? – მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა ჩამოვიდა! გმადლობთ, უფალო, ვეჩურჩულებოდი მაცხოვარს და მოედნისკენ გახარებული მივიჩქაროდი.

მთელი საქართველო ესალმებოდა თავის ღირსეულ შვილს, მშვიდობის მსოფლიო დესპანს, გმირს, რომელმაც უფლის წყალობით სასწაული მოახდინა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ადამიანის შესაძლებლობები უსაზღვროა.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობა სიკვდილზე გამარჯვებას, თავის უმცროს მეგობარს, აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ რატი კიკაჩიშვილს, გარდაცვლილ მეუღლეს ლიანა აღბეგაშვილს და ეროვნულ გმირს, მოგზაურობის სულისჩამდგმელს ეიული შარტავას მიუძღვნა. აი, თურმე, რამ მოახდენინა სასწაული მოგზაურს, – სიყვარულმა.

ბედნიერი ვარ, რომ პირადად ვიცნობ ამ არაჩვეულებრივ პიროვნებას, უფლის ნებით, რამდენჯერ გაცოცხლებულ კაც – ლევენდას, პატრიოტს, უსაზღვრო სიყვარულის მატარებელ ადამიანს – ჯუმბერ ლეჟავას.

მას შემდეგ 9 წელი გავიდა. ზუსტად იმდენი დრო, რამდენიც იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო ჯუმბერ ლეჟავამ. ამ ხნის განმავლობაში სამუშაოს პარალელურად ვაწარმოებდი ჯუმბერ ლეჟავას ფონდში, სამთავრობოებთან და არასამთავრობოებთან მოლაპარაკებებს და მეორე წელია, რაც დავაარსე ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია. ვარ ცხრა პოეტური და პროზაული წიგნის ავტორი. ყველაფერი ეს მამა გაბრიელის საფლავიდან გამოყოფილი მადლით მოხდა. გმადლობთ, უფალო!

ჰოდა, უფაღმა იცის ვის რა მისცეს და თანაც როდის. თუმცა, კვლავ ღმერთს ვთხოვ პატიებას. ჯერ ისე ვერ ვწერ, როგორც მიყვარს და როგორც გულში განვიცდი, სამშობლოს სიყვარულისა და შვილის დაკარგვის ტკივილს...

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, რომლის სახელსაც ატარებს აკადემია, მთელი მსოფლიო იცნობს, სავარაუდოა, რომ კულტურათმშორის კონტაქტები დაამყაროს აკადემიამ და ჟურნალმა „ათინათმაც“, გაქვთ თუ არ გეგმები დასახული ამ მიმართულებით?

ღიას! კულტურათმშორის კონტაქტების დამყარების გეგმებზეც ვფიქრობთ, გეტყვით უფრო მეტსაც, ჟურნალს შევაცყვარებ მომავალ თაობას. ის აუცილებლად გააგრძელებს სიცოცხლეს. „ნორჩი ათინათელები“ გაიზრდებიან, და ჟურნალი კაცობრიობის ცოდნის, სიყვარულის ჯებირი გახდება. რაც შეეხება მის გარეკანს, რეზო ადამიას მიერ შესრულებული წმინდა ნინოს ხატი ამშვენებს და ის დაიცავს „ათინათს“.

გთხოვთ რამდენიმე სიტყვით გვიამბოთ თქვენს პიროვნებაზე... ვინ არის ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი?

მე უბრალო პოეტი ქალი ვარ, საკუთარი და ერის ტკივილი მხრებზე მაქვს წამოსხმული და მაინც ღიმილით დავდივარ, ვითომც ქარს ჩემთვის ერთი თმის ღერიც არ გაუცლია. ესეც უფლის მადლია, რომ რკინის ქალად ვიქეცი:

„დედაბუნებამ დამამადლა სიკეთის თესვა
ენას სულ ვეტრფი, მამული მიყვარს, ზღვა ლურჯი ფერით.
მრავალჟამიერ უნდა ვთქვა და სასმისი შევსვა,
მე?.. სიყვარული შემიძლია სხვა არაფერი.
მე შემიძლია გულდაჭრილის გაჯანმრთელება
სულ დავრდომილთან მომინდება მყის მოფერება.
დედამ სიკეთე ჩამილაგა ჩუმად უბეში,
და ამ საწუთროს მინდა მივცე ბედნიერება.“

ჩვენ, „ნორჩი ათინათელები“ გავხდით ავტორები ჟურნალ „ათინათისა“, ეს იმის ნიშანია, რომ ახალგაზრდა თაობის წინსვლა-განვითარება გსურთ. რას უსურვებთ ახალგაზრდობას?

მთელი სიცოცხლე მასწავლებელზე მეტად არავინ მყვარებია, ისე, როგორც თქვენ გიყვართ თქვენი მასწავლებელი, ქალბატონი ლამარა გერგედავა, რომელმაც შეგაცყვარათ ჟურნალი „ათინათი“. საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობის 2005 წლის 24.10 №43 დადგენილებით, დაჯილდოებული ვარ ქ. თბილისის ერთ-ერთი კულტურის ცენტრის დირექტორობის პერიოდში, მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი წვლილისათვის კი – იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედლითა და საპატიო სიგელით. მიყვარს ბავშვების სულში ჩახედვა, ისინი უმანკონი არიან, საყვარლები და მოსათუთებელი. ახალგაზრდების წინსვლისთვის მთელს ჩემს შესაძლებლობებს გამოვიყენებ რომ ქალბატონ ლამარა მასწავლებელთან ერთად, იგი ხომ საბავშვო განყოფილების რედაქტორია და უანგაროდ მუშაობს ჟურნალში, რათა თქვენი ნიჭი გამოამზეუროს და არენაზე გამოიტანოს.

რას უსურვებდით ახალგაზრდობას?

ახალგაზრდობას ვუსურვებ დროის მაქსიმალურად გამოყენებას. დრო მიდის, უკან რომ მოიხედავენ მათ განვლილ კვალში მხოლოდ სიკეთის მარცვალი უნდა იყოს

ჩაბნეული. ვუსურვებ მშვიდობას, ერთმანეთისადმი პატივისცემასა და თავმდაბლობას. საჭიროების შემთხვევაში კი, თავგანწირვასაც სამშობლოსათვის.

თქვენი მომავალი გეგმები...

ჩემი გეგმები უსასრულოა, ცას სწვდება, ცოცხალი ადამიანის შესაძლებლობებს სცილდება, იდუმალბაა... ვერ ავხსნი, არ გეტყვით, საიდუმლოა. ერთს გამოგიტყდებით, 2014 წლიდან ორი ჟურნალი გვექნება „ათინათი“ და საბავშვო ჟურნალი „ნორჩი ათინათელები“. ვნახოთ, როგორ იმუშავებთ, ეს თქვენზეა დამოკიდებული. იცი როგორ მიყვარხარ? ეს გრძნობა მინდა ლექსით გამოვხატო:

„ახალგაზრდობავ, სულს მიშრიალვებ, შვილებიცა ხართ და ლურჯი ზეცაც, ყველანი გულის ძარღვში ტრიალებთ, მთვარეს გაჩუქებთ, ვარვარა მზესაც. ფიქრთა კარები გაღებულთა, მოდით, მოგხვიოთ ტკბილად ხელები მკერდი გრძნობებით დანადმულია, თქვენით ღამაზობს ცისარტყელები.

ვდარდობ... მიწები მტერმა წაგვართვა, აქ დავიტირეთ ზღვას ჩაძირულნიც. თეთრმა ვეშაპმა ღამის ჩაგველაპა, როდემდე ვიყოთ დარდდაბარდნული. მწვერვალებს აჰყუთ კლდის ღაღ ჯიხვივით, ეკლის ბარდებში ბილიკი ძებნეთ. შენ, ჩემო ლექსო, ამოჭიხვინდი, ახალგაზრდობას ყოველთვის ენდე.“

ღიას! ეკლის ბარდებში ბილიკი უნდა მოძებნო, კლდის ჯიხვები უნდა იყოთ, გენაცვალებო...



ესაუბრა თბილისის 167-ე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე ქრისტინე იზორია

ინტერვიუ რეზო (ემელიანე) ადამიასთან

1. ბატონო რეზო, თქვენ ბრძანდებით დავით ადმაშენებლის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიების ღაურვატი. ვის თვლით მხატვრობასა და მწერლობაში თქვენს მასწავლებლად?

მხატვრობაში ჩემს მასწავლებლად ვთვლი გენიალურ იტალიელ მხატვარ ლეონარდო და ვინჩის, პოსტიმპრესიონისტ პოლ სეზანს (ფრანგი ხელოვანი). ყოველთვის მათგანაა ნიკო ფიროსმანაშვილის კოსმიური და ეროვნული სულიერება.

მწერლობაში: რუსთაველი, ჰემინგუეი, ალბერ კამიუ, გოეთე, შექსპირი... მიყვარს გრიგოლ რობაქიძე, გრანელი, კ. გამსახურდია, გალაკტიონი. ეს უკვდავი სახელები განსაკუთრებულად შთამაგონებდნენ ყოველთვის.

2. თქვენ ბრძანდებით ავტორი წიგნისა “შედევრები და მარადიულობა”. მწერალი რევაზ მიშველაძე ერთგან წერს, რომ ეს მსოფლიომ ხელოვნების დამხმარე სახელმძღვანელოა და ვინმე რომ მკითხავდეს, ვითხოვდიოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ან რომელიმე დიდ სასწავლებელში, თუნდაც, სამხატვრო აკადემიაში, რეზო ადამიას წაეკითხათ მსოფლიო კულტურის კურსი. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

ლექციებს სიამოვნებით წავეკითხავდი, მაგრამ ამ საქმეში ხელოვნებათმცოდნეები უფრო კომპეტენტურნი არიან. პროფესორმა ვალერი ასათიანმა (კულტურის ყოფილი მინისტრი) მითხრა, თქვენს ნაწარმოებებს, უნივერსიტეტში, სტუდენტებს ვუკითხავ ხოლმეო. ძალიან გამიხარდა.

3. მე დავათვალიერე ტერენტი გრანელის გრაფიკული შედეგები და გავეცანი თქვენს წერილს: “ზეციური უსაზღვრობა გრანელში”. რითი არის განსაკუთრებული ეს ნამუშევრები? თქვენ პოეტ გრანელისა და მხატვარ კანდინსკის შემოქმედებას უდარებთ ერთმანეთს, წერთ, რომ პარალელებს ხედავთ...

ეს ძალიან რთული თემაა. გრანელს რომ ჩაწვდე, საჭიროა, თვითონაც გრძნობდე კოსმიურობას, ეს კი ღრმა ინტუიციასა და ინსტინქტებთანაა კავშირში (არ ისწავლება), გრანელის პოეზია და აბსტრაქტული ნახატები (გრაფიკა) მგონის უნატიფესი სულიდან ამოსული კოსმიურობაა... რასაკვირველია, უფალთან მიახლებით... იგივე ითქმის ვასილი კანდინსკიზე, იგივე ზეციურობა იგრძნობა, კოსმიურ უხილავ ფორმათა გამჟღავნება ფერწერაა და გრაფიკაში... ასევეა სიურეალისტები: რეიმონდ ჯორჯეს ივ ტანგი, ამერიკელი და ფრანგი მხატვარი, ჟოან (ხუან) მირო, ესპანელი მხატვარი... კაზიმირ მალევიჩი – მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე...

4. თქვენ წლობით ცხოვრობდით პარიზში და იქ მოღვაწეობდით, როგორც ვიცი, ამან შთაგაცონათ შეგექმნათ “შედეგები და მარადიულობა”. რითი იყო ეს წლები განსაკუთრებული თქვენთვის?

ყველა შემოქმედს სჭირდება ისეთი გარემო, ობიექტი, რომელიც ახლოსაა თავის შემოქმედებით ნატურასთან. უამრავი ხელოვანი პოულობს სხვა ქვეყანაში თავის “მეს”. მაგალითისათვის შემიძლია დავასახელო: გოგენი, ვან გოგი, რერიხი. მწერლობაში რადიარდ კიპლინგი, ინგლისელი მწერალი, პოეტი და ნოველისტი. გაიხსენეთ მისი “მაუგლი”, ინდოეთში დაიწერა...

მე პარიზმა შთამაგონა წიგნი “შედეგები და მარადიულობა” (ასევე უამრავი მასალა, რომელიც უნდა გამოვაქვეყნო). დასახელებულ წიგნს ცხრა-ათი წლის განმავლობაში ვწერდი, მუხუშებში, შედეგების წინ, დიდიდან სადამომდე... ვიდექი ფრანგი მოქანდაკის, არისტიდ მაიოლის ქანდაკებასთან, ღია ცის ქვეშ, თოვლში, ყინვასა და წვიმაშიც... ფერწერული სურათებიც შევქმენი, ბევრი იქ გაიყიდა, ნაწილი ჩემთან ინახება...

ისე ვიყავი ჩართული მუშაობაში, რომ ზოგჯერ წყლით ვარსებობდი, არც ვიკვებებოდი...

5. თქვენ გქონდათ გამოფენა “გალაკტიონის პლანეტარიუმი”. ალბათ, სულიერად, ძალიან ახლოსაა დიდი პოეტის პოეზია თქვენთან.

კოსმიური ხედვა გამიძლიერა ვასილი კანდინსკიმ, მალევიჩმა, პიკასომ, მატისმა. მოქანდაკეებიდან: მურმა, ცატკინმა, ბრინკუშმა (ბრანკუზი), ფერმწერებიდან: სალვადორ დალიმ, ტანგიმ. პროზაში: ჯეიმს ჯოისმა, ფრანც კაფკამ...

ჩემი სულიერი მარადიული თანამგზავრებია ქართველ შემოქმედთა სახეები: ნ. ბარათაშვილი, გენიალური შოთა რუსთაველი, მისტიკოსი პოეტი გრანელი, მიწასა და ცას შუა ქარბორბალად მთარული გალაკტიონი, რომლის კოსმიური სივრცე უკიდევანოა და საოცარია ლექსის მუსიკაც, ფორმაცა და სტილიც... ეს ყველაფერი, პლანეტარიუმის უხილავი საზებითაა სავსე. დღეიდან, ასი წელიც რომ გამუშაოს განგებამ, ალბათ, მაინც არ მექნება დრო საკმარისად ამ თემატიკაზე ვიმუშაო, რადგან გალაკტიონის შემოქმედება, უძირო კოსმოსია, არასდროს არ მდლის მისი სიშორე, პირიქით, ხალისით მივუყვები გზებს, გრძნობებით, კოსმიური სიახლეებისკენ...

6. რას გვეტყვით მომავალ გეგმებზე? რას უსურვებდით მომავალ თაობას?

წლებმა, მართალია, შემომიტია, მაინც ახალგაზრდულად ვმუშაობ, მგონია, რომ მწერლები და პოეტები ჩემზე ბედნიერები არიან, რადგან მათი უმრავლესობა, ერთ სფეროში მოღვაწეობს და ამიტომაც, დიდი დრო აქვთ. მე კი შემოქმედების ორი მუხით ვსულდგმულობ, ვწერ... ვხატავ... ეს ყოველივე, რთულია, მაგრამ დიდ ბედნიერებას მანიჭებს.

ბევრი გეგმა მაქვს. ვმუშაობ... ვქმნი და შევეცდები ჩემს ხალხს ამით ვასიამოვნო.

მომავალ თაობას ვურჩევ: გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. გიყვარდეთ უფალი და სამშობლო, რომლის პატრონადაც დემეტრმა მოგაგვლინათ სამყაროში. მიზნად დაისახეთ სწავლა-განათლება. პატივი ეცით მშობლიურს, ქართულს, მერე კი, თუ გნებავთ, იყავით პოლიგლოტები და დაიპყარით კოსმოსიც... თქვენში, ახალგაზრდობაში, ბედნიერ მომავალს გხედავ.



მილოცვა

ცნობილ ფეხბურთელს, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსს, მანუჩარ მაჩაიძეს, ვულოცავთ დაბადების დღეს. აკადემიის წევრები და პოეტები.

გულნაზი ხარაიშვილი

მანუჩარ მაჩაიძის განვლილი გზა საამაყო და "მოსაფერებელია," ახლობელთათვის უბრალოდ – "მანო". თბილისის "დინამოს" კაპიტნის და ლეგენდარული 7 ნომრის ცხოვრების გზა ზღვის ტალღასავით მჩქეფარება, მის ყოველ ბილიკს თავისი ღაზათი, შნო და სილამაზე აქვს.

არ არსებობს ჭეშმარიტი ქართველი, რომელიც არ იცნობდეს ბატონ მანუჩარ მაჩაიძეს, მასში სპორტი და ხელოვნება ისეა შერწყმული, როგორც ჭიგოზე შემოსხვეული ვაზის მანუელი.

ბუნებრივია ასეთი სულის პიროვნებასთან შეხვედრას მღელვარება ახლავს, მღელვარება ადამიანური, მამულიშვილური... იმ დღეს ჩვენ ვღვლავდით, როცა ჟურნალ "ათინათის" რედაქციაში მანუჩარ მაჩაიძეს ველოდით. ამ მღელვარების მიზეზს მიხვდება მკითხველი, ვისაც ერთხელ მაინც უნახია მანუჩარ მაჩაიძე ფეხბურთის მოედანზე და უფრო მეტიც დაუთვალიერებია მისი ფერწერული ნამუშევრები. მის ნახატებში მკაფიოდ არის ასახული თბილისური ბოჰემისა და მომავალი თაობების შთაგონების სავანე... დიდის მელოდია. თუ ამხანაგების ტვირთწამოკიდებული და დაუღალავი მანუჩარ მაჩაიძე ასეთი კარგი მხატვარი იქნებოდა, ამას ვერც წარმოვიდგენდი, სუპერფეხბურთელს რა ფაქიზი სული ჰქონია. მისმა თავდადება, არაერთმა ბროლის თასის ადებამ, ოქროსა და ვერცხლის მედლების მოპოვებამ დამაწერინა 2003 წელში გამოშვებულ პოეტურ კრებულში ეს ლექსის სტროფები:

ბევრჯერ დარეკე ზარები,
ოლიმპოს ანთე ცეცხლი,
შენ მხესაც კი ედარები
მედლად ოქრო და ვერცხლით.
ბევრჯერ ვარსკვლავად ამადლდი
და ააკვირტე ვერხვი...
იმედის ცეცხლით ააღდი
მედლად ოქრო და ვერცხლით.

ბატონო მანუჩარ, შენს განვლილ გზაზე სიამაყით გაივლიან შენი შვილები და შვილიშვილები. შენი სახელი უსასრულო ზენიტს გავს.

**ყველა ნახატი
(მანუჩარ მაჩაიძეს)**

გაგილამაზა თვით სული დემერტმა,
ფუნჯი შენს ხელში არის მორჩილი.
ყველა ნახატი სურნელით ფეთქავს
და მოკრძალებით არის მოხრილი...

ვარდის სურნელის გწყურია ნამი,
მზის სხივს, რომ მოჰყვეს ათინათებად,
შენი ცხოვრების წუთი და წამი,
არის მომავლის გამონათება...

თამარ ჯაჭვავაძე

**მე უკვდავებას ვეთამაშები
მე უკვდავებას ვეთამაშები**

**მანუჩარ მაჩაიძის მონოლოგი
ტერენტი გრანელის სტილში**

ეწირებიან ბედის ავ დარებს
ვარდისფერთვალა ცოდვის ვაშლები,
თქვენთან თამაში აღარ მადარდებს,
მე უკვდავებას ვეთამაშები.
ჩამოიცალა ქეიშის საათი,
თავაწყვეტილი რეკენ ზარები...
შეშლილო ბედო, დამეს გაათევე,
დამარცხებული გამეპარები.
თუ ზღვა მშვიდია, არ დაუჯერო,
მეამბოხეა მისი ბუნება...

ღედამიწაზე შემაგვიანდა,
გადავდე ჩემი შინ დაბრუნება.
ავადმყოფია მთელი სამყარო,
პარაზიტი ხარ ადამიანო...
არა-რა ნიჭი არ მაპატიო,
არა ტკივილი – არ დამიამო!
ვიცი, ერთხელაც გაიპრილებს
თავისუფლება სულის ამშვეები...
თქვენთან თამაშებს აღარ ვაპირებ,
მე უკვდავებას ვეთამაშები.

მადლობის აღიარება ჟურნალის ფურცლებიდან

ჟურნალ ათინათის მეექვსე ნომერში გამოვაქვეყნე პატარების სურათები, ასეთი სათაურით, პატარა ანგელოზები. სხირტლაძე ვახტანგის (ანუ ჩემს შვილიშვილს) მამა არა ჰყავს, დარჩა სამი წლის ობოლი დედის ანაბარა. ენატრება მამა და ელოდება, ჰგონია რომ მოვა.

ჟუნალის ნომერი ნათელა ხარაიშვილთან მოხვდა.

მკითხველს დაინტერესებს ნათელა ხარაიშვილის პიროვნება. აგისხნით. იგი გახლავთ პოეტი, ცხოვრობს საჩხერეში. 30 წლის წინ ავარიით ჯამრთელობა დაკარგა. ეტლს მიჯაჭვულ პოეტს რამხელა გული ჰქონია, დაუჯერებელია რაც მან გააკეთა, წაიკითხეთ მისი წერილი და თქვენ გაანალიზეთ. მე ისღა დამრჩენია, მადლობის თქმა ასე, აი, ამ ფორმით გამომეხატა.

ქალ. ნათელა გჯეროდეს ჩემი შვილი შენზე ილოცეებს ცათა სასუფეველიდან

ფუდღისმიძი საყვარელ დაო, გუნებ,
 მოგიერთხავთ ყოლმიძი სიყვარულით.
 მოუღილაკავთ შინას, ასეც წივს, ნათღის-
 ღონის მადლი ცხობადღებს მუდამ თქვენს
 თქანში. იმედითა და ფუთის ხმამით ყოფი-
 დყოთ სავსე, რომ ესა და მინა ჩითიანი
 სამყაროა, მხადვდობავს იწიღავი და მოუნ-
 დობი, მაჭამ არის ჩვენი შორის მუდმივი
 კავშირი

ღმერთო, ნათღმი აცხებ გვიას სუფთ,
 გვიას პაწახას, რომღესაც სწამს, მღვლო ღობუ
 ღონე ზის მისი მამა და ყვედაფუხს ხედავს,
 ამ თანხით ყყიდო და მოყდნით სარყტრენი,
 რომღოც მამს. გვიას გამოგზუნვი, ზღნოფ
 ზმსთან იწიავ ტემშაროქენაკა, რომა პაწახა
 ასე დამაზად გუნდობს მამის სიხბლოვს.
 ემონჩიღეს მოყდნებით
 ნათღვა.

2013წ. 17 იანვარი.



ვახტანგ სხირტლაძე
მამიკოს ელოდება



პატარა ანგელოზები



ალექსანდრე ავსაჯანიშვილი
ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანის
შვილთაშვილი



ელისაბედი და ერეკლე
მაჭავარიანები
ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანის
შვილთაშვილები



ნ. დონაძე, ნ. მაჭავარიანი,
ე. ქადაგიძე, ნ. ახვლედიანი
ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანის
შვილიშვილები



ნ. მენტეშაშვილი, ქ. სოსელია
კონსტანტინე და ცოტნე ჩიქოვანები
ირაკლი ანდრიაძის შვილიშვილები



ონავარი ბიჭები
კონსტანტინე და ცოტნე
ჩიქოვანები
ირაკლი ანდრიაძის შვილიშვილები



ნუციკო ყოლბაია
ლამარა გერგედავას
შვილიშვილი



მათე შუშტაკაშვილი
ვანო შუშტაკაშვილის
ვაჟკაცი



სალომე მენაფირე
დავით მენაფირის
შვილიშვილი

მარინა სხირტლაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
ფრანგული ლიტერატურული ფონდი



საქპარლ.ეროვნ.ბიბ-კა წარმოადგენს საქართველოს ძირითად სამეცნიერო ბიბლიოთეკას, რომელშიც დაცულია საქართველოსბეჭდვითი გამოცემები, უცხო სახელმწიფოების სამეცნიერო და უნივერსალური ხასიათის უმნიშვნელოვანესი ბეჭდვითი გამოცემები და სხვა დოკუმენტები, ეროვნული ბიბლიოგრაფები; ის აგრეთვე წარმოადგენს საქართველოს მთ.სახელმწიფო წინსაძვალს, განსაკუთრებული მნიშვნელობის კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მეთ დურ ცენტრს.

საქ. ერ. ბიბ-კაში საკმაოდ მდიდარი ფრანგული ლიტერატურული ფონდია. ჩემს მიზანს წარმოადგენს შეძლებისდაგვარად წარმოვიდგინოთ ამ ფონდის ბრწყინვალე ნიმუშები. უპირველესად მინდა ავღნიშნო ერთი გარემოება: კერძოდ ის, რომ საფრანგეთის გამოცემლობები თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ახდენენ ამა თუ იმ დარგში გამოსაცემი ლიტერატურის მონაპოლიზაციას. ასე მაგ.: მხატვრული ლიტერატურის გამოცემებით დაკავებულნი არიან შემდეგი გამომცემლობები "Flammarion", "Calman-Levy", "Hachette", "Larousse", "Gallimard", "Bordas" რომელთაგან "Larousse", და "Flammarion" უკვე მესამე საუკუნეა, რაც ემსახურებიან ფრანგული მხატვრული ლიტერატურის გამოცემის საქმეს. საქ.ერ.ბიბ-კის ფრანგული ლიტერატურის ფონდი დაახლოებით 60 000 ბეჭდურ ერთეულ მოიცავს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფრანგულ მხატვრულ ლიტერატურას. მიყვებით ამ ლიტერატურის განვითარებას საუკუნეების მიხედვით.

ფრანგი ერისთვის მეტად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია: „La chanson de Rolland“ — „სიმღერა როლანზე“, რომელიც XI-XII-ე საუკუნეებს განეკუთვნება. სიმღერის ოქსფორდული მანუსკრიპტები 4 ათასამდეა, ხოლო ვენური 2 ათასამდე. ჩვე ფონდში წარმოდგენილია ჟერარ მუანეს მიერ 1844 წელს გამოცემული ამ ლიტერატურული ძეგლის შევსებული და ანოტირებული გამოცემა. მე-12-ე საუკ. შუა წლებში გავრცელდა „Legende d' Artur“ — „არტურის ლეგენდები“, რომლებიც სუკუნეთა მანდილზე იქცა ხელოვნების სხვადასხვა წარმომადგენლების შთაგონების წყაროდ. ბიბ-კის ფონდში დაცულია 1984 წელს რენე ლუისის მიერ მე-13-ე საუკუნის ტექსტებზე დაყრდნობით გამოცემული წიგნი. ამავე „Le Roman de Rose“ — „ვარდის რომანი“, რომელიც ჩვენ ფონდში გამოცემლობა Flammarion-ის მიერ 1970 წლის გამოცემით არის წარმოდგენილი. მე-15-ე საუკ. ფრანგული რენესანსული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელია ფრანსუა რაბლე, რომლის ნაწარმოებიც „გარგანტუა და პანტაგრუელ“-მა უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი შემდგომი“ ეპოქის ლიტერატურის განვითარებაზე, ჩვენი ბიბლ-კის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცულია ან ნაშრომის 1711 წლის ამსტერდამული გამოცემა, ასევე გვაქვს ლააფციკში 1814 წელს გერმანულ ენაზე გამოცემული ეს უკვდავი ნაწარმოები.

განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო, რომ ჩვენი ბიბლიოთეკის სიამაყეს წარმოადგენს მე17-ე საუკუნის ლიტერატურაში მხატვრულ სტილად ჩამოყალიბებული კლასიციზმის შედეგები პიერ კორნელის „Cide-სიდი“, ჟან რასინის მოლიერის უკვდავი პიესები: „ტარტიუფი“ „Tartuffe“, „დონ ჟუანი“ „Don Juan“, ჩვენი ბიბ-კის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცულია პ. კორნელის „ქვის სტუმარი „Le festin de piessé“, რომელიც პარიზში 1778 წელს გამოიცა.

ყველაზე ვრცლად საქპარ. ერ.ბიბ-ში წარმოდგენილია მე19-ე საუკუნის ფრ.ლიტერატურა დაწვებული ალ. დე შატობრიანით(1768-1848), ონორე დე ბალზაკი (1799-1850), სტენდალ(1783-1842), გუსტავ ფლობერი (1821-1880), გი დე მოპასანი (1840+1893), შარლს ბოდლერი (1821-1867).

ჩვენი მკითხველის ყურადღებამინდა შევაჩერო ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. კერძოდ, ხაზგასმით მინდა ავღნიშნო, რომ ჩვენ ბიბ-ში დაცული არა მარტო ის წიგნები, რომელიც მე-20-ე საუკუნის სხვადასხვა წლებში გამოიცა, არამედ ფრანგი მწერლების სიცოცხლის პერიოდში გამოცემული წიგნებიც მაგ: ყველასთვის კარგად ცნობილი - გი დე მოპასანის „ლამაზი მეგობარი“ „Bel ami- 1885 წელს გამოიცა, „წუთისოფელი-Une“ 1880 წელს, „პიერ და ჟანი-Pierre et Jean“ 1888 წელს, ჩვენ ბიბლიოთ კაში ეს გამოცემები სრულად არის წარმოდგენილი, გვაქვს აგრეთვე ამ რომანების მეოცე საუკუნის სხვადასხვა წლების გამოცემები. იგივე ითქმის ბალზაკის, გ. ფლობერის შედეგების შესახებაც.

სათქმელი და დასაწერი კიდევ ბევრია, მე არ შევხებვარ მე-20-ე საუკუნის ფრანგულ ლიტერატურას და იმ ფრანგ ავტორებს, რომელთა შემოქმედებამაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა არა მარტო ფრანგულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში, მაგრამ ეს უკვე შემდგომი კვლევის საგანია და ამის შესახებაც აუცილებლად მოგაწვით ინფორმაციებს ჩვენი შემდგომ გამოცემებში.

გახსენება

გიორგი იორამაშვილი
(მეუფე მიტროპოლიტ
მირიან იორამაშვილის შვილი)



უფლის მიმდევარს ვინ ჩაგიკლა გიო, სიცოცხლე,
ცის ანგელოზად მოვევლინე ალბათ ლურჯ ზეცას...
შენ, შორეთიდან სამშობლოსთვის მუდამ ილოცებ,
აქ ხომ სიმართლის და სიკეთის სამოსი გეცვა.

სპარტაკ სხირტლაძე



შენი ხელით აშენებული სახლის კედლები უშენოდ იერ-სახეს
კარგავენ, შენი ომახიანი ხმა ენატრებათ უსულო საგნებსაც...

მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს მოურჩენელი ტკივილი
დაუტოვე...

სოფლის „ყოჩი“ იყავი. გიყვარდა სიმართლე, სხვა სიკეთე რომ
დაივიწყონ შეგან გაკეთებული... ცათა სასუფეველში წასული ხალხის
სამუდამო საცხოვრისი შენი ხელით კეთდებოდა, უსასყიდლოდ, უანგაროდ:
ეს ცოტა არ არის.

სხვა ყველა სულმა მანდ მაპატიოს

ჩემს შვილთან ვგზავნი შენთან მოკითხვას,

ეს მონატრება სად დავატოვ,

აბა, სიტყვებით „პაკო“ რა ვითხრა...

მომიკითხე ჩემი გელა, ჩემი ლომივით ძლიერი ბიჭი და, აბა თქვენ იცით, მანდაც იქნებით
ისეთები, როგორებიც აქ იყავით მიწიერ სამყაროში, კეთილები. ილოცებთ დანატოვრთათვის.

სიმონ სხირტლაძე

შენ ვაჟკაცურ იერსახის აღწერას კალამი ვერც მისწვდება. ალბათ,
მხატვარსაც გაუჭირდება, რომ დაგხატოს. შენი სული თოვლივით სუფთა და
სპეტაკი იყო. შენი გაშლილი მხარ-ბეჭის ქვეშ მხოლოდ სიკეთის ჩრდილი
ეფინა.

ისე წახვედი, გაბედნიერება ვერ მოასწარი, თუმცა ბევრ გოგოს
უყვარდი, ახლაც სიყვარულით და ცრემლებით გიგონებენ.

გეზრდება შენი მოსახელე ძმისშვილი ლენგური, შენც ხომ ორი
სახელით ცხოვრობდი (ლენგურით) ამ პატარა წუთისოფელში. იცი, როგორ
გგავს?... შენსავით კეთილია და შენსავით წიგნის მოყვარული, გჯეროდეს, ის
ქართული საზოგადოების ცნობილი სახე გახდება.



ნანი ხარაიშვილი



გაზაფხულის ნიავთან ერთად შრიალებდა შენი ბავშობა, ნანი, ხვანის ტყის
სურნელებით გაიზარდე, ძირულის ჰაერი ფილტვებს გიჯანსაღებდა.

როცა წამოიზარდე და სკოლაში შეხვედი, ჟურნალს შენი სახელის
გასწორებ მაღალი ქულები აამშვენებდა. ლამაზ თვალბეჭებში სიკეთე ბატონობდა.

გათხოვდი, შეხვედი არაჩვეულებრივ ცხოვრების მეგობარს გივი
შუბითიძეს. თქვენს მეუღრო ოჯახში მხოლოდ სიყვარული მეფობდა.

შუახანის ასაკში მძიმე სენით ნაადრევად დატოვე სააქაო, ალბათ, ასე
გეწერა, გენაცვალე. ვწერ ამ სიტყვებს და თვალები ცრემლებით მეფსება.
გვენატრები. . .


ახალი წიგნები



გულნაზ ხაჩიაძევილი



სულის აჩეზი



საჩრევია

<i>უფლის საგალობელი</i>	2
<i>ციალა ხაჟალია-ანდრიაძე</i> – ანდრიაძეების ოჯახის სახელით, უდრმესი პატივისცემითა და დიდი სიყვარულით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს.....	4
 <i>მსაჯვრიული განყოფილება</i>	
<i>ტერენტი გრანელი</i> – სიკვდილის შემდეგ.....	7-8
<i>რევაზ მიშველაძე</i> – ორი ნაპირი.....	8-9
ყისმათი.....	9-11
<i>გულნაზ ხარაიშვილი</i> – შეხვედრა პატრიარქთან.....	12-14
<i>გვანჯი მანია</i> – რეკორდი.....	15
<i>ნაილი ხარაიშვილი-ხეთერელისა</i> – დიდთოვლობისას ხვანში.....	16-17
<i>ზეინაბ ბეჟაშვილი</i> – სამების ახალგაზრდული ცენტრი – ანთოლოგიის პრეზენტაცია.....	18
<i>თამაზ ალავეძე</i> – საღილი მდიდართათვის.....	18-21
<i>გვანცა ხარაიშვილი</i> – ზამთრის ჩანახატი.....	21-22
<i>ნინო ხუციშვილი</i> – ემიგრანტის დღიურები ეს მაწვალებს“.....	22-24
<i>ნუგზარ ნადარაია</i>	24-26
<i>ანი უშიკიშვილი</i> – მე ბავშვი.....	26-28
<i>ციალა ხაჟალია-ანდრიაძე</i> – დრო კი არ მოდის, მიდის.....	28-30
<i>ჟუჟუნა ნიჟარაძე-მაჭავარიანი</i> – საბერძნეთში მოგზაურობის დროს.....	30-31
წუთისოფლის სტუმრები ვართ.....	31-32
ერთი კაცის ისტორია.....	32-33
 <i>პიეზის</i>	
<i>მეუფე მირიან იორამაშვილი</i>	34-35
<i>დეკანოზი თავმას ჩოხელი</i>	36-37
<i>ტერენტი გრანელი</i>	38-39
 <i>ცერიენცი გრანელიზე მიძღვნილი ლექსები</i>	
<i>თამარ ჯაჭვიაძე</i>	40
<i>ლამზირა შეყილაძე</i>	41
<i>გულნაზი ხარაიშვილი</i>	41
<i>ნუნუკა გურალია</i>	41
<i>კახა ბაციკაძე</i>	42
<i>სერგი ლომაძე</i>	42
<i>გიორგი ზუხბაია</i>	42
 <i>ვაჟა აქიმიშვილი</i>	43
<i>მაყვალა გონაშვილი (მწერალთა კავშირის თავჯდომარე) –</i>	
ვაგიკ დავითიანის პოეზიის თარგმანი.....	44-45
<i>ნუნუკა გურალია</i>	46-47
<i>ნათია გოგიტიძე</i>	48-49
<i>გოგი დგებუაძე</i>	50-51
<i>ნანა ვაშაქიძე</i>	51
<i>საბა მოძველი</i>	52
<i>ალინა კუპრავა</i>	53
<i>ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე</i>	54-55
<i>დავით ტიგინაშვილი (ივრისპირელი)</i>	56-57
<i>თამაზ ცაბუტაშვილი</i>	58
<i>ლელია შუბითიძე</i>	59
<i>ლამზირა შეყილაძე</i>	60-61
<i>მადონა წიფურია</i>	62-63
 <i>ჰგუფა „ბტვარი“</i>	
<i>კახა ბაციკაძე</i>	63
<i>გიორგი ზუხბაია</i>	64

სერგი ღომადე.....65
ვასო ღომადე.....65

ბეჟან ხარაიშვილი.....66-67
გულნაზ ხარაიშვილი.....68-70
ნათელა ხარაიშვილი.....71
თინათინ ხაბურზანია.....72-73
ციური ხეთერელი.....74
არჩილ ფირცხალავა.....75
სიმონ ჯაფარიძე – იმრაველუამიერე.....76-77
ლევან ჯინჯიხაძე.....78
ჯიბო ჯიმერი.....79
თამარ ჯაჭვადე.....80-81
იამზე ჭელიძე.....82
ლალი კახიძე.....83

ბიძის ივანიშვილები მიძღვნილი ტექსტები

გულნაზ ხარაიშვილი.....84
დავით ტიგინაშვილი.....84
საბა მოძველი.....84

ბერიკტები

ტიტე მოსია – ციუი იუანის „მეუფენი“.....85-87
სერგი ღომადე – მზისფერი პოეზიის აღიარება.....87-89
ლექსი „ეპისტოლეთა წიგნიდან“.....89-91
ციური ხეთერელი – რალაც ძალიან რაინდულია სიყვარული.....91-94
რატინი ლალი.....95-98
პროფესორი გელა კვანტალიანი, პედაგოგი თამარ გუჯეჯიანი.....99-100
გივი ხაზალა – პირველყოფილი სამყარო, ზეციური თვითგანვითარებადი სისტემა, თანამედროვე სამყარო.....101-104
მანანა კვატია – თანხედრათა არგუმენტირებული დიალექტიკა.....105-109
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე – ბეწვის ხიდზე.....110-122

იხსიარა

რეზო ადამია – ქრისტიანული საოცრება – „სუმელას“ მონასტერი.....123-126
ნიკო ხერკელაძე – გიორგი სააკაძის გაგრძელება.....126-130
თამარ ჯაჭვადე – გორგასალის ნაკვალევზე.....130-132

ხელოვნება

დამანა მდივნიშვილი (მეცნიერი).....133-143
სიმონ ჯაფარიძე – ფერთა პარმონია.....144-146

მედიცინა

ვახტანგ გაჩეჩილაძე – მეხსიერება.....147

ფიზიკოლოგია და სპორტი

ჯუმბერ ლუგავა – „ჯანმრთელობის ფორმულა“.....148-150

ნორჩი ათინათელები

კახა ღომადე.....151
თამარ ტყეშელაშვილი.....151
გიორგი გოგინაშვილი.....152-153
ვანო ჩარვაზია.....153-154
ეკატერინე ქადაგიძე.....154-155
ვასილ ურთქმელიძე.....155
ირაკლი სვანიშვილი.....155

ბაჩანა ლომიძე.....	155
ნიკოლოზ გრიგოლია.....	156
ნინო გოგატიშვილი.....	156
მარიამ ჯიქია.....	157
ქრისტინე იზორია.....	157
თამარ მოთიაშვილი.....	158
ქეთევან სხირტლაძე.....	158-159
ირაკლი ჯივანია.....	159-160
თამარ თედიაშვილი.....	160-161
ანი ჩიტაია.....	162
ლუკა შედანია.....	162
ანი მელაძე.....	162-163
ნატა პირველი.....	163
გვანცა ყვავიაშვილი.....	163-164
 <i>ნორჩი ათინათელის თარგმანები</i>	
ანი მელაძე.....	165
ქეთევან სხირტლაძე.....	165-166
ნათია გვაჯაია.....	166
ლუკა შედანია.....	167
 <i>პაწაწა ფუნსიონისებრი</i>	
ლუკა შედანია – ინტერვიუ მოგზაურ ჯუმბერ ლეჟავასთან	167-169
ირაკლი ჯივანიამ – ინტერვიუ გულნაზ ხარაიშვილთან.....	169-172
ქრისტინე იზორია – ინტერვიუ რეზო (ემელიანე) ადამიასთან	172-173
 <i>მილოცვა მსუქან მსჩაძეს</i>	174
 <i>მადლობის აღიარება ფუნსიონის ფუნსიონებთან</i>	175
<i>პაწაწა ანგელოზები</i>	176-177
<i>მარინა სხირტლაძე – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის</i> <i>ფრანგული ლიტერატურული ფონდი.....</i>	178
 <i>გახსენება</i>	
გიორგი იორამაშვილი.....	179
სპარტაკ სხირტლაძე.....	179
სიმონ სხირტლაძე.....	179
ნანი ხარაიშვილი.....	179
 <i>სხალი სიკვნიბი.....</i>	
თინათინ ხაბურძანია – ჟურნალ ათინათს.....	184
ავტორთა საყურადღებოდ	184

თინათინ საბურძანია ჟურნალ ათინათს

სახე აქვს სათნო ქალწულ ნინოსი,
სხეული უგავს წმინდა ბიბლიას.
მზემ აკურთხა ის სხივთა სითბოთი,
სულის სიწმინდე მისი ხიბლია.
თავზე, რომ ადგას შარავანდედად,
მზისგან ნასროლი ათინათია.
მისია წილად რაც დაებედა,
სულ მისი ფრთების საზიდარია.
მის ძარღვებში, რომ მიედინება,
გმირთა ნაქონი წმინდა სისხლია
და “ათინათის” დიდებულება,
ჩვენ ამ დინებით ბევრჯერ გვიგვრძნია.
ყოველი სიტყვა, თუ ლექსის სტროფი,
მომავლის შუქით დაფერილია.

ჟურნალი, დღეს ჩვენ ვსაზრდოობთ რომლით,
სიკეთის მტკვნით დაძევილია.
“ათინათია“ თავშესაფარი,
უიმედობით დაღალულ სულთა,
მაგრამ ბუდეა ქართული აზრის,
გამარჯვებებით აფრენილ გულთა.
ეს არენაა სადაც სიბრძნეში,
გაეჯიბრება ქართველი ქართველს.
გამარჯვებული რჩება იმედი,
მომავლის მიზნის მიგნების გზაზე
რადგან სახე აქვს ქალწულ ნინოსი,
სხეული უგავს წმინდა ბიბლიას,
ზეციერ გზას და მიზანს იპოვის,
ღვთით ნაბოძები მისი მისია.

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;

0341227287.

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“ მხატვარი ემელიანე (რეზო) ადამია.

გარეკანის მეორე გვერდზე მთავარი ანგელოზი მიქაილი, მხატვარი ემელიანე (რეზო) ადამია.

ქურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი: გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია

რელიგიის განყოფილების რედაქტორები: მეუფე თადეოზი (იორამაშვილი) და

ფაზისის საერო აკადემიის პრეზიდენტი – ნუგზარ ნადარაია

მხატვრული განყოფილების რედაქტორები:

დავით კაპანაძე–პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,

სერგი ლომაძე,

კახა ბაციკაძე,

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე.

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:

ჯუმბერ ლეჟავა – მსოფლიო მოგზაური

განო შუშტაკაშვილი –პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორი: ლუარა სორდია – პროფესორი.

თარგმანების განყოფილების რედაქტორი: ირა დანელია – პროფესორი.

საბავშვო განყოფილების რედაქტორი: ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი

რედკოლეგიის წევრები:

ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) - მოგზაური

იური მამედოვი(აზერბაიჯანი) - მოგზაური

სიმონ ზაქარაია: ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორი

მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.

ლამზირა შეყილაძე-პოეტი

მანანა დანგაძე-ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიასთან არსებული შემოქმედთა გაერთიანების ხელმძღვანელი

თამრიკო ჯაჭვაძე – ფილოლოგი (პოეტი)

**კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე
ქურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, ხელოვნების მეცნიერებათა აკადემია, IV სართული.

ტელეფონი: 593 65 79 21

0341 22 72 87



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ገጽ ፩

ገጽ ፩

